
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო

საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

თბილისი

2017

აღნიშნული პროექტი (სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო – **საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**; N FR/246/1-30/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project (The Formal Language – Orthographic-Stylistic Dictionary for Civil Servants; N FR/246/1-30/13) has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტზე მუშაობდნენ:

თამარ ვაშაკიძე (პროექტის ხელმძღვანელი და რედაქტორი)

ავთანდილ არახული

თეა ბურჭულაძე

ტექნ. რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

ოპერატორი – **რუსუდან რატიანი**

www.rustaveli.org.ge

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-16-518-4

უფასო გამოცემა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

სარჩევი

პირობითი ნიშნები 4
შემოკლებანი 5
წინათქმა 9
სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო 13
I. ფუნქციური სტილისტიკის საგნისა და სფეროებისათვის 13
II. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი ნიშნები 30
1. ტექსტის სტრუქტურირება 33
2. სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება 41
3. ვნებითის დეპერსონალიზებული ფორმების გამოყენება 43
4. ზმნური ფორმები, რომლებიც ოფიციალური ურთიერთობებისათვის ნიშანდობლივ ვალდებულებებსა და ნების გამოვლენას გამოხატავენ 44
5. კალკები 46
6. სტანდარტული სინტაგმების ფუნქციისათვის ოფიციალურ-საქმიანი ენის კონსტრუირებაში 47
7. საზოგადოებასთან ურთიერთობა რეკლამის ენაზე 53
8. ოფიციალურ-საქმიან ტექსტზე მუშაობის პრაქტიკა 60
III. საქმის ქაღალდები 84
საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი 117
ლიტერატურა 623

პირობითი ნიშნები

[და არა ...] – სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი: **სარწმუნო, საიმედო** [და არა ვალიდური]

[... კი არა] – სალექსიკონო ერთეულად გატანილი უმართებულო ფორმა: [ბორდიკი არა] **საბჭო** (სამეთვალყურეო, სამეურვეო)

... // ... – სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობისა თუ ფუნქციის მქონე ფორმები: **ზოგადკაცობრიული // ზოგადსაკაცობრიო**

(... //) ან (// ...) – დასაშვები ფორმები: (**ბონუსანაბარი //**) **ბონუსური ანაბარი; შეუმჩნეველი** (// **შეუმჩნევი**)

[... //] ან [// ...] – გაქრობის გზაზე მდგომი ფორმები: [პარადი //] **აღლუმი; მოსაჭიდებელი** [// მოსაჭიდი], აგრეთვე – ახლად დაშვებული პარალელური ვარიანტები: **ღვაწლმოსილობა** [// ღვაწლმოსილება]

/ – დახრილი ხაზით გამიჯნულია სიტყვათშეხამებათა ცვალებადი წევრები: **მოთხრობა** „ოთარაანთ ქვრივი“ / „ოთარაანთ ქვრივმა“ / „ოთარაანთ ქვრივს“ / „ოთარაანთ ქვრივის“ / „ოთარაანთ ქვრივით“ / „ოთარაანთ ქვრივად“; „ოთარაანთ ქვრივში“..., მაგრამ: **მოთხრობა / მოთხრობამ / მოთხრობას / მოთხრობის / მოთხრობით / მოთხრობად**; **მოთხრობაში** „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

– ტირეთი გამიჯნულია პარონიმები: **განსახლება** (= დასახლება) – **გასახლება** (= იძულებით სახლიდან გაყვანა, გაძევება

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ავტ. – ავტორალი
აკაკი – აკაკი წერეთელი
ანატ. – ანატომია, ანატომიური
არქიტ. – არქიტექტურა, არქიტექტურული
ა. შ. – ასე შემდეგ
ბიოლ. – ბიოლოგია, ბიოლოგიური
ბოტან. – ბოტანიკა, ბოტანიკური
ეკ. გაბ. – ეკატერინე გაბაშვილი
გადატ. – გადატანითად (ხატოვნად)
გალაკტიონი – გალაკტიონ ტაბიძე
კ. გამს. – კონსტანტინე გამსახურდია
გეოლ. – გეოლოგია
გეომეტ. – გეომეტრია, გეომეტრიული
ი. გოგებ. – იაკობ გოგებაშვილი
გრამატ. – გრამატიკა, გრამატიკული
დარგ. – დარგობრივი
დიპლ. – დიპლომატია, დიპლომატიური
ეკლ. – საეკლესიო
ეკონ. – ეკონომიკა, ეკონომიკური
რ. ერისთ. – რაფიელ ერისთავი
ე. წ. – ეგრეთწოდებული
ვაჟა – ვაჟა-ფშაველა
ვით. – ვითარებითი ბრუნვა
ზღვაოსნ. – საზღვაოსნო
თავაზ. – თავაზიანი
თარგმ. – თარგმანი
თეატრ. – თეატრალური
ილია – ილია ჭავჭავაძე
ირონ. – ირონიული
ისტ. – ისტორია, ისტორიული
იურ. – იურიდიული
იყენ. – იყენებს
იხ. – იხილე

კომპ. – კომპიუტერული, კომპიუტერისა
კულინ. – კულინარია, კულინარიული
ლათ. – ლათინური
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლიტ. – ლიტერატურა, ლიტერატურული
ნ. ლორთქ. – ნიკო ლორთქიფანიძე
მაგ. – მაგალითად
მათემ. – მათემატიკა, მათემატიკური
ი. მაჩაბ. – ივანე მაჩაბელი
მ. მაჭავ. – მუხრან მაჭავარიანი
მედიც. – მედიცინა, სამედიცინო
მელან. – მელანია (ნიკოლოზ ნათაძე)
მთ.-მად. – სამთამადნო
მინერ. – მინერალი, მინერალოგია
მისთ. – მისთანანი
მიც. – მიცემითი ბრუნვა
მნიშვნ. – მნიშვნელობა
მოთხრ. – მოთხრობითი ბრუნვა
მოქმ. – მოქმედებითი ბრუნვა
მრ. – მრავლობითი რიცხვი
მუს. – მუსიკა, მუსიკალური
ნათ. – ნათესაობითი ბრუნვა
ე. ნინოშ. – ეგნატე ნინოშვილი
პოლიტ. – პოლიტიკა, პოლიტიკური
თ. რაზიკ. – თედო რაზიკაშვილი
რელიგ. – რელიგია
გ. რჩეულ. – გურამ რჩეულიშვილი
სამართ. – სამართალი
სამხ. – სამხედრო
საპირისპ. – საპირისპირო
საუბ. – საუბრული, სასაუბრო
სახ. – სახელობითი ბრუნვა
სპეც. – სპეციალური
სპორტ. – სპორტი, სპორტული
სხვ. – სხვა
ტექნ. – ტექნიკა, ტექნიკური

უიარ. – უიარაღო (კონდრატი თათარიშვილი)
ფარმაკ. – ფარმაკოლოგია, ფარმაკოლოგიური
ფიზ. – ფიზიკა, ფიზიკური
ფიზიოლ. – ფიზიოლოგია, ფიზიოლოგიური
ფილოს. – ფილოსოფია, ფილოსოფიური
ფინანს. – ფინანსური
ფსიქ. – ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური
ქიმ. – ქიმია, ქიმიური
ა. ყაზბ. – ალექსანდრე ყაზბეგი
შდრ. – შეადარე
გ. ჩოხ. – გოდერძი ჩოხელი
ბ. ჩხ. – ბორის ჩხეიძე
ძვ. – ძველი
წიგნ. – წიგნური
წმ. – წმინდა
ხელოვნ. – ხელოვნება, ხელოვნებათმცოდნეობა

წინათქმა

ერთიანი სალიტერატურო ენა განსაკუთრებული ფენომენია. ის აუცილებელ პირობად გულისხმობს ეროვნული მწიგნობრობის არსებობას. მისი ჩამოყალიბება ერის დიდი სულიერი ძალისხმევისა და მნიშვნელოვანი ისტორიული გამოცდილების შედეგია. ნებისმიერი ეროვნული ენა ამ რანგს მხოლოდ განვითარების განსაკუთრებულ ეტაპზე აღწევს. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოში ისტორიულად არსებულ ენათაგან არცთუ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიაღწია განვითარების ამ საფეხურს. თავისი რანგითა და მნიშვნელობით სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფაქტი მხოლოდ თვით ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებას შეიძლება შევადაროთ და სულაც არ არის შემთხვევითი ის, რომ ისტორია ნათლად წარმოაჩენს ამ ორი მოვლენის გენეზისურ ურთიერთკავშირს.

ქართულმა სალიტერატურო ენამ მრავალმხრივი სტილისტიკური განვითარებისა და ფუნქციური ჩამოყალიბების ხანგრძლივი გზა განვლო. თითქმის არ ყოფილა საკაცობრიო სიტყვაკაზმული მოვლენა, რომელიც ქართულ მწერლობას არ შეეთვისებინოს. ასევე დროის მოთხოვნათა პირობისამებრ მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, სამართლებრივი, მდივანმწიგნობრული, საკანცელარიო ქვესახეობანი ქართული სალიტერატურო ენისა. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებისათვის უკვე იკვეთება ოფიციალურ-საქმიანი სტილის დამკვიდრების აუცილებლობა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მრავალპლანიანობა და პოლივალენტოვნება თავისთავად განაპირობებს მის მრავალმხრივ ფუნქციურ-სტილისტიკურ განტოტებას, ფუნქციურ სტილთა საზღვრების უფრო გამოკვეთილ მარკირებას. სალიტერატურო ენის ფუნქციების ამგვარი დიფერენცირება შეპირობებულია იმ რთული და არაერთგვაროვანი ამოცანებით, რასაც ის სრულიად განსხვავებულ პროფესიულ სფეროებში გამოყენების დროს ასრულებს. სწორედ ფუნქციური არეების გაფართოება და გართულება იწვევს სალიტერატურო ენის გამოკვეთილ სტილისტიკურ დიფერენციაციას. რაც უფრო განვითარებული და პოლივალენტოვანია სალიტერატურო ენა, მით უფრო განვითარებული და ჩამოყალიბებულია მისი ფუნქციონირების არეები (ანუ – ფუნქციური სტილისტიკის სფეროები), მით უფრო აქტუალურია საკითხი თითოეული ამგვარი სფეროს ენობრივ თავისებურებათა გამოვლენისა და შესწავლისა, რამდენადაც სწორედ მასთან არის დაკავშირებული სალიტერატურო ენის საყოველთაო პრაქტიკული გამოყენების ამოცანები.

ფუნქციური სტილისტიკის გენეზისის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სტილისტიკის ეს სფერო ისტორიულ-კულტურული კატეგორიაა, რამდენადაც უშუალოდ უკავშირდება ენის ფუნქციონირების სოციალურ-კულტურული პირობების ისტორიულ ცვალებადობასა და ჩამოყალიბებას, ენის გამოყენების პრაგმატული სფეროების საბოლოოდ განსაზღვრასა და დადგენას. სრულიად აშკარაა, რომ რაც უფრო ცივილიზებულ, ოფიციალურ ხასიათს იძენს ადამიანთა სამოქალაქო თუ საერთაშორისო ურთიერთობები, რაც უფრო რეგლამენტირებული ხდება სოციალური სტრუქტურები, მით უფრო

მკაცრ ნორმატიულ სახეს იღებს ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც ამ ურთიერთობებს ემსახურება.

ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ოფიციალურ-საქმიანი სფეროს შესწავლის განსაკუთრებულ აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისა და ურთიერთობის აუცილებელ ნაწილს, ამიტომაც ამგვარი დოკუმენტაციის შედგენას, მათი სისწორისა და კანონიერების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ადამიანის სამოქალაქო თუ სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქის თვითრწმენისა და თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვან ოფიციალურ დოკუმენტებთან „ურთიერთობის“ ცოდნაზე, რომლის გარეშეც თანამედროვე ცხოვრების ბიუროკრატიულ სისტემაში გზის გაკვლევა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, საქმის ქაღალდების რაობასა და თავისებურებებში გარკვევა თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს წარმოადგენს.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მართლწერის საკითხების შესახებ შემოსულ შეკითხვათა 70 პროცენტი სწორედ ოფიციალურ-საქმიანი ქაღალდების მართებულად გამართვა-შედგენასთან დაკავშირებულ სტანდარტებს შეეხება, რამაც, ფაქტობრივად, განაპირობა წინამდებარე ნაშრომის მომზადება „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონითურთ“.

* * *

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც **რუსთაველის ფონდმა** დააფინანსა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფის მიერ წარდგენილი სპეციალური პროექტი.

აღნიშნულმა ჯგუფმა პროექტის რეალიზაციისათვის შემდეგი გეგმით იმუშავა:

- ამომწურავად იქნა წარმოდგენილი საკითხის ისტორია (მკვლევართა თვალსაზრისები);
- შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, რომელზედაც განთავსდა ოფიციალურ-საქმიანი სფეროს ამსახველი ლექსიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურად მართებული ფორმა-გამოთქმები;
- ახალ მასალაზე დაყრდნობით (ახალი ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით) გაანალიზდა სახელმწიფო დოკუმენტების ენა და მომზადდა ორთოგრამები **საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონისათვის**;
- შესწავლილ იქნა საზოგადოებრივი ინფორმაციის ენა (აღსანიშნავია, რომ ეს სფერო, კერძოდ, რეკლამის ენა, პირველად არის გაანალიზებული წინამდებარე ნაშრომში). მოპოვებული მასალის გათვალისწინებით მომზადდა

აღნიშნული სფეროს ამსახველი ლექსიკის შესაბამისი ორთოგრამა-შესიტყვებანი **საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონისათვის**;

• ახალ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზდა სუბიექტთა დოკუმენტების ენა და გამოიყო ორთოგრამები **საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონისათვის**;

• მომზადდა **საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**, რომელიც სიახლეს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ მასში პირველად არის გათვალისწინებული ბევრი ახალი ლექსიკური ერთეული შესაბამისი ორთოგრაფიით, მაგ.: [ვალიდური კი არა] **სარწმუნო**, **საიმედო**; [ბორდი კი არა] **სახჯო** (სამეთვალყურეო/სამეურვეო...); [კორპორატიული კი არა] **კორპორაციული**; [არშეიარაღება კი არა] **შეუიარაღებლობა**; **დელიმიტაცია** [და არა დელიმიტიზირება]; **ვიდეომტკიცებულება** [და არა ვიდეო-მტკიცებულება]; **ახსნაგანმარტებითი** [და არა ახსნა-განმარტებითი] (ბარათი/წერილი) და ა. შ. საჭიროების შემთხვევაში ორთოგრამას განმარტებაც ახლავს. ბუნებრივია, განმარტებებითვეა წარმოდგენილი პარონიმული წყვილები, მაგ.: **ლოჯისტიკა** (= მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა) – **ლოგისტიკა** (= 1. გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნება; 2. სპეც. მათემატიკური ლოგიკის განვითარების ერთ-ერთი ტიპი) და სხვ.

სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო

ენა ეროვნულობის არსებითი ნიშანია და, ბუნებრივია, ეროვნული ენის ჯანსაღი ფუნქციონირების საკითხი ყოველთვის რჩება ერის სულიერი ცხოვრების აქტუალურ უბნად.

უდავოა, რომ სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა მის მუდმივ სრულქმნას გულისხმობს და დღევანდელი ინტენსიური ცხოვრება, ე. წ. საინფორმაციო ბუმი ამ სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე დიდი გამოცდაა. ტექნიკური ცივილიზაციისათვის გეოგრაფიული საზღვრები მხოლოდ პირობითი ცნებაა და, ცხადია, მას ადამიანების ფსიქიკაშიც, მათს ენობრივ შემეცნებაშიც თავისი კვალი აქვს. ერი (ენობრივი კოლექტივი), რომელიც ტექნიკური და ჰუმანიტარული ინფორმაციის მოზღვავებას მოუმზადებელი შეხვდება, საკუთარ „ენობრივ ორგანიზმში“ ვერ „გადახარშავს“ ამ ინფორმაციას, საბოლოოდ ტექნიკური ცივილიზაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

სწორედ ამიტომ ექცევა ეპოქის შესაფერის ენობრივ მშენებლობას დღეს დიდი ყურადღება. განვითარებული თუ განვითარებადი დარგების მოთხოვნით იქმნება, ივსება და იხვეწება უამრავი სპეციალური ლექსიკონი, სისტემატური განსჯის საგანია ნორმალიზაციის საკითხები, რომლებიც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ არის მიჩნეული. სწორედ მათს რიცხვს განეკუთვნება სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფეროს შესწავლისა და მოწესრიგება-მოგვარების საკითხი.

I. ფუნქციური სტილისტიკის საგნისა და სფეროებისათვის

კაცობრიული კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული ენის ფუნქციონირების არეების სულ უფრო და უფრო მეტ დემარკაციასა და შესაბამისი ენობრივი სეგმენტების სტილისტიკურ დიფერენციაციასთან. მწიგნობრული ენის ფუნქციური „გადახრები“ და განშტოებები, როგორც წყაროები ადასტურებს, ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში გახდა ყურადღების საგანი. თანამედროვე სტილისტიკის პირველად წყაროებს წარმოადგენს ანტიკური საბერძნეთის ორი განსხვავებული დისციპლინა – პოეტიკა და რიტორიკა, რომელთაგან პირველი მიღებული იყო, როგორც მეცნიერება „პოეზიის“, ანუ მხატვრული ენის შესახებ, ხოლო რიტორიკა იყო მოძღვრება ენის (მეტყველების) გამომსახველობითი შესაძლებლობებისა.

ორატორულ ხელოვნებას საქართველოშიც დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერჯერობით პირველი ასეთი წერილობითი ნიმუშია პერიფრაზული სახით შემონახული იბერთა მეფის – ფარსმან I-ის მიერ (I ს.) ბრძოლის დაწყების წინ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შესულია რომაელი ისტორიკოსის – კორნელი ტაციტუსის (55-120) მეექვსე წიგნში. ბერძენი მოღვაწის, თემისტიორის, გადმოცემით, კოლხეთში, ფოთის მახლობლად, IV ს-ში ყოფილა ფილოსოფი-

ურ-რიტორიკული სკოლა, სადაც არამარტო ადგილობრივი მოსახლეები სწავლობდნენ, არამედ საბერძნეთიდანაც მოდიოდნენ განათლების მისაღებად. მომდევნო საუკუნეებში ორატორული ხელოვნების წინსვლას ხელი შეუწყო კულტურისა და ხელოვნების განვითარების ისეთმა კერებმა, როგორებიცაა: იერუსალიმის (IV ს.), ათონის ივერიის (X ს.), სინას მთის (X ს.), პეტრიწონის (XI ს.) მონასტრები. საქართველოში ეს საქმე მაღალ დონეს აღწევს განსაკუთრებით XII ს-ში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიაში, ასევე იყალთოს აკადემიაში [ბასილაია 1991: 7-8].

იმავე ანტიკურ საბერძნეთში დაედო სათავე დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას სტილების ჟანრობრივი გამოვლენის მიმართ, ანუ ლიტერატურული ჟანრების სტილებრივ განსხვავებას; სახელდობრ, ფაქტობრივ ამ მიდგომამ დაუდო სათავე კარგად ცნობილ სამი სტილის თეორიას, რომლის უძველესი გამოხატულებაა ძველი ბერძნების მიერ გარჩევა „მაღალი“ (ეპოსი და ტრაგედია), „საშუალი“ (ლირიკა) და „დაბალი“ (კომედია) ენობრივი ფორმებისა, რომლებმაც თავისებური ხასიათი შეიძინა რომის იმპერიაში. ხოლო მე-17-18 საუკუნეებისათვის ევროპაში გავრცელდა ცნობილი სამი სტილის მოძღვრების სახით.

სტილი – როგორც ტერმინი – ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულ ცნებათა რიგს განეკუთვნება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფეროში ვიყენებთ მას ამ სფეროს რაიმე არსებითი თავისებურების გამოსახატავად. მას ვხვდებით არაერთ მსგავს შესიტყვებაში: **ცხოვრების სტილი**, **ქცევის სტილი**, **არქიტექტურის სტილი**, **ორნამენტის სტილი**, **მუშაობის სტილი** და სხვა. ტერმინის შინაარსისა და გამოყენების ეს მრავალმხრივობა აისახება იმ განმარტებაშიც, რომელიც „უცხო სიტყვათა ლექსიკონშია“ წარმოდგენილი. ტერმინის პირველი მნიშვნელობა მწიგნობრულ ენას, სიტყვიერ ხელოვნებას უკავშირდება და, ბუნებრივია, დღევანდელ სიტყვახმარებაში ის არის ცენტრალური შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგიურ დისციპლინებს შორის სტილის კვლევას (სტილისტიკას) ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული ისტორია აქვს (ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული), დღემდე სტილის ერთგვაროვანი განსაზღვრება მაინც არ არსებობს. თუ დავეყრდნობით იმ ზოგად განმარტებას, რომ „სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან“ (არნ. ჩიქობავა), მაშინ სტილი უნდა განვსაზღვროთ, როგორც სათქმელის (აზრის) ენობრივი გამოხატულების თავისებურება. ეს განმარტებაც, როგორც ვხედავთ, საკმაოდ ზოგადია და სულაც არ მიუთითებს კონკრეტულ მოთხოვნებზე აღნიშნული „ენობრივი გამოხატულების“ მიმართ; რაც მთავარია, არ განმარტავს, ობიექტური მონაცემია ეს „გამოხატულება“ თუ მთლიანად სუბიექტურ არჩევანზეა ის დამოკიდებული.

ცხადია, შემთხვევითი სულაც არ არის ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ტექსტის სტილური თავისებურებების განსაზღვრისას ხშირად საუბრობენ „ინდივიდუალურ გემოვნებასა“ თუ „სუბიექტურ სტილზე“. ნიშანდობლივია, რომ ზოგი მეცნიერი სტილზე საუბარს სუბიექტურის გამოვლენის გარეშე შეუძ-

ლებლად მიიჩნევს. სტილისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას განსაკუთრებით განამტკიცებს მხატვრული სიტყვის ცალკეულ ოსტატთა გამოკვეთილი ინდივიდუალური მანერა წერისა, მაგრამ სტილის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენის სფერო, ცხადია, მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობა არ არის, მასზე შეიძლება მაშინაც იყოს მითითება, როცა ფუნქციურ სტილთა გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაზე ვსაუბრობთ. სტილისტიკის ამ სფეროებში, რომლებსაც, მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, ნაკლებ ახასიათებს დამოკიდებულებათა სუბიექტურ-ექსპრესიული გამოხატვა, უფრო მეტად შეიძლება ვისაუბროთ სტილის ობიექტურ მახასიათებლებზე, ანუ იმაზე, რაც ნეიტრალურ ვითარებაში განაპირობებს ენობრივ არჩევანს.

სტილის ობიექტური ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი არჩევანი შესაძლებელია სუბიექტურად მაქსიმალურად ნეიტრალურ ვითარებაში განხორციელდეს. ამ შემთხვევაში ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ენობრივი გამოხატულების ოპტიმალურ შესაბამისობაზე გამოსახატავ შინაარსთან, მაგრამ ამ დროს, როგორც ითქვა, არსებითად გამოირიცხება გამოხატულების სუბიექტურ-ექსპრესიული მხარე. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სტილის ამოცანა ოპტიმალურ ენობრივ შესაძლებლობათა ძიებაა ყოველგვარ ვითარებაში, ენის ფუნქციონირების ნებისმიერ სფეროში. რაც მთავარია: როცა სტილისტიკაზე გვიხდება საუბარი, ეს თავისთავად გულისხმობს არჩევანს სტილის დონეზე; უპირველესად სწორედ ეს, ანუ არჩევანის მომენტი, აკავშირებს მას მეტყველების კულტურასთან, რამდენადაც ამ სფეროს ცენტრალური პრინციპი ძირითადად არჩევანის შესაძლებლობაში მდგომარეობს. მეტყველების კულტურა ფართო შინაარსით გულისხმობს არამხლოდ სწორად მეტყველებას, არამედ აზრის უფრო ზედმიწევნით, ოპტიმალურად გამოხატვასაც (ბუნებრივია, მეორე ამოცანის შესასრულებლად პირველი მოთხოვნა აუცილებელი პირობაა). ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ენობრივი ვარიანტები შეფასდება არამხოლოდ „სწორი – არასწორის“ გარჩევის დონეზე, არამედ „უკეთესი – უარესის“ არჩევანის მიხედვით, ანუ შეფასებითი პოზიციიდან. ნიშანდობლივია, რომ სტილის ამ არსებით მეთოდურ მოთხოვნას იმთავითვე მიექცა ყურადღება, კერძოდ, თეორიული სტილისტიკის ფუძემდებელი, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე საგანგებოდ მიუთითებდა: „მეტყველებამ რომ საჭირო შთაბეჭდილება მოახდინოს, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია, ეს სათანადოდ ითქვას“.

ამდენად, ენობრივი გამოხატულების შესაბამისობა გამოსახატავ შინაარსთან დამოკიდებულია იმ ენობრივი საშუალებების ოპტიმალურ შერჩევაზე, რომელმაც ფრაზა უნდა ჩამოაყალიბოს. არნ. ჩიქობავა წერს: „სიტყვების ურთიერთობა შესიტყვების აგებულების თვალსაზრისით – სინტაქსის საქმეა; სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის თვალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით – სტილისტიკის საქმეა“ [ჩიქობავა 1952: 280]. „გადმოსაცემი შინაარსის (სათქმელისა) და გადმომცემი ენობრივი საშუალების (თქმულის) ურთიერთობა – ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან“ [ჩიქობავა 1952: 312].

აღნიშნული „ენობრივი საშუალებების“ რესურსად მიგვაჩნია ენობრივი სისტემის ნებისმიერი მონაცემი – დაწყებული სიტყვის ბგერითი აგებულებით და დამთავრებული ტექსტის აბზაცებად დაყოფით. პრაქტიკული სტილისტიკის თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე ძირითად მომენტზე მიეთითოს: ა) კონტექსტის შესაფერისი სიტყვის შერჩევა; ბ) სინტაქსური კონსტრუქციის სრულყოფა; გ) ფრაზის რიტმული სტრუქტურის არჩევა.

ერთი მაგალითი შესაფერისი კონსტრუქციის შესარჩევად:

„დასავლეთმა ევროპამ თვალნათლივ დაინახა ის კურსი, რომელიც საქართველომ აირჩია“. ამ რთული წინადადების ნაცვლად შესაძლებელია იგივე აზრი მარტივი წინადადებითაც გადმოვცეთ: „დასავლეთმა ევროპამ თვალნათლივ დაინახა საქართველოს მიერ არჩეული კურსი“.

ამ ორ წინადადებას შორის არსებითი განსხვავება არ არის არც აზრობრივი და არც სინტაქსური გამართულობის (სისწორის) მხრივ, მაგრამ არჩევანი, ბუნებრივია, ერთ-ერთზე უნდა შევაჩეროთ და უპირატესობა სტილური გამოხატულების („შესაფერისობის“) თვალსაზრისით ალბათ პირველს უნდა მივანიჭოთ.

ავხსნათ, რა განაპირობებს ამ არჩევანს: მართალია, ოფიციალური სტილისთვის ლაკონიურობა და სისადავე არის ნიშანდობლივი, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი (რთული) წინადადება უფრო შეესაბამება იმ აზრობრივ ამოცანას, რასაც სათქმელი მოითხოვს. ამას უნდა განაპირობებდეს, ჯერ ერთი, ის, რომ პირველი წინადადების ზმნური ფორმა (აირჩია) უფრო გამოკვეთს აღნიშნულ ძირითად „აზრობრივ აქცენტს“, ვიდრე მიმღეობა (არჩეული); მეორეც, ჩვენებითი ნაცვალსახელი „ის“ პირველ წინადადებაში მეტად წარმოაჩენს იმ სიტყვის მნიშვნელობას, რომლის „დანახვაზედაც“ არის საუბარი – და ამით მას უფრო აქცენტირებული პოზიცია უკავია, ვიდრე მეორე შემთხვევაში; მესამეც: ამგვარ (პირველი სახის) წყობაში უფრო თვალსაჩინოა მოქმედებათა ურთიერთშეპირობებულობა (მიზეზშედეგობრიობა), რასაც პირველი წინადადებით გაესმის ხაზი (რაკი აირჩია, კიდეც დაინახეს...).

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი წინადადების რიტმული სტრუქტურა უფრო გამოკვეთილია და მოქნილი, რისი საფუძველიც, წინადადების აგებულებასთან ერთად, უთუოდ აღნიშნული „აქცენტების გადანაწილება“ უნდა იყოს. მოყვანილი სანიმუშო მაგალითები მცირედ მაინც წარმოაჩენს იმას, რომ სტილზე მუშაობა საკმაოდ ღრმა დაკვირვებას, გემოვნებასა და ენობრივ გრძნობას მოითხოვს. ფრაზის სტილური დახვეწა თითქმის მუდმივი პროცესია. ამიტომაც არის, რომ თვით დიდი მწერლები, სიტყვის დიდოსტატები, არცთუ იშვიათად უბრუნდებოდნენ თავიანთ ნაწერს, ხვეწდნენ და ასწორებდნენ მას.

• • •

სტილის შესწავლა და სტილისტიკაზე საუბარი ტრადიციულად მხატვრული შემოქმედების სფეროს უკავშირდებოდა. ე. წ. პრაქტიკული სტილების

აღწერა-ანალიზს შედარებით გვიან მიექცა სათანადო ყურადღება და გამოჩნდა, რომ ენის ფუნქციონირების ეს სფერო არანაკლებ რთულ პრობლემებს მოიცავს. ფაქტობრივ ტრადიციულ საფუძველზე აყალიბებს არნ. ჩიქობავა აზრს ორი მსხვილი სტილისტიკური სფეროს დიფერენცირებული შესწავლის აუცილებლობის შესახებ:

„რით განსხვავდება **სტილისტიკა პოეტიკისა და ენათმეცნიერების** გაგებით?

პოეტიკური სტილისტიკა შეისწავლის **მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლენის საშუალებას**; მისი საგანია **პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია**.

სტილისტიკა ენათმეცნიერული გაგებით განიხილავს **არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენას**, რამდენადაც **ეს** ენა **სათანადო შინაარსის გამოხატულების საშუალებაა**“ (ხაზგასმები ავტორისაა) (ჩიქობავა, 1952: 313).

ე. წ. ენათმეცნიერულ სტილისტიკას არსებითად საფუძვლად უდევს შარლ ბალის ნაშრომები (მისი „ტრაქტატი ფრანგულ სტილისტიკაში“, 1909) და პრაღის ლინგვისტური წრის შეხედულებები. მე-20 საუკუნეში თანდათანობით ყალიბდება აკადემიური მიდგომა ფუნქციური სტილების შესაბამისი სფეროებისა და მათი ენობრივი სპეციფიკის შესახებ. ქართულ სინამდვილეში ფუნქციურ სტილთა საზღვრების დადგენასა და მათი თავისებურებების ანალიზს მიეძღვნა არაერთი ნაშრომი; მაგალითად: გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები (1957), ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება (1968), ალ. გვენცაძე, სტილისტიკის საკითხები (1971), გ. შალამბერიძე, რ. გაბეჩავა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა (1974), ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები (1974), გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა (1990), ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა (1991) და სხვ.

თვალსაზრისთა ერთგვაროვნება არა გვაქვს სტილისტიკის სახეების შესახებ. როგორც ითქვა, არნ. ჩიქობავა გამოყოფდა სტილისტიკის ორ ძირითად სახეს: პოეტიკურსა და ენათმეცნიერულს. ავტორის განმარტებით, პოეტიკური სტილისტიკა შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას. მისი საგანია პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია. ენათმეცნიერული სტილისტიკა განიხილავს არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერული ნაშრომების ენას. გამომსახველობითი საშუალებანი არ არის უცხო ენათმეცნიერული სტილისტიკისათვის [ჩიქობავა 1952: 313]. ვ. ვინოგრადოვის თვალსაზრისით, სტილისტიკა სამი სახისაა: 1. **ენის სტილისტიკა**, რომელიც იხილავს ე. წ. ფუნქციურ სტილებს (სასაუბროს, სამეცნიეროს, პუბლიცისტიკურს, ოფიციალურ-კანცელარიულსა და სხვ.), მათი გამოხატვის სპეციფიკური ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებების გამოყენებას; 2. **მეტყველების სტილისტიკა**, რომლის საგანია სხვადასხვა ჟანრის სემანტიკური და ექსპრესიულ-სტილისტიკური ხასიათის მეტყველების სახეები (დისკუსია, პრესკონფერენცია, კონ-

სულტაცია, მოხსენება, საუბარი...); 3. **მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა**, რომლის კვლევის საგანია ლიტერატურული ნაწარმოების სტილის, მწერლის სტილის, ლიტერატურული მიმართულების სტილის ელემენტები [Виноградов 1963: 5-93]. მ. ბალის გაგებით, სტილისტიკის სახეებია: I. **ზოგადი სტილისტიკა**, რომელიც იხილავს საერთოდ ენობრივი ურთიერთობის სტილისტიკურ პრობლემებს; II. **კერძო სტილისტიკა**, რომელიც სწავლობს კონკრეტული, ეროვნული ენის სტილისტიკის საკითხებს; III. **ინდივიდუალური სტილისტიკა**, რომელიც ეხება ცალკეული პიროვნების მეტყველების ექსპრესიულ თავისებურებებს [Балли 1961: 17].

სტილისტიკა მჭიდრო კავშირშია ენათმეცნიერების დარგებთან: ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ფონეტიკა, გრამატიკა, ენის ისტორია, ასევე: პოეტიკა, ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, ფსიქოლოგია, ლიტერატურის თეორია. ნ. ბასილაიას თვალსაზრისით, სტილისტიკის დარგებია: 1. **ფუნქციური სტილისტიკა**, რომელიც განიხილავს ფუნქციური სტილის რაობასა და სახეებს, რაც სპეციფიკური ენობრივი საშუალებების შერჩევასა და გამოყენებას გულისხმობს. აქ გამოიყო სტილის შემდეგი სახეები: ნეიტრალური, ოფიციალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო, პუბლიცისტური, სასაუბრო, მხატვრული და ორატორული; 2. **ლექსიკური სტილისტიკა**, რომელიც შეისწავლის სიტყვებს მნიშვნელობის თვალსაზრისით: სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, სიტყვიერი შტამპები, ანუ შაბლონები, სიტყვების ხმარება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით; ბარბარიზმების, დიალექტიზმების, ჟარგონიზმების, არქაიზმების უმართებულო ხმარება, ლექსიკურ-სტილისტიკური შეცდომები, მათი ანალიზი...; 3. **გრამატიკული სტილისტიკა** სწავლობს სიტყვის ფორმებისა და წინადადებათა კონსტრუქციების შერჩევის საკითხებს; 4. **მხატვრული ენის სტილისტიკა**, რომლის შესწავლის საგანია გამომსახველობითი ენობრივი საშუალებანი (ეპითეტი, შედარება, ტროპის სახეები...) [ბასილაია 1991: 25-26].

სხვადასხვა სტილს საერთო ნიშნებიც აქვს და განსხვავებულიც. ყველა სტილისთვის **მეტყველება სწორია**, თუ დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები. **მეტყველება ზუსტია**, თუ აზრის გამოსახატავად წინადადებაში შინაარსობრივად კარგადაა შერჩეული საჭირო სიტყვები, ფრაზა ზუსტად გადმოსცემს აზრს, წშინადადება არ არის ბუნდოვანი, ორაზროვანი და გაუგებარი. **მეტყველება მკაფიო და ნათელია**, როცა მას ახასიათებს აზრობრივ-ემოციური სიცხადე, ბუნებრიობა. ზეპირი მეტყველების დროს სიტყვები გარკვევით არის წარმოთქმული, სათანადოდაა გამოყენებული ინტონაცია, ლოგიკური მახვილი, პაუზა, წერისას – სასვენი ნიშნები. **მეტყველების ლაკონიურობა** ნიშნავს აზრის სხარტად, მოკლედ და მკაფიოდ (გასაგებად!) გამოხატვას. ენის ლაკონიურობაზე ყურადღება გაამახვილეს ჯერ კიდევ ძველ დროში ბერძნებმა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ლაკონიურობა ენის სამკაულია. **მეტყველება წმინდაა**, როდესაც იგი არ შეიცავს სალიტერატურო ენისთვის მიუღებელ სიტყვებს, ფორმებსა და გამოთქმებს: ბარბარიზმებს, დიალექტიზმებს, ჟარგონიზმებს, კალკებს. **მეტყველება ბუნებრივია**, როდესაც შეიცავს ბუნებრივ სახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს, არ არის დამძიმებული ხელოვნურად შექმნილი ან

არასაჭირო უცხო სიტყვებით, ენობრივი შტამპებით, ანუ შაბლონური თქმებით. გასაგებად თხრობა და წერა თავისებური ოსტატობაცაა [ბასილაია 1991: 28-29].

ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკის საკითხები, კერძოდ, მისი უმნიშვნელოვანესი უბნის – სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილების – გათვალისწინებით, საგანგებო მეცნიერული ანალიზის საგანი გახდა გ. კვარაცხელიას ნაშრომში „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“.

მკვლევრის თვალსაზრისით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე ცხოვრების ყველა მხარეზე. ამიტომ იგი გვერდს ვერ აუვლის ენასაც, რომლის საშუალებითაც ადამიანები ურთიერთობენ, გამოთქვამენ აზრებსა და გრძნობებს. თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია მაღალგანვითარებული სოციალური ურთიერთქმედება, რომელიც სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურებში ხორციელდება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ჩამოყალიბდა ურთიერთობის ისეთი ახალი ფორმა, როგორიცაა მასობრივი კომუნიკაცია. ბეჭდვითი წიგნისა და პრესის, შემდეგ კი რადიოს, კინოსა და ტელევიზიის წარმოშობამ ხელი შეუწყო აღნიშნული კომუნიკაციის განვითარებას. ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ახალი სფეროების გაჩენა მისი სულიერი ცხოვრების გამდიდრების მომასწავებელია, რაც შესაბამის ზეგავლენას ახდენს ენის გამდიდრებასა და განვითარებაზე.

ენის მიმართ წაყენებული ახალი მოთხოვნები და ამოცანები დაკავშირებულია კომუნიკაციის სფეროს ისეთ ზოგადსა და სპეციფიკურ თავისებურებებთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ახალი მოვლენები ენის შინასტრუქტურულ დონეებზე. ამიტომაც ენის ფუნქციონირების შესწავლა ამა თუ იმ სფეროში უნდა წარიმართოს ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების ურთიერთმიმართების კვლევის გზით [კვარაცხელია 1990: 5-6].

„ენის საზოგადოებრივ ფუნქციათა ანალიზს, ისევე, როგორც ენის შიდასტრუქტურულ მოვლენათა ანალიზს, სამი ასპექტი შეიძლება ჰქონდეს. ესენია: სინქრონიული, დიაქრონიული და შედარებით-შეპირისპირებითი. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გამოიყენება: ა) ერთი ენის ორი სხვადასხვა პერიოდის შეპირისპირებისას სინქრონიული ასპექტით და ბ) ორი ან მეტი მონათესავე ან განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენის შედარების დროს“ [კვარაცხელია 1990: 6].

„ქართული ენის ფუნქციონირება სამეცნიერო ურთიერთობასა და გაზეთში შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტერპერსონალური და მასობრივი კომუნიკაციების შედარება-შეპირისპირება. ასეთი კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, გვიჩვენებენ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ-სტილური დიფერენციაციის ობიექტურ სურათს, ხოლო, მეორე მხრივ, მიუხედავად ამ დიფერენციაციისა, ცხადყოფენ მის ერთიანობასა და მონოლითურობას“ [კვარაცხელია 1990: 6].

გ. კვარაცხელიას ნაშრომში წარმოდგენილია საბჭოთა და უცხოელ ლინგვოსტილისტთა მიღწევები ფუნქციური სტილისტიკის სფეროში, რომლის შესწავლის ზოგადი საკითხები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1. ბერძნული რიტორიკის საფუძველზე წარმოქმნილი ზოგადი ფილოლოგიური სტილისტიკა, რომელიც პრაქტიკულ სტილისტიკასა და ტროპების თეორიას ემყარება, ვითარდებოდა ორი მიმართულებით: ერთი წარმოადგენს ენათმეცნიერულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ისტორიულ მეცნიერებას (ვ. ვ. ვინოგრადოვი), ხოლო მეორე – გამოყენებითი, ნორმატიული დისციპლინაა. ორივე მიმართულებას ახასიათებს მეტყველების გამომსახველ საშუალებებზე ორიენტაცია... ტრადიციული მიმართულება, რომელიც ენის სტილურ რესურსებს სწავლობს, აღწერითი ხასიათისაა და ეფუძნება სინონიმიის არსებობას ენაში... ბევრ თანამედროვე მკვლევარსაც სტილისტიკური შერჩევა ისეთ პროცესად მიაჩნია, რომელიც ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გადმოცემის შესაძლებლობას ეყრდნობა. ამ კუთხით მსჯელობა ასეთია: „ერთი და იმავე ენის ორი შეტყობინება, რომელიც დაახლოებით ერთნაირ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ რომელთაც განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები აქვთ, შეიძლება განიმარტოს როგორც სტილისტიკურად განსხვავებული“ [Hacket 1969: 559]. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომელსაც ინფორმაციათა იდენტურობა საეჭვოდ მიაჩნია იქ, სადაც ამ ინფორმაციათა შემცველი გამონათქვამები სტილისტიკურად ერთმანეთს უპირისპირდება [Enkvist 1964: 16]... ფუნქციური სტილისტიკა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე წამყვან მიმართულებას წარმოადგენს, თავისი კვლევის ობიექტს არ შემოფარგლავს სტილურად შეფერილი ენობრივი ერთეულების აღნუსხვა-შესწავლით. მართალია, იგი ამ ერთეულებს ითვალისწინებს, მაგრამ მათ განიხილავს არა როგორც მუდმივად შეფერილ ელემენტებს (მორფემებს, სიტყვებს, სიტყვათა შეხამებებს), არამედ როგორც დინამიკურსა და ფუნქციური დანიშნულების მქონე ენობრივ საშუალებებს. ამასთანავე, სტილისტიკის ეს ახალი მიმართულება წინ წამოსწევს ენის ბუნებრივი ფუნქციონირების ობიექტური შესწავლის ამოცანას ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, სადაც ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა: გამონათქვამის შინაარსი, კომუნიკაციის მიზნები, ტიპები, სიტუაციები და სხვ. ამგვარად, სტილისტიკის ფუნქციური მიმართულება კი არ უპირისპირდება ტრადიციულს, არამედ მოიცავს მას, როგორც მეცნიერების განვითარების წინა ეტაპს.

2. ტერმინი „ფუნქციური“ ხშირად სხვადასხვა მხარესა და მნიშვნელობას უკავშირდება. ერთი მხრივ, იგი შეიძლება გულისხმობდეს ენის ფუნქციებს, ხოლო მეორე მხრივ, ენის ფუნქციონირებას ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში... ჯერ კიდევ ვ. ფ. ჰუმბოლდტიდან მომდინარეობს ფუნქციის იმგვარი გაგება, როცა ენობრივ საშუალებათა ფუნქციური დანიშნულების ცნება უკავშირდება ენობრივის მიმართებას არაენობრივ სინამდვილესთან. ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ბოდუენ დე კურტენესაც [Бодуен де Куртенэ 1963: 77]. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მეტყველების ფუნქციური დიფერენციაციის პრობლემას გარკვეული ისტორია აქვს, თუმცა მისი დამუშავება შედარებით გვიან დაიწყო... რაც შეეხება ენის ფუნქციებს, მათი მრავალფეროვნება სწორედ სამეტყველო ურთიერთობაში ვლინდება. მართალია, ისინი ენის ძირითადი ფუნქციის – საკომუნიკაციო ფუნქციის – მოდიფიკაციებია,

მაგრამ მათი დიფერენცირებული განხილვა სტილისტიკური კვლევისას მიზანშეწონილი ჩანს, თუმცა იმ გარემოების აუცილებელი გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მათგანი (საკომუნიკაციო, ექსპრესიული, გნოსეოლოგიური...) ენობრივ სტრუქტურათა და გამომსახველ საშუალებათა საგანგებო შერჩევას არ მოითხოვს – ეს ფუნქციები ნებისმიერ სამეტყველო მოქმედებას ახასიათებს, განურჩევლად კომუნიკაციის მიზანდასახულებისა და პირობებისა, მეორე მხრივ, ალბათ უნდა შეიზღუდოს ფუნქციათა კლასიფიკაციის ისეთი დანაწევრებაც, სადაც დამოუკიდებლად განიხილავენ ემოციურ, მაგიურ, ფაკიურ, დიაკრიტულ, კონტაქტის, „მარკისა“ და სხვ. ფუნქციებს, ვინაიდან კონკრეტულ გამონათქვამთა თავისებურების აყვანა ენის ფუნქციის რანგში არათუ ხელს უწყობს ფუნქციურ სტილთა დიფერენციაციას, არამედ, პირიქით, აძნელებს მათს გამოყოფას... ნაყოფიერი ჩანს სტილისტიკის იმგვარი ფუნქციური ასპექტი, რომელიც მეორე გაგებას უკავშირდება. მართლაც, მეტყველების აქტის მიზანი სამეტყველო საქმიანობის ფარგლებს გარეთ ძევს: სამეტყველო საქმიანობა არასამეტყველო საქმიანობას ემსახურება და ამით არის განპირობებული. მეტყველების ეს ონტოლოგიური დახასიათება უდევს საფუძვლად როგორც სოციო-, ისე ფსიქოლინგვისტიკის წარმოშობას [Тарасов 1981: 147].

3. თუ ტრადიციული სტილისტიკის თვალსაზრისით სტილური მოვლენები და სტილთა კლასიფიკაცია უნდა ახსნილიყო საკუთრივ ლინგვისტური ბუნებიდან ამოსვლით, დღეს ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა ფუნქციური სტილის შექმნაზე უდავოდ მიაჩნიათ, თუმცა გარეენობრივი ფაქტორების სპეციალური თეორიული შესწავლა ახლაც ხშირად არალინგვისტურ საქმედ ითვლება (ამ აზრისა იყო ფ. დე სოსიურიც)... ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ფაქტორების გამაერთიანებელი კონცეფციის უქონლობა პრინციპებისა და ნომენკლატურულ ფორმულირებათა იმ არაერთგვაროვნების მიზეზია, რაც ნიშანდობლივია ფუნქციურ სტილთა კვლევის თანამედროვე ეტაპზე [კვარაცხელია 1981: 8-14].

4. ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა შორის მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს: სამეტყველო ურთიერთობას, სიტუაციას, ფორმას, შინაარსს, კომუნიკაციის მიზანსა და იმ სოციალურ გარემოს, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება. გამოყოფენ მეორეულ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც, რაც ბიულერის თეორიის ცნობილ სქემას ემყარება. ამავე სქემას უდებენ საფუძვლად რ. იაკობსონი და მისი მიმდევრები იმ ექვსი ფაქტორის მიმართებათა სისტემას, რომელთა მიხედვით განსაზღვრავენ ისინი ენის ფუნქციურ დიფერენციაციას [Iakobson 1960: 353]. სტილის მაწარმოებელ ფაქტორად მიაჩნია ა. გარდინერს მეტყველების მიმართების შედეგი კომუნიკაციის ისეთ ელემენტებთან, როგორებიცაა: მსმენელი, მეტყველების საგანი და ენობრივი ინვენტარი [Gardiner 1965: 55]... მიმართებას მეტყველსა და ადრესატს შორის ე. წ. ინტერაქციის ფუნქცია გამოხატავს. იგი ითვალისწინებს ადრესატის პიროვნებას, ადრესატთა კოლექტივის ხასიათს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოწოდების, დარწმუნების, გაფრთხილების, მართვის, ინსტრუქტირების მიზანს წარმოადგენს. საინტერაქციო ფუნქციის ტიპური მაგალითია პუბლიცისტური სტილი, თუმცა იგი

მეტ-ნაკლებად სხვა ფუნქციურ სტილებშიც (ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, სასაუბრო...) ვლინდება.

5. ენის ფუნქციებზე დაყრდნობით ფუნქციურ სტილთა კლასიფიკაციას სიცხადე აკლია, ვინაიდან ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში ფუნქციონირებისას ენა ხშირად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს, რის გამოც ამ ფუნქციონირების შედეგი შეიძლება რამდენიმე სტილს განეკუთვნოს ერთდროულად... სტილთა გამოყოფისას სიძნელეს ქმნის ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა სიმრავლე და სიჭრელე, რაც სპეციალურ ლიტერატურაშია (ჰაუსენბლასი, მისტრიკი, იელინეკი, ბრიკმანი, ვეიხმანი, კოჟინა, ტროიანსკაია...). განსხვავებულია ამ ფაქტორთა ზემოქმედების ძალა. თუ ურთიერთობის მიზანი, საზოგადოებრივი სფერო და შინაარსი სტილის სპეციფიკას განსაზღვრავს, მთელი რიგი გარეენობრივი ფაქტორებისა ამ უნარს მოკლებულია. მართალია, ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ მეტყველებაზე, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში სტილურად აფერადებენ არა რომელიმე ფუნქციურ სტილს, არამედ მის მხოლოდ ვარიანტს, ქვესტილს, ჟანრს ან ცალკეულ გამონათქვამს.

6. ზოგადი ფაქტი, რომელიც ენის ფუნქციურ დიფერენციაციას იწვევს, ენის ფუნქციონირების ფაქტორია ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ეს სფეროებია: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მასობრივი ინფორმაციისა და საყოფაცხოვრებო. თითოეულ მათგანს შესაბამისად ემსახურება: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური და სასაუბრო ნიადაგსახმარი სტილი... ზემოთ ჩამოთვლილ სტილთაგან ყოველი (გარდა უკანასკნელისა) რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილების, სხვადასხვა ჟანრებისა და ქვეჟანრებისაგან შედგება. ამასთანავე, სამეცნიერო და, განსაკუთრებით, პუბლიცისტური ტექსტების უმრავლესობას ავტორთა ინდივიდუალობის ნიშანი ატყვია. მაგრამ ნებისმიერ ფუნქციურ სტილს თავისი ქვესტილებისა და ჟანრებისთვის საერთო ენობრივი ნიშნები რომ არ ჰქონდეს, მისი გამოყოფა შეუძლებელი იქნებოდა. საერთო ქმნის ერთი ფუნქციური სტილის ფარგლებში მის სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული ამავე ფარგლებში დანაწევრების საფუძველს იძლევა... ფუნქციურ სტილთა შესწავლის დასაწყის ეტაპზე მიზანშეწონილი ჩანს იმ საერთოსა და ობიექტურის გამოვლენა, რის აბსტრაქციასაც წარმოადგენს ესა თუ ის სტილი.

7. ფუნქციური სტილები საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებმა წარმოშვა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის როლს უჩვეულოდ ზრდის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მრავალმხრივი განვითარება. პოლივალენტოვან ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა მდიდარი სისტემა აქვს. მისი შემდგომი განვითარება და დახვეწა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის მეტყველების კულტურის ამოცანაცაა და მწვერვალიც [კვარაცხელია 1990: 8-12].

გ. კვარაცხელიას აზრით, ყოველი პოლივალენტოვანი ენის ფუნქციონირების მრავალფეროვანი სფეროები მისი მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის გამოვლენის ფართო ასპარეზს იძლევა... თანამედროვე ქართული ენის სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილების სპეციფიკათა ზოგადი დახასიათება, მა-

თი ლექსიკური სისტემების შესწავლა, მორფოლოგიურ-სინტაქსური აგებულების თავისებურებათა გამოვლენა, კვლევის შედეგად მიღებული თვისებრივი და თვისებრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარება გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ სტილებს ჩამოყალიბებული სახე აქვს...

საერთო ექსტრალინგვისტური საფუძვლების გამო სხვადასხვა ენის ანალოგიურ ფუნქციურ სტილებს საერთო სტილის მაწარმოებელი ნიშნები აქვთ. ამავე დროს, გამოვლინდა, რომ ამ უნივერსალური ნიშნების განხორციელება ყოველ ეროვნულ ენაში ამ ენის სემანტიკური და გრამატიკული სტრუქტურების შესაბამისი საშუალებებით ხდება...

შესწავლილი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილები ინტერპერსონალური და მასობრივი კომუნიკაციების შედეგია. ორივე კომუნიკაცია წიგნური და წერილობითია (კვლევის სფეროდან გამორიცხული იყო მეცნიერული მოხსენება და დისპუტი, აგრეთვე პუბლიცისტიკის ისეთი ფორმები, რომლებიც წარმოდგენილია საორატორო მეტყველებაში, რადიოში, ტელეხედვასა და დოკუმენტურ კინოში), ამიტომ აღნიშნული სამეტყველო ურთიერთობები ხორციელდება დაუსწრებელი, წარმოსახვითი ადრესატის მონაწილეობით. მაგრამ ეს ადრესატი განსხვავებულია კომუნიკაციის ყოველ სახეში: სამეცნიერო ნაშრომის ადრესატი, ისევე როგორც კომუნიკატორი, მეცნიერია და ამდენად, სამეცნიერო ურთიერთობა იმ ადამიანთა შორის მიმდინარეობს, რომელთაც ცოდნის საერთო სფერო და შეხედულებები აქვთ. ამ ურთიერთობის ეფექტურობა დამოკიდებულია საერთო დენოტაციურ ცოდნასა და შესაბამისი სამეტყველო სტილის ფლობის ხარისხზე... მასობრივი კომუნიკაციის ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, მასობრივია, ამასთანავე, იგი დისპერსიულიცაა: გაზეთის მკითხველთა აუდიტორია მრავალფეროვანი და რთულია სოციალური შედგენილობით; იგი არ არის ერთგვაროვანი მცირე ჯგუფი, რომლის დაყვანა პირობით შეიძლება ერთ ადრესატზე, როგორც ეს სამეცნიერო კომუნიკაციისას ხდება... ურთიერთობის ორივე სფეროში ადრესატის ხასიათის გათვალისწინება, მასზე ორიენტაცია კომუნიკატის სტილურ-ფუნქციურ თავისებურებებს წარმოშობს...

კვლევის თანახმად, სამეცნიერო მეტყველების მეშვეობით ხორციელდება ენის ინტელექტუალურ-საკომუნიკაციო ფუნქცია. ამ სფეროში ურთიერთობის მიზანია სამეცნიერო ინფორმაციის ლოგიკური ორგანიზება და მისი გადაცემა-გაცვლა. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფუნქციურ თავისებურებებს განსაზღვრავს ზემოქმედება-დარწმუნების (აგიტაცია-პროპაგანდის) ფუნქცია და ახალი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც თემატურად ძალიან მრავალფეროვანია. ამასთანავე, მისთვის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ტიპისათვის, არსებითია სოციალურ-შემფასებლური ორიენტაცია, რაც სრულებით არ ახასიათებს სამეცნიერო კომუნიკაციას, სადაც ზემოქმედება ადრესატზე განსხვავებული ბუნებისაა. თვით ადრესატიც აქ განსხვავებულია. ამიტომ ვიწროსპეციალურ სტატიებში ორიენტაცია მასზე მინიმუმამდეა დაყვანილი, მაშინ როდესაც, მასობრივი კომუნიკაციის ადრესატი – მკითხველთა ფართო აუდიტორია – ორიენტაციის მაქსიმუმს მოითხოვს...

სამეცნიერო მეტყველების სადა, ცხადი და ლაკონიური სტილი არგუმენტაციას ემყარება: დასაბუთებანი და განსჯანი ლოგიკურ წანამძღვართა დანასკვია; მსჯელობა ყოველთვის თანამიმდევრული და ექსპლიციტურია. საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველება კი შეიძლება არ იყოს არგუმენტირებული, მაგრამ დამაჯერებლობა არ აკლდეს იმის გამო, რომ შეიცავს აპელაციას ისეთი გრძნობებისადმი, როგორებიცაა სიამაყე, ღირსება, სირცხვილი, სინანული და მისთ. ცხადია, ასეთი რამ არ გვექნება სამეცნიერო ურთიერთობისას, რომლის მიზანს არ წარმოადგენს მოქმედებისაკენ, იდეის განხორციელებისაკენ მოწოდება, არც ადრესატის ზნეობრივი გაკეთილშობილება... ამგვარად, მეტყველების დამაჯერებლობა სხვადასხვაგვარად მიიღწევა აღნიშნულ კომუნიკაციებში. ლოგიკურ-რაციონალური, ანუ როგორც უწოდებენ, ინფორმაციული მოტივაცია, რომელიც გონებისადმია მიმართული და მეორე – ფსიქოლოგიურ-ემოციური მოტივაცია ერთდროულად მოქმედებენ ადრესატის რეაქციაზე, მაგრამ მეორე სახის მოტივაციას, ჩვეულებრივ, არ მიმართავენ სამეცნიერო მეტყველებაში, სადაც ემოციებისადმი აპელაცია შეუფერებლად ითვლება...

სამეცნიერო მეტყველების უკიდურესი სიმკაცრე და ობიექტურობა გამორიცხავს შეფასების სოციალურად დიფერენცირებულ ნიშნებს. ენობრივი საშუალებანი ამ სფეროში ერთმნიშვნელოვანი, სემანტიკურად არაორაზროვანი და გამჭვირვალეა, რაც არ არის აუცილებელი პუბლიცისტური მეტყველებისათვის, სადაც ტერმინიც კი, ჩვეულებრივ, კლასობრივი(!) ხასიათისაა, რომ არაფერი ვთქვათ საერთოდ ტერმინთა მეტაფორიზაციაზე. გამოკვეთილი სოციალურ-იდეოლოგიური მიმართულება, რომელიც გაზეთს აქვს, ფუნქციურ-სტილურ თავისებურებებს განაპირობებს, განსხვავებით სამეცნიერო სტილისაგან. პუბლიცისტური სტილი ფართოდ იყენებს რამდენადმე სუბიექტურსა და ემოციურ ელემენტებს, სტილურად შეფერილ ლექსიკასა და გამოსახვის მხატვრულ ხერხებს...

ორივე შესწავლილ სტილს მეტყველების სტანდარტიზაცია მეტად ახასიათებს, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის ენას. ორივეგან. ერთი მხრივ, ჟანრების კომპოზიციური სტანდარტიზაცია და, მეორე მხრივ, გადმოცემის ეკონომიურობის პრინციპი სტანდარტების წყარო ხდება. გადმოცემის ეკონომიურობა აქ უნდა გავიგოთ როგორც ფორმატის შეზღუდულობით გამოწვეული ფაქტორი, რომელიც გარკვეულ ფუნქციურ-ენობრივ თავისებურებებს იწვევს. ამ მხრივ განსხვავება, მხატვრულ მეტყველებასთან შედარებით, საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობა, ჩვეულებრივ, არ იფარგლება და ავტორს მეტყველების გაშლის ფართო შესაძლებლობები აქვს, საგაზეთო წერილისა და სამეცნიერო სტატიის ტექსტი რაოდენობრივად წინასწარაა შემოსაზღვრული, რაც, როგორც აღვნიშნეთ, განაპირობებს მთელ რიგ სტილურ თავისებურებებს, მათ შორის მზა სამეტყველო ფორმულების, შტამპებისა და შაბლონების გამოყენებას... ბევრი შტამპი სამეცნიერო სტილსა და პუბლიცისტურ მეტყველებაში ავტორისა და მკითხველის დიალოგის ერთგვარ რედუცირებულ ფორმას წარმოადგენს; ავტორის აზრით, მათი ნორმა-

ტიული ხასიათი, თავის მხრივ, დამატებითი პირობაა ინფორმაციის ადეკვატური აღქმისათვის. ამგვარად, სტანდარტიზაცია ახასიათებს როგორც სამეცნიერო სტილს, ისე საგაზეთო-პუბლიცისტურსაც, მაგრამ ამის შედეგად გაზეთში წარმოქმნილი შტამპები უარყოფითად ფასდება, ვინაიდან მკითხველი გაზეთს მხატვრული თვალსაზრისით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს (მხატვრულ ლიტერატურას ადარებს, ჩვეულებრივ), მაშინ როცა, სამეცნიერო მეტყველებისადმი პრეტენზია საპირისპიროა: იგი არამხატვრული უნდა იყოს, რათა არ შეიცავდეს მეტაფორებს, რომლებიც ამოცნობას საჭიროებენ. ამიტომ ექსპრესიისაგან დაცლილი სიტყვიერი ფორმულები უკეთ ესადაგება სამეცნიერო ურთიერთობის ამოცანებს...

ფუნქციურ-სტილურ თავისებურებაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინაა დამაჯერებელი, თუ ვიცით, მართლაც, რამდენად თავისებურია ესა თუ ის მოვლენა. ის, რაც ყველა სტილს თანაბრად ახასიათებს, ცხადია, არც ერთის თავისებურებად არ ჩაითვლება. „დამახასიათებლის“ ცნება კი მაშინ იძენს დამაჯერებლობას, როცა სტატისტიკურადაა შესწავლილი ფენომენი, რომლის მიმართაც ეს ცნება გამოიყენება. სიტყვები: „ხშირად“, „იშვიათად“, „მეტად“, „ნაკლებად“ მეცნიერული მსჯელობისას რაოდენობრივ მაჩვენებლებს უნდა ემყარებოდეს, თორემ ობიექტური დაკვირვების შედეგთა განზოგადების ნაცვლად, გვექნება მხოლოდ ინტუიციური მიხვედრა, რაც დამაკმაყოფილებლად ვეღარ ჩაითვლება სტილისტიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, განვითარების თანამედროვე ეტაპზე... ჩვეულებრივ, არა მაინცდამაინც სტილურად შეფერილ (ასეთი ენაში ძალიან ცოტაა) ენობრივ საშუალებათა გარკვეული ერთობლიობა და სიხშირული განაწილება განასხვავებს სტილებს, გამოარჩევს მათ ერთმანეთისაგან. ამგვარად, რაოდენობრიობა ფუნქციური სტილის გარკვეულ თვისებრიობას ქმნის...

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა:

ა) ის ენობრივი საშუალებანი, რომლებიც სტატისტიკური კვლევის სფეროში მოხვდა, სიხშირული განაწილებითა და რაოდენობრივი შეფარდებებით განსხვავებულია სტილთა მიხედვით, რაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ-სტილურ დიფერენციაციას ავლენს;

ბ) მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნების მიხედვით, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილები უფრო მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე თითოეული მათგანი მხატვრულთან. სამეცნიერო და მხატვრული სტილების „ანტიპათია“ ორმხრივია, მაშინ როდესაც მხატვრული საერთო მაჩვენებლებს ავლენს პუბლიცისტურთან;

გ) სამეცნიერო და მხატვრულ სტილებს შორის გარდამავალს, ერთგვარ შუალედურ როლს წარმოადგენს პუბლიცისტური სტილი, რაც ლიტერატურაში გამოთქმულ ჰიპოთეზას სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ადასტურებს...

9. სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა თავისებურებების შესწავლა ახალი კუთხით აყენებს სალიტერატურო ენის ნორმათა საკითხს, კერძოდ, ამ ნორმათა დადგენა-გატარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული

თავისებურებანი. მიზანშეწონილია სალიტერატურო ენის ნორმათა კორექტირება ფუნქციურ-სტილისტიკური ნორმების შესაბამისად. ეს დებულება ეთანხმება საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ „ცვალებად სალიტერატურო ენას ვერ ექნება უცვლელი ნორმა“ [არნ. ჩიქობავა]... სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტური სტილები, სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ტიპები, მისი სტრუქტურულ-ფუნქციური ვარიანტებია, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს ემსახურებიან. აქ წარმოქმნილი ენობრივი თავისებურება, რომელიც სალიტერატურო ენის მოქმედ ნორმას არ შეესაბამება (მაგ.: მასდართა, აბსტრაქტულ და ნივთიერებათა სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, ვნებითურ კონსტრუქციათა გამოყენების არის გაფართოება, დახვავებულ მსაზღვრელთა გრძელი რიგები და სხვ.), არ შეიძლება გაუტოლდეს ლექსიკურსა და გრამატიკულ დიალექტიზმებსა და არქაიზმებს, რომელთა გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით მიუღებელია. აღნიშნული თავისებურებანი მეცნიერული შემეცნების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა და მათი უგულებელყოფა მხოლოდ იმ მოტივით, რომ განვითარების წინა საფეხურზე ამგვარი რამ არ გვქონდა, მკვლევარს მართებულად არ მიაჩნია... ფუნქციურ სტილთა შესწავლა საშუალებას იძლევა, გავაღრმავოთ მეტყველების კულტურის გარკვეული მხარეები, გამოვკვეთოთ სალიტერატურო ენის ის უბნები, რომლებიც ენათმეცნიერთა ყურადღებასა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს მოითხოვს...

ენის განვითარების პროცესს, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია, ხელს უწყობს ფუნქციურ სტილთა წარმოქმნა-განვითარება. თუმცა ეს პროცესი ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ ყოველგვარი ცვლილების პროცესი. იგი წარსული მდგომარეობის განმტკიცების პროცესიცაა. აქ, ჩვეულებრივ, ახალი ძველს ემყარება, ამდიდრებს რა მას, რაც ენის სრულყოფის განუმეორებელი თავისებურებაა... ფუნქციური სტილები საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებმა წარმოშვა. პოლივალენტოვან ქართულ სალიტერატურო ენას, რომლის როლს უჩვეულოდ ზრდის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი აღმავლობა, ფუნქციურ სტილთა ჩამოყალიბებული სისტემა აქვს. მისი შემდგომი განვითარება და დახვეწა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის მეტყველების კულტურის ამოცანაცაა და მწვერვალიც, რადგან ყოველი მაღალკულტურული საზოგადოება თავისი ენის მაღალ კულტურაზე ზრუნავს, როგორც მისი თვითგამოხატვის მძლავრ საშუალებაზე [კვარაცხელია 1990: 249-254].

სალიტერატურო (სახელმწიფო) ენის ფუნქციონირების სფეროების გაფართოებამ და სპეციფიკაციამ საბოლოოდ გამოკვეთა საზღვრები ამ სპეციალური ენების თავისებურებათა თვალსაზრისით; გაჩნდა გამაერთიანებელი თუ ცალკეული ნაშრომები ამ სტილისტიკური სფეროების შესახებ. კერძოდ, საკითხი ეხება ფუნქციური სტილისტიკის ისეთ დატვირთულსა და დინამიკურ სფეროებს, როგორებიცაა **მასმედიის (პუბლიცისტიკის)**, **მეცნიერების**, **ოფიციალურ-საქმიანი** სფეროსა და **სასაუბრო-საკომუნიკაციო** სტილები.

სრულიად აშკარაა, რომ თითოეული ჩამოთვლილი სფერო ენის ფუნქციონირებისა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, მაგრამ გამოკვეთილი საკლასიფიკაციო ნიშნებით მაინც შეიძლება მათი დიფერენცირებულად წარმოდგენა (იმის გათვალისწინებით, რომ მათ არაერთი ურთიერთგადამკვეთი ნიშანიც ექნებათ).

ფუნქციური სტილისტიკა დიფერენცირებულად წარმოგვიდგენს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეულ სფეროებს, ამ სფეროთა სტილურ თავისებურებებს. უფრო ზოგადად კი ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის იმ ნაირგვარ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც სალიტერატურო ენის სპეციალურ (ფუნქციურ) დიფერენციაციას ემსახურება და გამოხატავს. უფრო კონკრეტულად: ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის როგორც ფუნქციურ სტილთა საერთო კანონზომიერებებს, ისე იმ სპეციფიკურს, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.

სტილისტიკა, როგორც ფილოლოგიური დისციპლინა, ამა თუ იმ ენის გამომსახველობით შესაძლებლობათა, ანუ სტილური ხერხებისა და საშუალებების შემსწავლელი მეცნიერებაა. ამდენად, სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს, დაწყებული სიტყვათა თანამიმდევრობით და დამთავრებული სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით („მხატვრული ხერხებით")... შეიძლება ითქვას, სტილი ყველგან არის, სადაც კი სიტყვები აზრის გამოსახატავად იყრიან თავს, ამიტომაც სტილისტიკა, საზოგადოდ, ენობრივ ქმნადობას უკავშირდება, ზეპირმეტყველებითი იქნება ის თუ წერითი. აღსანიშნავია ისიც, რომ სტილისტიკის პრობლემატიკა იმთავითვე მწიგნობრული ენის ჩამოყალიბებას დაუკავშირდა და მის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა მეთოდურად და იმკვიდრებდა ადგილს თეორიულად თუ პრაქტიკულად [არაბული 2004: 188].

ნებისმიერი მწიგნობრობის (და მათ შორის – ქართულის) მთელი ისტორია სტილისტიკის დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას წარმოადგენს. მით უფრო დიდია ეს გამოცდილება, რაც უფრო ხანგრძლივია მისი ისტორია და ფართოა ის სფეროები, ის ასპარეზი, რომელსაც ეროვნული ენა სწვდება და მოიცავს. ამდენად, სტილისტიკის პრაქტიკული გამოცდილება ყოველი ეროვნული მწიგნობრობის აუცილებელი მემკვიდრეობაა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს პროცესები თეორიულად გააზრებული და განმტკიცებული [არაბული 2004: 188].

თუმცა ენათმეცნიერული სტილისტიკა მხოლოდ XIX საუკუნის შემდგომ ჩამოყალიბდა, ეს დარგი ერთ-ერთ უძველეს მეცნიერებათა რიგში დგას. ანტიკურ საბერძნეთში სტილისტიკა (იგივე „პოეტიკა") არსებითად მხოლოდ მხატვრული ენის სპეციფიკას შეისწავლიდა, ხოლო სალიტერატურო (საერთო-სახალხო) ენის გამოყენების პრაქტიკულ სფეროს რიტორიკა (მჭევრმეტყველების ხელოვნება) მოიცავდა. ამ თვალსაზრისით (როგორც ითქვა) საყოველთაოდ ცნობილია ბერძენი ფილოსოფოსის – არისტოტელეს – ფუნდამენტური მემკვიდრეობა „რიტორიკა" და „პოეტიკა".

როგორც ჩანს, უძველესი დროისათვის სტილისტიკა მაინც მხატვრული ენის ფუნქციონირების ასპარეზად მოიაზრებოდა, რადგანაც ენის ფუნქციონირების სხვა სფეროები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და წარმოჩენილი [არაბული 2004: 189].

დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო გაფართოვდა სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების არეები. თუ თავიდან მხატვრული ლიტერატურის ენას ფუნქციური ნიშან-თვისებების თვალსაზრისით მხოლოდ ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის ენა უპირისპირდებოდა, მოგვიანებით თანდათანობით გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ისე ბუნების მეცნიერებათა სფეროები. ყველა მეცნიერებამ თავისთავადი სახე მიიღო, რაც ამ სფეროების „ენობრივ“ თვითმყოფადობას გულისხმობს. შესაბამისად, უფრო ხელშესახები გახდა ის საზღვრები, რომლებიც, ერთი მხრივ, მხატვრული ენისა და სტილის პრობლემატიკას ასახავდა, ხოლო – მეორე მხრივ, სალიტერატურო ენის გამოყენების ცალკეული სფეროების, ცალკეულ ფუნქციურ არეთა სპეციფიკას განსაზღვრავდა [არაბული 2004: 189].

როგორც ითქვა, „ენათმეცნიურული სტილისტიკა“ ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების სრულიად ახალი მასშტაბები და ასპარეზი განათლების, მეცნიერების, საინფორმაციო ურთიერთობების, საქმისწარმოების სფეროში [არაბული 2004: 189].

ქართული სალიტერატურო ენის დიფერენცირებული სტილისტიკური დახასიათებაც მის ფუნქციურ შესაძლებლობებს უკავშირდება.

არნ. ჩიქობავა წერს: „გამოყენების სფერო განასხვავებს სალიტერატურო ენებს ერთმანეთისაგან... სამწერლო ენაზე შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვას სწავლობდნენ; მასთან მოთხრობა-ლექსებიც იწერებოდეს ამ ენაზე... თუ სამწერლო ენაზე საშუალო ვანათლებასაც იღებენ, ეს თვალსაჩინოდ ზრდის სამწერლო ენის გამოყენების სფეროებს: საბუნებისმეტყველო საგნები (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია, ფიზიკა, ქიმია...), მათემატიკის სპეციალობანი (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია...) სათანადო ტერმინების შექმნის გარეშე შეუძლებელია ვასწავლოთ (იტერნაციონალური ტერმინები უთარგმნელად რჩება, მაგრამ ტერმინთა დიდი წილი იმ ენაზე უნდა გვქონდეს, რა ენაზედაც ვასწავლით საგნებს)... ქართული სალიტერატურო ენა უკვე მეათე-მეთერთმეტე საუკუნისა თავისი დროის კულტურულ მოთხოვნილებას ღირსეულად ემსახურებოდა... და მაინც: ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველო და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა... ამ მეცნიერებათა მეტი წილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა... ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობებში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას... ჩვენ ახლა მივეჩვიეთ იმას, რომ ქართულ ენაზე ყველა დარგის ნააზრევი შეიძლება გადმოიცეს, შევეჩვიეთ ისე, რომ გვავიწყდება, თუ რა განუ-

ზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ამას ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრებისათვის, და – კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის“ [არნ. ჩიქობავა 1972].

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მრავალპლანიანობა და პოლივალენტოვნება თავისთავად განაპირობებს მის მრავალმხრივ ფუნქციურ და სტილისტიკურ განტოტებას. სალიტერატურო ენის ფუნქციების ამგვარი დიფერენცირება შეპირობებულია იმ რთული და არაერთგვაროვანი ამოცანებით, რასაც ის სრულიად განსხვავებულ პროფესიულ სფეროებში გამოყენების დროს ასრულებს. სწორედ ფუნქციური არეების გაფართოება იწვევს სალიტერატურო ენის გამოკვეთილ სტილისტიკურ დიფერენციაციას. რაც უფრო განვითარებული და პოლივალენტოვანია სალიტერატურო ენა, მით უფრო განვითარებული და ჩამოყალიბებულია მისი ფუნქციონირების არეები, ანუ ფუნქციური სტილისტიკის სფეროები; მით უფრო აქტუალური ხდება საკითხი თითოეული ამგვარი სფეროს ენობრივ თავისებურებათა გამოვლენა-შესწავლისა [არაბული 2004: 191].

ფუნქციური სტილისტიკა დიფერენცირებულად წარმოადგენს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეულ სფეროებს, ამ სფეროთა სტილებრივ თავისებურებებს. უფრო ზოგადად კი ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის იმ ნაირგვარ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც სალიტერატურო ენის ფუნქციურ დიფერენციაციას ემსახურება. უფრო კონკრეტულად: ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის როგორც ფუნქციურ სტილთა საერთო კანონზომიერებებს, ისე იმ სპეციფიკურს, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს და განაპირობებს მათს ავტონომიურობას [არაბული 2004: 191].

როცა ფუნქციურ სტილებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ვითვალისწინებთ მათს განმასხვავებელ თავისებურებებს, იმ სპეციფიკურს, რაც მათს თავისთავადობას ქმნის, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ სტილებს შორის „ჩინური კედელი“ არ არსებობს. ჯერ ერთი, მათთვის საერთოა ძირითადი ენობრივი რესურსები (სიტყვები, წინადადებები). მეორეც, თითქოს არ არსებობს ისეთი ენობრივი გამომსახველობითი ფორმა, რომელიც ოდენ ერთ სტილს ეკუთვნოდეს და არცერთ დანარჩენში არ გამოვლინდეს. ამდენად, აქ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ნიშანთა დომინანტობაზე იყოს საუბარი ამა თუ იმ სტილის ფარგლებში. მაგალითად, სტილისტიკური ნიშნების თვალსაზრისით ყველაზე უფრო გამოკვეთილია მხატვრული სტილი, მაგრამ თვით მისთვის დამახასიათებელი ტიპობრივი მხატვრული საშუალებების გამოვლენა არ გამოირიცხება სხვა სტილთა ფარგლებშიც... ამიტომაც არის, რომ ხატოვანი ფორმულები შეზღუდულად, მაგრამ მაინც გამოიყენება ფუნქციურ სტილშიც. ასეთია, მაგალითად ცალკეული ტერმინებისა თუ გამონათქვამების გადატანითი, ხატოვანი შინაარსით გამოყენება; მაგალითად:

არჩევნები მოახლოვდა, პარტიები **ფინიშის სწორზე** გავიდნენ;
მან თავისი მოღვაწეობით **გზა გაუკაფა** მომავალ პოლიტიკოსებს;
ბევრი სახელმწიფო ადამიანთა უფლებებს **ფეხქვეშ თელავს**;
ეს ორი კვირაა პარლამენტი **ერთ ადგილს ტკეპნის**;
ბიუროკრატიზმს **ერთი დარტყმით** ვერ დაბლევ და ა. შ.

სხვადასხვა სტილისტიკური ფიგურები (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ანტითეზა, სინესთეზია, მეტონიმია თუ სხვა) შეიძლება ფუნქციური სტილის ელემენტებადაც მოგვევლინოს. მეტაფორულ საშუალებებს განსაკუთრებით იყენებენ პუბლიცისტიკის ენაში; მაგ:

ის სხვებზე ხშირად არის **ფრონტის წინა ხაზზე**;

ის დასავლეთისკენ **ამტვრევს ყინულს** და **სივრცეს უთავისუფლებს** თავის გუნდს და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ფუნქციურ სტილთა ფარგლებშიც გარკვეული გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებისას ნიშანდობლივია ზომიერება, აკადემიზმი და ამგვარი ფიგურების სტანდარტიზაცია [არაბული 2004: 192].

ფუნქციური სტილისტიკის გენეზისის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სტილისტიკის ეს სფერო ისტორიულ-კულტურული კატეგორიაა, რამდენადაც უშუალოდ უკავშირდება ენის ფუნქციონირების სოციალურ-კულტურული პირობების ისტორიულ ცვალებადობასა და ჩამოყალიბებას, ენის გამოყენების პრაგმატული სფეროების საბოლოოდ განსაზღვრასა და დადგენას.

ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა სრულყოფილი, განვითარებული სისტემა აქვს. კერძოდ, როგორც ითქვა, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ფუნქციური სტილები (ანუ ენის ფუნქციონირების სტილებრივი სფეროები):

- ოფიციალურ-საქმიანი;
- პუბლიცისტური;
- სამეცნიერო;
- სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფუნქციურ სტილთა ამ რიგში ზოგჯერ მოიხსენიებენ მხატვრულ სტილსაც, როგორც ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ სფეროს; თუმცა უმჯობესია მხატვრული და ფუნქციური სტილები იმთავითვე გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან მათი პრინციპული შინაარსობრივი განსხვავების გამო.

შენიშვნის სახით იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისით შესაძლებელია უმჯობესი იყოს გამოყენება ტერმინისა – **პრაქტიკული სტილისტიკა**, რაკი იგი ენის გამოყენების მხოლოდ პრაქტიკული სფეროებით შემოიფარგლება.

II. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი ნიშნები

ჩვენი კვლევის ობიექტია ოფიციალურ-საქმიანი სფერო, რომელშიც შემოდის სახელმწიფო, სამოქალაქო და სამსახურებრივი ურთიერთობანი. აქ იგულისხმება როგორც მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წერილობითი საქმიანი მიმოწერა (მაგ., მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია, პატაკი, ბრძანებულება, დადგენილება, წესდება, პროგრამა, განმარტება, რეცენ-

ზია, დახასიათება, ნოტა და ა. შ.), ისე ის მრავალგვარი საქმის ქაღალდები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია თანამდეროვე სამოქალაქო სუბიექტის არსებობა (როგორიც არის: განცხადება, ცნობა, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, ხელშეკრულება, ოქმი და სხვ.).

ამ სფეროს შესწავლისას გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს საზოგადოებრივი ინფორმაციის ენობრივ სტილსაც (რომელიც, ფაქტობრივად, ასევე ოფიციალური სტილით გამოირჩევა). მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე კომუნიკაციის ელექტრონულმა საშუალებებმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა ინფორმაციის ასპარეზი ინტერნეტული ქსელის სახით. დღეს საზოგადოებრივი ინფორმაციის სტილი ემსახურება არამხოლოდ ტელე- და რადიოჟურნალისტებს, არამედ საჯარო პოლიტიკურ მოღვაწეებსაც სხვადასხვა სახის სოციალური აგიტაცია-პროპაგანდის გავრცელებასა თუ საჯარო გამოსვლების ეფექტურად მომზადებაში. ამდენად, ვფიქრობთ, ენის ფუნქციონირების ამ ვიწრო სფეროს შესწავლა-ანალიზიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს.

სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს, მიღწეულ იქნეს სალიტერატურო ენის სტაბილიზაცია და მონოლითურობა, მოხდეს ნორმათა უნიფიკაცია ისე, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეეშალოს ენის საყოველთაო ფუნქციონირებას, ხოლო მეორე მხრივ, არ შეჩერდეს ცოცხალი სალიტერატურო ენის განვითარება, რათა დიდად არ გაიზარდოს განსხვავება ზეპირსა და მწიგნობრულ ენას შორის.

ნორმალიზაცია არის მიზანმიმართული, აწონილ-დაწონილი, შორსგამიზნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სალიტერატურო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების სფეროში.

მეტყველების კულტურა ფართო საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური შინაარსის ცნებაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნებისა და საზოგადოების საერთო ენობრივი გარემოს მოწესრიგებულობას, სახელმწიფო ენის მიმართ განსაზღვრულ უფლება-მოვალეობრივ წესრიგს – ერთგვარ სოციოლინგვისტიკურ ჰარმონიას, აგრეთვე – პიროვნების მიერ იმ ენობრივი ნორმების ფლობას, რომლებიც სალიტერატურო ენის განვითარების შესაბამისი დონისათვის არის მიღებული და სავალდებულო.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების, კერძოდ კი – მეტყველების კულტურის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხოლმე მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიული გარდატეხების ჟამს, როდესაც სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ მრავალი ახალი პრობლემა დასვა ქართული სახელმწიფო ენის წინაშე.

იმ შინაგანმა პროცესებმა, საგარეო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ინტენსიურმა გარდაქმნამ, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის ცვლას მოჰყვა საუკუნეთა (და ათასწლეულთა) მიჯნაზე, აგრეთვე – იმ ცვლილებებმა, რაც ჩვენს კულტურასა და

განათლებაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით დააჩქარა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და მეტი აქტუალურობა შესძინა წერისა და მეტყველების კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ენის მკვიდრ კონსტრუქციას დაკვირვებული თვალი არაერთ ისტორიულ დანაშრევს შეამჩნევს. ყოველი დრო და ეპოქა ენაში თავის კვალს აღბეჭდავს. დროის ეს ანაბეჭდი, ჩვეულებისამებრ, ენის განვითარების გენერალურ ხაზს მისდევს და პოზიტიური ხასიათისაა... გარდა ძალადობრივი უპირატესობისა, არანაირი სხვა არგუმენტი არ ხსნის იმას, თუ როგორ უნდა გაეძევებინა ქართულიდან ძირეული **სარკმელი** სპარსულ **ფანჯარა** სიტყვას; ამას ხომ ვერც მოტივაციის სინათლით, ვერც გამჭვირვალობით, ვერც სისადავითა და ჟღერადობით ვერ ავხსნით. ამგვარი სიტყვების შემოჭრის დროისათვის ბარბარიზმებად სახელდებაში უთუოდ ის აზრიც უნდა ჩავდოთ, რომ მათ აღნიშნული ძალადობრივი ნიშანი დაჰყვებათ და, როგორც ბარბაროსი დამპყრობლები, როგორც სარეველა მცენარეები, როგორც „ღვარძლი სარწებს აღმოცენებული“ (მეტაფორა გიორგი მერჩულის მიერ ცქირის მიმართ არის გამოყენებული), ისე უტიფრად იმკვიდრებენ მკვიდრთა ადგილს. ბარბარიზმთა ეს ბუნება იმის გასაფრთხილებლად უნდა მივიღოთ, რომ ენის განვითარების თვითდინებაზე მინდობა, პრინციპი – „ენა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს“, განსაკუთრებით დღეს, ენათა ინტენსიური ურთიერთობების დროს, გამართლებული არ არის [არაბული 2013: 304].

საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე მიმდინარე იმ პროცესებს, რომლებიც სახელმწიფოებრივი აზროვნების დაქვეითებას, მემკვიდრეობითი პასუხისმგებლობის შემცირებას, ოფიციალურ ურთიერთობათა გაუბრალოებასა და გაპირადულობას მოასწავებს, შეიძლება გამაერთიანებელ ტერმინად **ფამილიარიზაცია** მივუსადაგოთ; შესაბამისად, იმ ენობრივ მონაცემებს, რომლებიც ამ პროცესების უშუალო გამოვლინებაა, **ფამილიარიზმების** სახელი ვუწოდოთ. ეს ორი მოვლენა მთელი რელიეფურობით არის წარმოდგენილი ჩვენი თანამედროვე მასმედიის „ღია ეთერში“. ამდენად, ფამილიარიზმების ფართო ცნებაში მოექცა ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც გაუბრალოებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს „ლექად“ მოაქვს (ჟარგონიზმები, ბარბარიზმები, ვულგარიზმები და მისთ.) [არაბული 2013: 306].

როდესაც სალიტერატურო ენის ფამილიარიზაციაზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, ჩვენ ამაში ვგულისხმობთ ოფიციალური სტილისტიკის სფეროებს, განსაკუთრებით – ოფიციალურ-საქმიან სტილს... [არაბული 2013: 306].

ოფიციალურ-საქმიანი სტილის თავისებურებები არაერთი მკვლევრის დაკვირვების საგნად ქცეულა.

ნ. ბასილაიას მიხედვით, **ოფიციალურ-დოკუმენტური** ჰქვია ისეთ ენობრივ სტილს, რომლითაც იწერება საქმის ქაღალდები. მისი ფუნქციაა საქმიანი ურთიერთობის დამყარება ხელისუფლების ორგანოებთან, ცალკეულ პიროვნებებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ქვეყნებთან საქმის ქაღალდების საშუალებით.

ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილს ახასიათებს აზრის კონკრეტულობა,

ზედმიწევნითი სიზუსტე, ენობრივი სტანდარტულობა, სიტყვათა გამოყენება პირდაპირი მნიშვნელობით, ლაკონიურობა. იგი უმთავრესად შეიცავს მსჯელობას, აღწერას, დასაბუთებას, ფაქტების დაზუსტებას, ანალიზს. რადგან საქმის ქაღალდები ძირითადად ოფიციალური მიმოწერისა და ხელშეკრულების სახისაა, ასეთი დოკუმენტების ენა არის წერილობითი. ზეპირად გადმოიცემა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი: საანგარიშო მოხსენება, დახასიათება, ბიოგრაფია, განმარტება, განცხადება და სხვ. [ბასილაია 1991: 41-45].

ოფიციალურ-საქმიან სტილში ხშირად გამოიყენება სპეციალური ტერმინები, ციფრული მონაცემები, ზმნის საწყისები (მიღება, დადგენა, გატანა, განცხადება...), ასევე ხშირია მიმღეობების (მიღებული, გაგზავნილი, დადგენილი, გამოცხადებული...), უცხო სიტყვებისა და შტამპების გამოყენება. ყოველივე ზემოთქმულის გამო ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილს **კანცელარიულ ენასაც** უწოდებენ.

აღნიშნული სტილისათვის უპირატესად დამახასიათებელია სიტყვათა მტკიცე შენაერთები: მონაწილეობს – **მონაწილეობას იღებს**; მოსთხოვეს – **წაუყენეს მოთხოვნა**; დამეხმაროს – **დახმარება გამიწიოს**... ხშირია **სტანდარტული თქმები** ან **შტამპები**. ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში გამოიყენება ჩართული თქმებიც (ჩემი აზრით, ჩანს, როგორც აღვნიშნეთ, მოგახსენებთ, პირველი, მეორე...), სიტყვათა პირდაპირი რიგი წინადადებაში, აზრის გადმოცემა რამდენიმე აბზაცით, ნუმერაცია, თარიღები და სხვა სპეციფიკური ნიშნები.

საქმის ქაღალდების, ანუ დოკუმენტების სახეებია: განცხადება, ცნობა, მოწმობა, ბრძანებულება, დადგენილება, მინდობილობა, ხელშეკრულება, ნოტა, ანოტაცია, ანკეტა, რეცენზია, დახასიათება, ავტობიოგრაფია, სასამართლო განაჩენი და მისთ. ეს სახეები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც შინაარსითა და დანიშნულებით, ისე ფორმით.

ზოგიერთი საქმის ქაღალდის გაფორმების გასამარტივებლად შემოღებულია სპეციალური ბლანკები, რომლებზედაც ჩამოწერილია სათანადო კითხვები თუ მითითებანი (რომლის მიხედვითაც უნდა გაიმართოს დოკუმენტი). ასეთია, მაგალითად, განცხადება, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ცნობა, მოწმობა...

საქმის ქაღალდების სტილისაგან ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ე. წ. ეპისტოლარულ, ანუ მიმოწერის სტილს, მაგრამ თავისი ნიშნებით იგი ნაკლებად განსხვავდება დოკუმენტების ენობრივი ნიშნებისაგან და ამიტომ მისი გამოყოფა ცალკე სახედ მიზანშეუწონელია [ბასილაია 1991: 45-46].

საკითხის დამუშავების მეცნიერული საფუძველი მომზადდა გ. კვარაცხელიას ნაშრომით „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“. მკვლევარი შენიშნავს, რომ ოფიციალურ-საქმიანი მეტყველებისათვის სპეციფიკურია **ნებელობის** გამოხატვა, რაც ხორციელდება სამართლებრივი ნორმების საშუალებით. აღნიშნულ სტილს ტრადიციულად უკავშირებენ ენის მხოლოდ საკომუნიკაციო-ინფორმაციულ ფუნქციას, რაც არ არის სწორი, ვინაიდან თუ უწყების, განცხადების, ბიოგრაფიისა და ა. შ. ჟანრებში დომინირებს შეტყობინების ფუნქცია, სხვა ჟანრებში ზემოქმედების ფუნქციაა რეალიზებული. მაგალითად, კანონის, ბრძანებულების, ბრძანების ტექსტებში, სადაც საქმეთა მეტყველება

ნორმატიულ-მარეგულირებელი ხასიათისაა, ხოლო სახელშეკრულებო, საქმიან მიმოწერაში ხაზგასმულია ურთიერთობის ფუნქცია. ამგვარად, ენის სამი ძირითადი ფუნქცია – ურთიერთობის დამამყარებელი, შეტყობინების, ნორმატიულ-მარეგულირებელი – გამოხატულებას პოულობს ოფიციალურ-საქმიან სტილში და მის ჟანრობრივ დიფერენციაციასაც იწვევს.

როგორც ვხედავთ, ოფიციალურ-საქმიანი მეტყველება რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილებისა და სხვადასხვა ჟანრებისაგან შედგება, მაგრამ, რომელსაც ყველა ქვესტილისა და ჟანრისათვის საერთო ენობრივი ნიშნები აქვს, რაც ქმნის მის სტილურ ხასიათს [კვარაცხელია 1981: 93].

ოფიციალურ-საქმიან სტილში გამოიყოფა რამდენიმე ქვესტილი: ა) კანონმდებლობითი, რომელიც მოიცავს კანონთა, ბრძანებულებათა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აქტების, კონსტიტუციათა და სხვ. ენას; ბ) დიპლომატიური, სადაც შემოდის კონვენციები, კომუნიკე, ნოტები, მემორანდუმები, საერთაშორისო შეთანხმებანი და ა. შ.; გ) ადმინისტრაციულ-საკანცელარიო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჟანრს – ადმინისტრაციული აქტები, საკანცელარიო მიმოწერა და ხელშეკრულებანი, ასევე სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია: დახასიათებანი, განცხადებები, ავტობიოგრაფია, ხელწერილები, მინდობილობანი [კვარაცხელია 1981: 88].

ამ ქვესტილებისათვის გამოყოფენ „კანონთა ენას“ და „საქმის ქაღალდების ენას“. კანონთა ენა არ არის მასობრივი ურთიერთობის რეგულარული ენა. იგი კომუნიკაციურად ცალმხრივია, შეტყობინების ენა უფროა, ვიდრე ურთიერთობისა. საქმის ქაღალდების ენას მასობრივი გამოყენება და კომუნიკაციურობა ახასიათებს. მისი საშუალებით უბრალოდ ინფორმაციის მიღება კი არ ხდება მხოლოდ, არამედ მყარდება ურთიერთობა, რადგან ის დადგენილებათა და ბრძანებათა, განცხადებებისა და ა. შ. ენაა. თვით ეს ურთიერთობა ოფიციალურ ურთიერთობათა ჩარჩოებშია მოქცეული, მკაცრად რეგლამენტირებული და დაპროგრამებულია [კვარაცხელია 1981: 89].

საქმიანი მეტყველებისათვის დამახასიათებელია სიზუსტე, კონკრეტულობა, ლაკონიურობა, ასევე ობიექტურობაც. სიზუსტე ოფიციალურ-საქმეთა სტილში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რადგან იგი დაკავშირებულია სამართლის ნორმატიულ-მარეგულირებელი ფუნქციის რეალიზაციასთან, რაც გამოთქმათა ერთმნიშვნელოვნებასა და სხვაგვარად განმარტების შეუძლებლობას მოითხოვს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ობიექტურობაც ასევეა დაკავშირებული ნორმატიულ-მარეგულირებელ სამართლებრივ ფუნქციასთან, მის განზოგადებულ ხასიათთან. აქედან გამომდინარეობს სტანდარტიზაციის აუცილებლობა ერთი ტიპის სიტუაციებში, სადაც ფაქტები გარკვეული დოკუმენტების სახით ფორმდება და ეს დოკუმენტები სახელწოდებით, ფორმითა და შინაარსით ერთგვარია [კვარაცხელია 1981: 89].

დოკუმენტის სიზუსტე მის სიმოკლესთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ სიმცირეც არ არის თვითმიზანი: იგი ხელს უწყობს კონკრეტიზაციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ინფორმაციის ერთგვარ კონცენტრირებას. ოფიციალურ-საქმიანი სტილის სიცხადე, სიზუსტე და სიმოკლე განსაზღვრავს და

განაპირობებს უნიფიკაციის მოთხოვნილებას. ერთგვაროვანი ფორმების შერჩევა ენაში, მდგრადი სინტაქსური კონსტრუქციების გამომუშავება, ანალოგიური სტანდარტული ტექსტების დადგენა აადვილებს ერთი ტიპის დოკუმენტების შედგენას [კვარაცხელია 1981: 90].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიპლომატიური დოკუმენტების ტექსტები გამოირჩევა კომპოზიციური სტაბილურობით. ეს კი გამოწვეულია ამ სახის დოკუმენტთა დანიშნულებით – უკიდურესად მკვეთრად გამოხატოს სახელმწიფოს ნება და ასევე ისტორიულად ჩამოყალიბებული და ტრადიციულად დადგენილი დოკუმენტების გაფორმების ეთიკური მოთხოვნილებით [კვარაცხელია 1981: 92].

გამოიყო ოფიციალურ-საქმიანი სტილის შემდეგი თავისებურებანი: 1. პროფესიული ტერმინოლოგიისა და სიტყვათა შემოკლებები; 2. სხვადასხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებების შემოკლებული დასახელებანი; კანცელარიზმები, რომლებიც მხოლოდ ოფიციალურ-საქმიან სტილში გამოიყენება (თქვენდამი რწმუნებული, სათანადო წესით...); 3. ისტორიზმებისა და არქაიზმების მოხმობა ნომინაციური ფუნქციით (ბატონი, მისი აღმატებულება...); 4. არაფრაზეოლოგიური ხასიათის მყარი გამონათქვამების გამოყენება (საკასაციო სარჩელი, კერძო განჩინება...); 5. არ გვხვდება სასაუბრო, დიალექტური, ჟარგონული ფორმები და შორისდებულები. ეს აიხსნება ოფიციალურ-საქმეთა სტილის თავისებურებით – გადმოსცეს მოვლენა არაემოციური და ობიექტური დამოკიდებულებით [კვარაცხელია 1981: 93].

აღნიშნული სტილისათვის დამახასიათებელია აგრეთვე პასიურ ფორმათა სიჭარბე, ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დიდი რაოდენობა, ასევე – ადამიანთა დასახელება რაიმე მოქმედებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ნიშნის მიხედვით (მოწმე, მსჯავრდებული...), ზმნათა გამოყენება ბძრანებით კილოში, რაც უკავშირდება საქმეთა სტილის ვოლუნტატიურ ხასიათს. ასევე სპეციფიკურია სტანდარტული სინტაქსური კლიშე. აღსანიშნავია უპირო წინადადებათა სიმრავლე ჯერარსობის მნიშვნელობით (საჭიროა შესრულება, მოისმინეს, დაუშვებელია გადასვლა...). შეიმჩნევა სიტყვათა განსაზღვრული რიგი წინადადებაში; ხშირია რთული წინადადებები. ოფიციალურ-საქმიან მეტყველებას ახასიათებს ასევე ტექნიკურ, არაენობრივ საშუალებათა გამოყენების თავისებურებაც: აბზაცი, ტექსტის კომპოზიცია და პარალინგვისტური საშუალებანი (რეკვიზიტი, რუბრიკაცია) [კვარაცხელია 1981: 94].

აღნიშნული სტილი, სხვა სტილებთან ერთად, გავლენას ახდენდა და ახდენს საერთო სალიტერატურო ენის ნორმათა ფორმირებაზე. ის არ არის იზოლირებული, არამედ სალიტერატურო ენის ერთ-ერთი სახეობაა [კვარაცხელია 1981: 95].

ც. ბარბაქაძე საკვალიფიკაციო შრომაში („ქართული მჭევრმეტყველების პრაგმატიკა“) საგანგებოდ უბრუნდება და გარკვეულად განავრცობს გ. კვარაცხელიას დაკვირვებებს; მან დააზუსტა და სისტემური სახე მისცა ამ სფეროს სპეციფიკის სხვადასხვა გამოვლინებას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ-საქმიანი სტილი ემსახურება საკანონმდებლო და საქმისწარმოების სფე-

როებს. გამოყოფენ ქვესტილებს: 1. საკუთრივ საკანონმდებლო (კანონი, ბრძანებულება, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აქტები, კონსტიტუცია და სხვ.); 2. ადმინისტრაციულ-საკანცელარიო (აქტი, განკარგულება, საკანცელარიო მიმოწერა და ხელშეკრულება, განცხადება, დახასიათება, ავტობიოგრაფია, მინდობილობა, ხელშეკრულება...); 3. დიპლომატიური (კონვენცია, კომუნიკე, ნოტა, მემორანდუმი, საერთაშორისო შეთანხმებანი და ა. შ.). ოფიციალურ-საქმიანი სტილი ხორციელდება ძირითადად წერილობითი ფორმით. ზეპირი შეიძლება იყოს მოხსენება, გამოსვლა სხდომაზე, სამსახურებრივი დიალოგი.

ოფიციალურ-საქმიანი მეტყველება ემსახურება ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობებს, გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების კავშირისათვის მოსახლეობასთან, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა ურთიერთობისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. მისი ფუნქციონირების შესაბამისი სფეროებია – სამართალი და პოლიტიკა [ბარბაქაძე 1997: 8-9].

ნორმატიული აქტები შეიცავენ ზოგადი ხასიათის სავალდებულო ქცევის წესებს. ამ წესების ენობრივი მხარე კი უნდა იყოს მკაცრად ნორმირებული, დახვეწილი, წინასწარ მოფიქრებული. სამართლის ნორმის თითოეული სიტყვა, თითოეული ტერმინი მხოლოდ მისი შინაარსის შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული. დიდი მნიშვნელობა აქვს კანონთა ტექსტებში სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებასაც [ბარბაქაძე 1997: 13].

რა საკითხსაც უნდა ეხებოდეს კანონი, საჭიროა მისი იმგვარად გადმოცემა და წერილობითი ფორმირება, რომელიც გაუადვილებს მკითხველს ტექსტის აღქმასა და გააზრებას. ამ თვალსაზრისით კანონთა გაფორმებაში დიდი როლი აქვს **რუბრიკაციას**, რომლის მეშვეობითაც ხდება საკანონმდებლო ტექსტის დანაწევრება. ეს არის ტექსტის შინაგანი კომპოზიციური გამოხატულება. ამ დროს ხდება მისი დანაწევრება თავებად, მუხლებად, განყოფილებებად, ნაწილებად, პარაგრაფებად; გამოიყოფა აბზაცი, რომელიც აზრებს ერთმანეთისაგან პაუზით გამოაცალკევებს. ტექსტის დანაწევრებისას იყენებენ ასევე ნუმერაციას (არაბული ან რომაული ციფრებით, ან კიდევ ანბანის რიგის გამოყენებით) [ბარბაქაძე 1997: 15].

საქმიანი ქაღალდების მნიშვნელობა დიდია. დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით საქმიანი ქაღალდები ძირითადად სამგვარია:

1. საქმიანი ქაღალდები, რომლებიც მომდინარეობს წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაციებისა და სხვა სახის უწყებებისაგან;

2. საქმიანი ქაღალდები, რომლებიც კერძო პირისაგან. ცალკეული მოქალაქისაგან მომდინარეობს;

3. ყველა სხვა სახის საქმიანი ქაღალდი (ოქმები, მოხსენებები, აქტები, კვარტალური თუ წლიური ანგარიშები...).

თითოეული საქმიანი ქაღალდი დანიშნულების შესაბამისად ფორმდება, მათ განსაკუთრებული წესების მიხედით ადგენენ და განსაზღვრული ფორმა აქვთ. ეს ქმნის თავისებურ, სპეციფიკურ, ე. წ. **საკანცელარიო სტილს** [კეკელია 1977: 3].

საქმის ქაღალდის სტილი უაღრესად დახვეწილი უნდა იყოს. მისთვის არსებითია შინაარსის სიცხადე, სისრულე, სიზუსტე, კონკრეტულობა და სიმარტივე. საქმიან ქაღალდებს დოკუმენტებსაც უწოდებენ. ზოგადად დოკუმენტი ისეთი ქაღალდია, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მოგვიანებით ამ სიტყვამ ახალი მნიშვნელობები შეიძინა: 1. ვიწრო მნიშვნელობით იგი აღნიშნავს პასპორტს, პირადობის მოწმობას; 2. გადატანითი, გაფართოებული მნიშვნელობით ყველაფერ იმას, რასაც შეუძლია რაიმეს დასაბუთება, დამოწმება, დამტკიცება – ეს იქნება ხელოვნების ნაწარმოები, ნახაზი, ფოტოგრაფია და სხვ. [ბარბაქაძე 1997: 18].

საკანონმდებლო ენობრივი სტილის ტერმინოლოგიის დიდი წილი პოლიტიკურ და იურიდიულ ტერმინოლოგიაზე მოდის. კანონთა ტექსტები ხასიათდება უცხოენოვანი, ნასესხები სიტყვებით. ესაა, მაგალითად, ლათინური ძირის სიტყვები: *ავტორიტარული, აგიტაცია, დეპუტატი, პრეზიდენტი, კოდექსი, კონვენცია, კონგრესი, კონტრაქტი, კონფისკაცია...*

კანონთა ტექსტებში კალკი „ბუნებრივი“ მოვლენაა: *გაუწია დახმარება, ექვემდებარება, ხორციელდება, გადატანა, განისაზღვრება კანონით, გამოიწვევს დაჯარიმებას, გამოყენება აქვს, აწარმოებს, ედება მსჯავრი, ადგილი აქვს, წარმოადგენს საშიშროებას...* [ბარბაქაძე 1997: 56].

კანონთა ტექსტებში არსებული ტერმინოლოგიური შესიტყვებანი ძირითადად ორკომპონენტიანია, მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპისა.

ზედსართაული მსაზღვრელი: *მძიმე დანაშაული, ძვირფასი ლითონი, მსუბუქი სასჯელი...*

მიმღეობა მსაზღვრელად: ჩადენილი დანაშაული, ყადაღადადებული ქონება...

წარმომავლობისა და დანიშნულების მაწარმოებელი აფიქსებით ნაწარმოები მსაზღვრელი: *ეროვნული ბანკი, ნორმატიული აქტი, პროპორციული სისტემა, სახელმწიფო სამსახური, საგანგებო მდგომარეობა, საბაჟო წესები, სახელმწიფო საიდუმლოება, საპატიო წოდება, საკონსტიტუციო სასამართლო...*

კანონთა ენაში მრავლადაა ორზემეტკომპონენტიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებები: *განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მოქალაქეობის არმქონე პირი, კანონით დადგენილი წესი, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი...* [ბარბაქაძე 1997: 57-59].

კანონთა ენა ასევე გამოირჩევა ანტონიმთა სიუხვით. უფრო ხშირად აფიქსებით ნაწარმოებ ანტონიმებს ვხვდებით: **უ–ო** პრეფიქს-სუფიქსი, სუფიქსები **-ოან, -ოერ** და **არ(ა)** ნაწილაკით ნაწარმოები ფორმები:

დამნაშავე – უდანაშაულო, კანონიერი – უკანონო, ქმედითუნარიანი – ქმედითუუნარო, დასაშვები – დაუშვებელი, კეთილსინდისიერი – არაკეთილსინდისიერი, მქონე – არმქონე, დასაშვები – დაუშვებელი, საპატიო – არასაპატიო, შესრულება – შეუსრულებლობა... გვაქვს ანტონიმთა სხვაგვარი წარმოებაც: *გამამართლებელი – გამამტყუნებელი, ზემდგომი – ქვემდგომი, უმრავლესობა – უმცირესობა...* [ბარბაქაძე 1997: 60-61].

რაკი კანონთა ენისათვის დამახასიათებელია განზოგადება, განყენებულობა, ხშირად გვხვდება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსები –

-ობა, **-ება** და პრეფიქს-სუფიქსი **სი–ე**: *თავდებობა, ქმედება, ხანდაზმულობა, გასხვისება, ზემოქმედება, მართლმსაჯულება...* [ბარბაქაძე 1997: 63-64].

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონთა ენაში იშვიათია მარტივი გაუვრცობელი წინადადება. სიტყვაშეხამებათა და შესიტყვებათა სიჭარბე საკანონმდებლო სტილში მარტივ წინადადებათა გავრცობის ერთ-ერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო სტილისათვის ექსპრესიულობა-ემოციურიობა არაა დამახასიათებელი, კანონთა ტექსტებში იმთავითვე კოდირებულია გადმოცემის ბრძანებითი ფორმა. წინადადების წარმოთქმის დროს კი ინტონაცია თავისთავად გახაზავს მთავარს და არსებითს [ბარბაქაძე 1997: 94-95]. გვხვდება ინვერსია – სიტყვათა გადაადგილება წინადადებაში რომელიმე სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით. ეს მნიშვნელოვანი სტილისტიკური საშუალებაა. ნიშანდობლივია **მარტივი გავრცობილი** წინადადებები, კიდევ უფრო ხშირად გამოიყენება შერწყმული წინადადებები. ზოგადად, სამართლის ნორმათა გადმოცემა მსჯელობის სახით მოითხოვს წინადადებებით ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს კანონთა ტექსტებში რთული და ზერთული წინადადებების გამოყენების სიხშირეს [ბარბაქაძე 1997: 98-101].

კანონთა ენის თავისებურებას წარმოადგენს **ნაზმნარსახელოანი სინტაქსური კონსტრუქციების** მოხმობაც. ხშირია აგრეთვე პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ერთდროული გამოყენება. მაგალითად, სტანდარტული სინტაქსური კლიშე „მიზნით“ შეიძლება შეცვალოს პარალელურმა კონსტრუქციამ **რომ** კავშირით („ძალდატანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულება, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება“) [ბარბაქაძე 1997: 104]. გვხვდება აგრეთვე იმგვარი სახის კონსტრუქციები, როგორებიცაა: **პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა** და **დანაშაულის ჩამდენი პირი**. ასევე პარალელური გამოყენებისაა **როგორც – ისე**, **ან – ან** კონსტრუქციები.

სამართლის ნორმის არაოფიციალურ ახსნა-განმარტებათა შორის ერთერთი სახეა **ენობრივი** ახსნა-განმარტება. ნებისმიერი სამართლის ნორმა მსჯელობაა. ეს კი მოითხოვს მასში ნაგულისხმევი აზრის გაშიფვრას, განმარტებას, ინტერპრეტაციას. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება ნიშნავს იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩადო მასში სამართლის ნორმის დამდგენმა კომისიამ. საჭიროა გარკვეული წესების დაცვა:

„ა) სამართლის ნორმაში გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს უნდა მივცეთ ის მნიშვნელობა, რაც აქვთ შესაბამის სალიტერატურო ენაში;

ბ) თუკი ნორმაში გამოყენებულია ტექნიკური ან სხვა სპეციალური ტერმინები, მაშინ უნდა მივცეთ ის მნიშვნელობა, რაც აქვთ შესაბამის დარგში;

გ) ერთსა და იმავე ნორმაში ნახმარ იდენტურ ტერმინებსა და გამოთქმებს არ შეიძლება მიეცეს განსხვავებული მნიშვნელობა, ანდა, პირიქით, განსხვავებული ტერმინისა და გამოთქმის გამოყენება არ შეიძლება იდენტური მნიშვნელობით;

დ) დაუშვებელია ნორმის ისეთი ახსნა-განმარტება, რომლის დროსაც თუნდაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ტერმინი ან სიტყვა ზედმეტად ითვლება ან რჩება ყურადღების გარეშე. სამართლის ნორმაში მოხსენიებულ ყვე-

ლა ტერმინსა და სიტყვას თავისი შინაარსობრივი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, რის გარეშეც მისი აზრი მთლიანად იცვლება [ბარბაქაძე 1997: 113-114].

* * *

უფრო დეტალურად ზოგი თავისებურების შესახებ:

1. ტექსტის სტრუქტურირება

როგორც ითქვა, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის ფრიად ნიშანდობლივია ტექსტის შედგენილობის (აგებულების) ადვილად აღსაქმელ ფორმაში მოქცევა, ანუ სტრუქტურული მოწესრიგება. სტრუქტურირება ნებისმიერ ტექსტს სჭირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მოთხოვნა მაქსიმალურად არის ფორმალიზებული (დაყოფა, ნუმერაცია, ჩარჩოები, სქემები...). ეს კარგად ჩანს საქმიანი ქაღალდების სტანდარტებში (იხ. ქვემოთ), აგრეთვე საოქმო ხასიათის ჩანაწერებში, დადგენილებებში, კანონებში, საკანონმდებლო აქტებში... ორიოდე ნიმუში ამ ხასიათის დოკუმენტებიდან:

„საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“:
მუხლი 37. აკადემიური პერსონალის უფლებები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში ამ კანონისა და დაწესებულების წესდების შესაბამისად;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) 5 წელიწადში ერთხელ პროფესიული განვითარების მიზნით აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 1 სასწავლო წლის ვადით;

ე) განახორციელოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

დ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

„დადგენილება... კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“.

მუხლი 2

დიპლომატიური სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლებისათვის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით, შესაძლოა, დადგინდეს თანდართული წესისგან განსხვავებული რეგულირება.

მუხლი 3

დადგენილებით გათვალისწინებული წესები მოქმედებს მხოლოდ დადგენილების ამოქმედების შემდეგ გამოცხადებულ საჯარო კონკურსებზე.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტი:

სფერო: 3. სოციალურ-ემოციური განვითარება		
ქვესფერო	მიმართულება	შედეგი
3.1.ემოციური განვითარება	3.1.1. თვითშეფასება	ბავშვმა იცის საკუთარი შესაძლებლობებისა და სირთულეების შესახებ.
	3.1.2. იდენტობა	ბავშვი აკუთვნებს თავს სხვადასხვა ჯგუფს (ოჯახს, ბაღს, ბაღის ჯგუფს, სამშობლოს).
	3.1.3. თვითმართვა	ბავშვს შეუძლია საკუთარი ემოციების და იმპულსების მართვა;

		ბავშვს შეუძლია სიამოვნების/ჯილდოს მოკლე დროით გადავადება.
	3.1.4. თვითგამოხატვა	ბავშვს შეუძლია ემოციების შესაბამისი ფორმით გამოხატვა.
3.2. სოციალური განვითარება	3.2.1.ურთიერთობა უფროსებთან	ბავშვს შეუძლია ენდოს ნაცნობ უფროსებს და ჰქონდეს მათთან პოზიტიური ურთიერთობა.
	3.2.2.ურთიერთობა თანატოლებთან	ბავშვს შეუძლია გამოამჟღავნოს კეთილგანწყობა და ითამაშოს თითქმის ყველა თანატოლთან, მათ შორის მათთან, ვინც რაიმე ნიშნით განსხვავდება მისგან – სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, გარეგნული ან სხვა რაიმე ნიშნით; ბავშვს შეუძლია მოლაპარაკების გზით კონფლიქტის გადაჭრა.
	3.2.3. ჯგუფში ქცევის და ადაპტაციის უნარი	ბავშვს შეუძლია თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და დაცულად ნაცნობ გარემოში, იოლად ჩაერთოს მიმდინარე ჯგუფურ აქტივობებში.
	3.2.3.1.თავდაჯერებულობა და ავტონომიურობა	ბავშვს შეუძლია გაიაზროს გარკვეული ქცევის შესაძლო შედეგები.
	3.2.3.2.მოქნილობა	ბავშვს შეუძლია გამოამჟღავნოს მოქნილობა და საკუთარი ქცევა მიუსადაგოს გარემოსა და ყოველდღიურ საქმიანობებს.

2. სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება

როგორც ცნობილია, საქმიანი სტილისთვის დამახასიათებელია ოფიციალური შინაარსის გადმომცემი სიტყვების მკაცრი შერჩევა, პუბლიცისტური

ელემენტების, მით უფრო, მხატვრული საშუალებების ფაქტობრივი გამორიცხვა. ამას ემატება შემდეგიც: ვინაიდან ამგვარი ტექსტები არცთუ იშვიათად სპეციფიკურ დარგობრივ უბნებს (მაგ., იურისპრუდენციას, მედიცინას, სამხედრო სფეროს...) ასახავს, თავს იჩენს შესაბამისი ტერმინოლოგიის მოჭარბება. მაგალითისათვის ავიღოთ განათლების სფერო. აი, რა ტერმინოლოგია შეინიშნება კანონმდებლობის დონეზე:

აბიტურიენტი, ავტონომია, აკრედიტაცია (აკრედიტებული), სტატუსი, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, მობილობა, აკადემიური (თავისუფლება, პერსონალი, საბჭო, წოდება, უმაღლესი განათლება...), კვალიფიკაცია, ბაკალავრი (ბაკალავრიატი), მაგისტრატურა (მაგისტრანტი, მაგისტრი), დოქტორანტურა (დოქტორანტი), ემერიტუსი, ინსტიტუცია, ასოცირებული (პროფესორი), ასისტენტ-პროფესორი, კანცლერი, სპიკერი, კრედიტი, ლიცენზია (ლიცენზირება), კოლეჯი, კოეფიციენტი, რანჟირება, სერტიფიკატი (სერტიფიცირება), გრანტი, რეგულაცია, რეგულირებადი, მოდული, კომპეტენცია, სენატი, სილაბუსი, მონიტორინგი, ინტეგრაცია, რეესტრი, პერსონალი, მოტივაცია, დეპარტამენტი, კონფიდენციალური, ექსტერნატი, ცენზურა, ვაუჩერი, ინკლუზიური, კურიკულუმი, პილოტირება, პორტფოლიო, ეთიკის კოდექსი, დისციპლინური გადაცდომა (დევნა), საკვალიფიკაციო ჩარჩო, პროფესიული სტანდარტი და სხვ.

ამავე დროს, როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში არ შეგვიტანია ისეთი ტერმინები, რომლებიც ამ სფეროში დიდი ხნის დამკვიდრებულია და საყოველთაოდ ცნობილია.

უცხოენოვანი ტერმინოლოგიის ამგვარი სიჭარბის ფონზე, ცხადია, ყურადღებამისაქცევია ქართული დერივატები, როგორც ახალი ტერმინოლოგიური წარმონაქმნები; მაგალითად, განათლებასთან დაკავშირებულ კანონებში დადასტურდა:

სახელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და **თანაზომადი**.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს...

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს **არააკადემიურ** მიზნებს.

სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე **არადისკრიმინაციულ** საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

ნეიტრალურობა და **არადისკრიმინაციულობა** აფუძნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას კერძო სამართლის **არასამეწარმეო** (**არაკომერციული**) იურიდიული პირის ფორმით.

... კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით **არაკვალიფიციურობის** დადასტურების შემთხვევაში.

... რომელიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე **არამატერიალიზებული** ფორმით.

არამატერიალური აქტივების შეძენა...

დირექტორის **არარჩევის/ვერარჩევის** შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ასეთის **არარსებობის** შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

დაკისრებული მოვალეობების **არასათანადოდ** შესრულების... შემთხვევაში...

... რომელიც უნდა დაიფაროს **არასახელმწიფო** წყაროებიდან.

სარგებლობის უფლებით გადაეცეს **არასამეწარმეო (არაკომერციულ)** იურიდიულ პირს.

მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს **არასათანადო** მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.

გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა **არამართლზომიერი** ქმედებები.

3. ვნებითის (უფრო ხშირად – აღწერილობითი ვნებითის) დეპერსონალიზებული ფორმების გამოყენება

ოფიციალური ტექსტების ცნობილი სპეციფიკაა ის, რომ გარკვეული ნორმით შესრულებული თუ შესასრულებელი მოქმედება მაქსიმალურად განყენებულად არის გამოხატული. ეს მიიღწევა მოქმედებითი გვარის ზმნის „პირდაპირი შინაარსის“ ტრანსფორმაციით „დეპერსონალიზებულ“ ვნებითად; მაგალითად, როდესაც უნდათ თქვან, რომ „დირექტორმა სამსახურიდან გაათავისუფლა თანამშრომელი“, ამის ნაცვლად გამოიყენებენ კონვერსიას: „გათავისუფლდა (ან: გათავისუფლებულ იქნა) თანამშრომელი“. ამ ხერხით, რომელსაც „დეპერსონალიზაციად“ მოვიხსენიებთ, კონტექსტიდან ამოვარდა შესაბამისი მოქმედების მთავარი ჩამდენი („დირექტორი“). მსგავსი ნიმუშები ნორმატიულ ტექსტებში წამყვან ადგილს იკავებს:

...რომელზეც შეიძლება **არჩეულ იქნეს** პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი.

აკადემიური საბჭოს წევრად **აირჩევა** სრული ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება **არჩეულ იქნეს** ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

რექტორად შეიძლება **არჩეულ იქნეს** იმავე ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პროფესორი.

სრულ პროფესორად შეიძლება **არჩეულ იქნეს** დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება **არჩეულ იქნეს** დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ასისტენტ-პროფესორად შეიძლება **არჩეულ იქნეს** დოქტორი ან დოქტორანტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება **არჩეულ ან დანიშნულ იქნეს** 65 წელს მიღწეული პირი.

საბჭოს თავმჯდომარე მონაცვლეობით **აირჩევა** საბჭოს შემადგენლობაში მშობლებისგან და პედაგოგიური საბჭოსგან არჩეულ წევრთაგან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც **აირჩევა** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან...

სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც **აირჩევა/ინიშნება** წესდებით გათვალისწინებული წესით.

პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც **აირჩევა** 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება **აირჩეს** ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

დეკანად შეიძლება **აირჩეს** ასოცირებული ან სრული პროფესორი.

4. ზმნური ფორმები, რომლებიც ოფიციალური ურთიერთობებისათვის ნიშანდობლივ ვალდებულებებსა თუ ნების გამოვლენას გამოხატავენ

სრულიად აშკარაა, რომ ამგვარ ტექსტებში ხშირია (სისტემურია) ისეთი ზმნების (ზმნური კონსტრუქციების) გამოყენება, რომელთა შინაარსობრივი დატვირთვა შემცველია რაიმე მოქმედების ვალდებულებისა თუ აკრძალვისა (შდრ. ნებადართულია, აუცილებელია, დაუშვებელია... შეიმუშავებს, ამტკიცებს... უფლებამოსილია...):

დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა.

დაუშვებელია არსებობდეს განსხვავება საქართველოს მოქალაქეთათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავლის საფასურის ოდენობებს შორის.

დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევამდე.

დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია.

მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის **აუცილებელია** მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მასწავლებლობის უფლების მოპოვებისათვის **აუცილებელია** მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო აღიარებისათვის **აუცილებელია** შესაბამისი აკრედიტაციის გავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამეურვეო საბჭოს თანხმობა **აუცილებელია** ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება სკოლის ბიუჯეტის 5%-ს.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა – პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო **ადგენს** სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს.

შეიმუშავებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, **ადგენს** შესაბამის პროგრამებსა და გეგმებს.

შეიმუშავებს პერსონალის სამსახურში მიღების წესს, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით **ამტკიცებს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭო.

შეიმუშავებს და **ამტკიცებს** დაწესებულების შინაგანაწესს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

ა) **ამტკიცებს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ბ) **ირჩევს** წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

გ) **ამტკიცებს** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

დ) **ამტკიცებს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ე) **ამტკიცებს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

ვ) **ამტკიცებს** ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს.

ძალადაკარგულად **ჩაითვალოს**... აგრეთვე აღნიშნული კანონის ყველა ის ნორმა, რომელიც ამ კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებს ამავე კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

ამ მუხლის მე-9 პუნქტი **ვრცელდება** აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტები (მაძიებლები).

ამ მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება **ვრცელდება** საქართველოს მოქალაქეებზე.

კერძო სკოლაზე **ვრცელდება** ამ კანონის I, II, II1, III, IV, V და XII თავების შესაბამისი დებულებები.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი **უფლებამოსილია**, შეთანხმების გარეშე **დანიშნოს** ჯგუფის წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **უფლებამოსილია** განსაზღვრული ვადით **დანიშნოს** წარმომადგენელი – დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

სამეურვეო საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში დირექტორი ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახალი სამეურვეო საბჭოს არჩევამდე **უფლებამოსილია განახორციელოს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებანი.

უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების და კვების პუნქტების არსებობა.

უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და **უზრუნველყოფს** მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას.

...**უზრუნველყოფს** მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას.

ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც **ახორციელებს** პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ დირექტორმა ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები **განახორციელოს** სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად.

სკოლაზე სახელმწიფო კონტროლს **ახორციელებს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის **განხორციელების** მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოითხოვს მასალებსა და ინფორმაციას...

5. კალკები

ამგვარი ოფიციალურ-საქმიანი ენისათვის ასევე ნიშანდობლივია კალკის საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვები და ფორმულები, რომელთა საფუძველი, ცხადია, გამვლენელი ენის სანიმუშოდ აღებული ფუნქციური სტილების გარკვეული ენობრივი სტანდარტებია; მაგალითად:

საჯარო სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს **აწარმოებს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **აწარმოებს** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრს.

ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა **წარმოადგენს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობას.

...**წარმოადგენს** დაწესებულების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველს.

დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად **გამოიწვიოს** მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.

სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ **გამოიწვიოს** მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან.

ამ ცვლილებამ არ უნდა **გამოიწვიოს** მასწავლებელთა ხელფასების შემცირება.

ამ კანონის ამოქმედება **იწვევს** საჯარო სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას.

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ავტონომიურობის ფარგლები, მართვისა და საქმიანობის წესი **განისაზღვრება** უნივერსიტეტის წესდებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების შესახებ საქართველოს მთავრობის აქტით **განისაზღვრება** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ვალდებულია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სამართლებრივი **დახმარება გაუწიოს** აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

ამ **მომსახურების გაწევა** უფასოა მოსწავლეთათვის.

სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და **იღებს** შესაბამის **ზომებს**.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ **მიიღოს** შესაბამისი **ზომები**...

სკოლა ვალდებულია **მიიღოს** ყველა გონივრული **ზომა** მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად.

6. სტანდარტული სინტაგმების ფუნქციისათვის ოფიციალურ-საქმიანი ენის კონსტრუირებაში

ოფიციალურ-საქმიანი ენის, ასევე ცალკეული დარგობრივი (სპეციალური) ენების ჩამოყალიბების ობიექტური თანამდევი პროცესია კონსტრუქციების მაქსიმალური ფორმალიზება, „საკვანძო“ გამონათქვამების, ცალკეული სინტაგმებისა და ფრაზების სტანდარტიზაცია, სპეციფიკური ენობრივი კლიშეების შექმნა. ასეთი სტანდარტიზებული სინტაგმები და გამონათქვამები ოფიციალური ენის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად გვევლინება და ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში საკმაოდ მყარ, სტაბილურ კომპონენტს წარმოადგენს. ამავე დროს, ცალკეული გამონათქვამები, არცთუ იშვი-

ათად, გარკვეული ეპოქის იდეოლოგიურ თუ პროპაგანდისტულ ნიშანს ატარებს და, შესაბამისად, სათანადო პირობების ცვლასთან ერთად, უთმობს ასპარეზს ანალოგიური დატვირთვის სხვა გამონათქვამებს.

მაგალითად, გარდასულ იდეოლოგიზებულ დროში გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა ჰქონდა სიტყვებს **თავყრილობა** და **ფორუმი**, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, ნომინაციურ შესიტყვებებს ქმნიდნენ: აგრარიკოსთა **თავყრილობა**, მეჩაიეთა **ფორუმი**...

თბილისში მსოფლიო მევენახეები და მეღვინეები რომ შეიკრიბნენ, იმ **თავყრილობას** მეც ვესწრებოდი (აკ. გეწ.).

სწორედ საქართველოს კომუნისტთა ამ დიდი **თავყრილობის** წინ დიდი თეატრალური დღესასწაული გვქონდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე კულტურულ და ინდუსტრიულ ცენტრში, ქუთაისში (დ. ალექსიძე, ლიტ. საქ.).

ერთი სული ჰქონდა, როდის დაიშლებოდა **ფორუმი**, რომ როგორმე ქალთან მარტო დარჩენილიყო (რ. ჭეიშვ.).

მარტის ბოლოს თბილისში გავრცელდა ხმა 18 მარტს, აფხაზეთში, სოფელ ლიხნში ჩატარებული **თავყრილობის** შესახებ... („არქივი“).

ძედჰასანის მკვლელობის შემდეგ „კანონიერი ქურდების“ პირველი მასშტაბური **თავყრილობა** რუსეთში. 20 იანვარი 2014 („ნიუსი“).

0:00 – 25.ივნისი, 2014 პოლიტიკური **თავყრილობა** გორის უნივერსიტეტში („მედია“).

2013 წ. 11 ივნისს წმ. სამების ტაძარში (ახალგაზრდულ ცენტრში) ჩატარდა საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს **თავყრილობა** („ქართ. საფიხ.“).

ჯერ არასოდეს ისტორიაში არ შეკრებილა კეთილ ნების ადამიანთა ესოდენ წარმომადგენლობითი **ფორუმი** (ლიტ. საქ., 1973).

ხელცარიელი არა ხვდება ქართული მწერლობა თავის მორიგ **ფორუმს** (ლიტ. საქ., 1976).

...მის ბაზაზე 2008 წლის თებერვალში შეიქმნა მონადირეთა და მეთევზეთა ფორუმი (შდრ. პარტიის სახელწოდება „ეროვნული **ფორუმი**“; საიტების სახელები: „თბილისის **ფორუმი**“, „მართლმადიდებლური **ფორუმი**“, „თსუ **ფორუმი**“ და სხვ.).

„თბილისის აბრეშუმის გზის **ფორუმი**“ 15 ოქტომბერს 10.00 საათზე რუსთაველის აკადემიურ თეატრში გაიხსნება. ღონისძიებას გახსნის და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, **ფორუმის** ფარგლებში მიღებულ იქნება თანამშრომლობის დეკლარაცია.

2015 წლის 6 დეკემბერს საჯარო სამსახურის ბიურომ მონაწილეობა მიიღო ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ დასაქმების **ფორუმში**.

პრეზიდენტი ერდოღანი სიტყვით გამოვიდა სტამბოლში დაწყებულ მსოფლიო ენერგეტიკის მარეგულირებელ **ფორუმზე**.

თანამედროვე ქართულში ამ სიტყვებმა (და შესაბამისმა სინტაგმებმა) შეინარჩუნა ერთგვარი „ამაღლებული“ ფუნქცია. ამავე დროს, ახალი ეპოქის

ნიშნად იქცა მსგავს კონსტრუქციებში, საერთაშორისო შინაარსით, სიტყვა **სამიტის** გამოყენება, რომელმაც გარკვეულ პერიოდში ლამის მთლიანად შეცვალა სიტყვა **შეხვედრა** სახელმწიფოთა ურთიერთობების დონეზე:

საქართველო უახლოეს მომავალში დაიწყებს იმ პაკეტის განხორციელებას, რომელიც ნატოს **სამიტზე** მიენიჭა („ნიუსი“).

ნატოს **სამიტი** უელსში დღეს განახლდა. დღის ბოლოს ნატოს **სამიტის** შემაჯამებელი კომუნიკე გამოქვეყნდება („ნატოინფო“).

რიგაში დღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მეოთხე **სამიტის** პლენარული სესია გაიხსნა („პარლ.“).

იმას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის **სამიტის** შემაჯამებელ დოკუმენტზე ვნებათაღელვა გაიზრდებოდა, ყველა ელოდებოდა („ტაიმერი“).

როგორც ჩანს, თანამედროვე დინამიკური და, ამდენადვე, იდეოლოგიურად აქტიური პროცესებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ენობრივი ფორმულების პერიოდული გავრცელება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, რაც უპირველესად ოფიციალურ-საქმიანსა და მასმედიის ენაში პოვებს გავრცელებას. მაგალითად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის საზოგადოების (თაობების) ცნობიერების ნაწილია ისეთი „მფრინავი“ იდეოლოგიზმები (თავიანთი სტანდარტული შესიტყვებებით), როგორებიცაა: **აღორძინება, გარდაქმნა, სტაბილიზაცია, დემოკრატიზაცია, გლობალიზაცია**... უფრო მოგვიანებით: **გენდერი, ინტეგრაცია, კოჰაბიტაცია**... **ცნობადი სახეები, გენდერული ბალანსი (თანასწორობა)**...

„საპარლამენტო არჩევნების შემდეგ **კოჰაბიტაცია** ძალიან რთულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს“ („პრესა“).

გვინდა ამ არჩევნებზე წარმოდგენილი იყოს როგორც **ცნობადი სახეები**, ასევე ახალგაზრდები და გამოცდილი ადამიანები („დაიჯესტი“).

– რატომ არის მნიშვნელოვანი **გენდერული თანასწორობა** და ბალანსი? – თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ამასთანავე **გენდერული თანასწორობის** უზრუნველყოფა განვითარებული საზოგადოების ფორმირების საშუალებაა („24 საათი“).

ამგვარად ყალიბდება სტერეოტიპული გამონათქვამები გარკვეული აქტუალური სიტყვა-ტერმინების გარშემო (რომლებიც ძალზე ხშირად უცხო სიტყვებია, მეტიც, ნელოგიზმებია). მაგალითად, სიტყვა **შოუ** მეტად ფართო შინაარსითა და ფუნქციით დაიტვირთა თანამედროვე ენობრივ ურთიერთობებში (პოლიტიკური შოუ, იუმორისტული შოუ...):

უზნეო სიცრუეა, როდესაც შეწყალებისა და პოლიტიკურ ნიშნით დაპატიმრებულთა ამნისტიაზე **პოლიტიკური შოუ** აგორდა („ინტერპრ.“)..

ლაგაზიძე: თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა დაკავება **პოლიტიკური შოუ** იყო („ინფო-9“).

ეს თემა დიდი ხანია **პოლიტიკური** სკანდალის და **შოუს** ნაწილად იქცა, რაც ძალიან სამწუხაროა („ნიუსი“).

Jan 6, 2016 – საშობაო **შოუ** გონიოს ციხეში (სათაური) („მედია“).

ლიონელ მესიმ „კამპ ნოუზე“ მორიგი **შოუ** შემოგვთავაზა! („სპორტ.“).

ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში საზღვრულზე არანაკლებ ცენტრალური და წარმმართველი ადგილი დაიკავა მსაზღვრელმა წევრმა **„პოლიტიკური“** (პოლიტიკური შოუ, პოლიტიკური აქტიურობა, პოლიტიკური დატვირთვა, პოლიტიკური სახე, პოლიტიკური რენომე, პოლიტიკური აქცენტი, პოლიტიკური გვამები და სხვ).

ამ ფონზე, არჩევნების შედეგებს კი არ ველოდები, რომლითაც ჩვენი პატივცემული **პოლიტიკური გვამები** წინასწარ იზომავენ ადგილებს სხვადასხვა უწყებაში („ვერსია“).

ხელისუფლების სურვილია დააზარალოს „თავისუფალი დემოკრატების“ **პოლიტიკური იმიჯი** („მედია“).

ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის შინაარსს **პოლიტიკური ელიტა** განსაზღვრავს; თავად **პოლიტიკური ელიტა** კი ქვეყნის შესაძლებლობების ზუსტი ანარეკლია („თავისუფ.“).

ამგვარი სტანდარტიზაციის დროს გარდაუვალად ყალიბდება გარკვეული „სოციალური“ შტამპები და კლიშეები, რომლებიც მშრალი, რაციონალური საკომუნიკაციო ამოცანების გადასაწყვეტად არის მოწოდებული. მაგალითად, ასეთია:

ხალხის ნება:

როდესაც **ხალხის ნება** ახალი ფსევდოკულტურის გულისთვის ფეხქვეშ უხეშად ითელება, ეს უკვე დიქტატურაა (საქ. და მსოფ., 2013).

საქართველოს შემთხვევაში **ხალხის ნება** მთავრობამ გაიზიარა და ხელი მოაწერა შეთანხმებას (ნიუსი, 2013).

მოქალაქეობრივი შეგნება:

იმედი მაქვს, რომ ჩვენი **მოქალაქეობრივი შეგნება** გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე იმ მევახშის, რომელმაც უსახლკაროდ დატოვა ბავშვები („პრესა“, 2015).

ტრაგედიას ქალაქმა შეაგება საკუთარი ერთიანობა, სოლიდარობა, თავგანწირვა და მაღალი **მოქალაქეობრივი შეგნება** („თბილ.“ 2015).

ჯანსაღი გარემო:

იმისათვის, რომ ვიყოთ ჯანმრთელები, აუცილებელია... **ჯანსაღი გარემო**... („ფორუმი“).

ასეთსავე ადგილს იკავებს ოფიციალურ-საქმიანი ენის ერთგვარი „სავალდებულო“ ფორმულები:

საკითხის დასმა:

საქართველოს პარლამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის **საკითხის დასმა** („თავისუფ.“).

პრობლემის გადაწყვეტა:

„ფერმერის **პრობლემის გადაწყვეტა** კარმიდამოდან უნდა დაიწყოს და არა ზემოდან – კაბინეტებიდან“ („გურია“).

პოზიციის დაფიქსირება:

ფრაქციის თავმჯდომარეების გამოსვლა არის საკმარისი იმისთვის, რომ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი **პოზიციის დაფიქსირება** („ნიუსი“).

დასკვნის გამოტანა:

ცალსახა **დასკვნის გამოტანა**, რომ თავისუფალი დემოკრატები სერიოზულ ოპოზიციას შექმნიან, შეუძლებელია („მედია“).

გადაწყვეტილების მიღება:

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად გვიწევს **გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღება** განიმარტება, როგორც მოცემული ალტერნატივებიდან ან ვარიანტებიდან ერთის შერჩევა („მასწ.“).

შეთანხმების მიღწევა:

თეთრი სახლი დარწმუნებულია, რომ მოხერხდება საბოლოო **შეთანხმების მიღწევა**, რომელმაც ირანის ბირთვული პროგრამა უნდა შეზღუდოს („თავისუფ.“).

დაკისრებული მოვალეობა:

ალბათ ვიღაცამ უფრო ნიჭიერად შეასრულა **დაკისრებული მოვალეობა**, ვიღაცამ ნაკლებად სწორად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ეტაპი ჩვენ უკვე გადავლახეთ („პრ.-ტაიმ.“).

ნათელი დადასტურება:

„დღევანდელი დღე არის კიდევ ერთი **ნათელი დადასტურება** იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ამერიკის მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა!“ („საქინფ.“).

ფართო აღიარება:

ჩვენმა რეფორმებმა **ფართო აღიარება** მოიპოვა, მათ შორის – ევროკავშირის მიერაც („ტაბულა“).

ამგვარი ფრაზები ხშირად უფრო განსაზღვრულ დროში მდგომი ზმნური (და არა – სახელზმნური) შესიტყვებების სახით არის გავრცელებული; მაგ.:

ხელს უწყობს:

მიმაჩნია, რომ ფუნდამენტალიზმს **ხელს უწყობს** ისეთი ქმედებები, როცა დამცინავი დამოკიდებულებაა რელიგიის მიმართ („ტაბულა“).

ამ პროპაგანდას **ხელს უწყობს** დასავლეთის მიერ კონკრეტული ქმედებების დაგვიანება და შესაძლებელია, რუსული ნარატივი გაიზარდოს საქართველოში („ნიუსი“).

ნაყოფს გამოიღებს:

ჩვენ სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ მშვიდობისმოყვარე ბელარუს ხალხს და ვარწმუნებთ მათ, რომ მათი ძალისხმევა **ნაყოფს გამოიღებს** („ნიუსი“).

ადგილი აქვს:

საპატრიარქო: ჭელაში **ადგილი აქვს** რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების მცდელობას („ნეტგაზეთი“).

ის, რაც ბოლო პერიოდში სატელევიზიო მედიაში ხდება, ადასტურებს, რომ **ადგილი აქვს** ხელისუფლების ორკესტრირებულ ქმედებას („მედია“).

ეს უკანასკნელი შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იმკვიდრებს ადგილს სტანდარტული ენის საჭიროების გათვალისწინებით ზოგჯერ სრულიად აშკარა, არანორმატიულად მიჩნეული კალკირებული შესიტყვებებიც კი.

თავის მხრივ, ოფიციალურ-საქმიანი ენის სპეციფიკას განაპირობებს ისეთი სტანდარტული განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც თავისებურ სტილისტიკურ ელფერს სძენენ შესაბამის ფუნქციურ ტექსტებს; ამ რიგის ერთეულებია: **ჩვეულებისამებრ**, **როგორც წესი**, **თავის მხრივ**, **შეიძლება ითქვას**, **ამასთან ერთად**, **როგორც ვხედავთ**, **ამგვარად**, **ამდენად**, **კერძოდ**...

ნბა-ში ტრადიციულად კვირის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინეს. **ჩვეულებისამებრ,** თითო კონფერენციიდან თითო კალათბურთელი სახელდება („სპორტ.“).

პროკურორი: ერთ საქმეზე ბრალდებული პატიმრების მოთავსება ერთ საკანში, **როგორც წესი**, არ ხდება („ინფო-9“).

„ინფორმაცია სარწმუნოა, სერიოზული წყაროს მოწოდებულია და, **ამდენად**, საფრთხე რეალურია!“ („საქ. და მსოფ.“).

ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება არის კიდევ ერთი ძალიან დიდი შანსი და, **ამასთან ერთად**, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა („საზოგადოება“).

ოფიციალურ-საქმიან სფეროში ამგვარ სტანდარტულ კონსტრუქციებს შესაბამისი კომუნიკაციის ობიექტური მოთხოვნა აყალიბებს, ასეთი სტერეოტიპული ფრაზები და ენობრივი კლიშეები სპეციალური ენების განუყოფელი ნაწილია. სტანდარტული ენა, ცხადია, დიდად შორდება ცოცხალი ენის შემოქმედებით ქმნადობას და მშრალ ჩარჩოებში იკეტება; მაგრამ მისი პოზიტიური მხარე ის არის, რომ მისი მეშვეობით უფრო ზუსტად, რაციონალურად და ობიექტურად გამოიხატება დამოკიდებულებანი, მოვლენის ანალიზი, განსჯა და ახსნა; ამგვარი ენა უფრო მოქნილი და მოსახერხებელია კონკრეტული შემეც-

ნებითი თუ კონსტრუქციული ამოცანის გადაწყვეტისათვის, უფრო ოპერატიულად ხერხდება რეაგირება ამა თუ იმ მოვლენასა თუ ინფორმაციაზე, მიღ უფრო, თანამედროვე ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში.

7. საზოგადოებასთან ურთიერთობა რეკლამის ენაზე

დღეს რეკლამის საშუალებით ხორციელდება უამრავი ახალი პროდუქტის, კომპანიის, ღონისძიებისა თუ წამოწყების პოპულარიზაცია. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკლამის სწორად წარმართვას, კერძოდ, სარეკლამო სლოგანებს – იმას, თუ რამდენად ზუსტად, ცხადად და გასაგებად გადმოიცემა სათქმელი – თანაც ისე, მსმენელი, მკითხველი თუ მაყურებელი არ გადაიღალოს.

მთავარი არსი სარეკლამო სლოგანებისა არის ის, რომ მართებულად და გასაგებად (აზრობრივი თვალსაზრისით) შეატყობინოს საზოგადოებას სათქმელი. ცნობილია, რომ რეკლამის მომზადებისას არაერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი – რეკლამის ვიზუალური მხარით დაწყებული, მუსიკითა და ენობრივი საშუალებებით დამთავრებული. ჩვენთვის საინტერესოა – ენის რა გამომსახველობით საშუალებებს მიმართავენ სარეკლამო ტექსტის შექმნისას, რა სახის ენობრივ ფორმებსა თუ მხატვრულ ხერხებს იყენებენ მიზნის მისაღწევად – ერთი სიტყვით, როგორ ფუნქციონირებს ენა ამ სფეროში.

თანამედროვე ეპოქაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ამა თუ იმ სახის რეკლამა. ჩვენ გამუდმებით ვცხოვრობთ რეკლამის სამყაროში, შესაბამისად, ის (რეკლამა) მტკიცედ დამკვიდრდა საზოგადოებაში და ჩვენი ცხოვრების ხელშეუვალ ატრიბუტად იქცა.

დღესდღეობით გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟის ზრდასთან ერთად რეკლამა ხდება საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შეუცვლელი საშუალება. ის ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

რეკლამა თანამედროვე კულტურის არსებით შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს. იგი არამხოლოდ ბიზნესის მნიშვნელოვანი იარაღია, არამედ კომუნიკაციის რელევანტური საშუალება და დისკურსის განსხვავებული ტიპიც გლობალიზაციის სამყაროში.

რეკლამა კომუნიკაციის განსაკუთრებული ფორმაა. მას სურს კონტაქტის დამყარება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ყველა სხვა ტიპის კომუნიკაციის მსგავსად, სარეკლამო სლოგანებსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. პოლიტიკოსებისა და ტავერნების რეკლამები ანტიკურ ეპოქაშიც კი არსებობდა, ამდენად, რეკლამის ენა რიტორიკის გარკვეულ ელემენტებსაც მოიცავს. სარეკლამო ტექსტის მიზანია – „მოხიბლოს“ მომხმარებელი წარმოდგენილი პროდუქტით (რათა მას სურვილი გაუჩნდეს რეკლამირებული პროდუქტის შეძენისა). ამის გამო რეკლამის ენა მარტივია, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები.

რეკლამის მომზადებისას, როგორც წესი, უმთავრესია მოკლე ინფორმაცია, რაც წარმოდგენილი უნდა იყოს მარტივი სლოგანებით. ამ გზით მომხმარებელს კარგად ამახსოვრდება სათქმელის შინაარსი.

აღსანიშნავია, რომ რეკლამირებისას ხშირად გამოიყენება ზედსართავები უფროობითი ხარისხის ფორმებით. ისინი აღწერენ პროდუქტს, როგორც განსაკუთრებულად კარგს, გამორჩეულსა და სასარგებლოს. ამიტომ სარეკლამო სლოგანის შინაარსი, ჩვეულებრივ, დადებითია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეკლამის ენაზე ყოველთვის ზემოქმედებდა კულტურული გარემო, შესაბამისად, მასში აისახება საზოგადოების კულტურულ ყოფასთან დაკავშირებული ლექსიკაც.

როგორც ითქვა, რეკლამირებისას უპირატესობა ენიჭება ლაკონიურობას, რაკი მან (სარეკლამო ტექსტმა) დროის მცირე მონაკვეთში ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს. ლაკონიურობა განპირობებულია არამხოლოდ დროის სიმცირით (მხოლოდ რეკლამისთვის განკუთვნილი დროით), არამედ იმითაც, რომ სარეკლამო ინფორმაციამ არ გადაღალოს მსმენელი თუ მნახველი, არ გახდეს უინტერესო და მოსაბეზრებელი. შესაბამისად, სარეკლამო სლოგანის მომზადება სიფრთხილეს, გააზრებასა და მოფიქრებას საჭიროებს.

რა ენობრივ საშუალებებს მიმართავენ რეკლამის შექმნისას? – ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ძირითადად გამოიყენება ლაკონიური ფრაზები; მთავარი სათქმელი გადმოიცემა მარტივი წინადადებებით, რადგან მოკლე და შინაარსობრივად ტევადი ფრაზები უფრო კარგად ამახსოვრდება მსმენელს. ამიტომ ეს მეთოდი რეკლამირებისას განსაკუთრებით გავრცელებულია. მაგალითად:

/ბორჯომი – გათავისუფლდი ზედმეტისაგან!/
/ნატახტარი – ნატახტარი ჩვენი ლუდია/
/ბარამბო – შექმნილია გაზიარებისათვის/
/ნაბეღლავი – მართლა ნაბეღლავი ჯობია/
/ჯიპისი – ვიზრუნოთ სიცოცხლეზე!/
/კავკასუს ონლაინი – გაიფართოვე თვალსაწიერი/
/საქართველოს ბანკი – იგრძენი მომავალი/
/Creditor. ge – ჩვენ ვხდით ფულს ხელმისაწვდომს/
/კულა – კულას წვენი ყველაზე გემრიელია!/
/კავკასუს ონლაინი – კარგი ინტერნეტი იწყება 5 მეგაბაიტიდან/
/Google Adwords – თქვენი ბიზნესი ბევრად მარტივად იძებნება/
/დრამინა – იმგზავრეთ პრობლემების გარეშე/
/კულა – გასინჯე ხარისხი!/
/მაკდონალდსი – აი, რა მიყვარს!/
/არაყი იენი – გააზიარე არომატი/

აღსანიშნავია ისიც, რომ სარეკლამო ტექსტში ხშირად გამოიყენება წინადადებები ზმნა-შემასმენლის გარეშე. ასეთ შემთხვევებში ლაკონიურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია:

/ჯეოსელი – შეუზღუდავი სატელეფონო კავშირი/

/ფრესკო – სტაბილურად დაბალი ფასები/
/თიბისი – მუდამ თქვენ გვერდით/
/მაგთი – მუდმივი კავშირის სამყარო/
/რიკო ინტერნეიშენალი – I კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი/
/ბილაინი – ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასები/
/ფრინტი – ექსტრემალურად მომგებიანი/
/ლიბერთი ბანკი – ყველგან და ყოველთვის/
/გორგია – ყველაზე იაფი სუპერმარკეტი/
/მაგთი – ერთი და ნაღდი!/
/ზედაზენი – აბა რა!/ (აქ კი მხოლოდ შორისდებული და კითხვითი ნაწილაკი გვაქვს სათქმელის გადმოსაცემად – პროდუქტის დასახელების შემდეგ)
/ყაზბეგი – ცივი ჩაი ყაზბეგისგან/
/მაგთისატი – თანამგზავრული ტელევიზია ყველგან საქართველოში/
/ავერსი – თქვენი ოჯახის აფთიაქი/
/ხევსურული – დიეტური ლუდი/
/ნეტკრედიტი – შენი მეორე საფულე/
/LG – 10-წლიანი გარანტია/
/არაყი ხორტიცა – ყინულოვანი სიგრილის არომატი/
/ვითიბი ბანკი – მსოფლიო საზღვრებს გარეშე/
/ფეირი – 2-ჯერ უფრო სქელი/

მოყვანილ წინადადებებში, როგორც ითქვა, ტექსტი ზმნა-შემასმენლის გარეშეა გადმოცემული, მაგრამ ის (ზმნა-შემასმენელი) ყოველთვის იგულისხმება, რაზედაც პროდუქტის სახელწოდებებსა და სლოგანებს შორის არსებული პაუზა მიგვანიშნებს. ასეთ შემთხვევებში ძირითადად აღდგება **არის** ზმნა:

ნეტკრედიტი – შენი მეორე საფულე = ნეტკრედიტი **არის** შენი მეორე საფულე.

ფრინტი – ექსტრემალურად მომგებიანი = ფრინტი **არის** ექსტრემალურად მომგებიანი.

ავერსი – თქვენი ოჯახის აფთიაქი = ავერსი **არის** თქვენი ოჯახის აფთიაქი.

გორგია – ყველაზე იაფი სუპერმარკეტი = გორგია **არის** ყველაზე იაფი სუპერმარკეტი.

თიბისი – მუდამ თქვენ გვერდით = თიბისი **არის** მუდამ თქვენ გვერდით.

სხვა შემთხვევებში იგულისხმება ზმნა-შემასმენელი **აქვს**:

ბილაინი – ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასები = ბილაინს **აქვს** ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასები.

ფრესკო – სტაბილურად დაბალი ფასები = ფრესკოს **აქვს** სტაბილურად დაბალი ფასები.

ჯეოსელი – შეუზღუდავი სატელეფონო კავშირი = ჯეოსელს **აქვს** შეუზღუდავი სალეტეფონო კავშირი.

დასტურდება რთულწინადადებებიანი (თანწყობილი თუ ქვეწყობილი) სარეკლამო ტექსტებიც:

/ჯითიჯი – სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს/

/პარადონტაქსი – მათთვის, ვინც ამჩნევს სისხლს კბილების გახეხვის დროს/

/ნატახტარი – ჩვენ ერთად ვართ, მთავარია/

/ნატახტარი – ნამდვილი მეგობრობა, რომლისთვისაც ცხოვრება ღირს/

/ნატახტარი – მერე რა, რომ ზამთარია/

/ტოტალ შარმი – ადამიანები, რომლებიც ქმნიან სილამაზეს/

/ნატახტარი – გემო, რომელსაც 2,5 წელი ვქმნიდით/

სარეკლამო ტექსტმა მოკლე დროში უნდა წარმოაჩინოს ამა თუ იმ სახის მოწოდება თუ შეთავაზება, ამიტომაც გამოიყენება ხოლმე ყველაზე ხშირად მარტივი წინადადებები, თუმცა, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, არც ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ყოფილა მისთვის უცხო. ოღონდ სარეკლამო სლოგანის რთული ქვეწყობილი წინადადებები ერთგვარად შეკუმშული სახით წარმოგვიდგება – მთავარ წინადადებებში ზმნა-შემასმენელი არ ჩანს ან შესიტყვება მთლიანად შეკუმშულია და მხოლოდ სახელია დარჩენილი. სწორედ ამ სახელს მიემართება დამოკიდებული წინადადება.

აღვადგინოთ რამდენიმე კონსტრუქცია:

სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს = **ეს არის სახლი**, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს.

მათთვის, ვინც ამჩნევს სისხლს კბილების გახეხვის დროს = **ეს არის მათთვის**, ვინც ამჩნევს სისხლს კბილების გახეხვის დროს.

ნამდვილი მეგობრობა, რომლისთვისაც ცხოვრება ღირს = **ეს არის ნამდვილი მეგობრობა**, რომლისთვისაც ცხოვრება ღირს.

ადამიანები, რომლებიც ქმნიან სილამზაეს = **ესენი არიან ადამიანები**, რომლებიც ქმნიან სილამაზეს.

როდესაც სიმძლავრეს ერთვის კომფორტი – ამ შემთხვევაში მთავარი წინადადება საერთოდ არ ჩანს და მხოლოდ დამოკიდებული წინადადება გამოხატავს სათქმელს. მთავარი წინადადება კი შემდეგნაირად აღდგება – **მაშინ**, როდესაც სიმძლავრეს ერთვის კომფორტი.

ან კიდევ:

გემო, რომელსაც 2,5 წელი ვქმნიდით = **ეს არის გემო**, რომელსაც 2,5 ნელი ვქმნიდით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ სლოგანი წარმოდგენილია შერწყმული წინადადებით:

/ჯაკობსი – იმუშავე მაგრად, დაისვენე კარგად!/

/არაყი ხორტიცა – იყიდე, გააცივე, გაალურჯე, დაიწყე!/

/სილქნეტი – აყევი სილქის სიჩქარეს, გადმოერთე!/

/მოწევა კლავს, მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს!/

/MoneyMan. ge – 0% საკომისიო პირველ და ყველა დანარჩენ სესხზე/

ლიბერთი ბანკი – ყველგან და ყოველთვის. ამ წინადადებაში აღდგება ზმნა **არის** (ლიბერთი ბანკი არის ყველგან და ყოველთვის).

სხვა შემთხვევები:

/ორბიტი – ჭამე, დალიე, დაღეჭე ორბიტი!/

სარეკლამო სლოგანებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რთული თანწყობილი (პარატაქსული) წინადადებებიც დასტურდება:

/Huawie – მე არ ვემონები ტიპობას, ტიპობა მემონება მე/

/PLANNER – ჩვენ ვქმნით, თქვენ ცხოვრობთ/

რაკი რეკლამა ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ემსახურება, მისი შემქმნელი ყოველთვის ცდილობს ტექსტი ენობრივად ისე შეადგინოს, რომ მიიზიდოს და დააინტერესოს მომხმარებელი. საამიოდ, როგორც ზემოთ ითქვა, ძალიან ხშირად იყენებენ ზედსართავ სახელებს (საუკეთესო, საოცარი...). არცთუ იშვიათად მოხმობილია შემდეგი ფორმებიც: ყველაზე, ყოველთვის, მუდამ, მხოლოდ, ყველგან, ყველა:

/Beeline – **ყოველთვის ყველაზე** დაბალი ფასები/

/ლიბერთი ბანკი – **ყველგან** და **ყოველთვის**/

/გორგია – **ყველაზე** იაფი სუპერმარკეტი/

/საირმე – **ყველაზე** ახლოს ბუნებასთან/

/თიბისი ბანკი – **მუდამ** თქვენ გვერდით/

/რეკლამა **მხოლოდ** 1 ლარად/

/ჩვენ ვბეჭდავთ **მხოლოდ** ხარისხიან ქაღალდზე/

/კულა – კულას წვენი **ყველაზე** გემრიელია/

/Fly.ge – **ყველა** ავიაბილეთი ერთ საიტზე/

სარეკლამო ტექსტში ზმნა-შემასმენლები გამოიყენება დრო-კილოთა სხვადასხვა ფორმით, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, უპირატესობა ენიჭება აწმყოს. I სერიის ფორმათაგან (აწმყოს წრიდან) ჭარბობს უშუალოდ აწმყოს მწკრივი, უფრო ზუსტად, ისეთი ფორმები, რომლებიც ზოგად აწმყოს გამოხატავენ (არ შეიცავენ დროის გაგებას):

/ჩვენ **ვბეჭდავთ** მხოლოდ ხარისხიან ქაღალდზე/

/შენ **გრძნობ**, სხვები **ამჩნევენ**/

/აი, რა **მიყვარს**/

/როდესაც სიმძლავრეს **ერთვის** კომფორტი/

/ჩვენ **ვქმნით**, თქვენ **ცხოვრობთ**/

/მე **ვირჩევ** მხოლოდ საუკეთესოს/

/მე **მიყვარს** ის/

/**კლავს** მხოლოდ ცუდს/

/მათთვის, ვინც **ამჩნევს** სისხლს კბილების გახეხვის დროს/

/ჩვენ ერთად **ვართ**, **მთავარია**/

/მე არ **ვემონები** ტიპობას, ტიპობა **მემონება** მე/
/ნამდვილი მეგობრობა, რომლისთვისაც ცხოვრება **ღირს**/
/კარგი ინტერნეტი **იწყება** 5 მეგაბაიტიდან/
/თქვენი ბიზნესი ბევრად მარტივად **იძებნება**/
/ჩვენ **ვხდით** ფულს ხელმისაწვდომს/
/ადამიანები, რომლებიც **ქმნიან** სილამაზეს/
/მართლა ნაბეღლავი **ჯობია**/
/**შექმნილია** გაზიარებისათვის/

იშვიათია უწყვეტლის ფორმები (I სერიის აწმყოს წრისა):
/გემო, რომელსაც 2,5 წელი **ვქმნიდით**/

რეკლამის ენაში (როგორც ვნახეთ) სიმარტივისა და ლაკონიურობის გამო ხშირად გვხვდება ელიფსური კონსტრუქციები.

ზოგადად, ზეპირ მეტყველებასა თუ რეკლამის ენაში არცთუ იშვიათად გამოიყენება ისეთი სახის რთული წინადადებები, რომელთა პირველი ნაწილი შეკვეცილი სახით – მხოლოდ ერთი წევრით გადმოიცემა, ხოლო მეორე – მთლიანი წინადადებით. ეს უკანასკნელი მაქვემდებარებელი კავშირით მოსდევს წინადადების პირველი ნაწილის ერთადერთ წევრს (სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს; ადამიანები, რომლებიც ქმნიან სილამაზეს; ნამდვილი მეგობრობა, რომლისთვისაც ცხოვრება ღირს; ხარისხი, რომელსაც ვენდობი; ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია; მათთვის, ვისაც სასწაულის სჯერა; მშენებლობა, რომელსაც ვენდობი; მათთვის, ვისაც უფრო მეტი სურს; იმიტომ, რომ ამის ღირსი ხართ; გემო, რომელსაც 2,5 წელი ვქმნიდით...).

რაც შეეხება ქვემოთ მოყვანილ კონსტრუქციებს. ამ შემთხვევაშიც მათი პირველი ნაწილი ყველგან ზმნის გარეშეა წარმოდგენილი, მაშასადამე, გადმოცემულია არა წინადადებით, არამედ მხოლოდ ერთი კომპონენტით; ზმნა-შემასმენელი არც მეორე ნაწილში დასტურდება. საინტერესოა, რომ სარეკლამო სლოგანები ხშირად სწორედ აღნიშნული ტიპის წინადადებებითაა გამართული, ხოლო ამ „დანაკლისს“ ერთგვარად ავსებს პროდუქტის, კომპანიისა თუ ორგანიზაციის სახელწოდებანი (ბილაინი – ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასები; ფრინტი – ექსტრემალურად მომგებიანი; ლიბერთი ბანკი – ყველგან და ყოველთვის; გორგია – ყველაზე იაფი სუპერმარკეტი; მაგთი – ერთი და ნაღდი! ზედაზენი – აბა რა!).

ზემოთ წარმოდგენილ სარეკლამო სლოგანებში წინადადებათა რთული კონსტრუქციები **ელიფსის ერთგვარი ნიმუშებია** – ნაგულისხმევი ზმნა-შემასმენელი თუ წინადადების სხვა წევრები აშკარად ივარაუდება და მათი აღდგენაც ადვილად შესაძლებელია (ხარისხი, რომელსაც ვენდობი = ეს არის ხარისხი, რომელსაც ვენდობი; სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს = ეს არის სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს; ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია = ეს არის ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია; მათთვის, ვისაც სასწაულის სჯერა = ესაა განკუთვნილი მათთვის, ვისაც სასწაულის სჯერა).

როგორც ითქვა, ზოგჯერ დასტურდება ისეთი სლოგანებიც, რომლებშიც სათქმელი პირობითად მხოლოდ დამოკიდებული წინადადებითაა გადმოცემული (ვინც საკუთარ გზას ირჩევს; როცა სიმძლავრეს ერთვის კომფორტი; როდესაც ტკივილი გესხმით თავს; როცა უკეთესი გინდა...).

აღნიშნული ტიპის წინადადებებს მთლიანად აკლია მთავარი წინადადება, თუმცა სათქმელი ნათელია და გასაგები. დასახელებული კონსტრუქციები იწყება საკავშირებელი სიტყვებით, მაგრამ ისინი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირის როლს ვერ ასრულებენ, თუმცა მთავარი წინადადების აღდგენისას მათ უბრუნდებათ დაკისრებული ფუნქცია (ვინც საკუთარ გზას ირჩევს – ეს განკუთვნილია მათთვის, ვინც საკუთარ გზას ირჩევს; როცა სიმძლავრეს ერთვის კომფორტი – შეიგრძენი ის მომენტი, როცა სიმძლავრეს ერთვის კომფორტი; როდესაც ტკივილი გესხმით თავს – მიიღეთ მაშინ, როდესაც ტკივილი გესხმით თავს...).

სავარაუდო სრული ჰიპოტაქსური წყობის ნაცვლად მხოლოდ დამოკიდებული წინადადებით სლოგანის წარმოდგენა, როგორც ითქვა, განპირობებულია აზრის გადმოცემის სისხარტითა და ლაკონიურობით.

რაც შეეხება ისეთ სლოგანებს, როცა მთავარი წინადადება ერთსიტყვიანია (მაგ., სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს...), ამ შემთხვევებში გვაქვს ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნაწილების (მთავრისა და დამოკიდებულის კომპონენტთა) იმგვარი შერწყმა, რომლის შედეგადაც მიიღება მარტივის მსგავსი ნაჰიპოტაქსარი კონსტრუქციები. ვფიქრობთ, ისინი გარკვეული ტიპის **ელიფსური სახის რთული ქვეწყობილი წინადადებებია**. მთავარ წინადადებაში გადმოცემული წევრის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ როგორი აგებულებისაა მთლიანი წინადადება. კონსტრუქციების პირველი ნაწილი ელიფსურია, ხოლო მეორე სრული სახის დამოკიდებულ წინადადებას წარმოადგენს. მაგალითად, [ეს არის] სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება: რომელი სახლი?); [ეს არის] ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია. აქ საკორელაციო სიტყვაა მოცემული (ის – რა?), **ის** ქვემდებარეა მთავარ წინადადებაში და, შესაბამისად, წინადადება ქვემდებარული დამოკიდებულია; მათთვის, ვისაც სასწაულის სჯერა – [ეს არის განკუთვნილი] მათთვის, ვისაც სასწაულის სჯერა (ვისთვის? – მათთვის) – დამოკიდებული წინადადება უბრალო დამატებას ხსნის და აზუსტებს, შესაბამისად, ის უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაბმულ მეტყველებასა და რეკლამის ენაში წინადადებათა ზემოთ გაანალიზებული სტრუქტურები სათქმელის ლაკონიურობისათვის გამოიყენება, აზრის სისხარტეს ემსახურება და ერთგვარ სტილსაც სძენს ტექსტს. დასახელებული სახის სარეკლამო სლოგანები, საგაზეთო სათაურები თუ საჯარო გამოსვლებში გამოყენებული ელიფსური რთული ქვეწყობილი წინადადებები, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება სრულ წინადადადებებად. ისინი **კომუნიკატივებს**, ანუ **დაუნაწევრებელ ერთეულებს** მიეკუთვნებიან – როგორც ერთიანი ინტონაციის მქონე ერთეულები და საინფორმაციო საშუალებანი.

8. ოფიციალურ-საქმიან ტექსტზე მუშაობის პრაქტიკა

ყოველი ოფიციალური დოკუმენტი საჭიროებს ენობრივ რედაქტირებას. სანიმუშოდ წარმოდგენილია მოკლე ამონარიდი **საქართველოს კონსტიტუციიდან**, რომელიც ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო დახვეწილი ტექსტია. გთავაზობთ ამ მონაკვეთს – დანახულს ენათმეცნიერების თვალით (გასასწორებელი ერთეულები ტექსტში ხაზგასმულია, ხოლო არეზე გასწორებული ვარიანტია გატანილი).

საქართველოს კონსტიტუცია

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულსამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.

უფლებები და თავისუფლება,

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

შორის – აფხაზეთის,

ოლქში,

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

საქართველო.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართვე-

ლოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით. შესაძლებელია

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოყვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი. №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ; უფლებებისა და თავისუფლების,

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა ალმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

წიაღისეულისა

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ.

შესახებ.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ.

შესახებ.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-სსმI, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმI, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4135-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.46

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. | რესპუბლიკასა

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-სსმI, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმI, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. | კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმI, №9, 10.04.2001წ., მუხ.33

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. | თავისუფლებას | თავისუფლებით

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური. აგრეთვე – აფხაზური.

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმI, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. ერთად, ავტოკეფალური

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. ავტოკეფალური

უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების

საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი №826-სსმI, №9. 10.04.2001წ., მუხ.33

მუხლი 10 საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11 საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

უფლებები და თავისუფლება

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. უკავშირდება ინტერესებს

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან დაუშვებელია.

საქართველოს მოქალაქის გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის დაუშვებელია,

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

თანასწორია – განურჩევლად

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

სიცოცხლე არის ადამიანის ხელშეუვალი უფლება და მას იცავს კანონი.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

მოპყრობა და ამგვარი სასჯელის გამოყენება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. 4. (ამოღებულია).

არაუგვიანეს

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

მას შეუძლია დაკავების ან დაპატიმრებისთანავე

6. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმ I, №3, 11.01.2007წ., მუხ.48

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ I, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

აგრეთვე – მისი

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, ავრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საშუალებებით,

გარეშეც

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

ან სხვა საკუთრებაში

აგრეთვე – ჩაატაროს

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

აღნიშნული უფლებების

წესით – იმგვარად,

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

4. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI. №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავი სუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ჩამოთვლილი უფლებები შესაძლებელია

მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმI, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

უფლება აქვს შეკრიბოს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ, როგორც ჭერქვეშ, ისე ღია ცის ქვეშ.

შეიძლება კანონით დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა – შეკრების მანიფესტაციის ხელისუფლების.

მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა

მათ შორის – პროფესიული კავშირების.

პარტია ან სხვა

მიზანია ან

წყობილების ძალადობით შეცვლა. დარღვევა,

ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №2494-სსმI, №1, 04.01.2006წ., მუხ.1

ომისა თუ

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მოქალაქეთა, საქართველოს მოქალაქეობის

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. საქართველოში უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

3. არჩევნებსა

ქმედუუნაროდ ცნო ან რომელიც

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1[1]. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ, მუხ.379

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 34[1]

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მათს

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2597-სსმI, №23, 12.08.2003წ., მუხ.168

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4135-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.46

სახელმწიფო სრულად აფინანსებს ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით.

აქვთ,

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დანესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

სიკეთით.

4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად. ადამიანის უკანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

უზრუნველსაყოფად. ეს წინადადება ზედმეტია.

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

უფლება

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

თანასწორი ცხოვრებაში, შესაბამისად,

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

თავისუფლებისა

გამომდინარეობენ

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ

მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ეს უკანასკნელნი

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

უფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

არ შეიძლება ვინმეს

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

არავინ არ უდა აგოს პასუხი იმ ქმედების გამო,

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

ისეთივე

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

რესპუბლიკებისა

ანაზღაურება, შესაბამისად – რესპუბლიკისა

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

უფლებებისა და თავისუფლების

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

უფლებებისა და თავისუფლების

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

უფლებებისა და

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

თავისუფლება.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

ფლებები და
თავისუფლება.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

ფლებები და
თავისუფლება

ეს გადაწყვეტილება,
დასამტკიცებლად
შეიტანოს პარლა-
მენტში არაუგვიანეს
48 საათისა.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

იმართება

გამართვის

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი,

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

მრწამსისა თუ იმ ქმედების გამო,

თავი მესამე
საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ზედამხედველობას

[**მუხლი 48[1]**

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, (ამოქმედდეს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღიდან)]

დროს (

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1674-სსმI, №29, 12.10.2009წ., მუხ.157

საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი №4985 - ვებგვერდი, 14.07.2011წ.

მუხლი 49

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან.

კენჭისყრით 4 წლის ვადით

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №1010-სსმI, №8, 10.03.2005წ., მუხ.57

საქართველოს 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-სსმI, №3, 13.03.2008წ., მუხ.8

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც დადასტურებულია ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩეველების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1%-ზე მეტი. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის წესი და პირობები განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

2. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

2[1]. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე. პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების

მხარდაჭერაც არის დადასტურებული ორგანული კანონით დადგენილი წესით ამომრჩეველთა ხელმოწერებით.

ამომრჩეველების ხელმოწერების ორგანული კანონით განსაზღვრული

განსაზღვრული

ტარდება

არაუგვიანეს

ტარდება

ტარდება

თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

3[1]. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობებისა და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. უფლება

საქართველოს 1999 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2221-სსმI, №35(42), 28.07.1999წ., მუხ.169 საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4133-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.44

საქართველოს 2008 წლის 12 მარტის კონსტიტუციური კანონი №5853-სსმI, №3, 13.03.2008წ., მუხ.8

მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51[1]

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;

[ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე; (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

[დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე. *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს

გარდა შემდეგისა:

გამართვიდან

გამართვიდან

საფუძველზე (

საფუძველზე (

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

გაანდეს,

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

საქართველოს 2004 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი №6-სსმI, №9, 03.05.2004წ., მუხ.39

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა; — მოეხსნა უფლებამოსილება

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში; — ოთხი თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით

ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით. — მათ შორის – თითო

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პარლამენტის მუშაობას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე; იგი

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

პარლამენტის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებენ მისი მოადგილეები.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის კონსტიტუციური კანონი №260-სსმI, №15, 25.04.2000წ., მუხ.36

საქართველოს 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1689-სსმI, №28, 28.10.2002წ., მუხ.128

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი რეგლამენტით დადგენილი წესით. დროებით კომისიაში საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. (ამოღებულია).

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

საქართველოს 2005 წლის 23 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №1010-სსმI, №8, 10.03.2005წ., მუხ.57 საქართველოს 2008 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №343-სსმI, №25, 23.10.2008წ., მუხ.164

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

[1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან პასუხი. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

პასუხი (

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

ჯგუფს ან საპარლამენტო

რომელიმე

დასმულ შეკითხვას უპასუხონ

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

რომელიმე

შემთხვევაში

[3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]

რომელიმე

საკითხი (

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. პარლამენტის პლენარული სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა.

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მორიგების აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

[2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით ან მთავრობის წარდგინებით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში

3. მთავრობის წევრი, ხოლო სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია.

ასეთ

4. პარლამენტის პლენარული

2 პარლამენტის ღია პლენარული სხდომის ოქმი საჯაროა.

თავისი უფლებით იკრიბება სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება

თანახმად.

თავმჯდომარის ან

მოთხოვნით,

მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. [ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]	თანახმად, განმავლობაში (
3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.	გაიმართება
4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე. საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379	პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში პარლამენტი იკრიბება 48 საათის განმავლობაში.

III. საქმის ქაღალდები

ოფიციალურ-საქმიანი სფეროს ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია სამოქალაქო სუბიექტთა დოკუმენტები, ანუ საქმის ქაღალდები. ესენია: განცხადება, მოხსენებითი თუ ახსნაგანმარტებითი ბარათი, ცნობა, საქმიანი მიმოწერა, სივი (CV), დახასიათება, რეკომენდაცია, მოხსენება, ოქმი, ავტობიოგრაფია... ყველა დასახელებული დოკუმენტი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. ზოგადად, ყველა მათგანისათვის (ისევე როგორც, საერთოდ, ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის) დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- სტანდარტულობა;
- ლაკონიურობა;
- აზრის სიცხადე, სათქმელის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება;
- ე. წ. აღწერითი ფორმების გამოყენება;
- ნორმატიულობა.

• • •

ნებისმიერი სახის საქმის ქაღალდი იქმნება გარკვეული წესით, ფორმდება სპეციფიკურად. სამოქალაქო სუბიექტთა ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან თუ კომპანიებთან ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა **განცხადებაა**. მისი გაფორმებისას უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები:

1. პირველ ხაზზე – მარცხნიდან, ფურცლის 1 3-ის შეწევით იწერება იმ ორგანიზაციის/დაწესებულებისა თუ კომპანიის სრული სახელწოდება, ადრესატის თანამდებობა და გვარ-სახელი (თუ ესა თუ ის თანამდებობის პირი არის ყველასათვის ცნობილი, შესაძლებელია მისი სახელი ინიციალით დაიწეროს ხოლო განმცხადებლის სახელი, ანუ ჩვენი (ვინც მოვმართავთ) – სრულად, რადგან ასეთი სამოქალაქო სუბიექტი ბევრია და უცნობი).

2. მომდევნო ხაზზე, ზუსტად პირველი სტრიქონის ქვეშით, იწერება განმცხადებლის ვინაობა (მისი სამოქალაქო რაობა და გვარ-სახელი). აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ განცხადების მიმართვის სუბიექტსა და განმცხადებლის ვინაობას შორის გამოტოვებული უნდა იყოს ერთი ხაზი.

3. თუ განცხადება იწერება სხვადასხვა დაწესებულების ფარგლებში, მაშინ განმცხადებლის ადმინისტრაციული თანამდებობა (დაწესებულების/კომპანიის... სახელწოდება) ან სამოქალაქო რაობა სრულად უნდა დაიწეროს, ხოლო თუ ერთი დაწესებულების ფარგლებში იწერება, მაშინ აღარაა საჭირო იმავე დაწესებულების დასახელება, მხოლოდ განმცხადებლის ვინაობა დაიწერება.

4. ერთი-ორი სტრიქონის გამოტოვებით – ფურცლის შუა ადგილას დაიწერება დოკუმენტის სახელწოდება: **განცხადება**. საქმის ქაღალდის სახელწოდების გამლით დაწერა არ არის აუცილებელი (თუმცა აკრძალულიც არ არის).

5. ერთი სტრიქონის გამოტოვებით – აბზაცით იწყება განცხადების შინაარსი. თუ განცხადების განმარტებითი ნაწილი ვრცელია, მაშინ დასკვნითი ნაწილი, დაწყებული სიტყვით **გთხოვთ**, დაიწერება ასევე აბზაცით. სიტყვა **გთხოვთ** არ გამოიყოფა მძიმით.

6. განცხადების ქვემოთ, მარცხენა მხარეს იწერება შესაბამისი თარიღი, ხოლო მარჯვენა ნახევარში – განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადების ნიმუში სხვადასხვა დაწესებულების ფარგლებში:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ
(სახელი, გვარი)

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის
(სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებისათვის – „გაიცანი საქართველო“ – საჭირო საკონფერენციო დარბაზი შერჩეულია ჩვენს კუთვნილ შენობაში (სანაპიროს ქ. 4). გთხოვთ თქვენი სამინისტროდან დროულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია სავარაუდო მონაწილეთა შესახებ.

[თარიღი] [ხელმოწერა]

განცხადების ნიმუში ერთი დაწესებულების ფარგლებში:

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო
სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ (სახელი,
გვარი)

ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტის
(სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ მომცეთ კუთვნილი შვებულება ამა წლის 3 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

[თარიღი] [ხელმოწერა]

დღეს ბევრ კომპანიასა თუ დაწესებულებას აქვს ოფიციალური მიმოწერისათვის, ოფიციალური განცხადებებისა და მიმართვებისათვის განკუთვნილი ბლანკი, რომელზედაც სრულადაა წარმოდგენილი მათი სახელწოდება (შუაში), ზოგჯერ – ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა თანამდებობის პირთა ვინაობაც. ამიტომ, რაკი ეს ინფორმაცია უკვე ბლანკზეა მითითებული, საჭირო აღარაა კვლავ მისი განმეორება; დაიწერება მხოლოდ განმცხადებლის ვინაობა. ასეთ ბლანკებს დასაწყისშივე ყოველთვის ახლავს ორგანიზაციის გერბიც.

მაგალითად:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
Ministry of Education and Science of Georgia

სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრს

საქართველოს განათლების სამინისტროსა და სსიპ კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი გამოფენა ტექნიკური ხარვეზების გამო 26 აპრილის ნაცვლად გაიმართება 5 მაისს.

[თანამდებობა]
[სახელი, გვარი]

არსებობს წმინდა საინფორმაციო ხასიათის განცხადებაც, რომელიც ასევე ძალიან ხშირად გამოიყენება. ეს ისეთი დოკუმენტია, რომელშიც ერა თუ ის დაწესებულება, ორგანიზაცია, ცალკეულ პირთა ჯგუფი ან რომელიმე პირი აცნობებს საზოგადებას დაგეგმილი ღონისძიების შესახებ – ეს შეიძლება იყოს რაიმე კონფერენცია, კრება, თათბირი, სხდომა, კონცერტი, საქველმოქმედო ღონისძიება, საჯარო ლექციის გამართვა და ა. შ. ასეთი სახის განცხადებები სხვაგვარად აიგება. ტექსტში დეტალურადაა მითითებული დაგეგმილი ღონისძიების გამართვის შესახებ ინფორმაცია – ადგილი (თუ სად გაიმართება), დრო, ღონისძიების არსი და დასახელებულია ამ ღონისძიების ორგანიზატორი ორგანიზატორები (ცალკეული პირი, პირები თუ დაწესებულება-ორგანიზაცია). რადგან განცხადებაში აღნიშნულია დრო, ტექსტის ბოლოს აღარაა საჭირო დათარიღება. მაგალითად:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 15 მარტს, 3 საათზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა სტუდენტებთან.

დასწრება თავისუფალია.

სტუდენტური თვითმმართველობა

• • •

სტრუქტურულად განცხადების მსგავსად იწერება ***ახსნაგანმარტებითი ბარათიც****, ოღონდ ინფორმაციულობის თვალსაზრისით ეს უკანასკნელი უფრო ვრცელია. გარდა ამისა, ახსნაგანმარტებითი ბარათი გულისხმობს სათანადო მოთხოვნას ზემდგომი პირისა თუ ინსტანციის მხრივ. მასში ავტორი ხსნის, განმარტავს უკვე მომხადარ ფაქტებს, აკეთებს მათზე კომენტარს.*

ნიმუში:

შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელს, ბატონ (სახელი, გვარი)

სამეცნიერო პროექტის – „ეკოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ – ხელმძღვანელის (სახელი, გვარი)

ა ხ ს ნ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ საგრანტო პროექტის II ეტაპის მიხედვით დაგეგმილ და შესრულებულ სამუშაოს, მათ შორის, ფინანსურ ანგარიშს (სულ 130 გვერდი). გატყობინებთ, რომ ამ ეტაპზე დაგეგმილი იყო მივლინება 20 დღით ზემო სვანეთში (პროექტის 3 მონაწილის შემადგენლობით). ერთი მონაწილის მოულოდნელი ავადმყოფობის გამო (საჭირო გახდა გადაუდებელი ოპერაცია) მივლინებაში წავიდა მხოლოდ 2 მათგანი. ამიტომ გამოყოფილი თანხა სრულად ვერ ავითვისეთ, რადგან არ დაიხარჯა მესამე მონაწილის, გიორგი ნადიბაიძის, მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ხარჯი (სულ 300 ლარი). აუთვისებელ თანხას სრულად ვაბრუნებთ უკან. გიორგი ნადიბაიძის ჯანმრთელობის ცნობა (ოპერაციის შესახებ) საავადმყოფოდან თან ახლავს ახსნაგანმარტებით ბარათს.

[თარიღი] [ხელმოწერა]

დასახელებული დოკუმენტის სახელწოდებად ***ახსნაგანმარტებითი ბარათის*** *ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ასევე* ***ახსნა-განმარტება.***

სხვა ნიმუში:

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერისტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ბატონ/ქალბატონ
(ინიც., გვარი)

ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის
(სახელი, გვარი)

ახსნაგანმარტებითი ბარათი

მოვახსენებთ, რომ ვარ სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი აქტიური წევრი. საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში თანაკურსელებთან ერთად ვაწარმოებდი ეთნოლოგიურ კვლევას კახეთის რეგიონში. პროექტის მიხედვით კვლავ უნდა გავემგზავრო იქ აპრილში. ჯანმრთელობის გაუარესების გამო (მესაჭიროება ოპერაცია) ვერ შევძლებ პროექტში მუშაობის გაგრძელებას.

[თარიღი] [ხელმოწერა]

* * *

გაფორმების თალსაზრისით ხშირად სიჭრელე გვაქვს (როგორც სტილისტიკური, ასევე აზრობრივი) მოქალაქეთა მიერ შემოსულ განცხადებებში. რაც ყველაზე ხშირად უკავშირდება განმცხადებლის გვარ-სახელისა და მისამართის ჩვენებას (ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გაფორმების თვალსაზრისით არასწორადაა მითითებული განმცხადებლის მისამართი):

ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოც.
მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს,
ბატონ გ. ჩივიაშვილს

მოქალაქე გიორგი შალამბერიძის მცხოვრები
ქ. თბილისში, ატენის ქუჩა 8

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ სოციალურად დაუცველი. ექიმის დასკვნის მიხედვით, მესაჭიროება ფარისებრი ჯირკვლის ოპერაცია. გთხოვთ დამიფინანსოთ ოპერაციის თანხა.

[თარიღი] [ხელმოწერა]

გვხვდება შემდეგი სახით გაფორმებული განცხადებებიც:

ბარათაშვილის ქუჩა 35-ში მცხოვრები
მოქალაქის (სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ხშირად მისამართთან ერთად უთითებენ საკონტაქტო ინფორმაციასაც:

მოქალაქე ზვიად ბობოხიძის, მცხოვრები
ქ. თბილისი, საბურთალოს ქუჩა 105, II
კორპუსი, ტ. 597-12-25-25

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზემოთ წარმოდგენილ განცხადების ნიმუშებში საცხოვრებელი ადგილისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, რათა შემოსული განცხადების პასუხი გაიგზავნოს წარმოდგენილ მისამართზე ან შეატყობინონ ტელეფონით, თუმცა მსგავს შემთხვევებში აჯობებს მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია მიეთითოს ფრჩხილებში. ამით გამარტივდება წინადადების კონსტრუქცია და დაიხვეწება სტილიც:

მოქალაქე ზვიად ბობოხიძის
(ქ. თბილისი, საბურთალოს ქ.105, II კორპუსი,
ტ. 597-12-25-25)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

• • •

*საქმის ქაღალდის ერთ-ერთი სახეა **მოხსენებითი ბარათი**. გაფორმების თვალსაზრისით ის მეტ-ნაკლებად განსხვავდება განცხადებისა და ახსნაგანმარტებითი ბარათისაგან. მოხსენებითი ბარათი განცხადებაზე უფრო ვრცელია. მისი მიზანია – კოლეგები, დაინტერესებული პირები დაარწმუნოს ამა თუ იმ მოქმედების მართებულობაში.*

მოხსენებითი ბარათი ყველაზე ხშირად სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. შესავალში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ ვინ რას საქმიანობს (სად, რატომ და როდის).

*მოხსენებითი ბარათი ყველაზე ხშირად იწყება ასე. **მოგახსენებთ, რომ..., გვინდა შეგატყობინოთ, რომ..., გაწვდით ინფორმაციას... შესახებ**. მის ძირითად ნაწილში მთავარი საკითხის (სათქმელის) არგუმენტირებაა წარმოდგენილი, ხოლო დასკვნაში შეჯამებულია მომხსენებლის აზრი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოხსენებითი ბარათი ძირითადად დაწესებულების შიდა მიმოწერისას გამოიყენება.*

ნიმუში:

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ (სახელი, გვარი)

ამავე ინსტიტუტის ეკონომიკური მეცნიერებების შემსწავლელი განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (სახელი, გვარი)

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ ვარ ეკონომიკის ინსტიტუტის ყოველწლიური ჟურნალის – „ეკონომიკა“ – რედაქციის ერთ-ერთი წევრი. ჟურნალი არამხოლოდ ეკონომისტთა, არამედ, ზოგადად, ფართო საზოგადოებაში მეტად გავრცელებული და პოპულარულია. რედკოლეგიის დიდი ძალისხმევით მასში იბეჭდება კვალიფიციურ მეცნიერთა ნაშრომები და სტატიები. გამოცემა, ჩვეულებრივ, ეხმიანება ეკონომიკის თანამედროვე აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებს.

ამ ბოლო დროს იბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერთა ისეთი სტატიებიც, რომლებშიც არაკვალიფიციური და ნაჩქარევი თვალსაზრისებია გადმოცემული. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ჟურნალის ხარისხსა და რეიტინგზე უარყოფითად აისახება. შეგახსენებთ, რომ „ეკონომიკა“ უკვე ათ წელზე მეტია ღირსეულად ემსახურება საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და კვლევას. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, ვითარება დროულად გამოსწორდეს.

ვფიქრობთ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც წინასწარ განიხილავს რედაქციაში შემოსულ სტა-

ტიებს და მხოლოდ ამ კომისიის მიერ დადებული რეზოლუციით გახდეს შესაძლებელი მათი გამოქვეყნება. გარდა ამისა, ასევე კარგი იქნება – აღდგეს ინსტიტუტის ძველი ტრადიცია: თითოეულმა განყოფილებამ მოიწვიოს სხდომა, სადაც განიხილავენ თავიანთი თანამშრომლების სტატიებს. იმედი გვაქვს, რომ საკითხის მიმართ ასეთი მიდგომა უდავოდ გამოასწორებს შექმნილ ვითარებას.

[თარიღი] [ხელმოწერა]

დათარიღება და ხელმოწერა მოხსენებით ბარათსაც სჭირდება.

• • •

***ოქმის** ძირითადი ფუნქციაა რაიმე ოფიციალური შეკრების, სხდომის, თათბირის მსვლელობის აღწერა. მას, ჩვეულებისამებრ, ადგენს შესაბამისი სხდომის მდივანი. ოქმი დამოწმდება ამ სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით. ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში, კერძო მოთხოვნით, კეთდება ე. წ. „ოქმის ამონაწერი"; იგი შეიცავს ოქმის შესავალ ნაწილსა და იმ მონაკვეთს, რომელიც კონკრეტული (მომთხოვნი) პირისათვის არის საჭირო.*

*ოქმიც, სხვა საქმის ქაღალდების მსგავსად, იწერება ოფიციალურ-საქმიანი სტილით, გამოიყენება ზმნის ფორმები – **მოისმინეს**, **დაადგინეს**, **მიიღეს**, **გადაწყვიტეს**... ოქმს ასევე ახასიათებს ნუმერაცია. ეს ეხება არამხოლოდ მასში შესატან დღის წესრიგის საკითხებს, არამედ მოსმენილ თუ განხილულ თემატიკასა და დადგენილებებსაც.*

ნიმუში:

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის სხდომის
ოქმი № ...

ქ. თბილისი

2015 წლის 17 თებერვალს გაიმართა ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი), მოადგილე (სახელი, გვარი), უფროსი სპეციალისტები (სახელები და გვარები) და სპეციალისტები (სახელები და გვარები).

დღის წესრიგი:

1. საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების მოძრაობის ახალი მარშრუტების შემუშავება და თბილისის მთავრობისათვის დასადგენად წარდგენა.

2. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მოძრაობის მარშრუტების ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება.

3. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: 1. ინფორმაცია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების მოძრაობის ახალი მარშრუტების შემუშავების შესახებ.

საქალაქო სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა საბჭოს წარუდგინა თბილისის ავტობუსების მოძრაობის ახალი მარშრუტები. აღინიშნა, რომ გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის გამო საჭირო გახდა ახალი ავტობუსების დამატება და შესაბამისი მარშრუტის შექმნა. არაერთი ქუჩის მცხოვრებმა შემოიტანა განცხადება ამის თაობაზე და შესაბამისი რეაგირება აუცილებელია.

მომხსენებელმა წარადგინა ახალი მარშრუტები და სია სავარაუდო ავტობუსების რაოდენობისა (დოკუმენტი თან ახლავს ოქმს).

დაადგინეს: შეიქმნას დამატებითი მარშრუტები ავტობუსებისათვის და განისაზღვროს განრიგი წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით.

მოისმინეს: 2. ინფორმაცია მარშრუტების ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ.

საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გააცნო კრებას თბილისის სატრანსპორტო საშუალებების დღევანდელი მდგომარეობა. აღნიშნა, რომ ქალაქი აუცილებლად საჭიროებს მარშრუტების ოპტიმიზაციას – შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ავტობუსების შეძენა და ასევე მათთვის ახალი, ოპტიმალური მარშრუტის მოძიება. ასევე უნდა შეფასდეს უკვე არსებული ავტობუსები ტექნიკური თვალსაზრისით. ის, რომელიც ეჭვემდებარება შეკეთებას, გაუმჯობესდეს, ხოლო გამოუსადეგარი ტრანსპორტი შეიცვალოს ახლით.

დაადგინეს: დაევალოს სატრანსპორტო სამსახურის ტექნიკურ ჯგუფს არსებული ვითარების შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა.

საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი [ხელმოწერა]
კრების მდივანი [ხელმოწერა]

• • •

ცნობა *არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც გასცემს დაწესებულება თუ ორგანიზაცია სამოქალაქო სუბიექტზე საჭიროებისამერ. ის ადასტურებს კონკრეტული პირის რაიმე რეალურ მდგომარეობას. ეს შეიძლება იყოს სამსახურებრივი, სასწავლო, ქორწინების, კომუნალური, გარდაცვალების, ნასამართლეობის, სამართლებრივი მდგომარეობის, საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის... შესახებ.*

ცნობა ოფიციალური დოკუმენტია და ამიტომ ის აუცილებლად უნდა დამოწმდეს შესაბამისი დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ოფიციალური ნიშნებით: შტამპით, ბეჭდითა და ხელმოწერით. თუ ცნობა შეიცავს ფინანსური სახის ინფორმაციას, მას უნდა ახლდეს შესაბამისი უწყების ბუღალტრის ან ფინანსური მენეჯერის ხელმოწერა. შტამპის, ბეჭდისა და ხელმოწერის გარეშე ცნობას არა აქვს იურიდიული ძალა. ნიმუში:

ც ნ ო ბ ა

ნინო ხორგუაშვილი მუშაობს ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე (2010-2015 წწ). მისი თვიური ხელფასი შეადგენს 850 (რვაას ორმოცდაათ) ლარს.

ცნობა ეძლევა თსუ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარსადგენად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კადრების ხელმძღვანელი [ხელმოწერა]

აღსანიშნავია, რომ არსებობს ***ცნობის ბლანკიც****, რომელიც შეივსება საჭიროების შემთხვევაში. შესაძლოა ცნობას არ მიეთითოს, კონკრეტულად სად უნდა წარადგინოს ის სამოქალაქო სუბიექტმა. მის ნაცვლად ბოლოს იწერება –* ***ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად****.*

არსებობს ცნობის ისეთი სახე, რომელიც იწყება შემდეგი ფორმულირებით:

ცნობა ეძლევა მასზედ, რომ თემურ გეგეშიძე მუშაობს (2013-2015 წწ) ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების დეპარტამენტში სპეციალისტად. მისი თვიური ხელფასი შეადგენს 600 (ექვსას) ლარს.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

[ხელმოწერა]
[ბეჭედი]

*მოყვანილ ნიმუშთაგან ორივე ფორმაა გავრცელებული, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ფორმულირება – **ცნობა ეძლევა მასზედ** – უფრო მოძველებულია. ფაქტობრივ, **მასზედ** ფორმა დღეს აღარ გამოიყენება. ამიტომ უმჯობესია, თუ ამ ფორმულირებას თავს ავარიდებთ და ჩვენ მიერ მოყვანილ პირველ ვარიანტს მივანიჭებთ უპირატესობას (ნინო ხორგუაშვილი მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე...).*

ცნობა შესაძლებელია გაიცეს ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლადაც.

ნიმუში:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მომსახურების სააგენტო
თბილისი, წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კილომეტრი, ტელ.

[თარიღი] [დოკუმენტის ნომერი]

ცნობა
ნასამართლეობის შესახებ

გაიცა მასზედ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მოქალაქე (სახელი, გვარი) დაბადებული ..... წელს, მცხოვრები (მისამართი) არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება.

გორის განყოფილების უფროსი [ხელმოწერა]
[ბეჭედი]

• • •

***ხელწერილი** არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელმომწერის მიერ რაიმე ვალდებულების ან სიკეთის მიღებას. მას კურძო ან იურიდიული პირი უწერს სხვა პირსა თუ დაწესებულებას; ადასტურებს საკუთარ მატერიალურ (ან ფინანსურ) პასუხისმგებლობას. ხელწერილი. მხარეთა სურვილისამებრ, შეიძლება დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ (ამით მას იურიდიული ძალა ენიჭება).*

ნიმუში:

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

მე (სახელი, გვარი) ჩავიბარე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის გამომძიებლისგან (სახელი, გვარი) ჩემი კუთვნილი ტაურუსის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ნომერია .... აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

[პირადობის ნომერი...]
[თარიღი, ხელმოწერა]

• • •

მინდობილობა *არის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც რწმუნებული ვალდებულია, მარწმუნებლის სახელით (მის ხარჯზე) შეასრულოს მისთვის დავალებული ერთი ან რამდენიმე მოქმედება. მინდობილობის საფუძველზე პირი ან დაწესებულება გარკვეული მოვალეობის შესრულებას ან რაიმე უფლების განხორციელებას მიანდობს მეორე პირს, რომელიც მხოლოდ ამ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ მიიღებს შესაბამის უფლებას. დაწესებულების მიერ გაცემული მინდობილობა დამოწმებულია ამ უწყების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობა კერძო პირისაა, ის უნდა დაამოწმოს რომელიმე ოფიციალურმა დაწესებულებამ: პოლიცია, ნოტარიატი, საკრებულო...*

ნიმუში:

მე (სახელი, გვარი) ვანდობ ჩემს მეუღლეს (სახელი, გვარი) მიიღოს „საქართველოს ბანკში“ ჩემს ანგარიშზე დარიცხული თანხა ... ლარის ოდენობით.

[თარიღი, ხელმოწერა]

• • •

ანგარიში *საქმის ქაღალდის ერთ-ერთი სახეობაა, რომელსაც ზემდგომ პირს ან, ზოგადად, კოლეგებს წარუდგენს თანამშრომელი, დეპუტატი თუ სხვა (ნებისმიერი) საჯარო მოხელე. მას წერენ იმ შემთხვევაშიც, როცა ამა თუ იმ პირს ოფიციალურად ჰქონდა დავალებული გარკვეული სამუშაოს შესრულება და საჭიროა, წარდგეს შესაბამისი ანგარიშით (თუ რა და როგორ გააკეთა).*

საანგარიშო მოხსენების წერისას რამდენიმე ნაწილი გამოიყოფა: 1. ***დასაწყისი****: უნდა აღინიშნოს, თუ რა სამუშაო დაიგეგმა, ვისი ინიციატივით*

და რა ვადებში; 2. ***ძირითადი ნაწილი****: ა) შესრულებული სამუშაოს თანამიმდევრული აღწერა; ბ) წარმატებით შესრულებული სამუშაოს წარმოჩენა, განსაკუთრებით ხაზგასმა წარმატებით შესრულებული ნაწილისა. დეტალურად უნდა აღიწეროს შესრულებული სამუშაოს ეტაპები: ვინ იყო ჩართული საქმეში, რა სამუშაო გასწია ამა თუ იმ მონაწილემ, რა დრო დასჭირდა, რა ხერხებით და როგორ შესრულდა სამუშაო; 3.* ***საანგარიშო მოხსენების ბოლო ნაწილი****: რა შედეგი გამოიღო მუშაობამ...*

ნიმუში:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წევრთა

ა ნ გ ა რ ი შ ი

2014 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინიციატივითა და ხელშეწყობით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, რომლის მიზანი და ფუნქციაა მომავალ თაობებში მეცნიერების პროპაგანდა და აქტუალიზაცია. დაარსებისთანავე ჯგუფმა არაერთი საჭირო და საინტერესო პროექტი შეიმუშავა და განახორციელა.

აღვნიშნავთ, რომ ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა სამეცნიერო დარგის სპეციალისტები. თითოეულ მათგანს მკაფიოდ განსაზღვრული სამუშაო აქვს განაწილებული. ახალგაზრდა მეცნიერებმა წარმატებით გაართვეს თავი სამუშაოს. მაგალითად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს კახეთის არქეოლოგიურ გათხრებში, კერძოდ, იქ აღმოჩენილი მასალის შესწავლასა და დამუშავებაში. ასევე მონაწილეობა მიიღეს ლექსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენციაში (ბათუმში), ახალგაზრდა გამომგონებელთა რესპუბლიკურ კონკურსში და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯგუფელები გარდა ამისა შეხვედრებს სკოლებშიც, მოსწავლეებს აცნობენ თავიანთ მიზნებს, უზიარებენ გამოცდილებას და რამდენჯერმე ჩართეს კიდეც პროექტში ასისტენტად ზოგიერთი უფროსკლასელი.

შექმნიდან დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტს წარმოადგენდა მთიან რეგიონებში დიალექტური მეტყველების ჩაწერა და ანალიზი. მივლინება იყო როგორც სვანეთის, ხევსურეთის, მთიულეთის, ასევე აჭარის მთიან სოფლებში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფაქტობრივ ჩვენ თვალწინ დაკარგული ბგერებისა თუ ინტონაციის ჩაწერა, აღნუსხვა მოხუცი მთქმელებისაგან. მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული ეს თავისებურებანი. ამისათვის შეირჩა საგანგებოდ რამდენიმე მთქმელი. ეს სამუშაოს ერთი ეტაპი გახლდათ. მეორე ეტაპი კი მასალის შესწავლა და გაანალიზებაა, რაც, რასაკვირველია, გარკვეულ დროს მოითხოვს და მუშავდება საინიციატივო ჯგუფის მიერ. დასრულების შემდეგ მასალა შეჯერდება უფროს და გამოცდილ კოლეგებთან. მათი კონსულტაციისა თუ გამოცდილების გათვალისწინებით კვლევა დასრულებულ სახეს მიიღებს ერთი წლის შემდეგ.

ვფიქრობთ, ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფის შექმნა, მართლაც, დროული და მეცნიერებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ის დროთა განმავლობაში შეივსება სხვა ახალგაზრდა მუშაკებით, რომლებიც დაინტერესებული არიან მეცნიერების განვითარებით. სამომავლოდ ივარაუდება ამ ჯგუფის საზღვარგარეთ – საერთაშორისო ფორუმებზე გაგზავნა. ისინი ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ უცხოელ თანატოლ კოლეგებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათ გაზრდას, როგორც მომავალი მეცნიერებისა. მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ ჯგუფისთვის გამოიყოფა დამატებითი თანხები, რათა უკეთ გააგრძელონ სამუშაო. განსაკუთრებით მიექცევა ყურადღება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მათ განვითარებას ჩვენში.

[თარიღი, ხელმოწერა]

• • •

რეკომენდაცია *არის ოფიციალური სახის ქაღალდი. ის ჰგავს დახასიათებას. რეკომენდაცია გამოიყენება სტუდენტური სესხების, ამა თუ იმ სახის დაფინანსების, სამსახურში მიღების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დროს.*

რეკომენდაცია უნდა დაწეროს ისეთმა პირმა, რომელიც კარგად იცნობს სარეკომენდაციო პირს პროფესიული თვალსაზრისით. დამაჯერებლად უნდა წარმოჩნდეს არგუმენტები და ის მიზეზები, რომელთა გამოც ვაძლევთ ამა თუ იმ პირს რეკომენდაციას. მივუთითოთ, რამდენი ხანია, რაც ვიცნობთ სარეკომანდიციო პირს, საიდან ვიცნობთ მას. უნდა გამოვყოთ მისი გამორჩეული თვისებები (განსაკუთრებით ის თვისებები წარმოვაჩინოთ, რაც საჭიროა იმ საქმისთვის, რისთვისაც ვუწერთ რეკომენდაციას), სამსახურებრივი გამოცდილება; ჩამოვთვალოთ ყველა ის მსარე, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ეს პირი იმსახურებს დაფინანსებას თუ სხვა სამსახურს... შევეცადოთ, მხოლოდ თვისებათა ჩამოთვლით არ შემოვიფარგლოთ, იქვე შესაბამისი დამადასტურებელი ფაქტების მოყვანაა სასურველი.

სტრუქტურა:

შესავალი – აღვნიშნოთ, თუ საიდან და როგორ ვიცნობთ სარეკომენდაციო პირს (რა კავშირი გვაქვს მასთან და რამდენი ხანია ვიცნობთ...)

ძირითადი ნაწილი – სარეკომენდაციო პირის შეფასება (სამსახურებრივი, პროფესიული), რაც გაჯერებული იქნება მყარი არგუმენტებით...

დასკვნა – დადებითად შევაფასოთ სარეკომენდაციო პირი და მივუთითოთ, რა საკითხზე ვუწევთ რეკომენდაციას.

რეკომენდაცია არ იწერება ვრცლად: დოკუმენტის ბოლოს უნდა მიეთითოს რეკომენდატორის თანამდებობა და ხელმოწერა, შემდეგ – თარიღი და კოორდინატები.

ნიმუში:

ინგა როზაქიძეს ვიცნობ 1998 წლიდან, როცა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა განათლების სამინისტროს ჩემდამი რწმუნებულ განყოფილებაში სტაჟიორად. რამდენიმე წლის შემდეგ მან განაგრძო მუშაობა მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. ინგა გამოირჩევა პასუხისმგებლობის გრძნობით, საქმის ღრმა ცოდნითა და პროფესიონალიზმით. იგი ყოველთვის ცდილობს, მეტად განვითარდეს როგორც პროფესიონალი, მუდამ ახლის ძიებაშია და ხშირად იღებს მონაწილეობას კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში. ამ მიზნით ინგა გაემგზავრა კიდეც ინგლისში სამთვიან კურსებზე, სადაც სიღრმისეულად შეისწავლა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები და მეთოდები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მანამდე მან დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი პიარმენეჯერის განხრით.

ინგა როზაქიძე გამოირჩევა ორგანიზატორული ნიჭითაც. მისი ინიციატივით რამდენჯერმე ჩატარდა მასმედიის წარმომადგენლებთან საინტერესო შეხვედრები თუ კონფერენციები, რითაც საფუძველი ჩაეყარა შემდგომში მათთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას. ინგა როზაქიძეს აქვს გუნდური მუშაობის გამოცდილებაც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევ ინგა როზაქიძეს, რათა მან დაიკავოს განათლების სამინისტროში მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა.

საქართველოს განათლების სამინისტროს კულტურულ
ღონისძიებათა დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელი
[ხელმოწერა]

[თარიღი]
[საკონტაქტო ინფორმაცია]

• • •

დახასიათება *არის საქმიანი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს რომელიმე ორგანიზაცია ან პირი. იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სამსახურში თანამშრომლის თანამდებობის შეცვლა, სხვა ორგანიზაციაში გადასვლა და სხვ. პირი ხასიათდება მისი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის მიხედვით, ხაზი ესმება მის უწარ-ჩვევებს და სამსახურებრივ გამოცდილებას.*

დახასიათებაც იწერება ოფიციალურ-საქმიანი სტილით, ლაკონიურად. ამ დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი არის დახასიათების დამწერი (ავტორი). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თუ არაოფიციალური პირი წერს დახასიათებას, წარმდგენის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით ან რომელიმე უწყების პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

დახასიათება ფორმდება შემდეგი სახით:

*ა) ვუთითებთ დოკუმენტის დასახელებას (**დახასიათება**);*

ბ) აღვნიშნავთ იმ პირის სახელსა და გვარს, ვისზედაც იწერება დახასიათება;

გ) ძირითად ნაწილში წარმოვადგენთ კონკრეტული პირის ყველა სახის მონაცემს (წლოვანება, განათლება, მუშაობის სტაჟი, თანამდებობა). აქვე უნდა მიეთითოს ამ პირის დამოკიდებულების შესახებ დაკისრებული სამუშაოს მიმართ – როგორი ხარისხით ასრულებს მას, აქვს თუ არა პასუხისმგებლობის გრძნობა, ეკიდება თუ არა სამუშაოს კეთილსინდისიერად. ასევე აღსანიშნავია, თუ როგორი რეპუტაცია აქვს სამსახურში, რა განწყობაა მის მიმართ, რით გამოიჩევა ის თანამშრომელთა შორის, შეუძლია თუ არა ახალი იდეების შეთავაზება, კომუნიკაბელური არის თუ არა...

დ) აღვნიშნავთ ამ დახასიათების გაცემის თარიღს;

ე) მივუთითებთ დახასიათების გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერას;

ვ) წარმოვადგენთ დახასიათების ავტორის კოორდინატებს;

ზ) დავსვამთ შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭედს.

ნიმუში:

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

ნათია კორინთელი, დაბადებული 1979 წელს, 2010 წლიდან მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროში კულტურულ ღონისძიებათა განყოფილების წევრად.

ნათია კორინთელს აქვს უმაღლესი განათლება. 2000 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი წარჩინებით და მიიღო ეკონომისტის კვალიფიკაცია. იმ წელსვე ჩააბარა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 2003 წელს. იგი უკვე 5 წელია მუშაობს განათლების სამინისტროში ეკონომისტად. ნათია კორინთელი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს და გამოირჩევა გულთბილი დამოკიდებულებით კოლეგების მიმართ. ასევე ფრთხილად ეკიდება ნაკისრ

სამუშაოს და ორგანიზაციას ხშირად სთავაზობს საჭირო და საინტერესო იდეებს.

საქართველოს განათლების სამინისტრო [თანამდებობა]
[ხელმოწერა]
[საკონტაქტო ინფორმაცია]

* * *

*საქმიან ურთიერთობებში დამკვიდრდა **სამოტივაციო წერილიც**, რომელიც დოკუმენტის ფორმისაა და იქმნება იმისათვის, რომ კონკურსსა თუ გასაუბრებაში მონაწილემ კარგად წარმოაჩინოს საკუთარი უპირატესობა სხვებთან შედარებით. მასში ნათლად უნდა აისახოს მოტივი იმისა, თუ რატომ გადაწყვიტა ამა თუ იმ პირმა კონკურსში მონაწილეობის მიღება და რა არგუმენტი აქვს საიმისოდ, რომ წარმოაჩინოს თავი უპირატესად.*

სამოტივაციო წერილის მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მთავარ ფაქტორებს:

ა) რაზე კეთდება განაცხადი (საიდან შევიტყვეთ ამა თუ იმ ვაკანსიის ან კონკურის შესახებ);

გ) რატომ მიგვაჩნია, რომ ჩვენ შესაფერისი კანდიდატურა ვართ;

გ) რატომ დავინტერესდით ამ კონკურსით ან ვაკანსიით, პროექტით;

*ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციით სწორი შეხედულება უნდა შევუქმნათ ექსპერტებს. ასეთ შემთხვევებში კატეგორიული ტონი მიუღებელია. შესაძლოა ინფორმაციის დასასრულს აღინიშნოს, რომ ველით გამოხმაურებას: **ველოდები თქვენს პასუხს... ომედია, შევძელი თქვენი დაინტერესება... ომედია, უახლოეს პერიოდში შემატყობინებთ თქვენს გადაწყვეტილებას**...*

მსჯელობა უნდა იყოს ნათელი, გასაგები და დამაჯერებელი.

ნიმუში:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო წ ე რ ი ლ ი

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებული იყო განცხადება ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში მთიან რაიონებში ექსკურსიამძღოლის ვაკანტური ადგილის შესახებ.

მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში ტურიზმის განვითარება და აღორძინება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. მასზე ბევრადაა დამოკიდებული ქართული ეკონომიკის განვითარება და ის, ზოგადად, ხელს უწყობს საქართველოს უკეთ გაცნობას ევროპასა თუ სხვა ქვეყნებში. სწორად წარმართული კამპანია ტურიზმის მიერ დასახულ მიზნებს კარგად განახორციელებს. ამისათვის ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

მე კარგად ვიცი საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით მთის ყოფა-ცხოვრება და ადათ-წესები, ფოლკლორი თუ კულინარია. წარმოშობით თვითონაც ხევსური გახლავართ და ბავშვობის წლები მთაში მაქვს გატარებული. სწავლის დასრულების შემდეგ ვმუშაობდი ერთ-ერთ სააგენტოში ექსკურსიამძღოლად, ჩამოსულ ტურისტებსა თუ ვიზიტორებს ვაცნობდი მთის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებს; ვუამბობდი თქმულებებსა თუ ლეგენდებს (იმ ადგილებთან დაკავშირებით), აგრეთვე – მთიელი ხალხის დამსახურებას საქართველოს ისტორიის წინაშე.

ვფიქრობ, ეს სამუშაო, ფინანსური დაინტერესების გარდა, ჩემთვის საინტერესოა უპირველესად იმიტომაც, რომ ჩამოვყალიბდე პროფესიონალად, ვაკეთო ის, რაც მიყვარს, მაინტერესებს და შემიძლია. იმედი მაქვს, უახლოეს პერიოდში განიხილავთ ჩემს კანდიდატურას და შემატყობინებთ თქვენს გადაწყვეტილებას.

[თარიღი, ხელმოწერა]
[საკონტაქტო ინფორმაცია]

* * *

საქმიანი მიმოწერა *დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული და საჭირო საქმის ქაღალდია. იგი გამოიყენება სხვადასხვა დაწესებულებათა, განყოფილებათა თუ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობისას. მას ერთგვარი წერილობითი კონტრაქტის ფუნქცია აქვს.*

საქმიანი წერილის მიზანია პარტნიორის დაინტერესება შემოთავაზებული იდეით – რაიმე ტიპის ხელშეკრულების გაფორმებითა და მისთ. ასეთ შემთხვევებში მიუღებელია კატეგორიული ტონი, რაიმეს უდავოდ მოთხოვნა. წინადადება, რის შესახებაც სწერს პარტნიორს ესა თუ ის პირი, უნდა იყოს თავაზიანი, სტილი – ოფიციალურ-საქმიანი, ლაკონიური, მკაფიო და გასაგები.

თუ ავტორი რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელია, მაშინ საქმიანი წერილი ამ ორგანიზაციის ბლანკზე უნდა დაიწეროს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მას ოფიციალური ფორმა.

სტრუქტურა:

1. პირველად იწერება იმის სახელი და გვარი, ვისაც მიმართავს ავტორი; შემდეგ, მის ქვემოთ – ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი, ფაქსი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. ბოლოს დაისმის თარიღი.

*2. შესაძლოა წერილის დასათაურებაც (თუმცა ეს არაა აუცილებელი). მაგ., **ფინანსური მხარდაჭერის თანამშრომლობის შესახებ**.*

3. წერილი იწყება მისალმებით: ბატონო ... / ქალბატონო ...

4. შემდეგ მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს (თხოვნითი ფორმით) ავტორის სათქმელი.

5. დოკუმენტი (საქმიანი მიმოწერა), როგორც წესი, ბოლოვდება ხელმოწერით.

ნიმუში:

გიორგი კვიციანს
კომპიტერული კომპანია „არგოს“ გენერალურ მენეჯერს
(რუსთაველის გამზირი №8; ტელ./ფაქსი +995 23 76 55
Argo.gmail.com)

ბატონო გიორგი,

ჩვენს უნივერსიტეტს ესაჭიროება 10 კომპიუტერი და 6 ტელევიზორი. გვინდა ეს ტექნიკა თქვენმა კომპანიამ მოგვაწოდოს უახლოეს პერიოდში. თანხა გადაირიცხება თქვენს ანგარიშზე. ვაგზავნით ჩვენს წარმომადგენელს, ბატონ ა. მუსხელიშვილს (საკონტაქტო ტელეფონი ...).

გთხოვთ დროულად გაითვალისწინოთ ჩვენი მოთხოვნა.

პატივისცემით,

ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კანცლერი [ხელმოწერა]

[თარიღი]

* * *

ხელშეკრულება *(იგივე კონტრაქტი) ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომელიც სრულად წარმოადგენს ორ ან რამდენიმე მხარეს შორის დადებულ შეთანხმება-პირობას, ურთიერთვალდებულებას. ხელშეკრულება აუცილებლად დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად.*

ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც შრომითი, ასევე იჯარის, თავდებობის, დისტრიბუციის, ვალის არსებობის, ნასყიდობის, გირავნობის, ჩუქების და სხვ. წარმოვადგენთ შრომითი ხელშეკრულების ზოგად ნიმუშს, გლანკს:

შრომის ხელშეკრულება №
თბილისი, ___ _____ 201_წ.

§1 ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის:

ერთი მრივ, _____ ს/ნ _____, მისამართი: _____, ტელ.: _____, ელ.ფოსტა _____, წარმოდგენილი დირექტორის _____ მიერ, შემდეგში: **„დამსაქმებელი“**

და

მეორე მრივ, _____ დაბ. _____ პირადი № _____, მისამართი: _____, ტელ.: _____, ელ.ფოსტა _____, შემდეგში: **„დასაქმებული“**.

§2 ხელშეკრულების საგანი

(1) ხელშეკრულების საგანია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება.

(2) ამ ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული მიიღება _____ პოზიციაზე.

(3) დასაქმებულის შრომით მოვალეობაში შედის (შესასრულებელი სამუშაო):

- _____
- _____

§3 სამუშაო დრო

(1) კვირის განმავლობაში სამუშაო დრო განისაზღვრება 5-დღიანი სამუშაო კვირის მიხედვით.

(2) კვირის განმავლობაში დასვენების დღეებია შაბათი და კვირა და შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.

(3) სამუშაო დღის ხანგრძლივობა მოიცავს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 8-საათიან სამუშაო პერიოდს, დღის განმავლობაში 1 სთ შესვენებით.

(4) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დღე იწყება 10:00 სთ-ზე და მთავრდება 18:00 სთ-ზე. ყოველ სამუშაო დღეს 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე შესვენების დროა.

(5) სამუშაო დღის ან სამუშაო საათების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულს დაუკავოს ხელფასი გაცდენილი დროის შესაბამისად.

§4 მხარეთა უფლებები და მოვალეობები

(1) დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს

- შეუქმნას შრომის პირობები;
- განუსაზღვროს ფუნქციები;
- დაიცვას შრომითი უფლებები;
- გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

(2) დასაქმებული ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები; შრომის კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;
- დაიცვას დამსაქმებლის წესდება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისთვის მინდობილი დოკუმენტაცია;
- მიაწოდოს ინფორმაცია დამსაქმებელს თავისი კომპეტენციის საკითხებზე;
- სამუშაოს შეუსრულებლობის გამომწვევი გარემოების არსებობისას წინასწარ ან დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს მისი გამომწვევი მიზეზებისა და სავარაუდო დროის მითითებით;
- დაიცვას დამსაქმებლის შინაგანაწესი (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა, ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის წესი, ხელი არ შეუშალოს სხვა დასაქმებულებს, შრომითი პროცესის მიმდინარეობას და ა. შ.);
- დაიცვას დამსაქმებლისა და იმ საწარმოს საიდუმლოება (მათ შორის, ფინანსური, საგადასახადო, კომერციული), რომელშიც მიავლენენ (ვადის გასვლის მიუხედავად);
- მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დამსაქმებელს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

(3) დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულს მისცეს მითითებები. მითითება უნდა იყოს მართლზომიერი, კონკრეტული და შესრულებადი, წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებული არ არის ვალდებული, შეასრულოს დამსაქმებლის მითითებები. თუ დამსაქმებლის მითითებების შესრულება ობიექტურად შეუძლებელია, მაშინ დასაქმებულმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ დამსაქმებელს და მოსთხოვოს მითითების შეცვლა. ცალკეულ შემთხვევებში დასაქმებულს უფლება აქვს, დამსაქმებლის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, გადაუხვიოს მითითებებიდან, თუ დასაქმებულისათვის ამის შესახებ შეტყობინება ვერ ხერხდება ან შეტყობინებაზე დამსაქმებლისაგან პასუხი ვერ იქნა მიღებული.

(4) დასაქმებულის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებები (გაფრთხილება, საყვედური, ფულადი ჯარიმა ხელფასის დაკავებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ა.შ.).

(5) დასაქმებულს არა აქვს უფლება დამსაქმებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ სხვას დააკისროს შესასრულებელი სამუშაო.

(6) დასაქმებულს უფლება აქვს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ისარგებლოს შვებულებით, სამუშაო დღის განმავლობაში შესვენებით, უქმე დღეებით.

(7) დასაქმებული ყოველწლიური 24-დღიანი შვებულებით ისარგებლებს უწყვეტად შრომითი უფლებამოსილების შესრულებიდან 11 თვის შემდეგ. შვებულებაში გასვლა თანხმდება დამსაქმებელთან.

§5 უფლებები ნაშრომზე

(1) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამუშაოს შესრულების შედეგად შექმნილი ნებისმიერი ნაშრომი, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკული, პროგრამული ან სხვა სახისა, რომლებიც დასაქმებულის მიერ იქნა მომზადებული, რჩება დამსაქმებლის საკუთრებაში.

(2) შრომითი ურთიერთობის შედეგად შექმნილ ნაშრომებსა თუ სხვა პროდუქტებზე საავტორო უფლება ეკუთვნის დამსაქმებელს.

§6 სახელშეკრულებო ვადა

(1) ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

(2) დასაქმებული სამუშაოზე მიიღება ———— ვადით.

§7 შრომის ანაზღაურება

(1) დასაქმებულს ეძლევა შრომის ანაზღაურება (ხელფასი) თვეში ——— (სიტყვიერად: ———) ლარი.

(2) დამსაქმებელი დასაქმებულს ხელფასიდან უკავებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ საშემოსავლო გადასახადს და რიცხავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების დროისათვის შეადგენს 20%-ს.

(3) დამსაქმებელი ვალდებულია, შრომის ანაზღაურება გადაუხადოს დასაქმებულს შესაბამისი კალენდარული თვის ბოლოს, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

(4) ხელშეკრულების შეწყვეტისას ანაზღაურება განისაზღვრება შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. კერძოდ, ერთი თვის შრომის ანაზღაურება იყოფა შესაბამისი თვის სამუშაო დღეების საერთო რიცხვზე, დადგინდება საშუალო და, შესაბამისად, დასაქმებულზე ანაზღაურება გაიცემა შეწყვეტამდე ნამუშევარი დღეების მიხედვით.

(5) შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით.

§8 პრემია

შრომითი მოვალეობების კეთისინდისიერად და ზედმიწევნით შესრულებისათვის დამსაქმებლის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასაქმებულის მატერიალური წახალისების ღონისძიება – პრემიის გაცემა ფულადი ან/და ნატურალური სახით.

§9 ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

(2) ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლის შედეგად.

(3) დამსაქმებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

• დასაქმებულმა არ შეასრულა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

• დასაქმებულმა დაარღვია შრომითი პირობები;

• სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე შესაბამისი დოკუმენტის დასაქმებულისათვის გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ.

(4) დასაქმებულს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

• პირადი განცხადებით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება განცხადების დამსაქმებლისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ, თუ დამსაქმებელმა უფრო ადრე არ განაცხადა თანხმობა ან არ გამოსცა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი;

• დამსაქმებელი არ უხდის შეთანხმებულ ანაზღაურებას;

• დამსაქმებელი არ უქმნის შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს. შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ცალმხრივი შეწყვეტის საფუძველი, როცა ასეთი პირობის არარსებობის ან მისი ნაკლის შესახებ დასაქმებული აცნობებს დამსაქმებელს და იგი არ იქნება აღმოფხვრილი შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში.

(5) ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება მეორე მხარისათვის ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

(6) ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით.

§10 მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

(1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე.

(2) თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

(3) დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

- ხანძარი ან აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
- სამხედრო მოქმედება, აჯანყება, არეულობა, სამოქალაქო ომი.

(4) თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

(5) დაუძლეველი ძალის 1 (ერთ) თვეზე მეტ ხანს არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. ასეთ შემთხვევაში მხარეებმა ერთმანეთის წინაშე უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რაც დაუძლეველი ძალის წარმოშობამდე არსებობდა.

(6) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

§11 დამატებითი პირობები

(1) შრომითი ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით და დამსაქმებლის მიერ დადგენილი შრომის შინაგანაწესით.

(2) შრომის შინაგანაწესი მიიჩნევა ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

(3) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

(4) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით ახალი ხელშეკრულების დადებით.

§12 მხარეთა ხელმოწერა

(1) დამსაქმებელი **(2) დასაქმებული**

_____ _____

* * *

აქტი *არის ოფიციალური (იურიდიული ძალის მქონე) დოკუმენტი, რომელიც ასახავს რაიმე მომხდარ ფაქტს, რეალურ მდგომარეობას (შემოწმების შედეგს, ინვენტარიზაციის მონაცემებს, რაიმე ზარალის ნუსხას და მისთ.)*

ნიმუში:

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს
ა ქ ტ ი

_____. _____. 201___ , ქ. თბილისი

მომსახურების გამწევი	მომსახურების მიმღები
შპს/სს „_____“	შპს/სს „_____“

საფუძველი: _____._____.201_. მომსახურების ხელშეკრულება N_____

წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტით ხელისმომწერნი (მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები) ვადასტურებთ, რომ მომსახურების გამწევმა ჩააბარა, ხოლო მომსახურების მიმღებმა ჩაიბარა _____._____.201_. მომსახურების N_____ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (მომსახურება/მომსახურების ნაწილი) შესაბამის დროში შეთანხმებული ხარისხითა და მოცულობით. მხარეებს ერთმანეთის მიმართ შესრულებული სამუშაოს თვალსაზრისით პრეტენზია არ გააჩნიათ:

გაწეული მომსახურების სახე	**მოცულობა**	**მომსახურების ფასი დღგ-ს გარეშე**	**მომსახურებაზე გადასახდელი დღგ**	**სულ მომსახურების ღირებულება**

_____/დირექტორი/
შპს„_____“(ს/ნ_____)
(მომსახურების გამწევი)

_____/დირექტორი/
შპს„_____“(ს/ნ_____)
(მომსახურების მიმღები)

* * *

სივი (CV) *ძირითადად გამოიყენება რაიმე სახის კონკურსში მონაწილეობის დროს (სამსახურის დაწყებისას...). ქვემოთ წარმოდგენილია მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა:*

გვარი	**სახელი**	**მამის სახელი**
დაბადების თარიღი და ადგილი		

სამუშაო ადგილი			
მისამართი			
ტელ.		ვებგვერდი	
ფაქსი		ელფოსტა	

საცხოვრებელი ადგილი	
მისამართი	

ტელ.		მობილური	
ფაქსი		ელფოსტა	

სამსახურებრივი გამოცდილება (შეგიძლიათ წარმოადგინოთ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან)

თარიღი	-დან -მდე
დამქირავებლის დასახელება	
დამქირავებლის მისამართი	
საქმიანობის სფერო	
თანამდებობა	
პასუხისმგებლობა და მოვალეობები	

შეთავსება (ამჟამად გაქვთ თუ არა სხვა ანაზღაურებადი სამსახური)

როდის დაიწყეთ მუშაობა	
დამქირავებლის დასახელება	
დამქირავებლის მისამართი	
საქმიანობის სფერო	
თანამდებობა	

წოდება, ხარისხი და გამოქვეყნებული შრომები

სამეცნიერო ხარისხი	
სამეცნიერო წოდება	

სამეცნიერო შრომები	სამეცნიერო შრომების სრული სია და გამოქვეყნებული სტატიების ამონარიდი (დანართის სახით)
მ. შ. მონოგრაფია	
მ. შ. სახელმძღვანელო	
საპატიო წოდება	
შრომების რაოდენობა რეფერირებად ჟურნალებში	
პროფესიური პრემია ან სტიპენდია	
პატენტები, ლიცენზიები	
სპეციალობის სერტიფიკატები	

განათლება/ტრენინგი (კვალიფიკაციის ასამაღლებელი საერთაშორისო კურსები, სემინარები)

თარიღი	-დან -მდე
დაწესებულება (ფაკულტეტი)	
სპეციალობა	
დიპლომის/სერტიფიკატის №	
კვალიფიკაცია	

მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ექსპერიმენტებში, ექსპედიციებში (წარმოადგინეთ დანართის სახით)

დასახელება და თარიღი	
მოხსენების სათაური	
თქვენი როლი	

ლოკალური და საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო გრანტები / პროექტები / პროგრამები ბოლო 10 წლის განმავლობაში

გრანტის/პროექტის დასახელება	
დონორი ორგანიზაცია	
თარიღი/ვადები	
თქვენი როლი/თანამდებობა	

სამეცნიერო ხელმძღვანელობა, ოპონირება (წარმოადგინეთ დანართის სახით)

რამდენი სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტი ან/და ექსპერტი, ოპონენტი იყავით	
რამდენი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი ან/და ექსპერტი, ოპონენტი იყავით	
რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყავით	

სამეცნიერო საზოგადოებების (აკადემიების), სამეცნიერო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, საორგანიზაციო კომიტეტების წევრობა

რომელი სამეცნიერო საზოგადოებების (აკადემიების) წევრი ხართ/იყავით და თქვენი როლი	
რომელი სამეცნიერო საბჭოს წევრი ხართ/იყავით და თქვენი როლი	
რომელი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი ხართ/იყავით და თქვენი როლი	

რომელი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ხართ/იყავით და თქვენი როლი	
რომელი წიგნის/კრებულის რედაქტორი ხართ	
სტუდენტთა რომელი სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ხართ/იყავით	
რომელ სალექციო კურსებს კითხულობთ/კითხულობდით (დანართი: დისციპლინის სასწავლო პროგრამა/სილაბუსი)	
საზღვარგარეთ რომელ უნივერსიტეტში ყოფილხართ მიწვეული და რა სალექციო კურსებს კითხულობდით	

ენების ცოდნა (შესაბამის გრაფებში ჩაწერეთ: კარგად, დამაკმაყოფილებლად, მწირად)

მშობლიური ენა				
უცხო ენა	რუსული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
კითხვა				
წერა				
მეტყველება				

ოჯახური მდგომარეობა

ოჯახის წევრები	სახელი	გვარი	დაბადების წელი	პროფესია

კომპიუტერული პროგრამების (საოფისე, გრაფიკული და სხვ.) **ცოდნა**

პროგრამის დასახელება	კარგად	დამაკმაყოფილებლად	მწირად
ოპერაციული სისტემები: Windows 9x, NT, XP, Linux.			
საოფისე პროგრამები: MS-Office, PageMaker.			
გრაფიკული რედაქტორები: CorelDraw, PhotoShop.			
სამონტაჟო პროგრამები: Pinacle Studio, Sonic Vegas, Saund Forge			
პროგრამული ენები: Visual Basic, C++			

ცოდნა და გამოცდილება

გაქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებული პროფესიული ან ცხოვრებისეული ცოდნა და/ან გამოცდილება, რომელიც არ დასტურდება რაიმე ფორმალური სერტიფიკატით, მაგრამ მნიშვნელოვანია თქვენი ცხოვრების გზის ან კარიერისათვის
სოციალური უნარ-ჩვევები
ინდივიდუალური მუშაობა უფრო გეხერხებათ თუ გუნდური? ეწევით თუ არა რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობას?
ორგანიზაციული, მენეჯერული, მეწარმეობრივი ნიჭი
შეგიძლიათ თუ არა ხელმძღვანელობა, კოორდინირება და ადმინისტრირება (კადრების, პროექტების)? კმაყოფილი ხართ თუ არა დაკავებული თანამდებობით? რა თანამდებობაზე წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?

ტექნიკური ცოდნა და უნარები
ხომ არ გაქვთ რაიმე სპეციფიკური მანქანა-მოწყობილობის გამოყენების უნარ-ჩვევები; პროფესიული თანრიგი
შემოქმედებითი ნიჭი
მუსიკა, მხატვრობა, მწერლობა, დიზაინი და ა.შ.
ჰობი
დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გსურთ რომ მოგვაწოდოთ

წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას ვადასტურებ,
[განმცხადებელი]
[თარიღი]

დანართები: ... ფურცელზე.

* * *

ავტობიოგრაფია *არის საქმის ქაღალდების ერთ-ერთი სახე. ის იწერება ოფიციალურ-საქმიანი სტილით. მისი ფუნქციაა გადმოსცეს ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ძირითადი ინფორმაცია. კერძოდ, ვამახვილებთ ყურადღებას ცხოვრების ძირითად და მნიშვნელოვან ეტაპებზე: დაბადების თარიღი, სკოლის დასახელება და დამთავრების წელი, უმაღლესი განათლების მიღების წლები და ეტაპები, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი გამოცდილების ჩვენება.*

ავტობიოგრაფია გამოიყენება როგორც დაწესებულებებში ვაკანსიის გამოცხადებისას, ისე თვითონ სამსახურში მუშაობის დროს.

განსხვავებით სხვა საქმის ქაღალდებისაგან, ის იწერება პირველი პირის ფორმით. ავტობიოგრაფიას ბოლოში უნდა დავურთოთ თარიღი და ხელმოწერა.

ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, ნინო ბარამიძე, დავიბადე 1980 წლის 24 სექტემბერს ქ. თბილისში. მამა – გიორგი ბარამიძე პროფესიით პროგრამისტია, დედა – ნატა სულაქველიძე დიასახლისი გახლავთ. 1998 წელს დავამთავრე თბილისის 170-ე საჯარო სკოლა. ამავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2002 წელს. 2003-2005 წლებში აღნიშნულ უნივერსიტეტში დავამთვარე მაგისტრატურის კურსი და მივიღე სამართლის მაგისტრის ხარისხი.

2005 წლიდან ვმუშაობ ქალაქ თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის განყოფილებაში იურისტად. პარალელურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს (მიწვეული პროფესორის სტატუსით). 2006-2007 წლებში გავიარე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

ვარ დაოჯახებული. მყავს მეუღლე და ერთი შვილი.

[თარიღი] [ხელმოწერა]

საჯარო მოხელის

ორთოგრაფიულ-სტილისტიკური

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ა

აბამს [და არა აბავს]; **აბა**; **აუბამს** [და არა აუბავს]; **აება**

აბარგებს; **აბარგა**; **აუბარგებია**; **აებარგებინა** [და არა აებარგებია]

აბიჯებს; **აბიჯა**; **აუბიჯებია**; **აებიჯებინა** [და არა აებიჯებია]

აბრუნებს; **აბრუნა**; **აუბრუნებია**; **აებრუნებინა** [და არა აებრუნებია]

აბურთავებს; **აბურთავა**; **აუბურთავებია**; **აებურთავებინა** [და არა აებურთავებია]

აგებინებს; **აგებინა**; **აუგებინებია**; **აეგებინებინა** [და არა აგებიებს, აგებია...]

აგებს; **აგო**; **აუგია**; **აეგო**

აგლეჯს; **აგლეჯდა**; **აგლეჯდეს** [და არა აგლეჯავს, აგლიჯავს; აგლეჯავდა, აგლიჯავდა; აგლეჯავდეს, აგლიჯავდეს]; **აგლიჯა**; **აუგლეჯია**; **აეგლიჯა**

აგულიანებს; **აგულიანა**; **აუგულიანებია**; **აეგულიანებინა** [და არა აეგულიანებია]

ადგამს [და არა ადგავს]; **ადგა**; **აუდგამს** [და არა აუდგავს]; **აედგა**

ადგმევინებს; **ადგმევინა**; **აუდგმევინებია**; **აედგმევინებინა** [და არა ადგმევიებს, ადგმევია...]

ადევნებს; **ადევნა**; **აუდევნებია**; **აედევნებინა** [და არა აედევნებია]

ადვილებს; **(გა)ადვილა**; **(გა)უადვილებია**; **(გა)ეადვილებინა** [და არა გაეადვილებია]

ადუღებს; **ადუღა**; **აუდუღებია**; **აედუღებინა** [და არა აედუღებია]

ავადებს; **დააავადა**; **დაუავადებია**; **დაეავადებინა** [და არა დაეავადებია]

ავარდისფრებს (// **ავარდისფერებს**); **ავარდისფრა** (// **ავარდისფერა**); **აუვარდისფრებია** (// **აუვარდისფერებია**); **აევარდისფრებინა** (// **აევარდისფერებინა**) [და არა აევარდისფრებია, აევარდისფერებია]

ავსებინებს; **ავსებინა**; **აუვსებინებია**; **აევსებინებინა** [და არა ავსებიებს, ავსებია...]

ავსებს; **ავსო**; **აუვსია**; **აევსო**

აზიდვინებს; **აზიდვინა**; **აუზიდვინებია**; **აეზიდვინებინა** [და არა აზიდიებს, აზიდია...]

ათამაშებს; **ათამაშა**; **აუთამაშებია**; **აეთამაშებინა** [და არა აეთამაშებია]

ათვალიერ-ჩათვალიერებს (// **ათვალ-ჩათვალიერებს**); **ათვალიერ-ჩათვალიერა** (// **ათვალ-ჩათვალიერა**); **აუთვალიერ-ჩაუთვალიერებია** (// **აუთვალ-ჩაუთვალიერებია**); **აეთვალიერ-ჩაეთვალიერებინა** (// **აეთვალ-ჩაეთვალიერებინა**) [და არა აეთვალიერ-ჩაეთვალიერებია, აეთვალ-ჩაეთვალიერებია]

ათვისებინებს; **ათვისებინა**; **აუთვისებინებია**; **აეთვისებინებინა** [და არა ათვისებიებს, ათვისებია...]

ააკითხავს; ააკითხა; აუკითხავს; აეკითხა [და არა აეკითხნა]

ააკინძვინებს; ააკინძვინა; აუკინძვინებია; აეკინძვინებინა [და არა ააკინძიებს, ააკინძია...]

ააკრავს; ააკრა; აუკრავს; აეკრა

ააკრებინებს; ააკრებინა; აუკრებინებია; აეკრებინებინა [და არა ააკრებიებს, ააკრებია...]

ააკრეფინებს; ააკრეფინა; აუკრეფინებია; აეკრეფინებინა [და არა ააკრეფიებს, ააკრეფია...]

ააკრძალვინებს; ააკრძალვინა; აუკრძალვინებია; აეკრძალვინებინა [და არა ააკრძალიებს, ააკრძალია...]

აალაგებინებს; აალაგებინა; აულაგებინებია; აელაგებინებინა [და არა აალაგებიებს, აალაგებია...]

აალაგებს; აალაგა; აულაგებია; აელაგებინა [და არა აელაგებია]

აალაპარაკებს; აალაპარაკა; აულაპარაკებია; აელაპარაკებინა [და არა აელაპარაკებია]

აალდება; აალდა; აალებულა; აალებულიყო

აალება (აალების⌜ა⌝): **აალებული**

აალებადი; აალებადობა (აალებადობის⌜ა⌝)

აალოკვინებს; აალოკვინა; აულოკვინებია; აელოკვინებინა [და არა აალოკვიებს, აალოკვია...]

აამაღლებინებს; აამაღლებინა; აუმაღლებინებია; აემაღლებინებინა [და არა აამაღლებიებს, აამაღლებია...]

აამაღლებს; აამაღლა; აუმაღლებია; აემაღლებინა [და არა აემაღლებია]

აამაყებს; (გა)აამაყა; (გა)უამაყებია; (გა)ეამაყებინა [და არა გაეამაყებია]

აამბოხებინებს; აამბოხებინა; უამბოხებინებია; ეამბოხებინებინა [და არა აამბოხებიებს, აამბოხებია...]

აამეტყველებს; აამეტყველა; აუმეტყველებია; აემეტყველებინა [და არა აემეტყველებია]

აამოქმედებს; აამოქმედა; აუმოქმედებია; აემოქმედებინა [და არა აემოქმედებია]

აამოძრავებს; აამოძრავა; აუმოძრავებია; აემოძრავებინა [და არა აემოძრავებია]

აამუშავებინებს; აამუშავებინა; აუმუშავებინებია; აემუშავებინებინა [და არა აამუშავებიებს, აამუშავებია...]

აამუშავებს; აამუშავა; აუმუშავებია; აემუშავებინა [და არა აემუშავებია]

აამღერებს; აამღერა; აუმღერებია; აემღერებინა [და არა აემღერებია]

აამღვრევინებს; აამღვრევინა; აუმღვრევინებია; აემღვრევინებინა [და არა აემღვრევინებია]

აამღვრევს; აამღვრია; აუმღვრევია; აემღვრია

აამწვანებინებს; აამწვანებინა; აუმწვანებინებია; აემწვანებინებინა [და არა აამწვანებიებს, აამწვანებია...]

აამწვანებს; აამწვანა; აუმწვანებია; აემწვანებინა [და არა აემწვანებია]

აამხედრებს; აამხედრა; აუმხედრებია; აემხედრებინა [და არა აემხედრებია]

აანაზღაურებინებს; აანაზღაურებინა; აუნაზღაურებინებია; აენაზღაურებინებინა [და არა აანაზღაურებიებს, აანაზღაურებია...]

აანაზღაურებს; აანაზღაურა; აუნაზღაურებია; აენაზღაურებინა [და არა აენაზღაურებია]

აანგარიშებინებს; აანგარიშებინა; უანგარიშებინებია; ეანგარიშებინებინა [და არა აანგარიშებიებს, აანგარიშებია...]

აანგრევინებს; აანგრევინა; აუნგრევინებია; აენგრევინებინა [და არა აენგრევინებია]

აანგრევს; აანგრია; აუნგრევია; აენგრია

აანთებინებს; აანთებინა; აუნთებინებია; აენთებინებინა [და არა აენთებინებია]

აანთებს; აანთო; აუნთია; აენთო

აანჯღრევს; აანჯღრია; აუნჯღრევია; აენჯღრია

აარევინებს; აარევინა; აურევინებია; აერევინებინა [და არა აარევიებს, აარევია...]

აართმევს; აართვა; აურთმევია; აერთმია

აარსებინებს; (და)აარსებინა; (და)უარსებინებია; (და)ეარსებინებინა [და არა აარსებიებს, დააარსებია...]

აარსებს; (და)აარსა; (და)უარსებია; (და)ეარსებინა [და არა დაეარსებია]

აარტყამს [და არა აარტყავს]; **აარტყა; აურტყამს** [და არა აურტყავს]; **აერტყა**

აარღვევინებს; აარღვევინა; აურღვევინებია; აერღვევინებინა [და არა აარღვევიებს, აარღვევია...]

აარღვევს; აარღვია; აურღვევია; აერღვია

აარჩევინებს; აარჩევინა; აურჩევინებია; აერჩევინებინა [და არა აერჩევინებია]

აარჩევს; აარჩია; აურჩევია; აერჩია

აასკეცებს; (გა)აასკეცა; (გა)უასკეცებია; (გა)ეასკეცებინა [და არა გაეასკეცებია]

აასრიალებს; აასრიალა; აუსრიალებია; აესრიალებინა [და არა აესრიალებია]

აასროლინებს; აასროლინა; აუსროლინებია; აესროლინებინა [და არა აასროლიებს, აასროლია...]

აასრულებინებს; აასრულებინა; აუსრულებინებია; აესრულებინებინა [და არა აასრულებიებს, აასრულებია...]

აასრულებს; აასრულა; აუსრულებია; აესრულებინა [და არა აესრულებია]

აასხამს [და არა აასხავს]; **აასხა; აუსხამს** [და არა აუსხავს]; **აესხა**

აასხლეტს; აასხლეტდა; აასხლეტდეს

[და არა აასხლეტავს, აასხლიტავს; აასხლეტავდა, აასხლიტავდა; აასხლეტავდეს, აასხლიტავდეს]; **აასხლიტა**; **აუსხლეტია**; **აესხლიტა**

აატანინებს; **აატანინა**; **აუტანინებია**; **აეტანინებინა** [და არა აატანიებს; აატანია...]

აატარ-ჩამოატარებს; **აატარ-ჩამოატარა**; **აუტარ-ჩამოუტარებია**; **აეტარ-ჩამოეტარებინა** [და არა აეტარ-ჩამოეტარებია]

აატებს; **აატებდა**; **აატებდეს** [და არა აატეხავს, აატეხავდა, აატეხავდეს]; **აატეხა**; **აუტეხია**; **აეტეხა** [და არა აეტეხნა]

აატირებს; **აატირა**; **აუტირებია**; **აეტირებინა** [და არა აეტირებია]

აატკივებს [და არა აატკიებს]; **აატკივა**; **აატკივოს** [და არა აატკიოს]; **აუტკივებია** [და არა აუტკიებია]; **აეტკივებინა** [და არა აეტკივებია]

აატრიალებს; **აატრიალა**; **აუტრიალებია**; **აეტრიალებინა** [და არა აეტრიალებია]

ააფარებინებს; **ააფარებინა**; **აუფარებინებია**; **აეფარებინებინა** [და არა ააფარებიებს, ააფარებია...]

ააფარებს; **ააფარა**; **აუფარებია**; **აეფარებინა** [და არა აეფარებია]

ააფეთქებინებს; **ააფეთქებინა**; **აუფეთქებინებია**; **აეფეთქებინებინა** [და არა ააფეთქებიებს, ააფეთქებია...]

ააფეთქებს; **ააფეთქა**; **აუფეთქებია**; **აეფეთქებინა** [და არა აეფეთქებია]

ააფორიაქებს; **ააფორიაქა**; **აუფორიაქებია**; **აეფორიაქებინა** [და არა აეფორიაქებია]

ააფრენინებს; **ააფრენინა**; **აუფრენინებია**; **აეფრენინებინა** [და არა ააფრენიებს, ააფრენია...]

ააფრენს; **ააფრინა**; **აუფრენია**; **აეფრინა**

(ააფრთოვანებს //) აღაფრთოვანებს; **(ააფრთოვანა //) აღაფრთოვანა**; **(აუფრთოვანებია //) აღუფრთოვანებია**; **(აეფრთოვანებინა //) აღეფრთოვანებინა** [და არა აეფრთოვანებია, აეღფრთოვანებია]

ააფრიალებინებს; **ააფრიალებინა**; **აუფრიალებინებია**; **აეფრიალებინებინა** [და არა ააფრიალებიებს, ააფრიალებია...]

ააფრიალებს; **ააფრიალა**; **აუფრიალებია**; **აეფრიალებინა** [და არა აეფრიალებია]

ააფცქვნის; **ააფცქვნა**; **აუფცქვნია**; **აეფცქვნა**

ააფხეკს; **ააფხეკდა**; **ააფხეკდეს** [და არა ააფხეკავს, ააფხიკავს; ააფხეკავდა, ააფხიკავდა; ააფხეკავდეს, ააფხიკავდეს]; **ააფხიკა**; **აუფხეკია**; **აეფხიკა**

ააფხრეწს; **ააფხრეწდა**; **ააფხრეწდეს** [და არა ააფხრეწავს, ააფხრიწავს; ააფხრეწავდა, ააფხრიწავდა; ააფხრეწავდეს, ააფხრიწავდეს]; **ააფხრიწა**; **აუფხრეწია**; **აეფხრიწა**

ააქვს; აიტანა; აუტანია; აეტანა

ააქტიურებს; (გა)ააქტიურა; (გა)უაქტიურებია; (გა)ეაქტიურებინა [და არა გაეაქტიურებია]

ააღებინებს; ააღებინა; აუღებინებია; აეღებინებინა [და არა ააღებიებს, ააღებია...]

ააღელვებს; ააღელვა; აუღელვებია; აეღელვებინა [და არა აეღელვებია]

ააღლეტს; ააღლეტდა; ააღლეტდეს [და არა ააღლეტავს, ააღლიტავს; ააღლეტავდა, ააღლიტავდა; ააღლეტავდეს, ააღლიტავდეს]; **ააღლიტა; აუღლეტია; აეღლიტა**

ააღორძინებინებს; ააღორძინებინა; აუღორძინებინებია; აეღორძინებინებინა [და არა ააღორძინებიებს, ააღორძინებია...]

ააღორძინებს; ააღორძინა; აუღორძინებია; აეღორძინებინა [და არა აეღორძინებია]

ააყენებინებს; ააყენებინა; აუყენებინებია; აეყენებინებინა [და არა ააყენებიებს, ააყენებია...]

ააყენებს; ააყენა; აუყენებია; აეყენებინა [და არა აეყენებია]

ააყვავებს; ააყვავა; აუყვავებია; აეყვავებინა [და არა აეყვავებია]

ააყვანინებს; ააყვანინა; აუყვანინებია; აეყვანინებინა [და არა ააყვანიებს, ააყვანია...]

ააყვირებს; ააყვირა; აუყვირებია; აეყვირებინა [და არა აეყვირებია]

ააყირავებს; ააყირავა; აუყირავებია; აეყირავებინა [და არა აეყირავებია]

ააყოლ-ჩააყოლებს; ააყოლ-ჩააყოლა; აუყოლ-ჩაუყოლებია; აეყოლ-ჩაეყოლებინა [და არა აეყოლ-ჩაეყოლებია]

ააშენებინებს; ააშენებინა; აუშენებინებია; აეშენებინებინა [და არა ააშენებიებს, ააშენებია...]

ააშენებს; ააშენა; აუშენებია; აეშენებინა [და არა აეშენებია]

ააშვებინებს; ააშვებინა; აუშვებინებია; აეშვებინებინა [და არა ააშვებიებს, ააშვებია...]

ააშკარავებს; (გამო)ააშკარავა; (გამო)უაშკარავებია; (გამო)ეაშკარავებინა [და არა გამოეაშკარავებია]

ააშლევინებს; ააშლევინა; აუშლევინებია; აეშლევინებინა [და არა ააშლევიებს, ააშლევია...]

ააშორებს; ააშორა; აუშორებია; აეშორებინა [და არა აეშორებია]

ააშრიალებს; ააშრიალა; აუშრიალებია; აეშრიალებინა [და არა აეშრიალებია]

ააშრობს; ააშრო (ავაშრე, ააშრე); აუშრია; აეშრო

(ააშფოთებს //) აღაშფოთებს; (ააშფოთა //) აღაშფოთა; (აუშფოთებია //) აღუშფოთებია; (აეშფოთებინა //) აღეშფოთებინა [და არა აეშფოთებია, აეღშფოთებია]

აცახცახებს; აცახცახა; აუცახცახებია;

აეცახცახებინა [და არა აეცახცახებია]

აადენინებს; აადენინა; აუდენინებია; აედენინებინა [და არა აადენიებს, აადენია...]

აადენს; აადინა; აუდენია; აედინა

აადეკვებს; აადეკვა; აუდეკვებია; აედეკვებინა [და არა აედეკვებია]

აადვამს [და არა აადვავს]; **აადვა; აუდვამს** [და არა აუდვავს]; **აედვა**

აადილებს; აადილა; აუდილებია; აედილებინა [და არა აედილებია]

აადლის; აადალა; აუდლია; აედალა

აადრევინებს; აადრევინა; აუდრევინებია; აედრევინებინა [და არა აადრევიებს, აადრევია...]

აადროხს; აადრო (ავადვრე, აადვრე); აუძვრია [და არა აუძრია]; **აედრო**

აანევინებს; აანევინა; აუნევინებია; აენევინებინა [და არა აანევიებს, აანევია...]

აანენ⁼ვ⁼ინებს; აანენ⁼ვ⁼ინა; აუნენ⁼ვ⁼ინებია; აენენ⁼ვ⁼ინებინა [და არა აანენვიებს, აანენვია...]

აანვდენს; აანვდინა; აუნვდენია; აენვდინა

აანიოკებს; აანიოკა; აუნიოკებია; აენიოკებინა [და არა აენიოკებია]

აანონინებს; აანონინა; აუნონინებია; აენონინებინა [და არა აანონიებს, აანონია...]

აანრიალებინებს; აანრიალებინა; აუნრიალებინებია; აენრიალებინებინა [და არა აანრიალებიებს, აანრიალებია...]

აანრიალებს; აანრიალა; აუნრიალებია; აენრიალებინა [და არა აენრიალებია]

აანყვეტინებს; აანყვეტინა; აუნყვეტინებია; აენყვეტინებინა [და არა აანყვეტიებს, აანყვეტია...]

აანყვეტს; აანყვეტდა; აანყვეტდეს [და არა აანყვეტავს, აანყვიტავს; აანყვეტავდა, აანყვიტავდა; აანყვეტავდეს, აანყვიტავდეს]; **აანყვიტა; აუნყვეტია; აენყვიტა**

აანყობინებს; აანყობინა; აუნყობინებია; აენყობინებინა [და არა აანყობიებს, აანყობია...]

აანყობს; აანყო (ავანყვე, აანყვე); აუნყვია [და არა აუნყია]; **აენყო**

ააჰედებს; ააჰედა; აუჰედებია; აეჰედებინა [და არა აეჰედებია]

ააჰედვინებს; ააჰედვინა; აუჰედვინებია; აეჰედვინებინა [და არა ააჰედიებს, ააჰედია...]

ააჰიკჰიკებს; ააჰიკჰიკა; აუჰიკჰიკებია; აეჰიკჰიკებინა [და არა აეჰიკჰიკებია]

ააჰრელებს; ააჰრელა; აუჰრელებია; აეჰრელებინა [და არა აეჰრელებია]

აახალგაზრდავებს; (გა)აახალგაზრდავა; (გა)უახალგაზრდავებია; (გა)ეახალგაზრდავებინა [და არა გაეახალგაზრდავებია]

აახედებს; **აახედა**; **აუხედებია**; **აეხედებინა** [და არა აეხედებია]

აახედვინებს; **აახედვინა**; **აუხედვინებია**; **აეხედვინებინა** [და არა აახედინებს, აახედინა...]

აახელინებს; **აახელინა**; **აუხელინებია**; **აეხელინებინა** [და არა აახელიებს, აახელია...]

აახელს; **აახილა**; **აუხელია**; **აეხილა** [და არა აეხილნა]

აახლებს [და არა ანახლებს]; შდრ.: **გააახლებს** (სუფრას), მაგრამ: **განაახლებს** (ძველ ნივთებს)

აახლოებს; **(და)აახლოვა**; **(და)უახლოებია**; **(და)ეახლოებინა** [და არა დაეახლოებია]

აახმაურებინებს; **აახმაურებინა**; **აუხმაურებინებია**; **აეხმაურებინებინა** [და არა აახმაურებიებს, აახმაურებია...]

აახმაურებს; **აახმაურა**; **აუხმაურებია**; **აეხმაურებინა** [და არა აეხმაურებია]

აახმიანებს; **აახმიანა**; **აუხმიანებია**; **აეხმიანებინა** [და არა აეხმიანებია]

აახსნევინებს; **აახსნევინა**; **აუხსნევინებია**; **აეხსნევინებინა** [და არა აახსნევიებს, აახსნევია...]

აბადია (არაფერი არ **აბადია**; არა **აბადია** რა): ეს ზმნა (ისევე როგორც **გააჩნია**) არ გამოიყენება დადებით კონტექსტში.

აბაზანა (აბაზანის⌜ა⌝)

აბათილებინებს; **(გა)აბათილებინა**; **(გა)უბათილებინებია**; **(გა)ებათილებინებინა** [და არა აბათილებიებს, გააბათილებია...]

აბათილებს; **(გა)აბათილა**; **(გა)უბათილებია**; **(გა)ებათილებინა** [და არა გაებათილებია]

აბალანსებს; **(და)აბალანსა**; **(და)უბალანსებია**; **(და)ებალანსებინა** [და არა დაებალანსებია]

აბამს; **აბამდა**; **აბამდეს** [და არა აბავს, აბავდა, აბავდეს]

აბანდებს; **(და)აბანდა**; **(და)უბანდებია**; **(და)ებანდებინა** [და არა დაებანდებია]

აბანინებს; **(და)აბანინა**; **(და)უბანინებია**; **(და)ებანინებინა** [და არა დაებანინებია]

აბარგდება; **აბარგდა**; **აბარგებულა**; **აბარგებულიყო**

აბარვინებს; **(და)აბარვინა**; **(და)უბარვინებია**; **(და)ებარვინებინა** [და არა დაებარვინებია]

აბდაუბდა (აბდაუბდის⌜ა⌝)

აბედვინებს; **(გა)აბედვინა**; **(გა)უბედვინებია**; **(გა)ებედვინებინა** [და არა აბედიებს, გააბედია...]

აბედნიერებს; **(გა)აბედნიერა**; **(გა)უბედნიერებია**; **(გა)ებედნიერებინა** [და არა გაებედნიერებია]

აბეზარა (აბეზარას⌜ი⌝); შდრ.: **აბეზარი** (აბეზრის⌜ა⌝)

აბეჭდვინებს; **(და)აბეჭდვინა**; **(და)უბეჭდვინებია**; **(და)ებეჭდვინებინა**

[და არა აბეჭდინებს, დააბეჭდინა...]

აბია (ერთი), მაგრამ: **ასხია** (ბევრი)

აბინავებს; **(და)აბინავა**; **(და)უბინავებია**; **(და)ებინავებინა** [და არა დაებინავებია]

აბინძურებს; **(გა)აბინძურა**; **(გა)უბინძურებია**; **(გა)ებინძურებინა** [და არა გაებინძურებია]

აბიტურიენტი: **სააბიტურიენტო**

აბმევინებს; **აბმევინა**; **უბმევინებია**; **ებმევინებინა** [და არა აბმევიებს, აბმევია...]

აბნელებინებს; **(და)აბნელებინა**; **(და)უბნელებინებია**; **(და)ებნელებინებინა** [და არა აბნელებიებს, დააბნელებია...]

აბნელებს; **(და)აბნელა**; **(და)უბნელებია**; **(და)ებნელებინა** [და არა დაებნელებია]

აბოლიცია (აბოლიციის˹ა˺): ადრე დაფიქსირებულ ხელშეკრულებაზე (მაგ., გარიგებაზე) უარის თქმა, შეთანხმების გაუქმება.

აბოლიციონიზმი (აბოლიციონიზმმა): 1. საზოგადოებრივი მოძრაობა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რომელიც მიზნად ისახავდა ზანგების მონობის მოსპობას (ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში); 2. საზოგადოებრივი მოძრაობა რაიმე კანონის გასაუქმებლად.

აბოლიციონისტი (= აბოლიციონიზმის მიმდევარი, აბოლიციონიზმის მომხრე): **აბოლიციონისტური**

აბოლოებს [და არა აბოლოვებს], მაგრამ: **(და)აბოლოვა** (**დავაბოლოვე**, **დააბოლოვე**)

აბომბვინებს; **(და)აბომბვინა**; **(და)უბომბვინებია**; **(და)ებომბვინებინა** [და არა აბომბინებს, დააბომბინა...]

აბონემენტი [და არა აბონიმენტი] (თეატრის **აბონემენტი**)

აბონენტი (ტელეფონის **აბონენტი**)

აბორიგენი: **აბორიგენული**

აბოროტებს; **(გა)აბოროტა**; **(გა)უბოროტებია**; **(გა)ებოროტებინა** [და არა გაებოროტებია]

აბრა (აბრის˹ა˺)

აბრაზებს; **(გა)აბრაზა**; **(გა)უბრაზებია**; **(გა)ებრაზებინა** [და არა გაებრაზებია]

აბრევიატურა (= სხვადასხვა წესით პირობითად შემოკლებული სიტყვა: **გაერო**, **ცესკო**...)

[აბრთხილებს, გააბრთხილა, გაუბრთხილებია, გაებრთხილებინა, გაეფრთხილებია კი არა] **აფრთხილებს**; **გააფრთხილა**; **გაუფრთხილებია**; **გაეფრთხილებინა**

აბრიყვებინებს; **(გა)აბრიყვებინა**; **(გა)უბრიყვებინებია**; **(გა)ებრიყვებინებინა** [და არა აბრიყვებიებს, გააბრიყვებია...]

აბრიყვებს; **(გა)აბრიყვა**; **(გა)უბრიყვებია**; **(გა)ებრიყვებინა** [და არა გაებრიყვებია]

აბრკოლებს; **(და)აბრკოლა**; **(და)უბრკოლებია**; **(და)ებრკოლებინა** [და არა დაებრკოლებია]

აბრმავებინებს; **(და)აბრმავებინა**; **(და)უბრმავებინებია**; **(და)ებრმავებინებინა** [და არა აბრმავებიებს, დააბრმავებია...]

აბრმავებს; **(და)აბრმავა**; **(და)უბრმავებია**; **(და)ებრმავებინა** [და არა დაებრმავებია]

აბსოლუტი (= ფილოს. სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი; სული; ღმერთი) – **აბსოლუტივი** (= სპეც. დამოუკიდებელი, თვითკმარი)

აბსოლუტური; **აბსოლუტურად** [და არა აბსოლიტური, აბსოლიტურად]

აბსოლუტური ჩემპიონი (სპორტ.)

აბსორბენტი (= სპეც. ნივთიერება, რომელსაც აბსორბციის უნარი აქვს) – **ადსორბენტი** (= სპეც. სხეული, რომლის ზედაპირზედაც ხდება ადსორბცია)

აბსორბცია (= შთანთქმა, შეწოვა, შესრუტვა ერთი ნივთიერების მიერ მეორე ნივთიერებისა) – **ადსორბცია** (= გაზის ან სითხის შთანთქმა მაგარი (ფოროვანი) ნივთიერებების ზედაპირის მიერ)

აბსტინენტი: 1. ადამინი, რომელიც შეგნებულად ან იძულებით იკავებს თავს მისთვის ჩვეული ნივთიერებების (ალკოჰოლი, თამბაქო...) მიღებისა თუ მოქმედების (სქესობრივი ურთიერთობა) შესრულებისაგან; 2. ავადმყოფი, რომელიც იმყოფება აბსტინენტურ მდგომარეობაში.

აბსტინენტური

აბსტრაქტული (აბსტრაქტულად)

აბსტრაქციონისტი; **აბსტრაქციონისტული**

აბსტრაჰირება (აბსტრაჰირების⌜ა⌝) [და არა აბსტრაგირება]

აბსურდი: **აბსურდული** [და არა აფსურდი, აფსურდული]

აბსცესი (აბსცესს): მედიც. ჩირქის დაგროვება რაიმე ორგანოში ან ქსოვილებში.

აბსცესური

აბუნტდება; **აბუნტდა**; **აბუნტებულა**; **აბუნტებულიყო**

აბურთავებს; **აბურთავა**; **უბურთავებია**; **ებურთავებინა** [და არა ებურთავებია]

აბურძგნილი (// **აბურძგნული**)

აბუსალათინი

აბჯარი (აბჯრის⌜ა⌝)

აგდება (აგდების⌜ა⌝): **აგდებული** (აგდებულად)

აგდებინებს; (გა)აგდებინა; (გა)უგდებინებია; (გა)ეგდებინებინა [და არა აგდებიებს, გააგდებია...]

აგებინებს; აგებინა; უგებინებია; ეგებინებინა [და არა აგებიებს, აგებია...]

აგებულება (აგებულების⌜ა⌝)

აგეგმვა (= ადგილმდებარეობის განსაზღვრა რუკის შესადგენად) – **დაგეგმვა** (= 1. გეგმის შედგენა; 2. ღონისძიებათა პროექტის შედგენა)

აგეგმვა-აღრიცხვა (აგეგმვა-აღრიცხვის⌜ა⌝)

აგეგმვინებს; (და)აგეგმვინა; (და)უგეგმვინებია; (და)ეგეგმვინებინა [და არა აგეგმიებს, დააგეგმია...]

აგევზია (აგევზიის⌜ა⌝): გემოვნების შეგრძნების მოშლა.

აგევზიური

აგენტი

აგენტურა (აგენტურის⌜ა⌝): **აგენტურული**

აგერიებინებს; (მო)აგერიებინა; (მო)უგერიებინებია; (მო)ეგერიებინებინა [და არა აგერიებიებს, მოაგერიებია...]

აგვიანდება (დააგვიანდა; დაჰგვიანებია; დაჰგვიანებოდა [და არა დაგვიანებია, დაგვიანებოდა...])

აგვხედ-დაგვხედავს; აგვხედ-დაგვხედა; აუხედ-დაუხედავს; აეხედ-დაეხედა

აგზავნინებს; (გა)აგზავნინა; (გა)უგზავნინებია; (გა)ეგზავნინებინა [და არა აგზავნიებს, გააგზავნია...]

აგზნებადი // აღგზნებადი

აგზნებადობა (აგზნებადობის⌜ა⌝) // **აღგზნებადობა** (აღგზნებადობის⌜ა⌝)

აგიტატორი

აგიტაცია (აგიტაციის⌜ა⌝)

აგლეჯს; აგლეჯდა; აგლეჯდეს [და არა აგლეჯავს, აგლიჯავს; აგლეჯავდა, აგლიჯავდა; აგლეჯავდეს, აგლიჯავდეს]; **აგლიჯა; უგლეჯია; ეგლიჯა**

აგლომერატი: 1. სხვადასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი; 2. ტექნ. წვრილი, ფხვიერი მადნისაგან გავარვარებით მიღებული ფორებიანი ნაჭრები; 3. გადატ. სხვადასხვა ნაწილისაგან შეკოწიწებული რამ.

აგლომერაცია (აგლომერაციის⌜ა⌝): 1. სხვადასხვაგვარი ქანების ერთ მთელად შეერთების პროცესი; 2. წვრილი, ფხვიერი მადნის ბრძმედში გადადუღებით ვარგისი ნაჭრების მიღების პროცესი; 3. გადატ. ერთმანეთის ახლომდებარე სხვადასხვა დასახლებული პუნქტის შეჯგუფება-გაერთიანება (უმთავრესად დიდი ქალაქების ირგვლივ).

აგნოზია (აგნოზიის⌜ა⌝): მედიც. სწორი აღქმის (მხედველობითი, სმენითი, შეგრძნების) დარღვევა თავის ტვინის ქერქის დაზიანების გამო.

აგონია (აგონიის˹ა˺): **აგონიური**

აგორა (აგორის˹ა˺): სახალხო კრება ძველ საბერძნეთში ან თვით მოედანი, სადაც ასეთი კრება იმართებოდა.

აგორავებს; აგორავა; უგორავებია; ეგორავებინა [და არა ეგორავებია]

აგორაფობია (აგორაფობიის˹ა˺): მედიც. ნევროზული სინდრომი – 1. გაშლილი სივრცის, სიცარიელის შიში; 2. ხალხის მასობრივი თავშეყრის შიში.

აგორებს; აგორა; უგორებია; ეგორებინა [და არა ეგორებია]

აგორებული მოლი (სპორტ.)

აგრარული [და არა აგრალური]

აგრაფია (აგრაფიის˹ა˺): წერის უნარის დაკარგვა სრულიად ან ნაწილობრივ.

აგრეგატი: აგრეგატული

აგრერიგად

აგრესია (აგრესიის˹ა˺): **აგრესიული** (აგრესიულად)

აგრესორი

აგროდამუშავება (აგროდამუშავების˹ა˺)

აგრომელიორაცია (აგრომელიორაციის˹ა˺)

აგრომრეწვი (= აგრონომიული მრეწველობა)

აგრონომი (აგრონომმა)

აგრონომია (აგრონომიის˹ა˺): **აგრონომიული**

აგროსამრეწველო (კომპლექსი/გაერთიანება...)

აგროსერვისი (აგროსერვისს)

აგროტექნიკა (აგროტექნიკის˹ა˺)

აგროქიმია (აგროქიმიის˹ა˺): **აგროქიმიური**

აგურ-აგურ

ადათ-წეს˹ებ˺ი (ადათ-წეს˹ებ˺ის˹ა˺)

ადამიანიშვილი: ადამიანიშვილური (ადამიანიშვილურად)

ადამისდროინდელი (ამბავი...)

ადაპტაცია (= შეგუება გარემოსთან) – **ადოპტაცია** (= შვილად აყვანა)

ადაპტირება (ადაპტირების˹ა˺): **ადაპტირებული**

ადასტურებს; (და)ადასტურა; (და)უდასტურებია; (და)ედასტურებინა [და არა დაედასტურებია]

ადგას [და არა ადგია] (დიდი ჯაფა **ადგას**)

ადგენს; დაადგინა; დაუდგენია; დაედგინა

ადგილ-ადგილ

ადგილგადანაცვლება (ადგილგადანაცვლების˹ა˺)

ადგილი აქვს რუსულის გზით შემოსული კალკია: **ხდება** ბოროტმოქმედება [და არა ადგილი აქვს ბოროტმოქმედებას], **ეწყობა** შეხვედრები [და არა ადგილი აქვს

შეხვედრებს], **არის** სიკვდილიანობის შემთხვევები [და არა ადგილი აქვს სიკვდილიანობის შემთხვევებს], **ირღვევა** წესრიგი [და არა ადგილი აქვს წესრიგის დარღვევას] და ა. შ., მაგრამ მართებულია: ყველაფერს თავისი **ადგილი აქვს**.

ადგილ-მამული, მაგრამ: **საადგილმამულო, ადგილმამულიანი**

ადგილმდებარეობა (ადგილმდებარეობისა)

ადგილმონაცვლე (ადგილმონაცვლისა)

ადგილმონაცვლეობა (ადგილმონაცვლეობისა)

ადგილმყოფობა (ადგილმყოფობისა)

ადგილობრივი (მოსახლეობა...)

ადგილსამყოფელი (ადგილსამყოფლისა)

ადეკვატური; ადეკვატურად [და არა ადექვატური, ადექვატურად]

ადენომა (= მედიც. ჯირკვლოვანი ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე) – **ადენოიდი** (= მედიც. ლიმფური ჯირკვლების სიმსივნისებური გადიდება ცხვირ-ხახაში) – **ადენიტი** (= მედიც. ლიმფური ჯირკვლების ანთება)

ადენომიომა (ადენომიომისა): მედიც. ჯირკვლოვანი და გლუვკუნთოვანი ქსოვილების სიმსივნე.

ადეპტი [და არა ადაპტი] (= რაიმე მოძღვრების თავგამოდებული დამცველი, მომხრე)

ადვილსარეგულირებელი, მაგრამ: **ადვილად სარეგულირებელი**

ადვილცვალებადი, მაგრამ: **ადვილად ცვალებადი**

ადვოკატი: ადვოკატური (გამოცდილება...)

ადვოკატობა (ადვოკატობისა)

ადვოკატურა (ადვოკატურისა)

[ადიალა კი არა] **საბანი, გადასაფარებელი**

ადიულტერი: ცოლქმრული ღალატი.

ადიფსია (ადიფსიისა): მედიც. წყურვილის გრძნობის უქონლობა.

ადი-ჩამოდის; ადი-ჩამოდიოდა; ადი-ჩამოდიოდეს

ადმინისტრატორი; ადმინისტრატორობა (ადმინისტრატორობისა)

ადმინისტრაცია (ადმინისტრაციისა)

ადმინისტრაციული (ადმინისტრაციულად)

ადმინისტრაციულ-სამეურნეო

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული [და არა ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური]

ადმინისტრაციულ-ფინანსური

ადმინისტრირება (ადმინისტრირებისა): **ადმინისტრირებული**

ადმირალი (ადმირალისა); **ადმირალიტეტი**

ადონაი (ადონაის˹ა˺): უფალი, ღმერთი.

ადოპტაცია – ადაპტაცია (ი ხ.)

ადრე თუ გვიან

ადრენალინი

ადრესანტი (= წერილის გამგზავნი) – **ადრესატი** (= წერილის მიმღები)

ადრეული (ხილი...) – **ადრინდელი** (ამბავი...)

ადრექრისტიანული (ხელნაწერი...)

ადრიდან; ადრიდანვე

ადღეგრძელებს; ადღეგრძელა; უდღეგრძელებია; ედღეგრძელებინა [და არა ადღეგძელებს, ადღეგძელა...]

აევლო [და არა აეარა] (ზემოთ უნდა **აევლო**)

აეკიდება; აეკიდა; აჰკიდებია; აჰკიდებოდა [და არა აკიდებია, აკიდებოდა]

აერარიუმი (აერარიუმმა): ჰაერის აბაზანების მისაღებად მოწყობილი მოედანი.

აერაცია (აერაციის˹ა˺): ბუნებრივი ვენტილაცია.

აერთსულოვნებს (გააერთსულოვნა; გაუერთსულოვნებია; გაეერთსულოვნებინა [და არა გაეერთსულოვნებია])

აერთფეროვნებს (გააერთფეროვნა; გაუერთფეროვნებია; გაეერთფეროვნებინა [და არა გაეერთფეროვნებია])

აერობები (აერობების˹ა˺): სპეც. ზოგადი სახელწოდება იმ ორგანიზმებისა, რომელთა განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა ატმოსფერული ჟანგბადი.

აერობიკა (აერობიკის˹ა˺)

აერობუსი (აერობუსს)

აეროგადაღება (აეროგადაღების˹ა˺)

აეროდრომი (= საგანგებოდ მოწყობილი მოედანი თვითმფრინავების სადგომად და ასაფრენ-დასაფრენად) – **აეროპორტი** (= საჰაერო პორტი მგზავრების/ტვირთის/ფოსტის მისაღებად და გასაგზავნად)

აეროზოლი

აეროთერაპია (აეროთერაპიის˹ა˺)

აერონავიგაცია (აერონავიგაციის˹ა˺)

აეროსასხურებელი (აეროსასხურებლის˹ა˺)

აეროსტატი

აეროტექნიკა (აეროტექნიკის˹ა˺)

აეროფაგია (აეროფაგიის˹ა˺)

აეშენებინებინა; აეშენებინებინოს [და არა აეშენებინებია, აეშენებინებიოს]

აეშლება; აეშალა; აშლია; აშლოდა

აეწვება; აეწვა; ასწვია; ასწვოდა

აეწყობა; აეწყო; ასწყობია; ასწყობოდა (მას საქმე), შდრ.: **აეწყობა** (საქმე / სუბარი...)

აეჩვევს; (და)აეჩვა; (და)უეჩვევია; (და)ეეჩვევინა [და არა დაეეჩვევია]

აეჭვიანებს; აეჭვიანა; უეჭვიანებია; ეეჭვიანებინა [და არა ეეჭვიანებია]

აეხილება; აეხილა; ახელია; ახელოდა

ავადდება (დაავადდა; დაავადებულა; დაავადებულიყო)

[ავადვმყოფობ, ავადვმყოფობდი, ავადვმყოფობდე კი არა] **ვავადმყოფობ; ვავადმყოფობდი; ვავადმყოფობდე**

ავადმყოფი: ავადმყოფური (ავადმყოფურად)

ავადმყოფობა (ავადმყოფობის⌜ა⌝)

ავადსახსენებელი (ავადსახსენებლის⌜ა⌝)

ავაზაკი: ავაზაკური

ავალდებულებს (= ვალდებულს ხდის) – **ავალებს** (= დავალებას აძლევს; აკისრებს) – **ავალიანებს** (= ვალში აგდებს)

ავანგარდიზმი (ავანგარდიზმმა)

ავანგარდისტი: ავანგარდისტული (სპექტაკლი...)

ავანსი (ავანსს)

ავანსცენა (ავანსცენის⌜ა⌝)

ავანტიტული (= წიგნის პირველი ფურცელი, რომელზედაც წერია წიგნის სახელწოდება, გამომცემლობის დასახელება და სხვა მონაცემები)

ავანტიურა (ავანტიურის⌜ა⌝) [და არა ავანტურა]

ავანტიურისტი (ავანტიურისტის⌜ა⌝): **ავანტიურისტული** [და არა ავანტურისტი, ავანტურისტული]

ავანტიურული (= 1. საფუძველს მოკლებული, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული უპერსპექტივო საქმე, მოქმედება: 2. თავგადასავალი, მეტწილად – საძრახისი) – **ავანტიურისტული** (= 1. ავანტიურისტისთვის დამახასიათებელი; 2. ავანტიურების წამომწყები)

ავანჩავანი (ავანჩავანის⌜ა⌝)

ავარია (ავარიის⌜ა⌝): **ავარიული** (მდგომარეობა)

ავბედითი (დღეები...)

ავბედობა (ავბედობის⌜ა⌝)

ავგაროზი (ავგაროზზე)

ავდარი (ავდრის⌜ა⌝)

ავზი (ავზზე)

ავთენტ⌜ი⌝კ⌜უ⌝რი (= ნამდვილი, სარწმუნო, დედნის შესაბამისი)

ავიაკომპანია (ავიაკომპანიის⌜ა⌝)

ავიამოდელიზმი (ავიამოდელიზმმა) (სპორტ.)

ავიასპორტი: ავიასპორტული

ავიაცია (ავიაციის⌜ა⌝)

ავიახაზი (ავიახაზზე)

ავითარებს; (გან)ავითარა; (გან)უვითარებია; (გან)ევითარებინა [და არა ანვითარებს, გაანვითარა, გაუნვითარებია, გაენვითარებინა]

ავისმაუწყებელი (ავისმაუწყებლად)

ავისმზრახველი (ავისმზრახველის˹ა˺)

ავისმომასწავებელი (ავისმომასწავებლად)

ავიტამინოზი (ავიტამინოზზე)

ავიწროებს; ავიწროებდა; ავიწროებდეს, მ ა გ რ ა მ: **(და)ავიწროვა; (და)ვავიწროვე, (და)ავიწროვე**

ავ-კარგი, მ ა გ რ ა მ: **ავკარგიანი; ავკარგიანობა**

ავლადიდება (ავლადიდების˹ა˺)

ავლა-ჩამოვლა; ავლა-ჩამოვლისას

ავლენს (გამოავლინა; გამოუვლენია; გამოევლინა)

ავნებს; ავნო; უვნია; ევნო

ავობს; ავობდა; ავობდეს (ვავა; უავია; ეავა)

ავრალი (ავრალის˹ა˺): 1. ს პ ე ც. მთელი ეკიპაჟის გამოწვევა ზევით, გემბანზე (საგანგაშო მდგომარეობაში); 2. გ ა დ ა ტ. სასწრაფო სამუშაო, რომელსაც მთელი კოლექტივი ასრულებს.

ავრალური

ავრცელებს; (გა)ავრცელა; (გა)უვრცელებია; (გა)ევრცელებინა [დ ა ა რ ა გაევრცელებია]

ავრცობს (გაავრცო; გაუვრცია; გაევრცო // განავრცობს; განავრცო; განუვრცია; განევრცო)

ავსებული [დ ა ა რ ა ავსილი] (ჭიქა...)

ავტობაზა (ავტობაზის˹ა˺)

ავტობანი (= ცალმხრივი ავტომაგისტრალი ავტომობილების ჩქაროსნული მოძრაობისათვის) // **ავტოსტრადა** (ავტოსტრადის˹ა˺)

ავტობიოგრაფია (ავტობიოგრაფიის˹ა˺)

ავტობიოგრაფიული (მასალა...) – **ავტოგრაფ˹ი˺ული** (გამოცემა)

ავტობუსი (ავტობუსს)

ავტოგადაზიდვა (ავტოგადაზიდვის˹ა˺)

ავტოგზა (ავტოგზის˹ა˺)

ავტოგოლი (ს პ ო რ ტ.)

ავტოგრაფი: ავტოგრაფული

ავტოდრომი (ავტოდრომმა)

ავტოკეფალია (ავტოკეფალიის˹ა˺): **ავტოკეფალიური**

ავტოკლავი (= ჰერმეტულსახურავიანი ქვაბი; იხმარება შესახვევი მასალისა და ქირურგიული იარაღების სტერილიზაციისათვის)

ავტოკრატია (ავტოკრატიის˹ა˺)

ავტოკრატიული (რეჟიმი...)

ავტოლიზი (= ს პ ე ც. თვითდაშლა, თვითხრწნა; ნივთიერებათა (კერძოდ, ცილების) დაშლა, დარღვევა ორგანიზმის უჯრედშივე არსებული ფერმენტების ზემოქმედების შედეგად)

ავტომანქანა (ავტომანქანის˹ა˺)

ავტომანქანების სადგომი // ავტოსადგომი

ავტომატიკა (= ტექნიკის დარგი; ერთობლიობა მექანიზმებისა, რომლებიც ავტომატურად იმართება) –

ავტომატიზმი (= შეუგნებელი, არაგაცნობიერებული მოქმედება) – **ავტომატიზაცია** (= წარმოების აღჭურვა ავტომატური მექანიზმებით)

ავტომესაჭე (ავტომესაჭის⌜ა⌝)

ავტომისაბმელი (ავტომისაბმელის⌜ა⌝)

ავტომობილი; საავტომობილო

ავტომოდელიზმი (ავტომოდელიზმმა) (სპორტ.)

ავტომოპასუხე (ავტომოპასუხის⌜ა⌝)

ავტომოყვარული

ავტომრბოლ⌜ელ⌝ი (ავტომრბოლ⌜ელ⌝ის⌜ა⌝) (სპორტ.)

ავტომრეწველობა (ავტომრეწველობის⌜ა⌝)

ავტომშენებელი (ავტომშენებლის⌜ა⌝)

ავტომშენებლობა (ავტომშენებლობის⌜ა⌝)

ავტონაწილები (მრ.)

ავტონომია (ავტონომიის⌜ა⌝): **ავტონომიური** (რესპუბლიკა...)

ავტონომიურობა (ავტონომიურობის⌜ა⌝)

ავტოპარკი

ავტოპილოტი: მოწყობილობა საფრენი აპარატის (თვითმფრინავის და მისთ.) ავტომატური მართვისათვის.

ავტოპორტრეტი

ავტორალი (სპორტ.)

ავტორბოლა (სპორტ.)

ავტორეგულირება (ავტორეგულირების⌜ა⌝)

ავტორეფერატი

ავტორი (სიტყვა **ავტორი** აღნიშნავს რაიმე ნაწარმოების (ლიტერატურულის, მუსიკალურის) შემქმნელს, გამომგონებელს. ბუნებრივი შესიტყვებებია: ლექსის/ ოპერის/სიმღერის/სტატიის **ავტორი**. ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: გატანილი ბურთის **ავტორია**, მაგალითად, მესი. უნდა იყოს: **ბურთი გაიტანა** მესიმ)

ავტორიზებული თარგმანი (= ავტორის მიერ ნებადართული ან მისი მეთვალყურეობით შესრულებული თარგმანი)

ავტორიტარიზმი (ავტორიტარიზმმა)

ავტორიტარული [და არა ავტორიტალური]

ავტორიტეტული (// **ავტორიტეტიანი**) (მეცნიერი...), შდრ.: **ავტორიტეტული დასკვნა** (= კომპეტენტური, სანდო დასკვნა)

ავტორ-რედაქტორი

ავტორ-შემდგენელი (ავტორ-შემდგენლის⌜ა⌝)

ავტოსაგზაო (გვირაბი...)

ავტოსადგომი (ავტოსადგომმა)

ავტოსადგური

ავტოსათადარიგო (ნაწილები)

ავტოსალონი

ავტოსალტე (ავტოსალტის⌜ა⌝)

ავტოსარემონტო

ავტოსატრანსპორტო (შემთხვევა...)

ავტოსახელოსნო

ავტოსერვისი (ავტოსერვისს)

ავტოსლალომი (სპორტ.)

ავტოსტრადა (ავტოსტრადის⌜ა⌝) // **ავტობანი**

ავტოტრანსპორტი

ავტოტრანსფუზია (ავტოტრანსფუზიის⌜ა⌝): მედიც. ავადმყოფისათვის თავისივე სისხლის გადასხმა.

ავტოქთონური [და არა ავტოხტონური]

ავტომარა (ავტომარის⌜ა⌝)

ავტომრავა (ავტომრავის⌜ა⌝)

ავუარი (ავუარის⌜ა⌝): 1. ცალკე პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში; 2. ბანკის სავალუტო სახსრები საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშზე; 3. ფულადი თანხა, ჩეკი, თამასუქი, აკრედიტივი, პატენტი და სხვა საკუთრება, რომლითაც ხდება გადახდა და ვალდებულებათა განაღდება.

[ავღზრდი კი არა] **აღვზრდი**

[ავღნიშნავ კი არა] **აღვნიშნავ**

[ავღნუსხავ კი არა] **აღვნუსხავ**

[ავღრიცხავ კი არა] **აღვრიცხავ**

[ავღწერ კი არა] **აღვწერ**

აზარტი: **აზარტული** (აზარტულად)

აზეპირებინებს; **(და)აზეპირებინა**; **(და)უზეპირებინებია**; **(და)ეზეპირებინებინა** [და არა აზეპირებიებს, დააზეპირებია...]

აზერბაიჯანელი (აზერბაიჯანელის⌜ა⌝)

აზერბაიჯანული (აზერბაიჯანულად)

აზვერვინებს; **(და)აზვერვინა**; **(და)უზვერვინებია**; **(და)ეზვერვინებინა** [და არა აზვერვიებს, დააზვერვია...]

აზვიადებს; **(გა)აზვიადა**; **(გა)უზვიადებია**; **(გა)ეზვიადებინა** [და არა გაეზვიადებია]

აზიარებინებს; **აზიარებინა**; **უზიარებინებია**; **ეზიარებინებინა** [და არა აზიარებიებს, აზიარებია...]

აზიარებს; **აზიარა**; **უზიარებია**; **ეზიარებინა** [და არა ეზიარებია]

აზიატი: **აზიატური** (აზიატურად)

აზიდვინებს; **აზიდვინა**; **უზიდვინებია**; **ეზიდვინებინა** [და არა აზიდვიებს, აზიდვია...]

აზოგადებს (**ვაზოგადებ მე**, **აზოგადებ შენ**) (**განაზოგადებს**...)

აზომ-დაზომავს; **აზომ-დაზომა**; **აუზომ-დაუზომავს**; **აეზომ-დაეზომა**

აზრმოკლებული, მაგრამ: **აზრს მოკლებული**

აზრობრივი; **აზრობრივად**

აზროვნება (აზროვნების⌜ა⌝)

აზროვნებს; **აზროვნებდა**; **აზროვნებდეს** (**იაზროვნა**; **უაზროვნია**; **ეაზროვნა**)

აზუსტებინებს; **(და)აზუსტებინა**; **(და)უზუსტებინებია**; **(და)ეზუსტებინებინა** [და არა აზუსტებიებს, დააზუსტებია...]

აზუსტებს; **(და)აზუსტა**; **(და)უზუსტებია**; **(და)ეზუსტებინა** [და არა დაეზუსტებია]

აზღვევინებს; **აზღვევინა**; **უზღვევინებია**; **ეზღვევინებინა** [და არა აზღვევიებს, აზღვევია...]

აზღვევს; **(და)აზღვია**; **(და)უზღვევია**; **(და)ეზღვია**

ათავისუფლებს; **(გა)ათავისუფლა**; **(გა)უთავისუფლებია**; **(გა)ეთავისუფლებინა** [და არა ანთავისუფლებს, გაანთავისუფლა, გაუნთავისუფლებია, გაენთავისუფლებინა]

ათანამედროვებს (**გაათანამედროვა**; **გაუთანამედროვებია**; **გაეთანამედროვებინა** [და არა გაეთანამედროვებია])

ათანასწორებს; **(გა)ათანასწორა**; **(გა)უთანასწორებია**; **(გა)ეთანასწორებინა** [და არა გაეთანასწორებია]

ათანხმებს; **ათანხმებდა**; **ათანხმებდეს** (**შეათანხმებს**...)

ათას-ათასი (ათას-ათასს)

ათასგვარი (ათასგვარად)

ათასგზის

ათას ერთი; **ათას ორი**...

ათასეული

ათასნაირი (ათასნაირად)

ათასფერადი

ათასფერი (ათასფრად // ათასფერად)

ათასფეროვანი (ათასფეროვნად)

ათასწლეული (ათასწლეულის⌜ა⌝)

ათასწლოხით

ათასჯერ

ათაყვანებს[1] (= ვინმეს ან რაიმეს მოთაყვანედ ხდის); **ათაყვანა**; **უთაყვანებია**; **ეთაყვანებინა** [და არა ეთაყვანებია]

ათაყვანებს[2] (= საუბ. ტვინს ულაყებს, გონებას ურევს, აშტერებს); **გამოათაყვანა**; **გამოუთაყვანებია**; **გამოეთაყვანებინა** [და არა გამოეთაყვანებია]

ათეიზმი (ათეიზმმა)

ათეისტი: **ათეისტური** (აოეისტურად)

ათენ-აღამებს; **ათენ-აღამა**; **უთენ-უღამებია**; **ეთენ-ეღამებინა**

ათენგენობა (ათენგენობის⌜ა⌝): ეთნ. ქრისტიანული დღესასწაული ძვ. საქართველოში (დაწესებული წამებული ათენგენე საბასტიელი ეპისკოპოსის სახელის პატივსაცემად).

ათეული; **ათეულობით**

ათვალიერებინებს; **(და)ათვალიერებინა**; **(და)უთვალიერებინებია**; **(და)ეთვალიერებინებინა** [და არა ათვარიელებიებს, დაათვარიელებია...]

ათვალიერებს; **(და)ათვალიერა**; **(და)უთვალიერებია**; **(და)ეთვალიერებინა** [და არა დაეთვალიერებია]

ათვითცნობიერებს (გაათვითცნობიერა; გაუთვითცნობიერებია; გაეთვითცნობიერებინა [და არა გაეთვითცნობიერებია])

ათი ათასი, მაგრამ: **ათიათასჯერ; ათიათასობით**

ათი-თერთმეტი; ათი-თორმეტი...

ათიოდˮ**ე**ˮ (ათიოდესˮიˮ)

ათიშვიწებს; (გამო)ათიშვიწა; (გამო)უთიშვიწებია; (გამო)ეთიშვიწებინა [და არა გამოეთიშინებია]

ათკეცდება (გაათკეცდა; გაათკეცებულა; გაათკეცებულიყო)

ათლარიანი // 10-ლარიანი

ათლევინებს; (გა)ათლევინა; (გა)უთლევინებია; (გა)ეთლევინებინა

ათლეტი: ათლეტური

ათლეტიზმი (ათლეტიზმმა) (სპორტ.)

ათ-ნახევარი (ათ-ნახევრისˮაˮ)

ათნიშნა (რიცხვი); **ათნიშნიანი**

ათოვს; ათოვდა; ათოვდეს; (და)ათოვა; (და)უთოვია; (და)ეთოვა [და არა დაუთოვნია, დაეთოვნა]

ათწლეული

ათჭიდი (სპორტ.)

აიაზმა (აიაზმისˮაˮ): ნაკურთხი (წყალი)

აიდგამს (ფეხს/ენას), მაგრამ: **ამოიდგამს** (ენას)

აიდუღებს; აიდუღა; აუდუღებია; აედუღებინა [და არა აედუღებია]

აივანი (აივნისˮაˮ)

აითვალწუნებს; აითვალწუნა; აუთვალწუნებია; აეთვალწუნებინა [და არა აეთვალწუნებია]

აიკიდო (სპორტ.)

აიკლებს; აიკლო; აუკლია; აეკლო

აიკრძალება; აიკრძალა; აკრძალულა; აკრძალულიყო

აინაზღაურებს; აინაზღაურა; აუნაზღაურებია; აენაზღაურებინა [და არა აენაზღაურებია]

აინტერესებს; აინტერესებდა; აინტერესებდეს (დააინტერესა; დაუინტერესებია; დაეინტერესებინა [და არა დაეინტერესებია])

აირ(ევ)-დაირევა; აირ(ივ)-დაირია; არეულ-დარეულა; არეულ-დარეულიყო

აირბენ-ჩაირბენს; აირბინ-ჩაირბინა; აურბენ-ჩაურბენია; აერბინ-ჩაერბინა

აირბენ-ჩამოირბენს; აირბინ-ჩამოირბინა; აურბენ-ჩამოურბენია; აერბინ-ჩამოერბინა

აირეკლავს; აირეკლა; აურეკლავს; აერეკლა

აირეკლება; აირეკლა; არეკლილა; არეკლილიყო

აირი; აირმრიცხველი; აირსადენი; აირსაზომი (აირსაზომმა); **აირსაფარი** (აირსაფრისˮაˮ)

აირია მონასტერი (= არეულობაა, ქაოსი შეიქნა)

აირიდებს; აირიდა; აურიდებია; აერიდებინა [და არა აერიდებია]

აირმედეგი

აირმრიცხველი (აირმრიცხველის⌜ა⌝)

აირჩევს; აირჩია; აურჩევია; აერჩია [და არა აერჩივნა]

აირწინაღი

აისახება; აისახა; ასახულა; ასახულიყო

აისბაილი (სპორტ.)

აისბერგი

აისი (აისს)

აისრულებს; აისრულა; აუსრულებია; აესრულებინა [და არა აესრულებია]

აისხამს; აისხა; აუსხამს [და არა აუსხავს]; **აესხა**

აისხლეტს; აისხლეტდა; აისხლეტდეს [და არა აისხლეტავს, აისხლიტავს; აისხლეტავდა, აისხლიტავდა; აისხლეტავდეს, აისხლიტავდეს]; **აისხლიტა; აუსხლეტია; აესხლიტა**

აიტაცებს; აიტაცა; აუტაცებია; აეტაცებინა [და არა აეტაცებია]

აიტეხს; აიტეხა; აუტეხია [და არა აუტეხნია]; **აეტეხა**

აიფარებს; აიფარა; აუფარებია; აეფარებინა [და არა აეფარებია]

აიყვანს; აიყვანა; აუყვანია; აეყვანა

აიშორებს; აიშორა; აუშორებია; აეშორებინა [და არა აეშორებია]

აიჩემებს; აიჩემა; აუჩემებია; აეჩემებინა

აიჩეჩს; აიჩეჩა; აუჩეჩია; აეჩეჩა

აიცდენს; აიცდინა; აუცდენია; აეცდინა

აიცილებს; აიცილა; აუცილებია; აეცილებინა [და არა აეცილებია]

აიცრება; აიცრა; აცრილა; აცრილიყო

აიცრუებს; აიცრუა; აუცრუებია; აეცრუებინა [და არა აეცრუებია]

აიძროხს; აიძრო; აუძვრია [და არა აუძრია]; **აეძრო**

აიძულებს; აიძულა; უიძულებია; ეიძულებინა

აიწ-დაიწევს; აიწ-დაიწია; აწეულ-დაწეულა; აწეულ-დაწეულიყო

აიწონ-დაიწონება; აიწონ-დაიწონა; აწონილ-დაწონილა; აწონილ-დაწონილიყო

აიწყვეტს; აიწყვეტდა; აიწყვეტდეს [და არა აიწყვეტავს, აიწყვიტავს; აიწყვეტავდა, აიწყვიტავდა; აიწყვეტავდეს, აიწყვიტავდეს]; **აიწყვიტა; აუწყვეტია; აეწყვიტა**

აიწყობს; აიწყო; აუწყვია [და არა აუწყია]; **აეწყო**

აიხედავს; აიხედა; აუხედავს; აეხედა

აიხირებს; აიხირა; აუხირებია; აეხირებინა [და არა აეხირებია]

აიხსნება; აიხსნა; ახსნილა; ახსნილიყო

აკადემია (აკადემიის⌜ა⌝): **აკადემიური** (აკადემიურად)

აკადემიზმი (აკადემიზმმა)

აკადემიკოსი (აკადემიკოსს)

აკადემიკოს-მდივანი (აკადემიკოს-მდივნის⌜ა⌝)

აკადემიური ნიჩბოსნობა (სპორტ.)

აკადემიურობა (აკადემიურობის⌜ა⌝)

აკადრებინებს; აკადრებინა; უკადრებინებია; ეკადრებინებინა [და არა აკადრებიებს, აკადრებია...]

აკადრებს; აკადრა; უკადრებია; ეკადრებინა [და არა ეკადრებია]

აკავებს; (და)აკავა; (და)უკავებია; (და)ეკავებინა [და არა დაეკავებია]

აკავშირებს; (და)აკავშირა; (და)უკავშირებია; (და)ეკავშირებინა [და არა დაეკავშირებია]

აკანონებინებს; (და)აკანონებინა; (და)უკანონებინებია; (და)ეკანონებინებინა [და არა აკანონებიებს, დააკანონებია...]

აკანონებს; (და)აკანონა; (და)უკანონებია; (და)ეკანონებინა [და არა დაეკანონებია]

აკეთებინებს; (გა)აკეთებინა; (გა)უკეთებინებია; (გა)ეკეთებინებინა [და არა აკეთებიებს, გააკეთებია...]

აკეთებს (= რაიმეს ქმნის შრომით; საქმიანობს. მაგ., დურგალი მაგიდას **აკეთებს**; მუშა სასოფლო-სამეურნეო იარაღს **აკეთებს**, მაგრამ უმართებულოა: კარგი ფილმი **გააკეთა**; კარგი სიმღერა/პიესა... **გააკეთა**. უნდა იყოს: კარგი ფილმი **გადაიღო** (**შექმნა**); კარგი სიმღერა/პიესა... **დაწერა** (**შექმნა**).

აკეთილშობილებს; (გა)აკეთილშობილა; (გა)უკეთილშობილებია; (გა)ეკეთილშობილებინა [და არა გაეკეთილშობილებია]

აკვალანგი; აკვალანგისტი

აკვანავტი: წყალქვეშ მომუშავე; წყალქვეშელი.

აკვაპლანი (სპორტ.)

აკვარელი

აკვარელისტი

აკვარიუმი (აკვარიუმმა)

აკვლევინებს; (მო)აკვლევინა; (მო)უკვლევინებია; (მო)ეკვლევინებინა [და არა აკვლევიებს, მოაკვლევია...]

აკვრევინებს; (და)აკვრევინა; (და)უკვრევინებია; (და)ეკვრევინებინა [და არა აკვრევიებს, დააკვრევია...]

აკითხებს (= წააკითხებს; სთხოვს ან ავალებს ვინმეს, წაიკითხოს: ლექსს **აკითხებს**) – **აკითხვინებს** (= დაავალებს, ვინმეს ჰკითხოს: ამბავს **აკითხვინებს**)

აკისრებს; (და)აკისრა; (და)უკისრებია; (და)ეკისრებინა [და არა დაეკისრებია]

აკლდამა (აკლდამის⌜ა⌝)

აკლდება (დააკლდა; დაჰკლებია; დაჰკლებოდა [და არა დაკლებია, დაკლებოდა])

აკლიმატიზაცია (აკლიმატიზაციის⌜ა⌝)

აკლიმატიზება (აკლიმატიზების⌜ა⌝):

აკლიმატიზებული [და არა აკლიმატიზირება, აკლიმატიზირებული]

აკმაყოფილებს; (და)აკმაყოფილა; (და)უკმაყოფილებია; (და)ეკმაყოფილებინა [და არა დაეკმაყოფილებია]

აკომოდაცია (აკომოდაციის⌜ა⌝): მიჩვევა, შეგუება; ცალკეული ორგანოების უნარი მოერგონ გარემო პირობების ცვლას.

აკომპანემენტი [და არა აკომპანიმენტი], მაგრამ: **აკომპანიატორი**

აკომპლექსებს: **(და)აკომპლექსა; (და)უკომპლექსებია; (და)ეკომპლექსებინა**

აკომპლექსებს (= რაიმე ფსიქოლოგიურ კომპლექსს უჩენს, მაგ., არასრულფასოვნებისას) – **აკომპლექტებს** (= რაიმეს კომპლექტს ქმნის, მაგ., შტატებს **აკომპლექტებს**)

აკონკრეტებს; (და)აკონკრეტა; (და)უკონკრეტებია; (და)ეკონკრეტებინა [და არა დაეკონკრეტებია]

აკონსერვებს; (და)აკონსერვა; (და)უკონსერვებია; (და)ეკონსერვებინა [და არა დაეკონსერვებია]

აკონტროლებს; (გა)აკონტროლა; (გა)უკონტროლებია; (გა)ეკონტროლებინა [და არა გაეკონტროლებია]

აკორდეონი

აკრებინებს (ხალხს/რიცხვებს) – **აკრეფინებს** (მარცვლებს/ხილს/ ტელეფონის ნომერს/ტექსტს...)

აკრედიტაცია (აკრედიტაციის⌜ა⌝): 1. ვინმესთვის რწმუნების მიცემა ფულის მისაღებად ან სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად; 2. რწმუნების (აკრედიტივის) მიცემა უცხო სახელმწიფოს მთავრობასთან წარმომადგენლობისათვის; 3. ჟურნალისტის ოფიციალური დაშვება რაიმე საერთაშორისო კონფერენციასა თუ სპორტულ შეჯიბრებაზე იქაური მოვლენების გასაშუქებლად; 4. ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მისი სტრუქტურული ერთეულის ან საგანმანათლებლო პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

აკრედიტება (აკრედიტების⌜ა⌝): **აკრედიტებული** [და არა აკრედიტიზირებული]

აკრედიტებს; აკრედიტებდა; აკრედიტებდეს (დააკრედიტებს...)

აკრედიტივი: 1. საფინანსო საბუთი, რომლითაც ერთი საკრედიტო დაწესებულება ავალებს მეორეს, მისცეს გარკვეულ პირს განსაზღვრული თანხა ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ; 2. ოფიციალური რწმუნების სიგელი.

აკრიტიკებს; (გა)აკრიტიკა; (გა)უკრიტიკებია; (გა)ეკრიტიკებინა [და არა გაეკრიტიკებია]

აკრობატი: **აკრობატული**

აკრობატიკა (აკრობატიკის˹ა˺)

აკრძალვინებს; (ა)აკრძალვინა; (ა)უკრძალვინებია; (ა)ეკრძალვინებინა [და არა აეკრძალვინებია]

აკუმულატორი

აკუმულაცია (აკუმულაციის˹ა˺)

აკურატული (აკურატულად)

აკურატულობა (აკურატულობის˹ა˺)

აკურთხებინებს; აკურთხებინა; უკურთხებინებია; ეკურთხებინებინა [და არა აკურთხებიებს, აკურთხებია...]

აკურთხებს; აკურთხა; უკურთხებია; ეკურთხებინა [და არა ეკურთხებია]

აკუსტიკა (აკუსტიკის˹ა˺): **აკუსტიკური** (აკუსტიკურად)

ალაგ-ალაგ

ალაგებინებს; ალაგებინა; ულაგებინებია; ელაგებინებინა [და არა ალაგებიებს, ალაგებია...]

ალაგებს; (და)ალაგა; (და)ულაგებია; (და)ელაგებინა [და არა დაელაგებია]

ალაგმავს; ალაგმა; აულაგმავს; აელაგმა

ალაგმვა (ალაგმვის˹ა˺)

ალაგმვინებს; (ა)ალაგმვინა; (ა)ულაგმვინებია; (ა)ელაგმვინებინა [და არა აელაგმვინებია]

ალალბედად; ალალბედზე

ალალ-მართალი (ალალ-მართლის˹ა˺), მაგრამ: **ალალმართლობა** (ალალმართლობის˹ა˺)

ალამაზებინებს; (გა)ალამაზებინა; (გა)ულამაზებინებია; (გა)ელამაზებინებინა [და არა ალამაზებიებს, გაალამაზებია...]

ალამაზებს; (გა)ალამაზა; (გა)ულამაზებია; (გა)ელამაზებინა [და არა გაელამაზებია]

ალანძღვინებს; ალანძღვინა; ულანძღვინებია; ელანძღვინებინა [და არა ალანძღვიებს, ალანძღვია...]

ალაპარაკდება; ალაპარაკდა; ალაპარაკებულა; ალაპარაკებულიყო

ალაპარაკებს; ალაპარაკა; ულაპარაკებია; ელაპარაკებინა [და არა ელაპარაკებია]

ალაფურშეტი

ალბათ [და არა ალბად]

ალბათობა (ალბათობის˹ა˺)

ალბინიზმი (ალბინიზმმა)

ალბინოსი (ალბინოსს)

ალბომი (ალბომმა)

ალბუმინი (= წყალში ხსნადი უმარტივესი ცილა)

ალგეზია (ალგეზიის˹ა˺): მედიც. ტკივილის შეგრძნების მოშლა.

ალგორითმი (ალგორითმმა): **ალგორითმული**

ალეგორია (ალეგორიის˹ა˺): **ალეგორიული** (ალეგორიულად)

ალეგრო (= 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი; 2.

ამ ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი) – **ალეგრეტო** (= 1. მუსიკალური ნაწარმოების ზომიერად ჩქარი (მაგრამ ალეგროზე უფრო ნელი) ტემპი; 2. ამ ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი)

ალერგენი (= ნივთიერება, რომელიც იწვევს ალერგიულ რეაქციას)

ალერგია (ალერგიის[ა]) (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: საკვებმა/წამალმა... **ალერგია მისცა**. უნდა იყოს: საკვებმა/წამალმა... **ალერგია გამოიწვია**)

ალერგიული (ალერგიულად)

ალერგოლოგი

ალერგოლოგია (ალერგოლოგიის[ა]): **ალერგოლოგიური**

ალიანსი (ალიანსს)

ალიბი (მოთხრ. ალიბიმ, მიც., ნათ. ალიბის)

ალიგატორი

ალიმენტი

ალისფერი (ალისფრად)

ალკალოიდი (მრ. ალკალოიდები): რთული ორგანული ტუტე მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისა; ნახშირბადისა და წყალბადის გარდა, შეიცავს აზოტს – აქვს ძლიერი ფიზიოლოგიური მოქმედება.

ალკოჰოლი: **ალკოჰოლური** [და არა ალკოგოლი, ალკოგოლური]

ალკოჰოლიზმი (ალკოჰოლიზმმა) [და არა ალკოგოლიზმი]

ალმანახი

ალმოდებული

ალოგიზმი (ალოგიზმმა)

ალოგიკური: **ალოგიკუროზა** (ალოგიკუროზის[ა])

ალოგრაფი (= ხელმოწერა სხვა პირის სახელით; ყალბი ხელმოწერა)

ალოდინებს; **ალოდინა**; **ულოდინებია**; **ელოდინებინა** [და არა ელოდინებია]

ალოცვინებს; **ალოცვინა**; **ულოცვინებია**; **ელოცვინებინა** [და არა ალოცვიებს, ალოცვია...]

ალპინიადა (= ალპინისტების მასობრივი ლაშქრობა მაღალმთიან ადგილებში) – **ალპინიზმი** (= მთამსვლელობა, სამთო ტურიზმი)

ალპინისტი: **ალპინისტური**

ალტერნატი: საერთაშორისო თავაზიანობის წესი, რომლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმომწერი მხარის დასახელება, ასევე ხელშეკრულების ტექსტი იწერება მოლაპარაკების მონაწილე მხარეების მშობლიურ ენაზე და წარმოდგენილია პირველ ადგილას.

ალტერნატივა (= ერთმანეთის საპირისპირო რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა) – **ალტერნაცია**

(= ლ ი ნ გ ვ. ბგერათა კანონზომიერი მონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის ფუძეში)

ალტერნატიული (წინადადება...)

ალტერნატიულობა (ალტერნატიულობის ˹ა˺)

ალტი (მ უ ს.)

ალტრუიზმი (ალტრუიზმმა) (= სხვისთვის სასიკეთო მოქმედებისადმი მისწრაფება, პირადი ინტერესების უკუგდება; ს ა პ ი რ ი ს პ. **ეგოიზმი**)

ალტრუისტი: ალტრუისტული

ალუბალი (ალუბლის ˹ა˺)

ალუბლისფერი (ალუბლისფრად)

ალუზია (= ლ ი ტ. რიტორიკული ხერხი – გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა) – **ილუზია** (= 1. გრძნობათა მცდარობის გამო სინამდვილის დამახინჯებულად (არაზუსტად, მცდარად) აღქმა; 2. განუხორციელებელი იმედი, ოცნება)

ალუმინი [დ ა რ ა ალიუმინი]

ალღო; ალღოიანი

ალღოაღებული (= მიხვედრილი)

ალღობს (= გახურებით ადნობს: **ალღობს** ლითონს...) – **ალხობს** (= დნობას აწყებინებს: **ალხობს** ყინულს/თოვლს/ცვილს....)

ალყა (ალყის ˹ა˺)

ალყაშემორტყმული (ქალაქი...)

ამაგდარი (ამაგდარის ˹ა˺) // **მოამაგე** (მოამაგის ˹ა˺)

ამად („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია **ამად** კარგი“)

ამა და ამ (დღეს/საათზე...)

ამავდროულად

ამაზრზენი (ამაზრზენად)

ამათგანი [დ ა რ ა ამათთაგანი]

ამათ თქვეს [დ ა რ ა ამათმა თქვეს], მ ა გ რ ა მ: **ამათმა** [დ ა რ ა ამათ] **მეგობარმა თქვა**

ამა თუ იმ (ს ა ხ. **ესა თუ ის**)

ამანათი (ამანათთან)

ამანათრბენი (ს პ ო რ ტ.)

ამაო (ამაოდ)

ამაოება (ამაოების ˹ა˺)

ამარა (პერანგის **ამარა**)

ამარაგებს; (მო)ამარაგა; (მო)უმარაგებია; (მო)ემარაგებინა [დ ა რ ა მოემარაგებია]

ამართვინებს; ამართვინა; უმართვინებია; ემართვინებინა [დ ა რ ა ამართვიებს, ამართვია...]

ამართლებინებს; (გა)ამართლებინა; (გა)უმართლებინებია; (გა)ემართლებინებინა [დ ა რ ა ამართლებიებს, გაამართლებია...]

ამართლებს; (გა)ამართლა; (გა)უმართლებია; (გა)ემართლებინა [დ ა რ ა გაემართლებია]

ამარტივებს; (გა)ამარტივა; (გა)უმარტივებია; (გა)ემარტივებინა [დ ა რ ა გაემარტივებია]

ამარცხებს; (და)ამარცხა; (და)უმარცხებია; (და)ემარცხებინა [და არა დაემარცხებია]

ამარჯვებინებს; (გა)ამარჯვებინა; (გა)უმარჯვებინებია; (გა)ემარჯვებინებინა [და არა ამარჯვებიებს, გაამარჯვებია...]

ამასწინათ

ამასწინანდელი (ამასწინანდლის⌜ა⌝, მრ. ამასწინანდელები)

ამაღამ; ამაღამდელი (ამაღამდელის⌜ა⌝)

ამაღელვებელი (ამაღელვებლად)

[ამაღშფოთა კი არა] **აღმაშფოთა**

ამაყი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **მე ამაყი ვარ**, რომ საქართველო ნატოში შედის; **მე ამაყი ვარ**, რომ საქართველოს ასეთი პოეტები ჰყავს. ამ ტიპის სიტყვათშეხამებანი მართებულია მაშინ, როდესაც გამოხატავს ადამიანისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ თვისებას, მაგ., **მე ამაყი/ჯიუტი/ქედმაღალი/მორიდებული... ვარ**. ზემოთ აღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში კი უნდა იყოს: **ვამაყობ**, რომ საქართველო ნატოში შედის; **ვამაყობ**, რომ საქართველოს ასეთი პოეტები ჰყავს)

ამახინჯებს; (და)ამახინჯა; (და)უმახინჯებია; (და)ემახინჯებინა [და არა დაემახინჯებია]

ამბავი (ამბის⌜ა⌝, ამბით, ამბად, მრ. ამბები) (ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა **თავგადასავალი, ვიწმეს ცხოვრების აღწერა**. მყარი შესიტყვებებია: ახალი **ამბავი**, დიდი **ამბავი** (დიდ **ამბავშია**), რა **ამბავია**? (დიდი) **ამბავი** დააწია, **ამბავი** დაატრიალა, ცხელ-ცხელი **ამბები** და სხვ. ეს სიტყვა ხშირად უმართებულოდ გამოიყენება ზეპირ მეტყველებაში: მიხარია / მაფიქრებს **ის ამბავი**, რომ...; ხაზს ვუსვამ **იმ ამბავს**, რომ... უნდა იყოს: **ის მიხარია / მაფიქრებს**, რომ...; ხაზს ვუსვამ **იმას** ან **იმ ფაქტს / გარემოებას**, რომ... და სხვ.)

ამბივალენტობა (ამბივალენტობის⌜ა⌝)

ამბივალენტური

ამბიცია (ამბიციის⌜ა⌝) (= 1. საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა; დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; თვითდაჯერებულობა; 2. პრეტენზია რაიმე უფლებამოსილების მიღებასა თუ თანამდებობის დაკავებაზე): **ამბიციური** (ამბიციურად)

ამბიციურობა (ამბიციურობის⌜ა⌝)

ამბობს; ეტყვის; თქვა; უთქვამს [და არა უთქვავს]

ამბულატორია (ამბულატორიის⌜ა⌝): **ამბულატორიული** (ამბულატორიულად)

ამგები (ამგების⌜ა⌝) // **ამგებელი** (ამგებლის⌜ა⌝)

ამგვარი (ამგვარად)

ამ გზით

ამდენი (რაოდენობა: **ამდენი** ბავშვი / ყვავილი...) – **ამოდენა** (ზომა: **ამოდენა** კაცი / სახლი...)

ამდენი ბავშვი, ყვავილი, წიგნი... [და არა ამდენი ბავშვები, ყვავილები, წიგნები...] (განუსაზღვრელი რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებთან, როგორებიცაა: **ბევრი, მრავალი, უამრავი, ცოტა** და მისთ., აგრეთვე მსგავსი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელებთან – **რამდენი, ამდენი, იმდენი, რამდენიმე, ზოგი (ერთი), ყველა, სხვადასხვა...** – საზღვრული სახელი (ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის მიხედვით) მხოლოობით რიცხვში დგას ისევე, როგორც კონკრეტული რიცხვის აღმნიშვნელ სახელებთან (**ორი წიგნი, ათი მცნება** და ა. შ.). ჩამოთვლილ მსაზღვრელებთან საზღვრულის ხმარება მრავლობითში უმართებულოა)

ამდენი და ამდენი, მაგრამ: **ამდენ-ამდენი**

ამდენნაირი (ამდენნაირად)

ამერიკანიზაცია (= ამერიკული კულტურისა და ცხოვრების წესის გავრცელება) – **ამერიკანიზმი** (= 1. ამერიკელების ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა; 2. ინგლისური ენის თავისებურებები, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისურ მეტყველებას ახასიათებს)

ამერიკული ფეხბურთი (სპორტ.)

ამერ-იმერი

ამვლელ-ჩამვლელი

ამზადებინებს; (მო)ამზადებინა; (მო)უმზადებინებია; (მო)ემზადებინებინა [და არა ამზადებიებს, მოამზადებია...]

ამზადებს; (მო)ამზადა; (მო)უმზადებია; (მო)ემზადებინა [და არა მოემზადებია]

ამთელებს (= მთელს ხდის) – **ამრთელებს** (= კურნავს, არჩენს)

ამთხვევინებს; ამთხვევინა; უმთხვევინებია; ემთხვევინებინა [და არა ამთხვევიებს, ამთხვევია...]

ამიერკავკასიელი

ამიერკავკასიური

ამინდი

ამისდაკვალად

ამისთანა (ამისთანას⌜ი⌝, მრ. ამისთანები)

ამის შემდეგ; მას შემდეგ

ამიტომ, ამის გამო (მიზეზი: ლუკამ გვიან გაიღვიძა, **ამიტომ // ამის გამო** სკოლაში დააგვიანდა) – **ამისათვის** (მიზანი: გამოცდები რომ უკეთ ჩააბარო, **ამისათვის** მეტი შრომაა საჭირო)

ამ მხრივ // ამ მხრით

ამნაირი (ამნაირად)

ამნეზია (ამნეზიის⌜ა⌝)

ამნისტია (ამნისტიის⌜ა⌝) [და არა ამინისტია]

ამნისტირება (ამნისტირების⌜ა⌝): **ამნისტირებული**

ამოარტყამს [და არა ამოარტყავს]; **ამოარტყა**; **ამოურტყამს** [და არა ამოურტყავს]; **ამოერტყა**

ამოარჩევინებს; **ამოარჩევინა**; **ამოურჩევინებია**; **ამოერჩევინებინა** [და არა ამოარჩევიებს, ამოარჩევია...]

ამოარჩევს; **ამოარჩია**; **ამოურჩევია**; **ამოერჩია**

ამოასხამს; **ამოასხა**; **ამოუსხამს** [და არა ამოუსხავს]; **ამოესხა**

ამოატანინებს; **ამოატანინა**; **ამოუტანინებია**; **ამოეტანინებინა** [და არა ამოატანიებს, ამოატანია...]

ამოაყვანინებს; **ამოაყვანინა**; **ამოუყვანინებია**; **ამოეყვანინებინა** [და არა ამოაყვანიებს, ამოაყვანია...]

ამოაწვდენს; **ამოაწვდინა**; **ამოუწვდენია**; **ამოეწვდინა**

ამოაჭრევინებს; **ამოაჭრევინა**; **ამოუჭრევინებია**; **ამოეჭრევინებინა** [და არა ამოაჭრევიებს, ამოაჭრევია...]

ამობრწყინდება; **ამობრწყინდა**; **ამობრწყინებულა**; **ამობრწყინებულიყო**

ამოგლეჯს (ბალახს), მაგრამ: **ამოჰგლეჯს** (მას ენას)

ამოგლეჯს; **ამოგლეჯდა**; **ამოგლეჯდეს** [და არა ამოგლეჯავს, ამოგლიჯავს; ამოგლეჯავდა, ამოგლიჯავდა; ამოგლეჯავდეს, ამოგლიჯავდეს]; **ამოგლიჯა**; **ამოუგლეჯია**; **ამოეგლიჯა**

ამოდის მზე, მაგრამ: **ამოსდის (მას) მზე ვინმეზე**; **ამოსდის (მას) სული**

ამოზიდავს; **ამოზიდა**; **ამოუზიდავს**; **ამოეზიდა** [და არა ამოეზიდნა]

ამოიკითხავს; **ამოიკითხა**; **ამოუკითხავს**; **ამოეკითხა** [და არა ამოეკითხნა]

ამოკვეთს (ასოებს ქვაზე), მაგრამ: **ამოჰკვეთს** (მას გლანდებს)

ამომრჩეველი (ამომრჩევლის⌜ა⌝)

ამონარიდი

ამონტაჟებს; **(და)ამონტაჟა**; **(და)უმონტაჟებია**; **(და)ემონტაჟებინა** [და არა დაემონტაჟებია]

ამოჟლეტს; **ამოჟლეტდა**; **ამოჟლეტდეს** [და არა ამოჟლეტავს, ამოჟლიტავს; ამოჟლეტავდა, ამოჟლიტავდა; ამოჟლეტავდეს, ამოჟლიტავდეს]; **ამოჟლიტა**; **ამოუჟლეტია**; **ამოეჟლიტა**

ამორალიზმი (ამორალიზმმა)

ამორალური (ამორალურად)

ამორალურობა (ამორალურობის⌜ა⌝)

ამორეცხავს; **ამორეცხა**; **ამოურეცხავს**; **ამოერეცხა** [და არა ამოერეცხნა]

ამორფული (= უფორმო, ნაკლებად გამოკვეთილი, არათვალნათლივი)

ამორფულობა (ამორფულობის⌜ა⌝)

(= ფორმის უქონლობა, – უფორმობა)

ამორძალი (ამორძალის⌜ა⌝)

ამოსაბეჭდი (ამოსაბეჭდად)

ამოსავალი (დებულება) – **ამოსასვლელი** (ბილიკი)

ამოსწევს; **ამოსწია** [და არა ამოწევს, ამოწია]; **ამოუწევია**; **ამოეწია**

ამოსჭამა (ტვინი მას), მაგრამ: **ამოჭამა** (ქვეყანა)

ამოტებს; **ამოტებდა**; **ამოტებდეს** [და არა ამოტეხავს, ამოტეხავდა, ამოტეხავდეს]; **ამოტეხა**; **ამოუტეხია**; **ამოეტეხა** [და არა ამოეტეხნა]

ამოტვიფრავს; **ამოტვიფრა**; **ამოუტვიფრავს**; **ამოეტვიფრა**

ამოტვიფრვა (ამოტვიფრვის⌜ა⌝): **ამოტვიფრული**

ამოუფხეკს; **ამოუფხეკდა**; **ამოუფხეკდეს** [და არა ამოუფხეკავს, ამოუფხიკავს; ამოუფხეკავდა, ამოუფხიკავდა; ამოუფხეკავდეს, ამოუფხიკავდეს]; **ამოუფხიკა**; **ამოუფხეკია**; **ამოეფხიკა**

ამოქმედება (ამოქმედების⌜ა⌝): **ამოქმედებული**

ამოქმედებს; **ამოქმედა**; **უმოქმედებია**; **ემოქმედებინა** [და არა ემოქმედებია]

ამოქოლავს; **ამოქოლა**; **ამოუქოლავს**; **ამოექოლა**

ამოძირკვავს; **ამოძირკვა**; **ამოუძირკვავს**; **ამოეძირკვა**

ამოწმებინებს; **(და)ამოწმებინა**; **(და)უმოწმებინებია**; **(და)ემოწმებინებინა** [და არა ამოწმებიებს, დაამოწმებია...]

ამოწმებს; **(და)ამოწმა**; **(და)უმოწმებია**; **(და)ემოწმებინა** [და არა დაემოწმებია]

ამოჰგვრის; **ამოჰგვარა** [და არა ამოგვრის, ამოგვარა]; **ამოუგვრია**; **ამოეგვარა**

ამოჰქონდა; **ამოჰქონდეს** [და არა ამოქონდა, ამოქონდეს]

ამოჰყავს; **ამოჰყავდა**; **ამოჰყავდეს** [და არა ამოყავს, ამოყავდა, ამოყავდეს]

ამოჰყვეება; **ამოჰყვა**; **ამოჰყოლია**; **ამოჰყოლოდა** [და არა ამოყვება, ამოყვა, ამოყოლია, ამოყოლოდა]

ამპარტავანი (ამპარტავნის⌜ა⌝): **ამპარტავნული** (ამპარტავნულად)

ამპარტავნობა (ამპარტავნობის⌜ა⌝)

ამპელოგრაფია (ამპელოგრაფიის⌜ა⌝): მეცნიერება, რომელიც ვაზის ჯიშებს სწავლობს.

ამპელოლოგია (ამპელოლოგიის⌜ა⌝): მეცნიერება მევენახეობის შესახებ.

ამპერი: სპეც. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული.

ამპერმეტრი: სპეც. ელექტროდენის ძალის საზომი ხელსაწყო.

ამპლიტუდა (ამპლიტუდის⌜ა⌝)

ამპლუა (ამპლუის⌜ა⌝)

ამპულა (ამპულის⌜ა⌝)

ამპუტაცია (ამპუტაციის⌜ა⌝)

ამპუტირება (ამპუტირების⌜ა⌝): **ამპუტირებული**

ამჟამად

ამჟამინდელი (ამჟამინდელის⌜ა⌝)

ამჟღავნებინებს; **(გა)ამჟღავნებინა**; **(გა)უმჟღავნებინებია**; **(გა)ემჟღავნებინებინა** [და არა ამჟღავნებიებს, გაამჟღავნებია...]

ამჟღავნებს; **(გა)ამჟღავნა**; **(გა)უმჟღავნებია**; **(გა)ემჟღავნებინა** [და არა გაემჟღავნებია]

ამრევ-დამრევი (ამრევ-დამრევის⌜ა⌝)

ამსიგანე (ამსიგანის⌜ა⌝)

ამსიგრძე (ამსიგრძის⌜ა⌝)

ამსიდიდე (ამსიდიდის⌜ა⌝)

ამსიმაღლე (ამსიმაღლის⌜ა⌝)

ამსიმძიმე (ამსიმძიმის⌜ა⌝)

ამსიშორეს; **ამსიშორეზე**

ამტანუნარიანი; **ამტანუნარიანობა** (ამტანუნარიანობის⌜ა⌝)

ამტკიცებს; **(და)ამტკიცა**; **(და)უმტკიცებია**; **(და)ემტკიცებინა** [და არა დაემტკიცებია]

ამტყდარი და **ატეხილი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ერთბაშად გაჩენილს, აღძრულს, წამოჭრილს, მაგრამ **ატეხილს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ხშირი, აყრილი (ითქმის მცენარეებზე); 2. გადატ. ვინც ატყდა, ვინც არავის და არაფერს ერიდება; 3. რაც ატყდა (ითქმის საქონელზე); 4. რაც აატეხეს (მაგ., **ატეხილი** ქვა).

ამულეტი

ამუნიცია (ამუნიციის⌜ა⌝): 1. სამხედრო მოსამსახურის აღკაზმულობა (გარდა იარაღისა და ტანისამოსისა): სალაშქრო ჩანთა, სარტყელი, მათარა, სავაზნე, საზეთე...; 2. ცხენის აღკაზმულობა (უნაგირი, მოსართავები და სხვ.).

ამფიბია (ამფიბიის⌜ა⌝)

ამფითეატრი

ამქვეყნად; **ამქვეყნიური**

ამღამინდელი (ამღამინდელის⌜ა⌝)

ამშენებელი (ამშენებლის⌜ა⌝) // **აღმ(ა)შენებელი** (აღმ(ა)შენებლის⌜ა⌝)

ამშვენებს (დაამშვენებს; დაამშვენა; დაუმშვენებია; დაემშვენებინა [და არა დაემშვენებია])

ამშვენიერებს (გაამშვენიერა; გაუმშვენიერებია; გაემშვენიერებინა [და არა გაემშვენიერებია])

ამჩნევს (= ხედავს, შენიშნავს, მაგ., ყველაფერს **ამჩნევს** – ყველაფერს ხედავს) – **აჩნევს, დააჩნევს** (= დაატყობს კვალს, დაღს, ნაფეხურებს, მაგ., **დააჩნია** კვალი – **დაატყო** კვალი)

ამცნობს, აცნობებს (= აგებინებს, ატყობინებს: „კაჭკაჭმა შორიდანვე **ამცნო** თავისი მოსვლა ხმაურობით“ (ვაჟა); „დადგენილების შე-

სახებ თავმჯდომარე **აცნობებს** გიორგის“) – **აცნობს** (= 1. უცნობ ვინმეს ნაცნობად ხდის: გიორგი თავის მეგობარს დედას **აცნობს**; 2. უცნობ ვითარებაში გაარკვევს ვინმეს: სკოლის ახალ დირექტორს კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა წარმატებას **აცნობს**)

ამცნობს; **ამცნო**; **უმცნია**; **ემცნო**

ამწე (ამწის˹ა˺)

ამწონ-დამწონი [და არა ამწონ-დამწონავი]

ამწუთას (მოვა), მაგრამ: **ამ წუთს** (ელოდებოდა)

ამხანაგ-მეგობრები

ამხელს და **ამხილებს** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: სააშკარაოზე გამოჰყავს და კიცხავს ვინმეს რაიმე ურიგო საქციელის გამო, მაგრამ **ამხელს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. ავლენს, ამჟღავნებს: „თქვენივე სახე **ამხელს** თქვენს საიდუმლოს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.); 2. გააცხადებს, ამბობს: „არც გვარს **ამხელენ**, არც სახელს“ (აკაკი).

ამჯობინებს; **ამჯობინა**; **უმჯობინებია**; **ემჯობინებინა** [და არა ემჯობინებია]

ანაბარა (ბედის **ანაბარა**)

ანაბარი (ანაბრის˹ა˺)

ანადუღარი (ანადუღარის˹ა˺)

ანაზდად (= უეცრად, მოულოდნელად)

ანაზდეული (= უეცარი, მოულოდნელი)

ანაზღაურდება; **ანაზღაურდა**; **ანაზღაურებულა**; **ანაზღაურებულიყო**

ანაზღაურება (ანაზღაურების˹ა˺): **ანაზღაურებული**

ანაზღაურებს; (ა)**ანაზღაურა**; (ა)**უნაზღაურებია**; (ა)**ენაზღაურებინა** [და არა აენაზღაურებია]

ანათებს; **ანათა**; **უნათებია**; **ენათებინა** [და არა ენათებია]

ანათემა (ანათემის˹ა˺)

ანათვლიანებს; (მო)**ანათვლიანა**; (მო)**უნათვლიანებია**; (მო)**ენათვლიანებინა** [და არა ანათვლიებს, მოანათვლია...]

ანათლებს[1]; (გა)**ანათლა**; (გა)**უნათლებია**; (გა)**ენათლებინა** [და არა გაენათლებია]

ანათლებს[2]; (და)**ანათლა**; (და)**უნათლებია**; (და)**ენათლებინა** [და არა დაენათლებია]

ანაკონდა (ანაკონდას˹ი˺)

ანალები: 1. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ ჟამთააღმწერლები (მემატიანეები); 2. სამეცნიერო ჟურნალების გავრცელებული სახელწოდება.

ანალიზატორი

ანალიზი (ანალიზზე): **ანალიზური** (მეთოდი...); **ანალიტიკური** (გეომეტრია...)

ანალიტიკოსი (ანალიტიკოსს)

ანალოგი (= ის, რაც იძლევა ანალოგიის, მსგავსების საფუძველს) – **ანალოგია** (= მსგავსება საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის)

ანალოგიური (= მსგავსი), შდრ.: **ანალოგური** (= სპეც. ანალოგური გამომთვლელი მანქანა: უწყვეტი მოქმედების ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომელიც ამუშავებს ანალოგური ფორმით წარმოქმნილ ინფორმაციას)

ანალოგიურობა (ანალოგიურობის⌜ა⌝)

ანამნეზი (ანამნეზზე): მედიც. ავადმყოფობის განვითარების ისტორია, შედგენილი ექიმის მიერ ავადმყოფის ან მისი ახლობლების ჩვენებათა მიხედვით.

ანანასი (ანანასს)

ანარქია (ანარქიის⌜ა⌝): **ანარქიული**

ანატომია (ანატომიის⌜ა⌝): **ანატომიური**

ანაქრონიზმი (ანაქრონიზმმა): 1. ქრონოლოგიური შეუსაბამობა – ამა თუ იმ ფაქტის შეცდომით მიკუთვნება სხვა დროისათვის, სხვა ეპოქისათვის; 2. მოძველებული შეხედულება, ჩვენება; მოვლენა; საგანი; ნივთი.

ანაწილებს; **(გა)ანაწილა**; **(გა)უნაწილებია**; **(გა)ენაწილებინა** [და არა გაენაწილებია]

ანახ⌜ვ⌝ებს; **ანახ⌜ვ⌝ა**; **უნახ⌜ვ⌝ებია**; **ენახ⌜ვ⌝ებინა** [ანახლებს კი არა] **აახლებს**; **განაახლებს**

[ანბავი კი არა] **ამბავი**

ანბანი: **ანბანური** (ანბანურად)

ანგაჟირება: 1. რაიმეს კონიუნქტურაზე დაფუძნება; 2. მოძვ. ანგაჟემენტით აყვანა მსახიობისა, მასთან კონტრაქტის დადება.

ანგაჟირებული: 1. კონიუნქტურული, შექმნილი ვითარებით გამოწვეული, მასზე დამოკიდებული; 2. მოძვ. ანგაჟემენტით აყვანილი მსახიობი, ვისაც კონტრაქტი აქვს დადებული.

ანგარება (ანგარების⌜ა⌝); **ანგარებიანი**

ანგარიშგასაწევი (მოსაზრება...)

ანგარიშგება (= 1. სპეც. წარმოება-დაწესებულების მუშაობის შესახებ ანგარიშის წარმოება დადგენილი ფორმის მიხედვით; 2. ვინმესთვის ანგარიშის ჩაბარება) – **ანგარიშსწორება** (= 1. ურთიერთშორის ანგარიშის განაღდება, მოწესრიგება (შდრ.: **უნაღდო ანგარიშსწორება**: ანგარიშსწორება ნაღდი ფულის გარეშე, გადარიცხვით); 2. ანგარიშის გასწორება, შურისძიება, სამაგიეროს გადახდა)

ანგარიშვალდებული

ანგარიში (ანგარიშში)

ანგარიშმიუცემლად (= გაუაზრებლად, დაუფიქრებლად)

ანგინა (ანგინის⌜ა⌝)

ანგიოგრაფია (= მედიც. სხვადასხვა ორგანოს სისხლძარღვთა გამოკვლევის რენტგენოლოგიური მეთოდი) – **ანგიოლოგია** (= ანატომიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სისხლძარღვებსა და ლიმფურ სისტემებს)

ანგიომა (ანგიომის⌜ა⌝): მედიც. ლიმფური სადინარების ან სისხლძარღვების კეთილთვისებიანი სიმსივნე.

ანგლოფილი (= ინგლისისა და ყოველივე ინგლისურის მოყვარული) – **ანგლოფობი** (= ინგლისისა და ყოველივე ინგლისურის მოძულე)

ანდა (მაგ., ან კაცი, ან ქალი, **ანდა** ბავშვი)

ანდაზა (ანდაზის⌜ა⌝)

ანდანტე (= მუს. 1. ნაწარმოების შესრულება ნელა, დინჯად, ზომიერად; 2. ასეთი ტემპით შესრულებული მუსიკალური პიესა ან მისი ნაწილი) – **ანდანტინო** (= მუს. 1. ანდანტეზე ცოტა უფრო ჩქარი; 2. ასეთი ტემპით შესრულებული მუსიკალური პიესა ან მისი ნაწილი)

ანდროიდი (= ფანტასტიკურ მოთხრობებში: ადამიანის გარეგნობისა და თვისებების მქონე მანქანა, რობოტი)

ანდროფილია (= მამაკაცების სიყვარული) – **ანდროფობია** (= მამაკაცების სიძულვილი)

ანევრიზმა (ანევრიზმის⌜ა⌝)

ანეკდოტი [და არა ანეგდოტი, ანიგდოტი, ანიკდოტი]

ანემია (ანემიის⌜ა⌝): **ანემიური**

ანემოგრაფი (= ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად იწერს ქარის სისწრაფესა და მიმართულებას) – **ანემომეტრი** (= მეტეოროლოგიური ხელსაწყო, რომლითაც ზომავენ ქარის სისწრაფეს)

ანესთეზია (ანესთეზიის⌜ა⌝) [და არა ანესტეზია]

ანესთეზიოლოგი [და არა ანესტეზიოლოგი]

ანექსია (ანექსიის⌜ა⌝); **ანექსირებული**

[ანვითარებს კი არა] **ავითარებს**

[ანზოგადებს კი არა] **აზოგადებს**

[ანთავისუფლებს კი არა] **ათავისუფლებს**

ანთოლოგია (ანთოლოგიის⌜ა⌝)

ანთრაკნოზი (= მცენარეთა ერთგვარი ავადმყოფობა (ვაზის, პარკოსანთა, გოგრისებრთა...) – **ანთრაკოზი** (= ადამიანის ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ნახშირის მტვრის დაგროვება ფილტვებში)

ანთრაცენი (= ორგანული ნაერთი, ნახშირწყალბადი) – **ანთრაციტი** (= საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი)

ანთროპოლოგია (ანთროპოლოგიის⌜ა⌝): **ანთროპოლოგიური**

ანიმალიზმი (= სახვითი ხელოვნების დარგი, რომელიც უმთავრესად ცხოველებს ასახავს) – **ანიმალია**

(= კინოხელოვნება, რომელიც დამყარებულია ნახატებისა თუ თოჯინების გაცოცხლება-ამოძრავებაზე) – **ანიმიზმი** (= პირველყოფილი აზროვნების საფეხური, როდესაც ადამიანს სწამდა, რომ ყველა საგანს თავისი სული ჰქონდა და მას შეეძლო გავლენა მოეხდინა ადამიანის ცხოვრებაზე)

ანიმატორი // მულტიპლიკატორი

ანიმაცია (ანიმაციის⌜ა⌝): **ანიმაციური** (ფილმი)

ანიშვნინებს; (და)ანიშვნინა; (და)უნიშვნინებია; (და)ენიშვნინებინა [და არა ანიშვნიებს, დაანიშვნია...]

ანიშნებს; ანიშნა; უნიშნებია; ენიშნებინა [და არა ენიშნებია]

ანიჭებს; მიანიჭა; მიუნიჭებია; მიენიჭებინა [და არა მიენიჭებია]

ანკეტა (ანკეტის⌜ა⌝): **ანკეტური; საანკეტო**

ანკი (= ანდა)

ან კიდევ

ანოდი (= სპეც. დადებითად დამუხტული ელექტროდი)

ანომალია (ანომალიის⌜ა⌝): **ანომალიური**

ანონიმი (ანონიმმა): **ანონიმური** (ანონიმურად)

ანონიმურობა (ანონიმურობის⌜ა⌝)

ანონსი (ანონსს) (= წინასწარი განცხადება) – **ანონსირება** (= ანონსის გამოქვეყნება)

ანოსმია (ანოსმიის⌜ა⌝): მედიც. ყნოსვის (სუნის შეგრძნების) უქონლობა, მოშლა.

ანოტაცია (= წიგნის, სტატიის და მისთ. შინაარსის მოკლედ გადმოცემა, ზოგჯერ შეფასების დართვით) – **ანოტირება** (= ანოტაციის შედგენა)

ანოტირებული

[ანრისხებს კი არა] **არისხებს**

ანსამბლი: ანსამბლური

ანსამბლურობა (ანსამბლურობის⌜ა⌝)

[ანსახიერებს კი არა] **ასახიერებს**

[ანსხვავებს კი არა] **ასხვავებს**

ანტაგონიზმი (ანტაგონიზმმა)

ანტაგონისტი: ანტაგონისტური (ანტაგონისტურად)

ანტარქტიდა (= დედამიწის სამხრეთ პოლუსის ირგვლივ მდებარე კონტინენტი) – **ანტარქტიკა** (= სამხრეთ-პოლარული მხარე, რომელიც ანტარქტიდასთან ერთად მოიცავს ატლანტის, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეთა სამხრეთ ნაწილს ზოგიერთი ზღვითა და კუნძულით)

ანტიალერგიული (პრეპარატები...)

ანტიბიოტიკი

ანტიგენ⌜ებ⌝ი

ანტიგლობალისტი: ანტიგლობალისტური

ანტიგმირი

ანტიდემოკრატიული (ანტიდემოკრატიულად)

ანტიდეპრესანტ˹ებ˺ი

ანტივირუსი (ანტივირუსს)

ანტითეზა (= სტილისტიკური ხერხი, რომელიც მდგომარეობს საწინააღმდეგო ცნებათა ან დებულებათა შეპირისპირებაში) – **ანტითეზისი** (ანტითეზისს) (= ამოსავალი თეზისის (დებულების) საწინააღმდეგო დებულება)

ანტიკვარი (= ძველებური ნივთებით მოვაჭრე ან ამგვარი ნივთების შემგროვებელი) – **ანტიკვარიატი** (= 1. ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა; 2. ასეთი ნივთების ერთობლიობა)

ანტიკონსტიტუციური (ანტიკონსტიტუციურად)

ანტიკორუფციული (საბჭო...)

ანტიკრიზისული (ღონისძიება...)

ანტიკრიტიკა (ანტიკრიტიკის˹ა˺)

ანტიკური (ეპოქა...)

ანტინარკოტიკული (საშუალებანი...)

ანტინომია (ანტინომიის˹ა˺): ლოგიკური წინააღმდეგობა ორ ისეთ დებულებას შორის, რომლებიც ცალ-ცალკე ჭეშმარიტად არის მიჩნეული.

ანტინომიური

ანტიპათია (ანტიპათიის˹ა˺): **ანტიპათიური** [და არა ანტიპატია, ანტიპატიური]

ანტიპარლამენტარიზმი (ანტიპარლამენტარიზმმა)

ანტიპოდი

ანტირელიგიური (ანტირელიგიურად)

ანტისაზოგადოებრივი (ქმედება)

ანტისანიტარია (ანტისანიტარიის˹ა˺)

ანტისახელმწიფოებრივი (ანტისახელმწიფოებრივად)

ანტისეისმური (სარტყელი...)

ანტისეპტიკური (საშუალებანი...)

ანტისხეულები (მ რ.)

ანტიციკლონი

ანტიხალხური (მთავრობა...)

ანტიჰუმანური (დამოკიდებულება...)

ანტონიმი (ანტონიმმა): **ანტონიმური**

ანტურაჟი (ანტურაჟს): გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; გარემო.

ანტურაჟული

ანულირება (ანულირების˹ა˺): **ანულირებული** (დოკუმენტი...)

ანშლაგი

[ანცალკევებს კი არა] **აცალკევებს**

[ანცვიფრებს კი არა] **აცვიფრებს**

[ანხორციელებს კი არა] **აბორციელებს**

ანჰიდრიდი (= ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა მჟავას) – **ანჰიდრიტი** (= თეთრი ფერის მინერალი (კალციუმის სულფატი); წყალთან მისი შეერთებით მიიღება თაბაშირი)

აოგნებს (**გააოგნა**; **გაუოგნებია**; **გაეოგნებინა** [და არა გაეოგნებია])

აორკეცებს; (**გა**)**აორკეცა**; (**გა**)**უორკეცებია**; (**გა**)**ეორკეცებინა** [და არა გაეორკეცებია]

აორტა (აორტის⌜ა⌝)

აოცებს; (**გა**)**აოცა**; (**გა**)**უოცებია**; (**გა**)**ეოცებინა** [და არა გაეოცებია]

აპათია (აპათიის⌜ა⌝): **აპათიური** [და არა აპატია, აპატიური]

აპარატი (= 1. ხელსაწყო; 2. მმართველობითი დაწესებულებების ერთობლიობა; 3. გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციის მქონე ორგანოთა ერთობლიობა; 4. მეცნიერულ გამოცემაში ტექსტის განსამარტავი შენიშვნები, საძიებლები, ცხრილები და მისთ.) – **აპარატურა** (= ხელსაწყოთა ერთობლიობა)

აპარტამენტი

აპატიებს [და არა პატიობს] (დანაშაულს); შდრ.: **აპატივებს** (მიწას)

აპელაცია (აპელაციის⌜ა⌝) (= 1. სასამართლოს დაბალი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში; 2. მიმართვა მხარდაჭერისათვის, ვინმეს აზრისა თუ პოზიციის მოშველიება, დამოწმება): **სააპელაციო**

აპელირება (აპელირების⌜ა⌝)

აპენდიქსი (= ბრმანაწლავის დანამატი, ჭიაყელა ნაწლავი) – **აპენდიციტი** (= აპენდიქსის ანთება)

აპერკოტი (სპორტ.)

აპლიკატურა (= თითების განლაგება მუსიკალურ საკრავზე მელოდიის შესრულებისას; მისი აღნიშვნა ნოტებზე)

აპლიკაცია (აპლიკაციის⌜ა⌝): ნახატის, ორნამენტის შექმნა სხვადასხვაფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით (დაკერებით) (ეს სიტყვა თანამედროვე ქართულში შემდეგი მნიშვნელობებითაც გამოიყენება: 1. გარკვეული ტიპის განაცხადი; 2. რაიმეს ექსპლუატაციაში გაშვების აქტი; 3. ერთგვარი ბმული (ერთი რამის მეორესთან დაკავშირება); 4. გარკვეული ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა).

აპლოდისმენტი

აპოგეა (აპოგეის⌜ა⌝) (= 1. მთვარის ან ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული დედამიწას; 2. რაიმე პროცესის უმაღლესი წერტილი, კულმინაცია, მაგ., მწერლის შემოქმედებითი განვითარების **აპოგეა**)

აპოდიქტიკა (აპოდიქტიკის⌜ა⌝): ის, რაც ურყევად საბუთდება, აბსოლუტურად სარწმუნო ცოდნა.

აპოდიქტიკური

აპოვნინებს; **აპოვნინა**; **უპოვნინებია**; **ეპოვნინებინა** [და არა აპოვნიებს, აპოვნია...]

აპოთეოზი (აპოთეოზის) (= 1. რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების

განდიდება; 2. სპექტაკლის ან საზეიმო კონცერტის ბოლო მასობრივი ამაღლებული სცენა, რომელშიც განდიდებულია გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა და სხვ.; 3. ძველ საბერძნეთსა და რომში – რომელიმე გმირის ან მეფის გაღმერთება)

აპოკალიფსი (აპოკალიფსს): **აპოკალიფსური** (ხილვა...)

აპოკრიფი (= ისეთი ბიბლიური თხზულება, რომელსაც არ სცნობს ეკლესია და ამიტომ არ შედის „საღმრთო წერილში“): **აპოკრიფული** (სიუჟეტი...)

აპოლიტიკური

აპოლიტიკურობა (აპოლიტიკურობის⌜ა⌝)

აპოლოგი (= მცირე ზომის ნაწარმოები იგავ-არაკის ტიპისა) – **აპოლოგეტი** (= ადამიანი, რომელიც ვინმეს ან რაიმეს აპოლოგიით გამოდის; დამცველი, მომხრე, მაგ., ქრისტიანობის **აპოლოგეტი**)

აპოსტროფი (= მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშანი, რომელიც ისმება, ჩვეულებისამებრ, გამოტოვებული ხმოვნის ადგილას)

აპრილ-მაისი (აპრილ-მაისს)

აპრიორი (= ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე, იმთავითვე; საპირისპ. **აპოსტერიორი**)

აპრობაცია (აპრობაციის⌜ა⌝)

აპრობირება (აპრობირების⌜ა⌝): **აპრობირებული** (მეთოდი...)

აპროგრამებს; **(და)აპროგრამა**; **(და)უპროგრამებია**; **(და)ეპროგრამებინა** [და არა დაეპროგრამებია]

აპროტესტებს; **(გა)აპროტესტა**; **(გა)უპროტესტებია**; **(გა)ეპროტესტებინა** [და არა გაეპროტესტებია]

აპროცენტებს; **(გა)აპროცენტა**; **(გა)უპროცენტებია**; **(გა)ეპროცენტებინა** [და არა გაეპროცენტებია]

აჟიოტაჟი (აჟიოტაჟს)

აჟიტირება (აჟიტირების⌜ა⌝): **აჟიტირებული** (აჟიტირებულად)

აჟღერებს (= ჟღერის ხმას, სასიამოვნოდ მოსასმენ ბგერებს გამოსცემს (ძირითადად – საკრავი). უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნა**, **განაცხადა**, **თქვა** ფორმების მნიშვნელობით, მაგ., შეხვედრაზე მინისტრმა **გააჟღერა**, რომ ამ საკითხს განიხილავდა. უნდა იყოს: შეხვედრაზე მინისტრმა **აღნიშნა/განაცხადა/თქვა**, რომ ამ საკითხს განიხილავდა, მაგრამ: სასიამოვნოდ **აჟღერებს** სიმებს...)

არაადამიანური (არაადამიანურად)

არაადეკვატური (არაადეკვატურად) [და არა არაადექვატური, არაადექვატურად]

არააკადემიური (არააკადემიურად)

არააკურატული (არააკურატულად)

არაამქვეყნიური (არაამქვეყნიურად)

არააპრობირებული (პრეპარატები...)

არაარსებითი (არაარსებითთან)

არა აქვს // არ აქვს

არააქტუალური (არააქტუალურად)

არააქცენტირებული (საკითხი...)

არაბრალეული (= ბრალის არმქონე)

არაბრალეულობა (არაბრალეულობის˹ა˺): უდანაშაულობა.

არაბულ-ქართული (ლექსიკონი...)

არაბუნებრივი (არაბუნებრივად)

არაბუნებრიობა (არაბუნებრიობის˹ა˺)

არაგეგმური [და არა არაგეგმიური]

არაგონივრული (არაგონივრულად)

არაგულწრფელი (არაგულწრფელად)

არაგულწრფელობა (არაგულწრფელობის˹ა˺)

არად (**არად** მიაჩნია)

არადა (...**არადა**, ყველაფერი კარგად იყო)

არა და არ (**არა და არ** დასრულდა სკოლის მშენებლობა)

არადამაკმაყოფილებელი (არადამაკმაყოფილებლად)

არადამაჯერებელი (არადამაჯერებლად)

არადამაჯერებლობა (არადამაჯერებლობის˹ა˺)

არაევროპელი (არაევროპელის˹ა˺)

არაევროპული (არაევროპულად)

არაეკონომიური (= უყაირათო)

არაერთგვარი (არაერთგვარად)

არაერთგვაროვანი (არაერთგვაროვნად)

არაერთგვაროვნება (არაერთგვაროვნების˹ა˺)

არაერთგზის, მაგრამ: **არა ერთგზის და ორგზის**

არაერთი, მაგრამ: **არა ერთი და ორი**

არაერთმნიშვნელოვანი (არაერთმნიშვნელოვნად)

არაერთფეროვანი (არაერთფეროვნად)

არაერთფეროვნება (არაერთფეროვნების˹ა˺)

არაერთხელ, მაგრამ: **არა ერთხელ და ორჯერ**

[არაერთჯერ კი არა] **არაერთხელ**

არაეროვნული (არაეროვნულად)

არაესთეტიკური (არაესთეტიკურად)

არაეფექტური (არაეფექტურად)

არაეფექტურობა (არაეფექტურობის˹ა˺)

არაზუსტი (არაზუსტად)

არათავსებადი

არათანაბარი (არათანაბრად)

არათან˹ა˺მიმდევრული (პოზიცია...)

არათანასწორუფლებიანი (მონაწილე/არჩევნები...)

არათანასწორუფლებიანობა (არათანასწორუფლებიანობის˹ა˺)

არათითი (არათითთან)

არათუ

არაინფორმირებული (საზოგადოება...)

არაიოდიზებული [და არა არაიოდიზირებული]

არაიშვიათად

არაკანონიერი (= კანონის საწინააღმდეგო; უკანონო) – **არაკანონზომიერი** (= რაც კანონზომიერი არ არის)

არაკაცი: არაკაცური (არაკაცურად)

არაკეთილისმყოფელი (არაკეთილისმყოფლის^ა)

არაკეთილმოსურნე (არაკეთილმოსურნის^ა)

არაკეთილმოსურნეობა (არაკეთილმოსურნეობის^ა)

არაკეთილსაიმედო; არაკეთილსაიმედოობა (არაკეთილსაიმედოობის^ა)

არაკეთილსინდისიერება (არაკეთილსინდისიერების^ა)

არაკეთილსინდისიერი (არაკეთილსინდისიერად)

არაკეთილშობილება (არაკეთილშობილების^ა)

არაკეთილშობილი: არაკეთილშობილური (არაკეთილშობილურად)

არაკვალიფიციური (არაკვალიფიციურად)

არაკოლეგიალობა (არაკოლეგიალობის^ა)

არაკოლეგიალური (არაკოლეგიალურად)

არაკოლეგიალურობა (არაკოლეგიალურობის^ა)

არაკომერციული (არაკომერციულად)

არაკომპეტენტური (აზრი...)

არაკომპეტენტურობა (არაკომპეტენტურობის^ა)

არაკომპლექსური (არაკომპლექსურად)

არაკომპლექტური (არაკომპლექტურად)

არაკომუნიკაბელური (ადამიანი...)

არაკომუნიკაბელურობა (არაკომუნიკაბელურობის^ა)

არაკონდიციური: რაც კონდიციით (ნორმით, სტანდარტით) განსაზღვრულ პირობებს ვერ აკმაყოფილებს.

არაკონსტიტუციური (არაკონსტიტუციურად)

არაკონსტრუქციული (არაკონსტრუქციულად)

არაკონფიდენციალური (არაკონფიდენციალურად)

არაკორექტული (არაკორექტულად) [და არა არაკორეკტული]

არაკორექტულობა (არაკორექტულობის^ა)

არალეგალური (= კანონით ნებადაურთველი, არაკანონიერი, ფარული, იატაკქვეშა) – **არალეგიტიმური** (= შეუდუღებელი)

არალეგიტიმური (მთავრობა...)

არალიკვიდური (= რისი განაღდებაც, ფულად ქცევა შეზღუდულია)

არალიმიტირებული (დრო...)

არალიტერატურული (არალიტერატურულად)

არალოიალური (არალოიალურად)

არამაპროფილებელი [და არა არამაპროფილირებელი]

არამართებული; არამართებულად // უმართებულოდ

არამარტო

არამატერიალური (არამატერიალურად)

არამდგრადი; არამდგრადობა (არამდგრადობის⌜ა⌝)

არამეგობრული (დამოკიდებულება...)

არამეცნიერული (არამეცნიერულად)

არამიზნობრივი (არამიზნობრივად)

არამიწიერი (სილამაზე...)

არამკითხე (არამკითხეს⌜ი⌝)

არამკითხემოამბეობა (= მეტიჩრობა; საკუთარი აზრის ძალით გასაღება; სხვის საქმეში საკუთარი ინიციატივით ჩარევა)

არამობილური (= უმოძრაო); **არამობილურობა** (არამობილურობის⌜ა⌝)

არამოტივირებული (= რაც მოტივირებული არ არის, უსაფუძვლო, უმიზნო)

არამტკიცე (არამტკიცეს⌜ი⌝)

არამუდმივი (სამუშაო...)

არამყარი (არამყარად)

არამც და არამც

არამცთუ

არამწარმოებლური (ხარჯი...)

არამხოლოდ

არანაკლებ, არანაკლები (არანაკლებად)

არანებაყოფლობითი (ლიცენზირება...)

არანებისმიერი (მოძრაობა...)

არანივთიერი (= არამატერიალური)

არანორმალური (არანორმალურად)

არანორმალურობა (არანორმალურობის⌜ა⌝)

არანორმირებული (სამუშაო დღე...)

არანჟირება (არანჟირების⌜ა⌝): **არანჟირებული** (მ უ ს.)

არაობიექტური (არაობიექტურად)

არაობიექტურობა (არაობიექტურობის⌜ა⌝)

არაორაზროვანი (არაორაზროვნად)

არაორგანიზებული (არაორგანიზებულად)

არაორგანიზებულობა (არაორგანიზებულობის⌜ა⌝)

არაორგანული (არაორგანულად)

არაორდინარული [და არა არაორდინალური] (= არაჩვეულებრივი)

არაოფიციალური (არაოფიციალურად)

არაოფიციალურობა (არაოფიციალურობის⌜ა⌝)

არაპერიოდული (გამოცემა...)

არაპილოტირებული (პროგრამა...)

არაპირდაპირ

არაპირდაპირი (გზა...); გ ა დ ა ტ. **არაპირდაპირი** (= არაგულწრფელი)

ადამიანი

არაპირველადი (= მეორეული)

არაპოეტური (არაპოეტურად)

არაპოპულარული

არაპრაქტიკული; არაპრაქტიკულობა (არაპრაქტიკულობის⌜ა⌝)

არაპროგნოზირებადი (მოვლენები...)

არაპროდუქტიული (არაპროდუქტიულად)

არაპროპორციული (არაპროპორციულად)

არაპროპორციულობა (არაპროპორციულობის⌜ა⌝)

არაპროფესიონალი (არაპროფესიონალის⌜ა⌝): **არაპროფესიონალური** (არაპროფესიონალურად)

არაპროფესიონალიზმი (არაპროფესიონალიზმმა)

არაჟანი (არაჟნის⌜ა⌝)

არარა (არარას⌜ი⌝)

არარაობა (არარაობის⌜ა⌝)

არარაციონალური (არარაციონალურად)

არარაციონალურობა (არარაციონალურობის⌜ა⌝)

არარეალიზებული; არარეალიზებულობა (არარეალიზებულობის⌜ა⌝)

არარეალური (მოთხოვნა...) – **არარეალისტური** (ხედვა...)

არარეალურობა (არარეალურობის⌜ა⌝)

არარეგულარული (არარეგულარულად)

არარეგულარულობა (არარეგულარულობის⌜ა⌝)

არარეგულირებადი (= მოუწესრიგებელი; ძნელად მოსაწესრიგებელი)

არარენტაბელური (= არახელსაყრელი, ნაკლებშემოსავლიანი)

არარსებობა (არარსებობის⌜ა⌝)

არარსებული

არასაბოლოო (გადაწყვეტილება...)

არასავალდებულო (საგნები...)

არასათანადო (არასათანადოდ)

არასაიმედო (არასაიმედოდ)

არასაიმედოობა (არასაიმედოობის⌜ა⌝)

არასაკადრისი (არასაკადრისს)

არასაკმაო (არასაკმაოდ) // **არასაკმარისი** (არასაკმარისს, არასაკმარისად)

არასამართლებრივი (არასამართლებრივად)

არასამეწარმეო (იურიდიული პირი)

არასამთავრობო (ორგანიზაცია/სექტორი...)

არასამრეწველო (ბიზნესი...)

არასამსახურებრივი (საქმიანობა...)

არასამუშაო (დღე...)

არასანდო (მასალა)

არასანუგეშო (მდგომარეობა...)

არასანქცირებული (მიტინგი...)

არასაპატიო (მიზეზი)

არასარწმუნო (ინფორმაცია)

არასასაქონლო (მეურნეობა...)

არასასიამოვნო (ფაქტი)

არასასიკეთო (ტენდენცია)

არასასურველი (შედეგი)

არასასურსათო (საქონელი...)

არასაუწყებო (დაცვა...)

არასაცხოვრებელი (არასაცხოვრებლის[ა])

არასაწარმოო (დარგები...)

არასახარბიელო (მდგომარეობა...)

არასგზით; არასდიდებით (ორივე ორმაგ უარყოფას ითხოვს: **არასგზით / არასდიდებით არ თანხმდება**)

არასდროს // არასოდეს

არასეისმური

არასერიოზული (დამოკიდებულება)

არასერიოზულობა (არასერიოზულობის[ა])

არასიმეტრიული (განლაგება)

არასიმეტრიულობა (არასიმეტრიულობის[ა])

არასისტემატური (არასისტემატურად)

არასისტემური (არასისტემურად)

არასპეციფიკური (არასპეციფიკურად) [და არა არასპეციფიური]

არასპეციფიკურობა (არასპეციფიკურობის[ა]) [და არა არასპეციფიურობა]

არასრული (არასრულად)

არასრულუფლებიანი

არასრულუფლებიანობა (არასრულუფლებიანობის[ა])

არასრულფასოვანი (არასრულფასოვნის[ა], არასრულფასოვნად)

არასრულფასოვნება (არასრულფასოვნების[ა])

არასრულყოფილება (არასრულყოფილების[ა])

არასრულყოფილი (არასრულყოფილად)

არასრულწლოვანება (არასრულწლოვანების[ა])

არასრულწლოვანი (არასრულწლოვანის[ა])

არასტაბილური (არასტაბილურად)

არასტაბილურობა (არასტაბილურობის[ა])

არასტანდარტული (არასტანდარტულად)

არასტანდარტულობა (არასტანდარტულობის[ა])

არასტერილური (არასტერილურად)

არასტერილურობა (არასტერილურობის[ა])

არასწორი (არასწორად)

არასწორხაზოვანი (არასწორხაზოვნად)

არასწორხაზოვნება (არასწორხაზოვნების[ა])

არატოლერანტული (არატოლერანტულად)

არატრადიციული (არატრადიციულად)

არატრანზიტული

არატრანსპორტაბელური

არაუადრეს

არაუგვიანეს

არაუზრუნველყოფილი; არაუზრუნველყოფილობა (არაუზრუნველყოფილობის⌜ა⌝)

არაუმეტეს

არაუფლებამოსილი

არა უშავს (არა მიშავს, არა გიშავს)

არა უშავს რა

არაფერი (არაფრის⌜ა⌝, არაფრით, არაფრად)

არაფერს, არაფრის (ორივე ფორმა მართებულია **მადლობის** საპასუხოდ; მ ა გ., გმადლობთ საჩუქრისათვის, – **არაფრის // არაფერს**)

არაფორმალური (არაფორმალურად)

არაფორმალურობა (არაფორმალურობის⌜ა⌝)

არაფრის დიდებით (ორმაგ უარყოფას ითხოვს: **არაფრის დიდებით არ** დაეთანხმა)

არაფრისმთქმელი (სიტყვები / მზერა)

არაქართველი

არაქართული (არაქართულად)

არაქმედუნარიანი

არაქრისტიანი: არაქრისტიანული (არაქრისტიანულად)

არაქრისტიანობა (არაქრისტიანობის⌜ა⌝)

არაღიარება (არაღიარების⌜ა⌝)

არაღირსი (არაღირსს)

არაშრომითი (შემოსავალი...)

არაშრომისუნარიანი // შრომისუუნარო

არაჩვეულებრივი (არაჩვეულებრივად)

არაჩვეულებრიობა (არაჩვეულებრიობის⌜ა⌝)

არაცვალებადი; არაცვალებადობა (არაცვალებადობის⌜ა⌝)

არაცნობიერი (არაცნობიერად)

არაძალადობრივი (არაძალადობრივად)

არაძირითადი

არაწესიერი (არაწესიერად)

არაწიგნიერი // უწიგნური // უვიცი

არაწინააღმდეგობრივი; არაწინააღმდეგობრიობა (არაწინააღმდეგობრიობის⌜ა⌝)

არახალი (= რაც ახალი არ არის – ძველი, დრომოჭმული), შ დ რ.: **არახალია, ძველია**: კარგად ნაცნობია, ვერავის გააკვირვებ.

არახელსაყრელი (არახელსაყრელად)

არაჯანმრთელი (არაჯანმრთელად)

არაჯანსაღი (არაჯანსაღად)

არბიტრი (= 1. ს ა მ ა რ თ. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის; 2. ს პ ო რ ტ. მსაჯი სპორტის ზოგ სახეობაში) – **არბიტრაჟი** (= 1. სადავო საკითხების გადაწყვეტა არბიტრების საშუალებით; 2. სამედიატორო სასამართლო)

არგენტინელი (არგენტინელის⌜ა⌝, მ რ. არგენტინელები)

არგუმენტაცია (არგუმენტაციის˹ა˺)

არგუმენტი; არგუმენტირება (არგუმენტირების˹ა˺): **არგუმენტირებული** (არგუმენტირებულად)

არდადეგები (მრ.) [და არა არდადაგები]

არდავიწყება (არდავიწყების˹ა˺) („**არდავიწყება** მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“)

არე (= 1. მხარე, მიდამო, არემარე; 2. გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რაიმეს მოქმედება; 3. კიდე: ფურცლის **არე**) – **არეალი** (= დედამიწის ზედაპირის ის ტერიტორია, სადაც გავრცელებულია (მოიპოვება) ამა თუ იმ მცენარის, ცხოველის, ფრინველის... გარკვეული სახეობა, მაგ.: ვაზის... გავრცელების **არეალი**)

არეგულირებინებს; (და)არეგულირებინა; (და)ურეგულირებინებია; (და)ერეგულირებინებინა [და არა არეგულირებიებს, დაარეგულირებია...]

არეგულირებს; (და)არეგულირა; (და)ურეგულირებია; (და)ერეგულირებინა [და არა დაერეგულირებია]

არევ-დარევს; არივ-დარია; აურევ-დაურევია; აერივ-დაერია

არეკვინებს; არეკვინა; ურეკვინებია; ერეკვინებინა [და არა არეკინებს, არეკინა...]

არეკვლა [და არა არეკლვა]

არემარე (არემარის˹ა˺)

არენა (არენის˹ა˺)

არეულ-დარეული (არეულ-დარეულად)

არეულ-დარეულობა (არეულ-დარეულობის˹ა˺)

ართრიტი [და არა არტრიტი] (= მედიც. სახსრების ანთებითი დაავადება) – **ართროზი** [და არა არტროზი] (= მედიც. ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული სახსრების ქრონიკული დაავადება)

არითმია (არითმიის˹ა˺): **არითმიული** [და არა არიტმია, არიტმიული]

არის, არიან: სულიერის აღმნიშვნელ სახელებთან მრავლობით რიცხვში **არიან** ფორმა გამოიყენება სრული სახით, შეუმოკლებლად: მეგობრები/სპორტსმენები/მოსწავლეები/ჩიტები... **არიან** [და არა მეგობრებია, სპორტსმენებია, მოსწავლეებია, ჩიტებია...], მაგრამ: ეზოში ხეებია/სკამებია...

არისტოკრატიული (მმართველობა) – **არისტოკრატული** (მანერები...)

არისხებს; (გან)არისხა; (გან)ურისხებია; (გან)ერისხებინა [და არა ანრისხებს, გაანრისხა, გაუნრისხებია, გაენრისხებია]

არმია (არმიის˹ა˺)

[არ მისული უნივერსიტეტამდე/ცირკამდე... კი არა] **უნივერსიტეტამდე/ცირკამდე...** ან კიდევ: **სანამ**

უნივერსიტეტამდე/ცირკამდე მივალთ/მიხვალთ/მივლენ...

არმქონე (არმქონის⌜ა⌝)

არმცოდნე (არმცოდნის⌜ა⌝)

არნახული

არსად; არსაიდან

არსებითი; არსებითად

არსებობს; არსებობდა; არსებობდეს (**იარსება; უარსებია; ეარსება**)

არსენალი (არსენალის⌜ა⌝)

არსთაგამრიგე (არსთაგამრიგის⌜ა⌝) (= უფალი, ღმერთი)

არსი (არსს)

არტეზიული (წყლები/ჭა)

არტერია (არტერიის⌜ა⌝): **არტერიული** (წნევა...)

არტილერია (არტილერიის⌜ა⌝)

არტყამს; არტყამდა; არტყამდეს [და არა არტყავს, არტყავდა, არტყავდეს]

არტყია (= შემორტყმული აქვს; აკრავს, ახვევია)

არქაიზმი (არქაიზმმა)

არქაული (არქაულად)

არქეოლოგია (არქეოლოგიის⌜ა⌝): **არქეოლოგიური**

არქეტიპი (= რაიმეს პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა)

არქიეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსს) [და არა არხიეპისკოპოსი]

არქივი: საარქივო

არქიმანდრიტი [და არა არხიმანდრიტი]

არქიპელაგი [და არა არხიპელაგი] (= ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი)

არქიტექტონიკა (არქიტექტონიკის⌜ა⌝)

არქიტექტორი (// **ხუროთმოძღვარი**) (ხუროთმოძღვრის⌜ა⌝)

არქიტექტორული (ნიჭი/ხედვა) – **არქიტექტურული** (ანსამბლი)

არქიტექტურა (არქიტექტურის⌜ა⌝) (// **ხუროთმოძღვრება**)

არქონა (არქონის⌜ა⌝) // **უქონლობა** (უქონლობის⌜ა⌝)

არღანი (არღნის⌜ა⌝) (= მექანიკური სამუსიკო საკრავი. წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც მხარზე ღვედით იკიდებენ; უკრავენ ტარის ტრიალით); შდრ.: **ორგანი** (მვ. **ორღანი**) (= კლავიშებიანი სასულე მუსიკალური საკრავი. ჩვეულებრივ, კათოლიკურ ეკლესიაში გამოიყენება)

არყოლა (არყოლის⌜ა⌝) // **უყოლობა** (უყოლობის⌜ა⌝)

არყოფნა (არყოფნის⌜ა⌝) // **არარსებობა** (არარსებობის⌜ა⌝)

[არშეიარაღება, არშეიარაღებული კი არა] **შეუიარაღებლობა; შეუიარაღებელი** (შეუიარაღებლად)

არჩევანი (არჩევანის⌜ა⌝), მაგრამ: **არჩევნები**

არჩევითი; არჩევითობა (არჩევითობის⌜ა⌝)

არც ერთი: ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და **არც მეორე** – ვენეციელი (უიარ.), მაგრამ: **არცერთი** (**არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები)

არცერთნაირი; **არცერთნაირად**

არცთუ

არც მეტი, არც ნაკლები (= 1. სწორედ იმდენი, რამდენიც საჭიროა; 2. ზუსტად ან სწორედ ასე და არა სხვაგვარად)

არცოდვა (არცოდვის⌜ა⌝)

არცოდნა (არცოდნის⌜ა⌝)

არწივი

არწმუნებს; **(და)არწმუნა**; **(და)ურწმუნებია**; **(და)ერწმუნებინა** [და არა დაერწმუნებია]

ასაბუთებს; **(და)ასაბუთა**; **(და)უსაბუთებია**; **(და)ესაბუთებინა** [და არა დაესაბუთებია]

ასავალ-დასავალი (ასავალ-დასავლის⌜ა⌝)

ასაზოგადოებს (= საზოგადო კუთვნილებად ხდის კერძოს, საკუთარს)

ასაზრდოებს; **ასაზრდოებდა**; **ასაზრდოებდეს**, მაგრამ: **ასაზრდოვა** (**ვასაზრდოვე**, **ასაზრდოვე**...)

ასათვისებელი (ასათვისებლად)

ასაკოვანი (ასაკოვანის⌜ა⌝) (ადამიანი) – **ასაკობრივი** (დაავადებები/ცენზი)

ასაკრძალავი (ასაკრძალავად)

ასამართლებს; **(გა)ასამართლა**; **(გა)უსამართლებია**; **(გა)ესამართლებინა** [და არა გაესამართლებია]

ასამხლეა (ასამხლეის⌜ა⌝) (= საერთო კრება რომელიმე სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებისა)

ას-ასი (ას-ასს)

ასაციოლებელი (ასაციოლებლად)

ასახიერებს; **(გან)ასახიერა**; **(გან)უსახიერებია**; **(გან)ესახიერებინა** [და არა ანსახიერებს, გაანსახიერა, გაუნსახიერებია, გაენსახიერებია]

ასახსნელ-განსამარტავი

ასე; **ასევე** [და არა ესე, ესევე]

ასეა თუ ისე [და არა ესეა თუ ისე]

ასე და ასე [და არა ესე და ესე]

ასეთი; **ასეთივე** [და არა ესეთი, ესეთივე]

ასეთ-ისეთი [და არა ესეთ-ისეთი]

ასეთნაირი; **ასეთნაირად** [და არა ესეთნაირი, ესეთნაირად]

ასე თუ ისე [და არა ესე თუ ისე]

ასენიზაცია (ასენიზაციის⌜ა⌝); **ასენიზატორი**

ასე რომ [და არა ესე რომ]

ასესხებს; **ასესხა**; **უსესხებია**; **ესესხებინა** [და არა ესესხებია]

ასე შემდეგ [და არა ესე შემდეგ]

ასვამს [და არა ასმევს] (დაღს) – **ასმევს** (წყალს)

ასვლა-ჩამოსვლა (ასვლა-ჩამოსვლის⌜ა⌝)

ასთმა (ასთმის⌜ა⌝): **ასთმური** [და არა ასტმა, ასტმური]

ასი ათასი, მაგრამ: **ასიათასობით**

ასიგნება (ასიგნების⌜ა⌝) (= მიზნობრივი დაფინანსება): **ასიგნებული**

ასიგნობა (ასიგნობის⌜ა⌝) (= საბუთი, რომლის ძალითაც ბანკი (ხაზინა) გასცემს დაწესებულებისათვის ასიგნებულ თანხას)

ასიმეტრია (ასიმეტრიის⌜ა⌝): **ასიმეტრიული** (ასიმეტრიულად)

ასიმეტრიულობა (ასიმეტრიულობის⌜ა⌝)

ასიმილატორი

ასიმილაცია (ასიმილაციის⌜ა⌝)

ასიმილირება (ასიმილირების⌜ა⌝): **ასიმილირებული**

ასინჯებს; **(გა)ასინჯა**; **(გა)უსინჯებია**; **(გა)ესინჯებინა** [და არა გაესინჯებია]

ასინჯვინებს; **(გა)ასინჯვინა**; **(გა)უსინჯვინებია**; **(გა)ესინჯვინებინა** [და არა ასინჯიებს, გაასინჯია...]

ასისტენტი

ასისტენტობა (ასისტენტობის⌜ა⌝)

ასკეტი: **ასკეტური** (ასკეტურად)

ასკეტიზმი (ასკეტიზმის)

ასკეტურობა (ასკეტურობის⌜ა⌝)

ასლგადამღები [და არა ქსეროქსი]

ასლი // პირი [და არა კოპიო]

ასმეერთე [და არა ას პირველი]

ასმევ-აჭმევს; **ასვა-აჭამა**; **უსმევ-უჭმევია**

ასმევს; **ასმევდა**; **ასმევდეს**; **ასვა**; **უსმევია**; **ესმია**

ასონიშანი (ასონიშნის⌜ა⌝): სამეტყველო ბგერის გრაფიკული ნიშანი.

ასორტი (= რაიმეს საგანგებოდ შერჩეული ნაკრები, მაგ., შოკოლადის/ხილის... **ასორტი**) – **ასორტიმენტი** (= სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის საქონელი)

ას ოცი, ას ორმოცი..., მაგრამ: **ასმეოცე**; **ასმეორმოცე...**

ასოციაცია (ასოციაციის⌜ა⌝): **ასოციაციური** (ასოციაციურად)

ასოცირებული (წევრი...)

ასოცირების ხელშეკრულება (ასოცირების ხელშეკრულების⌜ა⌝)

ასპარეზი (ასპარეზზე) (= 1. ძვ. სპორტული შეჯიბრების არენა; 2. გადატ. მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი, მაგ., ლიტერატურული/საზოგადოებრივი... **ასპარეზი**) – **ასპარეზობა** (= სპორტული ან სამხედრო შეჯიბრება, ვარჯიში)

ასპარეზობს; **ასპარეზობდა**; **ასპარეზობდეს** (**იასპარეზა**; **უასპარეზია**; **ეასპარეზა**) [და არა უასპარეზნია, ეასპარეზნა]

ასპექტი

ასტერილებს; **(გა)ასტერილა**; **(გა)უსტერილებია**; **(გა)ესტერილებინა**

[და არა გაესტერილებია]

ასტეროიდი, მრ. ასტეროიდები (= მცირე პლანეტები, რომლებიც ბრუნავენ მზის ირგვლივ, უმთავრესად მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის)

ასტიგმატიზმი (ასტიგმატიზმმა)

ასტრალური (= ვარსკვლავისებური; ვარსკვლავებთან მისტიკურად დაკავშირებული)

ასტროლოგი (= ასტროლოგიის მიმდევარი, ვარსკვლავთმისანი) – **ასტრონომი** (= ასტრონომიის სპეციალისტი)

ასტროლოგია (= ვარსკვლავთმისნობა) – **ასტრონომია** (= მეცნიერება მნათობთა აგებულების, ფიზიკური ბუნებისა და მოძრაობის კანონების შესახებ)

ასტროფიზიკა (ასტროფიზიკის⌜ა⌝): **ასტროფიზიკური**

ასტროფიზიკოსი (ასტროფიზიკოსს)

ასურათებს; **(და)ასურათა**; **(და)უსურათებია**; **(და)ესურათებინა** [და არა დაესურათებია]

ასუფთავებინებს; **(გა)ასუფთავებინა**; **(გა)უსუფთავებინებია**; **(გა)ესუფთავებინებინა** [და არა ასუფთავებიებს, გაასუფთავებია...]

ასუფთავებს; **(გა)ასუფთავა**; **(გა)უსუფთავებია**; **(გა)ესუფთავებინა** [და არა გაესუფთავებია]

ასფალტმოსხმული (ქუჩა)

ასფალტსაგები (მანქანა)

ასფურცელა (ასფურცელას⌜ი⌝)

ასცდება; **ასცდა**; **ასცდენია**; **ასცდენოდა** [და არა აცდება, აცდა...]

ასწავლის; **ასწავლა**; **უსწავლებია**; **ესწავლებინა** [და არა ესწავლებია]

ასწევ-დასწევს; **ასწივ-დასწია**; **აუწევ-დაუწევია**; **აეწივ-დაეწია**

ასწევს (ტვირთს), მაგრამ: **აწევს** (გულზე დარდი)

ასწლეული

ასწლოვანი (ასწლოვანის⌜ა⌝)

[ასწონ-დასწონის კი არა] **აწონ-დაწონის**

ასხამს; **ასხამდა**; **ასხამდეს** [და არა ასხავს, ასხავდა, ასხავდეს]

ასხვავებს; **ასხვავებდა**; **ასხვავებდეს** [და არა ანსხვავებს, ანსხვავებდა, ანსხვავებდეს]; **(გან)ასხვავა**; **(გან)უსხვავებია**; **(გან)ესხვავებინა**

ასხია (ბევრი), მაგრამ: **აბია** (ერთი)

ატავიზმი (ატავიზმმა): 1. ისეთი ნიშნის გამოვლენა შთამომავლობაში, რაც შორეული წინაპრებისათვის იყო დამახასიათებელი; 2. გადატ. საერთოდ, გადმონაშთი; დრომოჭმულ წეს-ჩვეულებებთან დაბრუნება.

ატავისტური

ატამი (ატამმა, ატმის⌜ა⌝)

[ატანა არა აქვს კი არა] **ვერ ატანს**

ატარაქსია (= სულიერი სიმშვიდე) – **ატაქსია** (= მედიც. ნებისმიერ მო-

ძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა ნერვული სისტემის ზოგი დაავადების დროს)

ატარებს (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: გუნდი კარგ **თამაშს ატარებს**. უნდა იყოს: გუნდი **კარგად თამაშობს**)

ატაშე (ატაშეს˹ი˺)

ატენიანებს; **(და)ატენიანა**; **(და)უტენიანებია**; **(და)ეტენიანებინა** [და არა დაეტენიანებია]

ატესტატი; **საატესტატო**

ატესტაცია (ატესტაციის˹ა˺)

ატიპია (ატიპიის˹ა˺): **ატიპიური** (ატიპიურად)

ატკინა [და არა ტკივილი მიაყენა]

ატლანტის [და არა ატლანტიკის] **ოკეანე**

ატმოსფერო: **ატმოსფერული** (წნევა...)

ატმოსფერომედეგობა (ატმოსფერომედეგობის˹ა˺)

ატონია (ატონიის˹ა˺): **ატონიური** [და არა ატონური]

ატრაქციონი

ატრიბუტი (= 1. ფილოს. თვისება, რომელშიც საგნის ან მოვლენის არსი ვლინდება, მაგ., სუბსტანცია და **ატრიბუტი**; 2. რაიმეს დამახასიათებელი ნიშანი); შდრ.: **ატრიბუტიკა** (= 1. დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა; 2. რაიმეს აუცილებელი თანმხლები იარაღი, მოწყობილობა, ჩაცმულობა)

ატროფია (ატროფიის˹ა˺): 1. სხეულის რომელიმე ორგანოს დასუსტება ან დაკნინება საკვების სიმცირისა და ხანგრძლივი უმოქმედობის გამო; 2. გადატ. რაიმე გრძნობის ან უნარის დაჩლუნგება, დაქვეითება.

ატროფირება (ატროფირების˹ა˺): **ატროფირებული**

ატყობინებს; **ატყობინებდა**; **ატყობინებდეს**; **(შე)ატყობინა**; **(შე)უტყობინებია**; **(შე)ეტყობინებინა** [და არა ატყობიებს, ატყობიებდა...]

ატყობს;**ატყობდა**; **ატყობდეს**; **შეატყო**; **შეუტყვია** [და არა შეუტყია]; **შეეტყო**

აუბამს [და არა აუბავს] (თურმე)

აუდიენცია (აუდიენციის˹ა˺) [და არა აუდენცია]

აუდიოვიზუალური

აუდიოკასეტა (აუდიოკასეტის˹ა˺)

აუდიომასალა (აუდიომასალის˹ა˺)

აუდიოჩანაწერი

აუდიტი (= ორგანიზაციის აღრიცხვიანობის შემოწმება, რევიზია, სამეურნეო საქმიანობის კონტროლი; პირი ან ჯგუფი, რომელიც სწავლობს და აფასებს ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობას); შდრ.: **აუდიტორი** (= რევიზორი – პირი ან საბუღალტრო ფირმა, რომელიც ამოწმებს კომპანიას, ასოციაციას, ანდა კერძო მეწარმის აღრი-

ცხვიანობას მისი სისრულის, სათანადო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და სხვა თვალსაზრისით)

აუდიტორია (აუდიტორიის[ა]): **აუდიტორიული; სააუდიტორიო**

აუვლ-ჩაუვლის; აუარ-ჩაუარა; აუვლ-ჩაუვლია; აევლ-ჩაევლო

აუზი (აუზზე) [და არა ბასეინი]

აუთოებს; აუთოებდა; აუთოებდეს, მაგრამ: **გააუთოვა (გავაუთოვე, გააუთოვე...)**

აუნაზღაურებელი (აუნაზღაურებლად)

აუნაზღაურებს; აუნაზღაურა; აუნაზღაურებია; აენაზღაურებინა [და არა აენაზღაურებია]

აურა (აურის[ა])

აუსრულდება; აუსრულდა; ასრულებია; ასრულებოდა

აუტი (სპორტ.)

აუტკივარი თავის ატკივება: პრობლემის ბალით გაჩენა; საკუთარი თავის ჩაგდება განსაცდელში (სიბრიყვით, უჭკუობით).

აუტსაიდერი (სპორტ.)

აუქციონი

აუცილებელი (= საჭირო, მაგ., **აუცილებელი** საგნები) – **უცილობელი** (= გარდაუვალი, მაგ., **უცილობელი** გამარჯვება)

აუწვავს [და არა აუწვამს]

აუხსნის; აუხსნა; აუხსნია; აეხსნა

აფარია (თავსაფარი), მაგრამ: **ახურავს** (ქუდი)

აფერისტი: აფერისტული (აფერისტულად)

აფერისტობა (აფერისტობის[ა])

აფექტი (= ფსიქ. ხანმოკლე და ძლიერი ემოცია, რომელიც სავსებით იპყრობს ადამიანს და შეიძლება ჩაადენინოს მისთვის უჩვეულო საქციელი)

აფექტური [და არა აფექტიური]

აფთარი (აფთრის[ა])

აფთიაქი: სააფთიაქო

აფიქსირებს (უმართებულოა ამ ზმნის გამოყენება **აღნიშნა, თქვა, განაცხადა** სიტყვების მნიშვნელობით, მაგ., თავმჯდომარემ **დააფიქსირა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა კვლავ **დააფიქსირა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს... უნდა იყოს: თავმჯდომარემ **განაცხადა**, რომ სხდომა ხუთ საათზე გაგრძელდებოდა; მინისტრმა **გაიმეორა** // კვლავ **აღნიშნა**, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს... **აფიქსირებს** ზმნა **აღნუსხვის** მნიშვნელობით ბუნებრივია შემდეგი ტიპის კონტექსტში: მეცნიერმა არაერთი ანალოგიური/მრავალი/მსგავსი ფაქტი **დააფიქსირა**)

აფიშა (აფიშის[ა])

აფიშირება (აფიშირების[ა]): **აფიშირებული**

აფორიზმი (აფორიზმმა)

აფორმებს; (გა)აფორმა; (გა)უფორმებია; (გა)ეფორმებინა [და არა გაეფორმებია]

აფრთხილებს; (გა)აფრთხილა; (გა)უფრთხილებია; (გა)ეფრთხილებინა [და არა აბრთხილებს, გააბრთხილა...]

აფრთხობს; (და)აფრთხო; (და)უფრთხია; (და)ეფრთხო [და არა აბრთხობს, დააბრთხო...]

[აფსურდი, აფსურდული კი არა] **აბსურდი; აბსურდული**

აფხაზე (აფხაზზე): **აფხაზური** [და არა აბხაზი, აბხაზური]

აქა-იქ

აქამდე // აქამდის

აქებ-ადიდებს; აქო-ადიდა; უქია-უდიდებია; ექო-ედიდებინა

აქებს; (შე)აქო; (შე)უქია; (შე)ექო

აქედან [და არა აქიდან]

აქედან გამომდინარე (ზეპირ მეტყველებაში გამოთქმა **აქედან გამომდინარე** ხშირად უმართებულოდ გამოიყენება **ამიტომ, ამის გამო** სიტყვების მნიშვნელობით: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **აქედან გამომდინარე**, ჩვენც უნდა გავჩერდეთ? უნდა იყოს: მას რომ ამის გაკეთება არ შეუძლია, **ამიტომ (ამის გამო)** ჩვენც უნდა გავჩერდეთ?)

აქეთ [და არა აქით]

აქეთა [და არა აქითა]

აქეთ-იქით; აქეთ-იქითა

აქეთკენ [და არა აქითკენ]

აქეთურ-იქითური

[აქვაპარკი კი არა] **აკვაპარკი**

აქვს [და არა გააჩნია] (წიგნები / კომპიუტერი / პრობლემები...), მაგრამ: **არ გააჩნია/არ აქვს** (წიგნები / კომპიუტერი / პრობლემები...)

აქვს; ჰქონდა; ჰქონია; ჰქონოდა

[აქვს მანქანა კი არა] **ჰყავს (დაჰყავს, მიჰყავს, მოჰყავს) მანქანა**

აქილევსის ქუსლი (= მავანის ესა თუ ის სისუსტე)

[აქონდა, აქონდეს კი არა] **აჰქონდა; აჰქონდეს**

აქსელერატი (= აქსელერაციის შედეგად ჩამოყალიბებული ადამიანი)

აქსელერატორი (= 1. მოწყობილობა, რომელიც აწესრიგებს საწვავი ნარევის მიწოდებას ძრავის ცილინდრებში ბრუნვათა რაოდენობის შესაცვლელად; 2. პედალი, რომელიც ამოქმედებს ამ მოწყობილობას)

აქსელერაცია (აქსელერაციის⌜ა⌝)

აქსესუარი

აქსიოლოგია (აქსიოლოგიის⌜ა⌝): ღირებულების არსის, ბუნების ფილოსოფიური კვლევა.

აქსიოლოგიური

აქსიომა (აქსიომის⌜ა⌝)

აქტი

აქტივაცია (აქტივაციის˹ა˺): 1. რაიმეს ამოქმედება ან მოქმედების გაძლიერება; 2. რაიმე ნივთიერების, საგნების დასხივება ბირთვული ნაწილაკებით.

აქტივი: 1. საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ყველაზე მოწინავე და მოქმედი ნაწილი; 2. ეკონ. წარმოების ბალანსზე არსებული საკუთრება, ქონება; 3. ლინგვ. მოქმედებითი გვარი ზმნისა.

აქტივიზაცია (აქტივიზაციის˹ა˺): რაიმეს ამოქმედება, გააქტიურება.

აქტივისტი: **აქტივისტური**

აქტივობა (აქტივობის˹ა˺) [და არა აქტივობები]

აქტიური (= ენერგიული, მუდმივად რაიმე საქმიანობაში ჩართული) – **აქტუალური** (= არსებითი მნიშვნელობის მქონე)

აქტიურობა (აქტიურობის˹ა˺)

აქტუალურობა (აქტუალურობის˹ა˺) // **აქტუალობა** (აქტუალობის˹ა˺)

აქცენტი

აქცენტირება (აქცენტირების˹ა˺): **აქცენტირებული**

აქციპტი: 1. ფინანს. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა სამეურნეო ორგანიზაციებს შორის; 2. ფინანს. გადამხდელის მიერ გაკეთებული წარწერა თამასუქზე, რომ იგი კისრულობს თამასუქის განაღდებას ვადაზე; 3. სამართ. თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე.

აქცია (აქციის˹ა˺) (1. რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება; 2. ეკონ. სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, რომელიც ასაბუთებს გარკვეული ფულადი თანხის შეტანას ამ საზოგადოების კაპიტალში და მის მფლობელს აძლევს უფლებას, სააქციო საზოგადოების საერთო მოგებიდან მიიღოს გარკვეული შემოსავალი, დივიდენდი)

აქციზი (აქციზზე): არაპირდაპირი სახელმწიფო გადასახადი ფართო მოხმარების საგნებზე (ჩაი, შაქარი, ასანთი...).

აქციონერი (აქციონერის˹ა˺)

აღადგენინებს; **აღადგენინა**; **აღუდგენინებია**; **აღედგენინებინა** [და არა ააღდგენიებს, ააღდგენია...]

აღადგენს; **აღადგინა**; **აღუდგენია**; **აღედგინა** [და არა ააღდგენს, ააღდგინა...]

აღასრულებს; **აღასრულა**; **აღუსრულებია**; **აღესრულებინა** [და არა ააღსრულებს, ააღსრულა...]

აღაფრთოვანებს; **აღაფრთოვანებდა**; **აღაფრთოვანებდეს**; **აღაფრთოვანა**; **აღუფრთოვანებია**; **აღეფრთოვანებინა** [და არა ააღფრთოვანებს, ააღფრთოვანებდა...]

აღდგება; აღდგა [და არა აღსდგება, აღსდგა], მაგრამ: **ქრისტე აღსდგა** (ტრადიც.) // **აღდგა**

აღდგენა-აღორძინება (აღდგენა-აღორძინების⌜ა⌝)

აღდგენა-კონსერვაცია (აღდგენა-კონსერვაციის⌜ა⌝)

აღდგენა-შენარჩუნება (აღდგენა-შენარჩუნების⌜ა⌝)

აღდგენითი (სამუშაო...)

აღდგენილი (ენერგია...)

აღდგომა (აღდგომის⌜ა⌝); **სააღდგომო** (სააღდგომოდ)

აღებ-მიცემა, მაგრამ: **აღებმიცემობა**

აღემატება; აღემატა; აღმატებია; აღმატებოდა

აღეძვრება (აღეძვრის); აღეძრა; აღსძვრია; აღსძვროდა [და არა აეღძვრება, აეღძრა...]

აღვზრდი [და არა ავღზრდი]

აღვნიშნავ [და არა ავღნიშნავ]

აღვნუსხავ [და არა ავღნუსხავ]

აღვრიცხავ [და არა ავღრიცხავ]

აღვწერ [და არა ავღწერ]

აღზევება (აღზევების⌜ა⌝): **აღზევებული**

აღზრდა-განვითარება (აღზრდა-განვითარების⌜ა⌝)

აღზრდის; აღზარდა; აღუზრდია; აღზარდა [და არა აუღზრდია, აეღზარდა]

აღთქმა (= დაპირება, პირობის დადება) – **აღქმა** (= გაგების, გაცნობიერების უნარი)

აღთქმული (= რაც აღუთქვეს, დაპირებული, დანაპირები, მაგ., **აღთქმული** ქვეყანა) – **აღქმული** (= რაც აღიქვეს , მაგ., **აღქმული** სინამდვილე)

აღიარება (აღიარების⌜ა⌝): **აღიარებული**

აღიარებითი (ჩვენება)

აღიარებინებს; აღიარებინა; უღიარებინებია; ეღიარებინებინა [და არა აღიარებიებს, აღიარებია...]

აღიარებს; აღიარა; უღიარებია; ეღიარებინა [და არა ეღიარებია]

აღიგვება პირისაგან მიწისა [და არა მიწისაგან პირისა]

აღიდგენს; აღიდგინა; აღუდგენია; აღედგინა [და არა აიღდგენს, აიღდგინა...]

აღიზიანებს; (გა)აღიზიანა; (გა)უღიზიანებია; (გა)ეღიზიანებინა [და არა გაეღიზიანებია]

აღიზრდება; აღიზარდა [და არა აიღზრდება, აიღზარდა]; **აღზრდილა; აღზრდილიყო**

აღიკვეთება; აღიკვეთა [და არა აიღკვეთება, აიღკვეთა]; **აღკვეთილა; აღკვეთილიყო**

აღიკვეცება; აღიკვეცა [და არა აიღკვეცება, აიღკვეცა]; **აღკვეცილა; აღკვეცილიყო**

აღიმართება; აღიმართა [და არა აიღმართება, აიღმართა]; **აღმართულა; აღმართულიყო**

აღინიშნება; აღინიშნა [და არა აიღნიშნება, აიღნიშნა]; **აღნიშნულა; აღნიშნულიყო**

აღინუსხება; აღინუსხა [და არა აიღნუსხება, აიღნუსხა]; **აღნუსხულა; აღნუსხულიყო**

აღირსებს; აღირსა; უღირსებია; ეღირსებინა [და არა ეღირსებია]

აღიქვამს [და არა აღიქვავს]; **აღუქვამს** [და არა აღუქვავს] (თურმე)

აღიძვრება (აღიძვრის) [და არა აიღძრვება, აიღძრვის]; **აღიძრა; აღძრულა; აღძრულიყო**

აღიწერება; აღიწერა [და არა აიღწერება, აიღწერა]; **აღწერილა; აღწერილიყო**

აღიჭურვება; აღიჭურვა [და არა აიღჭურვება, აიღჭურვა]; **აღჭურვილა; აღჭურვილიყო**

აღკვეთა (აღკვეთის⌜ა⌝): **აღკვეთილი**

აღლუმი (= ჯარის დარაზმულობის საზეიმო გასინჯვა, დათვალიერება, – **პარადი**; შდრ.: **დემონსტრაცია**: 1. მასობრივი მსვლელობა საზოგადოებრივი განწყობილების გამოსახატავად; 2. მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაცია მეორეხარისხოვან უბანზე (იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის ყურადღება დარტყმის მთავარ მიმართულებას ააცდინოს); 3. ცდის ჩატარება რაიმეს თვალსაჩინოდ ახსნის მიზნით (სანახავად გამოტანა, ჩვენება) // **დემონსტრირება**)

აღმა-დაღმა

აღმ⌜ა⌝დგენელი (აღმ⌜ა⌝დგენლის⌜ა⌝) // **აღმდგენი**

აღმავალი; აღმავლობა (აღმავლობის⌜ა⌝)

აღმართავს; აღმართა; აღუმართავს; აღემართა [და არა აღემართნა]

აღმართ-დაღმართი; აღმართ-აღმართ

აღმასვლა (აღმასვლის⌜ა⌝) [და არა აღმასლვა]

აღმასრულებელი (აღმასრულებლის⌜ა⌝)

აღმატება (აღმატების⌜ა⌝): **აღმატებული**

აღმატებითი (= გრამატ. **აღმატებითი ხარისხი** – ზედსართავის ფორმა, რომელიც აღნიშნავს რაიმე თვისების ყველაზე მაღალ დონეს) – **აღმატებული** (= 1. ამაღლებული (ზნეობით); 2. გადატ. წარჩინებული, აღზევებული)

აღმაფრენა (აღმაფრენის⌜ა⌝)

აღმაფრთოვანებელი [და არა ამაღფრთოვანებელი]

აღმაშფოთებელი (აღმაშფოთებლად) [და არა ამაღშფოთებელი, ამაღშფოთებლად]

აღმზრდელი (აღმზრდელის⌜ა⌝) [და არა ამღზრდელი]

აღმზრდელობითი [და არა ამღზრდელობითი]

აღმკვეთი (ღონისძიება...)

აღმნიშვნელი [და არა ამღნიშვნელი, ამღნიშნველი]

აღმოაჩენს; აღმოაჩინა; აღმოუჩენია; აღმოეჩინა

აღმობრწყინდება; აღმობრწყინდა; აღმობრწყინებულა; აღმობრწყინებულიყო

აღმოსავლეთი (აღმოსავლეთთან)

აღმოსავლელი [და არა აღმოსავლეთელი]

აღმოსავლური [და არა აღმოსავლეთური]

აღმოსაფხვრელი (აღმოსაფხვრელად)

აღმოფხვრილი (აღმოფხვრილად)

აღმოჩენა (აღმოჩენის⌜ა⌝): **აღმოჩენილი; აღმოსაჩენი**

აღმოჩნდება; აღმოჩნდა; აღმოჩენილა; აღმოჩენილიყო

აღმრიცხველი (აღმრიცხველის⌜ა⌝) [და არა ამღრიცხველი]

აღმსარებელი (აღმსარებლის⌜ა⌝) [და არა ამღსარებელი]

აღმსარებლობა (აღმსარებლობის⌜ა⌝) [და არა ამღსარებლობა]

აღმსარებლობითი [და არა ამღსარებლობითი]

აღმსარებლური [და არა ამღსარებლური]

აღმსრულებელი (აღმსრულებლის⌜ა⌝) [და არა ამღსრულებელი]

აღმშენებლობა (აღმშენებლობის⌜ა⌝) [და არა ამღშენებლობა]

აღმშენებლობითი [და არა ამღშენებლობითი]

აღმწერელი (აღმწერლის⌜ა⌝) [და არა ამღწერელი] **(ჟამთააღმწერელი)**

აღმწერი (აღმწერის⌜ა⌝) [და არა ამღწერი]

აღნიშვნა (აღნიშვნის⌜ა⌝) [და არა აღნიშნვა]

აღნიშნული

აღნუსხავს; აღნუსხა; აღუნუსხავს; აღენუსხა

აღნუსხვა (აღნუსხვის⌜ა⌝): **აღნუსხული**

აღორძინდება; აღორძინდა; აღორძინებულა; აღორძინებულიყო

აღორძინება (აღორძინების⌜ა⌝): **აღორძინებული**

აღრიცხვა (აღრიცხვის⌜ა⌝)

აღრიცხული [და არა აღრიცხვული]

აღსანიშნავი (აღსანიშნავად)

აღსაქმელი (აღსაქმელად) [და არა ასაღქმელი]

აღსაყდრება (აღსაყდრების⌜ა⌝): **აღსაყდრებული**

აღსაწერი (აღსაწერად)

აღსრულებითი (ფურცელი...)

აღტაცება (აღტაცების⌜ა⌝): **აღტაცებული** (აღტაცებულად)

აღტყინება: აღტყინებული [და არა აღტკინება, აღტკინებული]

აღშფოთდება; აღშფოთდა; აღშფოთებულა; აღშფოთებულიყო

აღშფოთება (აღშფოთების⌜ა⌝): **აღშფოთებული** (აღშფოთებულად)

აღწერა (აღწერის⌜ა⌝): **აღწერილი**

აღწერილობა (აღწერილობის⌜ა⌝)

აღწერს; აღწერა; აღუწერია; აღეწერა [და არა აუღწერია, აეღწერა]

აღჭურვა (აღჭურვის⌜ა⌝): **აღჭურვილი**

[აყავს, აყავდა, აყავდეს კი არა] **აჰყავს; აჰყავდა; აჰყავდეს**

აყალბებს; (გა)აყალბა; (გა)უყალბებია; (გა)ეყალბებინა [და არა გაეყალბებია]

აყალიბებს; (ჩამო)აყალიბა; (ჩამო)უყალიბებია; (ჩამო)ეყალიბებინა [და არა ჩამოეყალიბებია]

აყალმაყალი (აყალმაყალის⌜ა⌝)

აყვირდება; აყვირდა; აყვირებულა; აყვირებულიყო

აყვირება (აყვირების⌜ა⌝): **აყვირებული**

აყვირებს; აყვირა; უყვირებია; ეყვირებინა [და არა ეყვირებია]

აყიდვინებს; აყიდვინა; უყიდვინებია; ეყიდვინებინა [და არა აყიდინებს, აყიდინა...]

აშენება (სახლისა...) – **გაშენება** (ბაღისა...)

აშკარად

აშკარავდება; გამოაშკარავდა; გამოაშკარავებულა; გამოაშკარავებულიყო

აშლევინებს; აშლევინა; უშლევინებია; ეშლევინებინა [და არა აშლევიებს, აშლევია...]

აშფოთებს; აშფოთებდა; აშფოთებდეს; (შე)აშფოთა; (შე)უშფოთებია; (შე)ეშფოთებინა [და არა შეეშფოთებია]

აჩენს; (გა)აჩინა; (გა)უჩენია; (გა)ეჩინა

აჩვენებს (თავს/წიგნს...); **აჩვენა; უჩვენებია; ეჩვენებინა,** მაგრამ: **უჩვენებს** (მას სეირს)

აჩნევს – **ამჩნევს** (იხ.)

აჩუქებს; აჩუქა; უჩუქებია; ეჩუქებინა

აცალკევებს; (გა)აცალკევა; (გა)უცალკევებია; (გა)ეცალკევებინა [და არა ანცალკევებს, გაანცალკევა...]

[აცდება, აცდა, აცდენია კი არა] **ასცდება; ასცდა; ასცდენია** (მას)

აცდევინებს (= აღოდინებს) – **აცდენინებს** (= აიძულებს გააცდინოს)

აცვამს [და არა აცმევს] (ჯვარს), მაგრამ: **აცმევს** (სხვას კაბას...), **ოცვამს** [და არა იცმევს] (თვითონ)

აცვიფრებს; განაცვიფრა; განუცვიფრებია; განეცვიფრებინა[და არა ანცვიფრებს, გაანცვიფრა...]

აციებს (= ციებ-ცხელება სჭირს, ციების შეტევა აქვს, მაგ., ავადმყოფს **აციებს**) – **აცივებს** (= აგრილებს, მაგ, **აცივებს** ღვინოს/წყალს)

აცილება (აცილების⌜ა⌝): **აცილებული**

აცნობებს; აცნობა; უცნობებია; ეცნობებინა [და არა ეცნობებია]

აცნობიერებს; (გა)აცნობიერა; (გა)უცნობიერებია; (გა)ეცნობიერებინა [და არა გაეცნობიერებია]

აცნობს; აცნობდა; აცნობდეს; (გა)აცნო; (გა)უცნია; (გა)ეცნო

აცხადებს[1] (= საჯაროდ აღნიშნავს); **(გან)აცხადა / (გამო)აცხადა; (გან)უცხადებია / (გამო)უცხადებია; (გან)ეცხადებინა / (გამო)ეცხადებინა** [და არა განეცხადებია, გამოეცხადებია]

აცხადებს[2] (= ცხადად აქცევს; გაამჟღავნებს); **(ა)აცხადა; (ა)უცხადებია; (ა)ეცხადებინა** [და არა აეცხადებია]

აძღებს (ვაძღებ, აძღებ) [და არა აძღობს, ვაძღობ, აძღობ]

[აწარმოებენ კვლევის შედეგების გამოქვეყნებას კი არა] **აქვეყნებენ კვლევის შედეგებს**

აწებს (ვაწებ, აწებ) [და არა აწობს, ვაწობ, აწობ]

აწერინებს; აწერინა; უწერინებია; ეწერინებინა [და არა აწერიებს, აწერია...]

აწვდენს (ხმას/სიტყვას/თვალს; შდრ.: **აწვდენს** ხელს თარომდე) – **აწვდის, აწოდებს** (ბურთს/ინფორმაციას...)

აწინაურებს; (და)აწინაურა; (და)უწინაურებია; (და)ეწინაურებინა [და არა დაეწინაურებია]

აწმყო-მომავალი (აწმყო-მომავლის[ა])

აწონასწორებს; (გა)აწონასწორა; (გა)უწონასწორებია; (გა)ეწონასწორებინა [და არა გაეწონასწორებია]

აწონ-დაწონის; აწონ-დაწონა; აუწონ-დაუწონია; აეწონ-დაეწონა

აწყენს (= ავნებს, ზიანს მიაყენებს; შდრ.: **თავს აწყენს** (= თავს აბეზრებს) – **აწყენინებს** (= არასასიამოვნო რაიმეს შეახვედრებს ან ეტყვის)

აწყვია (ბევრი), მაგრამ: **დევს** (ერთი)

აწყობს; აწყობდა; აწყობდეს (დააწყობს...; ჩააწყობს...; შეაწყობს...; გააწყობს...)

აწყობს (= ერთმანეთზე ალაგებს, დებს ბევრ რამეს. ზოგჯერ ეს ფორმა იხმარება სხვა მნიშვნელობითაც – **ხელს აძლევს**, მაგ.: მოვლენების ამგვარი განვითარება „დინამოს“ ძალიან **აწყობს**; არა მგონია, არგენტინელებს ეს ანგარიში **აწყობდეთ** და სხვ. უმჯობესია: მოვლენების ამგვარი განვითარება „დინამოს“ **ხელს აძლევს**; არა მგონია, არგენტინელებისათვის ეს ანგარიში **ხელსაყრელი იყოს**)

აჭდევს (= ჭდეს უკეთებს, ამოკვეთს, აჩნევს რაიმეზე) – **აჭდობს** (= 1. ორ საგანს ერთმანეთში მჭიდროდ სვამს, ამაგრებს, მაგ., ფიცრებს ფიცრებზე **აჭდობს**; 2. ხელებს, თითებს... მჭიდროდ გადაადებს ერთმანეთზე, მაგ., მკლავებს ერთმანეთზე **აჭდობს**)

აჭმევს; **აჭამა**; **უჭმევია**; **ეჭმია**

აჭრევინებს; **აჭრევინა**; **უჭრევინებია**; **ეჭრევინებინა** [და არა აჭრევიებს, აჭრევია...]

ახალაღმოჩენილი

ახალაშენებული

ახალ-ახალი (ამბები...)

ახალბედა (ახალბედას'ი')

ახალგაზრდა (ახალგაზრდის'ა'): **ახალგაზრდული** (ახალგაზრდულად)

[ახალგაზრდა ხე/ბალახი კი არა] **ნორჩი ხე/ბალახი**

ახალგაზრდობა (ახალგაზრდობის'ა')

ახალგათავისუფლებული (პატიმარი...)

ახალგამომცხვარი (ხაჭაპური...)

ახალგამოღვიძებული/ახალგაღვიძებული (ბავშვი...)

ახალგაცნობილი (კაცი...)

ახალგახსნილი (სკოლა...)

ახალდაბადებული (ბავშვი...)

ახალდასახლება (ახალდასახლების'ა')

ახალდასახლებული (ოჯახი...)

ახალდაქორწინებული (ვაჟი...)

ახალთახალი (ახალთახლის'ა')

ახალი (ახლის'ა')

ახალი [და არა ახალ] **შემადგენლობით წარდგა**; **ახალი** [და არა ახალ] **კომპიუტერით მუშაობს**

ახალი ცოცხია (= ირონ. ხალისიანად, ენთუზიაზმით აკეთებს საქმეს)

ახალი წელი (ახალი წლის'ა'): **გილოცავთ ახალ წელს! გილოცავთ შობასა და ახალ წელს! გილოცავთ შობა-ახალწელიწადს!**

ახალი ხილია (= უცნობია, უცხოა)

ახალმოყვანილი (ცოლი...)

ახალფეხადგმული (ბავშვი)

ახალშემოსული (ხილი...)

ახალწვეული (= ვინც ახლად, პირველად გაიწვიეს ჯარში) – **წვევამდელი** (= ვისაც ჯარში გაწვევის დრო მოუვიდა)

ახატია; **ეხატა** (გულზე)

[ახდენს კვლევის შეფასებას; ახდენს რეგისტრაციას კი არა] **აფასებს კვლევას**; **არეგისტრირებს**

ახედ-დახედავს; **ახედ-დახედა**; **აუხედ-დაუხედავს**; **აეხედ-დაეხედა**

ახვნევინებს; **ახვნევინა**; **უხვნევინებია**; **ეხვნევინებინა** [და არა ახვნევიებს, ახვნევია...]

ახლა; **ახლავე** [და არა ეხლა, ეხლავე]

ახლავს (**ახლდა**; **ხლებია**; **ხლებოდა**)

ახლანდელი [და არა ეხლანდელი]

ახლანდელობა [და არა ეხლანდელობა]

ახლართულ-ჩახლართული (ახლართულ-ჩახლართულად)

ახლაღა

ახლახან [და არა ახლახანს, ეხლახან, ეხლახანს]

ახლებური (ახლებურად)

ახლო-ახლო

ახლობელი და **მახლობელი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებულს; მოკეთეს, მოყვარეს: „მაშინ აღარ დაზოგავდა, გინდ შორეული ყოფილიყო და გინდ – **ახლობელი**“ (აკაკი); „სახლში მხოლოდ **მახლობლები** დარჩნენ“ (ეკ. გაბ.), მაგრამ **მახლობელს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ტერიტორიულად ახლოს მყოფი: „პალიასტომის ტბის **მახლობელ** ტყეებში გაისმოდა ცულების ხათქახუთქი“ (ე. ნინოშ.).

ახლომახლო

ახლომდგომი (ახლომდგომმა)

ახლომდებარე (ახლომდებარის'ა')

ახლომყოფი

ახლომხედველი (ახლომხედველის'ა'); **ახლომხედველობა** (ახლომხედველობის'ა')

ახლო ნათესავი, მაგრამ: **ახლონათესაური**

ახმოვანებს: ხმოვანს ხდის (კინოფილმში პერსონაჟს). უმართებულოა **ახმოვანებს** ზმნის გამოყენება **აზრის გამოთქმის** ან **გამოცხადების** მნიშვნელობით, მაგ., პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს **გაახმოვანებს**; ოპოზიციამ ეს საკითხი გუშინ **გაახმოვანა**... უნდა იყოს: პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას დღეს (საჯაროდ) **გამოაცხადებს** (**განაცხადებს**); ოპოზიციამ ამ საკითხის შესახებ გუშინ **აღნიშნა** (**ილაპარაკა, განაცხადა**...).

[ახორციელებს შეტევას/გასროლას/დასუფთავებას... კი არა] **უტევს, ისვრის, ასუფთავებს**

ახორციელებს; **განახორციელა**; **განუხორციელებია**; **განეხორციელებინა** [და არა ანხორციელებს, განახორციელა...]

ახსნა [და არა ახსნები]

ახსნა-განმარტება, მაგრამ: **ახსნაგანმარტებითი** (წერილი, ბარათი...)

ახურავს (= აფარებს, ადებს); **(და)ახურა**; **(და)უხურავს**; **(და)ეხურა**, მაგრამ: **ახურავს** (= აფარია, ხურავს); იყენ. **ეხურა**; **ხურებია**; **ხურებოდა**

ახურებს; **(გა)ახურა**; **(გა)უხურებია**; **(გა)ეხურებინა** (ღუმელი)

ახურვებს; **(შე)ახურვა**; **(შე)უხურვებია**; **(შე)ეხურვებინა** (ციებ-ცხელებისაგან)

აჯანმრთელებს; **(გა)აჯანმრთელა**; **(გა)უჯანმრთელებია**; **(გა)ეჯანმრთელებინა** [და არა აჯამთელებს, გააჯამთელა...]

აჯანსაღებს; **(გა)აჯანსაღა**; **(გა)უჯანსაღებია**; **(გა)ეჯანსაღებინა** [და არა გაეჯანსაღებია]

აჯილდოებს; აჯილდოებდა; აჯილდოებდეს, მაგრამ: **დააჯილდოვა (დავაჯილდოვე, დააჯილდოვე)**

აჰკიდებია; აჰკიდებოდა; აჰკიდებოდეს

აჰკრავს; აჰკრა; აჰკრას

აჰქონდა; აჰქონდეს [და არა აქონდა, აქონდეს]

აჰყავს; აჰყავდა; აჰყავდეს [და არა აყავს, აყავდა, აყავდეს]

აჰყვება; აჰყვა; აჰყოლია; აჰყოლოდა [და არა აყვება, აყვა, აყოლია, აყოლოდა]

აჰყრის (მას იარაღს)

ბ

ბაასი (ბაასს)

ბაასობს; ბაასობდა; ბაასობდეს (ობაასებს...)

ბაბილო (= უსურვაზი)

ბაბილონის გოდოლი: ითქმის დიდ არეულობაზე.

ბაბუა (ბაბუის⌜ა⌝, შინაურულად ბაბუას⌜ი⌝) // **პაპა** (პაპის⌜ა⌝, შინაურულად პაპას⌜ი⌝)

ბაბუაჩემი (ბაბუაჩემმა), **ბაბუაშენი, ბაბუამისი** (ბაბუამისს)

ბაგა-ბაღი

ბაგაბუგი // ბაგიბუგი

ბაგე (ბაგის⌜ა⌝)

ბაგეგამშრალი; ბაგემოკუმული

ბაგეტი (= ჩუქურთმიანი ან მოვარაყებული ხის თამასა. ხმარობენ ჩარჩოებად სურათებისათვის, სარკისათვის...)

ბაგირგზა (ბაგირგზის⌜ა⌝): საბაგირო გზა.

ბაგირზე ცოცვა (სპორტ.)

ბაგირი; ბაგირამწე (ბაგირამწის⌜ა⌝)

ბადალი (ბადლად)

ბადე (ბადის⌜ა⌝)

ბადებს; (და)ბადა; (და)უბადებია; (და)ებადებინა [და არა დაებადებია]

ბადექონი (= ქონის ბადე, რომელიც მუცლის არეში შიგნეულზეა შემოვლებული)

ბადეკალბირი (= მდინარის ნაპირზე დარჭობილ ბოძებზე გაჭიმული ბადე)

ბადია (ბადიის⌜ა⌝): 1. ქუსლიანი დიდი ჯამი (ლითონისა); 2. სპეც. ამწეზე დაკიდებული ლითონის დიდი ჭურჭელი.

ბადიმი (= ორმოს ოთხკუთხა სახურავი ფიცრისა)

ბადისახე (ბადისახის⌜ა⌝): რკინის ბადურა სარკმელზე.

ბადისებრი

ბადმინტონი

ბადმინტონისტი (სპორტ.)

ბადრაგი (ძვ. **ბადრაგა**): 1. შეიარაღებული რაზმი, რომელიც ადგილზე იცავს ან აცილებს რაიმე დასაცავ ობიექტს; 2. ასეთი რაზმის წევრი.

ბადრიჯანი (ბადრიჯნის˹ა˺)

ბადროს ტყორცნა (სპორტ.)

ბადურა (ბადურის˹ა˺)

ბავშვი: **ბავშვური** (ბავშვურად); **საბავშვო**

ბავშვობა (ბავშვობის˹ა˺)

ბავშვობაწართმეული

ბავშვობისდროინდელი (ნაცნობი/წიგნი...)

ბაზა და **ბაზისი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს საფუძველს, რაიმეს საყრდენს (თანამედროვე ტექნიკის **ბაზა**; მატერიალურ-ტექნიკური **ბაზა**; სვეტის **ბაზისი**), მაგრამ **ბაზას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. თავმოსაყრელი ან დასაყრდენი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის (სამხედრო/მონაცემთა / ტურისტულ-საექსკურსიო **ბაზა**); 2. მთავარი საწყობი.

ბაზარი (ბაზრის˹ა˺)

ბაზედოვის დაავადება (= მედიც. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლით გამოწვეული დაავადება)

ბაზილიკა (ბაზილიკის˹ა˺): **ბაზილიკური**

ბაზმა (ბაზმის˹ა˺): ხატის წინ ასანთები ლამპარი.

ბაზოფობია (ბაზოფობიის˹ა˺): სპეც. სიარულისა და დგომის აკვიატებული შიში.

ბაზრობა (ბაზრობის˹ა˺)

ბათილდება (**გაბათილდა**; **გაბათილებულა**; **გაბათილებულიყო**)

ბათილი (= საუბრ. გაუქმებული, ძალადაკარგული)

ბათილობა (ბათილობის˹ა˺): ბათილად ცნობა.

ბათქაში (ბათქაშში); **ბათქაშიანი**

ბაირამი (ბაირამმა): მაჰმადიანთა დღესასწაული.

ბაირაღი

ბაიტი (= ინფორმაციის მოცულობის საზომი ერთეული კომპიუტერში)

ბაკალავრი

ბაკალავრიატი

ბაკალეა (ბაკალეის˹ა˺)

ბაკენბარდი; **ბაკენბარდებიანი**

ბაკიბუკი // ბაკაბუკი

ბაკქანალია (= 1. ბახუსის დღესასწაული ანტიკურ ქვეყნებში; 2. გადატ. ორგია; 3. თავაშვებულობა; აღვირახსნილობა)

ბალაგანი (ბალაგანის˹ა˺)

ბალადა (ბალადის˹ა˺)

ბალავარი (ბალავრის˹ა˺) (= საძირკველი)

ბალანსი (ბალანსს)

ბალანსირება (ბალანსირების˹ა˺) // **დაბალანსება** (დაბალანსების˹ა˺)

(= გაწონასწორება; შდრ.: **ბალანსირობა**: წონასწორობის დაცვა ჯამბაზისა ცირკის არენის ბაგირზე)

ბალასტი

ბალახბულახი

ბალახიანი/ბალახოვანი (ადგილები), მაგრამ: **ბალახოვანი** (მცენარეები)

ბალახისფერი (ბალახისფრად)

ბალახმოდებული

ბალახობს (**იბალახა**; **უბალახია**; **ებალახა** [და არა ებალახნა])

ბალახონი (ბალახონის˹ა˺)

ბალბა (ბალბის˹ა˺)

ბალდახინი (ბალდახინის˹ა˺)

ბალერინა (ბალერინის˹ა˺)

ბალერონი

ბალეტი; **საბალეტო**

ბალეტმაისტერი (ბალეტმაისტერის˹ა˺) [და არა ბალეტმეისტერი]

ბალზამი (ბალზამმა)

ბალზამირება (ბალზამირების˹ა˺): **ბალზამირებული**

ბალი (ბალის˹ა˺): 1. მეჯლისი, საზეიმო წვეულება; 2. ქულა (შეფასება), ციფრობრივი ნიშანი; 3. საზომი ერთეული (მიწისძვრისა...), მაგრამ: **ბალი** (ბლის˹ა˺) (= ხილი)

ბალისტიკა (ბალისტიკის˹ა˺): **ბალისტიკური** (რაკეტა/ექსპერტიზა)

ბალკონი (თეატრ.), მაგრამ: **აივანი** (სახლისა)

ბალ-მასკარადი

ბალნეოთერაპია (ბალნეოთერაპიის˹ა˺); **ბალნეოთერაპიული**

ბალნეოლოგია (ბალნეოლოგიის˹ა˺): **ბალნეოლოგიური**

ბამბა (ბამბის˹ა˺); **ბამბეული**

ბამბუკი

ბანალური (ბანალურად)

ბანალურობა (ბანალურობის˹ა˺)

ბანანი

ბანაობს (**იბანავა**; **უბანავია**; **ებანავა**)

ბანგი

ბანდა (ბანდის˹ა˺)

ბანდერილია (ბანდერილიის˹ა˺): ბაფთებით შემკული პატარა შუბი, რომელსაც იყენებენ ხარებთან ბრძოლაში.

ბანდერილიერო (= ხარებთან ქვეითად მებრძოლი)

ბანდეროლი (ბანდეროლის˹ა˺): 1. საფოსტო გზავნილი (წიგნი, გაზეთი...), სპეციალურად შეფუთული; 2. ქაღალდის ლენტი, შემოკრული საფოსტო გზავნილზე, სავაჭრო საქონელზე (ბაჟის გადახდის ნიშნად).

ბანდი, შდრ.: **ბინტი**

ბანდიტი

ბანერი (ბანერის˹ა˺): დიდი გასაჭიმი პლაკატი, ორ ჯოხზე ან ბოძებზე დამაგრებული.

ბანკეტი; **საბანკეტო** (დარბაზი...)

ბანკი რესპუბლიკა (მ ო თ ხ რ. **ბანკმა რესპუბლიკამ**; მ ი ც. **ბანკ რესპუბლიკას**; ნ ა თ. **ბანკ რესპუბლიკის**; მ ო ქ მ. **ბანკ რესპუბლიკით**; ვ ი თ. **ბანკ რესპუბლიკად**)

ბანკი; საბანკო

ბანკირი; საბანკირო

ბანკნოტი (= საბანკო ბილეთი, რომელიც ცენტრალური ბანკების მიერაა მიმოქცევაში გამოშვებული და გატარებული) – **ბანკროტი** (= გაკოტრებული პირი; ვალის გადახდის უნარმოკლებული)

ბანკომატი

ბანს (ის ბავშვს), მ ა გ რ ა მ: **ჰბანს** (ის ბავშვს ხელებს)

ბანქო

ბანჯო (= ამერიკელი ზანგების ერთგვარი სიმებიანი საკრავი)

ბაობაბი

ბაპტიზმი (ბაპტიზმმა); **ბაპტისტი**: **ბაპტისტური**

ბაჟი

ბარაბული (= შავი ზღვის თევზი)

ბარავს; (და)ბარა; (და)უბარავს; (და)ებარა

ბარათი (ბარათთან)

ბარაკი: **ბარაკული**

ბარამბო (= ტყის მრავალწლოვანი ბალახი, რომელსაც თეთრი ყვავილი აქვს, ლიმონისსუნიანი; თაფლოვანია და სამკურნალო)

ბარაქა (ბარაქის⌜ა⌝); **ბარაქიანი** (ბარაქიანად)

ბარაქიანობა (ბარაქიანობის⌜ა⌝)

ბარბარიზმი (ბარბარიზმმა)

ბარბაროზა (ბარბაროზის⌜ა⌝)

ბარბაროსი (ბარბაროსს): **ბარბაროსული** (ბარბაროსულად)

ბარბაროსობა (ბარბაროსობის⌜ა⌝)

ბარდა (ბარდის⌜ა⌝) [დ ა ა რ ა გაროხი]

ბარდნის; ბარდნა; უბარდნია; ებარდნა

ბარელიეფი (= ბრტყელ ზედაპირზე გამოყვანილი სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ამობურცულია თავისი სავარაუდო მოცულობის ნახევარზე ნაკლებად): **ბარელიეფური**

ბარემ; ბარემღა

ბარიბარსა // ბარიბარშიი (ვართ)

ბარიერი: **ბარიერული; საბარიერო**

ბარიკადა (ბარიკადის⌜ა⌝)

ბარიტონი: **ბარიტონული**

ბარკასი (ბარკასს): 1. დიდი მრავალნიჩბიანი ნავი (გემზე); 2. თვითმავალი პატარა გემი ნავსადგურების მომსახურებისათვის (კარაპა).

ბარმენეჯერი (ბარმენეჯერის⌜ა⌝, მ რ. ბარმენეჯერები)

ბარმენი

ბაროკამერა (ბაროკამერის⌜ა⌝): ჰერმეტული კამერა, რომელშიც ხელოვნურად იქმნება მაღალი ან დაბა-

ლი წნევა საავიაციო ხელსაწყოების გამოსაცდელად, ორგანიზმში წნევის ცვალებადობის ზეგავლენის შესასწავლად.

ბაროკო

ბარომეტრი: **ბარომეტრული**

ბარჟა (= სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს – კარჭაპი)

ბარტერი: **ბარტერული** (გაცვლა...)

ბარძიმი (ბარძიმმა)

ბარჯი: 1. ორკაპიანი ჯოხი – ბოძკინტი; 2. რკინისკავიანი ჯოხი (იხმარება თევზის საჭერად) – ჭვილოი.

[ბასანოჭკი, ბოსონოჭკი კი არა] **მაშია**

[ბასეინი კი არა] **აუზი**

ბასი (ბასს)

ბასკი: **ბასკური** (ბასკურად)

ბასტიხუბუ (= დიდი ხმაური, ჟრიამული)

ბასტიონი

ბატალია (ბატალიის⌜ა⌝): 1. ბრძოლა, საომარი მოქმედება; 2. სპორტული პაექრობა; 3. გადატ. კამათი, მწვავე პოლემიკა.

ბატარეა (ბატარეის⌜ა⌝) [და არა ბატარეია, ბატარია]

ბატერფლაი (სპორტ.)

ბატკანი (ბატკნის⌜ა⌝)

ბატონი, ქალბატონი (სიტყვები **ბატონი** და **ქალბატონი**, რომლებიც ქართულ ენაში თავაზიანი მიმართვისას წინ უძღვის პირის სახელს ან გვარს, განსხვავებით პროფესიისა და ხელობა-წოდების სახელთაგან (ექიმი, ინჟინერი, პროფესორი), საზღვრულ სახელებს შეეწყობა თანხმოვანზე ფუძეგათავებულ მსაზღვრელთა დარად: მიცემითსა და ვითარებითში – ფუძის სახით, ნათესაობითსა და მოქმედებითში – **ო** ხმოვნის შენარჩუნებით: **ბატონ ზურაბს/ზურაბად, ბატონი ზურაბის/ზურაბით; ქალბატონ მარიამს/მარიამად, ქალბატონი მარიამის/მარიამით**). მიმართვისას საკუთარი სახელი ფუძის სახით გამოიყენება: **ბატონო ზურაბ! ქალბატონო მარიამ!**)

ბატონიშვილი: **ბატონიშვილური**

ბატონკაცი: **ბატონკაცური**

ბატონკაცობა (ბატონკაცობის⌜ა⌝)

ბატონ-პატრონი, მაგრამ: **ბატონპატრონობა**

ბატონპატრონობს; ბატონპატრონობდა; ბატონპატრონობდეს

ბატონყმობა (ბატონყმობის⌜ა⌝): **ბატონყმური**

ბატუტზე ხტომა (სპორტ.)

ბაქანი (ბაქნის⌜ა⌝)

ბაქია (ბაქიას⌜ი⌝, მრ. ბაქიები)

ბაქტერია (ბაქტერიის⌜ა⌝): **ბაქტერიული**

ბაქტერიოზი (= სპეც. მცენარეთა დაავადება, რომელსაც ბაქტერიები იწვევენ) – **ბაქტერიოლიზი** (= მე-

დ ი ც. ბაქტერიების გახსნა, დაშლა იმუნურ ორგანიზმში)

ბაქტერიოლოგია (ბაქტერიოლოგიის˹ა˺): **ბაქტერიოლოგიური**; **ბაქტერიოლოგი**

ბაქტერიოფაგი

ბაქტერიციდი (= ნივთიერება, რომელიც ხოცავს ბაქტერიებს): **ბაქტერიციდული**

ბაღ-ბოსტანი (ბაღ-ბოსტნის˹ა˺)

ბაღდადი (= ერაყის დედაქალაქი); შ დ რ.: **ბაღდათი** (= ქალაქი და რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში)

ბაღდადური (ცეკვა)

ბაღ-ვენახი

ბაღნარი (= ადგილი, სადაც ბევრი ბაღია; აყვავებული ადგილი) – **მაღნარი** (= ხშირი და შამბიანი ტყე მთაში)

ბაღჩა-ბაღი

ბაცილა (ბაცილის˹ა˺); **ბაცილმტარებელი** (ბაცილმტარებლის˹ა˺)

ბაჭია (ბაჭიის˹ა˺)

ბაბალა (ბახალის˹ა˺)

ბახუსი (ბახუსს)

ბგერა (ბგერის˹ა˺); **ბგერითი**; **ბგეროვრივი**

ბებერი (ბებრის˹ა˺): **ბებრული** (ბებრულად)

ბებია (ბებიის˹ა˺, შინაურულად ბებიას˹ი˺) // **დიდედა** (დიდედის˹ა˺, შინაურულად დიდედას˹ი˺)

ბებიაობა (= ბებიაქალის საქმიანობა, მეანობა) – **ბებიობა** (= 1. ბებიად ყოფნა, ბებიის მოვალეობა; 2. ბებიის მზრუნველობა; გ ა დ ა ტ. მოსაბეზრებელი მზრუნველობა)

ბებია-შვილიშვილი

ბებიაჩემი (ბებიაჩემმა), **ბებიაშენი, ბებიამისი** (ბებიამისს)

[ბეგემოტი კ ი ა რ ა] **ბეჰემოთი** (ბეჰემოთთან)

ბედავს; **(გა)ბედა**; **(გა)უბედავს**; **(გა)ებედა** [დ ა ა რ ა გაებედნა]

ბედენა (**რა ბედენაა?!**)

ბედი; **საბედო**

ბედისწერა (ბედისწერის˹ა˺); **საბედისწერო**

ბედ-იღბალი (ბედ-იღბლის˹ა˺)

ბედნიერება (ბედნიერების˹ა˺)

ბედნიერი (ბედნიერად); **საბედნიერო** (საბედნიეროდ)

ბედობა (ბედობის˹ა˺)

ბედოვლათი (ბედოვლათთან): **ბედოვლათური** (ბედოვლათურად)

ბედოვლათობა (ბედოვლათობის˹ა˺)

ბედუინი

ბედუკუღმართი (ბედუკუღმართთან)

ბედუკუღმართობა (ბედუკუღმართობის˹ა˺)

ბევრ-ბევრი

ბევრგან

ბევრგვარი (ბევრგვარად) // **მრავალგვარი** (მრავალგვარად)

ბევრი-ბევრი (= დიდი-დიდი, სულ დიდი; ძალიან რომ გავაზვიადოთ), შდრ.: **ბევრ-ბევრი** (= ძალიან ბევრი)

ბევრისმომცველი (ბევრისმომცველად)

ბევრი ბავშვი, წერილი, წიგნი... [და არა ბევრი ბავშვები, წერილები, წიგნები...]

ბევრნაირი (ბევრნაირად) // **მრავალნაირი** (მრავალნაირად)

ბევრჯერ [და არა ბევრჯელ]

ბეზე (ბეზეს˹ი˺); **ბეზეიანი** (წამცხვარი)

ბეთჰოვენი [და არა ბეთხოვენი]

ბეისბოლი (სპორტ.)

ბეკონი

ბელეტაჟი (ბელეტაჟს)

ბელეტრისტი: **ბელეტრისტული**

ბელეტრისტიკა (ბელეტრისტიკის˹ა˺)

ბელზებელი (ბელზებელის˹ა˺): 1. ძვ. ფინიკიელების ღვთაება; 2. ავი სული, ეშმაკთმთავარი.

ბელორუსი (ბელორუსს)

ბენგალური (ცეცხლი)

ბენდი

ბენეფისი (ბენეფისს)

ბენეფიციარი (= პირი, რომელიც იღებს ქონებას, უფლებას ან სხვა სახის სარგებელს განსაზღვრული დოკუმენტის საფუძველზე) – **ბენეფიციანტი** (= პირი, რომელსაც ბენეფისს უმართავენ)

ბენზინმზიდი [და არა ბენზომზიდი]

ბენზინსაცავი

ბენუარი (ბენუარის˹ა˺): პირველი იარუსის ლოჟა პარტერის გასწვრივ.

ბერეტი

ბერი: **ბერული** (ბერულად)

ბერიკ˹ა˺ობა (ბერიკ˹ა˺ობის˹ა˺)

ბერიკაცი: **ბერიკაცული** (ბერიკაცულად)

ბერკეტი

ბერლინის კედელი (ეს გამოთქმა იქცა „ცივი ომის“ სიმბოლოდ)

ბერმონაზვნობა (ბერმონაზვნობის˹ა˺); **ბერმონაზვნური**

ბერმონაზონი (ბერმონაზვნის˹ა˺, მრ. ბერმონაზვნები)

ბერწი

ბესტსელერი [და არა ბესთსელერი]

ბეტონი

ბეღურა (ბეღურის˹ა˺)

ბეჭდვა (ბეჭდვის˹ა˺)

ბეჭდური (ბეჭდურად); **ბეჭდვითი**

ბეჭედდასმით

ბეჭედდასმული

ბეჭედი (ბეჭდის˹ა˺)

ბეჯითი (ბეჯითთან)

ბეჯითობს; **ბეჯითობდა**; **ბეჯითობდეს** (**იბეჯითა**; **უბეჯითია**; **ებეჯითა**)

ბეჰემოთი [დ ა ა რ ა ბეგემოტი] // **ჰიპოპოტამი** (ჰიპოპოტამმა)

ბზა (ბზის˹ა˺) (= დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი) – **ბზე** (ბზის˹ა˺) (= პურეულის ნამჯის ნალეწი): „ძველი **ბზე** ვერცხლიაო და თივა ცეცხლიაო“ (ანდაზა); შდრ.: **ბზესავით აქვს/არის** – თავზე საყრელად აქვს/არის (= ძალიან ბევრი აქვს/არის); **ბზის ფასად**: ჩალის ფასად (= ძალიან იაფად); **თავში ბზე უყრია**: ს ა უ ბ. უჭკუოა)

ბზობა (ბზობის˹ა˺)

ბიათლონი; **ბიათლონისტი** [დ ა ა რ ა ბიატლონი] (ს პ ო რ ტ.)

ბიბლია (ბიბლიის˹ა˺): **ბიბლიური**

ბიბლიოგრაფია (= 1. მეცნიერული წესით სისტემატიზებული აღნუსხვა და აღწერა წიგნებისა (მათი შინაარსისა და გარეგანი გაფორმების ჩვენებით); 2. ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის საძიებელი; სია; 3. ახლად გამოსული წიგნების შესახებ შედგენილი ანოტაცია, რომელიც იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში) – **ბიბლიოლოგია** (= 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს წიგნის ისტორიას, თეორიას და სხვ.; წიგნთმცოდნეობა; 2. ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბიბლიას; შ დ რ.: **ბიბლეისტიკა** – ბიბლიის შემსწავლელი მეცნიერება)

ბიბლიოგრაფიული (მიმოხილვა)

ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკის˹ა˺); **საბიბლიოთეკო** (საქმე)

ბიბლიოთეკარი (ბიბლიოთეკარის˹ა˺)

ბიბლიოლოგიური (კვლევა...)

ბიბლიომანია; **ბიბლიომანი**

ბიბლიოფილი

ბიდე (ბიდეს˹ი˺)

ბიზანტინოლოგი

ბიზანტინოლოგია (ბიზანტინოლოგიის˹ა˺)

ბიზნესაქტივობა (ბიზნესაქტივობის˹ა˺)

ბიზნესგარემო

ბიზნესგეგმა (ბიზნესგეგმის˹ა˺)

ბიზნესი (ბიზნესს)

ბიზნესკლასი (ბიზნესკლასს)

ბიზნესკურიერი

ბიზნესმენი: **ბიზნესმენური**; **საბიზნესმენო**

ბიზნესმრჩეველი (ბიზნესმრჩევლის˹ა˺)

ბიზნესპარტნიორი

ბიზნესსკოლა (ბიზნესსკოლის˹ა˺)

ბიზნესტექნოლოგია (ბიზნესტექნოლოგიის˹ა˺)

ბიზნესცენტრი

ბითუმი (ბითუმად)

ბიკინი (მ ო თ ხ რ. ბიკინიმ, მ ი ც., ნ ა თ. ბიკინის)

ბილბორდი, შ დ რ.: **აბრა** (აბრის˹ა˺)

ბილეთი (ბილეთთან); **საბილეთო**

ბილიარდი: **საბილიარდო**

ბილიკ-ბილიკ

ბილინგვი (= ადამიანი, რომელიც თავისუფლად ფლობს და თანაბრად იყენებს ორ ენას) – **ბილინგვა** (= ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; ორენოვანი წარწერა, მაგ., არმაზის **ბილინგვა**)

ბინა (ბინის⌜ა⌝); **საბინაო**

ბინადარი (ბინადრის⌜ა⌝)

ბინათმშენებლობა (ბინათმშენებლობის⌜ა⌝)

ბინარული (1. ორი ნაწილისაგან შემდგარი; ორმაგი, ორფა; 2. სპეც. ორობითი)

ბინდბუნდი

ბინდდება (დაბინდდა; დაბინდებულა; დაბინდებულიყო)

ბინოკლი

ბინძურდება (გაბინძურდა; გაბინძურებულა; გაბინძურებულიყო)

ბიოგრაფია (ბიოგრაფიის⌜ა⌝): **ბიოგრაფიული**

ბიოდენი: **ბიოდენური**

ბიოლოგია (ბიოლოგიის⌜ა⌝); **ბიოლოგიური** (ბიოლოგიურად)

ბიომეტრია (ბიომეტრიის⌜ა⌝): **ბიომეტრიული**

ბიომრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნების⌜ა⌝)

ბიორიტმი (ბიორიტმმა)

ბიოსინთეზი (ბიოსინთეზზე): ორგანულ ნივთიერებათა წარმოქმნის პროცესი ცოცხალ ორგანიზმში.

ბიოსტიმულატორი

ბიოსფერო (= სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე)

ბიოტექნიკა (ბიოტექნიკის⌜ა⌝)

ბიოტიპი (= ინდივიდისათვის დამახასიათებელი, თანდაყოლილი და უცვლელი ბიოლოგიური თავისებურებების ერთობლიობა) – **ბიოტოპი** (= ცხოველთა და მცენარეთა სამყოფელი გარემოს ის უბანი, სადაც მეტ-ნაკლებად ერთგვარი პირობებია)

ბიოფიზიკა (ბიოფიზიკის⌜ა⌝): **ბიოფიზიკური**

ბიოფსია (ბიოფსიის⌜ა⌝) (= მედიც. ავადმყოფის დაავადებული ქსოვილის მცირე ნაწილის ამოკვეთა მიკროსკოპული გამოკვლევის მიზნით)

ბიოქიმია (ბიოქიმიის⌜ა⌝): **ბიოქიმიური**

ბიოცენოზი (= იმ მცენარეთა და ცხოველთა ერთობლიობა, რომლებიც ერთგვარ პირობებში არსებობენ)

ბიპოლარული (= ორპოლუსიანი)

ბიჟუტერია (ბიჟუტერიის⌜ა⌝)

ბირთვი: **ბირთვული**

ბირჟა (ბირჟის⌜ა⌝): **საბირჟო**

ბიულეტენი [და არა ბიულეტინი]

ბიუროკრატი

ბიუროკრატია (ბიუროკრატიის⌜ა⌝)

ბიუროკრატიზმი (ბიუროკრატიზმმა)

ბიუროკრატიული (აპარატი...) – **ბიუროკრატული** (ჩვევები/მიდგომა...)

ბიუსტი

ბიუჯეტი: საბიუჯეტო

ბიცოლა (ბიცოლის⌜ა⌝, შინაურულად ბიცოლას⌜ი⌝)

ბიძა (ბიძის⌜ა⌝, შინაურულად ბიძას⌜ი⌝)

ბიძაშვილი; ბიძაშვილობა (ბიძაშვილობის⌜ა⌝)

ბიძაჩემი (ბიძაჩემმა); **ბიძაშენი; ბიძამისი** (ბიძამისს)

ბიძია (ბიძიას⌜ი⌝, მრ. ბიძიები)

ბიწიერი; ბიწიერება (ბიწიერების⌜ა⌝)

ბიჭუნა (ბიჭუნას⌜ი⌝, მრ. ბიჭუნები)

ბლაგვი

ბლანკი

ბლანმანჟე (ბლანმანჟეს⌜ი⌝) [და არა ბლომანჟე]

ბლანტი (ბლანტის⌜ა⌝) (= მოსქო და წებოვანი რამ) – **ბლანტე** (ბლანტეს⌜ი⌝) (= 1. დამდგარი, დაჭაობებული წყალი; 2. მბიმე, ზანტი, ზარმაცი)

ბლეფი; ბლეფური

ბლითი [და არა ბუბლიკი]

ბლინი

ბლიცი; ბლიცტურნირი

ბლოკადა (= 1. გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; 2. საკომუნიკაციო ან ეკონომიკური იზოლაცია; 3. მედიც. რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხელოვნური გამოთიშვა) – **ბლოკირება** (= 1. ბლოკადის მოწყობა, დაბლოკვა; 2. სპორტ. მოწინააღმდეგის შეტევის შემაფერხებელი მოქმედება – ხერხი ზოგიერთ გუნდურ თამაშში)

ბლოკი (პარტიული **ბლოკი**)

ბლოკნოტი

ბლუზა (ბლუზის⌜ა⌝), **ბლუზი** (ბლუზის⌜ა⌝): 1. თხელი ზედა სამოსი ქალისა; 2. მამაკაცის ზედა ხალვათი სამოსი, – ხალათი.

ბლუზი (ბლუზზე) (მუს.)

ბმული [და არა ლინკი]

ბობოქარი (ბობოქრის⌜ა⌝): **ბობოქრული**

ბობსლეი (ბობსლეის⌜ა⌝) (სპორტ.)

ბოგირი

ბოდავს (იბოდა; უბოდავს; ებოდა)

ბოდიში [და არა ბოდიშით] (ზეპირ მეტყველებაში თავაზიანობის ელფერის გასაძლიერებლად ამბობენ ხოლმე: **ბოდიშით** (რაც უმართებულოა). **-თ** დაბოლოება ზმნის მრავლობითობას აღნიშნავს და სახელთან ის ზედმეტია)

ბოიკოტი

ბოკვერი (ბოკვრის⌜ა⌝, მრ. ბოკვრები // ბოკვერები)

ბოლთას სცემს (= წინ და უკან დადის პატარა ადგილზე)

ბოლოდროინდელი (ბოლოდროინდელის⌜ა⌝)

ბოლოვდება (დაბოლოვდა; დაბოლოებულა; დაბოლოებულიყო)

ბოლოკარკაზი (ბოლოკარკაზზე): მომცრო მტაცებელი ფრინველი: „ჩემო ლამაზო ბოლოკარკაზო, შენგან მსმენია, ვცნობდი საბასო...“ (მ. მაჭავ.).

ბოლოკიდური

ბოლოჟამს (აგებული/აშენებული...)

ბოლოს და ბოლოს (// **ბოლოსდაბოლოს**) [და არა ბოლო-ბოლო]

ბოლოსიტყვა (ბოლოსიტყვის^ა) // **ბოლოსიტყვაობა** (ბოლოსიტყვაობის^ა) // **ბოლოთქმა** (ბოლოთქმის^ა) // **ეპილოგი** (ეპილოგის^ა)

ბოლოსწინა (ბოლოსწინას^ი)

ბომონდი

ბომონი

ბომჟი (ბომჟს)

ბონბონიერი [და არა განბანერკა, განბანიერკა]

ბონიფიკაცია (ბონიფიკაციის^ა): 1. სპეც. წანამატი საქონლის ფასზე, თუ საქონლის ხარისხი ხელშეკრულებით დადგენილზე მაღალი აღმოჩნდება; 2. მხატვრულ ტანვარჯიშში: ნორმირებულ ქულათა მომატება რისკის ორიგინალობის გათვალისწინებით.

(**ბონუსანაბარი** //) **ბონუსური ანაბარი**

ბონუსი (ბონუსს) (= 1. დამატებითი ანაზღაურება, რომელიც შეიძლება პრემიის ან სხვა სახით გაიცეს; 2. გამყიდველის მიერ საქონელზე დამატებითი ფასდაკლება – გარიგების ან ცალკე მოლაპარაკების საფუძველზე)

(**ბონუსრიცხვი** //) **ბონუსური რიცხვი**

(**ბონუსქულა** //) **ბონუსური ქულა**

ბორანი (ბორნის^ა)

ბორბალი (ბორბლის^ა)

ბორბალქარი

ბორგავს (**იბორგა**; **უბორგავს**; **ებორგა**)

[ბორდი კი არა] **საბჭო** (სამეთვალყურეო, სამეურვეო)

ბორდიური (ბორდიურის^ა) (= 1. ქვის ფილების ზოლი, რომელიც ტროტუარებს, გაზონებსა და მისთ. ყოფს ძირითადი გზისაგან; 2. ქსოვილის, ხალიჩის, შპალერის და მისთ. კიდეებზე შემოვლებული ზოლი, – **არშია**)

ბორდოსფერი (ბორდოსფრად)

ბოროტება (ბოროტების^ა); **სიბოროტე** (სიბოროტის^ა)

ბოროტი (ბოროტად)

ბოროტმოქმედება (ბოროტმოქმედების^ა)

ბოროტმოქმედი [და არა ბოროტმომქმედი]

ბორტგამყოლი

ბორტინჟინერი (ბორტინჟინრის^ა)

ბოსი (ბოსს)

ბოსტანი (ბოსტნის^ა)

ბოსტნეული

ბოსტნეულობა (ბოსტნეულობის^ა)

ბოტანიკა (ბოტანიკის⌜ა⌝): **ბოტანიკური**

ბოტკინი

ბოულინგი (სპორტ.)

ბოქსი (ბოქსს) (= 1. საავადმყოფოში – ცალკე გამოყოფილი ადგილი ზოგი ავადმყოფისათვის, – იზოლატორი; 2. ცალკე სადგომი ერთი ავტომანქანისათვის; 3. მამაკაცის თმის გაკრეჭის მოდელი; 4. ქრომით გამოყვანილი ერთგვარი ტყავი)

[ბოქსი, ბოქსიორი კი არა] **კრივი, მოკრივე** (სპორტ.)

ბოღმა-ნაღველი (ბოღმა-ნაღვლის⌜ა⌝)

ბოშა (ბოშის⌜ა⌝): **ბოშა ქალი**

ბოცმანი (= საზღვაო ფლოტში – უმცროსი მეთაური, ზემდეგი; გემბანის რაზმის უშუალო უფროსი) – **ლოცმანი** (= გარკვეულ უბანზე გემების გატარების სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები)

ბოჭკო

ბოხხმიანი

ბოჰემა (ბოჰემის⌜ა⌝): **ბოჰემური**

ბუენი (კბილისა) [და არა პლომბი]

ბრა (ბრის⌜ა⌝)

ბრაზმორეული (ბრაზმორეულად)

ბრაზნარევი (ბრაზნარევად)

ბრაზობს; ბრაზობდა; ბრაზობდეს (**იბრაზა, უბრაზია, ებრაზა**)

ბრაკერაჟი (= სპეც. მზა პროდუქტის შემოწმება სპეციალისტ-საქონელმცოდნის მიერ იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეეფერება იგი დადგენილ სტანდარტს, ვარგისია თუ არა და სხვ.)

ბრაკონიერი; ბრაკონიერობა (ბრაკონიერობის⌜ა⌝)

ბრალდება (ბრალდების⌜ა⌝)

ბრალდებულება (ბრალდებულების⌜ა⌝)

ბრალდებული

ბრალეული (= ბრალის მქონე ან ბრალის მქონედ მიჩნეული, – ბრალიანი, დამნაშავე)

ბრალეულობა (ბრალეულობის⌜ა⌝) (= დამნაშავეობა, ბრალის ქონა)

ბრალი (ბრალს სდებს)

ბრალმდებელი (ბრალმდებლის⌜ა⌝)

ბრანდსპოიტი (= მოძრავი საქაჩავი მოწყობილობა გრძელი შლანგით; იხმარება ხანძრის ჩასაქრობად და დიდი ფართობის გადასარეცხად)

ბრასი (სპორტ.)

[ბრასლეტი //] **სამაჯური**

ბრაჰმა (ბრაჰმას⌜ი⌝) (= ინდუიზმის სამების უმაღლესი ღვთაება, რომელიც მიაჩნიათ სამყაროს და ყველა არსების შემქმნელად)

ბრბო

ბრდღვნის; (გა)ბრდღვნა; (გა)უბრდღვნია; (გა)ებრდღვნა [და არა ბდღვნის, გაბდღვნა...]

ბრენდი[1] (მოთხრ. ბრენდიმ, მიც.,

ნათ. ბრენდის) (= თეთრი ღვინისგან გამოხდილი ალკოჰოლიანი სასმელი; ამზადებენ ხილისგან)

ბრენდი² (მოთხრ. ბრენდმა, მიც. ბრენდს, ნათ. ბრენდის, მოქმ. ბრენდით, ვით. ბრენდად, მრ. ბრენდები) (= სახელწოდების, დასახელების, სიმბოლური ნიშნისა (ლოგოსა) და დიზაინის ერთობლიობა, რომელიც გარკვეულ პროდუქტს წარმოადგენს)

ბრიკეტი: **ბრიკეტული**

ბრინჯაო

ბრინჯაოსფერი (ბრინჯაოსფრად)

ბრიფინგი

ბრიყვი: **ბრიყვული** (ბრიყვულად)

ბრიყვობა (ბრიყვობის'ა'); **სიბრიყვე** (სიბრიყვის'ა')

ბრკოლდება (**დაბრკოლდა**; **დაბრკოლებულა**; **დაბრკოლებულიყო**)

ბრმა (ბრმის'ა')

ბროკერაჟი (= საბროკერო (საკომისიო) გადასახადი, რომელსაც უხდიან ბროკერს გარიგების მომსახურებაში)

ბროკერი

[ბრონიკი არა] **ჯავშანი**

[ბრონირება, ბრონირებული კი არა] **დაჯავშნა**; **დაჯავშნილი**

ბრონქიტი: **ბრონქიტული** [და არა ბრონხიტი, ბრონხიტული]

ბრონქოგრაფია (ბრონქოგრაფიის'ა')

ბრონქოსკოპია (ბრონქოსკოპიის'ა')

ბროში

ბროშურა (ბროშურის'ა')

ბროწეულისფერი (ბროწეულისფრად)

ბრტყელი [და არა პრტყელი, პტყელი, ბტყელი]

ბრტყელტერფა (ბრტყელტერფას'ი'); **ბრტყელტერფიანობა** (ბრტყელტერფიანობის'ა')

ბრტყელტუჩა (ბრტყელტუჩას'ი') [და არა პლასკაგუბცი, პლოსკო]

ბრუნავს; **ბრუნავდა**; **ბრუნავდეს (იბრუნა**; **უბრუნია**; **ებრუნა)**

ბრუნება (ბრუნების'ა') (= გრამატ. სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით) – **ბრუნვა** (ბრუნვის'ა') (= გრამატ. სახელის ფორმა, რომელიც აღნიშნავს სახელის ურთიერთობას სახელთან ან ზმნასთან)

ბრუტო (= სპეც. საქონლის წონა ჭურჭლიანად ან შეფუთვიანად), შდრ. **ნეტო**

ბრუცელოზი (ბრუცელოზზე)

ბრძანდება; **ბრძანდებოდა**; **ბრძანდებოდეს**

ბრძანება (= 1. ხელისუფლების ან უფლებამოსილი პირის განკარგულება (სარდლის **ბრძანება**; **ბრძანება** გასცა); 2. თქმა; ნათქვამი (თავაზიანი მიმართვისას); შდრ.: **რა ბრძანებაა!** – რას ბრძანებთ, რა სათქმელია) – **ბრძანებულება** (= ხელისუფლების უმაღლესი ორგა-

ნოს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, მაგ., **ბრძანებულება** უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე)

ბრძანებს; ბრძანა; უბრძანებია; ებრძანებინა [და არა ებრძანებია]

ბრძნული (ბრძნულად)

ბრძოლაგადანახადი

ბრძოლაგამოვლილი

ბრძოლისუნარიანი

ბრძოლისუნარიანობა (ბრძოლისუნარიანობის‹ა›)

ბრძოლისუნარმოკლებული

[ბრძოლობს კი არა] **ებრძვის**

ბრწყინავს; ბრწყინავდა; ბრწყინავდეს [და არა ბწყინავს, პწყინავს...]

ბრწყინდება (გაბრწყინდა; გაბრწყინებულა; გაბრწყინებულიყო [და არა ბწყინდება...])

ბრწყინვალე (ბრწყინვალის‹ა›)

ბრწყინვალება (ბრწყინვალების‹ა›)

ბრჭყალი [და არა ბჭყალი, პჭყალი]

ბრჭყვიალა (ბრჭყვიალას‹ი›) [და არა ბჭყვიალა, პჭყვიალა]

ბრჭყვიალებს; ბრჭყვიალებდა; ბრჭყვიალებდეს (ებრჭყვიალა; უბრჭყვიალია; ებრჭყვიალა)

ბუდე (ბუდის‹ა›)

ბუდეაყრილი; ბუდემოშლილი

ბუდიზმი (ბუდიზმმა)

ბუდისტი: ბუდისტური

ბუერა (ბუერის‹ა›) (= მრავალწლოვანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა) – **ბუერი** (ბუერის‹ა›) (= ბინდი ძლიერი თოვის დროს)

ბუზისოდენა (ბუზისოდენას‹ი›)

[ბუკეტი კი არა] **თაიგული**

ბუკინისტი: ბუკინისტური

ბუკლეტი

ბულვარი: ბულვარული

ბულიმია (ბულიმიის‹ა›) [და არა ბულემია]: პათოლოგიურად გაძლიერებული მადა, შიმშილის დაუძლეველი გრძნობა.

ბულიტი (სპორტ.)

[ბულკი კი არა] **ფუნთუშა**

ბუმბერაზი (ბუმბერაზზე)

ბუმბული (ბუმბულის‹ა›)

ბუმერანგი

ბუმი (ბუმმა)

ბუნგალო

ბუნდოვანება (ბუნდოვანების‹ა›)

ბუნდოვანი (ბუნდოვნად)

ბუნება (ბუნების‹ა›)

ბუნებისმეტყველი; ბუნებისმეტყველება (ბუნებისმეტყველების‹ა›); **საბუნებისმეტყველო**

ბუნებრივი, მაგრამ: **ბუნებრიობა**

ბუნიკი

ბუნიობა (ბუნიობის‹ა›)

ბუნკერი

ბუნტი

ბურახი [და არა კვასი]

ბურთაობა (ბურთაობის˹ა˺)

ბურთაობს; ბურთაობდა; ბურთაობდეს (იბურთავა; უბურთავია; ებურთავა)

ბურთი (ბურთთან)

ბურთის გატანა // კარის აღება (სპორტ.)

ბურთის კენწვლა (სპორტ.)

ბურთულა (ბურთულას˹ი˺)

ბურღავს; (გა)ბურღა; (გა)უბურღავს; (გა)ებურღა

ბურჯი

ბუტაფორია (ბუტაფორიის˹ა˺)

ბუტბუტებს; ბუტბუტებდა; ბუტბუტებდეს (იბუტბუტა; უბუტბუტია: ებუტბუტა)

ბუტბუტი (ბუტბუტით)

ბუტერბროდი

ბუტია (ბუტიას˹ი˺, მრ. ბუტიები)

ბუტიაობა (ბუტიაობის˹ა˺)

ბუფერი (ბუფერის˹ა˺): ზამბარიანი მოწყობილობა დარტყმის, დაჯახების შესამცირებლად.

ბუფი (= თეატრ. სასაცილო, სახუმარო, კომიკური, შდრ.: **ბუფონადა**: მეტისმეტად კომიკური წარმოდგენა)

ბუქსირი

ბუღალტერი (ბუღალტრის˹ა˺); **საბუღალტრო**

ბუღალტერია (ბუღალტერიის˹ა˺)

ბუჩქ-ბუჩქად

ბუჩქის ძირას

ბუცი

ბუხარი (ბუხრის˹ა˺)

ბუხრისპირა, მაგრამ: **ბუხრის პირას**

ბწკალი (ბწკლის˹ა˺) (= 1. ბრჭყალი, კლანჭი; 2. ძაფის მსგავსი ხვიარა წამონაზარდი მცენარის ფესვებზე, ფოთოლსა და ღეროზე)

[ბწკარი კი არა] **ბწკარი**

ბჭობა (ბჭობის˹ა˺)

ბჭობს; ბჭობდა; ბჭობდეს [და არა პჭობს...]

[ბჭყალი კი არა] **ბრჭყალი**

[ბჭყვიალა, პჭყვიალა კი არა] **ბრჭყვიალა**

[ბჭყვიალებს, პჭყვიალებს... კი არა] **ბრჭყვიალებს; ბრჭყვიალებდა...**

გ

გააანალიზებინებს; გააანალიზებინა; გაუანალიზებინებია; გაეანალიზებინებინა [და არა გააანალიზებიებს, გააანალიზებია...]

გააანალიზებს; გააანალიზა; გაუანალიზებია; გაეანალიზებინა [და არა გაეანალიზებია]

გააანგარიშებინებს; გააანგარიშებინა; გაუანგარიშებინებია; გაეანგარიშებინებინა [და არა გააანგარიშებიებს, გააანგარიშებია...]

გააქტიურებინებს; გააქტიურებინა;

გაუაქტიურებინებია; გაეაქტიურებინებინა [და არა გააააქტიურებიებს, გააააქტიურებია...]

გააააქტიურებს; გააააქტიურა; გაუაქტიურებია; გაეაქტიურებინა [და არა გაეაქტიურებია]

გააახალგაზრდავებინებს; გააახალგაზრდავებინა; გაუახალგაზრდავებინებია; გაეახალგაზრდავებინებინა [და არა გააახალგაზრდავებიებს, გააახალგაზრდავებია...]

გააახალგაზრდავებს; გააახალგაზრდავა; გაუახალგაზრდავებია; გაეახალგაზრდავებინა [და არა გაეახალგაზრდავებია]

გააახლებინებს; გააახლებინა; გაუახლებინებია; გაეახლებინებინა [და არა გააახლებიებს, გააახლებია...]

გააახლებს (ტანსაცმელს/ფეხსაცმელს...); **გააახლა; გაუახლებია; გაეახლებინა** [და არა გაეახლებია]

გააბათილებინებს; გააბათილებინა; გაუბათილებინებია; გაებათილებინებინა [და არა გააბათილებიებს, გააბათილებია...]

გააბათილებს; გააბათილა; გაუბათილებია; გაებათილებინა [და არა გაებათილებია]

გააბამს [და არა გააბავს]; **გააბა; გაუბამს** [და არა გაუბავს]; **გაება**

გააბარებს; გააბარა; გაუბარებია; გაებარებინა [და არა გაებარებია]

გააბატონებს; გააბატონა; გაუბატონებია; გაებატონებინა [და არა გაებატონებია]

გააბედვინებს; გააბედვინა; გაუბედვინებია; გაებედვინებინა [და არა გააბედიებს, გააბედია...]

გააბედნიერებს; გააბედნიერა; გაუბედნიერებია; გაებედნიერებინა [და არა გაებედნიერებია]

გააბმევინებს; გააბმევინა; გაუბმევინებია; გაებმევინებინა [და არა გააბმევიებს, გააბმევია...]

გააბნევინებს; გააბნევინა; გაუბნევინებია; გაებნევინებინა [და არა გააბნევიებს, გააბნევია...]

გააბნევს; გააბნია; გაუბნევია; გაებნია

გააბოლებს; გააბოლა; გაუბოლებია; გაებოლებინა [და არა გაებოლებია]

გააბრაზებს; გააბრაზა; გაუბრაზებია; გაებრაზებინა [და არა გაებრაზებია]

გააბრიყვებინებს; გააბრიყვებინა; გაუბრიყვებინებია; გაებრიყვებინებინა [და არა გააბრიყვებიებს, გააბრიყვებია...]

გააბრიყვებს; გააბრიყვა; გაუბრიყვებია; გაებრიყვებინა [და არა გაებრიყვებია]

გააბრუებს; გააბრუა; გაუბრუებია; გაებრუებინა [და არა გაებრუებია]

გააბრწყინებს; გააბრწყინა; გაუბრწყინებია; გაებრწყინებინა [და არა გაებრწყინებია]

გააგანიერებს // გააგანივრებს; გააგანიერა // გააგანივრა; გაუგანიერებია // გაუგანივრებია; გაეგანიერებინა // გაეგანივრებინა

გააგდებინებს; გააგდებინა; გაუგდებინებია; გაეგდებინებინა [და არა გააგდებიებს, გააგდებია...]

გააგდებს; გააგდო; გაუგდია; გაეგდო

გააგებინებს; გააგებინა; გაუგებინებია; გაეგებინებინა [და არა გააგებიებს, გააგებია...]

გააგზავნინებს; გააგზავნინა; გაუგზავნინებია; გაეგზავნინებინა [და არა გააგზავნიებს, გააგზავნია...]

გააგრძელებინებს; გააგრძელებინა; გაუგრძელებინებია; გაეგრძელებინებინა [და არა გააგრძელებიებს, გააგრძელებია...]

გააგრძელებს; გააგრძელა; გაუგრძელებია; გაეგრძელებინა [და არა გაეგრძელებია]

გაადევნებს; გაადევნა; გაუდევნებია; გაედევნებინა [და არა გაედევნებია]

გაადენს; გაადინა; გაუდენია; გაედინა

გაადვილდება; გაადვილდა; გაადვილებულა; გაადვილებულიყო

გაადვილება: გაადვილებული

გაადიდებინებს; გაადიდებინა; გაუდიდებინებია; გაედიდებინებინა [და არა გაადიდებიებს, გაადიდებია...]

გაადიდებს; გაადიდა; გაუდიდებია; გაედიდებინა [და არა გაედიდებია]

გააერთიანებინებს; გააერთიანებინა; გაუერთიანებინებია; გაეერთიანებინებინა [და არა გააერთიანებიებს, გააერთიანებია...]

გააერთიანებს; გააერთიანა; გაუერთიანებია; გაეერთიანებინა [და არა გაეერთიანებია]

გააერთმნიშვნელიანებს; გააერთმნიშვნელიანა; გაუერთმნიშვნელიანებია; გაეერთმნიშვნელიანებინა [და არა გაეერთმნიშვნელიანებია]

გააერთსულოვნებს; გააერთსულოვნა; გაუერთსულოვნებია; გაეერთსულოვნებინა [და არა გაეერთსულოვნებია]

გაავარჯიშებს; გაავარჯიშა; გაუვარჯიშებია; გაევარჯიშებინა [და არა გაევარჯიშებია]

გაავდრდება; გაავდრდა; გაავდრებულა; გაავდრებულიყო

გაავერაგებს; გაავერაგა; გაუვერაგებია; გაევერაგებინა [და არა გაევერაგებია]

გაავერანებინებს; გაავერანებინა; გაუვერანებინებია; გაევერანებინებინა [და არა გაავერანებიებს, გაავერანებია...]

გაავერანებს; გაავერანა; გაუვერანებია; გაევერანებინა [და არა გაევერანებია]

გაავლებინებს; გაავლებინა; გაუვლებინებია; გაევლებინებინა [და არა

გაავლებიებს, გაავლებია...]

გაავლებს; გაავლო; გაუვლია; გაევლო

გაავრცელებინებს; გაავრცელებინა; გაუვრცელებინებია; გაევრცელებინებინა [და არა გაავრცელებიებს, გაავრცელებია...]

გაავრცელებს; გაავრცელა; გაუვრცელებია; გაევრცელებინა [და არა გაევრცელებია]

გაავსებინებს; გაავსებინა; გაუვსებინებია; გაევსენინებინა [და არა გაავსებიებს, გაავსებია...]

გაავსებს; გაავსო; გაუვსია; გაევსო

გააზარმაცებს; გააზარმაცა; გაუზარმაცებია; გაეზარმაცებინა [და არა გაეზარმაცებია]

გააზვიადებს; გააზვიადა; გაუზვიადებია; გაეზვიადებინა [და არა გაეზვიადებია]

გააზიარებს; გააზიარა; გაუზიარებია; გაეზიარებინა [და არა გაეზიარებია]

გააზომვინებს; გააზომვინა; გაუზომვინებია; გაეზომვინებინა [და არა გააზომვიებს, გააზომვია...]

გააზრდევინებს; გააზრდევინა; გაუზრდევინებია; გაეზრდევინებინა [და არა გააზრდევიებს, გააზრდევია...]

გააზრება (გააზრების[ა]): **გააზრებული** (გააზრებულად)

გაათავისუფლებინებს; გაათავისუფლებინა; გაუთავისუფლებინებია; გაეთავისუფლებინებინა [და არა გაანთავისუფლებიებს, გაანთავისუფლებია...]

გაათავისუფლებს; გაათავისუფლა; გაუთავისუფლებია; გაეთავისუფლებინა [და არა გაანთავისუფლებს, გაანთავისუფლა...]

გაათამაშებინებს; გაათამაშებინა; გაუთამაშებინებია; გაეთამაშებინებინა [და არა გაათამაშებიებს, გაათამაშებია...]

გაათამაშებს: გაათამაშა; გაუთამაშებია; გაეთამაშებინა [და არა გაეთამაშებია]

გაათანაბრებინებს; გაათანაბრებინა; გაუთანაბრებინებია; გაეთანაბრებინებინა [და არა გაათანაბრებიებს, გაათანაბრებია...]

გაათანაბრებს; გაათანაბრა; გაუთანაბრებია; გაეთანაბრებინა [და არა გაეთანაბრებია]

გაათანასწორებინებს; გაათანასწორებინა; გაუთანასწორებინებია; გაეთანასწორებინებინა [და არა გაათანასწორებიებს, გაათანასწორებია...]

გაათანასწორებს; გაათანასწორა; გაუთანასწორებია; გაეთანასწორებინა [და არა გაეთანასწორებია]

გაათბობინებს; გაათბობინა; გაუთბობინებია; გაეთბობინებინა [და არა გაათბობიებს, გაათბობია...]

გაათბობს; გაათბო; გაუთბია; გაეთბო

გაათეთრებინებს; გაათეთრებინა; გა-

უთეთრებინებია; გაეთეთრებინებინა [და არა გაათეთრებიებს, გაათეთრებია...]

გაათეთრებს; გაათეთრა; გაუთეთრებია; გაეთეთრებინა [და არა გაეთეთრებია]

გაათელვინებს; გაათელვინა; გაუთელვინებია; გაეთელვინებინა [და არა გაათელვიებს, გაათელვია...]

გაათენებინებს; გაათენებინა; გაუთენებინებია; გაეთენებინებინა [და არა გაათენებიებს, გაათენებია...]

გაათენებს; გაათენა; გაუთენებია; გაეთენებინა [და არა გაეთენებია]

გაათვითცნობიერებინებს; გაათვითცნობიერებინა; გაუთვითცნობიერებინებია; გაეთვითცნობიერებინებინა [და არა გაათვითცნობიერებიებს, გაათვითცნობიერებია...]

გაათვითცნობიერებს; გაათვითცნობიერა; გაუთვითცნობიერებია; გაეთვითცნობიერებინა [და არა გაეთვითცნობიერებია]

გაათიშვინებს; გაათიშვინა; გაუთიშვინებია; გაეთიშვინებინა [და არა გაათიშვიებს, გაათიშვია...]

გაათლევინებს; გაათლევინა; გაუთლევინებია; გაეთლევინებინა [და არა გაათლევიებს, გაათლევია...]

გააიაფებინებს; გააიაფებინა; გაუიაფებინებია; გაეიაფებინებინა [და არა გააიაფებიებს, გააიაფებია...]

გააიაფებს; გააიაფა; გაუიაფებია; გაეიაფებინა [და არა გაეიაფებია]

გააიგივებინებს; გააიგივებინა; გაუიგივებინებია; გაეიგივებინებინა [და არა გააიგივებიებს, გააიგივებია...]

გააიგივებს; გააიგივა; გაუიგივებია; გაეიგივებინა [და არა გაეიგივებია]

გააინტენსიურებინებს; გააინტენსიურებინა; გაუინტენსიურებინებია; გაეინტენსიურებინებინა [და არა გააინტენსიურებიებს, გააინტენსიურებია...]

გააინტენსიურებს; გააინტენსიურა; გაუინტენსიურებია; გაეინტენსიურებინა [და არა გაეინტენსიურებია]

გააიშვიათებინებს; გააიშვიათებინა; გაუიშვიათებინებია; გაეიშვიათებინებინა [და არა გააიშვიათებიებს, გააიშვიათებია...]

გააიშვიათებს; გააიშვიათა; გაუიშვიათებია; გაეიშვიათებინა [და არა გაეიშვიათებია]

გააკეთებინებს; გააკეთებინა; გაუკეთებინებია; გაეკეთებინებინა [და არა გააკეთებიებს, გააკეთებია...]

გააკეთებს; გააკეთა; გაუკეთებია; გაეკეთებინა [და არა გაეკეთებია]

გააკმენდინებს; გააკმენდინა; გაუკმენდინებია; გაეკმენდინებინა [და არა გააკმენდიებს, გააკმენდია...]

გააკოტრებინებს; გააკოტრებინა; გაუკოტრებინებია; გაეკოტრებინებინა [და არა გააკოტრებიებს, გააკოტრებია...]

გააკოტრებს; გააკოტრა; გაუკოტრებია; გაეკოტრებინა [და არა გაეკოტრებია]

გააკრიტიკებინებს; გააკრიტიკებინა; გაუკრიტიკებინებია; გაეკრიტიკებინებინა [და არა გააკრიტიკებიებს, გააკრიტიკებია...]

გააკრიტიკებს; გააკრიტიკა; გაუკრიტიკებია; გაეკრიტიკებინა [და არა გაეკრიტიკებია]

გაალამაზებინებს; გაალამაზებინა; გაულამაზებინებია; გაელამაზებინებინა [და არა გაალამაზებიებს, გაალამაზებია...]

გაალამაზებს; გაალამაზა; გაულამაზებია; გაელამაზებინა [და არა გაელამაზებია]

გაალანძღვინებს; გაალანძღვინა; გაულანძღვინებია; გაელანძღვინებინა [და არა გაალანძღვიებს, გაალანძღვია...]

გაალახვინებს; გაალახვინა; გაულახვინებია; გაელახვინებინა [და არა გაალახვიებს, გაალახვია...]

გაამაგრებინებს; გაამაგრებინა; გაუმაგრებინებია; გაემაგრებინებინა [და არა გაამაგრებიებს, გაამაგრებია...]

გაამაგრებს; გაამაგრა; გაუმაგრებია; გაემაგრებინა [და არა გაემაგრებია]

გაამართვინებს; გაამართვინა; გაუმართვინებია; გაემართვინებინა [და არა გაამართიებს, გაამართია...]

გაამართლებინებს; გაამართლებინა; გაუმართლებინებია; გაემართლებინებინა [და არა გაამართლებიებს, გაამართლებია...]

გაამართლებს; გაამართლა; გაუმართლებია; გაემართლებინა [და არა გაემართლებია]

გაამარტივებს; გაამარტივა; გაუმარტივებია; გაემარტივებინა [და არა გაემარტივებია]

გაამარჯვებინებს; გაამარჯვებინა; გაუმარჯვებინებია; გაემარჯვებინებინა [და არა გაამარჯვებიებს, გაამარჯვებია...]

გაამასხარავებინებს; გაამასხარავებინა; გაუმასხარავებინებია; გაემასხარავებინებინა [და არა გაამასხარავებიებს, გაამასხარავებია...]

გაამასხარავებს; გაამასხარავა; გაუმასხარავებია; გაემასხარავებინა [და არა გაემასხარავებია]

გაამაყდება; გაამაყდა; გაამაყებულა; გაამაყებულიყო

გაამახვილებინებს; გაამახვილებინა; გაუმახვილებინებია; გაემახვილებინებინა [და არა გაამახვილებიებს, გაამახვილებია...]

გაამახვილებს; გაამახვილა; გაუმახვილებია; გაემახვილებინა [და არა გაემახვილებია]

გაამგზავრებს; გაამგზავრა; გაუმგზავრებია; გაემგზავრებინა [და არა გაემგზავრებია]

გაამეორებინებს; გაამეორებინა; გაუმეორებინებია; გაემეორებინებინა

[და არა გაამეორებიებს, გაამეორებია...]

გაამთლიანებს; გაამთლიანა; გაუმთლიანებია; გაემთლიანებინა [და არა გაემთლიანებია]

გაამკვეთრებინებს; გაამკვეთრებინა; გაუმკვეთრებინებია; გაემკვეთრებინებინა [და არა გაამკვეთრებიებს, გაამკვეთრებია...]

გაამკვეთრებს; გაამკვეთრა; გაუმკვეთრებია; გაემკვეთრებინა [და არა გაემკვეთრებია]

გაამპარტავნდება; გაამპარტავნდა; გაამპარტავნებულა; გაამპარტავნებულიყო

გაამპარტავნება (გაამპარტავნების[ა]): **გაამპარტავნებული**

გაამჟღავნებინებს; გაამჟღავნებინა; გაუმჟღავნებინებია; გაემჟღავნებინებინა [და არა გაამჟღავნებიებს, გაამჟღავნებია...]

გაამჟღავნებს; გაამჟღავნა; გაუმჟღავნებია; გაემჟღავნებინა [და არა გაემჟღავნებია]

გაამრავალფეროვნებს; გაამრავალფეროვნა; გაუმრავალფეროვნებია; გაემრავალფეროვნებინა [და არა გაემრავალფეროვნებია]

გაამრავლებინებს; გაამრავლებინა; გაუმრავლებინებია; გაემრავლებინებინა [და არა გაამრავლებიებს, გაამრავლებია...]

გაამრავლებს; გაამრავლა; გაუმრავლებია; გაემრავლებინა [და არა გაემრავლებია]

გაამტყუნებინებს; გაამტყუნებინა; გაუმტყუნებინებია; გაემტყუნებინებინა [და არა გაამტყუნებიებს, გაამტყუნებია...]

გაამტყუნებს; გაამტყუნა; გაუმტყუნებია; გაემტყუნებინა [და არა გაემტყუნებია]

გაამყარებს; გაამყარა; გაუმყარებია; გაემყარებინა [და არა გაემყარებია]

გაამშვენიერებს; გაამშვენიერა; გაუმშვენიერებია; გაემშვენიერებინა [და არა გაემშვენიერებია]

გაამმაფრებს; გაამმაფრა; გაუმმაფრებია; გაემმაფრებინა [და არა გაემმაფრებია]

გაამწარებს; გაამწარა; გაუმწარებია; გაემწარებინა [და არა გაემწარებია]

გაამწვავებს; გაამწვავა; გაამწვავოს; გაუმწვავებია; გაემწვავებინა [და არა გაემწვავებია]

გაამხელინებს; გაამხელინა; გაუმხელინებია; გაემხელინებინა [და არა გაამხელიებს, გაამხელია...]

გაამხელს; გაამხილა; გაუმხელია; გაემხილა

გაამხნევებს; გაამხნევა; გაუმხნევებია; გაემხნევებინა [და არა გაემხნევებია]

გაამხიარულებს; გაამხიარულა; გაუმხიარულებია; გაემხიარულებინა [და არა გაემხიარულებია]

გაანადგურებინებს; გაანადგურებინა; გაუნადგურებინებია; გაენადგურებინებინა [და არა გაანადგურებიებს, გაანადგურებია...]

გაანადგურებს; გაანადგურა; გაუნადგურებია; გაენადგურებინა [და არა გაენადგურებია]

გაანალიზება (გაანალიზების⌜ა⌝): **გაანალიზებული**

გაანაღდებინებს; გაანაღდებინა; გაუნაღდებინებია; გაენაღდებინებინა [და არა გაანაღდებიებს, გაანაღდებია...]

გაანაღდებს; გაანაღდა; გაუნაღდებია; გაენაღდებინა [და არა გაენაღდებია]

გაანაწილებინებს; გაანაწილებინა; გაუნაწილებინებია; გაენაწილებინებინა [და არა გაანაწილებიებს, გაანაწილებია...]

გაანაწილებს; გაანაწილა; გაუნაწილებია; გაენაწილებინა [და არა გაენაწილებია]

გაანაწყენებს; გაანაწყენა; გაუნაწყენებია; გაენაწყენებინა [და არა გაენაწყენებია]

გაანახევრებინებს; გაანახევრებინა; გაუნახევრებინებია; გაენახევრებინებინა [და არა გაანახევრებიებს, გაანახევრებია...]

გაანახევრებს; გაანახევრა; გაუნახევრებია; გაენახევრებინა [და არა გაენახევრებია]

გაანგარიშება (გაანგარიშების⌜ა⌝): **გაანგარიშებული** (გაანგარიშებულად); **გაანგარიშებითი**

გაანებივრებს; გაანებივრა; გაუნებივრებია; გაენებივრებინა [და არა გაენებივრებია]

გაანეიტრალებინებს; გაანეიტრალებინა; გაუნეიტრალებინებია; გაენეიტრალებინებინა [და არა გაანეიტრალებიებს, გაანეიტრალებია...]

გაანეიტრალებს; გაანეიტრალა; გაუნეიტრალებია; გაენეიტრალებინა [და არა გაენეიტრალებია]

გაანერვიულებს; გაანერვიულა; გაუნერვიულებია; გაენერვიულებინა [და არა გაენერვიულებია]

[გაანსახიერა, გაგანსახიერა, გამანსახიერა კი არა] **განასახიერა, განგასახიერა, განმასახიერა**

გააორმაგებინებს; გააორმაგებინა; გაუორმაგებინებია; გაეორმაგებინებინა [და არა გააორმაგებიებს, გააორმაგებია...]

გააორმაგებს; გააორმაგა; გაუორმაგებია; გაეორმაგებინა [და არა გაეორმაგებია]

გააოცებს; გააოცა; გაუოცებია; გაეოცებინა [და არა გაეოცებია]

გააპარტახებს; გააპარტახა; გაუპარტახებია; გაეპარტახებინა [და არა გაეპარტახებია]

გააპირუტყვებს; გააპირუტყვა; გაუპირუტყვებია; გაეპირუტყვებინა [და არა გაეპირუტყვებია]

გააპროტესტებს; გააპროტესტა; გაუპროტესტებია; გაეპროტესტებინა [და არა გაეპროტესტებია]

გაართმევს; გაართვა; გაურთმევია; გაერთმია

გაარკვევს; გაარკვია; გაურკვევია; გაერკვია

გაარღვევინებს; გაარღვევინა; გაურღვევინებია; გაერღვევინებინა [და არა გაარღვევიებს, გაარღვევია...]

გაარღვევს; გაარღვია; გაურღვევია; გაერღვია

გაარჩევინებს; გაარჩევინა; გაურჩევინებია; გაერჩევინებინა [და არა გაარჩევიებს, გაარჩევია...]

გაარჩევს; გაარჩია; გაურჩევია; გაერჩია

გაასაიდუმლოებს; გაასაიდუმლოვა; გაუსაიდუმლოებია; გაესაიდუმლოებინა

გაასამართლებს; გაასამართლა; გაუსამართლებია; გაესამართლებინა [და არა გაესამართლებია]

გაასაღებინებს; გაასაღებინა; გაუსაღებინებია; გაესაღებინებინა [და არა გაასაღებიებს, გაასაღებია...]

გაასაღებს; გაასაღა; გაუსაღებია; გაესაღებინა [და არა გაესაღებია]

გაასაშუალებს (= გაანახევრებს); **გაასაშუალა; გაუსაშუალებია; გაესაშუალებინა** [და არა გაესაშუალებია]

გაასაჩივრებს; გაასაჩივრა; გაუსაჩივრებია; გაესაჩივრებინა [და არა გაესაჩივრებია]

გაასახლებინებს; გაასახლებინა; გაუსახლებინებია; გაესახლებინებინა [და არა გაასახლებიებს, გაასახლებია...]

გაასახლებს; გაასახლა; გაუსახლებია; გაესახლებინა [და არა გაესახლებია]

გაასაჯაროებს; გაასაჯაროებდა; გაასაჯაროებდეს; გაასაჯაროვა; გაუსაჯაროებია; გაესაჯაროებინა [და არა გაესაჯაროებია]

გაასულელებინებს; გაასულელებინა; გაუსულელებინებია; გაესულელებინებინა [და არა გაასულელებიებს, გაასულელებია...]

გაასულელებს; გაასულელა; გაუსულელებია; გაესულელებინა [და არა გაესულელებია]

გაასწორებინებს; გაასწორებინა; გაუსწორებინებია; გაესწორებინებინა [და არა გაასწორებიებს, გაასწორებია...]

გაასწორებს; გაასწორა; გაუსწორებია; გაესწორებინა [და არა გაესწორებია]

გაასწრებს; გაასწრო (გავასწარი, გაასწარი); გაუსწრია; გაესწრო

გააუვნებლებს // უვნებელყოფს; გააუვნებლა // უვნებელყო; გაუუვნებლებია // უვნებელუყვია; გაეუვნებლებინა // უვნებელეყო

გააუთოებს; გააუთოვა (გავაუთოვე, **გააუთოვე**...); **გააუთოოს; გაუუთოებია; გაეუთოებინა** [და არა გაეუთოებია]

გააუფასურებს; გააუფასურა; გაუუფასურებია; გაეუფასურებინა [და არა გაეუფასურებია]

გააუქმებინებს; გააუქმებინა; გაუუქმებინებია; გაეუქმებინებინა [და არა გააუქმებიებს, გააუქმებია...]

გააუქმებს; გააუქმა; გაუუქმებია; გაეუქმებინა [და არა გაეუქმებია]

გააფართოებს; გააფართოვა; გაუფართოებია; გაეფართოებინა [და არა გაეფართოებია]

გააფლანგვინებს; გააფლანგვინა; გაუფლანგვინებია; გაეფლანგვინებინა [და არა გააფლანგვიებს, გააფლანგვია...]

გააფორმებინებს; გააფორმებინა; გაუფორმებინებია; გაეფორმებინებინა [და არა გააფორმებიებს, გააფორმებია...]

გააფორმებს; გააფორმა; გაუფორმებია; გაეფორმებინა [და არა გაეფორმებია]

გააფრთხილებს; გააფრთხილა; გაუფრთხილებია; გაეფრთხილებინა [და არა გააბრთხილებს, გააბრთხილა...]

გააფუჭებინებს; გააფუჭებინა; გაუფუჭებინებია; გაეფუჭებინებინა [და არა გააფუჭებიებს, გააფუჭებია...]

გააფუჭებს; გააფუჭა; გაუფუჭებია; გაეფუჭებინა [და არა გაეფუჭებია]

გააქვს; გაჰქონდა; გაჰქონდეს

გააქტიურდება; გააქტიურდა; გააქტიურებულა; გააქტიურებულიყო

გააქტიურება (გააქტიურების[ა]): **გააქტიურებული**

გააღიზიანებს; გააღიზიანა; გაუღიზიანებია; გაეღიზიანებინა [და არა გაეღიზიანებია]

გააღწევს; გააღწია; გაუღწევია; გაეღწია [და არა გაახწევს, გაახწია...]

გააყალბებს; გააყალბა; გაუყალბებია; გაეყალბებინა [და არა გაეყალბებია]

გააყვანინებს; გააყვანინა; გაუყვანინებია; გაეყვანინებინა [და არა გააყვანიებს, გააყვანია...]

გააშენებინებს; გააშენებინა; გაუშენებინებია; გაეშენებინებინა [და არა გააშენებიებს, გააშენებია...]

გააშენებს; გააშენა; გაუშენებია; გაეშენებინა [და არა გაეშენებია]

გააშუქებინებს; გააშუქებინა; გაუშუქებინებია; გაეშუქებინებინა [და არა გააშუქებიებს, გააშუქებია...]

გააშუქებს; გააშუქა; გაუშუქებია; გაეშუქებინა [და არა გაეშუქებია]

გააჩაღებინებს; გააჩაღებინა; გაუჩაღებინებია; გაეჩაღებინებინა [და არა გააჩაღებიებს, გააჩაღებია...]

გააჩაღებს; გააჩაღა; გაუჩაღებია; გაეჩაღებინა [და არა გაეჩაღებია]

[გააჩნია კი არა] **აქვს** (**გააჩნია** გამოიყენება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში: **არ გააჩნია; არაფერი გააჩნია**). შეცდომაა: გააჩნია პრობლემები სკოლას/კომპანიას/საწარმოს. უნდა იყოს: **აქვს პრობლემები სკოლას/კომპანიას/საწარმოს**.

გააცალკევებინებს; გააცალკევებინა; გაუცალკევებინებია; გაეცალკევებინებინა [და არა გააცალკევებიებს, გააცალკევებია...]

გააცალკევებს; გააცალკევა; გაუცალკევებია; გაეცალკევებინა [და არა გაეცალკევებია]

გააცარიელებინებს; გააცარიელებინა; გაუცარიელებინებია; გაეცარიელებინებინა [და არა გააცარიელებიებს, გააცარიელებია...]

გააცარიელებს; გააცარიელა; გაუცარიელებია; გაეცარიელებინა [და არა გაეცარიელებია]

გააცნობიერებინებს; გააცნობიერებინა; გაუცნობიერებინებია; გაეცნობიერებინებინა [და არა გააცნობიერებიებს, გააცნობიერებია]

გააცნობიერებს; გააცნობიერა; გაუცნობიერებია; გაეცნობიერებინა [და არა გაეცნობიერებია]

გააცხადებს და **განაცხადებს** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ცხადს გახდის; გამოააშკარავებს; გაამხელს (ხვალ მისი საქციელი ყველაფერს **გააცხადებს/განაცხადებს** და ხალხიც დაიჯერებს სიმართლეს), მაგრამ **განაცხადებს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს: 1. საჯაროდ იტყვის (თავმჯდომარემ **განაცხადა**, სიტყვა დამცველს ეკუთვნისო; 2. აღიარებს (მათ უნდა **განაცხადონ**, როდის დატოვეს ქვეყნის საზღვრები).

გააძვირებინებს; გააძვირებინა; გაუძვირებინებია; გაეძვირებინებინა [და არა გააძვირებიებს, გააძვირებია...]

გააძვირებს; გააძვირა; გაუძვირებია; გაეძვირებინა [და არა გაეძვირებია]

გააძლიერებინებს; გააძლიერებინა; გაუძლიერებინებია; გაეძლიერებინებინა [და არა გააძლიერებიებს, გააძლიერებია...]

გააძლიერებს; გააძლიერა; გაუძლიერებია; გაეძლიერებინა [და არა გაეძლიერებია]

გააძნელებს; გააძნელა; გაუძნელებია; გაეძნელებინა [და არა გაეძნელებია]

გააწევრიანებს; გააწევრიანა; გაუწევრიანებია; გაეწევრიანებინა [და არა გაეწევრიანებია]

გააწვრთნევინებს; გააწვრთნევინა; გაუწვრთნევინებია; გაეწვრთნევინებინა [და არა გააწრთვნევიებს, გააწრთვნევია...]

გააწონასწორებს; გააწონასწორა; გაუწონასწორებია; გაეწონასწორებინა [და არა გაეწონასწორებია]

გააწყვეტინებს; გააწყვეტინა; გაუწყვეტინებია; გაეწყვეტინებინა [და არა გააწყვეტიებს, გააწყვეტია...]

გააწყობს; გააწყო; გაუწყვია [და არა გაუწყია]; **გაეწყო**

გააჭიანურებს; გააჭიანურა; გაუჭიანურებია; გაეჭიანურებინა [და არა გაეჭიანურებია]

[გააჭირებს კი არა] **გააჭირვებს**

გაახანგრძლივებინებს; გაახანგრძლივებინა; გაუხანგრძლივებინებია; გაეხანგრძლივებინებინა [და არა გაახანგრძლივებიებს, გაახანგრძლივებია...]

გაახანგრძლივებს; გაახანგრძლივა; გაუხანგრძლივებია; გაეხანგრძლივებინა [და არა გაეხანგრძლივებია]

გაახარებს; გაახარა; გაუხარებია; გაეხარებინა [და არა გაეხარებია]

გაახმაურებინებს; გაახმაურებინა; გაუხმაურებინებია; გაეხმაურებინებინა [და არა გაახმაურებიებს, გაახმაურებია...]

გაახმაურებს; გაახმაურა; გაუხმაურებია; გაეხმაურებინა [და არა გაეხმაურებია]

გაახმიანებს; გაახმიანა; გაუხმიანებია; გაეხმიანებინა [და არა გაეხმიანებია]

გაახსნევინებს; გაახსნევინა; გაუხსნევინებია; გაეხსნევინებინა [და არა გაახსნევიებს, გაახსნევია...]

გააჯანსაღებინებს; გააჯანსაღებინა; გაუჯანსაღებინებია; გაეჯანსაღებინებინა [და არა გააჯანსაღებიებს, გააჯანსაღებია...]

გააჯანსაღებს; გააჯანსაღა; გაუჯანსაღებია; გაეჯანსაღებინა [და არა გაეჯანსაღებია]

გაბათილება (გაბათილების⌜ა⌝): **გაბათილებული**

გაბოლება (სიგარეტისა / ჩიბუხისა) – **გაბოლვა** (ოთახისა...)

გაბოროტდება; გაბოროტდა; გაბოროტებულა; გაბოროტებულიყო

გაბოროტება (გაბოროტების⌜ა⌝): **გაბოროტებული**

გაბრიყვება (გაბრიყვების⌜ა⌝): **გაბრიყვებული**

გაბრძანდება; გაბრძანდა; გაბრძანებულა; გაბრძანებულიყო

გაბრწყინება (გაბრწყინების⌜ა⌝): **გაბრწყინებული**

გაგანიერდება // გაგანივრდება; გაგანიერდა // გაგანივრდა; გაგანიერებულა // გაგანივრებულა; გაგანიერებულიყო // გაგანივრებულიყო

გაგანიერება // გაგანივრება

გაგანიერებული // გაგანივრებული

გაგება (= რაიმეს მიხვედრა, შეგნება: აზრის **გაგება** გაუჭირდა) – **გაგო-**

ნება (= რაიმე ხმის მოსმენა): „მამის სიტყვების **გაგონებაზე** ჟრუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხებში გაურბინა“ (ვაჟა)

გაგზავნა (გაგზავნის⌜ა⌝): **გაგზავნილი**

გაგზავნ-გამოგზავნა (გაგზავნ-გამოგზავნის⌜ა⌝)

გადააბამს; გადააბამდა; გადააბამდეს [და არა გადააბავს, გადააბავდა, გადააბავდეს]; **გადააბა; გადაუბამს** [და არა გადაუბავს]; **გადაება**

გადააბარებინებს; გადააბარებინა; გადაუბარებინებია; გადაებარებინებინა [და არა გადააბარებიებს, გადააბარებია...]

გადააბარებს; გადააბარა; გადაუბარებია; გადაებარებინა [და არა გადაებარებია]

გადააბეჭდვინებს; გადააბეჭდვინა; გადაუბეჭდვინებია; გადაებეჭდვინებინა [და არა გადააბეჭდიებს, გადააბეჭდია...]

გადააბრალებს; გადააბრალა; გადაუბრალებია; გადაებრალებინა [და არა გადაებრალებია]

[გადააგზავნის, გადააგზავნა... კი არა] **გადაგზავნის; გადაგზავნა; გადაუგზავნია; გადაეგზავნა**

გადაადგილება (გადაადგილების⌜ა⌝): **გადაადგილებული**

გადაადგმევინებს; გადაადგმევინა; გადაუდგმევინებია; გადაედგმევინებინა [და არა გადაადგმევიებს, გადაადგმევია...]

გადაადებინებს; გადაადებინა; გადაუდებინებია; გადაედებინებინა [და არა გადაადებიებს, გადაადებია...]

გადააზიდვინებს; გადააზიდვინა; გადაუზიდვინებია; გადაეზიდვინებინა [და არა გადააზიდვიებს, გადააზიდვია...]

გადააზრება (გადააზრების⌜ა⌝)

გადაათარგმნინებს; გადაათარგმნინა; გადაუთარგმნინებია; გადაეთარგმნინებინა [და არა გადაათარგმნიებს, გადაათარგმნია...]

გადაათვალიერებინებს; გადაათვალიერებინა; გადაუთვალიერებინებია; გადაეთვალიერებინებინა [და არა გადაათვალიერებიებს, გადაათვალიერებია...]

გადააოვალიერებს; გადაათვალიერა; გადაუთვალიერებია; გადაეთვალიერებინა [და არა გადაეთვალიერებია]

გადააკეთებინებს; გადააკეთებინა; გადაუკეთებინებია; გადაეკეთებინებინა [და არა გადააკეთებიებს, გადააკეთებია...]

გადააკეთებს; გადააკეთა; გადაუკეთებია; გადაეკეთებინა [და არა გადაეკეთებია]

გადაალახვინებს; გადაალახვინა; გადაულახვინებია; გადაელახვინებინა [და არა გადაალახვიებს, გადაალახვია...]

გადაამალვინებს; გადაამალვინა; გადაუმალვინებია; გადაემალვინებინა [და არა გადაამალვიებს, გადაამალვია...]

გადაამეტებს (= გადააჭარბებს); **გადაამეტა; გადაუმეტებია; გადაემეტებინა** [და არა გადაემეტებია]

გადაამზადებინებს; გადაამზადებინა; გადაუმზადებინებია; გადაემზადებინებინა [და არა გადაამზადებიებს, გადაამზადებია...]

გადაამზადებს; გადაამზადა; გადაუმზადებია; გადაემზადებინა [და არა გადაემზადებია]

გადაამოწმებს; გადაამოწმა; გადაუმოწმებია; გადაემოწმებინა [და არა გადაემოწმებია]

გადაარიცხვინებს; გადაარიცხვინა; გადაურიცხვინებია; გადაერიცხვინებინა [და არა გადაარიცხვიებს, გადაარიცხვია...]

გადაარქმევინებს; გადაარქმევინა; გადაურქმევინებია; გადაერქმევინებინა [და არა გადაარქმევიებს, გადაარქმევია...]

გადაარქმევს; გადაარქვა; გადაურქმევია; გადაერქმია

გადაარწმუნებს; გადაარწმუნა; გადაურწმუნებია; გადაერწმუნებინა [და არა გადაერწმუნებია]

გადაასახლებინებს; გადაასახლებინა; გადაუსახლებინებია; გადაესახლებინებინა [და არა გადაასახლებიებს, გადაასახლებია...]

გადაასახლებს; გადაასახლა; გადაუსახლებია; გადაესახლებინა [და არა გადაესახლებია]

გადაასინჯვინებს; გადაასინჯვინა; გადაუსინჯვინებია; გადაესინჯვინებინა [და არა გადაასინჯვიებს, გადაასინჯვია...]

გადაასწორებინებს; გადაასწორებინა; გადაუსწორებინებია; გადაესწორებინებინა [და არა გადაასწორებიებს, გადაასწორებია...]

გადაასწორებს; გადაასწორა; გადაუსწორებია; გადაესწორებინა [და არა გადაესწორებია]

გადაატანინებს; გადაატანინა; გადაუტანინებია; გადაეტანინებინა [და არა გადაატანიებს, გადაატანია...]

გადაატვირთვინებს; გადაატვირთვინა; გადაუტვირთვინებია; გადაეტვირთვინებინა [და არა გადაატვირთიებს, გადაატვირთია...]

გადაატხვრინებს; გადაატხვრინა; გადაუტხვრინებია; გადაეტხვრინებინა [და არა გადაატხვრიებს, გადაატხვრია...]

გადააფასებინებს; გადააფასებინა; გადაუფასებინებია; გადაეფასებინებინა [და არა გადააფასებიებს, გადააფასებია...]

გადააფასებს; გადააფასა; გადაუფასებია; გადაეფასებინა [და არა გადაეფასებია]

გადააფხრეწს; გადააფხრეწდა; გადააფხრეწდეს [და არა გადააფხრე-

წავს, გადააფხრიწავს; გადააფხრეწავდა, გადააფხრიწავდა; გადააფხრეწავდეს, გადააფხრიწავდეს]; **გადააფხრიწა; გადაუფხრეწია; გადაეფხრიწა**

გადააქვს; გადაჰქონდა; გადაჰქონდეს [და არა გადაქონდა, გადაქონდეს]

გადააქცევს; გადააქცია; გადაუქცევია; გადაექცია

გადააყენებს; გადააყენა; გადაუყენებია; გადაეყენებინა [და არა გადაეყენებია]

გადააყვანინებს; გადააყვანინა; გადაუყვანინებია; გადაეყვანინებინა [და არა გადააყვანიებს, გადააყვანია...]

გადააცვლევინებს; გადააცვლევინა; გადაუცვლევინებია; გადაეცვლევინებინა [და არა გადააცვლევიებს, გადააცვლევია...]

გადააცილებს; გადააცილა; გადაუცილებია; გადაეცილებინა [და არა გადაეცილებია]

გადააწვდის // გადააწოდებს

გადააწყდება; გადააწყდა; გადასწყდომია; გადასწყდომოდა [და არა გადაწყდომია, გადაწყდომოდა]

გადააწყვეტინებს; გადააწყვეტინა; გადაუწყვეტინებია; გადაეწყვეტინებინა [და არა გადააწყვეტიებს, გადააწყვეტია...]

გადააწყობინებს; გადააწყობინა; გადაუწყობინებია; გადაეწყობინებინა [და არა გადააწყობიებს, გადააწყობია...]

გადააწყობს; გადააწყო; გადაუწყვია [და არა გადაუწყია]; **გადაეწყო**

გადააჭარბებინებს; გადააჭარბებინა; გადაუჭარბებინებია; გადაეჭარბებინებინა [და არა გადააჭარბებიებს, გადააჭარბებია...]

გადააჭარბებს; გადააჭარბა; გადაუჭარბებია; გადაეჭარბებინა [და არა გადაეჭარბებია]

გადაახალისებს; გადაახალისა; გადაუხალისებია; გადაეხალისებინა [და არა გადაეხალისებია]

გადაახდევინებს; გადაახდევინა; გადაუხდევინებია; გადაეხდევინებინა [და არა გადაახდევიებს, გადაახდევია...]

გადაახედვინებს; გადაახედვინა; გადაუხედვინებია; გადაეხედვინებინა [და არა გადაახედვიებს, გადაახედვია...]

გადაახურდავებინებს; გადაახურდავებინა; გადაუხურდავებინებია; გადაეხურდავებინებინა [და არა გადაახურდავებიებს, გადაახურდავებია...]

გადაახურდავებს; გადაახურდავა; გადაუხურდავებია; გადაეხურდავებინა [და არა გადაეხურდავებია]

გადააჯგუფებინებს; გადააჯგუფებინა; გადაუჯგუფებინებია; გადაეჯგუფებინებინა [და არა გადააჯგუფებიებს, გადააჯგუფებია...]

გადააჯგუფებს; გადააჯგუფა; გადაუჯგუფებია; გადაეჯგუფებინა [და არა გადაეჯგუფებია]

გადაბარავს; გადაბარა; გადაუბარავს; გადაებარა

გადაბელავს; გადაბელა; გადაუბელავს; გადაებელა

გადაბეჭდავს; გადაბეჭდა; გადაუბეჭდავს; გადაებეჭდა

გადაბირება (გადაბირების⌜ა⌝): **გადაბირებული**

გადაბრძანდება; გადაბრძანდა; გადაბრძანებულა; გადაბრძანებულიყო

გადაგდება (ერთისა), **გადაყრა** (ბევრისა)

გადაგვარდება; გადაგვარდა; გადაგვარებულა; გადაგვარებულიყო

გადაგვარება (გადაგვარების⌜ა⌝): **გადაგვარებული**

გადადგამს; გადადგამდა; გადადგამდეს [და არა გადადგავს, გადადგავდა, გადადგავდეს]; **გადადგა; გადაუდგამს** [და არა გადაუდგავს]; **გადაედგა**

გადადგება; გადადგა; გადამდგარა; გადამდგარიყო

გადადებს (საქმეს), მაგრამ: **გადასდებს** (მას გრიპს)

გადადის (ღობეზე), მაგრამ: **გადასდის** (სახეზე ნათელი/თავზე ქონება)

გადაეგზავნება; გადაეგზავნა; გადაჰგზავნია; გადაჰგზავნოდა [და არა გადაგზავნია, გადაგზავნოდა]

გადაეკვრება // გადაეკვრის

გადათამაშდება; გადათამაშდა; გადათამაშებულა; გადათამაშებულიყო

გადათამაშება (გადათამაშების⌜ა⌝): **გადათამაშებული**

გადათოვლავს (= სახურავიდან, რაიმეს ზედაპირიდან თოვლს გადაყრის) – **გადათოვს** (= თოვლით დაფარავს; თოვლით დაიფარება)

გადათქმა (= ნათქვამზე უარის თქმა; შეცვლა, უარყოფა): „საიდან მოუვიდა ფიქრად ავტორს ასეთი **გადათქმა** სიტყვისა, ეგრე გადაკეთება?“ (ილია) – **გარდათქმა** (= ლექსად ქცევა): „ვპოვე და ლექსად **გარდავთქვი**...“ (რუსთაველი).

გადაიზრდება; გადაიზარდა; გადაზრდილა; გადაზრდილიყო

გადაითარგმნება; გადაითარგმნა; გადათარგმნილა; გადათარგმნილიყო

გადაითხრება; გადაითხარა; გადათხრილა; გადათხრილიყო

გადაიკარგება; გადაიკარგა; გადაკარგულა; გადაკარგულიყო

გადაინაწილებს; გადაინაწილა; გადაუნაწილებია; გადაენაწილებინა [და არა გადაენაწილებია]

გადაიპარსავს; გადაიპარსა; გადაუპარსავს; გადაეპარსა

გადაირჩევს; გადაირჩია; გადაურჩევია; გადაერჩია

გადაისინჯება; გადაისინჯა; გადასინჯულა; გადასინჯულიყო

გადაისხამს; გადაისხამდა; გადაისხამდეს [და არა გადაისხავს, გადაისხავდა, გადაისხავდეს]; **გადაისხა; გადაუსხამს** [და არა გადაუსხავს]; **გადაესხა**

გადაიტან-გადმოიტანს; გადაიტან-გადმოიტანა; გადაუტან-გადმოუტანია; გადაეტან-გადმოეტანა

გადაიტვირთება; გადაიტვირთა; გადატვირთულა; გადატვირთულიყო

გადაიფიქრებს; გადაიფიქრა; გადაუფიქრებია; გადაეფიქრებინა [და არა გადაეფიქრებია]

გადაიღებს; გადაიღო; გადაუღია; გადაეღო

გადაიყვან-გადმოიყვანს; გადაიყვან-გადმოიყვანა; გადაუყვან-გადმოუყვანია; გადაეყვან-გადმოეყვანა

გადაიყრება; გადაიყარა; გადაყრილა; გადაყრილიყო

გადაიშლება; გადაიშალა; გადაშლილა; გადაშლილიყო

გადაიცვამს; გადაიცვამდა; გადაიცვამდეს [და არა გადაიცვავს, გადაიცვავდა, გადაიცვავდეს]; **გადაიცვა; გადაუცვამს** [და არა გადაუცვავს]; **გადაეცვა**

გადაიწერს; გადაიწერა; გადაუწერია; გადაეწერა

გადაკეტავს; გადაკეტა; გადაუკეტავს; გადაეკეტა

გადაკვეთს; გადაკვეთდა; გადაკვეთდეს [და არა გადაკვეთავს, გადაკვეთავდა, გადაკვეთავდეს]; **გადაკვეთა; გადაუკვეთია; გადაეკვეთა**

გადაკიდებს (კაბას სკამზე), მაგრამ: **გადაჰკიდებს** (მეზობლებს ერთმანეთს)

გადალახავს; გადალახა; გადაულახავს; გადაელახა

გადალახვა (გადალახვის^ა): **გადალახული**

გადამალავს; გადამალა; გადაუმალავს; გადაემალა

გადამეტება (გადამეტების^ა): **გადამეტებული**

გადამზადება (გადამზადების^ა): **გადამზადებული**

გადამლაშებული (საჭმელი) (შდრ.: საუბრ. გადატ. ზღვარს გადასული, გადაჭარბებული)

გადამმუშავებელი (გადამმუშავებლის^ა)

გადამოწმება (გადამოწმების^ა): **გადამოწმებული**

გადამტეხი (= ვინც ან რაც გადატეხს რაიმეს) – **გარდამტეხი** (= რაიმეს არსებითად შემცვლელი; გარდატეხის მომხდენი)

გადამხდევინებელი (გადამხდევინებლის^ა)

გადამხდელი (გადამხდელის^ა)

გადანარჩევი (= რაც გადაარჩიეს; გადარჩეული: **გადანარჩევი** სიმინდი/ლობიო...) – **გადანარჩენი** (= მონარჩენი, მოტოვებული, შემონახული: **გადანარჩენი** ჩურჩხელა/ჩირი...)

გადანაწილება (გადანაწილების⌜ა⌝): **გადანაწილებული**

გადანახვა (გადანახვის⌜ა⌝): **გადანახული**

გადანგრევა (გადანგრევის⌜ა⌝): **გადანგრეული**

გადარბენა (გადარბენის⌜ა⌝)

გადართვა (გადართვის⌜ა⌝): **გადართული**

გადარიცხვა (გადარიცხვის⌜ა⌝): **გადარიცხული**

გადარჩევა (გადარჩევის⌜ა⌝): **გადარჩეული**

გადარჩენა (გადარჩენის⌜ა⌝): **გადარჩენილი**

გადასაგზავნი

გადასაზიდი

გადასათარგმნი

გადასაკეთებელი (გადასაკეთებლად)

გადასაკიდი // გადასაკიდებელი (გადასაკიდებლად)

გადასალახავი // გადასალახი

გადასამალავი // გადასამალი

გადასამზადებელი (გადასამზადებლად)

გადასამოწმებელი (გადასამოწმებლად)

გადასამუშავებელი (გადასამუშავებლად)

გადასატან-გადმოსატანი (გადასატან-გადმოსატანად)

გადასატვირთავი // გადასატვირთი

გადასაყვან-გადმოსაყვანი (გადასაყვან-გადმოსაყვანად)

გადასაცემი (გადასაცემმა)

გადასაწყვეტი [და არა გადასაწყვეტავი]

გადასახადი (კომუნალური/საშემოსავლო/აქციზური/საბაჟო... **გადასახადი**) – **გადასახდელი** (ვალი/წირვა/იუბილე/ბრძოლა...)

გადასახალისებელი (გადასახალისებლად)

გადასახურავი // გადასახური

გადასვლ-გადმოსვლა (გადასვლ-გადმოსვლის⌜ა⌝)

გადასინჯავს; გადასინჯა; გადაუსინჯავს; გადაესინჯა

გადასინჯვა (გადასინჯვის⌜ა⌝): **გადასინჯული**

გადასმულ-გადმოსმული

გადასც-გადმოსცემს; გადასც-გადმოსცა; გადაუც-გადმოუციათ; გადაეც-გადმოეცა

გადასცდება (მას პურის ნამცეცი), მაგრამ: **გადაცდება** (ის ჭკუაზე)

გადასცემს; გადასცა [და არა გადაცემს, გადაცა]

გადასწევს; გადასწია; გადასწიოს [და არა გადაწევს...]

გადასხდ-გადმოსხდებიან; გადასხდ-გადმოსხდნენ; გადასხდ-გადმომსხდარან; გადასხდ-გადმომსხდარიყვნენ

გადატან-გადმოტანა (გადატან-გადმოტანის⌜ა⌝)

გადატანილ-გადმოტანილი

გადატვირთავს; გადატვირთა; გადაუტვირთავს; გადაეტვირთა

გადაუთარგმნის; გადაუთარგმნა; გადაუთარგმნია; გადაეთარგმნა

გადაუსხამს; გადაუსხამდა; გადაუსხამდეს [და არა გადაუსხავს...]

გადაუწყვეტს; გადაუწყვეტდა; გადაუწყვეტდეს [და არა გადაუწყვეტავს, გადაუწყვიტავს...]; **გადაუწყვიტა; გადაუწყვეტია; გადაეწყვიტა**

გადაუჭარხებელი (გადაუჭარბებლად)

გადაუხდის [და არა მოუხდის] **მადლობას**, მაგრამ: **მოუხდის ხოდიშს**

გადაუხდის; გადაუხადა; გადაუხდია; გადაეხადა [და არა გადაეხადნა]

გადაუხვევს; გადაუხვია; გადაუხვევია; გადაეხვია

გადაფარული (= რაც რაიმეთი გადაფარეს ან გადაიფარა) – **გადაფარებული** (= რაც გადააფარეს; ზემოდან გაშლით დაფარებული; გადახურული)

გადაფხეკს; გადაფხეკდა; გადაფხეკდეს [და არა გადაფხეკავს, გადაფხიკავს, გადაფხეკავდა, გადაფხიკავდა; გადაფხეკავდეს, გადაფხიკავდეს]; **გადაფხიკა; გადაუფხეკია; გადაეფხიკა**

გადაცდენა (= გადაცილება: ვადის / დროის **გადაცდენა**; შდრ.: **გზიდან გადაცდენა** – სწორი გზიდან აცდენა) – **გადაცდომა** (= სამართ. სამართლის ნორმის ისეთი დარღვევა, რომელიც იწვევს მცირე სასჯელს; მცირედი დანაშაული)

გადაცემა (გადაცემის⌜ა⌝): **გადაცემული**

გადაცურავს; გადაცურა; გადაუცურავს; გადაეცურა

გადაძვრენა (= ძვრენით გადაყვანა) – **გადაძრომა** (= ძრომით გადასვლა; გადაცოცება)

გადაწერს (წერილს), მაგრამ: **გადასწერს** (მას ჯვარს)

გადაწყვეტა (გადაწყვეტის⌜ა⌝): **გადაწყვეტილი**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, მაგრამ: **გადაწყვეტილება იქნა მიღებული**

გადაწყვეტს; გადაწყვეტდა; გადაწყვეტდეს [და არა გადაწყვეტავს, გადაწყვიტავს; გადაწყვეტავდა, გადაწყვიტავდა; გადაწყვეტავდეს; გადაწყვიტავდეს]; **გადაწყვიტა; გადაუწყვეტია; გადაეწყვიტა**

გადახალისება (გადახალისების˹ა˺): **გადახალისებული** (გადახალისებულად)

გადახარჯავს; გადახარჯა; გადაუხარჯავს; გადაეხარჯა

გადახდისუნარიანი; გადახდისუნარიანობა (გადახდისუნარიანობის˹ა˺)

გადახდისუუნარო; გადახდისუუნაროება (გადახდისუუნაროების˹ა˺)

გადახედვა (გადახედვის˹ა˺): **გადახედილი**

გადახვევა (გადახვევის˹ა˺): **გადახვეული**

გადახიზვნა (გადახიზვნის˹ა˺): **გადახიზნული**

გადახიზნავს; გადახიზნა; გადაუხიზნავს; გადაეხიზნა

გადახნავს; გადახნა; გადაუხნავს; გადაეხნა

გადახრა (გადახრის˹ა˺): **გადახრილი**

გადახტ-გადმოხტება; გადახტ-გადმოხტა; გადამხტარ-გადმომხტარა; გადამხტარ-გადმომხტარიყო

გადახურვა (უმართებულოა: დაიწყეს შენობების **გადახურვები**. უნდა იყოს: დაიწყეს შენობების **გადახურვა**)

გადაჯგუფდება; გადაჯგუფდა; გადაჯგუფებულა; გადაჯგუფებულიყო

გადაჯგუფება (გადაჯგუფების˹ა˺): **გადაჯგუფებული**

გადაჯიშება (გადაჯიშების˹ა˺): **გადაჯიშებული**

გადაჰკიდებს (მეზობლებს ერთმანეთს/ჩანთას მხარზე მას), მაგრამ: **გადაკიდებს** (კაბას თოკზე)

გადაჰკრავს; გადაჰკრავდა; გადაჰკრავდეს; გადაჰკრა [და არა გადაკრავს, გადაკრავდა, გადაკრავდეს, გადაკრა]; **გადაუკრავს; გადაეკრა**

გადაჰქონდა; გადაჰქონდეს [და არა გადაქონდა, გადაქონდეს]

გადაჰქცევია; გადაჰქცეოდა; გადაჰქცეოდეს [და არა გადაქცევია...]

გადაჰყავ-გადმოჰყავს; გადაჰყავ-გადმოჰყავდა; გადაჰყავ-გადმოჰყავდეს

გადაჰყავს; გადაჰყავდა; გადაჰყავდეს [და არა გადაყავს, გადაყავდა, გადაყავდეს]

გადაჰყვარებია; გადაჰყვარებოდა; გადაჰყვარებოდეს [და არა გადაყვარებია...]

გადაჰყევება; გადაჰყვა; გადაჰყოლია; გადაჰყოლოდა [და არა გადაყევება, გადაყვა...]

გადაჰყრია; გადაჰყროდა; გადაჰყროდეს [და არა გადაყრია, გადაყროდა, გადაყროდეს]

გადაჰყურებს; გადაჰყურებდა; გადაჰყურებდეს [და არა გადაყურებს, გადაყურებდა, გადაყურებდეს]

გადი-გამოდის; გავიდ-გამოვიდა; გასულ-გამოსულა; გასულ-გამოსულიყო

გადის (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: რეკლამაზე **გავდივართ**; **გავდივართ** ანიმაციურ ფილმზე და სხვ. უნდა იყოს: ახლა (ეთერში) **რეკლამის დროა**; ახლა **წარმოგიდგენთ** (**გიჩვენებთ**) ანიმაციურ ფილმს)

გადმოგზავნის; **გადმოგზავნა**; **გადმოუგზავნია**; **გადმოეგზავნა**

გადმოთარგმნა (გადმოთარგმნის⌜ა⌝): **გადმოთარგმნილი**

გადმოთარგმნის; **გადმოთარგმნა**; **გადმოუთარგმნია**; **გადმოეთარგმნა**

გადმოიღებს; **გადმოიღო**; **გადმოუღია**; **გადმოეღო**

გადმოიყვანს; **გადმოიყვანა**; **გადმოუყვანია**; **გადმოეყვანა**

[გადმომირეკე, გადმორეკე კი არა] **დამირეკე**, **დარეკე** (სატელეფონო საუბრებთან (დარეკვასთან) დაკავშირებით ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ხვალ **გადმომირეკე**; საღამოს **გადმორეკე**... **გადმომირეკე**, **გადმორეკე** ფორმები რუსულის კალკია. უნდა იყოს: საღამოს **დამირეკე**, **დარეკე**, ან კიდევ: **ხელახლა დამირეკე**)

გადმორიცხავს; **გადმორიცხა**; **გადმოურიცხავს**; **გადმოერიცხა**

გადმორიცხვა (გადმორიცხვის⌜ა⌝): **გადმორიცხული**

გადმოსაცემი (გადმოსაცემმა)

გადმოსახლება (გადმოსახლების⌜ა⌝): **გადმოსახლებული**

გადმოსწევს; **გადმოსწია**; **გადმოსწიოს** [და არა გადმოწევს, გადმოწია, გადმოწიოს]

გადმოუსხამს; **გადმოუსხამდა**; **გადმოუსხამდეს** [და არა გადმოუსხავს...]

გადმოქაჩავს; **გადმოქაჩა**; **გადმოუქაჩავს**; **გადმოექაჩა**

გადმოჰყვება; **გადმოჰყვა**; **გადმოჰყოლია**; **გადმოჰყოლოდა** [და არა გადმოყვება, გადმოყვა...]

გადმოჰყურებს; **გადმოჰყურებდა**; **გადმოჰყურებდეს** [და არა გადმოყურებს...]

გაებმება (ის); **გაება**; **გაბმულა**; **გაბმულიყო**

გაებნევა; **გაებნა**; **გაჰბნევია**; **გაჰბნეოდა** [და არა გაბნევია, გაბნეოდა]

გაეგზავნება; **გაეგზავნა**; **გაჰგზავნია**; **გაჰგზავნოდა** [და არა გაგზავნია, გაგზავნოდა]

გაეკეთებინა; **გაეკეთებინოს** [და არა გაეკეთებია, გაეკეთებიოს]

გაეკეთებინებინა; **გაეკეთებინებინოს** [და არა გაეკეთებინებია, გაეკეთებინებიოს]

გაემგზავრება; **გაემგზავრა**; **გამგზავრებულა**; **გამგზავრებულიყო**

გაემგზავრება (ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ისმის: სასიამოვნოა, რომ მათი **ნამუშევრები** საზღვარგარეთ **გაემგზავრება**; მისი **ნახატები** ლონდონის გამოფენაზე **გაემგზავრება**... ამ კონტექსტებში (და

საერთოდ) **რა** ჯგუფის სახელებთან **გაემგზავრება** ზმნის გამოყენება უმართებულოა. უნდა იყოს: **ნამუშევრები გაიგზავნება**)

გაემზადება; გაემზადა; გამზადებულა; გამზადებულიყო

[გაენთავისუფლა, გავენთავისუფლე, გაენთავისუფლე კი არა] **გაეთავისუფლა, გავეთავისუფლე, გაეთავისუფლე**

გაერთმნიშვნელიანება (გაერთმნიშვნელიანების^ა): **გაერთმნიშვნელიანებულია**

გაერთიანება; გაერთო; გართობილა; გართობილიყო

გაეღვიძება; გაეღვიძა; გაღვიძებია; გაღვიძებოდა [და არა გაჰღვიძებია, გაჰღვიძებოდა]

გაეყოფა; გაეყო; გაჰყოფია; გაჰყოფოდა [და არა გაყოფვია; გაყოფვოდა]

გაეცინება; გაეცინა; გასცინებია; გასცინებოდა [და არა გაცინებია, გაცინებოდა]

გაეცლება; გაეცალა; გასცლია; გასცლოდა [და არა გაცლია, გაცლოდა]

[გაეხარდება, გაეხარდა კი არა] **გაუხარდება; გაუხარდა**

გაეხსნება; გაეხსნა; გახსნია; გახსნოდა

გაეხუმრება; გაეხუმრა; გახუმრებია; გახუმრებოდა

გავარდ-გამოვარდება; გავარდ-გამოვარდა; გავარდნილ-გამოვარდნილა; გავარდნილ-გამოვარდნილიყო

გავლა-გამოვლა (გავლა-გამოვლის^ა)

გავლენა (გავლენის^ა); **გავლენიანი**

გავლენიანობა (გავლენიანობის^ა)

[გავმეორდები კი არა] **გავიმეორებ** (ნათქვამს/ჩემს აზრს...)

[გავნაგრძობ კი არა] **განვაგრძობ**

გავრისკე [და არა ვირისკე]

[გავს, გავდა, გავდეს კი არა] **ჰგავს; ჰგავდა; ჰგავდეს**

[გავყიდიდი, გავყიდიდე კი არა] **გავყიდდი; გავყიდდე**

გაზვიადება (გაზვიადების^ა): **გაზვიადებული** (გაზვიადებულად)

გაზიარება (გაზიარების^ა): **გაზიარებული**

გაზომ-გამოზომავს; გაზომ-გამოზომა; გაუზომ-გამოუზომავს; გაეზომ-გამოეზომა

გაზონი

გაზქურა (გაზქურის^ა)

გათავისება (გათავისების^ა): **გათავისებული**

გათავისუფლდება // განთავისუფლდება; გათავისუფლდა // განთავისუფლდა; გათავისუფლებულა // განთავისუფლებულა; გათავისუფლებულიყო // განთავისუფლებულიყო

გათავისუფლება (გათავისუფლები-

ს˹ა˺) // **განთავისუფლება** (განთავისუფლების˹ა˺)

გათავისუფლებული // განთავისუფლებული

გათამაშება (გათამაშების˹ა˺): **გათამაშებული**

გათანაბრება (გათანაბრების˹ა˺): **გათანაბრებული**

გათანამედროვება (გათანამედროვების˹ა˺): **გათანამედროვებული**

გათანასწორება (გათანასწორების˹ა˺): **გათანასწორებული**

გათელავს; გათელა; გაუთელავს; გაეთელა

გათვალისწინება (გათვალისწინების˹ა˺): **გათვალისწინებული**

გათვითცნობიერება (გათვითცნობიერების˹ა˺): **გათვითცნობიერებული**

გათვლის; გათვალა; გაუთვლია; გაეთვალა

გათიშავს; გათიშა; გაუთიშავს; გაეთიშა

გათიშვა [და არა გათიშვები]

გაიაზრებს; გაიაზრა; გაუაზრებია; გაეაზრებინა [და არა გაეაზრებია]

გაიაფდება; გაიაფდა; გაიაფებულა; გაიაფებულიყო

გაიაფება (გაიაფების˹ა˺): **გაიაფებული**

გაიგებს: 1. გონებით ჩასწვდება რამეს, – გაიაზრებს, შეიცნობს, შეიგნებს, მიხვდება; ნათქვამის აზრს გაიგებს (ვერ **გაიგო** ამხანაგის ნათქვამი); 2. შეიტყობს: „ჩემს საქციელს, სამარცხვინოს, ვინ **გაიგებს**, ვინ დამმრახავს“ (აკაკი) – **გაიგონებს**: 1. სმენით, ყურით აღიქვამს, მოისმენს: „ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან **გაუგონია**“ (აკაკი); 2. დაიჯერებს: „ნეტავი **გამეგონა** შენი სიტყვა“ (თ. რაზიკ.).

გაიგებს; გაიგო; გაუგია; გაეგო

გაიგონებს; გაიგონა; გაუგონია; გაეგონა

გაიდება; გაიდო; გადებულა; გადებულიყო

გაივლ-გამოივლის, მაგრამ: **გაიარ-გამოიარა**

გაივლის; გაიარა; გაუვლია; გაევლო

გაითავისუფლებს; გაითავისუფლა; გაუთავისუფლებია; გაეთავისუფლებინა [და არა გაინთავისუფლებს, გაინთავისუფლა...]

გაიკეთებს; გაიკეთა; გაუკეთებია; გაეკეთებინა [და არა გაეკეთებია]

გაიმართება; გაიმართა; გამართულა; გამართულიყო

გაიმართლებს; გაიმართლა; გაუმართლებია; გაემართლებინა [და არა გაემართლებია]

გაიმარჯვებს; გაიმარჯვა; გაუმარჯვია; გაემარჯვა

გაიმეორებს; გაიმეორა; გაუმეორებია; გაემეორებინა [და არა გაემეორებია]

გაიმიჯნება; გაიმიჯნა; გამიჯნულა;

გამოჯნულიყო

[გაიმორიტი კი არა] **ჰაიმორიტი**

გაირკვევა; გაირკვა; გარკვეულა; გარკვეულიყო

გაირუჯა [და არა ზაგარი მიიღო]

გაირღვევა; გაირღვა; გარღვეულა; გარღვეულიყო

გაირჩევა; გაირჩა; გარჩეულა; გარჩეულიყო

გაიტანს; გაიტანა; გაუტანია; გაეტანა

გაიფანტ-გამოიფანტება; გაიფანტ-გამოიფანტა; გაფანტულ-გამოფანტულა; გაფანტულ-გამოფანტულიყო

გაიფართოებს; გაიფართოვა; გაუფართოებია; გაეფართოებინა

გაიჭრევ-გამოიჭრევს; გაიჭ-გამოიჭრა; გაუჭრევ-გამოუჭრევია; გაეჭ-გამოეჭრა

გაიქცევ-გამოიქცევა; გაიქც-გამოიქცა; გაქცეულ-გამოქცეულა; გაქცეულ-გამოქცეულიყო

გაიყიდება; გაიყიდა; გაყიდულა; გაყიდულიყო

გაიწირება; გაიწირა; გაწირულა; გაწირულიყო

გაიწმენდს; გაიწმენდდა; გაიწმენდდეს [და არა გაიწმენდავს, გაიწმინდავს; გაიწმენდავდა, გაიწმინდავდა; გაიწმენდავდეს, გაიწმინდავდეს]; **გაიწმინდა; გაუწმენდია; გაეწმინდა**

გაიწყვეტს; გაიწყვეტდა; გაიწყვეტდეს [და არა გაიწყვეტავს, გაიწყვიტავს; გაიწყვეტავდა, გაიწყვიტავდა; გაიწყვეტავდეს, გაიწყვიტავდეს]; **გაიწყვიტა; გაუწყვეტია; გაეწყვიტა**

გაიჭირვებს; გაიჭირვა; გაუჭირვებია; გაეჭირვებინა [და არა გაეჭირვებია]

გაიხანგრძლივებს; გაიხანგრძლივა; გაუხანგრძლივებია; გაეხანგრძლივებინა [და არა გაეხანგრძლივებია]

გაკვალვა (= გაწმენდა, მაგ., თოვლისგან გზის **გაკვალვა**) – **გაკვლევა** (= გაგნება, პოვნა, მაგ., ტყეში გზის **გაკვლევა**)

გაკითხვა (= 1. მოწყალების გაცემა; 2. გაგება, მოკითხვა) – **განკითხვა** (= 1. გარჩევა, განხილვა; განსჯა, გასამართლება; 2. ეკლ. ვინმეს განსჯა ცოდვების გამო) – **გაკიცხვა, განკიცხვა** (= გაკილვა)

გაკონტროლება (გაკონტროლების[ა]): **გაკონტროლებული**

გაკოტრდება; გაკოტრდა; გაკოტრებულა; გაკოტრებულიყო

გაკოტრება (გაკოტრების[ა]): **გაკოტრებული**

გალავანი (გალავნის[ა])

გალა-კონცერტი (// **გალაკონცერტი**)

გალანძღავს; გალანძღა; გაულანძღავს; გაელანძღა

გალერეა (გალერეის[ა]) [და არა გალერია, გალერეია]

გალვანომეტრი (= სუსტი ელექტრული დენის საზომი ხელსაწყო) –

გალვანოსკოპი (= უმარტივესი ხელსაწყო წრედში მუდმივი დენის გამოსამჟღავნებლად და მისი მიმართულების გასარკვევად)

[გალსტუკი, გალსტუხი კი არა] **ჰალსტუხი**

[გალუცინაცია, გალუცინაციური კი არა] **ჰალუცინაცია**: **ჰალუცინაციური**

გამა (გამის˹ა˺)

გამაგრილებელი (გამაგრილებლად)

გამაერთიანებელი (გამაერთიანებლად)

გამამართლებელი (გამამართლებლის˹ა˺)

გამამთელებელი (= ვინც ან რაც გაამთელებს რაიმეს, მთელს გახდის) – **გამამრთელებელი** (= ვინც ან რაც გაამრთელებს; გამაჯანსაღებელი)

გამამტყუნებელი (განაჩენი)

გამართავს; **გამართა**; **გაუმართავს**; **გაემართა**

გამართლდება; **გამართლდა**; **გამართლებულა**; **გამართლებულიყო**

გამართლება (გამართლების˹ა˺): **გამართლებული**

გამარჯვება (გამარჯვების˹ა˺): **გამარჯვებული**

გამარჯობა [// გამარჯობათ]

გამაფრთხილებელი (გასროლა...) – **გამფრთხილებელი** (= მომფრთხილებელი)

გამაღიზიანებელი (გამაღიზიანებლად); **გამღიზიანებელი** (გამღიზიანებლის˹ა˺)

გამაჯანსაღებელი (გამაჯანსაღებლად)

გამბიტი (სპორტ.)

გამგე (გამგის˹ა˺)

გამგე (კათედრისა/საბავშვო ბაღისა...) – **გამგებელი** (ისან-სამგორის რაიონის **გამგებელი**) – **გამგები** (ამბისა...)

გამგებელი (გამგებლის˹ა˺)

გამგებლობა (გამგებლობის˹ა˺)

გამგეობა და **გამგებლობა** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს გამგის მოვალეობას, მმართველობას, მართვას, ხელმძღვანელობას, მაგრამ **გამგეობას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: დაწესებულების ან ორგანიზაციის მმართველი ორგანო.

გამგრძელებელი (გამგრძელებლის˹ა˺)

გამეორება // განმეორება

გამეორებული // განმეორებული

გამზირი // პროსპექტი

გამთლიანება (გამთლიანების˹ა˺): **გამთლიანებული**

გამიჯვნა (გამიჯვნის˹ა˺): **გამიჯნული**

გამიჯნავს; **გამიჯნა**; **გაუმიჯნავს**; **გაემიჯნა**

გამლახავი // გამლახველი

გამლესავი // გამლესველი

გამმართავი // გამმართველი

გამოააშკარავებს; გამოააშკარავა; გამოუაშკარავებია; გამოეაშკარავებინა [და არა გამოეაშკარავებია]

გამოამზეურებს; გამოამზეურა; გამოუმზეურებია; გამოემზეურებინა [და არა გამოემზეურებია]

[გამოანთავისუფლებს, გამოანთავისუფლა... კი არა] **გამოათავისუფლებს; გამოათავისუფლა; გამოუთავისუფლებია; გამოეთავისუფლებინა**

გამოართმევს; გამოართვა; გამოურთმევია; გამოერთმია

გამოარკვევინებს; გამოარკვევინა; გამოურკვევინებია; გამოერკვევინებინა [და არა გამოარკვევიებს, გამოარკვევია...]

გამოარკვევს; გამოარკვია; გამოურკვევია; გამოერკვია

გამოარჩევინებს; გამოარჩევინა; გამოურჩევინებია; გამოერჩევინებინა [და არა გამოარჩევიებს, გამოარჩევია...]

გამოარჩევს; გამოარჩია; გამოურჩევია; გამოერჩია

გამოასალმებს; გამოასალმა; გამოუსალმებია; გამოესალმებინა [და არა გამოესალმებია]

გამოასწორებინებს; გამოასწორებინა; გამოუსწორებინებია; გამოესწორებინებინა [და არა გამოასწორებიებს, გამოასწორებია...]

გამოასწორებს; გამოასწორა; გამოუსწორებია; გამოესწორებინა [და არა გამოესწორებია]

გამოაქვეყნებინებს; გამოაქვეყნებინა; გამოუქვეყნებინებია; გამოექვეყნებინებინა [და არა გამოაქვეყნებიებს, გამოაქვეყნებია...]

გამოაქვეყნებს; გამოაქვეყნა; გამოუქვეყნებია; გამოექვეყნებინა [და არა გამოექვეყნებია]

გამოაქვს; გამოჰქონდა; გამოჰქონდეს [და არა გამოქონდა, გამოქონდეს]

გამოაშკარავდება; გამოაშკარავდა; გამოაშკარავებულა; გამოაშკარავებულიყო

გამოაშკარავება (გამოაშკარავების⌜ა⌝): **გამოაშკარავებული**

გამოაცხადებინებს; გამოაცხადებინა; გამოუცხადებინებია; გამოეცხადებინებინა [და არა გამოაცხადებიებს, გამოაცხადებია...]

გამოაცხადებს; გამოაცხადა; გამოუცხადებია; გამოეცხადებინა [და არა გამოეცხადებია]

გამოაჭრევინებს; გამოაჭრევინა; გამოუჭრევინებია; გამოეჭრევინებინა [და არა გამოაჭრევიებს, გამოაჭრევია...]

გამოგზავნის; გამოგზავნა; გამოუგზავნია; გამოეგზავნა

გამოდევნა (გამოდევნის⌜ა⌝): **გამოდევნილი**

გამოდევნა (= გამოგდება; გამოყრა; გამოძევება) – **გამოდევნება** (= 1. გამოკიდება, დადევნება; 2. გადატ. რაიმეთი მეტისმეტად გატაცება, დაინტერესება)

გამოდევნება (გამოდევნების⌜ა⌝): **გამოდევნებული**

გამოეკიდება; გამოეკიდა; გამოჰკიდებია; გამოჰკიდებოდა [და არა გამოკიდებია, გამოკიდებოდა]

გამოელაპარაკება; გამოელაპარაკა; გამოლაპარაკებია; გამოლაპარაკებოდა

გამოემგზავრება; გამოემგზავრა; გამომგზავრებულა; გამომგზავრებულიყო

გამოემშვიდობება; გამოემშვიდობა; გამომშვიდობებია; გამომშვიდობებოდა

გამოერკვევა (ის); **გამოერკვია // გამოერკვა; გამორკვეულა; გამორკვეულიყო**

გამოეცლება; გამოეცალა; გამოსცლია; გამოსცლოდა [და არა გამოცლია, გამოცლოდა]

გამოეცხადება; გამოეცხადა; გამოსცხადებია; გამოსცხადებოდა [და არა გამოცხადებია, გამოცხადებოდა]

[გამოვიდა კავშირზე კი არა] **დაგვიკავშირდა**

გამოვლენა (გამოვლენის⌜ა⌝): **გამოვლენილი**

გამოვლინდება; გამოვლინდა; გამოვლენილა; გამოვლენილიყო

გამოვლინება (გამოვლინების⌜ა⌝): **გამოვლინებული**

გამოზაფხულება (გამოზაფხულების⌜ა⌝): **გამოზაფხულებული**

გამოთიშვა (გამოთიშვის⌜ა⌝): **გამოთიშული**

გამოთქვამს [და არა გამოთქვავს]; **გამოუთქვამს** [და არა გამოუთქვავს]; **გამოეთქვა**

გამოივლის; გამოიარა; გამოუვლია; გამოევლო

გამოითქმება // გამოითქმის

გამოირკვევა; გამოირკვა; გამორკვეულა; გამორკვეულიყო

გამოიყენებს; გამოიყენა; გამოუყენებია; გამოეყენებინა [და არა გამოეყენებია]

გამოიყვანს; გამოიყვანა; გამოუყვანია; გამოეყვანა

გამოიძიებს; გამოიძია; გამოუძიებია; გამოეძიებინა [და არა გამოეძიებია]

გამოიწვევს; გამოიწვია; გამოუწვევია; გამოეწვია

[გამოკითხავს კი არა] **გამოჰკითხავს**

გამოკითხვა (გამოკითხვის⌜ა⌝); **გამოკითხული**

გამომგონებელი (გამომგონებლის⌜ა⌝)

გამომდინარეობს; გამომდინარეობდა; გამომდინარეობდეს

გამომჟღავნდება; გამომჟღავნდა; გამომჟღავნებულა; გამომჟღავნებულიყო

გამომსვლელი (გამომსვლელის⌜ა⌝)

გამომცემელი (გამომცემლის⌜ა⌝)

გამომცემლობა (გამომცემლობის⌜ა⌝)

გამომცნობი // გამომცნობელი (გამომცნობლის˹ა˺)

გამომცხობი // გამომცხობელი (გამომცხობლის˹ა˺)

გამომძიებელი (გამომძიებლის˹ა˺)

გამონაკლისი (გამონაკლისს)

გამონაცადი

გამოჟონავს; გამოჟონა; გამოუჟონავს; გამოეჟონა

გამორბენა (გამორბენის˹ა˺)

გამორიცხავს; გამორიცხა; გამოურიცხავს; გამოერიცხა

გამორიცხვა (გამორიცხვის˹ა˺): **გამორიცხული**

გამორჩეული (გამორჩეულად)

გამოსავალი (გამოსავლის˹ა˺)

გამოსაზიდი // გამოსაზიდავი

გამოსაკვები // გამოსაკვებავი

გამოსაკვლევი (გამოსაკვლევად)

გამოსაკითხი // გამოსაკითხავი

გამოსალმება (გამოსალმების˹ა˺)

გამოსამზეურებელი (გამოსამზეურებლად)

გამოსამჟღავნებელი (გამოსამჟღავნებლად)

გამოსამუშავებელი (გამოსამუშავებლად)

გამოსამშვიდობებელი (გამოსამშვიდობებლად)

გამოსარიცხი // გამოსარიცხავი

გამოსასალმებელი (გამოსასალმებლად)

გამოსასახლებელი (გამოსასახლებლად)

[გამოსასვლელი დღე / ტანსაცმელი კი არა] **დასვენების/უქმე დღე; საგარეო/სადღესასწაულო ტანსაცმელი**

გამოსასყიდი

გამოსასწორებელი (გამოსასწორებლად)

გამოსატყუებელი (გამოსატყუებლად)

გამოსაქვეყნებელი (გამოსაქვეყნებლად)

გამოსაღვიძებელი (გამოსაღვიძებლად)

გამოსაყვანი (გამოსაყვანად)

გამოსაშვები (გამოსაშვებად)

გამოსაცემი (გამოსაცემმა)

გამოსაცვლელი (გამოსაცვლელად)

გამოსაცნობი (გამოსაცნობად)

გამოსაცოცხლებელი (გამოსაცოცხლებლად)

გამოსაცხადებელი (გამოსაცხადებლად)

გამოსაცხობი (გამოსაცხობად)

გამოსაძახებელი (გამოსაძახებლად)

გამოსაძიებელი (გამოსაძიებლად)

გამოსაწვავი (გამოსაწვავად)

გამოსაწველი (გამოსაწველად)

გამოსახედი // გამოსახედავი

გამოსახლება (გამოსახლების˹ა˺): გამოსახლებული

გამოსახულება (გამოსახულების˹ა˺): **გამოსახული**

გამოსცემს; გამოსცემდა; გამოსცემდეს; გამოსცა; გამოუცია; გამოეცა

გამოტანა (= 1. შიგნიდან გარეთ (იქიდან აქეთ) მოტანა; წამოღება; 2. გამობმა, გამოსხმა: კვირტის **გამოტანა**; 3. მიღება და გამოცხადება: განაჩენის **გამოტანა**; შდრ.: **დღის სინათლეზე გამოტანა** – საქვეყნოდ გამოცხადება) – **გამოტანება** (= ვინმეს ხელით გამოგზავნა, გამოყოლება)

გამოუგზავნის; **გამოუგზავნა**; **გამოუგზავნია**; **გამოეგზავნა**

გამოუმუშავდება; **გამოუმუშავდა**; **გამომუშავებია**; **გამომუშავებოდა**

გამოურიცხავი // გამოურიცხველი (გამოურიცხველად)

გამოურკვევი // გამოურკვეველი (გამოურკვევლად)

გამოუსადეგარი; **გამოუსადეგრობა** (გამოუსადეგრობის⌜ა⌝)

გამოუსწორდება; **გამოუსწორდა**; **გამოსწორებია**; **გამოსწორებოდა**

გამოუსწორებელი (გამოუსწორებლად)

გამოუყენებელი (გამოუყენებლად)

გამოუჩენელი (გამოუჩენლად)

გამოუცდელი (გამოუცდელად)

გამოუცემელი (გამოუცემლად)

გამოუცნობელი (გამოუცნობლად) // **გამოუცნობი**

გამოუცხადებელი (გამოუცხადებლად)

გამოუცხადებლობა (გამოუცხადებლობის⌜ა⌝)

გამოუცხადებს; **გამოუცხადა**; **გამოუცხადებია**; **გამოეცხადებინა** [და არა გამოეცხადებია]

გამოქვაბული (= რაც გამოქვაბეს; მღვიმე) – **ქვაბული** (= ტაფობი; დაცემული, ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის)

გამოქვეყნება (გამოქვეყნების⌜ა⌝): **გამოქვეყნებული**

გამოქვითავს; **გამოქვითა**; **გამოუქვითავს**; **გამოექვითა**

გამოქვითვა (გამოქვითვის⌜ა⌝): **გამოქვითული**

გამოყენება (გამოყენების⌜ა⌝): **გამოყენებული**

გამოყოლა (= ვინმესთან/რაიმესთან ერთად გამოსვლა, წამოსვლა; გამოდევნება; გამოცილება) – **გამოყოლება** (= თან წამოღება; თანხლება)

გამოყოფს; **გამოყო** (**გამოვყავი**, **გამოყავი**); **გამოუყვია**; **გაეოყო**

გამოჩნდება; **გამოჩნდა** [და არა გამოჩდება, გამოჩდა]; **გამოჩენილა**; **გამოჩენილიყო**

გამოცდილება (გამოცდილების⌜ა⌝)

გამოცდის; **გამოცადა**; **გამოუცდია**; **გამოეცადა** [და არა გამოეცადნა]

გამოცვენილი // გამოცვივნული [გამოცხობილი კი არა] **გამომცხვარი**

გამოცხადდება; **გამოცხადდა**; **გამოცხადებულა**; **გამოცხადებულიყო**

გამოძალვა (გამოძალვის⌜ა⌝)

გამოძახება (გამოძახების⌜ა⌝): **გამოძახებული**

გამოძახილი

გამოძიება (გამოძიების˹ა˺): **გამოძიებული; გამოძიებითი**

გამოწვევა [და არა გამოწვევები]

გამოწვლილვით (= ზედმიწევნით, დაწვრილებით)

გამოწვრთნა (გამოწვრთნის˹ა˺): **გამოწვრთნილი**

გამოწვრთნის; გამოწვრთნა; გამოუწვრთნია; გამოეწვრთნა [და არა გამოწრთვნის, გამოწრთვნა...]

გამოწრთობა (გამოწრთობის˹ა˺): **გამოწრთობილი**

გამოხატულება (გამოხატულების˹ა˺)

გამოხმაურება (გამოხმაურების˹ა˺)

გამოჯანმრთელება (გამოჯანმრთელების˹ა˺): **გამოჯანმრთელებული** [და არა გამოჯამთელება, გამოჯამთელებული]

გამოჰკითხავს; გამოჰკითხავდა; გამოჰკითხავდეს; გამოჰკითხა; გამოუკითხავს; გამოეკითხა

გამოჰქონდა; გამოჰქონდეს [და არა გამოქონდა, გამოქონდეს]

გამოჰყავს; გამოჰყავდა; გამოჰყავდეს [და არა გამოყავს, გამოყავდა, გამოყავდეს]

გამჟღავნდება; გამჟღავნდა; გამჟღავნებულა; გამჟღავნებულიყო

გამტარებელი (გამტარებლის˹ა˺)

გამტარი (= სპეც. ნივთიერება, რომელიც გაუშვებს, გაატარებს, გადასცემს სითბოს, ელექტრობას, ბგერას) – **გამტარებელი** (= ვინც ან რაც გაატარებს ვინმეს ან რაიმეს; განმხორციელებელი: კანონის **გამტარებელი**, შდრ.: **დროის გამტარებელი** – მომლხენი)

გამფლანგველი (გამფლანგველის˹ა˺)

გამყარება (გამყარების˹ა˺): **გამყარებული**

გამყვლეფი

გამყიდველი (გამყიდველის˹ა˺)

გამყივანი (ხმა) – **განყინავი** (ქარი)

გამცემი (გამცემმა)

გამმაფრება (გამმაფრების˹ა˺): **გამმაფრებული**

გამძლე (გამძლის˹ა˺, მრ. გამძლეები)

გამწირავი // გამწირველი (გამწირველის˹ა˺)

გამწმენდი // გამწმენდელი (გამწმენდლის˹ა˺)

გამჭვირვალე (გამჭვირვალის˹ა˺) [და არა გამჭირვალე]

გამჭოლი გადაცემა (სპორტ.)

გამხარებელი (გამხარებლის˹ა˺)

გამხოლოებული // განმხოლოებული

-გან: ეს თანდებული ქართულში დაერთვის სახელთა ნათესაობითის (**ის + გან**) ან მოქმედებითის (**ით + გან → ოდან**) ფორმებს სხვადასხვა ფუნქციით. საერთოა გამოსვლითობის შინაარსი: რისგან? – ხისგან, საიდან? – ხიდან. **-ოდან**

დაბოლოებიანი სახელები გამოიყენება ადგილის ან დროის სემანტიკით: **ქალაქიდან**, **დილიდან**, **ბავშვობიდან** და მისთ. ზოგჯერ **-იდან** არასწორად გვხვდება **-გან** თანდებულიანი ნათესაობითის ადგილას: გამოთალა **ხიდან** (უნდა იყოს: **ხისგან**). დასტურდება აღრევის საპირისპირო შემთხვევაც: **ჩიხისგან** გამოვიყვანოთ ქვეყანა. უნდა იყოს: **ჩიხიდან** გამოვიყვანოთ ქვეყანა.

განაახლებს; **განააახლა**; **განუახლებია**; **განეახლებინა** [და არა განეახლებია]

განადგურდება; **განადგურდა**; **განადგურებულა**; **განადგურებულიყო**

განადგურება (განადგურების˹ა˺): **განადგურებული**

განავითარებს; **განავითარა**; **განუვითარებია**; **განევითარებინა** (// **გაავითარებს**; **გაავითარა**; **გაუვითარებია**; **გაევითარებინა**) [და არა გაანვითარებს, გაანვითარა...]

განაზოგადებს; **განაზოგადა**; **განუზოგადებია**; **განეზოგადებინა** [და არა გაანზოგადებს, გაანზოგადა...]

განამტკიცებს // გაამტკიცებს; **განამტკიცა // გაამტკიცა**; **განუმტკიცებია // გაუმტკიცებია**; **განემტკიცებინა // გაემტკიცებინა**

განაპირა მხარე, მაგრამ: ტყის **განაპირას**

განასახიერებს; **განასახიერა**; **განუსახიერებია**; **განესახიერებინა** [და არა გაანსახიერებს, გაანსახიერა...]

განასხვავებს; **განასხვავა**; **განუსხვავებია**; **განესხვავებინა** [და არა გაანსხვავებს, გაანსხვავა...]

განაშენიანება (განაშენიანების˹ა˺): **განაშენიანებული**

განაჩენი: სასამართლოს მიერ სამსჯავრო სხდომაზე გამოტანილი გადაწყვეტილება // გადატ. გადაწყვეტილება, დადგენილება; შდრ.: **განჩინება**: კოლეგიური წესით გამოტანილი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე (განაჩენის გარდა).

განაცალკევებს; **განაცალკევა**; **განუცალკევებია**; **განეცალკევებინა** // **გააცალკევებს**; **გააცალკევა**; **გაუცალკევებია**; **გაეცალკევებინა** [და არა გაანცალკევებს, გაანცალკევა...]

განაცვიფრებს; **განაცვიფრა**; **განუცვიფრებია**; **განეცვიფრებინა** // **გააცვიფრებს**; **გააცვიფრა**; **გაუცვიფრებია**; **გაეცვიფრებინა** [და არა გაანცვიფრებს, გაანცვიფრა...]

განაცხადებს; **განაცხადა**; **განუცხადებია**; **განეცხადებინა** [და არა განეცხადებია]

განაცხადი (= ოფიციალური ხასიათის წინასწარი განცხადება; თხოვნა, მოთხოვნა, მაგ., **განაცხადი** საშენი

მასალის / ცემენტის... შესახებ) – **განცხადება** (= 1. რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი, მაგ., **განცხადება** დაწერა შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით; 2. წერილობითი ან ზეპირი უწყება ვინმეს ან რაიმეს შესახებ, მაგ., მთავრობის **განცხადება**)

განახლება (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **მოხდა თამაშის განახლება,** რაც უმართებულოა. უნდა იყოს: **თამაში განახლდა**)

[განახორციელა შეტევა/გასროლა კი არა] **შეუტია**; **გაისროლა** (სპორტ.)

განახორციელებს; **განახორციელა**; **განუხორციელებია**; **განეხორციელებინა** [და არა გაანხორციელებს, გაანხორციელა...]

გან-გან, მაგრამ: **განდაგან**

განდგომილი, **განმდგარი** (= ვინც განდგა; განზე განმდგარი; განცალკევებული; რაიმე სისტემას ნებაყოფლობით გამოყოფილი) – **განდეგილი** (= ამქვეყნიურ ცხოვრებას განშორებული – მწირი, ასკეტი)

განედი

განვადება (განვადების[ა]): **განვადებული**

განვითარდება; **განვითარდა**; **განვითარებულა**; **განვითარებულიყო**

განზოგადება (= ზოგადი სახის/ხასიათის მიცემა რაიმესათვის; ფაქტების მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოტანა) – **განსაზოგადოება** (= საზოგადო კუთვნილებად ქცევა)

განზოგადებული [და არა განზოგადოებული]

განთქმა (განთქმის[ა]) (მაგ.: **სახელის განთქმა** = სახელის მოხვეჭა): **განთქმული**

განითქვამს [და არა განითქვავს]

განიკურნება; **განიკურნა**; **განკურნებულა**; **განკურნებულიყო**

განიმარტება; **განიმარტა**; **განმარტებულა**; **განმარტებულიყო**

(განიმეორებს //) გაიმეორებს; **(განიმეორა //) გაიმეორა**; **(განუმეორებია //) გაუმეორებია**; **(განემეორებინა //) გაემეორებინა**

განიმსჭვალება; **განიმსჭვალა**; **განმსჭვალულა**; **განმსჭვალულიყო // გაიმსჭვალება**; **გაიმსჭვალა**; **გამსჭვალულა**; **გამსჭვალულიყო**

განირჩევა // გაირჩევა

განიხილავს; **განიხილა**; **განუხილავს**; **განეხილა**

განიხილება (ჩვენი საკითხი) [და არა განვიხილებით (ჩვენ)]

განლაგდება (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: თავდამსხმელს შეუძლია დაცვის მარცხენა **ფლანგზეც განლაგდეს**; ამ **პოზიციაზე განლაგდება** სხვა ფეხბურთელი; სპორტსმენი ოდნავ უკან **არის განლაგებული... განლაგება** ნიშნავს ამა თუ იმ ადგილზე გარკვე-

ული წესით რაიმე საგნების, ნაგებობათა, ჯარის ნაწილებისა და მისთ. მოთავსებას, განაწილებას. უმართებულოა **ერთის განლაგება** (მაგ., თავდამსხმელისა ამა თუ იმ პოზიციაზე). უნდა იყოს: თავდამსხმელი მარცხენა ფლანგზე **დაიკავებს ადგილს** (ან **დადგება**)

განლაგება (განლაგების^ა): **განლაგებული**

განმაზოგადებელი [და არა განმაზოგადოებელი]

განმათავისუფლებელი (// **გამათავისუფლებელი**) [და არა გამანთავისუფლებელი]

განმამტკიცებელი (განმამტკიცებლის^ა)

განმანათლებელი (განმანათლებლის^ა)

განმარტება (განმარტების^ა)

განმარტოებულად (განმარტოებულად)

განმარტოვდება; განმარტოვდა; განმარტოებულა; განმარტოებულიყო

განმასხვავებელი (განმასხვავებლის^ა)

განმახორციელებელი (განმახორციელებლის^ა)

განმდგარი

განმეორება // გამეორება

განმეორებითი

განმეორებული // გამეორებული

განმკლავი (სპორტ.)

განმკურნავი (// **განმკურნებელი**) (განმკურნებლის^ა)

განმსაზღვრელი (განმსაზღვრელად)

განმსჭვალული

განმსჯელი

განმცხადებელი (განმცხადებლის^ა)

განრიგება (= მოწესრიგება; განაწილება) – **გარიგება** (= 1. რაიმეზე შეთანხმება ორმხრივი სარგებლის ნახვით; 2. ორ პირს შორის ქორწინების საქმის მოგვარება)

განრისხება (განრისხების^ა): **განრისხებული**

განსაზოგადოება (განსაზოგადოების^ა)

განსაზღვრა (= 1. რაიმეს საზღვრების, ფარგლების დადგენა, მაგ., მოცულობის **განსაზღვრა**; 2. რაიმე ცნების მეცნიერული დახასიათება, განმარტება, მაგ., ტერმინის **განსაზღვრა**) – **განსაზღვრება** (= გრამატ. წიწადადების წევრი, რომელიც ახასიათებს სხვა წევრს – ქვემდებარეს, დამატებას)

განსაზღვრავს; განსაზღვრა; განუსაზღვრავს; განესაზღვრა

განსაზღვრული (განსაზღვრულად)

განსასჯელი (განსასჯელის^ა)

განსაცდელი (განსაცდელის^ა)

განსაცვიფრებელი (განსაცვიფრებლად)

განსახილველი (განსახილველად)

განსახლება (= საცხოვრებელ ადგილზე განაწილება) – **გასახლება**

(= ბინიდან იძულებით გაყვანა/გაძევება)

განსახორციელებელი (განსახორციელებლად)

განსხვავებული (განსხვავებულად)

განტევების ვაცი (მეტაფორულად აღნიშნავს ისეთ ადამიანს (შესაძლოა ქვეყანასაც), რომელსაც სხვათა მაგიერ სთხოვენ პასუხს)

[განტელიკი არა] **ჰანტელი**

განუკითხაობა (განუკითხაობის⌜ა⌝)

განუკურნავი // განუკურნებელი (განუკურნებლად)

განუმეორებელი (განუმეორებლად)

განურჩეველი (განურჩევლად)

განურჩევლად და **გაურჩევლად** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ერთნაირად, თანაბრად: „ხალხი ითხოვდა პირდაპირ შეგმას – **განურჩევლად**, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე“ (ა. ყაზბ.); „ყველას **გაურჩევლად** ეხუმრებოდა“ (მელან.), მაგრამ **გაურჩევლად** სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. გარჩევის გარეშე (ლობიო **გაურჩევლად** დატოვეს); 2. განხილვის გარეშე (**გაურჩევლად** დარჩენილი საკითხი); 3. გაურკვევლად (**გაურჩევლად** ნაწერი).

განურჩევლობა (განურჩევლობის⌜ა⌝)

განუსაზღვრელი (განუსაზღვრელად)

განუყოფელი (მეგობარი), მაგრამ: **გაუყოფელი** (მიწა/ქონება)

განუწყვეტელი (განუწყვეტლად // განუწყვეტლივ)

განუჭვრეტელი (განუჭვრეტლად)

განუხილავი (განუხილავად) // **განუხილველი** (განუხილველად)

განუხორციელებელი (განუხორციელებლად)

განუხრელი (განუხრელად)

განუხრელობა (განუხრელობის⌜ა⌝)

განფეხი (სპორტ.)

განქორწინება (განქორწინების⌜ა⌝): **განქორწინებული**

განყენებული (განყენებულად)

განყოფილება (განყოფილების⌜ა⌝); **საგანყოფილებო**

განჩინება – განაჩენი (იხ.)

განცალკევება: **განცალკევებული** (განცალკევებულად)

განცალკევებულობა (განცალკევებულობის⌜ა⌝)

განწესება (განწესების⌜ა⌝): **განწესებული**

განწმენდა: ცოდვებისაგან გათავისუფლება: „მუდამ მლოცავი, სულიერ **განწმენდაში** მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავადმყოფი სამსახურს მოითხოვდა“ (ა. ყაზბ.) – **განწმენდა**: გასუფთავება (მაგ., **განწმენდა** ფეხსაცმლისა/გზისა...).

განწმენდილი (ადამიანი/სული...) –

გაწმენდილი (ფეხსაცმელი/იატაკი/ გზა...)

განწყობა და **განწყობილება** ხშირად სინონიმებად გამოიყენება და ნიშნავს გუნებას, ხასიათს (კარგი **განწყობა/განწყობილება**), მაგრამ **განწყობას** განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვს: 1. ფსიქ. ამა თუ იმ განცდისა და ქცევისათვის მზადყოფნა (**განწყობის თეორია**); 2. ვინმესთან დამოკიდებულება; ურთიერთობა (მეზობლის მიმართ კარგი **განწყობა** ჰქონდა).

განხეთქილება (განხეთქილების᾽ა᾽)

განხილვა (განხილვის᾽ა᾽) (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ეს **განხილვადი** საკითხებია. უმჯობესია: ამ საკითხების **განხილვა** შესაძლებელია; ეს საკითხები **განიხილება**)

განხილულ იქნა საკითხი, მაგრამ: **საკითხი იქნა განხილული**

განხორციელება (განხორციელების᾽ა᾽): **განხორციელებული** (განხორციელებულად)

გაორმაგება (გაორმაგების᾽ა᾽): **გაორმაგებული** (გაორმაგებულად)

გაპარული (= მალულად, ფარულად წასული) – **გაპარებული** (= ვინც ან რაც გააპარეს)

გაპროტესტდება; **გაპროტესტდა**; **გაპროტესტებულა**; **გაპროტესტებულიყო**

გაპროტესტება (გაპროტესტების᾽ა᾽): **გაპროტესტებული**

გარანტი (= სამართ. თავდები; გარანტიის მიმცემი) – **გარანტია** (= პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებას; საწინდარი)

გარანტია (გარანტიის᾽ა᾽); **გარანტიანი**

გარანტირება (გარანტირების᾽ა᾽): **გარანტირებული**

გარბი-გამორბის; **გარბი-გამორბოდა**; **გარბი-გამორბოდეს**

გარდა ამისა, მაგრამ: **ამას გარდა**

გარდამავალი (გარდამავლის᾽ა᾽)

გარდამტეხი (ეტაპი...)

გარდამქმნელი (გარდამქმნელის᾽ა᾽)

გარდატეხა (გარდატეხის᾽ა᾽)

გარდაუვალი (გარდაუვალის᾽ა᾽)

გარე-გარე

გარეთ [და არა გარედ]

გარეკანი (გარეკანის᾽ა᾽)

გარემარხი (სპორტ.)

გარემოება (= 1. მდგომარეობა, ვითარება, პირობები; 2. გრამატ. წინადადების ერთ-ერთი წევრი) – **გარემოცვა** (= 1. ირგვლივ შემორტყმა, ალყა; 2. ირგვლივ მყოფნი)

გარემომცველი

გარემოცული

გარეუბანი (გარეუბნის᾽ა᾽)

გარეწარი (გარეწრის᾽ა᾽); **გარეწრობა**

(გარეწროზის˹ა˺)

გართულდება; გართულდა; გართულებულა; გართულებულიყო

გართულება (გართულების˹ა˺): **გართულებული**

გართხმა (გართხმის˹ა˺): **გართხმული**

გარიცხავს; გარიცხა; გაურიცხავს; გარიცხა

გარიცხვა (გარიცხვის˹ა˺): **გარიცხული**

გარკვეული (გარკვეულად); **გარკვეულობა** (გარკვეულობის˹ა˺)

გარკვეულწილად

გარუჯავს; გარუჯა; გაურუჯავს; გარუჯა

გარუჯვა (გარუჯვის˹ა˺); **გარუჯული**

გარღვევა (გარღვევის˹ა˺): **გარღვეული**

გარშემო (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: პროგრამის / პროექტის/საკითხის **გარშემო** მსჯელობდნენ. უმჯობესია: პროგრამის/პროექტის/საკითხის **შესახებ** მსჯელობდნენ..., მაგრამ: სოფლის **გარშემო** ტყეა...)

გარშემორტყმული (კლდეებით **გარშემორტყმული**)

გარშემოწერილობა (გარშემოწერილობის˹ა˺)

გარჩევა (გარჩევის˹ა˺) [და არა გარჩევები]

გასაბერი // გასაბერავი

გასაგები (= მისახვედრი; ნათელი, ცხადი: „კაცის ხასიათს ვინ იცნობს, **გასაგებია** ძნელადა“ (ვაჟა); ყველასათვის **გასაგები** გახდა, თუ ვინ იყო) – **გასაგონებელი** (= ის, რაც უნდა გაიგონონ, მოისმინონ ყურით)

გასაგზავნ-გამოსაგზავნი (გასაგზავნ-გამოსაგზავნად)

გასაგონებელი (გასაგონებლად) // **გასაგონი** (გასაგონად)

გასაზიარებელი (სიხარული/აზრი...) – **საზიარო, ზიარი** (ეზო/ბაღი...)

გასათანაბრებელი (გასათანაბრებლად)

გასათვალისწინებელი (გასათვალისწინებლად)

გასაიდუმლოებული (გასაიდუმლოებულად)

გასაკრიტიკებელი (გასაკრიტიკებლად)

გასამართლებელი (= 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს. მაგ., **გასამართლებელი** საბუთი) – **გასასამართლებელი** (= ვინც უნდა გაასამართლონ, სამართალში მისცენ)

გასამრჯელო

გასამყარებელი (გასამყარებლად)

გასამხიარულებელი (გასამხიარულებლად)

გასამხნევებელი (გასამხნევებლად)

გასანათებელი (გასანათებლად)

გასანათლებელი (გასანათლებლად)

გასანაღდებელი (გასანაღდებლად)

გასანაწილებელი (გასანაწილებლად)

[გასანთავისუფლებელი კი არა] **გასათავისუფლებელი/განსათავისუფლებელი**

გასაოცარი (გასაოცრად) // **გასაოცებელი** (გასაოცებლად)

გასაპროტესტებელი (გასაპროტესტებლად)

გასარეცხი // გასარეცხავი

გასარიცხი // გასარიცხავი

გასარკვევი (გასარკვევად)

გასასახლებელი (გასასახლებლად)

გასასვლელ-გამოსასვლელი

გასასუფთავებელი (გასასუფთავებლად)

გასასწორებელი (გასასწორებლად)

გასაუბრება (გასაუბრების[ა])

გასაუმჯობესებელი (გასაუმჯობესებლად)

გასაუქმებელი (გასაუქმებლად)

გასაფართოებელი (გასაფართოებლად)

გასაფრთხილებელი (გასაფრთხილებლად)

გასაღიზიანებელი (გასაღიზიანებლად)

გასაღრმავებელი (გასაღრმავებლად)

გასაყუჩებელი (გასაყუჩებლის[ა], გასაყუჩებლად)

გასაჩივრება (გასაჩივრების[ა]): **გასაჩივრებული**

გასაცილებელი (გასაცილებლად)

გასაცინებელი (გასაცინებლად)

გასაცინი

გასაცოდავება (გასაცოდავების[ა]): **გასაცოდავებული**

გასაცხადებელი (გასაცხადებლად)

გასაცხრილავი (გასაცხრილავად)

გასაჭიანურებელი (გასაჭიანურებლად)

გასაჭირი

გასახარელი // გასახარებელი (გასახარებლად) // **გასახარი**

გასახსენებელი (გასახსენებლად)

გასაჯანსაღებელი (გასაჯანსაღებლად)

გასაჯაროება (გასაჯაროების[ა]): **გასაჯაროებული**

გასვლითი (სესია/თამაში)

გასტრიტი

გასტროლი; გასტროლიორი

გასტროსკოპია (გასტროსკოპიის[ა])

გასცდება; გასცდა; გასცდენია (ის სახლს), მაგრამ: **გაცდება; გაცდა; გამცდარა** (ლექცია)

გასცემს; გასცა; გაუცია; გაეცა (ბრძანება...)

გასწევ-გამოსწევს; გასწი-გამოსწია; გაუწევ-გამოუწევია

გასწევს; გასწია [და არა გაწევს, გაწია] (გზაზე)

გასხვისდება; გასხვისდა; გასხვისებულა; გასხვისებულიყო

გასხვისება (// **განსხვისება**); **გასხვისებული** (// **განსხვისებული**)

გატარდება; გატარდა; გატარებულა; გატარებულიყო

გატეხს; გატეხდა; გატეხდეს [და არა გატეხავს, გატეხავდა, გატეხავდეს]; **გატეხა: გაუტეხია; გაეტეხა**

გატოლება (გატოლების⌜ა⌝): **გატოლებული**

გაუბამს; გაუბამდა; გაუბამდეს [და არა გაუბავს...]

გაუბედავს; გაუბედავდა; გაუბედავდეს; გაუბედა; გაუბედავს (თურმე); **გაებედა** [და არა გაებედნა]

გაუბედაობა (გაუბედაობის⌜ა⌝)

გაუბრალოება (გაუბრალოების⌜ა⌝): **გაუბრალოებული**

გაუგებარი (გაუგებრის⌜ა⌝)

გაუგებელი (გაუგებლის⌜ა⌝)

გაუგებრობა (გაუგებრობის⌜ა⌝)

გაუგებლობა (= 1. არცოდნა, შეუტყობლობა; 2. გაგების უნარის უქონლობა; რაიმეს არ (ვერ) გაგება, მიუხვედრელობა); შდრ.: **გაუგებრობა** (= 1. რაიმეს ვერ გაგება ან მცდარად გაგება; გაურკვევლობა; 2. უსიამოვნება, გამოწვეული რაიმეს არ/ვერ გაგებით; 3. გაგების უნარის უქონლობა; შეუსმენლობა, შეუგნებლობა, მიუხვედრელობა)

გაუვნებლება (= უვნებლად ქცევა): **გაუვნებლებული**

გაუვრცელებელი (გაუვრცელებლად)

გაუვრცელებს; გაუვრცელა; გაუვრცელებია; გაევრცელებინა [და არა გაევრცელებია]

გაუკეთებელი (გაუკეთებლად)

გაულანძღავს; გაულანძღავდა; გაულანძღავდეს; გაულანძღა; გაულანძღავს (თურმე); **გაელანძღა**

გაუმართავი (გაუმართავად)

გაუმართლდება; გაუმართლდა; გამართლებია; გამართლებოდა

გაუმართლებელი (გაუმართლებლად)

გაუმასპინძლდება; გაუმასპინძლდა; გამასპინძლებია; გამასპინძლებოდა

გაუმარჯვდება; გაუმარჯვდა; გამარჯვებია; გამარჯვებოდა

გაუმარჯოს! (მისალმება, ლოზუნგი)

გაუმაძღარი (გაუმაძღრის⌜ა⌝); **გაუმაძღრობა** (გაუმაძღრობის⌜ა⌝)

გაუმჯობესება (გაუმჯობესების⌜ა⌝): **გაუმჯობესებული**

გაუნაღდებელი (გაუნაღდებლად)

გაუნაწილებელი (გაუნაწილებლად)

[გაუნხორციელა კი არა] **განუხორციელა**

გაურკვეველი (გაურკვევლად)

გაურკვევლობა (გაურკვევლობის⌜ა⌝)

გაუსვამს; გაუსვამდა; გაუსვამდეს [და არა გაუსვავს...]

გაუტოლდება; გაუტოლდა; გასტოლებია; გასტოლებოდა [და არა გატოლებია, გატოლებოდა]

გაუუარესდება; გაუუარესდა; გაუარესებია; გაუარესებოდა

გაუფასურდება; გაუფასურდა; გაუფასურებულა; გაუფასურებულიყო

გაუფასურება (გაუფასურების˹ა˺); **გაუფასურებული**

გაუფრთხილებელი (გაუფრთხილებლად)

გაუფრთხილებლობა (გაუფრთხილებლობის˹ა˺)

გაუქროლ-გამოუქროლებს; გაუქროლ-გამოუქროლა; გაუქროლ-გამოუქროლია; გაექროლ-გამოექროლა

გაუღვიძია (თვითონ) – **გაუღვიძებია** (სხვა)

გაუღიმია (თვითონ) – **გაუღიმებია** (სხვა)

გაუყიდია; გაეყიდა [და არა გაუყიდნია, გაეყიდნა]

გაუყუჩდება; გაუყუჩდა; გაჰყუჩებია; გაჰყუჩებოდა [და არა გაყუჩებია, გაყუჩებოდა]

გაუშუქებელი (გაუშუქებლად)

გაუცვეთია [და არა გაუცვეთავს, გაუცვითავს] (თურმე)

გაუცინია (თვითონ) – **გაუცინებია** (სხვა)

გაუცნობიერებელი (გაუცნობიერებლად)

გაუცხოება (გაუცხოების˹ა˺): **გაუცხოებული**

გაუძღვება; გაუძღვა; გასძღოლია; გასძღოლოდა [და არა გაძღოლია, გაძღოლოდა]

გაუხალისებს; გაუხალისა (გამიხალისა, გაგიხალისა); გაუხალისებია; გაეხალისებინა [და არა გაეხალისებია]

გაუხარდება; გაუხარდა (გამიხარდება, გამიხარდა; გაგიხარდება, გაგიხარდა) [და არა გაეხარდება, გაეხარდა; გამეხარდება, გამეხარდა; გაგეხარდება, გაგეხარდა]

გაუხარებელი (გაუხარებლად) // **გაუხარელი** (გაუხარლად)

გაუხარია (თვითონ) – **გაუხარებია** (სხვა)

გაუხმება; გაუხმა; გახმობია; გახმობოდა

გაუხმობს; გაუხმო; გაუხმია; გაეხმო

გაუხუნარი // გაუხუნებელი (გაუხუნებლად)

გაფართოება (გაფართოების˹ა˺): **გაფართოებული**

გაფართოვდება; გაფართოვდა, მაგრამ: **გაფართოებულა**

გაფეტიშება (გაფეტიშების˹ა˺): **გაფეტიშებული**

გაქანდ-გამოქანდება; გაქანდ-გამოქანდა; გაქანებულ-გამოქანებულა; გაქანებულ-გამოქანებულიყო

გაქართულება (გაქართულების˹ა˺): **გაქართულებული**

[გაქონდა, გაქონდეს კი არა] **გაჰქონდა; გაჰქონდეს**

[გაქცევაში იმყოფება/გაქცევაშია კი არა] **გაქცეულია** (ეჭვმიტანილი)

გაქცევ-გამოქცევა; შდრ.: **გაიქცევ-გა-**

მოიქცევა; გაიქც-გამოიქცა; გაქცეულ-გამოქცეულა; გაქცეულ-გამოქცეულიყო

გაღარიბება (გაღარიბების⌜ა⌝): **გაღარიბებული**

გაღატაკება (გაღატაკების⌜ა⌝): **გაღატაკებული**

გაღვივება (ცეცხლისა) – **გაღივება** (თესლისა)

გაღიზიანება (გაღიზიანების⌜ა⌝): **გაღიზიანებული**

გაღმა-გამოღმა

გაღრმავება (გაღრმავების⌜ა⌝): **გაღრმავებული**

გაყალბება (გაყალბების⌜ა⌝): **გაყალბებული** (გაყალბებულად)

გაყიდვა (უმართებულოა: დაიწყეს შემოტანილი სურსათის / სანოვაგის **გაყიდვები**. უნდა იყოს: დაიწყეს შემოტანილი სურსათის / სანოვაგის **გაყიდვა**)

გაყიდვადი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ეს პროდუქცია **გაყიდვადია**. უმჯობესია: ეს პროდუქცია **კარგად იყიდება**; ეს პროდუქცია **გაიყიდება**)

[გაყიდვაშია კი არა] **იყიდება** (უმართებულოა: წამალი **გაყიდვაშია**. ეს შესიტყვება რუსული გამოთქმის კალკირებულ ვარიანტს წარმოადგენს. მისი ბუნებრივი ქართული ეკვივალენტია **იყიდება**, მაგ.: ეს წამალი სხვა აფთიაქში **იყიდება**)

გაყოფს; გაყო (გაყვეს, გავყავი, გაყავი); გაუყვია; გაეყო

გაშიფვრა (გაშიფვრის⌜ა⌝): **გაშიფრული**

გაშიფრავს; გაშიფრა; გაუშიფრავს; გაეშიფრა

გაშუქდება; გაშუქდა; გაშუქებულა; გაშუქებულიყო

გაშუქება (გაშუქების⌜ა⌝): **გაშუქებული**

გაჩანაგება (გაჩანაგების⌜ა⌝): **გაჩანაგებული**

გაჩნდება; გაჩნდა; გაჩენილა; გაჩენილიყო

გაცარიელება (**გააცარიელებს**; **გაცარიელდება**): **გაცარიელებული**

გაცვივდება (ხალხი); **გაცვივდებიან** (ისინი); **გავარდება** (ის), შდრ.: **გასცვივდება** (ხეს ფოთოლი)

გაცვლა-გამოცვლა (გაცვლა-გამოცვლის⌜ა⌝)

გაცვლითი (კურსი/ფონდი...)

გაცნობიერება (გაცნობიერების⌜ა⌝): **გაცნობიერებული**

გაცოცხლდება; გაცოცხლდა; გაცოცხლებულა; გაცოცხლებულიყო

გაცოცხლება (გაცოცხლების⌜ა⌝): **გაცოცხლებული**

გაცხადდება; გაცხადდა; გაცხადებულა; გაცხადებულიყო

გაცხადება (= გამჟღავნება): **გაცხადებული**

გაძარცვავს; გაძარცვა; გაუძარცვავს;

გაეძარცვა

გაძლიერდება; გაძლიერდა; გაძლიერებულა; გაძლიერებულიყო

გაძლიერება (გაძლიერების˹ა˺): **გაძლიერებული**

გაძნელდება; გაძნელდა; გაძნელებულა; გაძნელებულიყო

გაძნელება (გაძნელების˹ა˺): **გაძნელებული**

გაწევა-გამოწევა (გაიწევ-გამოიწევს)

გაწევ-გამოწევა (გასწევ-გამოსწევს)

გაწერილი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ყოველი დღე **გაწერილი** აქვს. უნდა იყოს: ყოველი დღე **დაგეგმილი** აქვს, მაგრამ მართებულია: **გაწერილია** საავადმყოფოდან...)

გაწვალდება; გაწვალდა; გაწვალებულა; გაწვალებულიყო

გაწვალება (გაწვალების˹ა˺): **გაწვალებული**

გაწვრთნა [და არა გაწრთვნა]; **გაწვრთნილი**

გაწვრთნის; გაწვრთნა (გავწვრთენი, გაწვრთენი); გაუწვრთნია; გაეწვრთნა

გაწირავს [და არა გასწირავს] (=გაიმეტებს, განწირავს), მაგრამ: **შესწირავს** [და არა შეწირავს] (ის სამშობლოს თავს)

გაწირვა და განწირვა ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს თავდადებას, მაგრამ **გაწირვას** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ბედის ანაბარად დატოვება; გამეტება.

გაწმენდს; გაწმენდდა; გაწმენდდეს [და არა გაწმენდავს, გაწმინდავს; გაწმენდავდა, გაწმინდავდა; გაწმენდავდეს, გაწმინდავდეს]; **გაწმინდა; გაუწმენდია; გაეწმინდა**

გაწონასწორება (გაწონასწორების˹ა˺): **გაწონასწორებული**

გაწყვეტს; გაწყვეტდა; გაწყვეტდეს [და არა გაწყვეტავს, გაწყვიტავს; გაწყვეტავდა; გაწყვიტავდა; გაწყვეტავდეს, გაწყვიტავდეს]; **გაწყვიტა; გაუწყვეტია; გაეწყვიტა**

გაწყრება; გაწყრა; გამწყრალა; გამწყრალიყო

გაწყრომა (გაწყრომის˹ა˺)

გაჭიანურება (გაჭიანურების˹ა˺): **გაჭიანურებული** (გაჭიანურებულად)

გაჭრის; გაჭრა (გავჭერი, გაჭერი); გაუჭრია; გაეჭრა

გახანგრძლივება (გახანგრძლივების˹ა˺): **გახანგრძლივებული**

გახარჯვა (გახარჯვის˹ა˺): **გახარჯული**

გახმაურება (გახმაურების˹ა˺): **გახმაურებული**

გახმიანება (გახმიანების˹ა˺): **გახმიანებული**

გახმოვანება (გახმოვანების˹ა˺): **გახმოვანებული**

გახშირება (გახშირების˹ა˺): **გახშირებული**

გაჯანმრთელება (გაჯანმრთელების˹ა˺): **გაჯანმრთელებული**

გაჯანსაღება (გაჯანსაღების˹ა˺): **გაჯანსაღებული**

გაჯანჯღება (გაჯანჯღების˹ა˺): **გაჯანჯღებული**

გაჯერება (გაჯერების˹ა˺): **გაჯერებული**

გაჰქონდა; გაჰქონდეს [და არა გაქონდა, გაქონდეს]

გაჰყავს; გაჰყავდა; გაჰყავდეს [და არა გაყავს, გაყავდა, გაყავდეს]

გაჰყვება; გაჰყვებოდა; გაჰყვებოდეს [და არა გაყვება, გაყვებოდა, გაყვებოდეს]

გგავს; **გგავდა**; **გგავდეს** (ის შენ)

გგვრის; **გგვრიდა**; **გგვრიდეს** (ის შენ ღიმილს)

გგზავნის (ის შენ)

გგმობს; **გგმობდა**; **გგმობდეს** (ის შენ)

გგონია (შენ ის)

გდია (ერთი), მაგრამ: **ყრია** (ბევრი)

გეახლებით [// **გიახლებით**]; **გეახელით** [// **გიახელით**] (თავაზ.) [და არა მივირთმევ, მივირთვი]

გეახლებით, გეახელით (თავაზ.) [და არა მოვბრძანდები, მოვბრძანდი]

[გებულობს კი არა] **იგებს**

გეგმა (გეგმის˹ა˺): **გეგმური** [და არა გეგმიური]

გეგმა-ვალდებულება (გეგმა-ვალდებულების˹ა˺)

გეგმაზომიერი (გეგმაზომიერად)

გეგმარი (= სპეც. ასაშენებელი ნაგებობის, დასახლების ან მისი ნაწილის ამსახველი ნახაზების ნაკრები; პროექტი)

გეგმურობა (გეგმურობის˹ა˺) [და არა გეგმიურობა]

[გევხარკი არა] **ჰგავხარ**

გეიზერი (გეიზერის˹ა˺)

გეიმი (გეიმმა) (სპორტ.)

გეიშა: 1. მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიაში, რომლის მოვალეობაა მდიდარი ადამიანების გართობა; 2. ქალის ერთგვარი ფართო სამოსი (იაპონიაში).

[გემატოლოგია კი არა] **ჰემატოლოგია**

[გემატომა კი არა] **ჰემატომა**

გემთმშენებლობა (გემთმშენებლობის˹ა˺)

[გემოგლობინი კი არა] **ჰემოგლობინი**

გენდერული (თანასწორობა)

გენეალოგია (გენეალოგიის˹ა˺): **გენეალოგიური**

გენეზისი (გენეზისს): **გენეზისური**

გენერალი (გენერლის˹ა˺)

გენერალ-მაიორი

გენერალიტეტი

გენერალური (დირექტორი/ხაზი)

გენერატორი

გენერაცია (გენერაციის᾽ა᾽)

გენეტიკა (გენეტიკის᾽ა᾽): **გენეტიკური** (კოდი)

გენი: **გენური**

გენია (გენიის᾽ა᾽)

გენიალური (გენიალურად)

გენმოდიფიცირებული (= გენური ინჟინერიის შედეგად მიღებული, გენშეცვლილი: **გენმოდიფიცირებული** პროდუქტები)

გენოტიპი (გენოტიპის᾽ა᾽): **გენოტიპური**

გენოფონდი

გენოციდი

გეოდეზია (გეოდეზიის᾽ა᾽)

გეოეკოლოგია (გეოეკოლოგიის᾽ა᾽)

გეოლოგია (გეოლოგიის᾽ა᾽): **გეოლოგიური**

გეოპოლიტიკა (გეოპოლიტიკის᾽ა᾽): **გეოპოლიტიკური**

გერბი: **გერბიანი** [და არა ღერბი, ღერბიანი]

[გერკულესი კი არა] **ჰერკულესი**

გერონტოლოგია (გერონტოლოგიის᾽ა᾽): მეცნიერება სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ.

გვალვაამტანი (გვალვაამტანის᾽ა᾽)

გვალვაგამძლე (გვალვაგამძლის᾽ა᾽)

[გვანან კი არა] **ჰგვანან**

გვარგადაკეთებული

გვარგამოცვლილი

გვარიშვილობა (გვარიშვილობის᾽ა᾽)

გვარ-სახელი (= გვარი და სახელი), მაგრამ: **გვარსახელი** (= ოჯახის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, – გვარი)

გვარტომი (გვარტომმა); **გვარტომობა** (გვარტომობის᾽ა᾽)

გვგვრის; **გვგვრიდა**; **გვგვრიდეს** (ის ჩვენ ღიმილს)

გვერდ-გვერდ, მაგრამ: **გვერდიგვერდ**

გვერდით; **გვერდითი** (მოვლენები...)

გვერდითი მსაჯი (სპორტ.)

გვერდშექცევით

გვერდყირამალა (გვერდყირამალის᾽ა᾽) (სპორტ.)

გვიან; **გვიანღა**

გვიან-გვიან

გვირაბმშენი

გვირგვინდადგმული

გვირგვინოსანი (გვირგვინოსნის᾽ა᾽)

გვირილა (გვირილის᾽ა᾽)

[გვრის კი არა] **ჰგვრის** (ღიმილს მას)

გზააბნეული (გზააბნეულად)

გზააბნეულობა (გზააბნეულობის᾽ა᾽)

გზაარეული (გზაარეულად)

გზაგასაყარი (გზაგასაყარზე)

გზა-გზა, მაგრამ: **გზადაგზა**

გზავნილი

გზაკვალაბნეული (გზაკვალაბნეულად)

გზაკვალარეული (გზაკვალარეულად)

გზა-კვალი (გზა-კვალის᾽ა᾽)

გზამიცემული

გზამკვლევი

გზა მშვიდობისა! (// **გზამშვიდობისა!**)

გზასაცდენილი

გზატკეცილი

გზაჯვარედინი

გზის მაჩვენებელი (გზის მაჩვენებლის᾽ა᾽)

გზისპირა (= გზის პირას მდებარე, გზის პირას ჩამწკრივებული); შდრ.: **გზისპირი** (= გზის ნაპირი)

გიგაბაიტი (= კომპიუტერის მეხსიერების საზომი ერთეული)

გიგანტი: **გიგანტური**

გიდი; **გიდობა**

გილიოტინა (გილიოტინის᾽ა᾽)

გინახავვარ [// გინახივარ]

გინეკოლოგი; **გინეკოლოგია** (გინეკოლოგიის᾽ა᾽): **გინეკოლოგიური**

გინესის წიგნი

გიორგობა (გიორგობის᾽ა᾽)

გირავნობა (გირავნობის᾽ა᾽)

გირაო (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **გირაოს ქვეშ** ჩადენილი დანაშაული. უნდა იყოს: **გირაოს პირობებში** ჩადენილი დანაშაული)

გირლანდა (გირლანდის᾽ა᾽)

გირჩა (გირჩის᾽ა᾽) // **გირჩი**

გისოსი (გისოსს)

გოლეადორი (შდრ.: **ბომბარდირი**) (სპორტ.)

გოლი (სპორტ.)

[გოლკიპერი კი არა] **მეკარე** (სპორტ.)

გოლფი (სპორტ.)

გლამური (= გარეგნული ბრწყინვალება ტანსაცმლისა, სამკაულისა...): **გლამურული**

გლასე (გლასეს᾽ი᾽) [და არა გლიასე]

გლეიკომეტრი (= ღვინოში შაქრის რაოდენობის გასარკვევი ხელსაწყო)

გლეხკაცი: **გლეხკაცური** (გლეხკაცურად)

გლეხკაცობა (გლეხკაცობის᾽ა᾽)

გლეჯს (ის ბალახს), მაგრამ: **ჰგლეჯს** (ქარი კაცს ქუდს)

გლიკემია (გლიკემიის᾽ა᾽): შაქრის (გლუკოზის) არსებობა სისხლში.

გლიკოგენი (= სახამებელი, რომელიც წარმოიქმნება სისხლის შაქრისაგან ღვიძლსა და კუნთებში)

გლიცერინი

გლობალიზაცია (გლობალიზაციის᾽ა᾽)

გლობალისტი

გლობალური (დათბობა...) – **გლობალისტური** (მიდგომა/ხედვა)

გლობუსი (გლობუსს)

გლოვა-ტირილი

გლოვობს (**იგლოვა**; **უგლოვია**; **ეგლოვა**)

გლორია (გლორიის˹ა˺): 1. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში – ფერადი რგოლები, რომლებიც წარმოიქმნება საგნიდან ღრუბელზე ან სქელ ნისლზე დაცემული ჩრდილის გარშემო; 2. კათოლიკური მესის მეორე ნაწილი – ქებათაქება.

გლოსა (გლოსის˹ა˺): 1. გაუგებარი, მოძველებული სიტყვის ან გამოთქმის განმარტება (მიწერილი ძველი ხელნაწერის არშიაზე ან ჩამატებული თვით ტექსტში); 2. კანონების ან სასამართლო გადაწყვეტილებების სამეცნიერო კომენტარები.

გლუკოზა (გლუკოზის˹ა˺)

გმადლობ, გმადლობთ [და არა მადლობთ]

გმირთაგმირი

გნომა (= მოკლე ზნეობრივ-დამრიგებლობითი გამონათქვამი; აფორიზმი) – **გნომი** (= დასავლეთევროპულ მითოლოგიაში – მახინჯი ქონდრისკაცი, რომელიც ძირითადად მიწისქვეშა სიმდიდრეს იცავს)

გნოსეოლოგია (გნოსეოლოგიის˹ა˺): ფილოსოფიური მოძღვრება მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობათა და საშუალებათა შესახებ; შემეცნების თეორია.

გნოსტიციზმი (გნოსტიციზმის): ადრინდელი ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება ღმერთის შესახებ.

გობელენი

გოგირდმჟავა (გოგირდმჟავას˹ი˺)

გოგო-ბიჭები

გოგონა (გოგონას˹ი˺, მრ. გოგონები)

გოლგოთა (გოლგოთის˹ა˺)

გონდოლა (გონდოლის˹ა˺)

გონდოლიერი (= მეგონდოლე); შდრ.: **გონდოლიერა** (= ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა)

გონება (გონების˹ა˺)

გონებაარეული (გონებაარეულად)

გონებაგამჭრიახი

გონებაგამჭრიახობა (გონებაგამჭრიახობის˹ა˺)

გონებაგანვითარებული

გონებაგახსნილი; გონებაგახსნილობა (გონებაგახსნილობის˹ა˺)

გონებადაკარგული

გონებადაფანტული; გონებადაფანტულობა (გონებადაფანტულობის˹ა˺)

გონებადახშული

გონებამახვილი; გონებამახვილური

გონებამახვილობა (გონებამახვილობის˹ა˺)

გონებაშეზღუდული

გონებაშეზღუდულობა (გონებაშეზღუდულობის˹ა˺)

გონებაჩლუნგი

გონებრივი (გონებრივად)

გონი

[გონია კი არა] **ჰგონია** (მას)

გონიერი; **გონივრული**

გონივრად // გონიერად (წარმართა საქმე), შ დ რ.: **გონიერად** (გადაიქცა)

გონმიხდილი

გონმიხდილობა (გონმიხდილობის˹ა˺)

გონწასული

გორგოლაჭი

გოჯი: 1. მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე; 2. იხმარებოდა სიგრძის საზომად (უდრის 3-4 სანტიმეტრს).

გრაალი (= 1. თასი, რომელშიც ჯვარცმული იესოს სისხლი შეაგროვეს; 2. შუა საუკუნეების თქმულებების მიხედვით – სასწაულებრივი ძვირფასი ქვის ჭურჭელი)

გრადაცია (გრადაციის˹ა˺): **გრადაციული**

გრადუსი (გრადუსს)

გრავირება (გრავირების˹ა˺): **გრავირებული**; **გრავიორი**

გრავიტაცია (გრავიტაციის˹ა˺): **გრავიტაციული**

გრავიურა (გრავიურის˹ა˺)

გრამატიკა (გრამატიკის˹ა˺): **გრამატიკული**

გრანდი (გრანდის˹ა˺) (= გადატ. უწოდებენ სახელგანთქმულ ხელოვანებს, სპორტსმენებს)

გრანდიოზული (გრანდიოზულად)

გრან-პრი (// **გრანპრი**)

გრანტი; **გრანტორი** [და არა გრანტიორი]

გრაფემა (გრაფემის˹ა˺)

გრაფიკა (გრაფიკის˹ა˺): **გრაფიკული** (ნახატი)

გრაფიკი (ტემპერატურისა / ტრანსპორტისა...)

გრაფოლოგია (გრაფოლოგიის˹ა˺): ხელნაწერის შესწავლა ადამიანის ხასიათის გამორკვევის მიზნით.

გრაციოზული // მოხდენილი

გრეიპფრუტი [და არა გრეიფრუტი, გრეიფუტი]

გრეხს; **გრეხდა**; **გრეხდეს** [და არა გრეხავს, გრიხავს; გრეხავდა, გრიხავდა; გრეხავდეს, გრიხავდეს]

გრიგორიანი (გრიგორიანის˹ა˺) [და არა გრიგორიანელი]

გრილა (საერთოდ), მაგრამ: **ჰგრილა** (მას)

გრიმი (გრიმმა): **გრიმიორი**

გრინვიჩის მერიდიანი

გრიპოზული // გრიპული (მდგომარეობა)

გრიფი

გროვა-გროვა (გროვა-გროვად)

[გროსმაისტერი //] **დიდოსტატი** (სპორტ.)

გროტესკი: **გროტესკული**

გრუნტი

გრძედი

გრძელვადიანი (სესხი...)

გრძელთავა (გრძელთავას˹ი˺); **გრძელთავიანი**

გრძელთმიანი

გრძელი (გრძელის˹ა˺), მ ა გ რ ა მ: **გრძლად**

გრძელკაბიანი

გრძელკუდა (გრძელკუდას˹ი˺); **გრძელკუდიანი**

გრძელტარიანი

გრძელფეხ(ებ)ა (გრძელფეხ(ებ)ას˹ი˺); **გრძელფეხ(ებ)იანი**

გრძნობა-გონება (გრძნობა-გონების˹ა˺)

გრძნობადაკარგული

გრძნობადი (= ს პ ე ც. შეგრძნებითი; განცდისმიერი)

გრძნობამიხდილი

გრძნობამორეული

გრძნობამოჭარბებული (გრძნობამოჭარბებულად)

გუაში (გუაშში)

გულამოვარდნილი (გულამოვარდნით)

გულამოსკვნილი (გულამოსკვნით)

გულაცრუებული (გულაცრუებულად)

გულახდილი (გულახდილად)

გულახდილობა (გულახდილობის˹ა˺)

გულგატეხილი (გულგატეხილად); **გულგატეხილობა** (გულგატეხილობის˹ა˺)

გულგახეთქილი

გულგრილი (გულგრილად)

გულგრილობა (გულგრილობის˹ა˺)

გულდასაწყვეტი (გულდასაწყვეტად)

გულდაწყვეტილი (გულდაწყვეტით)

გულთბილი (გულთბილად)

გულთბილობა (გულთბილობის˹ა˺)

გულითადი; გულითადობა (გულითადობის˹ა˺)

გულისრევა (გულისრევის˹ა˺)

გულისტკენა (გულისტკენით)

გულისტკივილი (გულისტკივილით), მ ა გ რ ა მ: **გულის ტკივილი** (აწუხებს)

გულისყური (= ყურადღება); **გულისყურიანი**

გულისცემა (გულისცემის˹ა˺)

გულისხმიერი; გულისხმიერება (გულისხმიერების˹ა˺)

გულკეთილი: გულკეთილობა (გულკეთილობის˹ა˺)

გულმავიწყი; გულმავიწყობა (გულმავიწყობის˹ა˺)

გულმკერდი

გულმოდგინე (გულმოდგინის˹ა˺)

გულმოდგინება (გულმოდგინებით)

გულნატკენი: გულნატკენობა (გულნატკენობის˹ა˺)

გულსაკლავი (გულსაკლავად)

გულსატკენი (გულსატკენად)

გულ-სისხლძარღვთა დაავადება

გულუბრყვილო (გულუბრყვილოდ)

გულუბრყვილობა (გულუბრყვილობის˹ა˺)

გულ-ღვიძლი

გულღია (გულღიას˹ი˺)

გულღრძო

გულშემატკივარი (გულშემატკივრის˹ა˺)

გულშემატკივრობა (გულშემატკივრობის˹ა˺)

გულშემატკივრობს; გულშემატკივრობდა; გულშემატკივრობდეს; იგულშემატკივრა (= გულშემატკივრობა გამოიჩინა); **უგულშემატკივრა** (მას); **უგულშემატკივრ˹ებ˺ია** (მისთვის)

გულჩათხრობილი

გულწასული

გულწრფელი (გულწრფელად)

გულწრფელობა (გულწრფელობის˹ა˺)

გულხელდაკრეფა (გულხელდაკრეფის˹ა˺)

გულხელდაკრეფილი

გუმბათი (გუმბათთან); **გუმბათოვანი; გუმბათმორღვეული**

გუნდ-გუნდად

გუნდი: გუნდური

გუნდრუკის კმევა (= გამორჩენის მიზნით ვინმეს ქება-დიდება; პირფერობა; მლიქვნელობა)

გუნება-განწყობილება (გუნება-განწყობილების˹ა˺) // **გუნება-განწყობა** (გუნება-განწყობის˹ა˺)

გურმანი

გუშინ; გუშინდელი (გუშინდლის˹ა˺), მაგრამ: **გუშინდელები**

გუშინწინ; გუშინწინდელი (გუშინწინდლის˹ა˺), მაგრამ: **გუშინწინდელები**

გყავარ, ვყავარ, მყავხარ [და არა გყევარ, ვყევარ, მყევხარ]

გცალია [და არა ქცალია]

გცივა [და არა ქცივა]

გჯერა [და არა გჯერავს]

დ

დააავადებს; დააავადა; დაუავადებია; დაეავადებინა [და არა დაეავადებია]

დააავადმყოფებს; დააავადმყოფა; დაუავადმყოფებია; დაეავადმყოფებინა [და არა დაეავადმყოფებია]

დააანონსებს; დააანონსა; დაუანონსებია; დაეანონსებინა [და არა დაეანონსებია]

დააარსებს; დააარსა; დაუარსებია; დაეარსებინა [და არა დაეარსებია]

დააახლოებს; დააახლოვა; დააახლოოს (დავაახლოო, დააახლოო); დაუახლოებია; დაეახლოებინა [და არა დაეახლოებია]

დააბამს [და არა დააბავს]; **დააბა; დაუბამს** [და არა დაუბავს]; **დაება**

დააბალანსებს; დააბალანსა; დაუბალანსებია; დაებალანსებინა [და არა დაებალანსებია]

დააბანდებს; დააბანდა; დაუბანდებია; დაებანდებინა [და არა დაებანდებია]

დააბეზღებს; დააბეზღა; დაუბეზღებია; დაებეზღებინა [და არა დაებეზღებია]

დააბინავებს; დააბინავა; დაუბინავებია; დაებინავებინა [და არა დაებინავებია]

დააბინძურებს; დააბინძურა; დაუბინძურებია; დაებინძურებინა [და არა დაებინძურებია]

დააბმევინებს; დააბმევინა; დაუბმევინებია; დაებმევინებინა [და არა დააბმევიებს, დააბმევია...]

დააბნევინებს; დააბნევინა; დაუბნევინებია; დაებნევინებინა [და არა დააბნევიებს, დააბნევია...]

დააბნევს; დააბნია; დაუბნევია; დაებნია

დააბნელებინებს; დააბნელებინა; დაუბნელებინებია; დაებნელებინებინა [და არა დააბნელებიებს, დააბნელებია...]

დააბნელებს; დააბნელა; დაუბნელებია; დაებნელებინა [და არა დაებნელებია]

დააბოლოებინებს; დააბოლოებინა; დაუბოლოებინებია; დაებოლოებინებინა [და არა დააბოლოებიებს, დააბოლოებია...]

დააბოლოებს; დააბოლოვა (დავაბოლოვე, დააბოლოვე); დააბოლოოს; დაუბოლოებია; დაებოლოებინა [და არა დაებოლოებია]

დააბომბვინებს; დააბომბვინა; დაუბომბვინებია; დაებომბვინებინა [და არა დააბომბიებს, დააბომბია...]

დააბრალებს; დააბრალა; დაუბრალებია; დაებრალებინა [და არა დაებრალებია]

დააბრკოლებინებს; დააბრკოლებინა; დაუბრკოლებინებია; დაებრკოლებინებინა [და არა დააბრკოლებიებს, დააბრკოლებია...]

დააბრკოლებს; დააბრკოლა; დაუბრკოლებია; დაებრკოლებინა [და არა დაებრკოლებია]

დააბრმავებს; დააბრმავა; დაუბრმავებია; დაებრმავებინა [და არა დაებრმავებია]

დააგდებს (ერთს), მაგრამ: **დაყრის** (ბევრს)

დააგეგმვინებს; დააგეგმვინა; დაუგეგმვინებია; დაეგეგმვინებინა [და არა დააგეგმიებს, დააგეგმია...]

დააგემოვნებს; დააგემოვნა; დაუგემოვნებია; დაეგემოვნებინა [და არა დაეგემოვნებია]

დააგვიანებინებს; დააგვიანებინა; დაუგვიანებინებია; დაეგვიანებინებინა [და არა დააგვიანებიებს, დააგვიანებია...]

დააგვიანებს; დააგვიანა; დაუგვიანებია; დაეგვიანებინა [და არა დაეგვიანებია]

დააგვირგვინებინებს; დააგვირგვინებინა; დაუგვირგვინებინებია; დაეგვირგვინებინებინა [და არა

დააგვირგვინებიებს, დააგვირგვინებია...]

დააგვირგვინებს; დააგვირგვინა; დაუგვირგვინებია; დაეგვირგვინებინა [და არა დაეგვირგვინებია]

დააგზავნინებს; დააგზავნინა; დაუგზავნინებია; დაეგზავნინებინა [და არა დააგზავნიებს, დააგზავნია...]

[დააგზავნის, დააგზავნა კი არა] **დაგზავნის; დაგზავნა**

დააგლეჯინებს; დააგლეჯინა; დაუგლეჯინებია; დაეგლეჯინებინა [და არა დააგლეჯიებს, დააგლეჯია...]

დააგლეჯს; დააგლეჯდა; დააგლეჯდეს [და არა დააგლეჯავს, დააგლიჯავს; დააგლეჯავდა, დააგლიჯავდა; დააგლეჯავდეს, დააგლიჯავდეს]; **დააგლიჯა; დაუგლეჯია; დაეგლიჯა**

დააგმობინებს; დააგმობინა; დაუგმობინებია; დაეგმობინებინა [და არა დააგმობიებს, დააგმობია...]

დააგროვებინებს; დააგროვებინა; დაუგროვებინებია; დაეგროვებინებინა [და არა დააგროვებიებს, დააგროვებია...]

დააგროვებს; დააგროვა; დაუგროვებია; დაეგროვებინა [და არა დაეგროვებია]

დააგრძელებინებს; დააგრძელებინა; დაუგრძელებინებია; დაეგრძელებინებინა [და არა დააგრძელებიებს, დააგრძელებია...]

დააგრძელებს; დააგრძელა; დაუგრძელებია; დაეგრძელებინა [და არა დაეგრძელებია]

დაადასტურებინებს; დაადასტურებინა; დაუდასტურებინებია; დაედასტურებინებინა [და არა დაადასტურებიებს, დაადასტურებია...]

დაადასტურებს; დაადასტურა; დაუდასტურებია; დაედასტურებინა [და არა დაედასტურებია]

დაადგამს [და არა დაადგავს]; **დაადგა; დაუდგამს** [და არა დაუდგავს]; **დაედგა**

დაადგება; დაადგა; დასდგომია; დასდგომოდა [და არა დადგომია, დადგომოდა]

დაადგენს; დაადგინა; დაუდგენია; დაედგინა

დააეჭვებს; დააეჭვა; დაუეჭვებია; დაეეჭვებინა [და არა დაეეჭვებია]

დააეჭვიანებს; დააეჭვიანა; დაუეჭვიანებინა; დაეეჭვიანებინა [და არა დაეეჭვიანებია]

დაავადდება; დაავადდა; დაავადებულა; დაავადებულიყო

დაავადმყოფდება; დაავადმყოფდა; დაავადმყოფებულა; დაავადმყოფებულიყო

დაავალდებულებს (= ვალდებულს გახდის); **დაავალდებულა; დაუვალდებულებია; დაევალდებულებინა** [და არა დაევალდებულებია]

დაავალებს (= რაიმეს შესრულებას დააკისრებს); **დაავალა; დაუვალებია; დაევალებინა** [და არა

დაევალებია]

დაავალიანებს (= ვალს დაადებს, ვალში ჩააგდებს); **დაავალიანა**; **დაუვალიანებია**; **დაევალიანებინა** [და არა დაევალიანებია]

დაავიწროებს; **დაავიწროვა**; **დაავიწროოს** (**დავავიწროო**, **დაავიწროო**); **დაუვიწროებია**; **დაევიწროებინა** [და არა დაევიწროებია]

დააზარალებს; **დააზარალა**; **დაუზარალებია**; **დაეზარალებინა** [და არა დაეზარალებია]

დააზიანებს; **დააზიანა**; **დაუზიანებია**; **დაეზიანებინა** [და არა დაეზიანებია]

დააზუსტებს: **დააზუსტა**; **დაუზუსტებია**; **დაეზუსტებინა** [და არა დაეზუსტებია]

დააზღვევინებს; **დააზღვევინა**; **დაუზღვევინებია**; **დაეზღვევინებინა** [და არა დააზღვევიებს, დააზღვევია...]

დააზღვევს; **დააზღვია**; **დაუზღვევია**; **დაეზღვია**

დაათვალიერებინებს; **დაათვალიერებინა**; **დაუთვალიერებინებია**; **დაეთვალიერებინებინა** [და არა დაათვალიერებიებს, დაათვალიერებია...]

დაათვალიერებს; **დაათვალიერა**; **დაუთვალიერებია**; **დაეთვალიერებინა** [და არა დაეთვალიერებია]

დააიმედებს; **დააიმედა**; **დაუიმედებია**; **დაეიმედებინა** [და არა დაეიმედებია]

დააინტერესებს; **დააინტერესა**; **დაუინტერესებია**; **დაეინტერესებინა** [და არა დაეინტერესებია]

დააკაბადონებინებს; **დააკაბადონებინა**; **დაუკაბადონებინებია**; **დაეკაბადონებინებინა** [და არა დააკაბადონებიებს, დააკაბადონებია...]

დააკაბადონებს; **დააკაბადონა**; **დაუკაბადონებია**; **დაეკაბადონებინა** [და არა დაეკაბადონებია]

დააკავებს; **დააკავა**; **დაუკავებია**; **დაეკავებინა** [და არა დაეკავებია]

დააკავეს [და არა დაკავება მოახდინეს]

დააკავშირებს; **დააკავშირა**; **დაუკავშირებია**; **დაეკავშირებინა** [და არა დაეკავშირებია]

დააკანონებს; **დააკანონა**; **დაუკანონებია**; **დაეკანონებინა** [და არა დაეკანონებია]

დააკარგვინებს; **დააკარგვინა**; **დაუკარგვინებია**; **დაეკარგვინებინა** [და არა დააკარგინებს, დააკარგინა...]

დააკვლევინებს; **დააკვლევინა**; **დაუკვლევინებია**; **დაეკვლევინებინა** [და არა დააკვლევიებს, დააკვლევია...]

დააკვრევინებს; **დააკვრევინა**; **დაუკვრევინებია**; **დაეკვრევინებინა** [და არა დააკვრევიებს, დააკვრევია...]

დააკისრებს; დააკისრა; დაუკისრებია; დაეკისრებინა [და არა დაეკისრებია]

დააკლდება; დააკლდა; დაჰკლებია; დაჰკლებოდა [და არა დაკლებია, დაკლებოდა]

დააკლებს; დააკლო (დავაკელი, დააკელი); დაუკლია; დაეკლო

დააკმაყოფილებს; დააკმაყოფილა: დაუკმაყოფილებია; დაეკმაყოფილებინა [და არა დაეკმაყოფილებია]

დააკნინებს; დააკნინა; დაუკნინებია; დაეკნინებინა [და არა დაეკნინებია]

დააკონკრეტებს; დააკონკრეტა; დაუკონკრეტებია; დაეკონკრეტებინა [და არა დაეკონკრეტებია]

დაალუქვინებს; დაალუქვინა; დაულუქვინებია; დაელუქვინებინა [და არა დაალუქვიებს, დაალუქვია...]

დაამადლის // დაამადლებს; დაამადლა, დაუმადლებია; დაემადლებინა [და არა დაემადლებია]

დაამარცხა [და არა დამარცხება მიაყენა]

დაამარცხებინებს; დაამარცხებინა; დაუმარცხებინებია; დაემარცხებინებინა [და არა დაამარცხებიებს, დაამარცხებია...]

დაამარცხებს; დაამარცხა; დაუმარცხებია; დაემარცხებინა [და არა დაემარცხებია]

დაამატებინებს; დაამატებინა; დაუმატებინებია; დაემატებინებინა [და არა დაამატებიებს, დაამატებია...]

დაამატებს; დაამატა; დაუმატებია; დაემატებინა [და არა დაემატებია]

დაამახინჯებს; დაამახინჯა; დაუმახინჯებია; დაემახინჯებინა [და არა დაემახინჯებია]

დაამახსოვრებს; დაამახსოვრა; დაუმახსოვრებია; დაემახსოვრებინა [და არა დაემახსოვრებია]

დაამეგობრებს; დაამეგობრა; დაუმეგობრებია; დაემეგობრებინა [და არა დაემეგობრებია]

დაამზადებინებს; დაამზადებინა; დაუმზადებინებია; დაემზადებინებინა [და არა დაამზადებიებს, დაამზადებია...]

დაამზადებს; დაამზადა; დაუმზადებია; დაემზადებინა [და არა დაემზადებია]

დაამკვიდრებს; დაამკვიდრა; დაუმკვიდრებია; დაემკვიდრებინა [და არა დაემკვიდრებია]

დაამოწმებინებს; დაამოწმებინა; დაუმოწმებინებია; დაემოწმებინებინა [და არა დაამოწმებიებს, დაამოწმებია...]

დაამოწმებს; დაამოწმა; დაუმოწმებია; დაემოწმებინა [და არა დაემოწმებია]

დაამტკიცებინებს; დაამტკიცებინა; დაუმტკიცებინებია; დაემტკიცები-

ნებინა [და არა დაამტკიცებიებს, დაამტკიცებია...]

დაამტკიცებს; დაამტკიცა; დაუმტკიცებია; დაემტკიცებინა [და არა დაემტკიცებია]

დაამუშავებინებს; დაამუშავებინა; დაუმუშავებინებია; დაემუშავებინებინა [და არა დაამუშავებიებს, დაამუშავებია...]

დაამუშავებს; დაამუშავა; დაამუშაოს (დავამუშაო, დაამუშაო); დაუმუშავებია; დაემუშავებინა [და არა დაემუშავებია]

დაამყარებინებს; დაამყარებინა; დაუმყარებინებია; დაემყარებინებინა [და არა დაამყარებიებს, დაამყარებია...]

დაამყარებს; დაამყარა; დაუმყარებია; დაემყარებინა [და არა დაემყარებია]

დაამშვენებინებს; დაამშვენებინა; დაუმშვენებინებია; დაემშვენებინებინა [და არა დაამშვენებიებს, დაამშვენებია...]

დაამშვენებს; დაამშვენა; დაუმშვენებია; დაემშვენებინა [და არა დაემშვენებია]

დაამცირებს; დაამცირა; დაუმცირებია; დაემცირებინა [და არა დაემცირებია]

დაამხობინებს; დაამხობინა; დაუმხობინებია; დაემხობინებინა [და არა დაამხობიებს, დაამხობია...]

დაამხობს; დაამხო (დავამხვე, დაამხვე); დაუმხვია; დაემხო

დაანაწილებინებს; დაანაწილებინა; დაუნაწილებინებია; დაენაწილებინებინა [და არა დაანაწილებიებს, დაანაწილებია...]

დაანაწილებს; დაანაწილა; დაუნაწილებია; დაენაწილებინა [და არა დაენაწილებია]

დაანახ⟨ვ⟩ებს; დაანახ⟨ვ⟩ა; დაუნახ⟨ვ⟩ებია; დაენახ⟨ვ⟩ებინა

დაანგრევინებს; დაანგრევინა; დაუნგრევინებია; დაენგრევინებინა [და არა დაანგრევიებს, დაანგრევია...]

დაანგრევს; დაანგრია; დაუნგრევია; დაენგრია

დაანონსება (დაანონსების⟨ა⟩): **დაანონსებული**

დააპატიმრებინებს; დააპატიმრებინა; დაუპატიმრებინებია; დაეპატიმრებინებინა [და არა დააპატიმრებიებს, დააპატიმრებია...]

დააპატიმრებს; დააპატიმრა; დაუპატიმრებია; დაეპატიმრებინა [და არა დაეპატიმრებია]

დააპირისპირებინებს; დააპირისპირებინა; დაუპირისპირებინებია; დაეპირისპირებინებინა [და არა დააპირისპირებიებს, დააპირისპირებია...]

დააპირისპირებს; დააპირისპირა; დაუპირისპირებია; დაეპირისპირებინა [და არა დაეპირისპირებია]

დააპროექტებს; დააპროექტა; დაუპროექტებია; დაეპროექტებინა [და არა დაეპროექტებია]

დაარბევინებს; დაარბევინა; დაურბევინებია; დაერბევინებინა [და არა დაარბევიებს, დაარბევია...]

დაარბევს; დაარბია; დაურბევია; დაერბია

დაარეგისტრირებინებს; დაარეგისტრირებინა; დაურეგისტრირებინებია; დაერეგისტრირებინებინა [და არა დაარეგისტრირებიებს, დაარეგისტრირებია...]

დაარეგისტრირებს; დაარეგისტრირა; დაურეგისტირებია; დაერეგისტრირებინა [და არა დაერეგისტრირებია]

დაარეგულირებინებს; დაარეგულირებინა; დაურეგულირებინებია; დაერეგულირებინებინა [და არა დაარეგულირებიებს, დაარეგულირებია...]

დაარეგულირებს; დაარეგულირა; დაურეგულირებია; დაერეგულირებინა [და არა დაერეგულირებია]

დაარტყამს; დაარტყამდა; დაარტყამდეს [და არა დაარტყავს, დაარტყავდა, დაარტყავდეს]; **დაარტყა; დაურტყამს** [და არა დაურტყავს]; **დაერტყა**

დაარწმუნებინებს; დაარწმუნებინა; დაურწმუნებინებია; დაერწმუნებინებინა [და არა დაარწმუნებიებს, დაარწმუნებია...]

დაარწმუნებს; დაარწმუნა; დაურწმუნებია; დაერწმუნებინა [და არა დაერწმუნებია]

დაასაჩუქრებს; დაასაჩუქრა; დაუსაჩუქრებია; დაესაჩუქრებინა [და არა დაესაჩუქრებია]

დაასახლებინებს; დაასახლებინა; დაუსახლებინებია; დაესახლებინებინა [და არა დაასახლებიებს, დაასახლებია...]

დაასახლებს; დაასახლა; დაუსახლებია; დაესახლებინა [და არა დაესახლებია]

დაასრულებინებს; დაასრულებინა; დაუსრულებინებია; დაესრულებინებინა [და არა დაასრულებიებს, დაასრულებია...]

დაასრულებს; დაასრულა; დაუსრულებია; დაესრულებინა [და.არა დაესრულებია]

დაასუსტებინებს; დაასუსტებინა; დაუსუსტებინებია; დაესუსტებინებინა [და არა დაასუსტებიებს, დაასუსტებია...]

დაასუსტებს; დაასუსტა; დაუსუსტებია; დაესუსტებინა [და არა დაესუსტებია]

დაასუფთავებინებს; დაასუფთავებინა; დაუსუფთავებინებია; დაესუფთავებინებინა [და არა დაასუფთავებიებს, დაასუფთავებია...]

დაასუფთავებს; დაასუფთავა; დაუსუფთავებია; დაესუფთავებინა [და არა დაესუფთავებია]

დაასწრებს; დაასწრო (დავასწარი, დაასწარი); დაუსწრია; დაესწრო

დაასხამს [და არა დაასხავს]; **დაას-**

ხა; **დაუსხამს** [და არა დაუსხავს]; **დაესხა**

დაასჯევინებს; **დაასჯევინა**; **დაუსჯევინებია**; **დაესჯევინებინა** [და არა დაასჯევიებს, დაასჯევია...]

დაატენიანებს; **დაატენიანა**; **დაუტენიანებია**; **დაეტენიანებინა** [და არა დაეტენიანებია]

დაატებს; **დაატება**; **დაუტებია**; **დაეტება**

დაატრიალებინებს; **დაატრიალებინა**; **დაუტრიალებინებია**; **დაეტრიალებინებინა** [და არა დაატრიალებიებს, დაატრიალებია...]

დაატრიალებს; **დაატრიალა**; **დაუტრიალებია**; **დაეტრიალებინა** [და არა დაეტრიალებია]

დაატუსაღებინებს; **დაატუსაღებინა**; **დაუტუსაღებინებია**; **დაეტუსაღებინებინა** [და არა დაატუსაღებიებს, დაატუსაღებია...]

დაატუსაღებს; **დაატუსაღა**; **დაუტუსაღებია**; **დაეტუსაღებინა** [და არა დაეტუსაღებია]

დააფასებინებს; **დააფასებინა**; **დაუფასებინებია**; **დაეფასებინებინა** [და არა დააფასებიებს, დააფასებია...]

დააფასებს; **დააფასა**; **დაუფასებია**; **დაეფასებინა** [და არა დაეფასებია]

დააფინანსებინებს; **დააფინანსებინა**; **დაუფინანსებინებია**; **დაეფინანსებინებინა** [და არა დააფინანსებიებს, დააფინანსებია...]

დააფინანსებს; **დააფინანსა**; **დაუფინანსებია**; **დაეფინანსებინა** [და არა დაეფინანსებია]

დააფრთხობინებს; **დააფრთხობინა**; **დაუფრთხობინებია**; **დაეფრთხობინებინა** [და არა დააფრთხობიებს, დააფრთხობია...]

დააფრთხობს; **დააფრთხო**; **დაუფრთხია**; **დაეფრთხო**

დააქორწინებინებს; **დააქორწინებინა**; **დაუქორწინებინებია**; **დაექორწინებინებინა** [და არა დააქორწინებიებს, დააქორწინებია...]

დააქორწინებს; **დააქორწინა**; **დაუქორწინებია**; **დაექორწინებინა** [და არა დაექორწინებია]

დააღალატებს; **დააღალატა**; **დაუღალატებია**; **დაეღალატებინა** [და არა დაეღალატებია]

დააშენებინებს; **დააშენებინა**; **დაუშენებინებია**; **დაეშენებინებინა** [და არა დააშენებიებს, დააშენებია...]

დააშენებს; **დააშენა**; **დაუშენებია**; **დაეშენებინა** [და არა დაეშენებია]

დააშორებინებს; **დააშორებინა**; **დაუშორებინებია**; **დაეშორებინებინა** [და არა დააშორებიებს, დააშორებია...]

დააშორებს; **დააშორა**; **დაუშორებია**; **დაეშორებინა** [და არა დაეშორებია]

დააჩოქებს; **დააჩოქა**; **დაუჩოქებია**; **დაეჩოქებინა** [და არა დაეჩოქებია]

დააჩქარებინებს; დააჩქარებინა; დაუჩქარებინებია; დაეჩქარებინებინა [და არა დააჩქარებიებს, დააჩქარებია...]

დააჩქარებს; დააჩქარა; დაუჩქარებია; დაეჩქარებინა [და არა დაეჩქარებია]

დააცვევინებს; დააცვევინა; დაუცვევინებია; დაეცვევინებინა [და არა დააცვევიებს, დააცვევია...]

დააძლევინებს; დააძლევინა; დაუძლევინებია; დაეძლევინებინა [და არა დააძლევიებს, დააძლევია...]

დააწერინებს; დააწერინა; დაუწერინებია; დაეწერინებინა [და არა დააწერიებს, დააწერია...]

დააწესებს; დააწესა; დაუწესებია; დაეწესებინა [და არა დაეწესებია]

დააწვება; დააწვა; დასწოლია; დასწოლოდა [და არა დაწოლია, დაწოლოდა]

დააწინაურებინებს; დააწინაურებინა; დაუწინაურებინებია; დაეწინაურებინებინა [და არა დააწინაურებიებს, დააწინაურებია...]

დააწინაურებს; დააწინაურა; დაუწინაურებია; დაეწინაურებინა [და არა დაეწინაურებია]

დააწყობს; დააწყო (დავაწყვე, დააწყვე); დაუწყვია (წიგნები), მაგრამ: **დადებს; დადო; დაუდვია** (წიგნი)

დააჭერინებს; დააჭერინა; დაუჭერინებია; დაეჭერინებინა [და არა დააჭერიებს, დააჭერია...]

დააჭრევინებს; დააჭრევინა; დაუჭრევინებია; დაეჭრევინებინა [და არა დააჭრევიებს, დააჭრევია...]

დაახატვინებს; დაახატვინა; დაუხატვინებია; დაეხატვინებინა [და არა დაახატიებს, დაახატია...]

დაახვნევინებს; დაახვნევინა; დაუხვნევინებია; დაეხვნევინებინა [და არა დაახვნევიებს, დაახვნევია...]

დაახლოება (დაახლოების⌜ა⌝): **დაახლოებული**

დაახლოება-დამეგობრება (დაახლოება-დამეგობრების⌜ა⌝)

დაახმარს // დაახმარებს

დაახურვინებს; დაახურვინა; დაუხურვინებია; დაეხურვინებინა [და არა დაეხურვინებია]

დაახუჭვინებს; დაახუჭვინა; დაუხუჭვინებია; დაეხუჭვინებინა [და არა დაეხუჭვინებია]

დააჯილდოებს; დააჯილდოვა; დააჯილდოოს (დავაჯილდოო, დააჯილდოო); დაუჯილდოებია; დაეჯილდოებინა [და არა დაეჯილდოებია]

[დააჯინა კი არა] **დასვა** (ის), მაგრამ: **დასხა** (ისინი)

დაბალ-დაბალი (დაბალ-დაბლის⌜ა⌝)

დაბალი (დაბლის⌜ა⌝); შდრ.: **მდაბალი** (მდაბლის⌜ა⌝, მდაბლად): **მდაბალი სალამი; მდაბალი სული**

[დაბალი მოსავალი, დაბალმოსავლიანი კი არა] **მცირე მოსავალი;**

მცირემოსავლიანი; **მწირმოსავლიანი** (ნიადაგი)

დაბალკალორიული (საკვები...)

დაბალტანიანი

დაბალქუსლიანი

დაბალყელიანი

დაბალჭერიანი

დაბალხარისხოვანი // დაბალხარისხიანი

დაბანდება (დაბანდების^ა): **დაბანდებული**

დაბარება (დაბარების^ა): **დაბარებული**

დაბეჭდავს; **დაბეჭდა**; **დაუბეჭდავს**; **დაებეჭდა**

დაბეჯითებით; **დაბეჯითებითი**

დაბინავება (დაბინავების^ა): **დაბინავებული**

დაბოლოება (დაბოლოების^ა); **დაბოლოებული**

დაბოლოვდება; **დაბოლოვდა**; **დაბოლოებულა**; **დაბოლოებულიყო**

დაბომბვა (დაბომბვის^ა): **დაბომბილი**

დაბრალება (დაბრალების^ა): **დაბრალებული**

დაბრიყვება (დაბრიყვების^ა): **დაბრიყვებული**

დაბრკოლება (დაბრკოლების^ა): **დაბრკოლებული**

დაგეგმავს; **დაგეგმა**; **დაუგეგმავს**; **დაეგეგმა**

დაგეგმვა (დაგეგმვის^ა): **დაგეგმილი** (დაგეგმილად)

დაგეგმვა (= 1. გეგმის შედგენა; 2. წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა პროექტის შედგენა: სამუშაოს/მეხვედრის **დაგეგმვა**) – **დაგეგმარება** (= დაპროექტება: ქალაქის/გზის **დაგეგმარება**)

დაგემოვნება (დაგემოვნების^ა): **დაგემოვნებული**

დაგვა-დასუფთავება (დაგვა-დასუფთავების^ა)

დაგვიმადლის // დაგვიმადლებს

დაგვპირდება; **დაგვპირდა**, **დაგვპირებია**; **დაგვპირებოდა**

დაგლეჯს; **დაგლეჯდა**; **დაგლეჯდეს** [და არა დაგლეჯავს, დაგლიჯავს; დაგლეჯავდა, დაგლიჯავდა; დაგლეჯავდეს, დაგლიჯავდეს]; **დაგლიჯა**; **დაუგლეჯია**; **დაეგლიჯა**

დაგრეხს; **დაგრეხდა**; **დაგრეხდეს** [და არა დაგრეხავს, დაგრიხავს; დაგრეხავდა, დაგრიხავდა; დაგრეხავდეს, დაგრიხავდეს]; **დაგრიხა**; **დაუგრეხია**; **დაეგრიხა**

დადასტურდება; **დადასტურდა**; **დადასტურებულა**; **დადასტურებულიყო**

დადასტურება (დადასტურების^ა): **დადასტურებული** (დადასტურებულად)

დადგენა (სიმართლისა/ნორმებისა...) – **დადგენილება** (ყრილობისა / კრებისა...)

დადებს; **დადო**; **დაუდვია** (ერთი), მაგრამ: **დააწყობს**; **დააწყო**; **დაუწყვია** (ბევრი)

დადებს (წიგნს) – **დასდებს** (მას ამაგს/პატივს)

დადექი // დადექ! შდრ.: **სდექ**!

დაედება; **დაედო**; **დასდებია**; **დასდებოდა** [და არა დადებია, დადებოდა]

დაევალება; **დაევალა**; **დავალებია**; **დავალებოდა**

დაეთათბირება; **დაეთათბირა**; **დასთათბირებია**; **დასთათბირებოდა** [და არა დათათბირებია, დათათბირებოდა]

დაეთანხმება; **დაეთანხმა**; **დასთანხმებია**; **დასთანხმებოდა** (მას) [და არა დათანხმებია, დათანხმებოდა]

დაელაპარაკება; **დაელაპარა**; **დალაპარაკებია**; **დალაპარაკებოდა**

დაემატება; **დაემატა**; **დამატებია**; **დამატებოდა**

დაემორჩილება; **დაემორჩილა**; **დამორჩილებია**; **დამორჩილებოდა**

დაემუქრება; **დაემუქრა**; **დამუქრებია**; **დამუქრებოდა**

დაემხობა; **დაემხო**; **დამხობილა** (იგი); შდრ.: **დაემხობა**; **დაემხო**; **დამხობია** (იგი მას)

დაენაძლევება; **დაენაძლევა**; **დაენაძლევოს** (**დავენაძლევო**, **დაენაძლევო**); **დანაძლევებია**; **დანაძლევებოდა**

დაენახ᾽ვ᾽ება; **დაენახ᾽ვ᾽ა**; **დანახ᾽ვ᾽ებია**; **დანახ᾽ვ᾽ებოდა**

დაერქმევა; **დაერქვა**; **დარქმევია**; **დარქმეოდა**

დაესწრება; **დაესწრო**; **დასწრებია**; **დასწრებოდა**

დაეტყობა; **დაეტყო**; **დასტყობია**; **დასტყობოდა** [და არა დატყობია, დატყობოდა]

დაეფუძნება (ის მას); **დაეფუძნა**; **დაჰფუძნებია**; **დაჰფუძნებოდა** [და არა დაფუძნებია, დაფუძნებოდა]

დაექვემდებარება; **დაექვემდებარა**; **დაჰქვემდებარებია**; **დაჰქვემდებარებოდა** [და არა დაქვემდებარებია, დაქვემდებარებოდა]

დაეშავებინა; **დაეშავებინოს** [და არა დაეშავებია, დაეშავებიოს]

დაეშენებინა; **დაეშენებინოს** [და არა დაეშენებია, დაეშენებიოს]

დაეცემა; **დაეცა**; **დაცემულა** (ის), შდრ.: **დაეცემა**; **დაეცა**; **დასცემია** (ის მას)

დაეწერინებინა; **დაეწერინებინოს** [და არა დაეწერინებია, დაეწერინებიოს]

დაეწია (ის); **დაეწივნენ** (ისინი)

დაეჭრევინებინა; **დაეჭრევინებინოს** [და არა დაეჭრევინებია, დაეჭრევინებიოს]

დაეხატვინებინა; **დაეხატვინებინოს** [და არა დაეხატვინებია, დაეხატვინებიოს]

დაებვია (ხალხი); **დაებვივნენ** (ბავშვები...)

დავალდებულება (= ვალდებულების დაკისრება)

დავალება (= შესასრულებლად დაკისრებული საქმე, სამუშაო; ამოცანა, მაგ., საშინაო **დავალება**)

დავალებული (=1. ის, რაც ვინმეს დაავალეს: „ჩვენ **დავალებული** საქმე უნდა აღვასრულოთ“ (ვაჟა); 2. ვინც პატივისცემა (ყურადღება, დახმარება) მიიღო ვინმესგან და თავს მოვალედ თვლის, სიკეთით გადაუხადოს სამაგიერო: გიორგი **დავალებული** იყო მეზობლისაგან, რომელმაც დიდი პატივი სცა) – **დავალიანებული** (= ვალში ჩავარდნილი, მაგ., გადასახადებით **დავალიანებული** მოსახლეობა)

დავალიანება (= ვალის ქონა, მაგ., მოსახლეობას გადასახადებთან დაკავშირებული **დავალიანება** ჰქონდა)

დავით აღმაშენებლის [და არა დ. აღმაშენებლის] **გამზირი**

დავიწროვდება; დავიწროვდა; დავიწროებულა; დავიწროებულიყო

დავლაპარაკებივარ [და არა დავლაპარაკებულვარ] (მე მას)

დავობს; ოდავა; უდავია; ედავა

დაზავდებიან; დაზავდნენ; დაზავებულან; დაზავებულიყვნენ

დაზარალება (დაზარალების˹ა˺)

დაზარალებული (= ვინც მატერიალურად დაზარალდა: გრიგალისგან **დაზარალებული** ოჯახი) – **დაზიანებული** (= 1. რაც დაზიანეს ან დაზიანდა: გრიგალისგან **დაზიანებული** სახლი; 2. დაავადებული, დაშავებული (იგულისხმება სხეულის რომელიმე ნაწილი): „დაჭრილი **დაზიანებულ** მკლავს იხვევდა“ (ალ. ყაზბ.)

დაზუსტდება; დაზუსტდა; დაზუსტებულა; დაზუსტებულიყო

დაზუსტება (დაზუსტების˹ა˺): **დაზუსტებული** (დაზუსტებულად)

დათარიღება (დათარიღების˹ა˺): **დათარიღებული**

დათბება; დათბა; დამთბარა; დამთბარიყო

დათვალიერება (დათვალიერების˹ა˺) [და არა დათვარიელება]

დათვრება; დათვრა (დავთვერი, დათვერი); დამთვრალა; დამთვრალიყო

დათმობა [და არა დათმობები] (**დათმობის** პოლიტიკა)

დათმობს; დათმო; დაუთმია; დაეთმო

დათხოვნა (დათხოვნის˹ა˺): **დათხოვნილი**

დაიანგარიშებს; დაიანგარიშა; დაუანგარიშებია; დაეანგარიშებინა [და არა დაეანგარიშებია]

დაიახლოებს; დაიახლოვა; დაუახლოებია; დაეახლოებინა [და არა

დაეახლოებია]

დაიბარებს; დაიბარა; დაუბარებია; დაებარებინა [და არა დაებარებია]

დაიბნევა; დაიბნა (დავიბენი, დაიბენი); დაბნეულა; დაბნეულიყო

დაიგულებს; დაიგულა; დაუგულებია; დაეგულებინა [და არა დაიგულვებს, დაიგულვა...]

დაიდება; დაიდო; დადებულა; დადებულიყო

დაითანხმებს; დაითანხმა; დაუთანხმებია; დაეთანხმებინა [და არა დაეთანხმებია]

დაიკლებს; დაიკლო (დავიკელი, დაიკელი); დაუკლია; დაეკლო

დაიკმაყოფილებს; დაიკმაყოფილა; დაუკმაყოფილებია; დაეკმაყოფილებინა [და არა დაეკმაყოფილებია]

დაიკრავს; დაიკრა (დავიკარი, დაიკარი); დაუკრავს; დაეკრა

დაიკრეფს (გულზე ხელებს)

დაიმარტოებს; დაიმარტოვა (დავიმარტოვე, დაიმარტოვე...); დაიმარტოოს; დაუმარტოებია; დაემარტოებინა [და არა დაემარტოებია]

[დაიმარტოხელებს კი არა] **დაიმარტოებს**

დაიმკვიდრებს; დაიმკვიდრა; დაუმკვიდრებია; დაემკვიდრებინა [და არა დაემკვიდრებია]

დაიმოწმებს; დაიმოწმა; დაუმოწმებია; დაემოწმებინა [და არა დაემოწმებია]

დაიმსახურა [და არა მოიპოვა] **მოწონება**

დაინდობს; დაინდო; დაუნდვია; დაენდო

დაინერგება; დაინერგა; დანერგილა; დანერგილიყო

დაინიშნება; დაინიშნა; დანიშნულა; დანიშნულიყო

დაინტერესდება; დაინტერესდა; დაინტერესებულა; დაინტერესებულიყო

დაინტერესება (დაინტერესების[ა]): **დაინტერესებული**

დაიპყრობს; დაიპყრო (დავიპყარი, დაიპყარი); დაუპყრია; დაეპყრო

დაირგვება; დაირგო; დარგულა; დარგულიყო

დაირქმევს (დავირქმევ, დაირქმევ); დაირქვა; დაურქმევია; დაერქმია (სახელი)

დაისაკუთრებს; დაისაკუთრა; დაუსაკუთრებია; დაესაკუთრებინა [და არა დაესაკუთრებია]

დაისვამს [და არა დაისვავს, დაისმევს] (ერთს), მაგრამ: **დაისხამს** (ბევრს)

დაისჯება; დაისაჯა; დასჯილა; დასჯილიყო

დაიუშნოებს; დაიუშნოვა; დაიუშნოს (დავიუშნოო, დაიუშნოო); დაუუშნოებია; დაეუშნოებინა [და

არა დაეუშნოებია]

დაიქვემდებარებს; დაიქვემდებარა; დაუქვემდებარებია; დაექვემდებარებინა [და არა დაექვემდებარებია]

დაიღვრება; დაიღვარა; დაღვრილა; დაღვრილიყო

დაიშლება; დაიშალა; დაშლილა; დაშლილიყო

დაიწყება; დაიწყო; დაწყებულა; დაწყებულიყო

დაიხედავს; დაიხედა; დაუხედავს; დაეხედა

დაიხვევს; დაიხვია; დაუხვევია; დაეხვია

დაიხმარს; დაიხმარდა (// დაიხმარებს; დაიხმარებდა); დაიხმარა; დაუხმარებია; დაეხმარებინა [და არა დაეხმარებია]

დაიხოცა (ხალხი), მაგრამ: **მოკვდა** (ერთი)

დაკავშირება (დაკავშირების^ა): **დაკავშირებული**

დაკავშირებით (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: პარლამენტთან/ მინისტრთან... **მიმართებაში**. უნდა იყოს: პარლამენტთან/მინისტრთან... **დაკავშირებით/მიმართებით**)

დაკანონდება; დაკანონდა; დაკანონებულა; დაკანონებულიყო

დაკანონება (დაკანონების^ა): **დაკანონებული** (დაკანონებულად)

დაკარგავს; დაკარგა; დაუკარგავს; დაეკარგა [დაკარგვია, დაკარგვოდა კი არა] **დაჰკარგვია; დაჰკარგოდა** (მას)

დაკიდებს; დაკიდა (კედელზე სურათი), მაგრამ: **დაჰკიდებს; დაჰკიდა** (დედამ შვილს ჯვარი)

დაკიდებული [და არა დაკიდული]

დაკითხავს; დაკითხა; დაუკითხავს; დაეკითხა

დაკითხვა (დაკითხვის^ა): **დაკითხული**

დაკისრება (დაკისრების^ა): **დაკისრებული**

დაკმაყოფილება (დაკმაყოფილების^ა): **დაკმაყოფილებული**

დაკნინება (დაკნინების^ა): **დაკნინებული** (დაკნინებულად)

დაკომპლექსდება; დაკომპლექსდა; დაკომპლექსებულა; დაკომპლექსებულიყო

დაკომპლექსება (დაკომპლექსების^ა): **დაკომპლექსებული**

დაკომპლექტდება; დაკომპლექტდა; დაკომპლექტებულა; დაკომპლექტებულიყო

დაკომპლექტება (დაკომპლექტების^ა): **დაკომპლექტებული**

დაკონსერვება (დაკონსერვების^ა): **დაკონსერვებული**

დალაგდება; დალაგდა; დალაგებულა; დალაგებულიყო

დალაშქრავს; დალაშქრა; დაულაშქრავს; დაელაშქრა [და არა დაელაშქრნა] (მწვერვალი)

დალევს; დალია; დაულევია; დაელია

დალტონიკი; დალტონიზმი (დალტონიზმმა)

დალუქავს; დალუქა; დაულუქავს; დაელუქა

დამაავადებელი (დამაავადებლად)

დამაავადმყოფებელი (დამაავადმყოფებლად)

დამაამებელი (დამაამებლად)

დამაარსებელი (დამაარსებლის'ა')

დამაახლოებელი (დამაახლოებლის'ა')

დამაბნელებელი (დამაბნელებლად)

დამაბრკოლებელი (დამაბრკოლებლად)

დამაბრმავებელი (დამაბრმავებლად)

დამაგვირგვინებელი (დამაგვირგვინებლის'ა')

დამაგრძელებელი (დამაგრძელებლის'ა')

დამადასტურებელი (დამადასტურებლის'ა')

დამაეჭვებელი (დამაეჭვებლად)

დამავიწყებელი (დამავიწყებლის'ა')

დამათრობელი (დამათრობლად); **დამთრობი**

დამაიმედებელი (დამაიმედებლად)

დამაინტერესებელი (დამაინტერესებლად)

დამაინტრიგებელი (დამაინტრიგებლად)

[დამაკავა როლში კი არა] **მომცა როლი**

დამაკავშირებელი (დამაკავშირებლის'ა')

დამაკმაყოფილებელი (დამაკმაყოფილებლად)

დამაკნინებელი (დამაკნინებლად)

დამამთავრებელი (დამამთავრებლის'ა')

დამამკვიდრებელი (დამამკვიდრებლის'ა'); **დამმკვიდრებელი** (დამმკვიდრებლის'ა')

დამამსგავსებელი (დამამსგავსებლის'ა'); **დამმსგავსებელი** (დამმსგავსებლის'ა')

დამამტკიცებელი (დამამტკიცებლის'ა')

დამამყარებელი (დამამყარებლის'ა')

დამამშვენებელი (დამამშვენებლად)

დამამშვიდებელი (დამამშვიდებლად)

დამამცირებელი (დამამცირებლად)

დამამძიმებელი (დამამძიმებლად)

დამამხობელი (დამამხობლის'ა')

დამანგრეველი (დამანგრეველად)

დამარცხდება; დამარცხდა; დამარცხებულა; დამარცხებულიყო

დამარცხება (დამარცხების'ა'): **დამარცხებული**

დამარწმუნებელი (არგუმენტი...) – **სარწმუნო** (წყარო...)

დამასუსტებელი (დამასუსტებლად)

დამაფიქრებელი (დამაფიქრებლად)

დამაფრთხობელი (დამაფრთხობლის'ა')

დამაქცეველი (დამაქცევლის˹ა˺); **დამქცევი**

დამაყრუებელი (დამაყრუებლად)

დამაწყნარებელი (დამაწყნარებლად)

დამახარისხებელი (დამახარისხებლის˹ა˺); **დამხარისხებელი** (დამხარისხებლის˹ა˺)

დამახასიათებელი (თვისებები...) – **დამხასიათებელი** (= ვინც ახასიათებს)

დამაჯგუფებელი (დამაჯგუფებლის˹ა˺)

დამაჯერებელი (დამაჯერებლად)

დამბრუნებელი (დამბრუნებლის˹ა˺)

დამგირავებელი (დამგირავებლის˹ა˺)

დამდგენი // დამდგენელი (დამდგენლის˹ა˺)

დამთვალიერებელი (დამთვალიერებლის˹ა˺)

დამთრგუნველი (დამთრგუნველად)

დამკაბადონებელი (დამკაბადონებლის˹ა˺)

დამკავებელი (დამკავებლის˹ა˺)

დამკანონებელი (დამკანონებლის˹ა˺)

დამკვირვებელი (დამკვირვებლის˹ა˺)

დამკომპლექსებელი (დამკომპლექსებლის˹ა˺)

დამკომპლექტებელი (დამკომპლექტებლის˹ა˺)

დამლაპარაკებელი (დამლაპარაკებლის˹ა˺)

დამმონებელი (დამმონებლის˹ა˺)

დამმორჩილებელი (დამმორჩილებლის˹ა˺)

დამნაშავე (დამნაშავის˹ა˺)

დამწაწილებელი (დამწაწილებლის˹ა˺)

დამწახ˹ვ˺ებელი (დამწახ˹ვ˺ებლის˹ა˺)

დამწახველი (დამწახველის˹ა˺) (// **დამწახავი**)

დამწერგავი

დამოკიდებულება (დამოკიდებულების˹ა˺)

დამოკიდებულად (დამოკიდებულად)

დამოკლეს მახვილი (გამოთქმა გამოხატავს ისეთ რეალურ საფრთხეს, რომელიც ყოველ წამს ემუქრება რაიმე წამოწყებას, გადაწყვეტილებას ან თვით ადამიანს)

დამონება (დამონების˹ა˺): **დამონებული**

დამოუკიდებელი (დამოუკიდებლად)

დამოუკიდებლობა (დამოუკიდებლობის˹ა˺)

დამოწმება (დამოწმების˹ა˺): **დამოწმებული**

დამპატრონებელი (დამპატრონებლის˹ა˺)

დამპროექტებელი (დამპროექტებლის˹ა˺)

დამპყრობელი (დამპყრობლის˹ა˺) // **დამპყრობი**

დამპყრობლური (დამპყრობლურად)

დამრიგებლური (ტონი), შ დრ.: **სადამრიგებლო** (კლასი)

დამსუფთავებელი (დამსუფთავებლის˹ა˺)

დამსწრე (დამსწრის˹ა˺)

დამტვრევა (დამტვრევის˹ა˺): **დამტვრეული** (დამტვრეულად)

დამტკიცება (დამტკიცების˹ა˺): **დამტკიცებული** (დამტკიცებულად)

დამფასებელი (დამფასებლის˹ა˺)

დამფუძნებელი (დამფუძნებლის˹ა˺)

დამღუპველი (დამღუპველის˹ა˺) (// **დამღუპავი**)

დამჩაგვრელი (დამჩაგვრელის˹ა˺) // **დამჩაგრავი**

დამცავი (= რაც დაიცავს; რამისგან დასაცავად განკუთვნილი: **დამცავი** სათვალე/ნაგებობა...; შდრ.: **დამცავი ფერი**) – **დამცველი** (= 1. ვინც დაიცავს; მფარველი; მხარის დამჭერი: მეგობრის **დამცველი**; 2. სამართ. ვინც იცავს ვინმეს სასამართლო პროცესზე; ადვოკატი; 3. ტექ. იზოლატორი; დამცველი მოწყობილობა)

დამცირება (დამცირების˹ა˺): **დამცირებული**

დამწერლობა (= ამა თუ იმ ენის გრაფიკული ნიშნების, ასოების სისტემა; წერის ხელოვნება) – **მწერლობა** (= 1. მწიგნობრობა; 2. მწერლის საქმიანობა, სამწერლო მოღვაწეობა; 3. ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთობლიობა; ლიტერატურა)

დამჭკნარ-გამხმარი

დამხარისხებელი (დამხარისხებლის˹ა˺)

დამხმარე (დამხმარის˹ა˺)

დამხობა (დამხობის˹ა˺): **დამხობილი**

დანა-ჩანგალი (დანა-ჩანგლის˹ა˺)

დანიშვნა (დანიშვნის˹ა˺) [და არა დანიშნვა]

დანიშნული

დაპატიმრება (დაპატიმრების˹ა˺): **დაპატიმრებული**

დაპატიჟება (დაპატიჟების˹ა˺): **დაპატიჟებული**

დაპირება (დაპირების˹ა˺): **დაპირებული**

დაპირისპირება (დაპირისპირების˹ა˺): **დაპირისპირებული**

დაპროგრამება (დაპროგრამების˹ა˺) // **პროგრამირება** (პროგრამირების˹ა˺)

დაპროგრამებული // **პროგრამირებული**

დაპროექტება (დაპროექტების˹ა˺): **დაპროექტებული**

დაპყრობა (დაპყრობის˹ა˺): **დაპყრობილი**

დაპყრობითი; **დამპყრობლური**

დარბევა (დარბევის˹ა˺): **დარბეული**

დარგი; **დარგობრივი**

დარეგულირება (დარეგულირების˹ა˺): **დარეგულირებული**

დარიგდება; **დარიგდა**; **დარიგებულა**; **დარიგებულიყო**

დარღვევა (დარღვევის˹ა˺): **დარღვეული**

დარწმუნდება; დარწმუნდა; დარწმუნებულა; დარწმუნებულიყო

დასაარსებელი (დასაარსებლად)

დასაბალანსებელი (დასაბალანსებლად)

დასაბეჭდი // დასაბეჭდავი

დასაბომბი // დასაბომბავი

დასაბრალებელი (დასაბრალებლად)

დასაბუთდება; დასაბუთდა; დასაბუთებულა; დასაბუთებულიყო

დასაბუთება (დასაბუთების^ა): **დასაბუთებული**

დასაგეგმი // დასაგეგმავი

დასაგემოვნებელი (დასაგემოვნებლად)

დასაგვირგვინებელი (დასაგვირგვინებლად)

დასადასტურებელი (დასადასტურებლად)

დასადები (დასადებად)

დასაეჭვებელი (დასაეჭვებლად)

დასავიწყარი // დასავიწყებელი (დასავიწყებლად)

დასავლეთ-აღმოსავლეთი

დასავლეთი საქართველო/ევროპა...

დასავლელი; დასავლური [და არა დასავლეთელი, დასავლეთური]

დასაზავებელი (დასაზავებლად)

დასათანხმებელი (დასათანხმებლად)

დასათარიღებელი (დასათარიღებლად)

დასათაურება (დასათაურების^ა): **დასათაურებული**

დასათმობი (// **დასათმობელი**) (დასათმობლად)

დასათრგუნავი // დასათრგუნი // დასათრგუნველი (დასათრგუნველად)

დასათრობი (დასათრობად) // **დასათრობელი** (დასათრობლად)

დასაკანონებელი (დასაკანონებლად)

დასაკარგი // დასაკარგავი

დასაკვეხნი // დასაკვეხი

დასაკვრელი // დასაკრავი (= 1. რაც უნდა დაჰკრან; დასარტყმელი; 2. რაც უნდა დააკრან (რამეზე); 3. რაც, რაზედაც ან რითაც უნდა დაუკრან; საკრავი)

დასაკმაყოფილებელი (დასაკმაყოფილებლად)

[დასალევი კი არა] **სასმელი წყალი**

დასალოცი // დასალოცავი

დასამალი // დასამალავი

დასამარხი // დასამარხავი

დასამთავრებელი (დასამთავრებლად)

დასამკვიდრებელი (დასამკვიდრებლად)

დასამოწმებელი (დასამოწმებლად)

დასამღერი // დასამღერებელი (დასამღერებლად)

დასამშვენებელი (დასამშვენებლად)

დასამშვიდებელი (დასამშვიდებლად)

დასამცირებელი (დასამცირებლად)

დასამხობი (დასამხობად)

დასანანი // დასანანებელი (დასანანებლად)

დასანახ˹ავ˺ი (დასანახ˹ავ˺ად)

დასანერგ˹ავ˺ი (დასანერგ˹ავ˺ად)

დასანიშნი (// **დასანიშნავი**)

დასაპროექტებელი (დასაპროექტებლად)

დასარეკი (დასარეკად)

დასარეცხი (// **დასარეცხავი**)

დასარიგებელი (დასარიგებლად)

დასარწმუნებელი (დასარწმუნებლად)

დასასაბუთებელი (დასასაბუთებლად)

დასასათაურებელი (დასასათაურებლად)

დასასაქმებელი (დასასაქმებლად)

დასასახავი (დასასახავად)

დასასახლებელი (დასასახლებლად)

დასასვენებელი (დასასვენებლად)

დასასრულ (ეს სიტყვა სტატიისა თუ მოხსენების შემაჯამებელ ნაწილში გვხვდება დამოუკიდებლად (**დასასრულ**, მოკლედ შევაჯამოთ მიღებული შედეგები), **დასასრულს** კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, თუ მას წინ უძღვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: სხდომის/კონცერტის **დასასრულს**)

დასასრულებელი (დასასრულებლად)

დასასწავლი (დასასწავლად)

დასასწრები (დასასწრებად)

დასასხდომი (ბევრისათვის), მაგრამ: **დასაჯდომი** (ერთისათვის)

დასატაცებელი (დასატაცებლად)

დასატკბობი (დასატკბობად) // **დასატკბობელი** (დასატკბობლად)

დასატოვებელი (დასატოვებლად)

დასაუთოებელი (დასაუთოებლად)

დასაფარ˹ავ˺ი (დასაფარ˹ავ˺ად)

დასაფარებელი (დასაფარებლად)

დასაფინანსებელი (დასაფინანსებლად)

დასაქმება (დასაქმების˹ა˺): **დასაქმებული**

დასაშენებელი (დასაშენებლად)

დასაშორებელი (დასაშორებლად)

დასაძრახი (// **დასაძრახავი**)

დასაძრახისი (დასაძრახისს)

დასაწუნი (// **დასაწუნარი** // **დასაწუნებელი**) (დასაწუნებლად)

დასახარჯ˹ავ˺ი (დასახარჯ˹ავ˺ად)

დასახატ˹ავ˺ი (დასახატ˹ავ˺ად)

დასასვედრებელი (= რაც უნდა დაასვედრონ) – **დასასვედრი** (= 1. ვისაც ან რასაც უნდა დაუხვდნენ; 2. ადგილი, სადაც უნდა დაუხვდნენ)

დასახმარებელი (დასახმარებლად)

დასაჯდომი (ერთისათვის), მაგრამ: **დასასხდომი** (ბევრისათვის)

დასაჯერებელი (დასაჯერებლად)

დასაჯილდოებელი (დასაჯილდოებლად)

დასდებს (მას პატივს), მაგრამ: **დადებს** (წიგნს)

დასვამს [და არა დასვავს] **კითხვას**; **დაუსვამს** [და არა დაუსვავს] **კითხვა** (თურმე)

დასვამს; **დასვა**; **დაუსვამს** (ერთი), მაგრამ: **დასხამს**; **დასხა**; **დაუსხამს** (ბევრი)

დასვენების დღე/უქმე დღე [და არა გამოსასვლელი დღე]

დასთანხმდება; **დასთანხმდა**; **დასთანხმებია**; **დასთანხმებოდა** (ის მას)

დასი (დასს)

დასტურდება (**დადასტურდა**; **დადასტურებულა**; **დადასტურებულიყო**)

დასცალდება; **დასცალდა**; **დასცლია** (// **დასცალებია**); **დასცლოდა**

დასცინის; **დასცინა** [და არა დაცინის, დაცინა]; **დაუცინია**; **დაეცინა**

დასცხება; **დასცხა**; **დასცხომია**; **დასცხომოდა** (მას), მაგრამ: **დაცხება** (დღეს)

დასწყვეტს (მას გულს), მაგრამ: **დაწყვეტს** (ყვავილებს)

დასჭირდება; **დასჭირდებოდა**; **დასჭირდებოდეს**; **დასჭირდა**; **დასჭირებია**; **დასჭირებოდა** [და არა დაჭირდება, დაჭირდებოდა...]

დასხდა (ხალხი), **დასხდნენ** (ბავშვები), მაგრამ: **დაჯდა** (ბავშვი)

დასჯა (დასჯის[ა]): **დასჯილი**

დასჯერდება; **დასჯერდებოდა**; **დასჯერდებოდეს**; **დასჯერდა**; **დასჯერებია**; **დასჯერებოდა** [და არა დაჯერდება, დაჯერდებოდა...]

დასჯის; **დასჯიდა**; **დასჯიდეს**; **დასაჯა**; **დაუსჯია**; **დაესაჯა**

დატანჯავს; **დატანჯა**; **დაუტანჯავს**; **დაეტანჯა**

დატვირთავს; **დატვირთა**; **დაუტვირთავს**; **დაეტვირთა**

დატვირთვა (დატვირთვის[ა]): **დატვირთული**

დატოვებს; **დატოვა**; **დაუტოვებია**; **დაეტოვებინა** [და არა დაეტოვებია, დაეტოვა]

დატოვებული [და არა დატოვილი]

დაუახლოებს; **დაუახლოვა**; **დაუახლოებია**; **დაეახლოებინა** [და არა დაეახლოებია]

დაუბამს; **დაუბამდა**; **დაუბამდეს**; **დაუბა**; **დაუბამს** (თურმე) [და არა დაუბავს]; **დაება**

დაუბნეველი (დაუბნევლად)

დაუგვიანია (თვითონ) – **დაუგვიანებია** (სხვა)

დაუდასტურებელი (დაუდასტურებლად)

დაუდასტურებს; **დაუდასტურა**; **დაუდასტურებია**; **დაედასტურებინა** [და არა დაედასტურებია]

დაუდგენელი (დაუდგენლად)

დაუდებს; **დაუდო**; **დაუდვია**; **დაედო**

დაუდეგარი (= მოძრავი, მოუსვენარი, დაუდგრომელი) – **დაუდევარი** (= უდარდელი, უზრუნველი, უნაღვლო, უწესრიგო)

დაუვიწროებს; დაუვიწროვა; დაუვიწროოს; დაუვიწროებია; დაევიწროებინა [და არა დაევიწროებია]

დაუვიწყებელი (დაუვიწყებლად)

დაუვიწყარი

დაუვიწყებს; დაუვიწყა; დაუვიწყებია; დაევიწყებინა [და არა დაევიწყებია, დაევიწყნა, დაევიწყა]

დაუზარელი (დაუზარლად) // **დაუზარებელი** (დაუზარებლად)

დაუზოგავი (დაუზოგავად) // **დაუზოგველი** (დაუზოგველად)

დაუზოგაობა (დაუზოგაობის^ა) // **დაუზოგველობა** (დაუზოგველობის^ა)

დაუზუსტებელი (დაუზუსტებლად)

დაუზღვეველი (დაუზღვევლად)

დაუთოვდება; დაუთოვდა; დაუთოებულა; დაუთოებულიყო

დაუთრგუნავი (დაუთრგუნავად) (// **დაუთრგუნველი**) (დაუთრგუნველად)

დაუკლავს [და არა დაუკლია] (ქათამი...), მაგრამ: **დაუკლია** (წონაში)

დაუმაგრებელი (დაუმაგრებლად)

დაუმარცხებელი (დაუმარცხებლად)

დაუმთავრებელი (დაუმთავრებლად)

დაუმკვიდრებელი (დაუმკვიდრებლად)

დაუმორჩილებელი (დაუმორჩილებლის^ა)

დაუმორჩილებლობა (დაუმორჩილებლობის^ა)

დაუმოწმებელი (დაუმოწმებლად)

დაუმსახურებელი (დაუმსახურებლად)

დაუმტკიცებელი (დაუმტკიცებლად)

დაუმუშავებელი (დაუმუშავებლად)

დაუნაწილებელი (დაუნაწილებლად)

დაუნდობარი // დაუნდობელი

დაუპატიჟებელი (დაუპატიჟებლად)

დაუპირისპირდება; დაუპირისპირდა; დაჰპირისპირებია; დაჰპირისპირებოდა

დაუპირისპირებს; დაუპირისპირა; დაუპირისპირებია; დაეპირისპირებინა [და არა დაეპირისპირებია]

დაუჟანგავი (// **დაუჟანგველი**)

დაურგველი // დაურგავი

დაურტყამს [და არა დაურტყავს] (თურმე)

დაურღვეველი (დაურღვევლად)

დაუსვამს [და არა დაუსვავს] (თურმე)

დაუსვენია (თვითონ) – **დაუსვენებია** (სხვა)

დაუსწრებელი (დაუსწრებლად)

დაუსწრებლობა (დაუსწრებლობის^ა)

დაუსხამს [და არა დაუსხავს] (თურმე)

დაუსჯელი (დაუსჯელად)

დაუსჯელობა (დაუსჯელობის˹ა˺)

დაუფასებელი (= ვინც ან რაც არ დაუფასებიათ, მაგ., **დაუფასებელი** მხატვარი/მეცნიერი/ამაგი...) – **შეუფასებელი** (= რაც არ შეუფასებიათ, შეფასების გარეშე დარჩენილი, მაგ., **შეუფასებელი** ქონება) – **ფასდაუდებელი** (= ძალიან დიდი ფასის მქონე, მაგ., **ფასდაუდებელი** ნაშრომი)

დაუფასებელი (დაუფასებლად)

დაუფასებლობა (დაუფასებლობის˹ა˺)

დაუფიქრებელი (დაუფიქრებლად)

დაუფიქრებლობა (დაუფიქრებლობის˹ა˺)

დაუქვემდებარებს; **დაუქვემდებარა**; **დაუქვემდებარებია**; **დაექვემდებარებინა** [და არა დაექვემდებარებია]

დაუქორწინებელი (დაუქორწინებლად) [და არა დაუქორწილებელი, დაუქორწილებლად]

დაუღალავი // დაუღლელი

დაუყოვნებელი (დაუყოვნებლად // დაუყოვნებლივ)

დაუჩოქია (თვითონ) – **დაუჩოქებია** (სხვა)

დაუცავი (დაუცავად) // **დაუცველი** (დაუცველად)

დაუცველობა (დაუცველობის˹ა˺)

დაუძინებელი (დაუძინებლად)

დაუძინია (თვითონ) – **დაუძინებია** (სხვა)

დაუწვავს; **დაუწვა**; **დაუწვავს** [და არა დაუწვამს] (თურმე); **დაეწვა**

დაუწყია (მუშაობა...) – **დაუწყვია** (წიგნები...)

დაუჭკნობელი // დაუჭკნობი

დაუხატავს; **დაუხატა**; **დაუხატავს** (თურმე); **დაეხატა**

დაუხვდება; **დაუხვდა**; **დახვედრია** (// **დახვდომია**); **დახვედროდა**

დაუხოცავი (// **დაუხოცველი**)

დაფინანსება (დაფინანსების˹ა˺): **დაფინანსებული**

დაფლეთს; **დაფლეთდა**; **დაფლეთდეს** [და არა დაფლეთავს; დაფლითავს; დაფლეთავდა, დაფლითავდა; დაფლეთავდეს, დაფლითავდეს]; **დაფლითა**; **დაუფლეთია**; **დაეფლითა**

დაფუძნდება; **დაფუძნდა**; **დაფუძნებულა**; **დაფუძნებულიყო**

დაფქვა (**დაფქვავს**): **დაფქული**

დაქვემდებარება (დაქვემდებარების˹ა˺): **დაქვემდებარებული** (დაქვემდებარებულად)

დაქმარშვილება (დაქმარშვილების˹ა˺): **დაქმარშვილებული**

[დაქონდა, დაქონდეს კი არა] **დაჰქონდა**; **დაჰქონდეს**

დაქრის; **დაქროდა**; **დაქროდეს** [და არა დაჰქრის...]

დაქსაქსავს; **დაქსაქსა**; **დაუქსაქსავს**; **დაექსაქსა**

დაქსაქსვა (დაქსაქსვის˹ა˺)

დაქსაქსული; დაქსაქსულობა (დაქსაქსულობის˹ა˺)

დაღდასმული

დაღმართი (დაღმართთან)

დაღონებულ-დაფიქრებული

[დაყავს, დაყავდა, დაყავდეს კი არა] **დაჰყავს; დაჰყავდა; დაჰყავდეს**

[დაყვება, დაყვა, დაყოლია კი არა] **დაჰყვება; დაჰყვა; დაჰყოლია; დაჰყოლოდა**

დაყოფს; დაყო [და არა დაჰყოფს, დაჰყო] **(დავყავი, დაყავი); დაუყვია; დაეყო**

დაყრდნობა (დაყრდნობის˹ა˺): **დაყრდნობილი**

დაყრის (ბევრს), მაგრამ: **დააგდებს** (ერთს)

დაშაქრული (ჩაი/ყავა/მარწყვი...; შდრ.: **დაშაქრული ენა**) – **დაშაქრებული** (მურაბა/ჩურჩხელები...)

დაშლა-დაქუცმაცება (დაშლა-დაქუცმაცების˹ა˺)

დაშრება; დაშრა; დამშრალა; დამშრალიყო

დაჩაგრავს; დაჩაგრა; დაუჩაგრავს; დაეჩაგრა

დაჩოქება (დაჩოქების˹ა˺): **დაჩოქებული**

დაჩოქილი (დაჩოქილად)

დაჩქარდება; დაჩქარდა; დაჩქარებულა; დაჩქარებულიყო

დაჩქარება (დაჩქარების˹ა˺): **დაჩქარებული** (დაჩქარებულად)

დაცარიელდება; დაცარიელდა; დაცარიელებულა; დაცარიელებულიყო

დაცემულა (იგი), მაგრამ: **დასცემია** (იგი მას)

დაცვა (დაცვის˹ა˺): **დაცული; დაცვითი**

დაცოლშვილება (დაცოლშვილების˹ა˺): **დაცოლშვილებული**

დაცხრება; დაცხრა; დამცხრალა; დამცხრალიყო

დაცხრობა და **დაცხრომა** ერთ შემთხვევაში სინონიმებია: **დაცხრობა, დაცხრომა** (მღელვარებისა / ტკივილისა), მაგრამ: **დაცხრომა** (სიმსივნისა / შეშუპებისა)

დაძვრენა (თავისა) – **დაძვრომა** (ხელიდან)

დაძლევს; დაძლია; დაუძლევია; დაეძლია

დაძმობა (დაძმობის˹ა˺); **დაძმური** (დაძმურად), მაგრამ: **და-ძმა**

დაძმობილება (დაძმობილების˹ა˺) **(დაძმობილდნენ)**

დაწერილ იქნა ბრძანება, მაგრამ: ბრძანება **იქნა დაწერილი**

დაწვრილებით (= ყველა წვრილმანის გათვალისწინებით; ზედმიწევნით; დეტალურად) – **დაწვრილმანებით** (= 1. დაქუცმაცებით; 2. წვრილმანებს გამოდევნებით; დაკნინებით)

დაწმენდილ-დარეცხილი (დაწმენდილ-დარეცხილის˹ა˺)

დაჭაშნიკება (დაჭაშნიკების˹ა˺): **დაჭაშნიკებული**

დაჭერა (დაჭერის˹ა˺): **დაჭერილი**

[დაჭირდება კი არა] **დასჭირდება**

დაჭყეტს // დააჭყეტს [და არა დაჭყიტავს, დაჭყეტავს]; **დაჭყიტა // დააჭყიტა; დაუჭყეტია; დაეჭყიტა**

დახარისხება (დახარისხების˹ა˺): **დახარისხებული**

დახვეწა: **დახვეწილი**

დახვეწილობა (დახვეწილობის˹ა˺)

დახვეწს; დახვეწდა; დახვეწდეს [და არა დახვეწავს...]; **დახვეწა; დაუხვეწია; დაეხვეწა**

დახოცავს (ბევრს), მაგრამ: **მოკლავს** (ერთს)

დახურვა-კონსერვაცია (დახურვა-კონსერვაციის˹ა˺)

დაჯავშნა (დაჯავშნის˹ა˺); **დაჯავშნილი**

დაჯავშნის; დაჯავშნა; დაუჯავშნია; დაეჯავშნა

დაჯამება (დაჯამების˹ა˺): **დაჯამებული**

დაჯგუფება (დაჯგუფების˹ა˺): **დაჯგუფებული**

[დაჯერდება კი არა] **დასჯერდება**

დაჯილდოება (დაჯილდოების˹ა˺): **დაჯილდოებული**

დაჯილდოვდება; დაჯილდოვდა; დაჯილდოებულა; დაჯილდოებულიყო

დაჰბრალდება; დაჰბრალდა; დაჰბრალებია; დაჰბრალებოდა [და არა დაბრალდება, დაბრალდა...]

დაჰკარგვია; დაჰკარგოდა [და არა დაკარგვია, დაკარგვოდა] (მას)

დაჰკითხავს (მას); **დაჰკითხა** [და არა დაკითხავს, დაკითხა]; **დაუკითხავს; დაეკითხა**

დაჰკრავს (ის მას მას); **დაჰკრა; დაუკრავს; დაეკრა**

დაჰპირდება; დაჰპირდა; დაჰპირებია; დაჰპირებოდა [და არა დაპირდება, დაპირდა...]

დაჰქონდა; დაჰქონდეს [და არა დაქონდა, დაქონდეს]

დაჰყაბულდება; დაჰყაბულდა; დაჰყაბულებია; დაჰყაბულებოდა [და არა დაყაბულდება, დაყაბულდა...]

დაჰყავს; დაჰყავდა; დაჰყავდეს [და არა დაყავს...]

დაჰყვება; დაჰყვა; დაჰყოლია (ის მას) [და არა დაყვება...]

დგამი (= საერთო სახელწოდება ოთახის ან ბინის მოსაწყობი ნივთებისა; ავეჯი)

დგამს [და არა დგავს]

დგანი (= ტექნ. დიდი მანქანა ან მანქანათა სისტემა ლითონის მსხვილ ნაკეთობათა დასამზადებლად)

დგარი (= ტექნ. რაიმეს საყრდენი ბელი)

დგას (ვდგავარ, დგახარ); ოდგა; მდგარა; მდგარიყო

დგახარ [და არა დგეხარ]

დგიმი (= დარგ. საფეიქრო მოწყობილობა)

დგინდება (დადგინდა; დადგენილა; დადგენილიყო)

დგომი (დგომმა) (სპორტ.)

დებატები (მრ.)

დებარკადერი (დებარკადერის^ა): მცურავი ნავმისადგომი.

დებეტი (= შემოსავალ-გასავლის დავთრის მარცხენა გვერდი, სადაც შეაქვთ ყველა მიღებული ფასეულობა, აგრეთვე მოცემულ ანგარიშზე დარიცხული ყველა ვალი და გასავალი); საპირისპ. **კრედიტი**

დებიტი (= წყლის/ნავთის... რაოდენობა, მოცულობა, რომელსაც იძლევა შესაბამისი წყარო დროის განსაზღვრულ ერთეულში)

დებიტორი (= ვინც სესხი აიღო; მოვალე)

დებიუტანტი

დებიუტი (= 1. პირველი გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე; 2. პირველი სვლები ჭადრაკში. ამ სიტყვასთან მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია)

დებლოკირება (დებლოკირების^ა): **დებლოკირებული**

დებოში (დებოშში)

დებს (დადებს; დადო (დავდე, დადე); დაუდვია; დაედო)

დებულება (დებულების^ა)

დეგაზაცია (დეგაზაციის^ა): მომწამვლელი ნივთიერებისაგან გაუვნებლება, გაწმენდა.

დეგენერაცია (დეგენერაციის^ა)

დეგრადაცია (დეგრადაციის^ა)

დეგრადირება (დეგრადირების^ა): **დეგრადირებული**

დეგრესია (დეგრესიის^ა)

დეგუსტაცია (დეგუსტაციის^ა); **დეგუსტატორი**

დედა (დედის^ა, შინაურულად დედას^ი)

დედააზრი

დედაარსი (დედაარსს)

დედაბერი (დედაბრის^ა): **დედაბრული** (დედაბრულად)

დედაბოძი

დედაბუდიანად

დედაენა (დედაენის^ა)

დედათქვენი; დედაჩემი (დედაჩემმა); **დედამისი** (დედამისს)

დედაკაცი: დედაკაცური (დედაკაცურად)

დედალ-მამალი (დედალ-მამლის^ა), მაგრამ: **დედალმამლობა**

დედამთილ-მამამთილი (დედამთილ-მამამთილის^ა)

დედამიწა (დედამიწის^ა)

დედანი (დედნის˹ა˺)

დედასამშობლო

დედაქალაქი

დედა-შვილი, მაგრამ: **დედაშვილობა**; **დედაშვილური**; **დედაშვილურად**

დედინაცვალი (დედინაცვლის˹ა˺)

დედისერთა (დედისერთას˹ი˺)

დედიშობილა (დედიშობილას˹ი˺)

დედ-მამა, მაგრამ: **დედმამიანი**; **უდედმამო**

დედმამიშვილი; **დედმამიშვილობა** (დედმამიშვილობის˹ა˺)

დედობილ-მამობილი

დედოფალა (დედოფალას˹ი˺)

დედოფალი (დედოფლის˹ა˺): **სადედოფლო**

დედულ-მამული

დედუქცია (დედუქციის˹ა˺): **დედუქციური**

დეესკალაცია (დეესკალაციის˹ა˺)

დევალვაცია (დევალვაციის˹ა˺)

დევნა (= 1. უკან დადევნება, გაკიდება, ადევნება, აყოლა; კვალში მიყოლა; 2. ძებნა); შდრ.: **დევნება თვალისა** (= თვალთვალი)

დევნილი; **დევნილები**

დევს (ერთი), მაგრამ: **აწყვია** (ბევრი)

დეზერტირი; **დეზერტირობა** (დეზერტირობის˹ა˺)

დეზინსექტორი (= დეზინსექციის სპეციალისტი; **დეზინსექცია**: პარაზიტ მწერთა მოსპობა სხვადასხვა საშუალებით)

დეზინტეგრაცია (დეზინტეგრაციის˹ა˺)

[დეზინტერია, დიზინტერია კი არა] **დიზენტერია**

დეზინტოქსიკაცია (დეზინტოქსიკაციის˹ა˺): ორგანიზმის გაწმენდა, გათავისუფლება ინტოქსიკაციისაგან.

დეზინფექტორი (= ვინც დეზინფექციას ატარებს)

დეზინფექცია [და არა დიზინფექცია]: **დეზინფექციური**; **სადეზინფექციო**

დეზინფიცირება (დეზინფიცირების˹ა˺): **დეზინფიცირებული**

დეზინფორმაცია (დეზინფორმაციის˹ა˺)

დეზინფორმირება (დეზინფორმირების˹ა˺): **დეზინფორმირებული**

დეზოდორანტი

დეზოდორატორი (= ხელსაწყო ან ქიმიური ნივთიერება, რომლითაც ახდენენ დეზოდორაციას)

დეზოდორაცია (დეზოდორაციის˹ა˺): სუნის მოსპობა და ჩახშობა ქიმიური საშუალებებით.

დეზორგანიზაცია (დეზორგანიზაციის˹ა˺)

დეზორგანიზება (დეზორგანიზების˹ა˺): **დეზორგანიზებული**

დეზორიენტაცია (დეზორიენტაციის˹ა˺)

დეზორიენტირებული

დეიდა (დეიდის˹ა˺; შინაურულად: დეიდას˹ი˺)

დეიდაშვილი

დეიდაჩემი (დეიდაჩემმა); **დეიდაშენი, დეიდამისი** (დეიდამისს)

დე-იურე (// **დეიურე**) (= იურიდიულად, დოკუმენტურად)

დეკადა (დეკადის˹ა˺)

დეკადანსი (დეკადანსს): კულტურის დაქვეითება, დაცემა, რეგრესი.

დეკალოგი (= ბიბლიის ათი მცნება)

დეკანი (დეკანის˹ა˺)

დეკემბერ-იანვარი (დეკემბერ-იანვრის˹ა˺)

დეკლამატორი

დეკლამაცია (დეკლამაციის˹ა˺)

დეკლარაცია (დეკლარაციის˹ა˺)

დეკლარირება (დეკლარირების˹ა˺): **დეკლარირებული**

დეკოდირება (დეკოდირების˹ა˺)

დეკოლტე (დეკოლტეს˹ი˺)

დეკომპენსაცია (დეკომპენსაციის˹ა˺): მედიც. კომპენსაციის დარღვევა; ორგანიზმის ან რომელიმე ორგანოს ფუნქციონირების დარღვევა.

დეკორაციული (= დეკორაციასთან დაკავშირებული); შდრ.: **დეკორატიული** (მცენარეები)

დეკორტი (= სპეც. ფასის დაკლება საქონელზე, როდესაც წინასწარ იხდიან მის საფასურს ან როდესაც მისი ხარისხი არ შეესაბამება წინასწარ დათქმულს)

დეკრემენტი (= მედიც. ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში – აგზნების ტალღის თანდათანობითი მილევა, როდესაც იგი ვრცელდება ნერვში)

დეკრეტი: დეკრეტული

დეკრეტირება (დეკრეტირების˹ა˺): რაიმეს დაკანონება დეკრეტის გამოცემით.

დეკრიმინალიზაცია (დეკრიმინალიზაციის˹ა˺): დანაშაულებრივი კვალიფიკაციის მოხსნა გარკვეული ქმედებისათვის.

დელეგატი

დელეგაცია (დელეგაციის˹ა˺): **ქართული დელეგაცია**

დელეგირება (დელეგირების˹ა˺): **დელეგირებული**

დელიკატესი (დელიკატესს)

დელიკატურად (დელიკატურად)

დელიკატურობა (დელიკატურობის˹ა˺)

დელიმიტაცია (დელიმიტაციის˹ა˺): სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლის დაწვრილებითი აღწერა, რის შესაბამისადაც დგინდება სახელმწიფოთაშორისი საზღვარი)

დელტაპლანი (სპორტ.)

დელფინარიუმი (დელფინარიუმმა)

დემაგოგი: **დემაგოგური**

დემაგოგია (დემაგოგიის⌜ა⌝): **დემაგოგიური**

დემარკაცია (დემარკაციის⌜ა⌝): საზღვრის დადება, გამიჯვნა ადგილზე (სპეციალური სასაზღვრო ნიშნების საშუალებით) სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დემარკაციული; **სადემარკაციო**

დემარში (= 1. დიპლ. ერთი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლობის მიმართვა (ჩვეულებისამებრ – საპროტესტო) მეორე სახელმწიფოსადმი; 2. გადატ. პიროვნული საპროტესტო ქმედება)

დემილიტარიზაცია (დემილიტარიზაციის⌜ა⌝): პოლიტ. რომელიმე სახელმწიფოსათვის სიმაგრეთა აგების, სამხედრო მრეწველობისა და გარკვეულ ტერიტორიაზე ჯარის ყოლის აკრძალვა; განიარაღება): **დემილიტარიზებული**

დემისეზონური (დემისეზონურად)

დემობილიზაცია (დემობილიზაციის⌜ა⌝)

დემობილიზება (დემობილიზების⌜ა⌝): **დემობილიზებული**

დემოგრაფია (დემოგრაფიის⌜ა⌝): **დემოგრაფიული**

დემოკრატია (დემოკრატიის⌜ა⌝): **დემოკრატიული**

დემოკრატიზაცია (დემოკრატიზაციის⌜ა⌝)

დემოკრატიზება (დემოკრატიზების⌜ა⌝)

დემონეტიზაცია (დემონეტიზაციის⌜ა⌝): ფინანს. მონეტის მიერ ფულის ფუნქციის დაკარგვა; მისი ამოღება მიმოქცევიდან.

დემონოპოლიზაცია (დემონოპოლიზაციის⌜ა⌝): სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

დემონსტრანტი (= დემონსტრაციის მონაწილე) – **დემონსტრატორი** (= პირი, რომელიც რაიმეს საჯარო ჩვენებას აწყობს)

დემონსტრაციული (= 1. დემონსტრაციის მიზნით ჩადენილი; გამოწვეული, მაგ., **დემონსტრაციული** ქცევა/ქმედება; 2. დემონსტრაციაზე (ჩვენებაზე) დამყარებული; თვალსაჩინო, მაგ., **დემონსტრაციული** მეთოდი) – **დემონსტრირებული** (= ნაჩვენები, მაგ., **დემონსტრირებული** ფილმი...) – **სადემონსტრაციო** (= დემონსტრაციისათვის განკუთვნილი, მაგ., **სადემონსტრაციო** დაფა/მზადება)

დემონტაჟი (დემონტაჟს)

დემორალიზაცია (დემორალიზაციის⌜ა⌝)

დემორალიზება (დემორალიზების⌜ა⌝): **დემორალიზებული**

დემოსი (დემოსს): მოსახლეობის არაპრივილეგირებული ნაწილი; მასა.

დემპინგი (= ეკონ. საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე ხელოვნურად დაკლებულ ფასად, საკუთარი ქვეყნის ბაზრის ფასთან შედარებით)

დენატურაცია (დენატურაციის[ა]): სპეც. რაიმე ნივთიერების მოქმედებით ცილის თვისების შეცვლა.

დენაციონალიზაცია (დენაციონალიზაციის[ა])

დენაციონალიზება (დენაციონალიზების[ა]): **დენაციონალიზებული**

დენდრარიუმი (დენდრარიუმმა): სპეციალური ბაღი ან ბოტანიკური ბაღის კუთხე, სადაც სხვადასხვა სახეობის ხეები და ბუჩქები გაშენებულია სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით.

დენდროლოგია (დენდროლოგიის[ა]): ბოტანიკის სფერო, რომელიც სწავლობს მერქნიან მცენარეებს – ხეებსა და ბუჩქებს.

დენომინაცია (დენომინაციის[ა]): ქაღალდის ფულის ნიშნების სახელის გამოცვლა და მათი ნომინალური ღირებულების შემცირება.

დენონსაცია (დენონსაციის[ა]): განცხადება, შეტყობინება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის, რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება გაუქმებულია.

დენონსირება (დენონსირების[ა]): დენონსირებული

დენუდაცია (დენუდაციის[ა]): გეოლ. მიწის ზედაპირიდან დაშლილი ქანების გადაცლა, გადატანა წყლის, ქარისა თუ მყინვარის ზემოქმედებით.

დეოკუპაცია (დეოკუპაციის[ა]): ოკუპაციის მოხსნა; ოკუპირებული ტერიტორიის გათავისუფლება.

დეონტოლოგია (დეონტოლოგიის[ა]): 1. ფილოს. ეთიკის სფერო, რომელიც შეისწავლის მოვალეობას, როგორც ერთ-ერთ ზნეობრივ კატეგორიას; 2. მედიც. მოძღვრება საექიმო ეთიკის, ექიმის ავადმყოფისადმი დამოკიდებულების შესახებ.

დეპარტამენტი: **სადეპარტამენტო**

დეპერსონალიზაცია (დეპერსონალიზაციის[ა]): მედიც. საკუთარი პიროვნების, „მე“-ს აღქმის დარღვევა.

დეპიგმენტაცია (დეპიგმენტაციის[ა]): კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა, რაც გამოწვეულია ეპიდერმისის უჯრედებში პიგმენტის გაქრობით.

დეპილაცია (დეპილაციის[ა]): თმების მოცილება.

დეპოზიტი (= სპეც. 1. თანხა ან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეაქვთ საკრედიტო დაწესებულებაში (ბანკში...) გარკვეული პირობებით; 2. თანხა, რომელიც შეაქვთ სასამართლო ან ადმინისტრაციულ დაწესებულებაში სარჩელის

ან სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად; 3. მოვალის მიერ სანოტარო კანტორაში ან ბანკში ვინმესთვის გადასახდელი ფულის შეტანა, როდესაც არ ხერხდება მისი მიცემა კრედიტორისათვის): **დეპოზიტური**; **სადეპოზიტო**

დეპოზიტორი (= ს პ ე ც. თანხის ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში შემტანი)

დეპონირება (დეპონირების˹ა˺): 1. ფ ი ნ ა ნ ს. დეპოზიტის შეტანა; 2. დ ი პ ლ. სარატიფიკაციო სიგელების გადაცემა შესანახად რომელიმე სახელმწიფოსათვის ან საერთაშორისო ორგანოსათვის (თუ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რამდენიმე სახელმწიფომ).

დეპოპულაცია (დეპოპულაციის˹ა˺): მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

დეპორტაცია (დეპორტაციის˹ა˺) (= იძულებითი გასახლება ქვეყნიდან); შ დ რ.: **დეპორტი** (= სპეციალური გარიგება ბირჟაზე საკურსო განსხვავების მისაღებად)

დეპორტირება (დეპორტირების˹ა˺): **დეპორტირებული**

დეპრესია (დეპრესიის˹ა˺): **დეპრესიული** (დეპრესიულად)

დეპუტატი

დეპუტაცია (დეპუტაციის˹ა˺)

დერბი (ს პ ო რ ტ.)

დერეფანი (დერეფნის˹ა˺)

დერმატიტი (= მ ე დ ი ც. კანის ანთება) – **დერმატოზი** (= კანისა და მისი დანამატების (თმის, ფრჩხილების) სხვადასხვა ავადმყოფობის საერთო სახელწოდება)

დესანტი: **სადესანტო**

დესერტი

დესმოლოგია (დესმოლოგიის˹ა˺): ანატომიის დარგი, რომელიც სწავლობს იოგების, მყესების სისტემას.

დესპანი

დესპოტიზმი (დესპოტიზმმა)

დესტაბილიზაცია (დესტაბილიზაციის˹ა˺)

დესტაბილიზება (დესტაბილიზების˹ა˺): **დესტაბილიზებული**

დესტრუქცია (დესტრუქციის˹ა˺): **დესტრუქციული**

დეტალი: **დეტალური** (დეტალურად)

დეტალიზაცია (დეტალიზაციის˹ა˺)

დეტალიზება (დეტალიზების˹ა˺): **დეტალიზებული**

დეტერმინანტი (= გ ა დ ა ტ. რაიმეს განმსაზღვრელი, განმაპირობებელი)

დეტერმინაცია (დეტერმინაციის˹ა˺): განსაზღვრა; განპირობებულობა.

დეტექტივი: **დეტექტიური**

დეტექტიურ-სათავგადასავლო (რომანი...)

დეტექტორი: 1. ხელსაწყო რადიოაქტიური ან სითბური გამოსხივების გამოსავლენად; 2. მაღალი სიხშირის რხევების დაბალი სიხშირის რხევებად გარდამქმნელი მოწყობილობა (**სიცრუის დეტექტორი**: მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც არკვევენ დასაკითხი პირის ნათქვამის სიმართლეს).

დეტონატორი (= სპეც. 1. ნივთიერება, რომელიც თავისი აფეთქებით იწვევს ძირითადი ასაფეთქებელი ნივთიერების დეტონაციას; 2. ფისტონი, რომელსაც იყენებენ აფეთქებისათვის)

დეტონაცია (დეტონააციის⌜ა⌝): ფეთქებადი ნივთიერების მეყსეული აფეთქება, გამოწვეული სხვა ნივთიერების აფეთქებით ან დარტყმით.

დე-ფაქტო (// **დეფაქტო**) (= ფაქტობრივად, რეალურად, სინამდვილეში)

დეფექტი: **დეფექტური**; **დეფექტიანი**

დეფინიცია (დეფინიციის⌜ა⌝): **დეფინიციური**; **სადეფინიციო**

დეფისი (დეფისს)

დეფიციტი (უმართებულოა: ეს მედიკამენტი/საქონელი **დეფიციტშია**, უნდა იყოს: ამ. მედიკამენტის/საქონლის **დეფიციტია/ნაკლებობაა**)

დეფლაცია (დეფლაციის⌜ა⌝): ბრუნვაში მყოფი ქაღალდის ფულის რაოდენობის შემცირება მისი მსყიდველობითი უნარის ასაწევად.

დეფოლტი (= ფინანს. უარი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე, უპირატესად – სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში)

დეფორმაცია (დეფორმაციის⌜ა⌝)

დეფორმირდება; **დეფორმირდა**; **დეფორმირებულა**; **დეფორმირებულიყო**

დეფორმირება (დეფორმირების⌜ა⌝): **დეფორმირებული**

დექლორაცია (დექლორაციის⌜ა⌝)

დეშიფრატორი; **დეკოდერი**

დეშიფრაცია (დეშიფრაციის⌜ა⌝)

დეშიფრირება (დეშიფრირების⌜ა⌝): **დეშიფრირებული**

დეცენტრალიზაცია (დეცენტრალიზაციის⌜ა⌝)

დეცენტრალიზება (დეცენტრალიზების⌜ა⌝): **დეცენტრალიზებული**

დიაბეტი: **დიაბეტური**

(**დიაბეტიკი** //) **დიაბეტიანი**

დიაგნოზი (დიაგნოზზე)

დიაგნოსტიკა (დიაგნოსტიკის⌜ა⌝): **დიაგნოსტიკური**

დიაგნოსტიკოსი (დიაგნოსტიკოსს)

დიაგონალი (დიაგონალის⌜ა⌝): **დიაგონალური**

დიალექტიკური (= დიალექტიკაზე დაფუძნებული) – **დიალექტური** (= დიალექტისათვის, ენის ამა თუ იმ კილოსათვის დამახასიათებელი)

დიალიზი (დიალიზზე): 1. ქიმ. გახსნილ ნივთიერებათაგან კოლოიდების გამოყოფის ხერხი; 2. მედიც. ჰემოდიალიზი.

დიალოგი: დიალოგური

დიალოგის/დიალოგური რეჟიმით [და არა რეჟიმში] **მუშაობა**; შდრ.: **დიალოგის/დიალოგური წესით მუშაობა**

დიაპაზონი

დიასახლისი (დიასახლისს)

დიასპორა (დიასპორის⌜ა⌝)

დიასტოლა (დიასტოლის⌜ა⌝): მედიც. გულის კუნთის მოდუნება.

დიაფრაგმა (დიაფრაგმის⌜ა⌝): 1. ანატ. კუნთმყესოვანი ქსოვილი გულმკერდისა და მუცლის ღრუებს შორის – შუასაძგიდი; 2. ტექნ. ფოტოაპარატის, მიკროსკოპის და მისთ. ობიექტივის ნაწილი – გაუმჭვირვალე ფირფიტა, რომელიც არეგულირებს ოპტიკურ სისტემაში სხივების მოხვედრას; 3. ბოტან. მცენარის ღრუიან ღეროებში წარმოქმნილი გამყოფი ტიხრები.

დიაფსალმა (დიაფსალმის⌜ა⌝): ეკლ. მყისიერი დადუმება ფსალმუნთგალობის დროს ღვთიშთანერგილი აზრის შესათვისებლად.

დიახ (**დიახ**, ასეა): **დიახაც** (= სწორედაც რომ)

დიდაქტიზმი (დიდაქტიზმმა)

დიდაქტიკა (დიდაქტიკის⌜ა⌝): **დიდაქტიკური**

დიდაქტიკოსი (დიდაქტიკოსს)

დიდაქტიკურ-მორალური

დიდბუნებოვანი (დიდბუნებოვნად)

დიდებისმოყვარეობა (დიდებისმოყვარეობის⌜ა⌝)

დიდებულება (დიდებულების⌜ა⌝)

დიდედა (დიდედის⌜ა⌝, შინაურულად დიდედას⌜ი⌝) // **ბებია** (ბებიის⌜ა⌝, შინაურულად ბებიას⌜ი⌝)

დიდთოვლობა (დიდთოვლობის⌜ა⌝)

დივერსანტი

დივერსია (დივერსიის⌜ა⌝): **დივერსიული**

დივერსიფიკაცია (დივერსიფიკაციის⌜ა⌝): 1. სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტებსა და აქტივებს შორის საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება რისკების შემცირების მიზნით; 2. სახელმწიფოს სავალუტო რეზერვის უსაფრთხოების გაზრდა საფინანსო ინსტრუმენტების სპექტრის გაზრდის გზით.

დიდი ამბით [და არა დიდის ამბით]

დიდიან-პატარიანად

დიდი და პატარა, მაგრამ: **დიდ-პატარა**

დიდი მარხვა, მაგრამ: **დიდმარხვა**

დიდმნიშვნელოვანი (დიდმნიშვნელოვნად)

[დიდმოსავლიანი კი არა] **უხვმოსავლიანი**

დიდოსტატი (დიდოსტატის⌜ა⌝): **დიდოსტატური** (დიდოსტატურად)

დიდოსტატობა (დიდოსტატობის⌜ა⌝)

დიდ-პატარა, მაგრამ: **დიდპატარაობა**

დიდსულოვანი (დიდსულოვნად)

დიდსულოვნება (დიდსულოვნების⌜ა⌝)

დიდწონიანი

დიდხანს (წვიმდა...)

დიდხუთშაბათი // დიდი ხუთშაბათი

დიეტა (დიეტის⌜ა⌝): **დიეტური**

დიეტას იცავს [და არა დიეტაზე ზის]

დივერსია (დივერსიის⌜ა⌝): **დივერსიული**

დივიდენდი

დიზაინი: **დიზაინერი** (დიზაინერის⌜ა⌝)

დიზენტერია [და არა დიზინტერია, დეზინტერია]

[დიზინფექცია კი არა] **დეზინფექცია**

დითირამბი

დილა (დილის⌜ა⌝)

დილაადრიან; **დილაადრიანად**

დილა მშვიდობისა! (// **დილამშვიდობისა!**)

დილას // დილით [და არა დილაზე] (დაბრუნდა, დარეკა...)

დილა-საღამო (დილა-საღამოს)

დილაუთენია

დილდილობით // დილდილაობით

დილემა (დილემის⌜ა⌝)

დილერი (= კერძო პირი ან ფირმა, საფონდო ბირჟის წევრი, რომელიც თავისი სახელით და საკუთარი ხარჯებით აწარმოებს საბირჟო ოპერაციებს; 2. ბიზნესის მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროდუქციას ბითუმად ყიდულობს და ცალობით ან მცირე პარტიებად ყიდის)

დილეტანტი: **დილეტანტური** (დილეტანტურად)

დილეტანტობა (დილეტანტობის⌜ა⌝)

დილოგია (დილოგიის⌜ა⌝): 1. ორგვარი მნიშვნელობა; ორაზროვნება; 2. თეატრ. ორმოქმედებიანი დრამა ძველ ბერძნულ თეატრში; 3. ლიტ. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი მხატვრული ნაწარმოები.

დინამიკა: **დინამიკური** [და არა დინამიური]

დინამიკი

დინამიტი

დინამოგრაფი (= ტექნ. ძალის გასაზომი და ავტომატურად ჩამწერი ხელსაწყო)

დინამომეტრი (= ტექნ. დინამომეტრიის ხელსაწყო; ძალსაზომი)

დინასტია (დინასტიის˹ა˺): **დინასტიური**

დიოდი (= ორი ელექტროდის მქონე ელექტრომილაკი)

დიორამა (დიორამის˹ა˺): 1. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან შესრულებული ნახატი, რომელიც (საგანგებოდ განათების შედეგად) გვეჩვენება მოცულობის მქონედ; 2. ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები: მაკეტები, ადამიანთა გამოსახულებანი...

დიოფიზიტობა (დიოფიზიტობის˹ა˺): ქრისტიანული რელიგიის მიმდინარეობა, რომელიც აღიარებს ქრისტეს ორ ბუნებას – ადამიანურს და ღვთიურს, შ დ რ.: **მონოფიზიტობა**.

დიპლომანტი (= 1. სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს; 2. რაიმე კონკურსში გამარჯვებული, საპატიო დიპლომით, სიგელით დაჯილდოებული) – **დიპლომატი** (= 1. თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა, რომელსაც უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა აკისრია; 2. გ ა დ ა ტ. მოხერხებული ადამიანი)

დიპლომატური (მანერები) – **დიპლომატიური** (კორპუსი) – **დიპლომატიკური** (საბუთები)

დიპლომი (დიპლომმა)

დირექტივა (დირექტივის˹ა˺): **დირექტიული**

დირექტორატი

დირექცია (დირექციის˹ა˺)

დისბალანსი (დისბალანსს): ბალანსის დარღვევა სისტემის ელემენტებს, რაიმე პროცესის შემადგენელ კომპონენტებს შორის.

დისბაქტერიოზი (დისბაქტერიოზზე)

დისგრაფია (დისგრაფიის˹ა˺): წერის უნარის დარღვევა.

დისერტაცია (დისერტაციის˹ა˺): **სადისერტაციო**

დისიდენტი: **დისიდენტური**

დისიდენტობა (დისიდენტობის˹ა˺)

დისიმილაცია (დისიმილაციის˹ა˺)

დისიმილირება (დისიმილირების˹ა˺): **დისიმილირებული**

დისკვალიფიკაცია (დისკვალიფიკაციის˹ა˺)

დისკვალიფიცირება (დისკვალიფიცირების˹ა˺): **დისკვალიფიცირებული**

დისკომფორტი

დისკოს ტყორცნა (ს პ ო რ ტ.)

დისკრედიტაცია (დისკრედიტაციის˹ა˺)

დისკრედიტირება (დისკრედიტირების˹ა˺): **დისკრედიტირებული**

დისკრეტული: ს პ ე ც. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, წყვეტილი, ცალკეული ნაწილებისგან შემდგარი; მარცვლოვანი (ითქმის, მაგ., მატერიის აგებულებაზე).

დისკრიმინაცია (დისკრიმინაციის˹ა˺): **დისკრიმინაციული**

დისკრიმინირება (დისკრიმინირების˹ა˺): **დისკრიმინირებული**

დისკუსია (დისკუსიის˹ა˺): **სადისკუსიო** (საკითხი)

დისლალია (დისლალიის˹ა˺): ენაჩლუნგობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბგერათა შენაცვლება, დამახინჯება ან წარმოუთქმელობა.

დისლექსია (დისლექსიის˹ა˺): კითხვის უნარის დაქვეითება.

დისლოკაცია (დისლოკაციის˹ა˺): **დისლოკაციური; სადისლოკაციო**

დისონანსი (დისონანსს): **დისონანსური**

დისპანსერიზაცია (დისპანსერიზაციის˹ა˺)

დისპეტჩერი (დისპეტჩერის˹ა˺) [და არა დისპეჩერი]

დისპლაზია (დისპლაზიის˹ა˺): სხეულის ან მისი ცალკეული ორგანოებისა და ქსოვილების არასწორი განვითარება.

დისპოზიცია (დისპოზიციის˹ა˺): 1. ს ა მ ხ. ჯარის ან ფლოტის საბრძოლო განლაგება; 2. გ ა დ ა ტ. რაიმე მოქმედების, პროცესის საწყისი მდგომარეობა.

დისპროპორცია (დისპროპორციის˹ა˺): **დისპროპორციული**

დისპუტი; დისპუტანტი

დისტანცია (დისტანციის˹ა˺): **დისტანციური** (დისტანციურად)

დისტილატი (= ს პ ე ც. გამოხდის შედეგი, გამოხდილი)

დისტილაცია (დისტილაციის˹ა˺): ს პ ე ც. გამოხდით გაწმენდა სითხისა.

დისტონია (დისტონიის˹ა˺): მ ე დ ი ც. კუნთების ან სისხლძარღვების ტონუსის დარღვევა.

დისტრიბუტორი

დისტრიბუცია (დისტრიბუციის˹ა˺)

დისფუნქცია (დისფუნქციის˹ა˺): მ ე დ ი ც. რაიმე ფუნქციის მოშლა, დარღვევა (მაგ., ყნოსვის შეგრძნებისა).

დისშვილი // დისწული

დისციპლინა (დისციპლინის˹ა˺): **დისციპლინური; სადისციპლინო**

დისციპლინებული; დისციპლინიანი

დისჰარმონია (დისჰარმონიის˹ა˺)

დიურეზი (დიურეზის): მ ე დ ი ც. შარდის გამოყოფა.

დიფამაცია (დიფამაციის˹ა˺): ვინმეს სახელის გასატეხი ცნობების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გავრცელება პრესის საშუალებით.

დიფერენციაცია (დიფერენციაციის˹ა˺)

დიფერენცირდება; დიფერენცირდა; დიფერენცირებულა; დიფერენცირებულიყო

დიფერენცირება (დიფერენცირების˹ა˺): **დიერენცირებული**

დიფუზია (დიფუზიის˹ა˺): ფიზ. ერთი ნივთიერების ატომების ან მოლეკულების თანდათანობითი შეღწევა მეორე ნივთიერების ატომებს (მოლეკულებს) შორის მათი ხანგრძლივი ურთიერთქმედების შედეგად.

დიქოტომია (დიქოტომიის˹ა˺): 1. მთელის გაყოფა ორად, შემდეგ თითოეული ნაწილისა – კვლავ ორად და ა. შ.; 2. ბოტან. მცენარის ორად განშტოება, თითოეული ტოტის კვლავ ორად განშტოება და ა. შ.

დიქრომატული (= ორფეროვანი)

დიქტატი (= 1. პოლიტ. უსამართლო შეთანხმება (ხელშეკრულება...), რომელსაც ერთი სახელმწიფო თავს ახვევს მეორეს; 2. ძლიერი ქვეყნების პოლიტიკა – უფრო სუსტი ქვეყნებისათვის თავიანთი პირობების თავზე მოხვევა; 3. გადატ. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მეორე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისადმი)

დიქტატორი: **დიქტატორული**

დიქტატორობს; **დიქტატორობდა**; **დიქტატორობდეს**

დიქტატორული (სული) – **დიქტატურული** (რეჟიმი)

დიქტატურა (დიქტატურის˹ა˺): **დიქტატურული**

დიქტორი

დიქტოფონი (დიქტოფონის˹ა˺) [და არა დიქტაფონი]

დიქცია (დიქციის˹ა˺)

დიჯეი (მოთხრ. დიჯეიმ, მიც., ნათ. დიჯეის)

დოგმა (დოგმის˹ა˺): **დოგმატური**

დოგმატი; **დოგმატიზმი** (დოგმატიზმმა)

დოგმატური (დებულებები...) – **დოგმატიკური** (მწერლობა)

დოზა (დოზის˹ა˺)

დოზირება (დოზირების˹ა˺): **დოზირებული** (დოზირებულად)

დოკუმენტაცია (დოკუმენტაციის˹ა˺)

დოკუმენტი: **დოკუმენტური** (დოკუმენტურად) [და არა დოკუმენტალური, დოკუმენტალურად]

დოკუმენტური (= 1. დოკუმენტებზე დამყარებული; დოკუმენტებით, ფაქტებით დამოწმებული: **დოკუმენტური** მასალა; 2. დოკუმენტისთვის დამახასიათებელი: **დოკუმენტური** სიზუსტე; შდრ.: **დოკუმენტური ფილმი**) – **დოკუმენტირებული** (= დოკუმენტებით აღჭურვილი; დოკუმენტურად დასაბუთებული: **დოკუმენტირებული ლექსიკონი** – ილუსტრაციებით დამოწმებული ლექსიკონი)

დოკუმენტურ-ავტობიოგრაფიული (ნაწარმოები...)

დოკუმენტურ-მხატვრული (ფილმი...)

დოლარი: **ასდოლარიანი**, მაგრამ: **100-დოლარიანი**

დომინანტი: **დომინანტური**

დონე (დონის˹ა˺)

დონორი

დოპინგი

დოსიე (დოსიეს˹ი˺)

დოტაცია (დოტაციის˹ა˺)

დოქტორანტურა (დოქტორანტურის˹ა˺); **დოქტორანტი**

დოქტრინა (დოქტრინის˹ა˺)

დოღი // მარული

დრაგა (დრაგის˹ა˺): 1. მცურავი მიწასაპია წყალქვეშა ნაგებობა, რომლის საშუალებითაც ხდება წიაღისეულის (ოქროს, პლატინის, ალმასის...) ქვიშრობული საბადოების დამუშავება; 2. ფსკერის ცხოველების (უპირატესად – უხერხემლოთა) საჭერი მოწყობილობა.

დრაივები (= სპეც. ფსიქოანალიზში: მოტივაციური ძალები, რომლებიც დასაბამს აძლევენ ქცევას)

დრამა (დრამის˹ა˺): **დრამატული**; **დრამული**; **სადრამო**

დრამატიზაცია (დრამატიზაციის˹ა˺)

დრამატიზება (დრამატიზების˹ა˺): **დრამატიზებული**

დრამატული (= 1. დრამის თვისებისა: დრამატული თეატრი/წრე; 2. დრამატიზმით აღსავსე: **დრამატული** ეპიზოდი...; 3. მუს. ძლიერი ხმა); შდრ.: **დრამატიზებული** [და არა დრამატიზირებული] (= 1. დრამად გადაკეთებული თხრობითი ნაწარმოები; 2. რისი დრამატიზაციაც მოხდა)

დრამატურგი

დრამატურგია (დრამატურგიის˹ა˺): **დრამატურგიული**

დრამერი (მუს.)

დრაფტი (= 1. ეკონ. კრედიტორის წერილობითი განკარგულება – განსაზღვრული თანხა აუნაზღაუროს თამასუქის წარმომდგენს; 2. სპორტ. პროცედურა, რომლის მეშვეობითაც პროფესიონალური კლუბები არჩევენ პერსპექტიულ მოთამაშეებს)

დრიბლინგი (სპორტ.)

დრეიფი (= 1. გემის (თვითმფრინავის) გადახრა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 2. ზღვაოსნ. კუთხე გემის სვლის მიმართულებასა და მის ღერძს შორის)

დრეიფობს (= მოძრაობს რაიმეს (ქარის ან წყლის დინების) გავლენით კურსის გარეშე); **დრეიფობდა**; **დრეიფობდეს**

დრეკს; **დრეკდა**; **დრეკდეს** [და არა დრეკავს, დრიკავს; დრეკავდა, დრიკავდა; დრეკავდეს, დრიკავდეს]; **დრიკა**; **უდრეკია**; **ედრიკა**

დრეკადი; **დრეკადობა** (დრეკადობის˹ა˺)

დრენაჟი (= 1. წყლიანი, დაჭაობებული ადგილის დაშრობა არხების ან მიწისქვეშა მილების საშუალებით; 2. მედიც. ჭრილობიდან ჩირქის, სითხის ამოშრობა, დაწრეტა სპეციალური მილის ან

დოლბანდის საშუალებით; 3. მ ე დ ი ც. ნახვრეტებიანი რეზინის ან მინის მილი, რომელიც შეჰყავთ სხეულის ღრუში ან ღრმა ჭრილობაში ჩირქის (სითხის) დასაწრეტად)

დრო (დროისა ან დროსი)

დროგადასული

დროგადასულობა (დროგადასულობის ˹ა˺)

დროგამოშვებით

დროდადრო

დროებით; **დროებითი**

დრომოკლე; **დრომოკლეობა** (დრომოკლეობის ˹ა˺)

დრომოჭმული

დრო-ჟამი (დრო-ჟამმა)

დროსტარება (დროსტარების ˹ა˺)

დროული (დროულად)

დუალიზმი (დუალიზმმა)

დუალისტი: **დუალისტური**

დუალისტობა (დუალისტობის ˹ა˺)

დუბლაჟი (დუბლაჟს) [დ ა ა რ ა დუბლიაჟი]

დუბლეტი (= 1. მეორე ცალი რაიმე საგნისა – მუზეუმში, ბიბლიოთეკაში...; 2. ორმაგი რეგისტრი ორგანში) – **დუბლიკატი** (= რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიულად დედნის ძალა აქვს)

დუბლი

დუბლიორი

დუბლირება (დუბლირების ˹ა˺): **დუბლირებული**

დუოდენიტი (= მ ე დ ი ც. თორმეტგოჯა ნაწლავის ანთება)

დუოპოლია (დუოპოლიის ˹ა˺): ს პ ე ც. შეზღუდული კონკურენციის ფორმა, რომლის დროსაც არსებობს გარკვეული საქონლის მხოლოდ ორი მიმწოდებელი და მათ შორის არ არის დადებული მონოპოლისტური შეთანხმება გასაღების ბაზრების, ფასებისა და სხვ. შესახებ (შდრ.: **ოლიგოპოლია**).

დურბინდი [დ ა ა რ ა დურბინტი]

დუღაბი (დუღაბის ˹ა˺): 1. ცემენტისა და სხვა შემკვრელი ნივთიერებების წყალთან შერევით მიღებული სქელი მასა; 2. ძ ვ. კირისა და ქვიშის ხსნარით მტკიცედ ნაგები კედელი.

დუღს; **დუღდა**; **დუღდეს** (**იდუღა**; **უდუღია**; **ედუღა**)

დღეგამოშვებით

დღეგრძელი (დღეგრძელის ˹ა˺); **დღეგრძელობა** (დღეგრძელობის ˹ა˺)

დღედადღე, მ ა გ რ ა მ: **დღე-დღე**; **დღე-დღეზე**

დღედაღამ, მ ა გ რ ა მ: **დღე და ღამე** // **დღისით და ღამით** (მუშაობა)

დღევანდელი (დღევანდლის ˹ა˺), მ ა გ რ ა მ: **დღევანდელები**

დღევანდელობა (დღევანდელობის ˹ა˺)

დღეიდან; **დღეის იქით**

დღემშვიდობისა! (// **დღე მშვიდობისა!**)

დღენაკლული (დღენაკლულად)

დღე-ნახევარი (დღე-ნახევრის^ა)

დღენიადაგ

დღეს; დღესაც [დ ა ა რ ა დღესეც]

დღესასწაული; სადღესასწაულო (სადღესასწაულოდ)

დღესასწაულობს (იდღესასწაულა; უდღესასწაულია; ედღესასწაულა)

დღესდღეობით [დ ა ა რ ა დღესდღეისობით]

დღეს-ხვალ

დღე-ღამე (დღე და ღამე), მ ა გ რ ა მ: **დღეღამური, სადღეღამისო**

დღეჩაგდებით

დღითიდღე

დღისით-მზისით

ე

ეადვილება; ეადვილებოდა; ეადვილებოდეს; ეადვილა

ეალერსება; ეალერსებოდა; ეალერსებოდეს; ეალერსა

ეამაყება; ეამაყებოდა; ეამაყებოდეს

ეამება; ეამებოდა; ეამებოდეს; ეამა [დ ა ა რ ა იამა]

ეახლება; ეახლებოდა; ეახლებოდეს; ეახლა (ის მას), მ ა გ რ ა მ: **იახლებს, იახლა** (მან იგი)

ებადა (არაფერი **ებადა**); **ჰბადებია** [დ ა ა რ ა ბადებია]

ებადება; ებადებოდა; ებადებოდეს (დაებადება; დაებადა; დაჰბადებია; დაჰბადებოდეს [დ ა ა რ ა დაბადებია, დაბადებოდეს])

ებედება; ებედებოდა; ებედებოდეს (დაებედება; დაებედა; დაჰბედებია; დაჰბედებოდეს [დ ა ა რ ა დაბედებია, დაბედებოდეს])

ებმება // ებმის

ებოდიშება; ებოდიშებოდა; ებოდიშებოდეს; ებოდიშა (მოებოდიშება; მოებოდიშა; მოჰბოდიშებია; მოჰბოდიშებოდა [დ ა ა რ ა მობოდიშებია, მობოდიშებოდა])

ებრაელი; ებრაელობა (ებრაელობის^ა)

ებრალება; ებრალებოდა; ებრალებოდეს (შეებრალება; შეებრალა; შეჰბრალებია; შეჰბრალებოდა [დ ა ა რ ა შებრალებია, შებრალებოდა])

ებრძვის; ებრძოდა; ებრძოდეს; ებრძოლა; ებრძოლოს

ეგ (მაგან, მაგას...)

ეგეზ // ეგება // ეგების

ეგეთი (ეგეთთან)

ეგზავნება; ეგზავნებოდა; ეგზავნებოდეს (გაეგზავნება; გაეგზავნა; გაჰგზავნია; გაჰგზავნოდა [დ ა ა რ ა გაგზავნია, გაგზავნოდა])

ეგზალტაცია (ეგზალტაციის^ა)

ეგზალტირება (ეგზალტირების⌜ა⌝): **ეგზალტირებული**

ეგზეგეტიკა (ეგზეგეტიკის⌜ა⌝): საქრისტიანო მწერლობის დარგი – ძველი ტექსტის განმარტება.

ეგზემპლარი // ცალი

ეგზიტპოლი: არჩევნებში მონაწილე პირთა თავისუფალი გამოკითხვა საარჩევნო პუნქტიდან გამოსვლისთანავე არჩევნების სავარაუდო შედეგების დადგენის მიზნით.

ეგზოტერიკული (= რაც საიდუმლოებას არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის) – **ეზოტერიკული** (= რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ)

ეგზოტიკა (ეგზოტიკის⌜ა⌝): **ეგზოტიკური** [და არა ეკზოტიკა, ეკზოტიკური]

ეგიდა (ეგიდის⌜ა⌝)

ეგოიზმი (ეგოიზმმა)

ეგოისტი: **ეგოისტური** (ეგოისტურად)

ეგოცენტრიზმი (ეგოცენტრიზმმა)

[ეგრეთი კი არა] **ეგეთი**

ეგრეთწოდებული [და არა ეგრედ წოდებული]

ედგმება (გვირგვინი...) – **ედგომება** (აქ აღარ **ედგომება**)

ედიქტი

ედო (მედო, გედო); ედოს

ეეჭვება; ეეჭვებოდა; ეეჭვებოდეს; ეეჭვა; ეეჭვოს

ევაკუაცია (ევაკუაციის⌜ა⌝)

ევაკუირება (ევაკუირების⌜ა⌝): **ევაკუირებული**

ევალება; ევალებოდა; ევალებოდეს (დაევალება; დაევალა; დავალებია; დავალებოდა)

ევაჭრება; ევაჭრებოდა; ევაჭრებოდეს; ევაჭრა; ევაჭროს

ევედრება; ევედრებოდა; ევედრებოდეს; ევედრა; ევედროს

ევოლუცია (ევოლუციის⌜ა⌝): **ევოლუციური**

ევრაზია (ევრაზიის⌜ა⌝): **ევრაზიული**

ევროატლანტიკური (სივრცე...)

ევრობანკი

ევროგაერთიანება (ევროგაერთიანების⌜ა⌝)

ევროვიზია (ევროვიზიის⌜ა⌝)

ევროინტეგრაცია (ევროინტეგრაციის⌜ა⌝)

ევროკავშირი

ევროკომისია (ევროკომისიის⌜ა⌝)

ევროპა (ევროპის⌜ა⌝): **ევროპელი** (ევროპელის⌜ა⌝); **ევროპული** (ევროპულად)

ევროპარლამენტი

ევროპეიზაცია (= ევროპული კულტურის შეთვისება; გავრცელება) – **ევროპეიზმი** (= ევროპის კულტურის თავისებურებანი სხვა (მაგ., აღმოსავლეთის ქვეყნების) კულტურასთან შეპირისპირებით)

ევროპის კონვენცია (ევროპის კონვენციის˹ა˺) // **ევროკონვენცია** (ევროკონვენციის˹ა˺)

ევრორეფორმა (ევრორეფორმის˹ა˺)

ევროსაბჭო

ევფემიზმი (= სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა თუ გამოთქმა; კეთილსიტყვაობა) – **ევფუიზმი** (= მაღალფარდოვნი სტილი)

ეზარება; ეზარებოდა; ეზარებოდეს (დაეზარება; დაეზარა; დაზარებია; დაზარებოდა)

ეზიარება; ეზიარებოდა; ეზიარებოდეს; ეზიარა; ზიარებია; ზიარებოდა

ეზიზღება; ეზიზღებოდა; ეზიზღებოდეს (შეეზიზღება; შეეზიზღა; შეზიზღებია; შეზიზღებოდა)

ეზო-ეზო

ეზო-კარი (ეზო-კარის˹ა˺)

ეზრდება; ეზრდებოდა; ეზრდებოდეს (გაეზრდება...)

ეთათბირება; ეთათბირებოდა; ეთათბირებოდეს; ეთათბირა

ეთაკილება; ეთაკილებოდა; ეთაკილებოდეს; ეთაკილა

ეთამაშება; ეთამაშებოდა; ეთამაშებოდეს; ეთამაშა

ეთაყვანება; ეთაყვანებოდა; ეთაყვანებოდეს; ეთაყვანა

ეთერზეთოვანი (მრ. ეთერზეთოვნები)

ეთიკა (ეთიკის˹ა˺): **ეთიკური** (ეთიკურად)

[ეთიკეტი კი არა] **ეტიკეტი**

ეთიკური (ნორმები...) – **ესთეტიკური** (სიამოვნება...)

ეთნიკური [და არა ეთნიური]

ეთნოგენეზი (ეთნოგენეზზე)

ეთნოგრაფი

ეთნოგრაფია (ეთნოგრაფიის˹ა˺): **ეთნოგრაფიული**

ეთნოლოგი

ეთნოლოგია (ეთნოლოგიის˹ა˺): **ეთნოლოგიური**

ეთნოსი (ეთნოსს)

ეთნოფსიქოლოგია (ეთნოფსიქოლოგიის˹ა˺): **ეთნოფსიქოლოგიური**

ეთქმება // ეთქმის; ეთქმოდა; ეთქმოდეს

ეიგივება; ეიგივა; ეიგივოს

ეიფორია (ეიფორიის˹ა˺): **ეიფორიული**

ეკალბარდი

ეკარგება // ეკარგვის; ეკარგებოდა // ეკარგოდა; ეკარგებოდეს // ეკარგოდეს

ეკეთა (მეკეთა, გეკეთა)

ეკვატორი: ეკვატორული

ეკვივალენტი: ეკვივალენტური [და არა ექვივალენტი, ექვივალენტური]

ეკვრება // ეკვრის

[ეკზოტიკა კი არა] **ეგზოტიკა**

ეკიპაჟი (ეკიპაჟს)

ეკიპირება (ეკიპირების^ა): **ეკიპირებული**

ეკისრება; ეკისრებოდა; ეკისრებოდეს (დაეკისრება; დაეკისრა; დაჰკისრებია; დაჰკისრებოდა [და არა დაკისრებია, დაკისრებოდა])

ეკლესია-მონასტრები (ეკლესია-მონასტრების^ა) (მრ.)

ეკლესიოლოგია (ეკლესიოლოგიის^ა)

ეკლესიური (ცხოვრება...) – **საეკლესიო** (სკოლა/ლიტერატურა...)

ეკოლოგია (ეკოლოგიის^ა): **ეკოლოგიური** (ეკოლოგიურად)

ეკომიგრანტი

ეკონომია (ეკონომიის^ა)

ეკონომიკა (ეკონომიკის^ა)

ეკონომიკურ-პოლიტიკური

ეკონომიკურ-სტრატეგიული

ეკონომისტ-ფინანსისტი

ეკონომიური (= მომჭირნე, მაგ., **ეკონომიური** ხარჯვა) – **ეკონომიკური** (პოლიტიკა...)

ეკრანიზაცია (ეკრანიზაციის^ა)

ეკრანიზება (ეკრანიზების^ა): **ეკრანიზებული**

[ეკსპოზიცია კი არა] **ექსპოზიცია**

ეკუმენიზმი (ეკუმენიზმმა)

ელადა (ელადის^ა) [და არა ელლადა]

ელანძღვინება; ელანძღვინებოდა; ელანძღვინებოდეს; ელანძღვინა

ელაპარაკება; ელაპარაკებოდა; ელაპარაკებოდეს; ელაპარაკა

ელასტიკური [და არა ელასტიურის]

ელდანაცემი (ელდანაცემმა)

ელეგანტური (ელეგანტურად)

ელეთმელეთი

ელემენტი: ელემენტური

ელემენტური (= ელემენტების მიხედვით განხილვა, მაგ.: **ელემენტური** ანალიზი); შდრ., **ელემენტარული** (= 1. დაწყებითი; 2. მარტივი, უბრალო; ყველასათვის ცნობილი; მინიმალურად აუცილებელი, მაგ.: **ელემენტარული** ცოდნა)

ელენთა (ელენთის^ა)

ელექსირი

ელექტორატი

ელექტროაპარატურა (ელექტროაპარატურის^ა)

ელექტრობა (ელექტრობის^ა)

ელექტროგადამცემი (ელექტროგადამცემმა)

ელექტროგათბობა (ელექტროგათბობის^ა)

ელექტროგამტარი

ელექტროგამტარობა (ელექტროგამტარობის^ა)

ელექტროგაყვანილობა (ელექტროგაყვანილობის^ა)

ელექტროდანადგარი

ელექტროდენი

ელექტროდი

ელექტროდიაგნოსტიკა (ელექტროდიაგნოსტიკის˹ა˺)

ელექტროდიაგნოსტიკური (ცენტრი)

ელექტროენერგია (ელექტროენერგიის˹ა˺)

ელექტროთერაპია (ელექტროთერაპიის˹ა˺)

ელექტროლიზი (= ნივთიერების შემადგენელ ნაწილებად დაშლისა და ამ ნაწილების ელექტროდენზე გამოყოფის პროცესი ელექტროლიტში დენის გავლისას) – **ელექტროლიტი** (= ქიმიური ნივთიერება, რომელიც იშლება შემადგენელ ნაწილებად მასში ელექტრული დენის გავლის შედეგად)

ელექტრომამოძრავებელი (ძალა)

ელექტრომონტაჟი (ელექტრომონტაჟს)

ელექტრომოწყობილობა (ელექტრომოწყობილობის˹ა˺)

ელექტრონული (= ელექტრონთან დაკავშირებული: **ელექტრონული** მიკროსკოპი/ლექსიკონი...) – **ელექტრული** (= ელექტრობასთან დაკავშირებული: **ელექტრული** დენი/ველი/მუხტი...)

ელექტრონიანინო // ელექტრონული პიანინო

ელექტროსადგური

ელექტროსკამი (ელექტროსკამმა)

ელექტროტექნიკა (ელექტროტექნიკის˹ა˺): **ელექტროტექნიკური**

ელექტროქსელი

ელექტროშოკი

ელვა-ქუხილი; ელვა-ჭექა, მაგრამ: **ელჭექი**

ელვისებური (ელვისებურად)

ელვის სისწრაფით

ელინური (= ელინებთან დაკავშირებული; ძველბერძნული, მაგ., **ელინური** მითები) – **ელინისტური** (= ელინიზმთან დაკავშირებული, მაგ., **ელინისტური** პერიოდი)

ელიტა (ელიტის˹ა˺): **ელიტარული** (// **ელიტური**)

ელფერი

ემანსიპაცია (ემანსიპაციის˹ა˺)

ემარჯვება; ემარჯვებოდა; ემარჯვებოდეს

ემატება; ემატებოდა; ემატებოდეს; ემატა

ემახსოვრება; ემახსოვრებოდა; ემახსოვრებოდეს

ემბარგო (ემბარგოს˹ი˺)

ემბლემა (ემბლემის˹ა˺): **ემბლემური; საემბლემო**

ემბოლია (ემბოლიის˹ა˺): მედიც. სისხლძარღვის სანათურის დაცობა სისხლის ნაკადით მოტანილი ნაწილაკებით.

ემბრიოლოგია (ემბრიოლოგიის˹ა˺): ბიოლოგიის დარგი, რომელიც

სწავლობს ორგანიზმთა ჩანასახოვან განვითარებას.

ემბრიონი: **ემბრიონული**

ემდურის; **ემდუროდა**; **ემდუროდეს**

ემზადება: **ემზადებოდა**; **ემზადებოდეს** (**მოემზადება**...)

[ემზგავსება კი არა] **ემსგავსება**

ემიგრანტი (= სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებული პირი; ემიგრაციაში მყოფი) – **იმიგრანტი** (= ამა თუ იმ ქვეყანაში დასახლებული უცხოელი) – **მიგრანტი** (= ადამიანი, რომელიც იცვლის საცხოვრებელ ადგილს/ქვეყანას)

ემიგრაცია (= სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლება) – **იმიგრაცია** (= უცხოელთა შესვლა და დასახლება რომელიმე ქვეყანაში) – **მიგრაცია** (ადამიანთა გადასახლება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; შდრ.: ცხოველების, ფრინველების... სეზონური **მიგრაცია**)

ემისარი (ემისრის˹ა˺)

ემისია (ემისიის˹ა˺): **საემისიო**

ემიჯნავება და **ემიჯნება** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ესაზღვრება (ჩვენი ეზოები ერთმანეთს **ემიჯნავება/ემიჯნება**), მაგრამ **ემიჯნება** ზმნას განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ეთიშება, შორდება: „მღვდელი უკან-უკან იწევდა, თითქოს ეშმაკს **ემიჯნებაო**“ (გ. ჩხ.).

ემორჩილება; **ემორჩილებოდა**; **ემორჩილებოდეს** (**დაემორჩილება**; **დაემორჩილა**; **დამორჩილებია**; **დამორჩილებოდა**)

ემოცია (ემოციის˹ა˺): **ემოციური** (ემოციურად)

ემოწმება; **ემოწმებოდა**; **ემოწმებოდეს** (**დაემოწმება**; **დაემოწმა დამოწმებია**; **დამოწმებოდეს**)

ემსახურება; **ემსახურებოდა**; **ემსახურებოდეს**; **ემსახურა**

კვორუმი [და არა ქვორუმი] (= რაიმე ორგანიზაციის კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ამ კრების დადგენილების კანონიერებისათვის); შდრ.: **ფორუმი** (=1. ძვ. რომში – მოედანი, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები (თავყრილობები); 2. ადგილი, სადაც იმართება შეკრება; 3. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 4. სპეციალური საიტი ან საიტის ნაწილი ინტერნეტში, რომლის საშუალებითაც

მომხმარებლები სხვადასხვა თემაზე საუბრობენ და მსჯელობენ)

კვოტა (კვოტის˹ა˺) [და არა ქვოტა]

კი არადა (ის **კი არადა**...)

კიბე-კიბე

კიბერნეტიკა (კიბერნეტიკის˹ა˺): **კიბერნეტიკული**

კიო (მოთხრ. კიომ, მიც., ნათ. კიოს)

კიბორჩხალი (კიბორჩხლის˹ა˺) // **კიბორჩხალა** (კიბორჩხალას˹ი˺)

კიდე (კიდის˹ა˺)

კიდევ; კიდევაც; კიდევ და კიდევ

კიდია (ფარდა), მაგრამ: **ჰკიდია** (მას ჯვარი)

კივი (მოთხრ. კივიმ, მიც., ნათ. კივის)

კივი [და არა კივიხარ] (შენ)

[კითხავს, კითხა კი არა] **ჰკითხავს; ჰკითხა**

კითხვა-კითხვით

კითხვა-პასუხი

კითხვარი // კითხვანი

კითხულობს; კითხულობდა; კითხულობდეს (წაიკითხავს...)

კიკბოქსი (კიკბოქსს) (სპორტ.)

კილერი [და არა ქილერი]

კილოგრამი (კილოგრამმა)

კილოვატი

კილოვატსაათი

კილოკავი

კილომეტრ-ნახევარი (კილომეტრ-ნახევრის˹ა˺)

კილო-ნახევარი (კილო-ნახევრის˹ა˺)

კიმონო

კინაღამ

კინემატოგრაფი

კინემატოგრაფია (კინემატოგრაფიის˹ა˺)

კინემატოგრაფიული

კინოაპარატურა (კინოაპარატურის˹ა˺)

კინოგადამღები

კინოგადაღება (კინოგადაღების˹ა˺)

კინოგამოშვება (კინოგამოშვების˹ა˺)

კინოდარბაზი (კინოდარბაზზე)

კინოდოკუმენტალისტი

კინოდოკუმენტი

კინოდრამატურგი; კინოდრამატურგია (კინოდრამატურგიის˹ა˺)

კინოდრამატურგიული

კინოეკრანი

კინოეპიზოდი

კინოვარსკვლავი

კინოთეატრი

კინოკადრი

კინოკამერა (კინოკამერის˹ა˺)

კინოკარიერა (კინოკარიერის˹ა˺)

კინოლენტი

კინოლოგი

კინოლოგია (კინოლოგიის˹ა˺) (= მეცნიერება ძაღლების, მათი ჯიშებისა და მოვლის შესახებ)

კინომაყურებელი (კინომაყურებლის᾽ა)

კინომსახიობი: კინომსახიობური

კინონარკვევი

კინოობიექტივი

კინოოპერატორი

კინოპანორამა (კინოპანორამის᾽ა)

კინოპროგრამა (კინოპროგრამის᾽ა)

კინოჟურნალი

კინორეჟისორი: კინორეჟისორული

კინოსეანსი (კინოსეანსს)

კინოსიუჟეტი

კინოსტუდია (კინოსტუდიის᾽ა)

კინოფესტივალი (კინოფესტივალის᾽ა)

კინოფილმი (კინოფილმმა)

კინოფილმი „მამლუქი“ (მოთხრ. **კინოფილმმა** „მამლუქმა“; მიც. **კინოფილმ** „მამლუქს“; ნათ. **კინოფილმ** „მამლუქის“; მოქმ. **კინოფილმ** „მამლუქით“; ვით. **კინოფილმ** „მამლუქად“, მაგრამ: **კინოფილმი / კინოფილმმა / კინოფილმს / კინოფილმის / კინოფილმით / კინოფილმად; კინოფილმში / კინოფილმზე / კინოფილმიდან** „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“)

კინოფირი

კინოქრონიკა (კინოქრონიკის᾽ა)

კინოხელოვანი (კინოხელოვანის᾽ა)

კინოხელოვნება (კინოხელოვნების᾽ა)

კინტოური [და არა კინტაური]

კინწისკვრით

კისკისი (კისკისს)

კისრისტეხით

კისრული (სპორტ.)

კისრულობს; კისრულობდა; კისრულობდეს (იკისრებს...)

კისტა (კისტის᾽ა)

კიცხავს; კიცხავდა; კიცხავდეს (გაკიცხავს...)

კლავიატურა (კლავიატურის᾽ა)

კლავს (ერთს), მაგრამ: **ხოცავს** (ბევრს)

კლანი: კლანური

კლარნეტი; კლარნეტისტი

კლასგარეშე (კითხვა)

კლასელი (პირველკლასელი, მეორეკლასელი...)

კლასი (კლასს)

კლასიკა (კლასიკის᾽ა): **კლასიკური** (კლასიკურად)

კლასიკოსი (კლასიკოსს)

კლასიკური სამჯიდი (სპორტ.)

კლასიფიკატორი (კლასიფიკატორის᾽ა)

კლასიფიკაცია (კლასიფიკაციის᾽ა); **საკლასიფიკაციო**

კლდე (კლდის᾽ა); **კლდე-ღრე**

კლდეზე ცოცვა (სპორტ.)

კლება (კლების᾽ა); **კლებადი**

კლეპტომანი; კლეპტომანია (კლეპტომანიის᾽ა)

კლიენტი (= მუდმივი მუშტარი, დამკვეთი, მაგ., საპარიკმახეროს/ადვოკატის / სავაჭრო ორგანიზაციის... **კლიენტი**; შდრ.: **პაციენტი**: ავადმყოფი მკურნალი ექიმისათვის)

კლიმატი: **კლიმატური**

კლინიკა (კლინიკის⌜ა⌝): **კლინიკური**

კლინიკურ-დიაგნოსტიკური [და არა კლინიკურ-დიაგნოსტიური]

კლიტედადებული

კლიშე (კლიშეს⌜ი⌝)

კმარა; **კმაროდა**; **კმაროდეს**

კმაყოფა (კმაყოფაზე)

კმაყოფილი; **კმაყოფილება** (კმაყოფილების⌜ა⌝)

კმევა (**აკმევს**; **უკმევს**)

კმენდს; **კმენდდა**; **კმენდდეს** [და არა კმენდავს, კმინდავს, კმენდავდა, კმინდავდა; კმენდავდეს, კმინდავდეს]

კნაწაკნუწი (კნაწაკნუწით)

კნინდება; **კნინდებოდა**; **კნინდებოდეს** (**დაკნინდება**...)

[კნოპკა, კნოპი კი არა] **ჭიკარტი**

კოაგულანტი (= სახელწოდება ქიმიური ნაერთებისა, რომლებსაც იყენებენ წყლის გასაწმენდად) – **კოაგულატი** (= ნალექი, რომელიც ჩნდება კოლოიდური ხსნარის კოაგულაციის შედეგად)

კოალიცია (კოალიციის⌜ა⌝): **კოალიციური**

კოდალა (კოდალას⌜ი⌝)

კოდექსი (კოდექსს)

კოდირება (= დაშიფვრა კოდის საშუალებით) – **კოდიფიკაცია**, **კოდიფიცირება** (= სამართლის ცალკეული დარგების კანონთა სისტემაში მოყვანა, ერთ კრებულში (კოდექსში) გაერთიანება)

კოეფიციენტი

კოვზოი (მოთხრ. კოვზოიმ, მიც., ნათ. კოვზოის)

კოკა (სპორტ.)

კოლაბორაციონიზმი (კოლაბორაციონიზმმა); **კოლაბორაციონისტი**

კოლაჟი (კოლაჟს)

კოლაფსი (= მედიც. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება ერთბაშად – ხშირად თან სდევს გონების დაკარგვა) – **კომა** (= მედიც. უგონო მდგომარეობა (ჰგავს ღრმა ძილს); ხშირად გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით)

კოლეგა (კოლეგის⌜ა⌝)

კოლეგია (კოლეგიის⌜ა⌝): **კოლეგიური**

კოლეგიურობა (კოლეგიურობის⌜ა⌝)

კოლექცია (კოლექციის⌜ა⌝)

კოლექციონერი (კოლექციონერის⌜ა⌝)

კოლეჯი (კოლეჯს)

კოლიზია (კოლიზიის⌜ა⌝) (= საპირისპირო ძალებისა თუ ინტერესების შეჯახება)

კოლიო

კოლიტი

კოლოკვიუმი (კოლოკვიუმმა)

კოლონა (კოლონის⌜ა⌝)

კოლონადა (კოლონადის⌜ა⌝)

კოლონია (კოლონიის⌜ა⌝): **კოლონიური**

კოლონისტი (= კოლონიის წევრი, კოლონიაში მცხოვრები, სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებული ადამიანი) – **კოლონიზატორი** (= კოლონიზაციის გამტარებელი)

კოლორიტი: **კოლორიტული**

კოლოსალური (კოლოსალურად)

კოლოსეუმი (კოლოსეუმმა) [// კოლიზეი]

კომა – **კოლაფსი** (ი ხ.)

კომბინატორი: **კომბინატორული**

კომბინაცია (კომბინაციის⌜ა⌝): **კომბინაციური**

კომედია (კომედიის⌜ა⌝): **კომედიური**

კომენტარი (კომენტარის⌜ა⌝, მრ. კომენტარები); **საკომენტარო**

კომენტატორი: **კომენტატორული**

კომენტირება (კომენტირების⌜ა⌝): **კომენტირებული**

კომერსანტი: **კომერსანტული**

კომერცია (კომერციის⌜ა⌝): **კომერციული**

კომიზმი (კომიზმმა)

კომიკოსი, კომედიანტი (= 1. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი; 2. გადატ. ადამიანი, რომელიც ქცევითა და ლაპარაკით სიცილს იწვევს; ოხუნჯი) – **კომედიოგრაფი** (= კომედიების მწერალი)

კომიკური (კომიკურად)

კომისია (კომისიის⌜ა⌝); **საკომისიო**

კომიტეტი: **საკომიტეტო**

კომიქსი (კომიქსს)

კომპანია – **კამპანია** (ი ხ.)

კომპანიონი [და არა კამპანიონი]

კომპასი (კომპასს)

კომპაქტური (კომპაქტურად); **კომპაქტურობა** (კომპაქტურობის⌜ა⌝)

კომპენსაცია (კომპენსაციის⌜ა⌝); **საკომპენსაციო**

კომპენსირება (კომპენსირების⌜ა⌝)

კომპენსირებული

კომპეტენტური (კომპეტენტურად)

კომპეტენტურობა (კომპეტენტურობის⌜ა⌝)

კომპეტენცია (კომპეტენციის⌜ა⌝)

კომპილაცია (= ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს)

კომპიუტერების [და არა კომპიუტერული] **მაღაზია**, მაგრამ: **კომპიუტერული მომსახურება**

კომპიუტერი: **კომპიუტერული**; **საკომპიუტერო**

კომპიუტერიზაცია (კომპიუტერიზაციის˹ა˺)

კომპიუტერიზება (კომპიუტერიზების˹ა˺)

კომპიუტერიზებული [დ ა ა რ ა კომპიუტერიზირებული]

კომპლექსი (= 1. ერთგვაროვან საგანთა ან მოვლენათა ერთობლიობა, რომელიც ერთ მთლიანს წარმოადგენს, მაგ., სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხთა **კომპლექსი**; 2. ა რ ქ ი ტ. საერთო დანიშნულების მქონე ნაგებობათა წყება, მაგ., საცხოვრებელ შენობათა **კომპლექსი**; 3. ლ ი ნ გ ვ. რამდენიმე ბგერისაგან შედგენილი ჯგუფი, მაგ., თანხმოვანთა ბუნებრივი **კომპლექსი**; 4. ქვეცნობიერად ფორმირებადი წარმოდგენების ემოციურად შეფერილი ერთობლიობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკისა თუ ქცევის განვითრებასა და ფუნქციონირებაზე, მაგ., არასრულფასოვნების **კომპლექსი**) – **კომპლექტი** (= სრული შემადგენლობა, სრული რიცხვი საგანთა, რომლებიც გარკვეული დანიშნულებით იხმარება, მაგ., სახელმძღვანელოების სრული **კომპლექტი**)

კომპლექსური (= ერთმანეთთან დაკავშირებული, შეთანხმებული, მთლიანი (**კომპლექსური** ღონისძიებები); შ დ რ.: **კომპლექსური მეთოდი**: სწავლების მეთოდი, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა საგნის სწავლება სისტემურად, ერთმანეთთან მიმართებით ხდება) – **კომპლექტური** (= სხვადასხვა საგნისაგან შედგენილი: **კომპლექტური** პროდუქტი)

კომპლექცია (კომპლექციის˹ა˺)

კომპლიმენტი [დ ა არ ა კონპლიმენტი] // **ქათინაური**

კომპოზიტორი

კომპოზიცია (კომპოზიციის˹ა˺): **კომპოზიციური** (კომპოზიციურად)

კომპონენტი

კომპოტი [დ ა ა რ ა კამპოტი]

კომპრესი (კომპრესს)

კომპრომეტაცია (კომპრომეტაციის˹ა˺) [დ ა არ ა კომპრომენტაცია]

კომპრომეტირება (კომპრომეტირების˹ა˺): **კომპრომეტირებული** [დ ა ა რ ა კომპრომენტირება, კომპრომენტირებული]

კომპრომისი (კომპრომისს): **კომპრომისული** [დ ა ა რ ა კონპრომისი, კონპრომისული]

კომუნალური (გადასახადები)

კომუნიკაბელური; კომუნიკაბელურობა (კომუნიკაბელურობის˹ა˺)

კომუნიკაციური (= რაც კომუნიკაციას ეხება; საკომუნიკაციო (**კომუნიკაცია**: 1. ურთიერთობა (კომუნიკაციის ფუნქცია); 2. ურთიერთობის, კავშირის საშუალებანი (მი-

წისქვეშა/საჰაერო... **კომუნიკაციები**); შ დ რ.: **სამხედრო კომუნიკაციები**: გზები, რომლებითაც ფრონტზე მყოფი ჯარი უკავშირდება თავის ბაზას)

კომუნიკე (კომუნიკეს⌜ი⌝): 1. ოფიციალური ცნობა (მთავრობისა, პოლიტიკური ორგანიზაციისა) ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; 2. ოფიციალური ცნობა სახელმწიფოთა მოლაპარაკების შედეგების შესახებ – შეიცავს მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა მიერ შეთანხმებულ ტექსტს.

[კომფედერატი, კომფედერაცია კი არა] **კონფედერატი**; **კონფედერაცია**

[კომფესიონალიზმი კი არა] **კონფესიონალიზმი** (კონფესიონალიზმმა)

[კომფერანსი, კომფერანსიე კი არა] **კონფერანსი**; **კონფერანსიე**

[კომფერენცია კი არა] **კონფერენცია**

[კომფიგურაცია კი არა] **კონფიგურაცია**

[კომფიდენციალური კი არა] **კონფიდენციალური**

[კომფისკაცია, კომფისკებული კი არა] **კონფისკაცია**; **კონფისკებული**

[კომფლიქტი, კომფლიქტური კი არა] **კონფლიქტი**; **კონფლიქტური**

კომფორტი: **კომფორტული** [და არა კონფორტი, კონფორტული]

კომშო (კომშოში)

კონგლომერატი [და არა კონგლომერანტი]

კონგრესი (კონგრესს)

კონგრესმენი

კონდენსატორი

კონდენსაცია (კონდენსაციის⌜ა⌝)

კონდენსირება (კონდენსირების⌜ა⌝): **კონდენსირებული**

კონდიტერი; **საკონდიტრო**

კონდიცია (კონდიციის⌜ა⌝): **კონდიციური**

კონდიციონერი (კონდიციონერის⌜ა⌝)

კონდიცირება (= საქონლისათვის ისეთი სახის მიცემა, რომ შეეფერებოდეს დადგენილ ნორმას, სტანდარტს) – **კონდიციურობა** (= საჭირო თვისების მქონებლობა; შეთანხმების, ხელშეკრულების პირობის – კონდიციის – შესაბამისობა)

კონვეიერი: **კონვეიერული** (სისტემით)

კონვერტირება: **კონვერტირებული**

კონვენცია (კონვენციის⌜ა⌝): **კონვენციური**

კონიექტურა (= ძნელად გასარჩევი ტექსტის წაკითხვა) – **კონიუნქტურა** (= 1. შექმნილი ვითარება, მდგომარეობა; 2. სასაქონლო მეურნეობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა)

კონკრეტიზაცია (კონკრეტიზაციის⌜ა⌝)

კონკრეტიზება (კონკრეტიზების᾽ა᾽)

კონკრეტიზებული

კონკრეტული (კონკრეტულად)

კონკურენტი

კონკურენცია (კონკურენციის᾽ა᾽)

კონკურსი (კონკურსს)

კონსენსუსი (კონსენსუსს) [და არა კონსესუსი, კონცესუსი]

კონსერვატორი

კონსერვაცია (კონსერვაციის᾽ა᾽)

კონსერვირება (კონსერვირების᾽ა᾽)

კონსერვირებული

კონსილიუმი (კონსილიუმმა)

კონსოლიდაცია (კონსოლიდაციის᾽ა᾽)

კონსპირატორი

კონსპირაცია (კონსპირაციის᾽ა᾽): **კონსპირაციული**

კონსპირირება (კონსპირირების᾽ა᾽)

კონსპირირებული

კონსტატაცია (კონსტატაციის᾽ა᾽) // **კონსტატირება** (კონსტატირების᾽ა᾽)

კონსტიტუცია (კონსტიტუციის᾽ა᾽)

კონსტიტუციური (კონსტიტუციურად); **საკონსტიტუციო**

კონსტრუირება (კონსტრუირების᾽ა᾽): **კონსტრუირებული**

კონსტრუქტორი: **კონსტრუქტორული**

კონსტრუქცია (კონსტრუქციის᾽ა᾽)

კონსტრუქციული

კონსული: **საკონსულო**

კონსულტანტი

კონსულტაცია (კონსულტაციის᾽ა᾽): **საკონსულტაციო**

კონტაქტი: **კონტაქტური**; **საკონტაქტო**

კონტეინერი (კონტეინერის᾽ა᾽)

კონტექსტი: **კონტექსტური**; **საკონტექსტო**

კონტინგენტი [და არა კონტიგენტი]

კონტინენტი: **კონტინენტური**

კონტრაბანდა: **კონტრაბანდული**

კონტრაბანდისტი: **კონტრაბანდისტული**

კონტრარგუმენტი

კონტრასიგნაცია (კონტრასიგნაციის᾽ა᾽)

კონტრასტი: **კონტრასტული**

კონტრაქტი; **საკონტრაქტო**

კონტრდაზვერვა (კონტრდაზვერვის᾽ა᾽)

კონტრდარტყმა (სპორტ.)

კონტრთამაში (სპორტ.)

კონტრიერიში (კონტრიერიშში)

კონტრმანევრი: **კონტრმანევრული**

კონტროლი; **საკონტროლო**

კონტროლიორი

კონტროლირებული // გაკონტროლებული

კონტროლქვეშ

კონტრშეტევა (კონტრშეტევის᾽ა᾽)

კონტრწინადადება (კონტრწინადადების⌜ა⌝)

კონტური: კონტურული

კონფედერატი (= კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაცია ან სახელმწიფო)

კონფედერაცია (კონფედერაციის⌜ა⌝) (= 1. ორგანიზაციათა კავშირი, გაერთიანება; 2. მუდმივი კავშირი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, რომელთაც მოეპოვებათ საერთო ორგანოები საგარეო პოლიტიკისა თუ სამხედრო საქმეების გასაძღოლად)

კონფერანსი (= თეატრ. მოკლე საოხუნჯო მოთხრობა, რომელსაც კონფერანსიე ჰყვება საზოგადოების გასართობად) – **კონფერანსიე** (= თეატრ. წარმოდგენის (საესტრადო, საცირკო...) მონაწილე პირი, რომელიც აცნობს მაყურებელს შესასრულებელი პროგრამის ნომერს და ამავდროულად ართობს მას საკუთარი სახუმარო მონათხრობებით)

კონფერენცია (კონფერენციის⌜ა⌝): **საკონფერენციო**

კონფესიონალიზმი (კონფესიონალიზმის) (= ამა თუ იმ სარწმუნოებრივი მოძღვრების მტკიცე დაცვა)

კონფესიონალური

კონფიგურაცია (კონფიგურაციის⌜ა⌝): **კონფიგურაციული**

კონფიდენციალური (კონფიდენციალურად)

კონფისკაცია (კონფისკაციის⌜ა⌝)

კონფისკებული

კონფლიქტი (= 1. სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება; საწინააღმდეგო ინტერესების, შეხედულებათა, მისწრაფებათა შეჯახება; 2. ლიტ. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, უკუფენილი მხატვრულ ნაწარმოებში, მაგ., პოემას საფუძვლად უდევს **კონფლიქტი** თემსა და პიროვნებას შორის)

კონფლიქტური (სიტუაცია...)

კონცენტრატი [და არა კონცენტრანტი] (= 1. გამდიდრებული მადანი; 2. საქონლის მეტად ყუათიანი საკვები (მარცვლეული, ქატო, ღერღილი...); 3. ნახევრად შემზადებული, გამხმარ-დაწნეხილი საკვები პროდუქტი ადამიანისათვის)

კონცენტრაცია (კონცენტრაციის⌜ა⌝) (= 1. რაიმეს მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება; 2. გადატ. რაიმეზე ყურადღების გამახვილება, მიპყრობა; 3. ქიმ. ხსნარის გაჯერების ხარისხის გაზრდა გამხსნელის რაოდენობის შემცირებით; 4. ქიმ. ხსნარის გაჯერების ხარისხი; 5. მთ.-მად. მადნეულიდან გამოყოფა მისი უფრო საჭირო ნაწილისა შემდგომი დამუშავების ან გამოყენების მიზნით; მადნეულის გამდიდრება)

კონცენტრირება (კონცენტრირების᾽ა᾽)

კონცენტრირებული

კონცერტი: **საკონცერტო**

კონცერტმაისტერი (კონცერტმაისტერის᾽ა᾽) [და არა კონცერტმეისტერი]

კონცესია (კონცესიის᾽ა᾽): 1. სახელმწიფოს მიერ კერძო მრეწველთან, უცხოეთის ფირმასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მრეწველი (ფირმა) იღებს გარკვეულ სამრეწველო საწარმოთა, მთამადნეულისა და მისთ. ექსპლუატაციის უფლებას; 2. ასეთი ხელშეკრულების მიხედვით ორგანიზებული საწარმო.

კონცესიონერი (კონცესიონერის᾽ა᾽)

კონცეფცია (კონცეფციის᾽ა᾽)

კოორდინატი: **კოორდინატული**

კოორდინატორი: **კოორდინატორული**

კოორდინაცია (კოორდინაციის᾽ა᾽); **საკოორდინაციო**

კოორდინირება (კოორდინირების᾽ა᾽)

კოორდინირებული

[კოპიო კი არა] **ბირი // ასლი**

კორესპონდენტი: **კორესპონდენტული** [და არა კორესპოდენტი, კორესპოდენტული]

კორესპონდენცია (კორესპონდენციის᾽ა᾽) [და არა კორესპოდენცია]

კორექტივი (= შესწორება, მაგ., დადგენილების ტექსტში **კორექტივი** შეიტანეს) – **კორექტურა** (= 1. სტამბაში აწყობილი ტექსტის გასწორება, მაგ., **კორექტურაზე** მუშაობს; 2. ანაწყობის ანაბეჭდი, რომელიც უნდა გასწორდეს, მაგ., წერილის/სტატიის **კორექტურა**)

კორექტირება (კორექტირების᾽ა᾽)

კორექტირებული

კორექტორი: **საკორექტორო**

კორექტული (= სწორი, მოსაწონი: **კორექტული** საქციელი) – **კორექტურული** (= კორექტურასთან დაკავშირებული: **კორექტურული** შეცდომა)

კორექცია (კორექციის᾽ა᾽); **საკორექციო**

კორიდა (კორიდის᾽ა᾽)

კორიფე (კორიფეს᾽ი᾽)

კოროლიოკი (// **კარალიოკი**)

კორონაცია (კორონაციის᾽ა᾽)

კორპორაცია (კორპორაციის᾽ა᾽): **კორპორაციული** [და არა კორპორატიული]; **საკორპორაციო**

კორპუსი (კორპუსს): **კორპუსული**

კორტეჟი (კორტეჟს)

კორტი (სპორტ.)

კორუფცია (კორუფციის᾽ა᾽): **კორუფციული**; **კორუფცირებული** (// **კორუმპირებული**)

კოსმეტიკა (კოსმეტიკის᾽ა᾽): **კოსმეტიკური**

[კოსმიური კი არა] **კოსმოსური**

კოსმოგონია (კოსმოგონიის[ა]): **კოსმოგონიური**

კოსმოპოლიტი: **კოსმოპოლიტური**

კოსმოპოლიტიზმი (კოსმოპოლიტიზმმა)

კოსმოსი (კოსმოსს)

კოსტიუმი (კოსტიუმმა) [და არა კოსტუმი]

კოტეჯი

კოტრდება; **კოტრდებოდა**; **კოტრდებოდეს** (**გაკოტრდება**...)

კოქსვადი

კოქსი (კოქსს)

კოქსიტი

კოქტეილი [და არა კოკტეილი]

კოღო ანოფელესი (კოღო ანოფელესს)

კოშმარი: **კოშმარული**

კოცნის; **კოცნიდა**; **კოცნიდეს** (**აკოცებს**...)

კოჭლობს; **კოჭლობდა**; **კოჭლობდეს** (**იკოჭლებს**...)

კოჰაბიტაცია (კოჰაბიტაციის[ა])

კოჰაბიტაციური

კრავს (ის ბარგს), მაგრამ: **ჰკრავს** (ის მას ხელს)

კრაზანა (კრაზანის[ა])

კრამიტი; **კრამიტიანი**

კრაუჩი (სპორტ.)

კრახი

კრეატიული (= არასტანდარტული, ორიგინალური; შემოქმედებითი)

კრეატიულად (მოაზროვნე)

კრებადი (= სპეც. ერთად თავმოყრილი, შეჯგუფებული: **კრებადი** სხივები)

კრებითი (= გრამატ. კრებითი სახელი – ერთგვაროვან საგანთა ერთობლიობის გამომხატველი სიტყვა, მაგ., ხალხი, გუნდი...)

კრებს (ხალხს...) – **კრეფს** (ხილს...)

კრებსითი (= სპეც. შეერთებული; ნაკრები: **კრებსითი** კატალოგი)

კრედიტი; **საკრედიტო**

კრედიტორი: **კრედიტორული**; **საკრედიტორო**

კრედიტუნარიანი

კრედიტუუნარო

კრედო

კრემაცია (კრემაციის[ა])

კრემი (კრემმა)

კრემისფერი (კრემისფრად)

კრეფს; **კრეფდა**; **კრეფდეს** [და არა კრეფავს, კრიფავს; კრეფავდა, კრიფავდა; კრეფავდეს, კრიფავდეს] (ყვავილებს...)

კრივი [და არა ბოქსი] (სპორტ.)

კრიზი (= მედიც. სისხლძარღვების დროებითი სპაზმური შეკუმშვა, რომელიც წარმოიქმნება უეცრად; ახასიათებს ძლიერი ტკივილი, მაგ., ჰიპერტონიული **კრიზი**) – **კრიზისი** (= 1. მძაფრი გარდატეხა, ცვლილება; მწვავე მდგომარეობა,

რომელიც გარდატეხას წინ უსწრებს; 2. მედიც. გადამწყვეტი გარდატეხის მომენტი მწვავე დაავადების მიმდინარეობისას; შდრ.: მთავრობის **კრიზისი**; ეკონომიკური **კრიზისი**)

კრიკეტი (სპორტ.)

კრიმინალი (= სისხლის სამართლის დანაშაული და არა – დამნაშავე): **კრიმინალური**

კრიმინალისტი (= კრიმინალისტიკის სპეციალისტი)

კრიმინალისტიკა (კრიმინალისტიკის[ა]) (= მოძღვრება სისხლის სამართლის შესახებ; სისხლის სამართლის მეცნიერების დარგი)

კრიმინალური (= სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული, მაგ., **კრიმინალური** ვითარება) – **კრიმინალისტური** (= კრიმინალისტისათვის (კრიმინალისტიკის სპეციალისტისათვის) დამახასიათებელი, მაგ., **კრიმინალისტური** საქმიანობა) – **კრიმინალისტიკური** (= კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელი, მაგ., **კრიმინალისტიკური** ლიტერატურა)

კრისტალი: **კრისტალური** (კრისტალურად)

კრიტერიუმი (კრიტერიუმმა)

კრიტიკა (კრიტიკის[ა]): **კრიტიკული** (კრიტიკულად)

კრიტიკოსი (კრიტიკოსს): მხატვრული ნაწარმოების გამრჩევ-შემფასებელი: „**კრიტიკოსი** არის გამრჩევი თხზულებისა“ (ილია); შდრ.: **კრიტიკანი**: ყველაფერში ნაკლის მძებნელი, წვრილმანებს გამოკიდებული, არაობიექტური.

კროლი (სპორტ.)

კროსვორდი

კროსი (კროსს) (სპორტ.)

კრუპიე (კრუპიეს[ი])

კრძალავს; **კრძალავდა**; **კრძალავდეს** (**აკრძალავს**...)

კუ (კუს[ი])

კუბიზმი (კუბიზმმა)

კუბმეტრი [და არა კუბამეტრი]

კუდამოძუებული

კუთხე (კუთხის[ა]): **კუთხეებიანი**

კუთხე-კუნჭული

კუთხური დარტყმა (სპორტ.)

კულინარი: **კულინარული**

კულინარია (კულინარიის[ა]): **კულინარიული**

კულისი (კულისს)

კულმინაცია (კულმინაციის[ა])

კულმინაციური

კულტი; **საკულტო**

კულტმასობრივი

კულტურა (კულტურის[ა]): **კულტურული** (კულტურულად)

კულტურიზმი (სპორტ.)

კულტურისტი (სპორტ.)

კულტურულ-საგანმანათლებლო

კულუარი: კულუარული [და არა კულვარული]

კუნაპეტი (ღამე)

კუპე (კუპეს᾽ი᾽)

კუპიურა (კუპიურის᾽ა᾽)

კურატორი; საკურატორო

კურაცია (კურაციის᾽ა᾽)

კურდღელი (კურდღლის᾽ა᾽)

კურთხევა, მაგრამ: **აკურთხებს**

კურთხეული

კურიერი: კურიერული; საკურიერო

კურიოზი (კურიოზზე): **კურიოზული**

კურნავს; კურნავდა; კურნავდეს (გან-**კურნავს**...)

[კურორტალტი კი არა] **კურაპალატი**

კურორტი: საკურორტო

კურსანტი

კურსდამთავრებული

კურსი (კურსს); **საკურსო**

კურსივი

კუსტარული (კუსტარულად)

კუტიურიე (კუტიურიეს᾽ი᾽)

კუჭმაჭი

კუჭ-ნაწლავი

კუჭქვეშა ჯირკვალი (კუჭქვეშა ჯირკვლის᾽ა᾽)

ლ

ლაბადა (ლაბადის᾽ა᾽)

ლაბირინთი (ლაბირინთთან)

ლაბორანტი

ლაბორატორია (ლაბორატორიის᾽ა᾽): **ლაბორატორიული** (ლაბორატორიულად)

ლაგამი (ლაგმის᾽ა᾽)

ლაგდება; ლაგდებოდა; ლაგდებოდეს (დალაგდება...)

ლაგუნა (ლაგუნის᾽ა᾽)

ლავა (ლავის᾽ა᾽)

ლავანდა (ლავანდის᾽ა᾽)

ლავირება (ლავირების᾽ა᾽): **ლავირებული**

ლავიწი; ლავიწქვეშა

ლავრა (ლავრის᾽ა᾽)

ლაზათი (ლაზათთან); **ლაზათიანი**

ლაზერი: ლაზერული

ლაზი; ლაზური

ლაზღანდარა (ლაზღანდარას᾽ი᾽)

ლაზღანდაროობს; ლაზღანდაროობდა; ლაზღანდაროობდეს (ილაზღანდარებს...)

ლათინურ-ამერიკული [და არა ლათინო-ამერიკული] (ცეკვა...)

[ლაინსმენი კი არა] **გვერდითი მსაჯი** (სპორტ.)

ლაიტმოტივი [და არა ლეიტმოტივი]

ლაკმუსი (ლაკმუსს)

ლაკონიზმი (ლაკონიზმმა)

ლაკონიური (ლაკონიურად) [და არა ლაკონური, ლაკონურად]

ლაკონიურობა (ლაკონიურობის᾽ა᾽) [და არა ლაკონურობა]

ლალისფერი (ლალისფრად)

ლამაზმანი

ლამინარია (ლამინარიის᾽ა᾽)

ლამინირება (ლამინირების᾽ა᾽): **ლამინირებული**

ლამის

ლამობს; ლამობდა; ლამობდეს

ლამპა (= 1. გასანათებელი მოწყობილობა; 2. სხვადასხვა სახის გასახურებელი და გასანათებელი ხელსაწყო) – **ლამფა** (= ჭერის თხელი ფიცარი – კოჭებზე ქვევიდან მიჭედებული; ასეთი ფიცრის ჭერი)

ლამპარი (ლამპრის᾽ა᾽)

ლამპიონი

ლანდშაფტი

ლანგარი (ლანგრის᾽ა᾽)

ლანცეტი

ლანძღვა-გინება (ლანძღვა-გინების᾽ა᾽)

ლაპარაკობს; ლაპარაკობდა; ლაპარაკობდეს (**ილაპარაკებს**...)

ლაპაროსკოპია (ლაპაროსკოპიის᾽ა᾽): **ლაპაროსკოპიული** (ლაპაროსკოპიულად)

ლაქვარდისფერი (ლაქვარდისფრად)

ლარი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ათ, ოც... **ლარში** ვიყიდე; ხუთ, შვიდ... **ლარში** იყიდება... უნდა იყოს: ათ, ოც... **ლარად** ვიყიდე; ხუთ, შვიდ... **ლარად** იყიდება)

ლარინგოლოგი

ლარინგოლოგია (ლარინგოლოგიის᾽ა᾽)

ლარნაკი

ლარი: ხუთლარიანი, მაგრამ: **5-ლარიანი**

ლასტი (სპორტ.)

ლატარია (ლატარიის᾽ა᾽) [და არა ლატარეა]

ლაურეატი; ლაურეატობა [და არა ლაურიატი, ლაურიატობა]

ლაფსუსი (ლაფსუსს) [და არა ლაპსუსი]

ლაქტაცია (ლაქტაციის᾽ა᾽)

ლაქტოზა (ლაქტოზის᾽ა᾽)

ლაქწასმული

ლაყბობს; ლაყბობდა; ლაყბობდეს (**ილაყბებს**...)

ლაშქარი (ლაშქრის᾽ა᾽): **სალაშქრო**

ლაშქრობს; ლაშქრობდა; ლაშქრობდეს (**გაილაშქრებს**...)

ლაჩარი (ლაჩრის᾽ა᾽): **ლაჩრული**

ლაწალუწი (ლაწალუწით)

ლახვარი (ლახვრის᾽ა᾽)

ლაჯური (სპორტ.)

ლებანი (ლებნის᾽ა᾽)

[ლებიკი არა] **ლეიბი**

ლეგალიზაცია (ლეგალიზაციის˹ა˺)

ლეგალიზება (ლეგალიზების˹ა˺)

ლეგალიზებული [დ ა ა რ ა ლეგალიზირებული]

ლეგალური (ლეგალურად)

ლეგალურობა (ლეგალურობის˹ა˺)

ლეგატო (მ უ ს.)

ლეგენდა (ლეგენდის˹ა˺): **ლეგენდარული // ლეგენდური**

ლეგიონი

ლეგიონერი (ლეგიონერის˹ა˺)

ლეგიტიმაცია (ლეგიტიმაციის˹ა˺)

ლეგიტიმიზმი (ლეგიტიმიზმმა)

ლეგიტიმური

ლედი (მ ო თ ხ რ. ლედიმ, მ ი ც., ნ ა თ. ლედის)

ლევკემია, ლეიკემია (= მ ე დ ი ც. ქრონიკული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისხლში ლეიკოციტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა; თეთრსისხლიანობა) – **ლევკოზი, ლეიკოზი**: (= მ ე დ ი ც. თვალის რქოვანას თეთრად შემღვრევა; ლიბრი)

ლევკოციტები // ლეიკოციტები

ლევს (სულს), შ დ რ.: **სვამს** (წყალს)

ლეთარგია (ლეთარგიის˹ა˺): **ლეთარგიული** (ძილი)

ლეიბორისტი: **ლეიბორისტული**

[ლეიტმოტივი კ ი ა რ ა] **ლაიტმოტივი**

ლეიშმანია (ლეიშმანიის˹ა˺)

ლეიშმანიოზი (ლეიშმანიოზის)

ლელი

ლელობურთი: **ლელობურთელი**

ლელოს გატანა

ლეოპარდი

ლეპტოპი // ლაპტოპი; ნოუტბუკი [დ ა ა რ ა ნოუთბუქი]

ლერწამი (ლერწამმა, ლერწმის˹ა˺)

ლეტალური (შედეგი)

ლექსი „განთიადი“, **ლექსმა** „განთიადმა“, **ლექსს** „განთიადს“ / „განთიადის“ / „განთიადით“ / „განთიადად“; „განთიადში“..., მ ა გ რ ა მ: **ლექსი/ ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსით / ლექსად; ლექსში** „წამყვან ბეთანიისაკენ“...

ლექსი ი. ჭავჭავაძისა / ა. წერეთლისა, მ ა გ რ ა მ: **ი. ჭავჭავაძის / ა. წერეთლის ლექსი**

ლექსიკა (ლექსიკის˹ა˺): **ლექსიკური** (ლექსიკურად)

ლექსიკონი; სალექსიკონო

ლექცია (ლექციის˹ა˺): **ლექციური; სალექციო**

ლექცია-საუბრები (მ რ.)

ლექცია-სემინარები (მ რ.)

ლექცია-კონსულტაციები (მ რ.)

ლიბერალი: **ლიბერალური**

ლიბერალიზმი (ლიბერალიზმმა) (= თავისუფალი აზროვნება; იდეოლოგიური მიმართულება; უარყოფით მოვლენებთან შემრიგებ-

ლობა; ზედმეტი შემწყნარებლობა) – **ლიბერალიზაცია** (ლიბერალიზაციისა) (= რაიმე საქმიანობაზე შეზღუდვათა შემცირება ან მოხსნა; შდრ.: **ფასების ლიბერალიზაცია** – ფასების გადასვლა სახელმწიფო სისტემიდან საბაზროზე)

[ლიბერო კი არა] **თავისუფალი მცველი** (სპორტ.)

ლიგა (ლიგის^ა)

ლიდერი; **სალიდერო**

ლიდერობს; **ლიდერობდა**; **ლიდერობდეს**

ლიზინგი (= ერთგვარი სესხი)

ლითოსფერო

ლიკვიდაცია (ლიკვიდაციის^ა); **სალიკვიდაციო**

ლიკვიდირება (ლიკვიდირების^ა): **ლიკვიდირებული**

ლიკვიდური (ფინანს.)

[ლიკიორი კი არა] **ლიქიორი**

ლილვი

ლიმიტგარეშე

ლიმიტი; **სალიმიტო**

ლიმიტირება (ლიმიტირების^ა)

ლიმიტირებული

ლიმონი (ლიმონის^ა)

ლიმონისფერი (ლიმონისფრად)

ლიმფა (ლიმფის^ა): **ლიმფური**

ლიმფოციტი (მრ. ლიმფოციტები)

ლინგვისტი: **ლინგვისტური**

ლინგვისტიკა (ლინგვისტიკის^ა): **ლინგვისტიკური**

ლინგვისტური (ალღო) – **ლინგვისტიკური** (მეთოდი)

ლინზა (ლინზის^ა)

[ლინკი კი არა] **ბმული**

ლინჩის სამართალი (ლინჩის სამართლის^ა)

ლიპომა (ლიპომის^ა)

ლირიზმი (ლირიზმმა) (= ლირიკული განწყობილება, ხასიათი) – **ლირიკა** (ლირიკის^ა) (= ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა – გამოხატავს ადამიანის გრძნობებს, განცდებს; ასეთი სახის ნაწარმოებთა ერთობლიობა, მაგ., ნ. ბარათაშვილის **ლირიკა**)

ლირიკა: **ლირიკული** [და არა ლირიული]

ლირიკოსი (ლირიკოსს)

ლიტანიობა (ლიტანიობის^ა)

ლიტერატურა (ლიტერატურის^ა): **ლიტერატურული**; **სალიტერატურო**

ლიტერატურათმცოდნე (ლიტერატურათმცოდნის^ა)

ლიტერატურულ-ენობრივი

ლიტერატურულ-ისტორიული

ლიტერატურულ-მეცნიერული

ლიტკაფე (ლიტკაფეს^ი)

ლიტრი (= სითხის საზომი ერთეული) – **ლიტრა** (= თიხის პატარა ვიწროყელიანი ჭურჭელი)

ლიტრ-ნახევარი [და არა ლიტრა-ნახევარი]

ლიტურგია (ლიტურგიის˹ა˺) (= მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება)

ლიტურგიკა (ლიტურგიკის˹ა˺) (= მოძღვრება მღვდელმსახურების შესახებ)

ლიტურგიკული (= ლიტურგიკასთან დაკავშირებული: **ლიტურგიკული** ძეგლები)

ლიტურგიული (= ლიტურგიასთან დაკავშირებული: **ლიტურგიული** მსახურება)

ლიფტი

ლიქიორი [და არა ლიკიორი]

ლიცენზია (ლიცენზიის˹ა˺) (= ოფიციალური ნებართვა)

ლიცენზიანტი

ლიცენზირება (ლიცენზირების˹ა˺): **ლიცენზირებული**

ლმობიერება (ლმობიერების˹ა˺)

ლმობიერი (ლმობიერად)

ლობი (მოთხრ. ლობიმ, მიც., ნათ. ლობის)

ლობირება (ლობირების˹ა˺); **ლობისტი**

ლოგარითმი (ლოგარითმმა)

ლოგიკა (ლოგიკის˹ა˺): **ლოგიკური** (ლოგიკურად)

ლოგიკურ-ფორმალური (ლოგიკურ-ფორმალურად)

ლოგოპათი (= ვისაც ლოგოპათია სჭირს, მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს; ენაბლუ) – **ლოგოპედი** (= ლოგოპედიის სპეციალისტი)

ლოგოპათია (= დეფექტური მეტყველება) – **ლოგოპედია** (= მეცნიერება დეფექტური მეტყველების მკურნალობის შესახებ)

ლოგოსი (ლოგოსს)

ლოდქვეშ

ლოველასი (ლოველასს)

ლოთი (ლოთთან)

ლოიალური (ლოიალურად)

ლოიალურობა (ლოიალურობის˹ა˺) // **ლოიალობა** (ლოიალობის˹ა˺)

ლოკალიზაცია (ლოკალიზაციის˹ა˺)

ლოკალიზება (ლოკალიზების˹ა˺)

ლოკალიზებული [და არა ლოკალიზირებული]

ლოკალური (ლოკალურად)

ლოკატორი

ლომბარდი

ლომი (ლომმა)

ლომის წილი [და არა წვლილი] **მიუძღვის**, მაგრამ: **დიდი წვლილი შეიტანა**

ლოჟა (ლოჟის˹ა˺)

ლოტბარი (ლოტბარის˹ა˺)

ლოტოსი (ლოტოსს)

ლოყა-ნიკაპი

ლოცვა-კურთხევა (ლოცვა-კურთხევის˹ა˺)

ლოცმანი – ხოცმანი (ი ხ.)

ლოცულობს; ლოცულობდა; ლოცულობდეს (ილოცებს...)

ლოჯისტიკა (= მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა) – **ლოგისტიკა** (= 1. გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნება; 2. სპეც. მათემატიკური ლოგიკის განვითარების ერთ-ერთი ტიპი)

ლტოლვილი

ლუდხანა (ლუდხანის˹ა˺) // **სალუდე** (სალუდის˹ა˺)

ლუკმაპური, მაგრამ: **ერთი ლუკმა პური/მჯადო...**

[ლუნატიკი კი არა] **მთვარეული**

ლუპა (ლუპის˹ა˺)

ლურსმული [და არა ლურსმნული] (დამწერლობა)

ლურჯა (ლურჯას˹ი˺)

ლურჯ-მწვანე (ლურჯ-მწვანის˹ა˺)

[ლუსტრაკი არა] **ჭაღი**

ლუსტრაცია (ლუსტრაციის˹ა˺) (= პოლიტ. საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებისა თუ კანდიდატების შემოწმება, რომლის მიზანია წარსულში მათი საქმიანობის გამოაშკარავება)

ლუსტრირება (ლუსტრირების˹ა˺)

ლუსტრირებული

ლუქავს; ლუქავდა; ლუქავდეს (დალუქავს...)

ლუქსი (ლუქსს)

ლღვება; ლღვებოდა; ლღვებოდეს (გალღვება...)

ლუციფერი

ლხენა (ლხენის˹ა˺)

ლხინი; სალხინო

მ

მაამებლობა (მაამებლობის˹ა˺)

მაბეზღარობა (მაბეზღარობის˹ა˺)

მაგათ გადაწყვიტეს / თქვეს / დაწერეს... [და არა მაგათმა გადაწყვიტეს / თქვეს / დაწერეს...], მაგრამ: **მაგათმა წინადადებამ** მოწონება დაიმსახურა

მაგალითის მოყვანა [და არა მოტანა]

მაგარი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **მაგარი / მაგრად** მომეწონა; **მაგარი / მაგრად** ვისიამოვნე; **მაგარი / მაგრად** იტკინა ფეხი... უნდა იყოს: **ძალიან (მეტად)** მომეწონა; **ძალიან (მეტად)** ვისიამოვნე; **ძალიან** იტკინა ფეხი...)

მაგასვე

მაგვგვარი, მაგრამ: **წეხოსმაგვარი, რძისმაგვარი...**

მაგდაგვარი

მაგდენი სტუმარი/წიგნი... [და არა მაგდენი სტუმრები/წიგნები...]

მაგია (მაგიის˹ა˺): **მაგიური**

მაგიდის ჩოგბურთი (სპორტ.)

მაგიერი (მაგიერ, მაგივრად); **მაგივრობა** (მაგივრობის⌜ა⌝)

მაგისთანა (მაგისთანას⌜ი⌝)

მაგისტრალი: მაგისტრალური

მაგისტრატურა (მაგისტრატურის⌜ა⌝)

მაგისტრი (= აკადემიური ხარისხი ან ამ ხარისხის მქონე პირი) – **მაგისტრანტი** (= პირი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში სწავლობს) – **მაგისტრატი** (= დასავლეთ ევროპაში – ქალაქის მმართველობა)

მაგნატი

მაგნეტიზმი (მაგნეტიზმმა)

მაგნიტი: მაგნიტური

მაგნიუმი (მაგნიუმმა)

მაგნოლია (მაგნოლიის⌜ა⌝)

მაგოდენა (მაგოდენას⌜ი⌝)

მაგრად [და არა მაგრა]

მაგრე

მადა (მადის⌜ა⌝)

მადააღძრული

მადადაკარგული

მადანი (მადნის⌜ა⌝)

მადევარი // მდევნელი

მადიდებელი (მადიდებლის⌜ა⌝)

მადლი; მადლიანი

მადლიერი

მადლიერება (მადლიერების⌜ა⌝)

მადლობა (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: გილოცავთ დაბადების დღეს! – **მადლობა**; იები მოგართვით! – **მადლობა**... უმჯობესია: გილოცავთ დაბადების დღეს! – **გმადლობთ, გმადლობ, დიდი მადლობა**; იები მოგართვით! – **გმადლობთ, გმადლობ, დიდი მადლობა**)

მადლობას გადაუხდის; მადლობა გადაუხადა, მაგრამ: **ხოდიშს მოუხდის; ხოდიში მოუხადა**

[მადლობთ კი არა] **გმადლობ, გმადლობთ**

მადნეული; მადნეულობა

მაერთებელი (მაერთებლის⌜ა⌝)

მაესტრო (მაესტროს⌜ი⌝)

მავედრებელი (მავედრებლის⌜ა⌝)

მავთულხლართი (მავთულხლართთან)

მავნე (მავნის⌜ა⌝)

მავნებელი (მავნებლის⌜ა⌝)

მავნებლობა (მავნებლობის⌜ა⌝)

მავნებლური

მავრი

მავრიტანული // მავრული

მაზარა (მაზარის⌜ა⌝) // **ფარაჯა** (ფარაჯის⌜ა⌝)

მაზარალებელი (მაზარალებლის⌜ა⌝)

მაზდეანი: მაზდეანური

მაზდეანობა (მაზდეანობის⌜ა⌝)

მაზეგ

მაზიარებელი (მაზიარებლის˹ა˺); **მზიარებელი** (მზიარებლის˹ა˺)

მაზლი; მაზლისწული

მაზოხიზმი (მაზოხიზმმა)

მათ (როგორც სუბიექტი: **მათ** თქვეს/მოგვიკითხეს/დაგვირეკეს...) – **მათმა** (როგორც მსაზღვრელი: **მათმა** მეგობარმა/ნაშრომმა...)

მათაყვანებელი (მათაყვანებლის˹ა˺)

მათგანი [დ ა ა რ ა მათთაგანი]

მათდამი

მათებრ; მათებრი

მათდაუნებურად

მათემატიკა (მათემატიკის˹ა˺) [დ ა ა რ ა მათემათიკა]

მათემატიკურ-ტექნიკური (დისციპლინები)

მათთან

მათთვის

მათი (წიგნი / კომპიუტერი, მ ო თ ხ რ. **მათმა** წიგნმა / კომპიუტერმა, მ ი ც. **მათს** წიგნს / კომპიუტერს, ნ ა თ. **მათი** წიგნის / კომპიუტერის, მ ო ქ მ. **მათი** წიგნით / კომპიუტერით, ვ ი თ. **მათს** წიგნად / კომპიუტერად)

მათი მხრიდან [დ ა ა რ ა მათის მხრიდან]

მათლაფა (მათლაფის˹ა˺)

მათ შორის

მათ წინ / უკან / გვერდით / შორის / შუა... [დ ა ა რ ა მათს წინ / უკან / გვერდით / შორის / შუა...], მ ა გ რ ა მ: **მათს მეგობარს / წიგნს...**

მათხოვარი (მათხოვრის˹ა˺)

მათხოვრობს; მათხოვრობდა; მათხოვრობდეს (იმათხოვრებს...)

მათხოვრული (ხელფასი)

მაიმუნი; მაიმუნობა (მაიმუნობის˹ა˺)

მაიმუნობს; მაიმუნობდა; მაიმუნობდეს (იმაიმუნებს...)

მაინცდამაინც

მაიონეზი (მაიონეზზე)

მაიორი: მაიორული

მაის-ივნისი (მაის-ივნისს)

მაისურა (მაისურის˹ა˺)

მაიძულებს; მაიძულებდა; მაიძულებდეს

მაკავშირებელი (მაკავშირებლის˹ა˺)

მაკაკა (მაკაკის˹ა˺)

მაკარონი; მაკარონიანი

მაკედონელი; მაკედონური

მაკეტი

მაკიაჟი (მაკიაჟს)

მაკლერი

მაკრატელა (ს პ ო რ ტ.)

მაკრატელი (მაკრატლის˹ა˺)

მაკროეკონომიკა (მაკროეკონომიკის˹ა˺)

მაკროეკონომიკური

მაკროკლიმატი

მაკრორელიეფი

მაკროსეისმური

მაკროსტრუქტურა (მაკროსტრუქტურის˹ა˺)

მაკულატურა (მაკულატურის˹ა˺)

მაკურთხებელი (მაკურთხებლის˹ა˺)

მალავს; **მალავდა**; **მალავდეს** (**დამალავს**...)

მალაყი (სპორტ.)

მალიმალ, მაგრამ: **მალ-მალ**, **მალმალე**

მალფუჭებადი (პროდუქტები)

მალხენელი (მალხენლის˹ა˺)

მალხინებელი (მალხინებლის˹ა˺)

მამა (მამის˹ა˺, შინაურულად მამას˹ი˺)

მამაზეციერი

მამა ზურაბი, მამა ზურაბ! [და არა მამაო ზურაბი, მამაო ზურაბ!] (ცნობილია, რომ სასულიერო პირები მოიხსენებიან **მამებად** (მამაკაცნი) და **დედებად** (ქალები). მიმართვის ფორმებია: **მამაო** და **დედაო**, მაგრამ ეს – მხოლოდ საკუთარი სახელის გარეშე ხმარებისას. თუკი ამ საზოგადო სახელებს მოსდევს თვით სათანადო პირთა საკუთარი სახელები, მაშინ **-ო** დაბოლოება ზედმეტია (მიმართვის დროსაც). უმართებულოა: **მამაო ზურაბ!** უნდა იყოს: **მამა ზურაბ!** მაგ., **მამა გიორგი/ზურაბი** (მოვიდა), **მამა გიორგიმ/ ზურაბმა** (თქვა), **მამა გიორგის/ზურაბს** (მივმართე)...; იგივე ითქმის **დედა ეფემია** ტიპის შესიტყვებებზე: **დედა ეფემია/მარიამი** (მოვიდა), **დედა ეფემიამ/მარიამმა** (თქვა), **დედა ეფემიას/მარიამს** (მივმართე)...; **დედა ეფემია!/მარიამ!**)

მამაკაცი: **მამაკაცური**

მამაკაცობს; **მამაკაცობდა**; **მამაკაცობდეს** (**იმამაკაცებს**...)

მამალი (მამლის˹ა˺)

მამამთავარი (მამამთავრის˹ა˺)

მამამთილი

მამა-პაპა, მაგრამ: **მამაპაპური**; **მამაპაპისეული**

მამა-პაპისგან [და არა მამა-პაპიდან] **მოსდგამს**

მამასახლისი (მამასახლისს)

მამა-შვილი, მაგრამ: **მამაშვილური**; **მამაშვილობა**

მამაჩემი (მამაჩემმა); **მამაშენი**; **მამამისი** (მამამისს)...

მამაცი: **მამაცური**

მამაცობს; **მამაცობდა**; **მამაცობდეს** (**იმამაცებს**...)

მამაცხონებული

მამიდა (მამიდის˹ა˺, შინაურულად მამიდას˹ი˺)

მამიდაშვილი

მამიდაშვილობა (მამიდაშვილობის˹ა˺)

მამინაცვალი (მამინაცვლის˹ა˺)

მამისერთა (მამისერთას˹ი˺)

მამოძრავებელი (მამოძრავებლის˹ა˺)

მამრავლი (მათემ.)

მამრი

მამრობითი სქესი (მამრობით სქესს)

მამულ-დედული, მაგრამ: **მამულდედულიანი; უმამულდედულო**

მამულიშვილი: **მამულიშვილური**

მამფალი (მამფლის⌜ა⌝) (ისტ.)

მამხილებელი (მამხილებლის⌜ა⌝)

მანამ; სანამ

მანამდე // მანამდის

მანგანუმი (მანგანუმმა)

მანგუსტა (მანგუსტის⌜ა⌝)

მანდ; მანდვე

მანდარინი

მანდატი

მანდატური

მანდაური

მანდედან

მანდეთ (// მანდეთკენ)

მანდვე

მანდილოსანი (მანდილოსნის⌜ა⌝)

მანევრი; მანევრირება

მანეკენი

მანეჟი (მანეჟს)

მანერა (მანერის⌜ა⌝): **მანერული**

მანიაკი: **მანიაკური**

მანიკიური [და არა მანიკური]

მანიპულაცია (მანიპულაციის⌜ა⌝)

მანიპულირება (მანიპულირების⌜ა⌝): **მანიპულირებული**

მანიპულირებს; მანიპულირებდა; მანიპულირებდეს

მანიფესტანტი

მანიფესტაცია (მანიფესტაციის⌜ა⌝)

მანიფესტი

მანიშნებელი (მანიშნებლად)

მანკიერება (მანკიერების⌜ა⌝)

მანსარდა (მანსარდის⌜ა⌝)

მანტო

მანუგეშებელი (მანუგეშებლად)

მანქანა (მანქანის⌜ა⌝)

მანქანათმშენებლობა (მანქანათმშენებლობის⌜ა⌝)

მანქანა-იარაღები (მანქანა-იარაღების⌜ა⌝)

მანქანა ჰყავს [და არა აქვს]

მანქანური (თარგმანი...) – **სამანქანო** (გზა...)

მანჭვა-გრეხა [და არა მანჭვა-გრეხვა]

მაორგანიზებელი (მაორგანიზებლის⌜ა⌝)

მაოხრებელი (მაოხრებლის⌜ა⌝)

მაპატიე, მაპატიეთ // მომიტევეთ

მაპროფილებელი [და არა მაპროფილირებელი] (საგანი)

მაჟორიტარი (დეპუტატი)

მაჟორიტარული (არჩევნები)

მაჟორული (= მუს. მაჟორთან დაკავშირებული)

მარაგდება; მარაგდებოდა; მარაგდებოდეს (მომარაგდება...)

მარად და მარად

მარადისობა (მარადისობის˹ა˺)

მარადიული; მარადიულობა

მარადმწვანე (მარადმწვანის˹ა˺)

მარადჟამს

მარაზმი (მარაზმმა)

მარათონი: მარათონელი; მარათონული (რბენა); გადატ. **საარჩევნო მარათონი** (= ხანგრძლივი საარჩევნო კამპანია)

მარაო (სპორტ.)

მარბიელი (სპორტ.)

მარგანეცი (მარგანეცს)

მარგებელი (მარგებლის˹ა˺)

მარგვლა (მარგვლის˹ა˺)

მარგინალიზაცია (მარგინალიზაციის˹ა˺) [ლათ. marginalis განაპირა]: ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის) სოციალური გამიჯვნა, გარიყვა.

მარგლავს; მარგლავდა; მარგლავდეს (გამარგლავს...)

მარეგულირებელი (კომისია...)

მართავს; მართა; უმართავს; ემართა

მართალი (მართლის˹ა˺)

მართებული (მართებულად)

მართებულობა (მართებულობის˹ა˺)

მართვა-გამგეობა (მართვა-გამგეობის˹ა˺)

მართვე (მართვეს˹ი˺)

მართი კუთხე (მართი კუთხის˹ა˺)

მართკუთხა (მართკუთხას˹ი˺)

მართკუთხედი

მართლა; მართლა და მართლა

მართლაც; მართლაცდა

მართლდება; მართლდებოდა; მართლდებოდეს (გამართლდება...)

მართლება (თავისა)

მართლმადიდებელი (მართლმადიდებლის˹ა˺)

მართლმადიდებლობა (მართლმადიდებლობის˹ა˺); **მართლმადიდებლური** (მართლმადიდებლურად)

მართლმეტყველება (მართლმეტყველების˹ა˺)

მართლმორწმუნე (მართლმორწმუნის˹ა˺)

მართლმსაჯულება (მართლმსაჯულების˹ა˺)

მართლწერა (მართლწერის˹ა˺)

მართლწერა-მართლმეტყველება (მართლწერა-მართლმეტყველების˹ა˺)

მართლწესრიგი

მარიონეტი: მარიონეტული

[მარკერი კი არა] **ჰვირწერი** (= რითაც დაფაზე წერენ), **ჰვირსანიშნი** (= რითაც ფურცელზე მონიშნავენ ტექსტის რომელიმე მონაკვეთს)

მარკეტინგი: სამარკეტინგო

მარკირება (მარკირების˹ა˺): **მარკირებული**

მარკშაიდერი (მარკშაიდერის⌜ა⌝)

მარმელადი [და არა მარმალადი]

მაროდიორი; მაროდიორობა (მაროდიორობის⌜ა⌝) [და არა მარადიორი, მოროდიორი; მარადიორობა, მოროდიორობა]

მარტ-აპრილი

მარტივდება; მარტივდებოდა; მარტივდებოდეს (გამარტივდება...)

მარტოდმარტო

მარტომყოფი (// მარტოდმყოფი)

მარტოოდენ

მარტორქა (მარტორქის⌜ა⌝)

მარტოსული

მარტოხელა (მარტოხელას⌜ი⌝)

მარული (მარულის⌜ა⌝) // **დოღი**

მარქაფა (სპორტ.)

მარშალი (მარშლის⌜ა⌝)

მარშრუტი [და არა მარშუტი]

[მარშრუტკა კი არა] **სამარშრუტო ტაქსი**

მარჩენალი (მარჩენლის⌜ა⌝)

მარცვალ-მარცვალ

მარცვლეული

მარცვლისოდენა (მარცვლისოდენას⌜ი⌝)

მარცხდება; მარცხდებოდა; მარცხდებოდეს (დამარცხდება...)

მარცხენა (მარცხენის⌜ა⌝)

მარცხი

მარცხნივ (// მარცხნით)

მარცხნისაკენ

მარწყვისფერი (მარწყვისფრად)

მარხვა (= განსაზღვრული დროით ყოველგვარი ან ცალკეული სახის საკვების (აგრეთვე გართობის...) აკრძალვის რელიგიური წესი; დრო, რომლის განმავლობაშიც სრულდება ეს რელიგიური წესი) – **მარხულობა** (= მარხვის შენახვა, მარხვის წესების დაცვა)

მარხილი

მარჯვენა (მარჯვენის⌜ა⌝)

მარჯვნივ (// მარჯვნით)

მარჯვნისაკენ

მარჯნისფერი (მარჯნისფრად)

მასაზრდოებელი (მასაზრდოებლად)

მასაჟი (მასაჟს)

მას აქეთ; მას შემდეგ

მასესხებელი (= ვინც ასესხებს) – **მსესხებელი** (= ვინც სესხულობს)

მასზე, მაგრამ: **ამაზე, იმაზე, მაგაზე**

მასკარადი

მასმედია (მასმედიის⌜ა⌝)

მასობრივი (არეულობა...) – **მასიური** (ავეჯი...) – **მასური** (წონა)

მასონები (მრ.)

მასპინძლობას [და არა სტუმართმოყვარეობას] **გაუწევს**, მაგრამ: **სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს**

მასპინძლობს; მასპინძლობდა; მასპინძლობდეს (იმასპინძლებს; უმასპინძლებს...)

მასტერკლასი (მასტერკლასს)

მასტიმულირებელი (მასტიმულირებლის˹ა˺)

მასტიტი (= სარძევე ჯირკვლის ანთება – ლაქტაციის პერიოდში რძის დაგროვების ფონზე განვითარებული პროცესი) – **მასტოპათია** (= ძუძუს ყოველგვარი დაავადება – ჰორმონული დისბალანსის ფონზე განვითარებული პროცესი)

მასულდგმულებელი (მასულდგმულებლის˹ა˺)

მას შემდეგ

მასში, მაგრამ: **ამაში, იმაში, მაგაში**

მასშტაბი: მასშტაბური [და არა მაშტაბი, მაშტაბური]

მასწავლებელი (მასწავლებლის˹ა˺); **სამასწავლებლო**

მასწავლებლობს; მასწავლებლობდა; მასწავლებლობდეს (იმასწავლებლა; უმასწავლებლია; ემასწავლებლა)

მასხარა (ეს კაცი ქვეყნის **მასხარად** იქცა, მაგრამ: **მასხრად იგდებს**)

მატადორი (სპორტ.)

მატებს [და არა ჰმატებს]; **მატებდა; მატებდეს (შემატებს...)**

ნატერია (მატერიის˹ა˺)

მატერიალისტური (= მატერიალიზმთან დაკავშირებული: სამყაროს **მატერიალისტური** გაგება; **მატერიალისტური** თეორია) – **მატერიალური** (= ნივთიერი, ფიზიკური, რეალური, ხორცშესხმული: **მატერიალური** სამყარო / კულტურა / მდგომარეობა / ბაზა...)

[მატერიკიკი არა] **კონტინენტი**

მატიანე (მატიანის˹ა˺)

მატრაბაზი (მატრაბაზზე)

მატრასი (მატრასს)

მატრიარქატი, მაგრამ: **მატრიარქალური**

მატროსი (მატროსს)

მატულობს; მატულობდა; მატულობდეს

მატყუარა (მატყუარას˹ი˺)

მატჩბოლი (სპორტ.)

მატჩი (სპორტ.)

მატჩპოინტი (სპორტ.)

მატჩრევანში (სპორტ.)

მაუწყებელი (მაუწყებლის˹ა˺)

მაუწყებლობა (მაუწყებლობის˹ა˺)

მაფია (მაფიის˹ა˺): **მაფიური**

მაქინაცია (მაქინაციის˹ა˺) [და არა მახინაცია]

მაქმანი

მაქნისი (მაქნისს)

მაქსიმალური (= უდიდესი, ყველაზე მეტი (საპირისპ. **მინიმალური**): **მაქსიმალური** რაოდენობა) – **მაქსიმალისტური** (= მაქსიმალიზმის ან მაქსიმალისტისათვის დამახასიათებელი (**მაქსიმალიზმი** – რაიმე უკიდურესი მოთხოვნის წა-

მოყენება; გადაჭარბებულობა): **მაქსიმალისტური** მიდგომა)

მაქსიმუმი (მაქსიმუმმა)

მაღაზია (მაღაზიის⌜ა⌝)

მაღალი (მაღლის⌜ა⌝)

მაღალიდეური (მაღალიდეურად)

[მაღალი მოსავალი კი არა] **უხვი/ბარაქიანი მოსავალი**

მაღალკვალიფიციური (მაღალკვალიფიციურად)

მაღალკვალიფიციურობა (მაღალკვალიფიციურობის⌜ა⌝)

მაღალ-მაღალი (მაღალ-მაღლის⌜ა⌝)

მაღალმთიანი

მაღალმოქალაქეობრივი

მაღალმხატვრული (მაღალმხატვრულად)

მაღალფარდოვანი (მაღალფარდოვნად)

მაღალქუსლიანი

მაღალყელიანი

მაღალჩინოსანი (მაღალჩინოსნის⌜ა⌝)

მაღალხარისხოვანი (მაღალხარისხოვნად)

მაღვიძარა (მაღვიძარას⌜ი⌝)

მაღიარებელი (მაღიარებლის⌜ა⌝)

მაღლა-მაღლა

მაღმერთებელი (მაღმერთებლის⌜ა⌝)

მაყალი (მაყალის⌜ა⌝)

მაყარი (მაყრის⌜ა⌝)

მაყვალი (მაყვლის⌜ა⌝)

მაყვედრებელი (მაყვედრებლის⌜ა⌝)

მაყვლისფერი (მაყვლისფრად)

მაყრიონი

მაყრული

მაყურებელი (მაყურებლის⌜ა⌝)

მაშასადამე

მაშენებელი (მაშენებლის⌜ა⌝)

მაშველი და **მეშველი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს მშველელს, შემწეს; ვინც ან რაც შველის, მაგრამ **მეშველს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ლინგვ. **მეშველი ზმნა**; შდრ.: **მაშველები** (ზღვის სანაპიროზე); **მაშველი** (ფეხსაცმლისათვის).

მაშია (მაშიის⌜ა⌝, მრ. მაშიები) [და არა ბასანოჟკი, ბოსონოჟკი, ბასანოჟკები, ბოსონოჟკები]

მაშინღა

[მაშტაბი კი არა] **მასშტაბი**

მაჩვენებელი (მაჩვენებლის⌜ა⌝)

მაცდუნებელი (მაცდუნებლად)

მაცდური (მაცდურად)

მაცივარი (მაცივრის⌜ა⌝)

მაცნე (მაცნის⌜ა⌝)

მაცოცხლებელი (მაცოცხლებლად)

მაცქერალი (მაცქერლის⌜ა⌝)

მაცხოვარი (მაცხოვრის⌜ა⌝)

მაცხოვრებელი (= ვინც ვინმეს აცხოვრებს) – **მცხოვრები** (= ის, ვინც ცხოვრობს. ზეპირ მეტყველებაში **მცხოვრების** ნაცვლად ხშირად

უმართებულოდ გამოიყენება **მაცხოვრებელი**: რამდენი **მაცხოვრებელია** ქალაქში? უნდა იყოს: რამდენი **მცხოვრებია** ქალაქში?)

მაცხონებელი (მაცხონებლად)

მაძაგებელი (მაძაგებლად)

მაძებარი, მაძიებელი, მძებნელი (სიმართლის **მაძებარი/მაძიებელი/მძებნელი**; შდრ.: **ხარისხის მაძიებელი**)

მაწანწალა (მაწანწალის⌜ა⌝)

მაწარმოებელი (მაწარმოებლის⌜ა⌝)

მაწვალებელი (მაწვალებლის⌜ა⌝)

მაწიერება // მაწივრობა

მაწონასწორებელი (მაწონასწორებლის⌜ა⌝)

მაწონი (მაწვნის⌜ა⌝); **მაწვნიანი**

მაწყევარი (მაწყევრის⌜ა⌝)

მაჭახელა (მაჭახელას⌜ი⌝)

მახარებელი (= სახარების ერთ-ერთი მთხრობელი – მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე) – **მახაროზელი** (= კარგი ამბის მაუწყებელი)

მახასიათებელი (მახასიათებლის⌜ა⌝)

მახე (მახის⌜ა⌝)

მახინჯდება; მახინჯდებოდა; მახინჯდებოდეს (დამახინჯდება...)

მახვეწარი (მახვეწრის⌜ა⌝)

მახვილგონიერება (მახვილგონიერების⌜ა⌝)

მახვილგონივრული (მახვილგონივრულად)

მახვილსიტყვაობა (მახვილსიტყვაობის⌜ა⌝)

[მახინაცია კი არა] **მაქინაცია**

მახლობელი (მახლობლის⌜ა⌝); **მახლობლად**

მახრჩობელა (მახრჩობელას⌜ი⌝)

მახსენებელი (მახსენებლის⌜ა⌝)

მაჯის საათი (მაჯის საათთან)

მაჯისცემა (მაჯისცემის⌜ა⌝)

მაჰმადიანი // მუსლიმანი

მაჰმადიანობა (მაჰმადიანობის⌜ა⌝) // **მუსლიმანობა** (მუსლიმანობის⌜ა⌝)

მაჰმადიანური (მაჰმადიანურად) // **მუსლიმანური** (მუსლიმანურად)

მბაძავი // მბაძველი

მბოძებელი (მბოძებლის⌜ა⌝)

მბოჭავი (სპორტ.)

მბრდღვინავი [და არა მბდღვინავი]

მბრძანებელი (მბრძანებლის⌜ა⌝): **მბრძანებლური** (მბრძანებლურად)

მბრძანებლობს; მბრძანებლობდა; მბრძანებლობდეს

მგალობელი (მგალობლის⌜ა⌝)

მგეზავი (სპორტ.)

მგელი (მგლის⌜ა⌝): **მგლური** (მგლურად); **მგლობა** (მგლობის⌜ა⌝)

მგზავრი

მგზავრობა (= შორ გზაზე სვლა – მანქანით, მატარებლით...) – **მოგზაურობა** (= რაიმე მიზნით სხვადასხვა მხარეში სიარული)

მგზავრობს; მგზავრობდა; მგზავრობდეს (იმგზავრობს...)

მგლოვიარე (მგლოვიარის⌜ა⌝)

(მგლოვიარობს; მგლოვიარობდა; მგლოვიარობდეს //) გლოვობს; გლოვობდა; გლოვობდეს

მგოსანი (მგოსნის⌜ა⌝)

მგრძნობელობა (= გამღიზიანებლის (რეცეპტორების) მოქმედებაზე რეაქციის უნარი: ავადმყოფს კიდურებში **მგრძნობელობა** აღუდგა) – **მგრძნობიაროზა** (= მგრძნობიარე (განმცდელი) ადამიანის თვისება, გულჩვილობა)

მგრძნობიარე (მგრძნობიარის⌜ა⌝) (// **მგრძნობი**)

მდაბალი (მდაბლად)

მდაბიო: მდაბიური [და არა მდაბიოური]

მდარე (მდარედ)

მდგომარე (კაცი)

მდგომარეობა (მდგომარეობის⌜ა⌝)

მდგომარეობს; მდგომარეობდა; მდგომარეობდეს

მდგომი (მდგომმა)

მდგრადი

მდებარეობა (მდებარეობის⌜ა⌝)

მდებარეობს; მდებარეობდა; მდებარეობდეს

მდედრი

მდედრობითი სქესი (მდედრობით სქესს)

მდიდარი (მდიდრის⌜ა⌝): **მდიდრული** (მდიდრულად)

მდიდრდება; მდიდრდებოდა; მდიდრდებოდეს (გამდიდრდება...)

მდივანი (მდივნის⌜ა⌝): **სამდივნო**

მდინარე (მდინარის⌜ა⌝)

მდოგვი

მდორე (მდორის⌜ა⌝)

მდუმარე (მდუმარის⌜ა⌝)

მდუმარება (მდუმარების⌜ა⌝)

მდუღარე (მდუღარის⌜ა⌝)

მეათე, მეასე, ზეათასე... (მეათის⌜ა⌝, მეასის⌜ა⌝, მეათასის⌜ა⌝...): **მე–ე** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი კვეცადია: მეორე (მეორის⌜ა⌝), მეექვსე (მეექვსის⌜ა⌝), მეცხრამეტე (მეცხრამეტის⌜ა⌝), ოცდამეერთე (ოცდამეერთის⌜ა⌝), მესამოცე (მესამოცის⌜ა⌝), ოთხმოცდამეერთე (ოთხმოცდამეერთის⌜ა⌝), ოთხმოცდამეცხრამეტე (ოთხმოცდამეცხრამეტის⌜ა⌝).

მეამბოხე (მეამბოხის⌜ა⌝)

მეანაბრე (მეანაბრის⌜ა⌝)

მებაჟე (მებაჟის⌜ა⌝)

მებაღე (მებაღის⌜ა⌝)

მეგალითური (კულტურა)

მეგალომანია (მეგალომანიის⌜ა⌝)

მეგაპროექტი

მეგაშოუ

მეგობარი (მეგობრის˹ა˺): **მეგობრული** (მეგობრულად); **სამეგობრო**

მეგრელი; **მეგრული**

მედავითნე (მედავითნის˹ა˺)

მედალი (მედლის˹ა˺), მ ა გ რ ა მ: **მედალოსანი** (მედალოსნის˹ა˺)

მედგარი (მედგრად)

მედდა (მედდის˹ა˺)

მედია (მედიის˹ა˺)

მედიაბაზარი (მედიაბაზრის˹ა˺)

მედიაბიზნესი (მედიაბიზნესს)

მედიაენა (მედიაენის˹ა˺)

მედიაკომპანია (მედიაკომპანიის˹ა˺)

მედიამონიტორინგი

მედიაპარტნიორი

მედიასივრცე (მედიასივრცის˹ა˺)

მედიატორე (= შუამავალი, მომრიგებელი) – **მედიატორი** (= თხელი ფირფიტა ზოგი სიმებიანი საკრავის ასაჟღერებლად)

მედიაცენტრი

მედიაჰოლდინგი

მედიდური; **მედიდურად**

მედიდურობს; **მედიდურობდა**; **მედიდურობდეს**

მედიკამენტი: **მედიკამენტური**

მედიკოსი (მედიკოსს)

მედიტაცია (მედიტაციის˹ა˺): **მედიტაციური**

მედიუმი (მედიუმმა)

მედიცინა (მედიცინის˹ა˺); **სამედიცინო**

მედროშე (მედროშის˹ა˺)

მედუდუკე (მედუდუკის˹ა˺)

მედუქნე (მედუქნის˹ა˺)

მედღეხვალიე (მედღეხვალიეს˹ი˺)

მეეზოვე (მეეზოვის˹ა˺)

მეეტლე (მეეტლის˹ა˺)

მევალე (= ვალის გამცემი, გამსესხებელი) – **მოვალე** (= 1. ვალის ამღები, ვისაც ვალი მართებს; 2. ვისაც რაიმე ევალება, – ვალდებული)

მეველე (მეველის˹ა˺)

მევენახე (მევენახის˹ა˺)

მევიოლინე (მევიოლინის˹ა˺)

მეზარბაზნე (მეზარბაზნის˹ა˺)

მეზენიტე (მეზენიტის˹ა˺)

მეზვერე (= ძვ. მებაჟე, ზვერის ამღები)

მეზვრე (მეზვრის˹ა˺): ზვრის (ვენახის) მომვლელი და მცველი.

მეზობელი (მეზობლის˹ა˺): **მეზობლური**; **სამეზობლო**

მეზურნე (მეზურნის˹ა˺)

მეზღაპრე (მეზღაპრის˹ა˺)

მეთანი (მეთანის˹ა˺)

მეთაური (= წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი; სამხედრო ან საზღვაო დანაყოფის უფროსი: ოცე-

ულის/რაზმის... **მეთაური**) – **მოთავე** (= ამა თუ იმ ღონისძიების წამომწყები, ინიციატორი)

მეთევზე (მეთევზის˹ა˺)

მეთექვსმეტედფინალი (სპორტ.)

მეთვალყურე (მეთვალყურის˹ა˺)

მეთიოლი

მეთიოლენი

მეთოდი (= მოვლენის კვლევის ხერხი, მიდგომა: ორიგინალური **მეთოდი**), შდრ.: **მეთოდიკა** (= 1. ამგვარ ხერხთა სისტემა; 2. პედაგოგიკის დარგი)

მეთოდოლოგია (= მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ)

მეთოდური (= რაიმე მეთოდთან დაკავშირებული: **მეთოდური** რჩევა-დარიგება/მითითება) – **მეთოდიკური** (= სწავლების, პრაქტიკულად მესრულების ხერხთა ერთობლიობასთან, მეთოდიკასთან დაკავშირებული: **მეთოდიკური** ლიტერატურა) – **მეთოდოლოგიური** (= მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი: **მეთოდოლოგიური** საკითხები/კვლევა)

მეთუნუქე (მეთუნუქის˹ა˺)

-მეთქი (ეს ნაწილაკი გამოიყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოცემისას, ანუ – ამ შემთხვევაში მთხრობელი საკუთარსავე სიტყვებს იმოწმებს. **-მეთქი** დეფისით გამოეყოფა სიტყვას)

მეიგავარაკე (მეიგავარაკის˹ა˺)

მეიგავე (მეიგავის˹ა˺)

მეინახე (მეინახის˹ა˺); **თანამეინახე** (თანამეინახის˹ა˺)

მეკავშირე (= სპეც. კავშირის დამამყარებელი სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ბრძოლის დროს, მაგ., **მეკავშირე** დილით დაბრუნდა) – **მოკავშირე** (= ვისაც (რასაც) კავშირი აქვს შეკრული ვინმესთან (რამესთან): **სტრატეგიული მოკავშირეები**)

მეკარე (მეკარის˹ა˺) [დაარა გოლკიპერი] (სპორტ.)

მეკვლე (მეკვლის˹ა˺) (= 1. ახალი წლის პირველი მიმლოცველი; 2. გზის გამკვლევი)

მეკლდეური (სპორტ.)

მელა (მელას˹ი˺) // **მელია** (მელიის˹ა˺)

მელაკუდა (მელაკუდას˹ი˺)

მელანქოლია (მელანქოლიის˹ა˺)

მელანქოლიური (მელანქოლიურად)

მელოდია (მელოდიის˹ა˺): **მელოდიური**

მელოდრამა (მელოდრამის˹ა˺)

მელოდრამული

მელომანი; **მელომანია** (მელომანიის˹ა˺)

მემანევრე (მემანევრის˹ა˺)

მემანქანე (მემანქანის˹ა˺)

მემარცხენე (მემარცხენის˹ა˺)

მემარჯვენე (მემარჯვენის˹ა˺)

მემატიანე (მემატიანის˹ა˺)

მემაწვნე (მემაწვნის˹ა˺)

მემბრანა (მემბრანის˹ა˺)

მემენტო მორი [და არა მომენტო მორი] (= გახსოვდეს სიკვდილი)

მემკვიდრე (მემკვიდრის˹ა˺)

მემკვიდრეობა (მემკვიდრეობის˹ა˺)

მემოდელე (მემოდელის˹ა˺)

მემონტაჟე (მემონტაჟის˹ა˺)

მემორანდუმი (მემორანდუმმა)

მემორიალი: **მემორიალური** (დაფა)

მემუარები (მ რ.)

მემუარისტი

მემუარული (ნაწარმოები)

მემწვანილე (მემწვანილის˹ა˺)

მენაბდე (მენაბდის˹ა˺)

მენაგვე (მენაგვის˹ა˺)

მენავე (მენავის˹ა˺)

მენდე (შენ მე)

მენეჯერი (მენეჯერის˹ა˺): **მენეჯერული**; **სამენეჯერო**

მენეჯმენტი

მენთოლი [და არა მენტოლი]

მენიერის დაავადება

მენინგიტი: **მენინგიტური** [და არა მინინგიტი, მინინგიტური]

მენისკი

მენიუ

მენიჩბე (მენიჩბის˹ა˺)

მენტალიზმი (მენტალიზმმა)

მენტალიტეტი

მენტორი: **მენტორული** (ტონი)

მეოთხედფინალი (ს პ ო რ ტ.)

მეოთხედფინალური (ს პ ო რ ტ.)

მეოთხე-მეხუთე (მეოთხე-მეხუთის˹ა˺)

მეომარი (მეომრის˹ა˺)

მეომრული (სული)

მეორე (მეორის˹ა˺); **მე-2**; **II**

[მეორედიკი არა] **ნახევარი**

მეორე მხრივ/მხრით [და არა მეორეს მხრივ/მხრით]

მეორენაირი (მეორენაირად)

მეორეული (საქონელი / ტანსაცმელი / ავტონაწილები)

მეორეხარისხოვანი (მეორეხარისხოვნად)

მეოცნებე (მეოცნების˹ა˺)

მეოჯახე (მეოჯახის˹ა˺)

მეპატრონე (მეპატრონის˹ა˺); **მეპატრონეობა** (მეპატრონეობის˹ა˺)

მეპურე (მეპურის˹ა˺)

მერამდენე; **მერამდენეჯერ**

მერე; **მერე და მერე**

მერემონტე (მერემონტის˹ა˺)

მერვედფინალი (ს პ ო რ ტ.)

მერვედფინალური (ს პ ო რ ტ.)

მერია (მერიის˹ა˺)

მერიქიფე (მერიქიფის˹ა˺)

მერკანტილიზმი (მერკანტილიზმმა):
1. ეკონომიკური მოძღვრება და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც

ქვეყნის კეთილდღეობა თითქოს დამოკიდებულია არა წარმოების განვითარებაზე, არამედ სხვა ქვეყნებში საქონლის გატანასა და ამ გზით ფულის დაგროვებაზე; 2. გადატ. გამორჩენის სურვილი; წვრილმანი ანგარიშიანობა.

მერმისი (მერმისს)

მერყეობა (მერყეობის˹ა˺) [და არა მერყევობა]

მერყეობს: **მერყეობდა**; **მერყეობდეს**

მერჩულე (მერჩულის˹ა˺)

მერცხალი (მერცხლის˹ა˺)

მერძევე (მერძევის˹ა˺)

მესაზღვრე (= საზღვრის მცველი ჯარისკაცი: **მესაზღვრეთა** რაზმი) – **მოსაზღვრე** (= 1. რაც ესაზღვრება რაიმეს; მომიჯნავე: **მოსაზღვრე** სახელმწიფოები/კუთხეები/ეზოები...; 2. გადატ. მონათესავე: **მოსაზღვრე** დისციპლინები...)

მესაიდუმლე (მესაიდუმლის˹ა˺)

მესაკუთრე (მესაკუთრის˹ა˺) [და არა მოსაკუთრე]

მესანგრე (მესანგრის˹ა˺)

მესანთლე (მესანთლის˹ა˺)

მესაქონლე (მესაქონლის˹ა˺)

მესაქონლეობა (მესაქონლეობის˹ა˺)

მესაჭე (მესაჭის˹ა˺)

მესვეური

მესია (მესიის˹ა˺)

[მესიჯი კი არა] **შეტყობინება**

მესხი; **მესხური**

მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ: **მეტნაკლებად**

მეტადრე

მეტალი

[მეტალოპლასმასა კი არა] **მეტალპლასტმასა**

მეტალურგია (მეტალურგიის˹ა˺)

მეტანია (მეტანიის˹ა˺)

მეტანიობს; **მეტანიობდა**; **მეტანიობდეს**

მეტეორი (= კოსმოსური წარმოშობის გავარვარებული სხეული, რომელიც სწრაფად მოძრაობს დედამიწის ატმოსფეროში) – **მეტეორიტი** (= კოსმოსური წარმოშობის რკინის ან ქვის სხეული, რომელიც დედამიწაზე ჩამოვარდა)

მეტეოროლოგიური (სადგური)

მეტი და მეტი

მეტისმეტი (მეტისმეტად)

მეტიჩარა (მეტიჩრის˹ა˺): **მეტიჩრული** (მეტიჩრულად)

მეტიჩრობა (მეტიჩრობის˹ა˺)

მეტ-ნაკლები; **მეტ-ნაკლებად**, მაგრამ: **მეტნაკლებობა**

მეტოქე (მეტოქის˹ა˺)

[მეტრა, მეტრო კი არა] **მეტრი**

[მეტრანახევარი, მეტრონახევარი კი არა] **მეტრ-ნახევარი**

მეტროპოლია (მეტროპოლიის˹ა˺)

მეტროპოლიტენი (მეტროპოლიტენის᾽ა᾽)

მეტსახელი

მეტყველება (მეტყველების᾽ა᾽)

მეტყველებაშეზღუდული

მეტწილად

მეტხანს; მეტჯერ

მეუდაბნოე (მეუდაბნოის᾽ა᾽)

მეუდაბნოეობა (მეუდაბნოეობის᾽ა᾽)

მეურვე (მეურვის᾽ა᾽): **სამეურვეო**

მეურმე (მეურმის᾽ა᾽)

მეუფე (მეუფის᾽ა᾽)

მეუღლე (მეუღლის᾽ა᾽)

მეფანდურე (მეფანდურის᾽ა᾽)

მეფე (მეფის᾽ა᾽): **მეფური; სამეფო**

მეფე-დედოფალი (მეფე-დედოფლის᾽ა᾽)

მეფე-პატარძალი (მეფე-პატარძლის᾽ა᾽)

მეფოლადე (მეფოლადის᾽ა᾽)

მეფუნთუშე (მეფუნთუშის᾽ა᾽)

მეფუტკრე (მეფუტკრის᾽ა᾽); **მეფუტკრეობა** (მეფუტკრეობის᾽ა᾽)

მექანიზმი (მექანიზმმა)

მექანიკა (მექანიკის᾽ა᾽): **მექანიკური** (მექანიკურად)

მექანიკოსი (= მექანიკის სპეციალისტი: ინჟინერი, ტექნიკოსი, მუშა) – **მექანისტი** (= ფილოს. მექანისტური მატერიალიზმის მიმდევარი)

მექარავნე (მექარავნის᾽ა᾽)

მექისე (მექისის᾽ა᾽)

მექორწილე (მექორწილის᾽ა᾽)

მექრთამე (მექრთამის᾽ა᾽); **მექრთამეობა** (მექრთამეობის᾽ა᾽)

მექუდე (მექუდის᾽ა᾽)

მეღვინე (მეღვინის᾽ა᾽)

მეღორე (მეღორის᾽ა᾽)

მეყვავილე (მეყვავილის᾽ა᾽)

მეყსეული (მეყსეულად)

მეშახტე (მეშახტის᾽ა᾽)

მეჩაიე (მეჩაიის᾽ა᾽)

მეჩაიეობა (მეჩაიეობის᾽ა᾽)

მეჩხერი (მეჩხრად)

მეცენატი (= მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი, დამხმარე; შდრ.: **სპონსორი**: რაიმეს მომწყობი, ორგანიზატორი, დამფინანსებელი; შ დ რ.: **ქველმოქმედი**: კერძო პირი, რომელიც მატერიალურ დახმარებას უწევს ვინმეს ან რაიმეს)

მეცნიერ-თანამშრომელი (მეცნიერ-თანამშრომლის᾽ა᾽)

მეცნიერულ-პედაგოგიური

მეცნიერულ-შემოქმედებითი

მეძებარი (მეძებრის᾽ა᾽) (= ძაღლის ჯიში)

მეძვირე (მეძვირის᾽ა᾽)

მეწაღე (მეწაღის᾽ა᾽)

მეწინავე (= წინ მავალი: **მეწინავე ჯარი**) – **მოწინავე** (= განვითარების დონის მიხედვით წინ მდგომი;

წარმატებული: **მოწინავე** სახელმწიფო/სტუდენტი/მუშაკი...)

მეწყერი (მეწყრის˹ა˺)

მეწყვილე (მეწყვილის˹ა˺)

[მეხანიკი, მეხანიკოსი კი არა] **მექანიკოსი**

მეხანძრე (მეხანძრის˹ა˺)

მეხვეწება; მეხვეწები; გეხვეწება; გეხვეწები

მეხილეობა-მებოსტნეობა (მეხილეობა-მებოსტნეობის˹ა˺)

მეხოტბე (მეხოტბის˹ა˺); **მეხოტბეობა** (მეხოტბეობის˹ა˺)

მეხსარიდი (// **მეხთამრიდი**)

მეჯვარე (მეჯვარის˹ა˺)

მეჯინიბე (მეჯინიბის˹ა˺)

მეჯლისი (მეჯლისს)

მზადდება; მზადდებოდა; მზადდებოდეს (**დამზადდება**...)

მზადება (მზადების˹ა˺)

მზად ვართ (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ჩვენ **მზაობა გვაქვს**, ეს საკითხი განვიხილოთ. უმჯობესია: ჩვენ **მზად ვართ** ამ საკითხის განსახილველად)

მზადყოფნა (მზადყოფნის˹ა˺)

მზაკვარი (მზაკვრის˹ა˺); **მზაკვრული** (მზაკვრულად)

მზაკვრობა (მზაკვრობის˹ა˺)

მზამზარეული (მზამზარეულად)

მზარდი

მზარეული

[მზახალი კი არა] **მძახალი**

[მზგავსი კი არა] **მსგავსი**

მზედაკრული

მზემოკიდებული

მზენაკრავი

მზესუმზირა (მზესუმზირას˹ი˺)

მზეჭაბუკი

მზვერავი

მზითევი (მზითვის˹ა˺)

მზისგული

მზრახველი

მზრუნველი

მზრუნველობს; მზრუნველობდა; მზრუნველობდეს

მთა-ბარი, მაგრამ: **მთა და ბარი**

მთაგრეხილი

მთა და ველი, მაგრამ: **მთა-ველი**

მთავარანგელოზი (მთავარანგელოზზე)

მთავარეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსს)

მთავარი (მთავრის˹ა˺)

მთავარმართებელი (მთავარმართებლის˹ა˺)

მთავარსარდალი (მთავარსარდლის˹ა˺)

მთავარსარდლობს; მთავარსარდლობდა; მთავარსარდლობდეს

მთავრობა (მთავრობის˹ა˺); **სამთავრობო; სამთავრობათაშორისო**

მთავრობს; მთავრობდა; მთავრობდეს

მთაკაცი

მთამადნეული

მთა-მთა

მთამსვლელი

მთამსვლელობა (მთამსვლელობის˹ა˺)

მთარგმნელი

მთელი (მთელის˹ა˺), მ ა გ რ ა მ: **მთლად**

მთელ-მთელი (მთელ-მთელად)

მთელ მსოფლიოში / ქვეყანაზე [// **მთელს მსოფლიოში / ქვეყანაზე**] (გრამატიკულად სწორია: **მთელ მსოფლიოში / ქვეყანაზე**. მეცნიერები თუ მწერლები უმეტესად იყენებენ: **მთელს მსოფლიოში / ქვეყანაზე**, რაც ერთგვარი დარბაისლური მეტყველების შემონარჩენი უნდა იყოს)

მთვარეული

მთიელი (= მთის მკვიდრი, მთაში მცხოვრები) – **მთიული** (= საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, მთიულეთის მკვიდრი ქართველი)

მთის ძირი, მ ა გ რ ა მ: **მთისძირა**

მთლად (გაგიჟდა...) – **მთლიანად** (შეჭამა...)

მთრთოლარე (გული)

მთქმელი (მთქმელის˹ა˺)

მთხრობელი (მთხრობლის˹ა˺, მ რ. მთხრობელები // მთხრობლები)

მიაბნ-მოაბნევს; მიაბნ-მოაბნია; მიუბნ-მოუბნევია; მიებნ-მოებნია

მიაგებს; მიაგო; მიუგია; მიეგო

მიაგზავნის; მიაგზავნა; მიუგზავნია; მიეგზავნა

მიადგამს; მიადგა; მიუდგამს; მიედგა

მიადგება; მიადგა; მისდგომია; მისდგომოდა

მიადევნებს; მიადევნა; მიუდევნებია; მიედევნებინა

მიავიწყდება; მიავიწყდა; მივიწყებია; მივიწყებოდა

მიავლენს; მიავლინა; მიუვლენია; მიევლინა

მიავლ-მოავლებს; მიავლ-მოავლო; მიუვლ-მოუვლია; მიევლ-მოევლო

მიათვალიერ-მოათვალიერებს; მიათვალიერ-მოათვალიერა; მიუთვალიერ-მოუთვალიერებია; მიეთვალიერ-მოეთვალიერებინა

მიათვლის; მიათვალა; მიუთვლია; მიეთვალა

მიაკარებს; მიაკარა; მიუკარებია; მიეკარებინა [და არა მიეკარებია]

მიაკვდება; მიაკვდა; მიჰკვდომია; მიჰკვდომოდა [და არა მიკვდომია, მიკვდომოდა]

მიაკვლევს; მიაკვლია; მიუკვლევია; მიეკვლია

მიაკითხავს; მიაკითხა; მიუკითხავს; მიეკითხა

მიამიტი; მიამიტობა

მიამსგავსებს; მიამსგავსა; მიუმსგავსებია; მიემსგავსებინა [და არა მიამზგავსებს, მიამზგავსა...]

მიანდობს; მიანდო; მიუნდვია; მიენდო

მიანიჭებს; მიანიჭა; მიუნიჭებია; მიენიჭებინა [და არა მიენიჭებია]

მიაპყრობს; მიაპყრო (მივაპყარი, მიაპყარი); მიუპყრია; მიეპყრო

მიარბენინებს; მიარბენინა; მიურბენინებია; მიერბენინებინა [და არა მიარბენიებს, მიარბენია...]

მიართმევს; მიართვა; მიურთმევია; მიერთმია

მიასწავლის; მიასწავლა; მიუსწავლებია; მიესწავლებინა [და არა მიესწავლებია]

მიასწორ-მოასწორებს; მიასწორ-მოასწორა; მიუსწორ-მოუსწორებია; მიესწორ-მოესწორებინა [და არა მიესწორ-მოესწორებია]

მიატანინებს; მიატანინა; მიუტანინებია; მიეტანინებინა [და არა მიატანიებს, მიატანია...]

მიატარ-მოატარებს; მიატარ-მოატარა; მიუტარ-მოუტარებია; მიეტარ-მოეტარებინა [და არა მიეტარ-მოეტარებია]

მიატოვებს; მიატოვა; მიუტოვებია; მიეტოვებინა [და არა მიეტოვებია]

მიაფრიალებს; მიაფრიალებდა; მიაფრიალებდეს

მიაქვს; მიჰქონდა; მიჰქონდეს [და არა მიქონდა, მიქონდეს]

მიაქირავებს; მიაქირავა; მიუქირავებია; მიექირავებინა [და არა მიექირავებია]

მიაქროლებს; მიაქროლებდა; მიაქროლებდეს

მიაქცევინებს; მიაქცევინა; მიუქცევინებია; მიექცევინებინა [და არა მიაქცევიებს, მიაქცევია...]

მიაქცევს; მიაქცია; მიუქცევია; მიექცია

მიაღებინებს; მიაღებინა; მიუღებინებია; მიეღებინებინა [და არა მიაღებიებს, მიაღებია...]

მიაღწევინებს; მიაღწევინა; მიუღწევინებია; მიეღწევინებინა [და არა მიაღწევიებს, მიაღწევია...]

მიაღწევს; მიაღწია; მიუღწევია; მიეღწია [და არა მიახწევს, მიახწია...]

მიაყენებინებს; მიაყენებინა; მიუყენებინებია; მაეყენებინებინა [და არა მიაყენებიებს, მიაყენებია...]

მიაყენებს; მიაყენა; მიუყენებია; მიეყენებინა [და არა მიეყენებია]

მიაყვანინებს; მიაყვანინა; მიუყვანინებია; მიეყვანინებინა [და არა მიაყვანიებს, მიაყვანია...]

მიაყიდვინებს; მიაყიდვინა; მიუყიდვინებია; მიეყიდვინებინა [და არა მიაყიდიებს, მიაყიდია...]

მიაყოლებს; მიაყოლა; მიუყოლებია; მიეყოლებინა [და არა მიეყოლებია]

მიაშენებს; მიაშენა; მიუშენებია; მიეშენებინა [და არა მიეშენებია]

მიაშველებს; მიაშველა; მიუშველებია; მიეშველებინა [და არა მიეშველებია]

მიაშურებს; მიაშურა; მიუშურებია; მიეშურებინა [და არა მიეშურებია]

მიაჩვევს; მიაჩვია; მიუჩვევია; მიეჩვია

მიაჩნია; მიაჩნდა; მიაჩნდეს

მიაძახებს; მიაძახა; მიუძახებია; მიეძახებინა [და არა მიეძახებია]

მიაწერინებს; მიაწერინა; მიუწერინებია; მიეწერინებინა [და არა მიაწერიებს, მიაწერია...]

მიაწერს; მიაწერა; მიუწერია; მიეწერა [და არა მიეწერნა]

მიაწვდენს; მიაწვდინა; მიუწვდენია; მიეწვდინა

მიაწოდებს; მიაწოდა; მიუწოდებია; მიეწოდებინა [და არა მიეწოდებია]

მიახმარს // მიახმარებს

მიბნევ-მობნევა

მიბოძე(თ)

მიბრუნ-მობრუნება

მიბრძანდება; მიბრძანდა; მიბრძანებულა; მიბრძანებულიყო

მიგრაცია (მიგრაციის[ა]): **მიგრაციული**

მიგრეხილ-მოგრეხილი

მიგყავარ [და არა მიგყევარ]

მიდგომა (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ამ საკითხებს განსხვავებული **მიდგომები** სჭირდება. უნდა იყოს: ამ საკითხებს განსხვავებული **მიდგომა** სჭირდება)

მიდი-მოდის; მიდი-მოდიოდა; მიდი-მოდიოდეს

მიდის (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: კამათი ხუთ წუთს **მიდიოდა**; ყველაფერი კარგად **მიდის**; **საუბარი მიდიოდა** ერთი პარლამენტარის შესახებ, რაც უმართებულოა. უნდა იყოს: კამათი ხუთ წუთს **გრძელდებოდა**; ყველაფერი **კარგად არის/მიმდინარეობს**; **საუბრობდნენ** ერთი პარლამენტარის შესახებ)

მიდრეკილება (მიდრეკილებლის[ა])

მიებარება; მიებარა; მიჰბარებია; მიჰბარებოდა [და არა მიბარებია, მიბარებოდა]

მიეგებება; მიეგება; მიჰგებებია; მიჰგებებოდა [და არა მიგებებია, მიგებებოდა]

მიედებ-მოედება // მიედ-მოედება; მიედ-მოედო; მისდებ-მოსდებია; მისდებ-მოსდებოდა

მიემატება; მიემატა; მიმატებია; მიმატებოდა

მიემხრობა; მიემხრო; მიმხრობია; მიმხრობოდა

მიენდობა; მიენდო; მინდობია; მინდობოდა

მიენიჭება; მიენიჭა; მინიჭებია; მინიჭებოდა

მიესალმება; მიესალმა; მისალმებია; მისალმებოდა

მიესჯება; მიესაჯა; მისჯია; მისჯოდა

მიეტევება; მიეტევა; მისტევებია; მისტევებოდა [და არა მიტევებია, მიტევებოდა]

მიეშველება; მიეშველა; მიშველებია; მიშველებოდა

მიეშურება; მიეშურებოდა; მიეშურებოდეს

მიეჩვევა; მიეჩვია; მისჩვევია; მისჩვეოდა [და არა მიჩვევია, მიჩვეოდა]

მიეძღვნება; მიეძღვნა; მისძღვნია; მისძღვნოდა [და არა მიძღვნია, მიძღვნოდა]

მიეჭრება; მიეჭრა; მისჭრია; მისჭროდა [და არა მიჭრია, მიჭროდა]

მიეხმარება; მიეხმარა; მიხმარებია; მიხმარებოდა

მივარდება (ის), მაგრამ: **მიცვივდება** (ხალხი), **მიცვივდებიან** (ისინი)

[მივირთვი(თ) კი არა] **გეახელი(თ)** [// საუბ. **გიახელი(თ)**]: ამ ზმნით (**მიირთვით**) საჭმელ-სასმლის ზრდილობიანი შეთავაზება გამოიხატება, ნიშნავს **შეჭამე(თ)** ან **დალიე(თ)**. დადებით პასუხად მართებულია (ამავე ეტიკეტის ჩარჩოებში): **გმადლობთ, სიამოვნებით გეახლები(თ)** [// **გიახლები(თ)**]; უარყოფით პასუხად: **გმადლობ(თ), უკვე გეახელი(თ)** [// **გიახელი(თ)**]

მიზანაუცდენელი (მიზანაუცდენლად)

მიზანდასახული (მიზანდასახულად)

მიზანდასახულობა (მიზანდასახულობის^ა)

მიზანთროპი [და არა მიზანტროპი]

მიზანთროპია (მიზანთროპიის^ა); **მიზანთროპიული** [და არა მიზანტროპია, მიზანტროპიული]

მიზანი (მიზნის^ა)

მიზანმიმართული (მიზანმიმართულად)

მიზანსცენა (მიზანსცენის^ა)

მიზანსწრაფვა (მიზანსწრაფვის^ა)

მიზანშეუწონელი (მიზანშეუწონლად)

მიზანშეუწონლობა (მიზანშეუწონლობის^ა)

მიზანშეწონილი (მიზანშეწონილად)

მიზანშეწონილობა (მიზანშეწონილობის^ა)

მიზეზ-მიზეზ

მიზეზობრივი; მიზეზობრიობა (მიზეზობრიობის^ა)

მიზეზშედეგობრივი

მიზნობრივი (მიზნობრივად)

მიზომება (ტანსაცმლისა) – **მიზომვა** (ადგილისა)

მიზღვა (მიუზღავს)

მიზღვავდება; მიზღვავდა; მიზღვავებულა; მიზღვავებულიყო

მითი, მითები

მითითება (მითითების^ა): **მითითებული**

მითოლოგია (მითოლოგიის^ა): **მითოლოგიური**

მითოსი (მითოსს)

მითუმეტეს

მითური; მითობრივი

მითქმა-მოთქმა (მითქმა-მოთქმის᾽ა᾽)

მიივლ-მოივლის; მიიარ-მოიარა; მიუვლ-მოუვლია; მიევლ-მოევლო

მიითვისებს; მიითვისა; მიუთვისებია; მიეთვისებინა [და არა მიეთვისებია]

მიიმხრობს; მიიმხრო; მიუმხრია; მიემხრო

მიინგრევ-მოინგრევა; მიინგრ-მოინგრა; მანგრეულ-მონგრეულა; მინგრეულ-მონგრეულყო

მიირთვით! – გმადლობთ, გეახლებით [და არა მივირთმევ]

მიისვ-მოისვამს; მიისვ-მოისვა; მიუსვ-მოუსვამს; მიესვ-მოესვა

მიისწრაფვის; მიისწრაფოდა; მიისწრაფოდეს

მიიქნევ-მოიქნევს; მიიქნ-მოიქნია; მიუქნევ-მოუქნევია; მიექნ-მოექნია

მიიხედ-მოიხედავს; მიიხედ-მოიხედა; მიუხედ-მოუხედავს; მიეხედ-მოეხედა [და არა მიეხედნ-მოეხედნა]

მიკერძოება (მიკერძოების᾽ა᾽): **მიკერძოებული** (მიკერძოებულად)

მიკვლევა (მიკვლევის᾽ა᾽): **მიკვლეული**

მიკიბ-მოკიბავს; მიკიბ-მოკიბა; მიუკიბ-მოუკიბავს; მიეკიბ-მოეკიბა [და არა მიეკიბ-მოეკიბნა]

მიკიბ-მოკიბვა; მიკიბულ-მოკიბულიო (მიკიბულ-მოკიბულად)

მიკროავტობუსი (მიკროავტობუსს)

მიკრობიოლოგია (მიკრობიოლოგიის᾽ა᾽)

მიკროკლიმატი: მიკროკლიმატური

მიკროორგანიზმები (მ რ.)

მიკრორაიონი

მიკროსისტემა (მიკროსისტემის᾽ა᾽)

მიკროსკოპი: მიკროსკოპული

მიკროსკოპია (მიკროსკოპიის᾽ა᾽): **მიკროსკოპიული**

მიკროსტრუქტურა (მიკროსტრუქტურის᾽ა᾽)

მილანძღ-მოლანძღავს; მილანძღ-მოლანძღა; მიულანძღ-მოულანძღავს; მიელანძღ-მოელანძღა

მილევადი (რეჟიმი)

მილეწილ-მოლეწილი

მილეწ-მოლეწავს; მილეწ-მოლეწა; მიულეწ-მოულეწავს; მიელეწ-მოელეწა [და არა მიელეწნ-მოელეწნა]

მილი

მილილიტრი

მილიმეტრი

მილიონ-ნახევარი (მილიონ-ნახევრის᾽ა᾽)

მილიტარიზმი (მილიტარიზმმა)

მილიტარისტი: მილიტარისტული

მილოცვა (მილოცვის᾽ა᾽)

მიმავალი (მიმავლის᾽ა᾽)

მიმავალ-მომავალი

[მიმალვაშია კი არა] **იმალება** (ეჭვმიტანილი)

მიმალულ-მომალული

მიმართ (საყვედური ითქვა ოპონენტის **მიმართ**) [და არა მიმართულებით] – **მიმართულებით** (ქალაქის/სოფლის... **მიმართულებით**)

მიმართება (მიმართების⌜ა⌝)

[მიმართებაში კი არა] **მიმართ, შესახებ, დაკავშირებით** (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: რას გვეტყვით პრეზიდენტთან **მიმართებაში**? სახელმწიფო მინისტრთან **მიმართებაში** საყვედური არ გვეთქმის; აფხაზეთთან **მიმართებაში** რამდენიმე საკითხია გასარკვევი..., რაც უმართებულოა. უნდა იყოს: რას გვეტყვით პრეზიდენტთან **დაკავშირებით** (**პრეზიდენტის შესახებ**)? სახელმწიფო მინისტრის **მიმართ** საყვედური არ გვეთქმის; აფხაზეთთან **დაკავშირებით** რამდენიმე საკითხია გასარკვევი...)

მიმართვა (მიმართვის⌜ა⌝)

მიმართულება (მიმართულების⌜ა⌝)

მიმატება-გამოკლება (მიმატება-გამოკლების⌜ა⌝)

მიმბარებელი (მიმბარებლის⌜ა⌝)

მიმბაძველი (მიმბაძველის⌜ა⌝) (// **მიმბაძავი**)

მიმდებარე (ტერიტორია)

მიმდევარი (მიმდევრის⌜ა⌝)

მიმდინარე (საკითხი...)

მიმდინარეობა (მიმდინარეობის⌜ა⌝)

მიმდინარეობს; მიმდინარეობდა; მიმდინარეობდეს

მიმთვისებელი (მიმთვისებლის⌜ა⌝)

მიმიკა (მიმიკის⌜ა⌝): **მიმიკური**

მიმკლავი (სპორტ.)

მიმოიხილავს; მიმოიხილა; მიმოუხილავს; მიმოეხილა [და არა მიმოეხილნა]

მიმომხილველი (მიმომხილველის⌜ა⌝)

მიმოწერა (მიმოწერის⌜ა⌝)

მიმოხილვა (მიმოხილვის⌜ა⌝)

მიმსგავსება (მიმსგავსების⌜ა⌝) [და არა მიმზგავსება]

მიმსგავსებული (მიმსგავსებულად)

მიმსვლელ-მომსვლელი

მიმტან-მომტანი

მიმტაცებელი (მიმტაცებლის⌜ა⌝)

მიმტვრეულ-მომტვრეული (მიმტვრეულ-მომტვრეულად)

მიმღები (= ვინც ან რაც მიიღებს (წერილის/ფულის **მიმღები**); ამღები, გამომრთმევი (ქრთამის **მიმღები**); დამხვდომი, შემხვედრი (მოყვრის **მიმღები**; შდრ.: **მიმღები კომისია; მიმღები განყოფილება; მიმღები პუნქტი**); ტექნ. ყოველგვარი აპარატი, რომელიც მოქმედებს ელექტროენერგიით)

მიმყავხარ [და არა მიმყევხარ]

მიმყვან-მომყვანი

მიმშველებელი (მიმშველებლის'ა)

მიმწოდებელი (მიმწოდებლის'ა)

მიმხედავი; მიმხედველი

მიმხვედრი (// **მიმხვდომი**) (მიმხვდომმა)

მინანქარი (მინანქრის'ა): **მინანქრული**

მინაწერი

მინახავხარ [// მინახიხარ]

მინგრევ-მონგრევა (მინგრევ-მონგრევის'ა); **მინგრეულ-მონგრეული** (მინგრეულ-მონგრეულად)

მინდორ-ველი

მინდორ-მინდორ

მინებჩალეწილი

მინებჩასმული

მინერალოგია (მინერალოგიის'ა) [და არა მინეროლოგია]

მინერალოგიური [და არა მინეროლოგიური]

მინერალური (წყლები)

მინიატიურა (მინიატიურის'ა): **მინიატიურული; მინიატიურისტი** [და არა მინიატურა, მინიატურული, მინიატურისტი]

მინიმალიზმი (მინიმალიზმმა)

მინიმალური (მინიმალურად)

მინიმარკეტი

მინიმუმი (მინიმუმმა)

მინისტერიალი

მინისტრი

მინიშნება (მინიშნების'ა): **მინიშნებული**

მიოკარდიტი

მიომა (მიომის'ა)

მიპატიჟება (მიპატიჟების'ა)

მირაჟი (მირაჟს)

მირბი-მორბის; მირბი-მორბოდა; მირბი-მორბოდეს

მირეკ-მორეკავს; მირეკ-მორეკა; მიურეკ-მოურეკავს; მიერეკ-მოერეკა [და არა მიერეკ-მოერეკნა]

მირონცხება (მირონცხების'ა)

მირონცხებული; მირონნაცხები

მისაგებებელი (მისაგებებლად)

მისაგებელი (მისაგებლად)

მისადგმელი (მისადგმელად)

მისადგომი (მისადგომმა)

მისათითებელი (მისათითებლად)

მისაკუთრება: მისაკუთრებული

მისალმება (მისალმების'ა)

მისალოცი

მისამალავი // მისამალი

მისამართი (მისამართთან)

მისანიჭებელი (მისანიჭებლად)

მისართმევი (მისართმევად)

მისასალმებელი (მისასალმებლად)

მისასვლელ-მოსასვლელი (მისასვლელ-მოსასვლელად)

მისატევებელი (მისატევებლად)

მისაქცევი

მისაღები: ვინც ან რაც უნდა მიიღონ (საგანგებოდ **მისაღები** სტუმარი; **მისაღები** ფული); რაც შეიძლება მიიღონ (**მისაღები** თვალსაზრისი); მიღებისათვის განკუთვნილი, დანიშნული (**მისაღები** გამოცდები; **მისაღები** ოთახი).

მისაღწევი (მისაღწევად)

მისაყვანი (მისაყვანად)

მისაყრდენი // მისაყრდნობი

მისაყუდებელი (მისაყუდებლად)

მისაშენებელი (მისაშენებლად)

მისაშველებელი (მისაშველებლად)

მისაძღვნელი (მისაძღვნელად)

მისახვევ-მოსახვევი

მისახმარებელი (მისახმარებლად)

მისდამი (// **მისადმი**)

მისდაუნებურად

მისდგომია; მისდგომოდა; მისდგომოდეს [და არა მიდგომია...]

მისდებია; მისდებოდა; მისდებოდეს [და არა მიდებია...]

მისვლა-მოსვლა (მისვლა-მოსვლის⌜ა⌝)

მისი (= სხვისი) – **თავისი** (= საკუთარი)

მისიონერი (მისიონერის⌜ა⌝)

მისტერია (მისტერიის⌜ა⌝)

მისტიკა (მისტიკის⌜ა⌝): **მისტიკური** [და არა მისტიური]

მისტიკოსი (მისტიკოსს)

მისტიფიკაცია (მისტიფიკაციის⌜ა⌝)

მისტიფიცირება (მისტიფიცირების⌜ა⌝)

მისტიფიცირებული

მისცემს; მისცა [და არა მიცემს, მიცა]; **მიუცია; მიეცა**

მისწევ-მოსწევს; მისწი-მოსწია [და არა მიწევ-მოწევს, მიწი-მოწია]; **მიუწევ-მოუწევია; მიეწ-მოეწია**

მისწევს; მისწია [და არა მიწევს, მიწია]; **მიუწევია; მიეწია**

მისწერს; მისწერდა; მისწერდეს [და არა მიწერს...] (მას წერილს)

მისხალი (მისხლის⌜ა⌝)

მისჯა; მისჯილი

მისჯდომია; მისჯდომოდა [და არა მიჯდომია, მიჯდომოდა] (ის კერას), მაგრამ: **მისხდომია; მისხდომოდა** (ხალხი ტელევიზორს); **მისხდომიან; მისხდომოდნენ** (ბავშვები კომპიუტერს)

მიტან-მოტანა (მიტან-მოტანის⌜ა⌝); **მიტანილ-მოტანილი**

მიტინგი

მიტოვება: **მიტოვებული**

მიტრიალ-მოტრიალდება; მიტრიალ-მოტრიალდა; მიტრიალ-მოტრიალებულა; მიტრიალ-მოტრიალებულიყო

მიტროპოლიტი

მიუბამს; მიუბამდა; მიუბამდეს [და არა მიუბავს...]

მიუგებს; მიუგო; მიუგია; მიეგო

მიუგზავნის; მიუგზავნა; მიუგზავნია; მიეგზავნა

მიუდგომელი (მიუდგომლად)

მიუდექი (შენ)

მიუვარდა (ის), მაგრამ: **მიუცვივდნენ** (ისინი მას/მათ), **მიუცვივდა** (ხალხი)

მიუვიდა (ის მას), **მივუვედი** (მე მას), **მიუხვედი** (შენ მას)

მიუზიკლი

მიუთითებს; **მიუთითა**; **მიუთითებია**; **მიეთითებინა**

მიუკერძოებელი (მიუკერძოებლად)

მიუკერძოებლობა (მიუკერძოებლობის'ა)

მიულოცავს; **მიულოცა**; **მიულოცავს** (თურმე); **მიელოცა**

მიუსაფარი (მიუსაფრის'ა)

მიუტევებელი (მიუტევებლად)

მიუღწეველი (მიუღწევლად) [და არა მიუხწეველი, მიუხწევლად]

მიუღწევლობა (მიუღწევლობის'ა)

მიუჩვეველი (მიუჩვევლად)

მიუჩვევლობა (მიუჩვევლობის'ა)

მიუძღვება; **მიუძღვებოდა**; **მიუძღვებოდეს**

მიუძღვის; **მიუძღოდა**; **მიუძღოდეს**

მიუწვდენელი (მიუწვდენლად)

მიუწვდომელი (მიუწვდომლად)

მიუწვდომლობა (მიუწვდომლობის'ა)

მიუჯდება (ის), მაგრამ: **მიუსხდება** (ხალხი); **მიუსხდებიან** (ისინი)

მიფანტ-მოფანტავს; **მიფანტ-მოფანტა**; **მიუფანტ-მოუფანტავს**; **მიეფანტ-მოეფანტა**

მიფანტულ-მოფანტული (მიფანტულ-მოფანტულად)

მიქვია (**რას მიქვია**?)

[მიქონდა, მიქონდეს კი არა] **მიჰქონდა**; **მიჰქონდეს**

მიქრის; **მიქროდა**; **მიქროდეს** [და არა მიჰქრის...]

მიქსი (მიქსს)

მიღებადი: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ეს საკითხები **მიღებადია**; ეს შეკითხვები **მიღებადია**. უმჯობესია: ეს საკითხები **მისაღებია**; ამ საკითხების **მიღება შესაძლებელია**; ეს საკითხები **მიიღება**; ეს შეკითხვები **მისაღებია**; ამ შეკითხვების **მიღება შეიძლება**, ეს შეკითხვები **მიიღება** (კონტექსტის მიხედვით).

მიღებულ იქნა საკითხი, მაგრამ: საკითხი **იქნა მიღებული**

მიღრეცილ-მოღრეცილი (მიღრეცილ-მოღრეცილად)

მიღწევა (მიღწევის'ა) [და არა მიხწევა]

[მიყავს, მიყავდა, მიყავდეს კი არა] **მიჰყავს**; **მიჰყავდა**; **მიჰყავდეს**

მიყავხარ; **მიმყავხარ** [და არა მიყევხარ, მიმყევხარ]

მიყვან-მოყვანა (მიყვან-მოყვანის'ა)

მიყიდ-მოყიდის; **მიყიდ-მოყიდა**; **მიუყიდ-მოუყიდია**; **მიეყიდ-მოეყიდა**

მიყრა-მოყრა; **მიყრილ-მოყრილი** (მიყრილ-მოყრილად)

მიყრი-მოყრის; მიყარ-მოყარა; მოუყრ-მოუყრია; მიეყარ-მოეყარა

მიყრის; მიყარა; მიუყრია; მიეყარა

მიცვივდება; მიცვივდა; მიცვივნულა // მიცვენილა (ხალხი), მაგრამ: **მივარდება** (ის), **მიცვივდებიან** (ისინი)

მიწათმოქმედი; მიწათმოქმედება

მიწა-წყალი (მიწა-წყლის⌜ა⌝)

მიწევ-მოწევა (მიწევ-მოწევის⌜ა⌝)

მიწერ-მოწერა (მიწერ-მოწერის⌜ა⌝): **მიწერილ-მოწერილი**

მიწვევა: მიწვეული

მიწიერება (მიწიერების⌜ა⌝); **მიწიერი**

მიწის ზემოთ, მაგრამ: **მიწისზედა**

მიწისმზომელი (მიწისმზომლის⌜ა⌝)

მიწისფერი (მიწისფრად)

მიწისქვეშა (მიწისქვეშას⌜ი⌝)

მიწისძვრა (მიწისძვრის⌜ა⌝)

მიჭედილი // მიჭედებული

მიხედავს; მიხედა; მიუხედავს; მიეხედა

მიხვედრა (მიხვდება)

მიხვედრილობა (მიხვედრილობის⌜ა⌝)

მიხვევ-მოხვევა (მიუხვ-მოუხვევს); მიხვეულ-მოხვეული

მიხრა-მოხრა [და არა მიხვრა-მოხვრა]

[მიხწევა კი არა] **მიღწევა**

მიჯაჭვული (მიჯაჭვულად)

მიჯნა (= გამიჯვნა), მაგრამ: **მიჯნა** (= საზღვარი)

მიჯნავს; მიჯნავდა; მიჯნავდეს (გამიჯნავს; გამიჯნა; გაუმიჯნავს; გაემიჯნა)

მიჰბაძავს; მიჰბაძა [და არა მიბაძავს, მიბაძა]; **მიუბაძავს; მიებაძა**

მიჰბმია; მიჰბმოდა; მიჰბმოდეს [და არა მიბმია...]

მიჰგებია; მიჰგებოდა; მიჰგებოდეს [და არა მიგებია...]

მიჰგვრის; მიჰგვარა; მიჰგვაროს [და არა მიგვრის...]

მიჰკარებია; მიჰკარებოდა; მიჰკარებოდეს [და არა მიკარებია...]

მიჰკედლებია; მიჰკედლებოდა; მიჰკედლებოდეს [და არა მიკედლებია...]

მიჰპარვია; მიჰპაროდა; მიჰპაროდეს [და არა მიპარვია...]

მიჰპატრონებია; მიჰპატრონებოდა; მიჰპატრონებოდეს [და არა მიპატრონებია...]

მიჰფარებია; მიჰფარებოდა; მიჰფარებოდეს [და არა მიფარებია...]

მიჰფენია; მიჰფენოდა; მიჰფენოდეს [და არა მიფენია...]

მიჰფერებია; მიჰფერებოდა; მიჰფერებოდეს [და არა მიფერებია...]

მიჰფრქვევია; მიჰფრქვეოდა; მიჰფრქვეოდეს [და არა მიფრქვევია...]

მიჰქონდა; მიჰქონდეს [და არა მიქონდა, მიქონდეს]

[მიჰქრის კი არა] **მიქრის; მიქროდა; მიქროდეს**

მიჰყავს; მიჰყავდა; მიჰყავდეს [და არა მიყავს...]

მიჰყვება; მიჰყვა; მიჰყოლია [და არა მიყვება...]

მიჰყვებ-მოჰყვება; მიჰყვა-მოჰყვა; მიჰყოლ-მოჰყოლია; მიჰყოლ-მოჰყოლოდა [და არა მიყვებ-მოყვება, მიყვა-მოყვა...]

მიჰყიდის; მიჰყიდდა; მიჰყიდდეს; მიჰყიდა [და არა მიყიდის, მიყიდდა, მიყიდიდა; მიყიდდეს, მიყიდიდეს; მიყიდა]; **მიუყიდია; მიეყიდა** [და არა მიუყიდნია, მიეყიდნა]

მიჰყოლია; მიჰყოლოდა; მიჰყოლოდეს [და არა მიყოლია...]

მკაფიო (მკაფიოდ); **მკაფიობა** [და არა მკაფიოობა]

მკერდგაღეღილი

მკერდქვეშ

მკვეხარა (მკვეხარას'ი')

მკვეხარი (მკვეხარის'ა')

მკვიდრდება; მიკვიდრდებოდა; მკვიდრდებოდეს (დამკვიდრდება...)

მკვიდრი (მკვიდრად)

მკვირცხლი (მკვირცხლად)

მკვლევარი (მკვლევრის'ა')

მკვლელი; მკვლელობა (მკვლელობის'ა')

მკითხველი (მკითხველის'ა')

მკლავბუჭნი (სპორტ.)

მკლავებგაშლილი

მკლავებდაკაბიწებული

მკლავქუსლური შუასარმა (სპორტ.)

მკლავყირა (სპორტ.)

მკლავჩაკეტილი მოგვერდი (სპორტ.)

მკლავჭიდი (სპორტ.)

მკრეფელი (მკრეფელის'ა') // **მკრეფავი**

მკურნალი

მკურნალობს; მკურნალობდა; მკურნალობდეს (იმკურნალებს...)

[მკუხე კი არა] **მკვახე**

მლეწავი // მლეწველი

მლიქვნელი; მლიქვნელობა

მლიქვნელობს; მლიქვნელობდა; მლიქვნელობდეს

მლოცველი; მლოცავი

მმადლობს (ის მე)

მმალავს (ის მე)

მმართავი

მმართებს (მე)

მმართველი; მმართველობა (მმართველობის'ა')

მმატებს (ის მე მას)

მმაჩი (= მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი განყოფილება)

მმტრობს (ის მე)

მნათე (მნათის'ა')

მნდომი (მნდომმა) // **მნდომელი** (მნდომელის'ა')

მნიშვნელი (მათ, ემ.)

მნიშვნელობა (მნიშვნელობის⌜ა⌝)

მნიშვნელოვანი (მნიშვნელოვნად)

მნიშვნელოვანწილად

მოაბამს; მოაბა; მოუბამს; მოება

მოაბმევინებს; მოაბმევინა; მოუბმევინებია; მოებმევინებინა [და არა მოაბმევიებს, მოაბმევია...]

მოაბრუნებს; მოაბრუნა; მოუბრუნებია; მოებრუნებინა [და არა მიებრუნებია]

მოაგებინებს; მოაგებინა; მოუგებინებია; მოეგებინებინა [და არა მიაგებიებს, მოაგებია...]

მოაგერიებინებს; მოაგერიებინა; მოუგერიებინებია; მოეგერიებინებინა [და არა მიაგერიებიებს, მოაგერიებია...]

მოაგვარებინებს; მოაგვარებინა; მოუგვარებინებია; მოეგვარებინებინა [და არა მიაგვარებიებს, მოაგვარებია...]

მოაგვარებს; მოაგვარა; მოუგვარებია; მოეგვარებინა [და არა მოეგვარებია]

მოაგნებს; მოაგნო; მოუგნია; მოეგნო

მოაგონდება; მოაგონდა; მოჰგონებია; მოჰგონებოდა [და არა მოგონებია, მოგონებოდა]

მოაგროვებინებს; მოაგროვებინა; მოუგროვებინებია; მოეგროვებინებინა [და არა მოაგროვებიებს, მოაგროვებია...]

მოაგროვებს; მოაგროვა; მოუგროვებია; მოეგროვებინა [და არა მოეგროვებია]

მოადგილე (მოადგილის⌜ა⌝)

მოაზიდვინებს; მოაზიდვინა; მოუზიდვინებია; მოეზიდვინებინა [და არა მოაზიდვიებს, მოაზიდვია...]

მოაზროვნე (მოაზროვნის⌜ა⌝)

მოათავსებს; მოათავსა; მოუთავსებია; მოეთავსებინა [და არა მოეთავსებია]

მოათვალიერებს; მოათვალიერა; მოუთვალიერებია; მოეთვალიერებინა [და არა მოეთვალიერებია]

მოათვინიერებს; მოათვინიერა; მოუთვინიერებია; მოეთვინიერებინა [და არა მოეთვინიერებია]

მოათმენინებს; მოათმენინა; მოუთმენინებია; მოეთმენინებინა [და არა მოათმენიებს, მოათმენია...]

მოათხოვნინებს; მოათხოვნინა; მოუთხოვნინებია; მოეთხოვნინებინა [და არა მოათხოვნიებს, მოათხოვნია...]

მოათხრობინებს; მოათხრობინა; მოუთხრობინებია; მოეთხრობინებინა [და არა მოათხრობიებს, მოათხრობია...]

მოაკვლევინებს; მოაკვლევინა; მოუკვლევინებია; მოეკვლევინებინა [და არა მოაკვლევიებს, მოაკვლევია...]

მოაკითხავს; მოაკითხა; მოუკითხავს; მოეკითხა

მოაკლდება; მოაკლდა; მოჰკლებია; მოჰკლებოდა [და არა მოკლებია, მოკლებოდა]

მოამაგე (მოამაგის˹ა˺)

მოამზე (მოამბის˹ა˺)

მოამზადებინებს; მოამზადებინა; მოუმზადებინებია; მოემზადებინებინა [და არა მოამზადებიებს, მოამზადებია...]

მოამზადებს; მოამზადა; მოუმზადებია; მოემზადებინა [და არა მოემზადებია]

მოანაგვიანებს; მოანაგვიანა; მოუნაგვიანებია; მოენაგვიანებინა [და არა მოენაგვიანებია]

მოანათვლინებს; მოანათვლინა; მოუნათვლინებია; მოენათვლინებინა [და არა მოანათლიებს, მოანათლია...]

მოანანიებინებს; მოანანიებინა; მოუნანიებინებია; მოენანიებინებინა

მოანახვინებს; მოანახვინა; მოუნახვინებია; მოენახვინებინა [და არა მოანახიებს, მოანახია...]

მოაპარვინებს; მოაპარვინა; მოუპარვინებია; მოეპარვინებინა [და არა მოაპარვიებს, მოაპარინებს...]

მოაპოვებინებს; მოაპოვებინა; მოუპოვებინებია; მოეპოვებინებინა [და არა მოაპოვებიებს, მოაპოვებია...]

მოარგებს; მოარგო; მოურგია; მოერგო

მოართმევს; მოართვა; მოურთმევია; მოერთმია

მოარიგებს; მოარიგა; მოურიგებია; მოერიგებინა [და არა მოერიგებია]

მოარიდებს; მოარიდა; მოურიდებია; მოერიდებინა [და არა მოერიდებია]

მოარული

მოარჩენს; მოარჩინა; მოურჩენია; მოერჩინა

მოარჯულებს; მოარჯულა; მოურჯულებია; მოერჯულებინა [და არა მოერჯულებია]

მოასმენინებს; მოასმენინა; მოუსმენინებია; მოესმენინებინა [და არა მოასმენიებს, მოასმენია...]

მოასპარეზე (მოასპარეზის˹ა˺)

მოასფალტება (მოასფალტების˹ა˺): **მოასფალტებული**

მოასწორებს; მოასწორა; მოუსწორებია; მოესწორებინა [და არა მოესწორებია]

მოასწრებს; მოასწრო (მოვასწარი, მოასწარი); მოუსწრია; მოესწრო

მოატანინებს; მოატანინა; მოუტანინებია; მოეტანინებინა [და არა მოატანიებს, მოატანია...]

მოატყუებინებს; მოატყუებინა; მოუტყუებინებია; მოეტყუებინებინა [და არა მოატყუებიებს, მოატყუებია...]

მოატყუებს; მოატყუა; მოუტყუებია; მოეტყუებინა [და არა მოეტყუებია]

მოაფენს; მოაფინა; მოუფენია; მოეფინა

მოაფიქრებინებს; მოაფიქრებინა; მოუფიქრებინებია; მოეფიქრებინებინა [და არა მოაფიქრებიებს, მოაფიქრებია...]

[მოაქვს მაგალითი კი არა] **მოჰყავს მაგალითი (ციტატა/ფაქტი/ციფრი** და მისთ.). **მოაქვს** ზმნა, ჩვეულებრივ, შეეწყობა უსულო სახელით გამოხატულ ობიექტებს, მაგრამ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში ეს წესი ირღვევა, როცა ობიექტად ისეთი სახელი გვხვდება, რომელიც ცოცხალი მოწმის ფუნქციას ასრულებს. ეს სახელებია: **მაგალითი, ციტატა, ფაქტი, ციფრი** და მისთ. მართებული გამოთქმებია: **მაგალით(ებ)ი / (ციტატ(ებ)ი / ფაქტ(ებ)ი / ციფრ(ებ)ი... მოიყვანა**; ზემოთ / ქვემოთ **მოყვანილი მაგალით(ებ)ი / ციტატ(ებ)ი / ფაქტ(ებ)ი / ციფრ(ებ)ი** და მისთ.

მოაქვს; მოჰქონდა; მოჰქონდეს [და არა მოქონდა, მოქონდეს]

მოაქცევს; მოაქცია; მოუქცევია; მოექცია

მოაღონიერებს; მოაღონიერა; მოუღონიერებია; მოეღონიერებინა [და არა მოეღონიერებია]

მოაღწევინებს; მოაღწევინა; მოუღწევინებია; მოეღწევინებინა [და არა მოაღწევიებს, მოაღწევია...]

მოაღწევს; მოაღწია; მოუღწევია; მოეღწია

მოაყვანინებს; მოაყვანინა; მოუყვანინებია; მოეყვანინებინა [და არა მოაყვანიებს, მოაყვანია...]

მოაყოლებს // მოაყოლინებს [და არა მოაყოლიებს]

მოაშენებს; მოაშენა; მოუშენებია; მოეშენებინა [და არა მოეშენებია]

მოაშველებს; მოაშველა; მოუშველებია; მოეშველებინა [და არა მოეშველებია]

მოაშინაურებს; მოაშინაურა; მოუშინაურებია; მოეშინაურებინა [და არა მოეშინაურებია]

მოაშლევინებს; მოაშლევინა; მოუშლევინებია; მოეშლევინებინა [და არა მოაშლევიებს, მოაშლევია...]

მოაშორებინებს; მოაშორებინა; მოუშორებინებია; მოემორებინებინა [და არა მოაშორებიებს, მოაშორებია...]

მოაშორებს; მოაშორა; მოუშორებია; მოეშორებინა [და არა მოეშორებია]

მოაჩვენებს; მოაჩვენა; მოუჩვენებია; მოეჩვენებინა [და არა მოეჩვენებია]

მოაჩუქურთმებს; მოაჩუქურთმა; მოუჩუქურთმებია; მოეჩუქურთმებინა [და არა მოეჩუქურთმებია]

მოაცდევინებს; მოაცდევინა; მოუცდევინებია; მოეცდევინებინა [და არა მოაცდევიებს, მოაცდევია...]

მოაცდენინებს; მოაცდენინა; მოუცდენინებია; მოეცდენინებინა [და არა მოაცდენიებს, მოაცდენია...]

მოაცდენს; მოაცდინა; მოუცდენია; მოეცდინა

მოაცვლევინებს; მოაცვლევინა; მოუცვლევინებია; მოეცვლევინებინა [და არა მოაცვლევიებს, მოაცვლევია...]

მოაძებნინებს; მოაძებნინა; მოუძებნინებია; მოეძებნინებინა [და არა მოაძებნიებს, მოაძებნია...]

მოაძრობს; მოაძრო; მოუძვრია; მოეძრო

მოაწერინებს; მოაწერინა; მოუწერინებია; მოეწერინებინა [და არა მოაწერიებს, მოაწერია...]

მოაწერს; მოაწერა; მოუწერია; მოეწერა

მოაწესრიგებს; მოაწესრიგა; მოუწესრიგებია; მოეწესრიგებინა [და არა მოეწესრიგებია]

მოაწვდის; მოაწოდა; მოუწვდია // მოაწოდებს; მოაწოდა; მოუწოდებია

მოაწმენდინებს; მოაწმენდინა; მოუწმენდინებია; მოეწმენდინებინა [და არა მოაწმენდიებს, მოაწმენდია...]

მოაწონებს; მოაწონა; მოუწონებია; მოეწონებინა [და არა მოეწონებია]

მოაწყდება; ნოაწყდა; მოსწყდომია; მოსწყდომოდა [და არა მოწყდომია, მოწყდომოდა]

მოაწყვეტს; მოაწყვეტდა; მოაწყვეტდეს [და არა მოაწყვეტავს, მოაწყვიტავს; მოაწყვეტავდა, მოაწყვიტავდა; მოაწყვეტავდეს, მოაწყვიტავდეს]; **მოაწყვიტა; მოუწყვეტია; მოეწყვიტა**

მოაწყობს; მოაწყო (მოვაწყვე, მოაწყვე); მოუწყვია; მოეწყო

მოაჭკვიანებს; მოაჭკვიანა; მოუჭკვიანებია; მოეჭკვიანებინა [და არა მოეჭკვიანებია]

მოაჭრევინებს; მოაჭრევინა; მოუჭრევინებია; მოეჭრევინებინა [და არა მოაჭრევიებს, მოაჭრევია...]

მოახდენინებს; მოახდენინა; მოუხდენინებია; მოეხდენინებინა [და არა მოახდენიებს, მოახდენია...]

მოახდენს; მოახდინა; მოუხდენია; მოეხდინა

მოახერხებს; მოახერხა; ნოუხერხებია; მოეხერხებინა [და არა მოეხერხებია]

მოახვეჭინებს; მოახვეჭინა; მოუხვეჭინებია; მოეხვეჭინებინა [და არა მოახვეჭიებს, მოახვეჭია...]

მოახვნევინებს; მოახვნევინა; მოუხვნევინებია; მოეხვნევინებინა [და არა მოახვნევიებს, მოახნევინებს...]

მოახლე (მოახლის⌜ა⌝)

მოახლოვდება; მოახლოვდა; მოახლოებულა; მოახლოებულიყო

მოახმარებს // მოახმარს

მოახრჩობს; **მოახრჩო**; **მოუხრჩვია**; **მოეხრჩო**

მოახსენებს; **მოახსენა**; **მოუხსენებია**; **მოეხსენებინა** [და არა მოეხსენებია]

მოაჯადოებს; **მოაჯადოვა**; **მოაჯადოოს** (**მოვაჯადოო**, **მოაჯადოო**); **მოუჯადოებია**; **მოეჯადოებინა**

მობანავე (მობანავის⌜ა⌝)

[მობანს კი არა] **მოჰბანს** (მას ჭრილობას)

მობილიზაცია (მობილიზაციის⌜ა⌝)

მობილიზება (მობილიზების⌜ა⌝)

მობილიზებული (მობილიზებულად) [და არა მობილიზირებული, მობილიზირებულად]

მობილური

მობილურობა (მობილურობის⌜ა⌝)

მობინადრე (მობინადრის⌜ა⌝); **ბინადარი** (ბინადრის⌜ა⌝)

მობრძანდით! – **აუცილებლად გეახლებით** [და არა მოვბრძანდები]

მობურთავე (მობურთავის⌜ა⌝) // **მობურთალი** (მობურთალის⌜ა⌝)

მოგახსენებ(თ) (ეს სიტყვა თავაზიანი ფორმაა **გეტყვი(თ)**, **გეუბნები(თ)** ზმნებისა, როცა პირველი პირი მიმართავს მეორეს)

მოგგვარე (მე შენ ის)

მოგგვრი (მე შენ მას)

მოგგლეჯს (ის შენ მას)

მოგგონებია (შენ ის)

მოგება (მოგების⌜ა⌝): **მოგებული**; **მოსაგები**

მოგება-წაგება (მოგება-წაგების⌜ა⌝)

მოგებიანი // მომგები (ობლიგაცია)

მოგერიება: **მოგერიებული**; **მოსაგერიებელი**

მოგვარება (მოგვარების⌜ა⌝): **მოგვარებული**

მოგვგვარა (მან ჩვენ ის)

მოგვგვარე (შენ ჩვენ ის)

მოგვგვარებია (ჩვენ ის)

მოგვგვარეს (მათ ჩვენ ის)

მოგვგვრის (ის ჩვენ მას)

მოგვერდი (სპორტ.)

მოგვერდსარმა (სპორტ.)

მოგვიანებით

მოგვიგვარებია (ჩვენ ის)

მოგვიღოცავს (ახალი წელი)

[მოგვრის კი არა] **მოჰგვრის** (მას ცრემლს)

მოგზაური; **მოგზაურობა** (მოგზაურობის⌜ა⌝)

[მოგისურვებ(თ) კი არა] **გისურვებ(თ)** (**მოგისურვებ(თ)** უმართებულო ფორმაა **გისურვებ(თ)** ზმნისა, რომელიც, როგორც ჩანს, **მოგიღოცავთ**, **მოგიკითხავთ** ზმნათა ანალოგიით გაჩნდა)

მოგლეჯს; **მოგლეჯდა**; **მოგლეჯდეს** [და არა მოგლეჯავს, მოგლი-

ჯავს; მოგლეჯავდა, მოგლიჯავდა; მოგლეჯავდეს, მოგლიჯავდეს]; **მოგლიჯა**; **მოუგლეჯია**; **მოეგლიჯა**

მოგონილი (= გამოგონილი: **მოგონილი ჭორი...**) – **მოგონებული** (= გახსენებული: **მოგონებული ბავშვობა...**)

მოგროვებული; **მოგროვილი**

მოგრძო

მოდა (მოდის⌜ა⌝)

მოდავე (მოდავის⌜ა⌝)

მოდგა (აქეთ **მოდგა**), მაგრამ: **მოსდგა** (ცოლი **მოსდგა** მთვრალ ქმარს)

მოდგამს (ფეხს) – **მოსდგამს** (მამა-პაპისგან)

მოდელი; **სამოდელო**; **მემოდელე** (მემოდელის⌜ა⌝)

მოდერნიზაცია (მოდერნიზაციის⌜ა⌝)

მოდერნიზება (მოდერნიზების⌜ა⌝)

მოდერნიზებული (= რამაც მოდერნიზაცია განიცადა, რასაც მოდერნიზაცია შეეხო: **მოდერნიზებული** მანქანა) – **მოდერნისტული** (= მოდერნიზმისა თუ მოდერნისტისთვის დამახასიათებელი: **მოდერნისტული** ძიება/ხედვა...)

მოდერნიზმი (= ლიტ., ხელოვნ. საერთო სახელწოდება სხვადასხვა ახალი, თანამედროვე მიმდინარეობისა) – **მოდერნიზაცია** (= გათანამედროვება, განახლება: მანქანის/დეტალის **მოდერნიზაცია**)

მოდი, ახლა განვიხილოთ მეორე საკითხი [და არა მოდით, ახლა განვიხილოთ მეორე საკითხი]

მოდის (= უმართებულოა ამ ზმნის შემდეგი ტიპის კონტექსტში გამოყენება: ეს აზრი **წინააღმდეგობაში მოდის** ჩემს გადაწყვეტილებასთან. უნდა იყოს: ეს აზრი ჩემს **გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება**)

მოდიფიკატორი

მოდიფიკაცია (მოდიფიკაციის⌜ა⌝)

მოდიფიცირება: **მოდიფიცირებული**

მოდრეკს; **მოდრეკდა**; **მოდრეკდეს** [და არა მოდრეკავს, მოდრიკავს; მოდრეკავდა, მოდრიკავდა; მოდრეკავდეს, მოდრიკავდეს]; **მოდრიკა**; **მოუდრეკია**; **მოედრეკა** [და არა მოუდრეკნია, მოედრიკნა]

მოდულაცია (მოდულაციის⌜ა⌝): **მოდულაციური**

მოდული

მოდულირება (მოდულირების⌜ა⌝)

მოდუსი (მოდუსს)

[მოეარა კი არა] **მოევლო**

[მოებყრობა კი არა] **მოეპყრობა**

მოედანი (მოედნის⌜ა⌝)

მოედება; **მოედო**; **მოსდებია**; **მოსდებოდა** [და არა მოდებია, მოდებოდა]

მოეთხოვება; **მოეთხოვებოდა**; **მოეთხოვებოდეს**

მოელაპარაკება; მოელაპარაკა; მოლაპარაკებია; მოლაპარაკებოდა

მოემატება; მოემატა; მომატებია; მომატებოდა

მოემზადება; მოემზადა; მომზადებულა; მომზადებულიყო

მოენატრება; მოენატრა; მონატრებია; მონატრებოდა

მოეპოვება; მოეპოვებოდა; მოეპოვებოდეს

მოეპრიანება; მოეპრიანა; მოჰპრიანებია; მოჰპრიანებოდა [და არა მოპრიანებია, მოპრიანებოდა]

მოეპყრობა; მოეპყრო (მოვეპყარი, მოეპყარი); მოჰპყრობია; მოჰპყრობოდა [და არა მოპყრობია, მოპყრობოდა]

მოერგება; მოერგო; მორგებია; მორგებოდა

მოერევა; მოერია; მორევია; მორეოდა

მოერიდება; მოერიდა; მორიდებია; მორიდებოდა

მოეტანინებინა [და არა მოეტანიებია]

მოეტარებინა [და არა მოეტარებია]

მოეტევებინა [და არა მოეტევებია]

მოეტეხა [და არა მოეტეხნა]

მოეტრიალებინა [და არა მოეტრიალებია]

მოეშველება; მოეშველა; მოშველებია; მოშველებოდა

მოეცემა; მოეცა; მოსცემია; მოსცემოდა [და არა მოცემია, მოცემოდა]

მოეწამლა [და არა მოეწამლნა]

მოეწესრიგებინა [და არა მოეწესრიგებია]

მოეწმინდება; მოეწმინდა; მოსწმენდია; მოსწმენდოდა [და არა მოწმენდია, მოწმენდოდა]

მოეწოდებინა [და არა მოეწოდებია]

მოეწყობა (ის); **მოეწყო** (**მოვეწყვე, მოეწყვე**); **მოწყობილა; მოწყობილიყო**

მოეხსენება; მოეხსენა; მოხსენებია; მოხსენებოდა

მოეჯადოებინა [და არა მოეჯადოებია, მოეჯადოვებია]

მოვალე (= ვალის ამღები) – **მევალე** (= ვალის გამცემი)

მოვარდისფრო (მოვარდისფროდ)

მოვასწარი მე; მოასწარი შენ [და არა მოვასწრე, მოასწრე]

მოვაჭრე (მოვაჭრის˹ა˺)

მოვლა-აღზრდა (მოვლა-აღზრდის˹ა˺)

მოვლა-დამუშავება (მოვლა-დამუშავების˹ა˺)

მოვლა-დაცვა (მოვლა-დაცვის˹ა˺)

მოვლა-პატრონობა (მოვლა-პატრონობის˹ა˺)

მოვლა-შენახვა (მოვლა-შენახვის˹ა˺)

მოვლენა (ეს **მოვლენა** მეცნიერებმა შეისწავლეს; შდრ.: **ხუნების მოვლენები**) – **მოვლინება** (ჩვენს ინსტიტუტში ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან

ენათმეცნიერთა **მოვლინება** ჩვეულებრივი ფაქტია; შდრ.: **მივლინება**)

მოვლო (მან), **მოვვლე** (მე), **მოვლე** (შენ)

მოზაიკა (მოზაიკის˹ა˺): **მოზაიკური**

მოზეიმე (მოზეიმის˹ა˺)

მოზელს; **მოზელდა**; **მოზელდეს** [და არა მოზელავს, მოზილავს; მოზელავდა, მოზილავდა; მოზელავდეს, მოზილავდეს]; **მოზილა**; **მოუზელია**; **მოეზილა**

მოზიარე (მოზიარის˹ა˺)

მოზიდვა (მოზიდვის˹ა˺)

მოზომავს; **მოზომა**; **მოუზომავს**; **მოეზომა**

მოთავე (მოთავის˹ა˺)

მოთავეობა (მოთავეობის˹ა˺)

მოთამაშე (მოთამაშის˹ა˺)

მოთარეშე (მოთარეშის˹ა˺)

მოთბო

მოთელვა (სპორტ.)

მოთვალთვალე (მოთვალთვალის˹ა˺)

მოთვინიერდება; **მოთვინიერდა**; **მოთვინიერებულა**; **მოთვინიერებულიყო**

მოთმენა (= გაძლება, ატანა: ამის **მოთმენა** უკვე აღარ შეიძლება) – **მოთმინება** (= მოთმენის უნარი, შდრ.: **მოთმინებიდან გამოიყვანს**; **მოთმინებას დაკარგავს**; **მოთმინების ფიალა**)

მოთმინებადაკარგული

მოთქმა-გოდება (მოთქმა-გოდების˹ა˺)

მოთხილამურე (მოთხილამურის˹ა˺) (სპორტ.)

მოთხოვნა (= ერთი მხარის მიერ მეორისათვის რაიმეს კატეგორიულად, დაჟინებით თხოვნა) – **მოთხოვნილება** (= ბუნებრივი, შინაგანი, ფიზიოლოგიური საჭიროება: ადამიანური/შინაგანი/სასიცოცხლო/სულიერი... **მოთხოვნილება**. უმართებულოა: საზოგადოების **მოთხოვნილებაა** არჩევნების გაზაფხულზე გადატანა; უნდა იყოს: საზოგადოების **მოთხოვნაა** არჩევნების გაზაფხულზე გადატანა...)

მოთხოვნა (ზეპირ და წერით მეტყველებაში ხშირად გვხვდება: ეს პროდუქტები / მედიკამენტები... **მოთხოვნადია**. უმჯობესია: ამ პროდუქტებზე / მედიკამენტებზე... **დიდი მოთხოვნილებაა**)

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ / „ოთარაანთ ქვრივმა“ / „ოთარაანთ ქვრივს“ / „ოთარაანთ ქვრივის“ / „ოთარაანთ ქვრივით“ / „ოთარაანთ ქვრივად“; „ოთარაანთ ქვრივში“..., მაგრამ: **მოთხრობა / მოთხრობამ / მოთხრობას / მოთხრობის / მოთხრობით / მოთხრობად**; **მოთხრობაში** „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

მოიაზრებს; **მოიაზრა**; **მოუაზრებია**; **მოეაზრებინა** [და არა მოეაზრებია]

მოიგერიებს; მოიგერია; მოუგერიებია; მოეგერიებინა [და არა მოეგერიებია]

მოიგლეჯს; მოიგლეჯდა; მოიგლეჯდეს [და არა მოიგლეჯავს, მოიგლიჯავს; მოიგლეჯავდა, მოიგლიჯავდა; მოიგლეჯავდეს, მოიგლიჯავდეს]

მოიზიდავს; მოიზიდა; მოუზიდავს; მოეზიდა [და არა მოეზიდნა]

მოითმენს; მოითმინა; მოუთმენია; მოეთმინა

მოიმარაგებს; მოიმარაგა; მოუმარაგებია; მოემარაგებინა [და არა მოემარაგებია]

მოიმარჯვებს; მოიმარჯვა; მოუმარჯვებია; მოემარჯვებინა [და არა მოემარჯვებია]

მოიმდურებს; მოიმდურა; მოუმდურებია; მოემდურებინა [და არა მოემდურებია]

მოინათლება; მოინათლა; მონათლულა; მონათლულიყო

მოინანიებს; მოინანია; მოუნანიებია; მოენანიებინა [და არა მოენანიებია]

მოიპატიჟებს; მოიპატიჟა; მოუპატიჟებია; მოეპატიჟებინა [და არა მოეპატიჟებია]

მოიპოვებს; მოიპოვა; მოუპოვებია; მოეპოვებინა [და არა მოეპოვებია]

მოისარი (მოისრის˹ა˺) (სპორტ.)

მოისინჯავს; მოისინჯა; მოუსინჯავს; მოესინჯა

მოისმენს; მოისმინა; მოუსმენია; მოესმინა

მოისურვებს; მოისურვა; მოუსურვებია; მოესურვებინა [და არა მოესურვებია]

მოისხამს [და არა მოისხავს]; **მოისხა; მოუსხამს** [და არა მოუსხავს]; **მოესხა**

მოიტანს; მოიტანა; მოუტანია; მოეტანა

მოიტაცებს; მოიტაცა; მოუტაცებია; მოეტაცებინა [და არა მოეტაცებია]

მოიტეხს; მოიტეხდა; მოიტეხდეს; მოიტეხა; მოუტეხია; მოეტეხა

მოიფიქრებს; მოიფიქრა; მოუფიქრებია; მოეფიქრებინა [და არა მოეფიქრებია]

მოიყინება; მოიყინა; მოყინულა; მოყინულიყო

მოიშველიებს; მოიშველია; მოუშველიებია; მოეშველიებინა [და არა მოეშველიებია]

მოიშორებს; მოიშორა; მოუშორებია; მოეშორებინა [და არა მოეშორებია]

მოიცილებს; მოიცილა; მოუცილებია; მოეცილებინა [და არა მოეცილებია]

მოიცლის; მოიცალა; მოუცლია; მოეცალა

მოიწვევს; მოიწვია; მოუწვევია; მოეწვია

მოიწონებს; მოიწონა; მოუწონებია; მოეწონებინა [და არა მოეწონებია]

მოიხსენიებს; მოიხსენია; მოუხსენიებია; მოეხსენიებინა [და არა მოეხსენიებია]

მოიჯარე (მოიჯარის⌜ა⌝) [და არა მოიჯარადრე]

მოკავშირე (მოკავშირის⌜ა⌝)

მოკამათე (მოკამათის⌜ა⌝)

მოკარნახე (მოკარნახის⌜ა⌝)

მოკეთე (მოკეთის⌜ა⌝)

მოკვდა (ერთი), მაგრამ: **დაიხოცა** (ბევრი)

მოკვდავი (= ვინც კვდება საერთოდ) – **მომაკვდავი** (= ვინც ან რაც კვდება ამჟამად)

[მოკვეთს კი არა] **მოჰკვეთს** (ის მას თავს)

[მოკიდებს, მოკიდა კი არა] **მოჰკიდებს** (ის მას ხელს); **მოჰკიდა** (მან მას ხელი)

[მოკითხავს კი არა] **მოჰკითხავს** (ის მას პასუხს)

მოკიჟინე (მოკიჟინის⌜ა⌝)

მოკისკისე (მოკისკისის⌜ა⌝)

მოკლე (მოკლის⌜ა⌝)

მოკლევადიანი

მოკლეკაბიანი

მოკლემეტრაჟიანი (ფილმი)

მოკლე მოგვერდი (სპორტ.)

მოკლე-მოკლე (მოკლე-მოკლედ)

მოკლესახელოებიანი (კაბა...)

მოკრებს; მოკრიბა; მოუკრებია; მოეკრიბა (ხალხი...), შდრ.: **მოკრეფს; მოკრიფა; მოუკრეფია; მოეკრიფა** (ხილი...)

მოკრივე (მოკრივის⌜ა⌝) [და არა ბოქსიორი] (სპორტ.)

მოლაპარაკე (მოლაპარაკის⌜ა⌝)

მოლაპარაკება (მოლაპარაკების⌜ა⌝): **მოლაპარაკებული**

მოლარე (მოლარის⌜ა⌝)

მოლარე-ინკასატორი

მოლარე-ოპერატორი

მოლაქლაქე (მოლაქლაქის⌜ა⌝)

მოლაყბე (მოლაყბის⌜ა⌝)

მოლბერტი

მოლდაველი; მოლდავური

მოლეკულა (მოლეკულის⌜ა⌝): **მოლეკულური**

მოლოდინი [და არა მოლოდინები]

მომაბეზრებელი (მომაბეზრებლად)

მომადლება (= ბოძება: **მომადლება** ნიჭისა/ღირსებისა) – **მომადლიერება** (= გულის მოგება: **მომადლიერება** მეგობრისა/მეზობლისა)

მომადლებული (= მონიჭებული, ბოძებული: **მომადლებული** ნიჭი / ღირსება) – **მომადლიერებული** (ადამიანი)

მომავალი (მომავლის⌜ა⌝)

მომაკვდინებელი (ცოდვა/სიტყვა/საქციელი)

მომატყუებელი (მომატყუებლის˹ა˺)

მომაქცეველი (= ვინც ან რაც მოაქცევს ახალ, სხვა სარწმუნოებაზე ვინმეს) – **მომქცევი** (= ვინც ისე თუ ასე მოიქცევა)

მომაჯადოებელი (მომაჯადოებლად); **მომჯადოებელი** (მომჯადოებლისა˹ა˺)

მომგები; **მოგებიანი**

მომგერიებელი (მომგერიებლის˹ა˺)

მომგონებელი (მომგონებლის˹ა˺) // **მომგონი**

მომგროვებელი (მომგროვებლის˹ა˺)

მომდინარე (მომდინარის˹ა˺)

მომდინარეობს; **მომდინარეობდა**; **მომდინარეობდეს**

მომდინარი

მომდურავი

მომენტი: **მომენტური** (// **მომენტალური**)

მომზადდება; **მომზადდა**; **მომზადებულა**; **მომზადებულიყო**

მომზიდველი; **მომზიდავი**

მომთაბარე (მომთაბარის˹ა˺); **მომთაბარეობა** (მომთაბარეობის˹ა˺)

მომიჯნავე (მომიჯნავის˹ა˺)

მომკითხავი და **მომკითხველი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც მოიკითხავს (ვინმეს ან რაიმეს); ამბის მკითხველი, მაგრამ **მომკითხავს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: პასუხის მომთხოვნი.

მომლოდინე (მომლოდინის˹ა˺)

მომლოცველი (მომლოცველის˹ა˺)

მომლხენი

მომმარაგებელი (მომმარაგებლის˹ა˺)

მომმატებია; **მომმატებოდა**; **მომმატებოდეს**

მომნელებელი (მომნელებლის˹ა˺)

მომნიჭებელი (მომნიჭებლის˹ა˺)

მომპატიჟებელი (მომპატიჟებლის˹ა˺)

მომპოვებელი (მომპოვებლის˹ა˺)

მომჟავო [დაარა მომჟაო]

მომჟავო-მოტკბო [დაარა მომჟაო-მოტკბილო]

მომსახურე (= ვინც ემსახურება, მომსახურებას უწევს ვინმეს: **მომსახურე** პერსონალი; შდრ.: **მოსამსახურე**: მოახლე)

მომსახურება (მომსახურების˹ა˺) [დაარა მომსახურეობა]

მომსვლელ-წამსვლელი (მომსვლელ-წამსვლელის˹ა˺)

მომსწრე და **მომსწრები** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც მოესწრო (რაიმეს); მნახველი, მხილველი: „ვაი, იმ დღის **მომსწრეს**“ (აკაკი); „ღამე ვიდოდა ცხენითა, უკან იახლის ლამპრები, ამგვარი ყოფა-ქცევისა არავინ იყო **მომსწრები**“ (რ. ერისთ.), მაგრამ **მომსწრებს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვინც მოასწრებს; რაიმეს

დროზე გამკეთებელი, დროზე შემსრულებელი.

მომსწრე (მომსწრის˹ა˺)

მომტყუებელი (მომტყუებლის˹ა˺)

მომუშავე (მომუშავის˹ა˺)

[მომქმედი კი არა] **მოქმედი**

მომღერალი (მომღერლის˹ა˺)

მომჩივანი (მომჩივნის˹ა˺) // **მოჩივარი** (მოჩივრის˹ა˺)

მომჩივან-მოპასუხე (მომჩივან-მოპასუხის˹ა˺)

მომცემი (მომცემმა)

მომცრო

მომწამვლელი // მომწამლავი

მომწარო

მომჭირნე (მომჭირნის˹ა˺); **მომჭირნეობა** (მომჭირნეობის˹ა˺)

მომხდენი

მომხდომი (მომხდომმა) // **მომხდური**

მომხვეჭი // მომხვეჭელი (მომხვეჭელის˹ა˺)

მომხიბლავი // მომხიბვლელი

მომხიბლაობა (მომხიბლაობის˹ა˺) // **მომხიბვლელობა** (მომხიბვლელობის˹ა˺)

მომხმარე და **მომხმარებელი** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: გამომყენებელი; ვინც მოიხმარს, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ – **მომხმარე** (= დამხმარე); **მომხმარებელი** (= მყიდველი).

მომხმარებელი (მომხმარებლის˹ა˺)

მომხრე (მომხრის˹ა˺)

მომხსენებელი (მომხსენებლის˹ა˺)

მონაგარი (მონაგრის˹ა˺)

მონაგები

მონადირე (მონადირის˹ა˺)

მონაზონი (მონაზვნის˹ა˺)

მონაზვნობა (მონაზვნობის˹ა˺)

მონათმფლობელობა (მონათმფლობელობის˹ა˺); **მონათმფლობელური**

მონაპოვარი (მონაპოვრის˹ა˺)

მონაცემთა ბაზა (მონაცემთა ბაზის˹ა˺)

მონაცემი (მონაცემმა)

მონაცვლეობა (მონაცვლეობის˹ა˺)

მონაწილე (მონაწილის˹ა˺)

მონახავს; მონახა; მოუნახავს; მოენახა

მონახევრე (მონახევრის˹ა˺)

მონეტა (მონეტის˹ა˺): **მონეტური**

მონიტორინგი

მონოგრაფია (მონოგრაფიის˹ა˺): **მონოგრაფიული**

მონოთეისტი: **მონოთეისტური**

მონოლოგი: **მონოლოგური**

მონონუკლეოზი (მონონუკლეოზზე)

მონოპოლია (მონოპოლიის˹ა˺): **მონოპოლიური**

მონოპოლიზაცია (მონოპოლიზაციის˹ა˺)

მონოპოლიზება (მონოპოლიზების˹ა˺): **მონოპოლიზებული** [და არა

მონოპოლიზირება, მონოპოლიზირებული]

მონოპოლისტი: **მონოპოლისტური**

მონოტონური (მონოტონურად)

მონოფიზიტები: ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც აღიარებენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას – ღვთიურს (საპირისპ. **დიოფიზიტები**).

მონუმენტალისტი

მონუმენტი: **მონუმენტური** [და არა მონუმენტალური]

მონუმენტურობა [და არა მონუმენტალურობა]

მოოქროსფრო (მოოქროსფროდ)

მოოქრული

მოოჭვა; **მოოჭვილი**

მოპაექრე (მოპაექრის'ა')

[მოპარავს კი არა] **მოჰპარავს** (ის მას მას)

მოპასუხე (მოპასუხის'ა')

მოპირდაპირე (მოპირდაპირის'ა')

მოპირისპირე (მოპირისპირის'ა')

მოპირკეთება (მოპირკეთების'ა')

მოპოვება (მოპოვების'ა'): **მოპოვებული**

მოპყრობა (მოპყრობის'ა')

მორაგბე (მორაგბის'ა') (სპორტ.)

მორალურ-ეთიკური

მორალური (= ზნეობრივი: **მორალური** პრინციპები) – **მორალისტური** (= მორალისტისთვის დამახასიათებელი: **მორალისტური** მიდგომა; **მორალისტი** – ზნეობის მასწავლებელი)

მორატორიუმი (მორატორიუმმა)

მორბენალი (მორბენალის'ა') (სპორტ.)

მორთვა-მოკაზმვა; **მორთულ-მოკაზმული** (მორთულ-მოკაზმულად)

მორიგე (მორიგის'ა')

მორიგი (არჩევნები...)

მორიდება (მორიდების'ა'): **მორიდებული**

მორკინალი (მორკინალის'ა') (სპორტ.)

მორწმუნე (მორწმუნის'ა')

მორწყავს; **მორწყო** (**მოვრწყე**, **მორწყე**) [და არა მორწყა, მოვრწყი, მორწყი]

მოსააზრებელი (მოსააზრებლად)

მოსაბეზრებელი (მოსაბეზრებლად)

მოსაბრუნებელი (მოსაბრუნებლად) [და არა მოსაბრუნი, მოსაბრუნები]

მოსაგერიებელი (მოსაგერიებლად)

მოსაგვარებელი (მოსაგვარებლად) [და არა მოსაგვარები]

მოსაგონარი (= ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი: წინაპრის **მოსაგონარი** შეისვა) – **მოსაგონებელი** (= რაც უნდა მოიგონონ ან გაიხსენონ: **მოსაგონებელი** ამბავი)

მოსაგროვებელი (მოსაგროვებლად)

მოსავალი (მოსავლის'ა')

მოსაზიდი // მოსაზიდავი

მოსაზრება (მოსაზრების⌜ა⌝)

მოსათიხი // მოსათიხავი

მოსათოკი // მოსათოკავი

მოსაკრები (გადასახადი) – **მოსაკრეფი** (ხილი)

[მოსაკუთრე კი არა] **მესაკუთრე**

მოსალაპარაკებელი (მოსალაპარაკებლად)

მოსალოცი (ბარათი) – **მოსალოცავი** (ადგილები)

მოსამართავი (// **მოსამართი**)

მოსამართლე (მოსამართლის⌜ა⌝)

მოსამზადებელი (მოსამზადებლად)

მოსამიზეზებელი (მოსამიზეზებლად)

მოსამსახურე (მოსამსახურის⌜ა⌝)

მოსანადირებელი (მოსანადირებლად)

მოსანათლავი (// **მოსანათლი**)

მოსანანიებელი (მოსანანიებლად)

მოსაპარსი (მოსაპარსს) // **მოსაპარსავი**

მოსარგებლე (მოსარგებლის⌜ა⌝)

მოსარეცხი // მოსარეცხავი

მოსარიგებელი (მოსარიგებლად)

მოსარჩელე (= ვინც სარჩელს აღძრავს სასამართლოში, საპირისპ. **მოპასუხე**) – **მოსარჩლე** (= ვინც ესარჩლება ვინმეს, ქომაგი, მფარველი)

მოსასვლელი (გზა)

მოსასმენი: ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **მოსმენადი** საკითხები, **მოსმენადი** სიმღერა... უმჯობესია: ამ საკითხების **მოსმენა შესაძლებელია, შეიძლება** // ამ **საკითხებს მოვისმენთ**; ეს **საკითხები მოსასმენია**; ამ სიმღერის **მოსმენა შეიძლება**; ამ სიმღერას **მოვისმენთ**; ეს სიმღერა კარგად **ისმინება**... (კონტექსტის მიხედვით).

მოსასწრები (მოსასწრებად)

მოსაუბრე (მოსაუბრის⌜ა⌝)

მოსაშუშავი, მოსაშუში (ხახვი) – **მოსაშუშებელი** (ჭრილობა)

მოსაწესრიგებელი (მოსაწესრიგებლად)

მოსაწვევი

მოსაწონი [და არა მოსაწონარი]

მოსაჭიდებელი [// მოსაჭიდი]

მოსაჭკვიანებელი (მოსაჭკვიანებლად)

მოსახადი

მოსახათრებელი (მოსახათრებლად)

მოსახარში (// **მოსახარშავი**)

მოსახატავი // მოსახატი

მოსახდელი

მოსახდენი [და არა მოსახდენელი]

მოსახედავი // მოსახედი

მოსახერხებელი (მოსახერხებლად)

მოსახერხი (// **მოსახერხავი**)

მოსახვეჭი (// **მოსახვეჭელი**)

მოსახილველი // მოსახილავი

მოსახლე (მოსახლის⌜ა⌝)

მოსახმარი და **მოსახმარებელი** ერთ

შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: რაც უნდა მოიხმარონ, გამოსაყენებელი; მაგრამ **მოსახმარებელს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვისაც უნდა მოეხმარონ; დასახმარებელი.

მოსახსენებელი (მოსახსენებლად)

მოსეირნე (მოსეირნის⌜ა⌝)

მოსვლა; **მოსვლისას**; **მოსვლისთანავე**

მოსთხოვს; **მოსთხოვა**; **მოსთხოვოს** [და არა მოთხოვს...]

მოსიარულე (მოსიარულის⌜ა⌝)

მოსინჯავს; **მოსინჯა**; **მოუსინჯავს**; **მოესინჯა**

მოსისხლე (მოსისხლის⌜ა⌝)

მოსიყვარულე (მოსიყვარულის⌜ა⌝)

მოსმენა [და არა მოსმენები] (უმართებულოა: პარლამენტში დაიწყო ამ საკითხების **მოსმენები**. უნდა იყოს: პარლამენტში დაიწყო ამ საკითხების **მოსმენა**)

მოსპობს; **მოსპო**; **მოუსპია**; **მოესპო**

მოსტაცებს; **მოსტაცა**; **მოუტაცებია**; **მოეტაცებინა** [და არა მოეტაცებია]

მოსტყდება; **მოსტყდა**; **მოსტყდომია**; **მოსტყდომოდა** (მას ხელი), მაგრამ: **მოტყდა** (ტოტი), შდრ.: გადატ. **მოტყდა** (კაცი)

მოსურვე // მოსურნე

მოსქო [და არა მოსქელო]

[მოსჩანს კი არა] **მოჩანს**

მოსჩქეფს (კაცს სისხლი), მაგრამ: **მოჩქეფს** (მდინარე)

მოსყიდვა; **მოსყიდული**

მოსცემია; **მოსცემოდა**; **მოსცემოდეს**

მოსცილდება; **მოსცილდა**; **მოსცილებია**; **მოსცილებოდა** (მას ჭუჭყი), მაგრამ: **მოცილდი აქედან!** შდრ.: **მოსცლია** (მას)

მოსძალებია; **მოსძალებოდა**; **მოსძალებოდეს**

მოსწავლე და **მოწაფე** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც სწავლობს, მაგრამ **მოწაფეს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: ვინმეს მოძღვრებისა თუ პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი, გამგრძელებელი, მაგ., ქრისტეს **მოწაფეები**.

მოსწევს; **მოსწია** [და არა მოწევს, მოწია]

მოსწერს (იმ მას მას)

მოსწმენდს (ის მას ცრემლს), მაგრამ: **მოწმენდს** (ის იატაკს)

მოსწონს; **მოსწონდა**; **მოსწონდეს** [და არა მოწონს, მოწონდა, მოწონდეს]

მოსწრებია; **მოსწრებოდა**; **მოსწრებოდეს**

მოსწრებული; **მოსწრებულობა**

მოსწყვეტს (ის მას მზერას), მაგრამ: **მოწყვეტს** (ის ყვავილს)

მოსწყინდება; **მოსწყინდა**; **მოსწყენია**; **მოსწყენოდა** [და არა მოწყინდება, მოწყინდა...]

მოსწყურდება; მოსწყურდა; მოსწყურებია; მოსწყურებოდა [და არა მოწყურდება, მოწყურდა...]

მოსჭამს [და არა მოჭამს] (ის მას ჭირს), მაგრამ: **მოჭამს; მოჭამა; მოუჭამია** (დრო)

მოსჭარბებია; მოსჭარბებოდა; მოსჭარბებოდეს [და არა მოჭარბებია...]

მოსჭიდებია; მოსჭიდებოდა; მოსჭიდებოდეს [და არა მოჭიდებია...]

მოსჭრის (ის ხეს ტოტს), მაგრამ: **მოჭრის** (ის ხეს)

[მოტანა მაგალითისა/ციტატისა... კი არა] **მოყვანა მაგალითისა/ციტატისა...**

მოტეხს (ტაროს), მაგრამ: **მოსტეხს** (ხეს ტოტს)

მოტივაცია (მოტივაციის⌜ა⌝)

მოტივირება (მოტივირების⌜ა⌝): **მოტივირებული**

მოტკბო [და არა მოტკბილო]

მოტკბო-მომჟავო

მოტობურთი (// **მოტობოლი**) (სპორტ.)

მოტოდრომი (სპორტ.)

მოტომრბოლელი (სპორტ.)

მოტორბოლა (სპორტ.)

მოტოსპორტი

მოტოციკლი: მოტოციკლისტი

მოტყუება: მოტყუებული

მოუბამს; მოუბამდა; მოუბამდეს [და არა მოუბავს...]

მოუბარი (მოუბრის⌜ა⌝)

მოუბოდიშებს; მოუბოდიშა; მოუბოდიშებია; მოებოდიშებინა [და არა მოებოდიშებია]

მოუგერიებელი (მოუგერიებლად)

მოუგვარებელი (მოუგვარებლად)

მოუგლეჯს; მოუგლეჯდა; მოუგლეჯდეს [და არა მოუგლეჯავს, მოუგლიჯავს; მოუგლეჯავდა, მოუგლიჯავდა; მოუგლეჯავდეს, მოუგლიჯავდეს]; **მოუგლიჯა; მოუგლეჯია; მოეგლიჯა**

მოუგონებს; მოუგონა; მოუგონებია; მოეგონებინა [და არა მოეგონებია]

მოუგრეხს; მოუგრეხდა; მოუგრეხდეს [და არა მოუგრეხავს, მოუგრიხავს; მოუგრეხავდა; მოუგრიხავდა; მოუგრეხავდეს, მოუგრიხავდეს]; **მოუგრიხა; მოუგრეხია; მოეგრიხა**

მოუდრეკელობა (მოუდრეკელობის⌜ა⌝) // **მოუდრეკლობა** (მოუდრეკლობის⌜ა⌝)

მოუდრეკს; მოუდრეკდა; მოუდრეკდეს [და არა მოუდრეკავს, მოუდრიკავს; მოუდრეკავდა, მოუდრიკავდა; მოუდრეკავდეს, მოუდრიკავდეს]; **მოუდრიკა; მოუდრეკია; მოედრიკა**

მოუზელს; მოუზელდა; მოუზელდეს [და არა მოუზელავს, მოუზილავს; მოუზელავდა, მოუზილავ-

და; მოუზელავდეს, მოუზილავდეს]; **მოუზილა**; **მოუზელია**; **მოეზილა**

მოუთათბირებელი (მოუთათბირებლად)

მოუთმენელი (მოუთმენლად)

მოუთმენლად (= ისე, რომ ვერ ითმენს: „მოხუცი **მოუთმენლად** მივარდა აბგას“ – ნ. ლორთქ.) – **სულმოუთქმელად** (= ისე, რომ სული არ მოუთქვამს; შეუსვენებლად, ძლიერ სწრაფად: „ბიჭმა ერთი ჩაფი ღვინო **სულმოუთქმელად** დაცალა“ – ნ. ლორთქ.)

მოუთმენლობა (მოუთმენლობის˹ა˺)

მოუკრეფავი // მოუკრეფელი (მოუკრეფლად)

მოუკრეფს; **მოუკრიფა**; **მოუკრეფია**; **მოეკრიფა** (ხილი), მაგრამ: **მოუკრებს**; **მოუკრიბა**; **მოუკრებია**; **მოეკრიბა** (ხალხი)

მოულოდნელი (მოულოდნელად)

მოულოდნელობა (მოულოდნელობის˹ა˺)

მოულოცავს; **მოულოცავდა**; **მოულოცავდეს**; **მოულოცა**; **მოულოცავს**; **მოელოცა**

მოუმარაგებელი (მოუმარაგებლად)

მოუმარაგებლობა (მოუმარაგებლობის˹ა˺)

მოუმარაგებს; **მოუმარაგა**; **მოუმარაგებია**; **მოემარაგებინა** [და არა მოემარაგებია]

მოუმატებს; **მოუმამტა**; **მოუმატებია**; **მოემატებინა** [და არა მოემატებია]

მოუმზადებელი (მოუმზადებლად)

მოუმწიფებელი (მოუმწიფებლად)

მოუმწიფებლობა (მოუმწიფებლობის˹ა˺)

მოუნდება; **მოუნდა**; **მონდომებია**; **მონდომებოდა**

მოუნელებელი (მოუნელებლად)

მოურიგდება; **მოურიგდა**; **მორიგებია**; **მორიგებოდა**

მოურიდებელი (მოურიდებლად)

მოურიდებლობა (მოურიდებლობის˹ა˺)

მოურჩენელი (მოურჩენლად)

მოურწყავს; **მოურწყავდა**; **მოურწყავდეს**; **მოურწყო**; **მოურწყავს** (თურმე); **მოერწყო**

მოუსავლიანობა (მოუსავლიანობის˹ა˺) [// მოუსავლობა]

მოუსაზრებელი (მოუსაზრებლად)

მოუსვამს; **მოუსვამდა**; **მოუსვამდეს**; **მოუსვა**; **მოუსვამს**; **მოესვა**

მოუსვენარი (მოუსვენრად)

მოუსვენებელი (მოუსვენებლად)

მოუსმენს; **მოუსმინა**; **მოუსმენია**; **მოესმინა**

მოუფიქრებელი (მოუფიქრებლად)

მოუფიქრებლობა (მოუფიქრებლობის˹ა˺)

მოუყვა (ის მას მას) [და არა მან მას ის]: **მოუყვა დედა შვილს ზღაპარს** [და არა მოუყვა დედამ შვილს ზღაპარი], მაგრამ: **დედამ შვილს ზღაპარი უამბო.**

მოუბლურდება; მოუბლურდა; მოუბლურებულა; მოუბლურებულიყო

მოუცილებელი (ჭირი) – **მოუცლელი** (კაცი)

მოუწესრიგებელი (მოუწესრიგებლად)

მოუწესრიგებლობა (მოუწესრიგებლობის[ა])

მოუწვავს; მოუწვავდა; მოუწვავდეს; მოუწვა; მოუწვავს; მოეწვა

მოუწყვეტს; მოუწყვეტდა; მოუწყვეტდეს [და არა მოუწყვეტავს, მოუწყვიტავს; მოუწყვეტავდა, მოუწყვიტავდა; მოუწყვეტავდეს, მოუწყვიტავდეს]

მოუწყობელი (მოუწყობლად)

მოუხაზავს; მოუხაზავდა; მოუხაზავდეს; მოუხაზა; მოუხაზავს; მოეხაზა

მოუხარშავს; მოუხარშავდა; მოუხარშავდეს; მოუხარშა, მოუხარშავს (თურმე); **მოეხარშა**

მოუხერხებელი (მოუხერხებლად)

მოუხერხებლობა (მოუხერხებლობის[ა])

მოუხმობს; მოუხმო; მოუხმია; მოეხმო

მოუხრის; მოუხარა; მოუხრია; მოეხარა

მოფარიკავე (სპორტ.)

მოქალაქე (მოქალაქის[ა]); **მოქალაქეობა** (მოქალაქეობის[ა])

მოქალაქეობრივი

პირმშო (= პირველი შვილი. ამ სიტყვასთან მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია)

პირობა (პირობის⌜ა⌝)

პირობითი (პირობითად); **პირობითობა** (პირობითობის⌜ა⌝)

პირსახანი

პირსისხლიანი

პირუეტი (ს პ ო რ ტ.)

პირუთვნელი (პირუთვნელად)

პირუთვნელობა (პირუთვნელობის⌜ა⌝)

პირუკუ

პირუკუღმა

პირქვე

პირქვედამხობილი

პირქუში

პირწავარდნილი

პირწმინდა (პირწმინდად)

პირჯვარი (პირჯვრის⌜ა⌝)

პიტნა (პიტნის⌜ა⌝)

პიტჩერი (ს პ ო რ ტ.)

პიურე (პიურეს⌜ი⌝)

პიქტოგრაფია (პიქტოგრაფიის⌜ა⌝)

პიცა (პიცის⌜ა⌝)

პიცერია (პიცერიის⌜ა⌝)

პლაგიატი (= ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის მითვისება, ქურდობა) – **პლაგიატორი** (= სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი)

პლაზმა (პლაზმის⌜ა⌝): **პლაზმური**

პლაკატი: პლაკატური

პლანერი: პლანერისტი (სპორტ.)

პლანეტა (პლანეტის⌜ა⌝)

პლანტაცია (პლანტაციის⌜ა⌝)

პლანშეტი

პლაჟი (პლაჟს) [და არა პლიაჟი]

პლაჟის ფრენბურთი / ხელბურთი / ფეხბურთი (სპორტ.)

პლასტიკა (პლასტიკის⌜ა⌝): **პლასტიკური** (პლასტიკურად) [და არა პლასტიური, პლასტიურად]

პლასტიკურობა [და არა პლასტიურობა]

პლასტილინი [და არა პლასტელინი]

პლასტმასა (პლასტმასის⌜ა⌝)

პლატინა (პლატინის⌜ა⌝)

პლატო

პლატონური [და არა პლატონიური]

პლატფორმა (პლატფორმის⌜ა⌝)

პლაფონი

(პლაშჩი //) ლაბადა, წამოსასხამი

პლაცდარმი (პლაცდარმმა)

პლაცენტა (პლაცენტის⌜ა⌝)

პლეადა (პლეადის⌜ა⌝) [და არა პლიადა, პლიადისა]

პლებეი (მოთხრ. პლებეიმ, მიც., ნათ. პლებეის)

პლებეური [და არა პლებეიური]

პლებისციტი (= ხალხის გადაწყვეტილება; საერთო-სახალხო კენჭისყრა)

პლევრიტი (= მედიც. პლევრის ანთება; **პლევრა**: ანატ. სეროზული გარსი, რომელიც ფარავს გულმკერდის ღრუს კედლებსა და ფილტვებს) – **პნევმონია** (= მედიც. ფილტვების ანთება)

პლენარული (სხდომა)

პლექსიტი (= მედიც. ნერვული წნულის დაავადება ინფექციის, ინტოქსიკაციის, ტრავმის... დროს)

პლინთუსი (პლინთუსს) (= თამასა, ლარტყა, რომელიც გასდევს კედელს იატაკის გადაკვეთასთან)

[პლომბიკი არა] **ბჟენი** (კბილისა)

პლურალიზმი (პლურალიზმმა)

პლუსი (პლუსს) [და არა პლიუსი, პლიუსს]

პოდიუმი (პოდიუმმა)

პოეზია (პოეზიის⌜ა⌝)

პოემა „გამზრდელი“ / „გამზრდელმა“ / „გამზრდელს“ / „გამზრდელის“ / „გამზრდელით“...; „გამზრდელში“, მაგრამ: **პოემა / პოემამ / პოემას / პოემის / პოემით**...; **პოემაში** „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“

პოეტიკური (= მხატვრული ლიტერატურის თეორიასთან დაკავშირებული, მისთვის დამახასიათებელი) – **პოეტური** (= პოეტისა

თუ პოეზიისათვის დამახასიათებელი: **პოეტური** ნაწარმოები/ნიჭი/გარემო)

პოვებს; პოვა [და არა ჰპოვებს, ჰპოვა]; **უპოვია; ეპოვა**

პოზა (პოზის⌜ა⌝)

პოზირება (= მხატვრის, მოქანდაკის, ფოტოგრაფის წინაშე გარკვეული პოზით დგომა) – **პოზიორობა** (= პოზიორის – გარეგნული ეფექტის მოყვარულის – საქციელი)

პოზიტივი

პოზიტიური (= 1. დადებითი, მაგ. **პოზიტიური** მოვლენა; 2. ფაქტებზე, ცდაზე დამყარებული, მაგ., **პოზიტიური** მეცნიერებანი; 3. რაც პოზიტივს წარმოადგენს, მაგ., **პოზიტიური** გამოსახულება) – **პოზიციური** (= პოზიციასთან დაკავშირებული: **პოზიციური** ბრძოლა / უპირატესობა)

პოზიცია (პოზიციის⌜ა⌝): **პოზიციური**

პოზიციური უპირატესობა (სპორტ.)

პოკერი

პოლარელი

პოლარული (ღამე)

პოლარიზაცია (პოლარიზაციის⌜ა⌝)

პოლარიზება (პოლარიზების⌜ა⌝): **პოლარიზებული**

პოლემიკა (პოლემიკის⌜ა⌝): **პოლემიკური; საპოლემიკო**

პოლემისტი

პოლიართრიტი (= მედიც. რამდენიმე სახსრის ერთდროული ან თანმიმდევრული დაავადება)

პოლიგლოტი: პოლიგლოტური

პოლიგონი

პოლიკლინიკა (პოლიკლინიკის⌜ა⌝)

პოლიმერები (მრ.)

პოლიპი: პოლიპური (წარმონაქმნი)

პოლისი (პოლისს)

პოლიტიზება (პოლიტიზების⌜ა⌝)

პოლიტიზებული [და არა პოლიტიზირება, პოლიტიზირებული]

პოლიტიკა (პოლიტიკის⌜ა⌝)

პოლიტიკოსი (პოლიტიკოსს)

პოლიტიკური (= პოლიტიკასთან დაკავშირებული: **პოლიტიკური** შეხედულებები/ბრძოლა...) – **პოლიტიკანური** (= პოლიტიკანისათვის დამახასიათებელი)

პოლიტინფორმატორი

პოლიტოლოგი

პოლიტოლოგია (პოლიტოლოგიის⌜ა⌝)

პოლიტპატიმარი (პოლიტპატიმრის⌜ა⌝)

პოლიტსაბჭო

პოლიფონია (პოლიფონიის⌜ა⌝): **პოლიფონიური**

პოლიქრომია (პოლიქრომიის⌜ა⌝) (= მრავალი ფერის გამოყენება ხუროთმოძღვრებაში, ქანდაკებაში...)

პოლიცია (პოლიციის⌜ა⌝): **პოლიციური**

პოლიციელი

[პოლო //] **ცხენბურთი**

პოლონელი; **პოლონური**

პოლუსი (პოლუსს)

პომპეზური (პომპეზურად)

პონი (მ ო თ ხ რ. პონიმ, მ ი ც., ნ ა თ. პონის, მ რ. პონები)

პოპვარსკვლავი

პოპმუსიკა (პოპმუსიკის ⌜ა⌝)

პოპულარიზაცია (პოპულარიზაციის ⌜ა⌝)

პოპულარიზება (პოპულარიზების ⌜ა⌝)

პოპულარიზებული

პოპულარობა (= საყოველთაო გავრცელება; მოწონება; აღიარება, მ დ რ.: **პოპულარიზაცია**: 1. რაიმე რთული საკითხის გასაგებად გადმოცემა; 2. რაიმეს ქება და მისაბაძად ქცევა; ფართო მასებში გავრცელება და დანერგვა)

პოპულარული (პოპულარულად)

პოპულაცია (პოპულაციის ⌜ა⌝)

პოპულიზმი (პოპულიზმმა)

პოპულისტი: **პოპულისტური**

პოპური (მ ო თ ხ. პოპურიმ, მ ი ც., ნ ა თ. პოპურის)

პორტალი (პორტალის ⌜ა⌝); **ვიდეოპორტალი** (ვიდეოპორტალის ⌜ა⌝)

პორტრეტი: **პორტრეტული**

პორტუგალიელი; **პორტუგალიური**

პორტფოლიო (= 1. ნამუშევრების კრებული – მხატვრის, ფოტოგრაფის, დიზაინერის...; 2. პ ო ლ ი ტ. მაღალი თანამდებობის პირთა ფუნქცია-მოვალეობები, აქტივები)

(პოსტამენტი //) კვარცხლბეკი

პოსტსკრიპტუმი (პოსტსკრიპტუმმა): მინაწერი წერილის ბოლოს, ხელმოწერის შემდეგ (P. S.)

პოსტულატი

პოსტფაქტუმი (პოსტფაქტუმმა): გაკეთებულის (მომხდარის) შემდეგ.

პოტენცია (= შესაძლებლობა, ძალა, უნარი რაიმეს შესასრულებლად, მისაღწევად) – **პოტენციალი** (= 1. ფ ი ზ. სკალარული და ვექტორული სიდიდე, რომლის დახმარებითაც შეიძლება ვიპოვოთ სხვა სიდიდეები; 2. გ ა დ ა ტ. რაიმეს განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა, მაგ., სამხედრო **პოტენციალი**)

პოტენციური (პოტენციურად)

პოულობს (**იპოვა**; **უპოვია**; **ეპოვა**)

პრაგმატიზმი (პრაგმატიზმმა)

პრაგმატიკა (პრაგმატიკის ⌜ა⌝)

პრაგმატისტი

პრაიმერიზი (პრაიმერიზზე): 1. პრეზიდენტობის კანდიდატთა პირველადი არჩევნები; 2. პარტიული ყრილობის დელეგატთა არჩევა.

პრანჭვა-გრეხა (პრანჭვა-გრეხის ⌜ა⌝) [დ ა ა რ ა პრანჭვა-გრეხვა]

პრაქტიკა (პრაქტიკის ⌜ა⌝) [დ ა ა რ ა პრაქტიკები]

პრაქტიკანტი (= ვინც პრაქტიკას გადის: **პრაქტიკანტი** სტუდენტები) – **პრაქტიკოსი** (= თავისი საქმის პრაქტიკულად მცოდნე და გამომყენებელი; დიდი გამოცდილების მქონე: **პრაქტიკოსი** ექიმი)

პრეამბულა (პრეამბულის⌜ა⌝)

პრევენცია (პრევენციის⌜ა⌝): წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად.

პრევენციული (ზომები)

პრეზენტაცია (პრეზენტაციის⌜ა⌝)

პრეზიდენტი; **საპრეზიდენტო**

პრეზიდიუმი (პრეზიდიუმმა)

პრეზუმფცია (პრეზუმფციის⌜ა⌝) (= ი უ რ. ვარაუდი, რომელიც სარწმუნოდაა მიჩნეული, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა)

პრეისკურანტი

პრეისტორია (პრეისტორიის⌜ა⌝): **პრეისტორიული**

პრელუდია (პრელუდიის⌜ა⌝)

პრემია (პრემიის⌜ა⌝)

პრემიერა (პრემიერის⌜ა⌝)

პრემიერი

პრემიერ-მინისტრი (// **პრემიერმინისტრი**)

პრემირება (პრემირების⌜ა⌝)

პრემიული (= პრემიის ხასიათისა: ხელფასის **პრემიული** დანამატი; შ დ რ.: **პრემირებული**: პრემიით დაჯილდოებული)

პრეპარატი

პრეპარირება (პრეპარირების⌜ა⌝)

პრეროგატივა (პრეროგატივის⌜ა⌝)

პრესა (პრესის⌜ა⌝)

პრესატაშე (პრესატაშეს⌜ი⌝)

პრესინგი (ს პ ო რ ტ.)

პრესკონფერენცია (პრესკონფერენციის⌜ა⌝)

პრესმდივანი (პრესმდივნის⌜ა⌝)

პრესრელიზი (პრესრელიზზე)

პრესსამსახური

პრესსპიკერი

პრესსტუდია (პრესსტუდიის⌜ა⌝)

პრესტიჟი (პრესტიჟს): **პრესტიჟული**

პრესცენტრი

პრეტენდენტი

პრეტენზია (პრეტენზიის⌜ა⌝); **საპრეტენზიო**

პრეტენზიული (= პრეტენზიის ხასიათისა; უკმაყოფილო, მაგ., **პრეტენზიული** ადამიანი/ტონი, შ დ რ.: **პრეტენციოზული**: თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენასთან დაკავშირებული; გაზვიადებულ მოთხოვნათა მქონე)

პრეფერანსი (პრეფერანსს)

პრეფექტი (= 1. ი ს ტ. ძველ რომში – ზოგი ადმინისტრაციული ან სამხედრო თანამდებობის სახელწოდება; 2. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში – უმაღლესი სახელმწი-

ფო მოხელე; 3. ქალაქის პოლიციის უფროსის სახელწოდება ზოგ ქვეყანაში)

პრეფექტურა (პრეფექტურის⌜ა⌝)

პრეცედენტი [და არა პრეცენდენტი] (= პირველად მომხდარი რამ, რაც ნიმუშად გამოიყენება მსგავსი, შემდეგდროინდელი შემთხვევებისათვის. მასთან მსაზღვრელად **პირველი** ზედმეტია)

პრივატიზაცია (პრივატიზაციის⌜ა⌝)

პრივატიზება (პრივატიზების⌜ა⌝)

პრივატიზებული

პრივილეგია (პრივილეგიის⌜ა⌝)

პრივილეგიური (მდგომარეობა) – **პრივილეგირებული** (ადამიანი)

პრიზი (პრიზზე); **პრიზიორი**

პრიზმა (პრიზმის⌜ა⌝): **პრიზმული**

პრიმერადივიზიონი (სპორტ.)

პრიმიტივი: **პრიმიტიული** (პრიმიტიულად)

პრინციპი (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **პრინციპში** ყველაფერი მოგვარდა; ამ გაჩერებაზე უნდა ჩავიდეთ, **პრინციპში** – შემდეგზედაც შესაძლებელია... უნდა იყოს: **ძირითადად/არსებითად** ყველაფერი მოგვარდა; ამ გაჩერებაზე უნდა ჩავიდეთ, **ისე / თუმცა** შემდეგზედაც შესაძლებელია...)

პრინციპული (პრინციპულად)

პრიორიტეტი

პრიორიტეტული (პრიორიტეტულად)

პროამერიკული (პროამერიკულად)

[პრობკა, პროპკა კი არა] **საცობი**

პრობლემა (პრობლემის⌜ა⌝)

პრობლემატიკა (პრობლემატიკის⌜ა⌝)

პრობლემური, პრობლემატური (= საჭოჭმანო, გადასაწყვეტი, პრობლემის შემცველი: **პრობლემური / პრობლემატური** საკითხები) – **პრობლემატიკური** (= პრობლემათა ერთობლიობისათვის დამახასიათებელი: **პრობლემატიკური** მრავალფეროვნება)

პროგნოზი (პროგნოზზე)

პროგნოზირება (პროგნოზირების⌜ა⌝): **პროგნოზირებული**

პროგრამა (პროგრამის⌜ა⌝): **პროგრამული; საპროგრამო**

პროგრამირება (პროგრამირების⌜ა⌝) // **დაპროგრამება** (დაპროგრამების⌜ა⌝)

პროგრამირებული // დაპროგრამებული

პროგრამისტი

პროგრამული (= პროგრამის შესაფერი, პროგრამის ხასიათისა: მონაცემთა **პროგრამული** ანალიზი) – **პროგრამირებული** (= დაპროგრამებული, პროგრამად ქცეული: **პროგრამირებული** მონაცემთა ბაზა)

პროგრესი (პროგრესს)

პროგრესია (პროგრესიის˹ა˺) (არითმეტიკული/გეომეტრიული **პროგრესია**)

პროგრესიული (= მზარდი: **პროგრესიული** გადასახადი/დაავადება) – **პროგრესული** (= მოწინავე: **პროგრესული** ადამიანი/სახელმწიფო)

პროდასავლური (პროდასავლურად)

პროდიუსერი: **პროდიუსერული**

პროდუქტი (= 1. საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია რაიმე პროცესის შედეგად, მაგ., რძის **პროდუქტები**; 2. გადატ. რაიმეს შედეგი, ნაყოფი) – **პროდუქცია** (= წარმოების ან სხვა სახის პროდუქტების ერთობლიობა: კარგი / ახალი / სამეცნიერო **პროდუქცია**)

პროდუქტიული; **პროდუქტიულობა** (პროდუქტიულობის˹ა˺)

პროექტანტი (= ვინც პროექტს ადგენს, დამპროექტებელი)

პროექტი; **საპროექტო** (ბიურო)

პროექცია (პროექციის˹ა˺): **პროექციული**

პროვინცია (პროვინციის˹ა˺): **პროვინციული**

პროვინციალიზმი (პროვინციალიზმის)

პროვინციელი (// **პროვინციალი**)

პროვოკატორული (= პროვოკატორისათვის დამახასიათებელი; **პროვოკატორი**: წამქეზებელი) – **პროვოკაციული** (= პროვოკაციის ხასიათის; **პროვოკაცია**: უარყოფითი შედეგების მომტანი მოქმედების გამოწვევის მიზნით განხორციელებული ქმედება)

პროვოკაცია და **პროვოცირება** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს უარყოფითი შედეგების მომტანი მოქმედების განზრახ გამოწვევას, მაგრამ **პროვოცირებას** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: მედიც. 1. ფარული ავადმყოფობის ხელოვნურად გამომჟღავნება; 2. რაიმე პროცესის გამოწვევა ავადმყოფობის შედეგად ან ხელოვნურად.

პროზა (პროზის˹ა˺): **პროზაული**

პროზაიკოსი (პროზაიკოსს)

პროზექტურა (პროზექტურის˹ა˺)

პროთეზი (პროთეზზე) [და არა პროტეზი]

პროთეზისტი [და არა პროტეზისტი]

პროთრომბინი [და არა პროტრომბინი, პოტრომბინი]

პროკურატორი

პროკურატურა (პროკურატურის˹ა˺)

პროკურორი

პროლოგი

პროპაგანდა (პროპაგანდის˹ა˺)

პროპაგანდისტი: **პროპაგანდისტული**

პროპორცია (პროპორციის˹ა˺): **პროპორციული** (პროპორციულად)

პრორექტორი

პრორუსული (პრორუსულად)

პროსპექტი // გამზირი

პროსტატა (= ანატ. წინამდებარე ჯირკვალი) – **პროსტატიტი** (= მედიც. პროსტატის ანთება)

პროტეიდი

პროტეინი

პროტეჟე (პროტეჟეს[ი]) (= პროტექციის ობიექტი, ვისაც მფარველობენ – და არა ის, ვინც მფარველობს)

პროტესტანტი: პროტესტანტული

პროტესტი: საპროტესტო

პროტექტორატი [და არა პროტეკტორატი]

პროტექტორი [და არა პროტეკტორი] (= 1. მფარველი, დამცველი, შემწე; 2. ავტომობილისა და მისთ. საბურავის გარეთა ზედაპირის უფრო სქელი და მაგარი ნაწილი)

პროტექცია (პროტექციის[ა])

პროტექციონიზმი (პროტექციონიზმმა)

პროტოპლაზმა (პროტოპლაზმის[ა])

პროტოტიპი

პროფანი

პროფესია (პროფესიის[ა]): **პროფესიული** (საქმიანობა)

პროფესიონალი (პროფესიონალის[ა])

პროფესიონალიზმი (პროფესიონალიზმმა)

პროფესორი: პროფესორული; საპროფესორო

პროფესორ-მასწავლებლები (მრ.)

პროფესურა (პროფესურის[ა])

პროფილაქტიკა (პროფილაქტიკის[ა]): **პროფილაქტიკური**

პროფილი

პროფილირება (პროფილირების[ა]): **პროფილირებული**

პროცედურა (პროცედურის[ა]): **პროცედურული** (პროცედურულად)

პროცენტი: პროცენტული (პროცენტულად)

პროცესი (პროცესს) (= 1 რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა; განვითარების გზა; 2. სასამართლო საქმის გარჩევა) – **პროცესია** (პროცესიის[ა]) (= მრავალრიცხოვანი ხალხის საზეიმო/სამგლოვიარო სვლა)

პროცესუალური // საპროცესო (სამართალი)

პუბლიკა (პუბლიკის[ა])

პუბლიკაცია (პუბლიკაციის[ა])

პუბლიცისტი: პუბლიცისტური

პუბლიცისტიკა (პუბლიცისტიკის[ა])

პუდელი (პუდელის[ა])

პუდინგი

პუდრი [და არა პუდრა]

პულვერიზატორი [და არა პულვილიზატორი]

პულოვერი

პულპიტი (= მედიც. კბილის პულპის ანთება)

პულსაცია (პულსაციის˹ა˺) // **პულსირება** (პულსირების˹ა˺)

პულსი (პულსს) // **მაჯისცემა** (მაჯისცემის˹ა˺)

პულტი

პუნქტი [და არა პუნკტი]

პუნქტირი [და არა პუნკტირი]

პუნქტობრივი; **პუნქტობრივ**; **პუნქტობრივად** [და არა პუნკტობრივი...]

პუნქტუალური (პუნქტუალურად)

პუნქტუალურობა (პუნქტუალურობის˹ა˺) (// **პუნქტუალობა**)

პუნქტუაცია (პუნქტუაციის˹ა˺): **პუნქტუაციური** [და არა პუნკტუაცია, პუნკტუაციური]

პურიზმი (= ლინგვ. ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლა) – **პურიტანიზმი** (= 1. ისტ. XVI საუკუნეში წარმოშობილი პროტესტანტული მიმდინარეობა ინგლისსა და შოტლანდიაში; 2. გადატ. ზნეობრივი წესების სასტიკი – ხშირად მოჩვენებითი – დაცვა)

პურისტი (= პურიზმის მიმდევარი, პურიზმის მომხრე) – **პურიტანი** [და არა პურიტანელი] (= პურიტანიზმის მიმდევარი, პურიტანიზმის მომხრე)

პურისტული: პურისტისათვის (პურიზმისათვის) დამახასიათებელი – **პურიტანული**: პურიტანისათვის (პურიტანიზმისათვის) დამახასიათებელი

პურმარილი; **პურმარილიანი**

პუტჩი (პუტჩს); **პუტჩისტი**

პუშბოლი (სპორტ.)

ჟ

ჟაკეტი

ჟალუზი (მოთხრ. ჟალუზიმ, მიც., ნათ. ჟალუზის, მრ. ჟალუზები)

ჟამთააღმწერელი (ჟამთააღმწერლის˹ა˺)

ჟამი (ჟამმა)

ჟანგბადი

ჟანგვა-აღდგენა (ჟანგვა-აღდგენის˹ა˺)

ჟანგვადი (ნივთიერება/ლითონი) – **ჟანგვითი** (პროცესი)

ჟანგისფერი (ჟანგისფრად)

ჟანგმოდებული; **ჟანგმოკიდებული**

ჟანრი

ჟანრული (= ამა თუ იმ ჟანრისა; საყოფაცხოვრებო თემების ამსახველი, მაგ., **ჟანრული** ფერწერა/ტილოები) – **ჟანრობრივი** (= ზოგადად ჟანრისთვის დამახასიათებელი, მაგ., **ჟანრობრივი** მრავალფეროვნება)

ჟარგონი: **ჟარგონული** (ჟარგონულად)

ჟელატინი

ჟელე (ჟელეს˹ი˺)

ჟესტი; **ჟესტ-მიმიკა** (ჟესტ-მიმიკის˹ა˺)

ჟესტიკულაცია (ჟესტიკულაციის˹ა˺)

ჟესტიკულირება (ჟესტიკულირების˹ა˺): **ჟესტიკულირებული**

ჟეს-მიმიკა, მაგრამ: **ჟესტმიმიკური**

ჟეტონი

ჟივილ-ხივილი; **ჟივილ-წივილი**

ჟილეტი

ჟინი [და არა ჯინი] (შდრ.: საუბრ. **ჯინაზე** (= ჯიბრზე) **აკეთებს**)

ჟინიანი [და არა ჯინიანი]

ჟინჟლავს; **ჟინჟლავდა**; **ჟინჟლავდეს**

ჟირაფი

ჟიური (მოთხრ. ჟიურიმ, მიც., ნათ. ჟიურის; ჟიურიში...)

ჟლეტა (ჟლეტის˹ა˺) [და არა ჟლეტვა]

ჟლეტა-მუსვრა (ჟლეტა-მუსვრის˹ა˺)

ჟლეტს; **ჟლეტდა**; **ჟლეტდეს** [და არა ჟლეტავს, ჟლიტავს; ჟლეტავდა, ჟლიტავდა; ჟლეტავდეს, ჟლიტავდეს]; **ჟლიტა**; **უჟლეტია**; **ეჟლიტა**

ჟოკეი (მოთხრ. ჟოკეიმ, მიც., ნათ. ჟოკეის) (სპორტ.)

ჟოლო (ჟოლოს˹ი˺)

ჟოლოსფერი (ჟოლოსფრად)

ჟონგლიორი

ჟონგლირება (სპორტ.)

ჟონვა (**ჟონავს**); **ჟონვადი**

ჟრჟოლა [და არა ჟრჟოლვა]

ჟურნალ-გაზეთები (მრ.)

ჟურნალი „მაცნე“, **ჟურნალმა** „მაცნემ“; **ჟურნალ** „მაცნეს“ / „მაცნის“ / „მაცნით“...; „მაცნეში“

ჟურნალისტი: **ჟურნალისტური**

ჟურნალისტიკა (ჟურნალისტიკის˹ა˺)

ჟურნალისტური (= ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი: **ჟურნალისტური** გამოცდილება) – **ჟურნალისტიკური** (= ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი: **ჟურნალისტიკური** კვლევა)

ჟღალთმიანი

ჟღალწვერა (ჟღალწვერას˹ი˺)

ჟღენთს; **ჟღენთდა**; **ჟღენთდეს** [და არა ჟღენთავს, ჟღინთავს; ჟღენთავდა, ჟღინთავდა; ჟღენთავდეს, ჟღინთავდეს]

ჟღერა (ჟღერის˹ა˺)

ჟღერადი; **ჟღერადობა** (ჟღერადობის˹ა˺)

ჟღერს; **ჟღერდა**; **ჟღერდეს**

ჟღურტულებს; **ჟღურტულებდა**; **ჟღურტულებდეს** (**იჟღურტულებს**...)

რ

რა (რის˹ა˺)

რაგბი (მოთხრ. რაგბიმ, მიც., ნათ. რაგბის); **მორაგბე** (სპორტ.)

რაგბილიგა (სპორტ.)

რაგვაროვნება (რაგვაროვნების˹ა˺)

რაგინდ

რად

რა და რა

რადარანაირი

რადგან (ოთარმა თბილად ჩაიცვა, **რადგან** (მიზეზი) მას სციოდა; შდრ.: **რათა**: აბიტურიენტმა ბევრითად იმეცადინა, **რათა** (მიზანი) გამოცდები კარგად ჩაებარებინა)

რადი(ო)აქტიური (= რასაც რადიაქტივობა ახასიათებს: **რადი(ო)აქტიური** სხივები/გაზები/წყალი...)

რადიაცია (რადიაციის˹ა˺): **რადიაციული** (გამოსხივება)

რადიკალი: **რადიკალური** (რადიკალურად)

რადიკალიზმი (რადიკალიზმმა)

რადიკულიტი

რადიო- და ტელეგადაცემები

რადიოაპარატურა (რადიოაპარატურის˹ა˺)

რადიოკავშირი

რადიოკომენტატორი // რადიომიმომხილველი

რადიოკომპანია (რადოკომპანიის˹ა˺)

რადიოლოგია (რადიოლოგიის˹ა˺): **რადიოლოგი**

რადიომაუწყებლობა (რადიომაუწყებლობის˹ა˺)

რადიოქსელი

რადიუმი (რადიუმმა)

რადიუსი (რადიუსს)

რაზე (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **რაზე** არ დამირეკე? **რაზე** არ მოხვედი? უნდა იყოს: **რატომ** არ დამირეკე? **რატომ** არ მოხვედი? მაგრამ: **რაზე** (რის შესახებ) საუბრობდით? **რაზე** ფიქრობ?)

რა თქმა უნდა

რაიმენაირი (რაიმენაირად) // **რამენაირი** (რამენაირად)

რაიონი: **რაიონული**; **სარაიონო**

რაიონთაშორისი (რაიონთაშორისს)

რაკეტა (რაკეტის˹ა˺): **რაკეტული**; **სარაკეტო** (ტექნიკა)

რაკურსი (რაკურსს)

რალი (მოთხრ. რალიმ, მიც., ნათ. რალის) (სპორტ.)

რამაზანი

რამდენად; **რამდენადაც**

რამდენადმე

რამდენგვარი; **რამდენგვარად**

რამდენი კაცი, საკითხი... [და არა რამდენი კაცები, საკითხები...]

რამდენიმე (რამდენიმეს˹ი˺) [და არა რამოდენიმე] (ეს სიტყვა სახელს შეიწყობს მხოლოობითში: **რამდენიმე** კაცი / საკითხი / წიგნი...)

რამდენნაირი (რამდენნაირად)

რამდენსართულიანი

რამდენჯერ

რამე // რამ // რაიმე

რამეთუ (ძველი ქართულიდან მომდინარე **რამეთუ** სიტყვის (კავშირის) გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სტილიზაციის მიზნით, მაგ., პოეზიაში, საერთოდ, ზეაწეული სტილით გამართულ ტექსტში – და არა ყოველდღიურ მეტყველებაში (**რადგან** და **ვინაიდან** კავშირების ნაცვლად). სტილისტიკური თვალსაზრისით უმართებულოა: ოპოზიციის შენიშვნებს ვერ გავიზიარებთ, **რამეთუ** ისინი სიმართლეს არ შეესაბამება; მოწოდებული ინფორმაცია მისაღებია, **რამეთუ** ყველა დეტალი შემოწმდა. უნდა იყოს: ოპოზიციის შენიშვნებს ვერ გავიზიარებთ, **რადგან/ვინაიდან** ისინი სიმართლეს არ შეესაბამება; მოწოდებული ინფორმაცია მისაღებია, **რადგან/ვინაიდან** ყველა დეტალი შემოწმდა)

რამენაირად

რამით // რამეთი (მოქმ.)

რამისა // რამესი (ნათ.)

[რამოდენიმე კი არა] **რამდენიმე**

რამსიგანე

რამსიგრძე

რამსიდიდე

რამსისხო

რამსიშორით

რანაირი (რანაირად)

რაწგი

რანდატი (სპორტ.)

რანჟირება (რანჟირების^ა(= რაიმეს გაწყობა, განლაგება გარკვეული ნიშნით): **რანჟირებული**

რაობა

რაოდენ (უსაზღვროა)

რაოდენობა (რაოდენობის^ა)

რაოდენობითი (რიცხვითი სახელები – გრამატ.) – **რაოდენობრივი** (მაჩვენებლები/ზრდა)

რაპორა (სპორტ.)

რაჟამს

რარიგ (რარიგად)

რასა (რასის^ა): **რასობრივი** (// **რასული**)

რასაკვირველია

რას ბრძანებთ!

რასიზმი (რასიზმმა); **რასისტი**: **რასისტული** (რასისტულად)

რატიფიკაცია (რატიფიკაციის^ა)

რატიფიცირება (რატიფიცირების^ა): **რატიფიცირებული**

რატომ [და არა რატო]

რაუნდი (სპორტ.)

რაფინირება (რაფინირების^ა): **რაფინირებული**

რაფსოდია (რაფსოდიის^ა)

რაქიტი; რაქიტიანი

რაღა (მოთხრ. რაღამ; მიც. რაღას; ნათ. რაღას^ი; მოქმ. რაღათი (// რითღა); ვით. რაღად)

რაღაცˈა (მოთხრ. რაღაცამ; მიც. რაღაცას; ნათ. რაღაცის (// რაღაცასˈი); მოქმ. რაღაცით // რაღაცათი; ვით. რაღაცად; მრ. რაღაცები [და არა რაღაცეები])

რაღაცნაირი (რაღაცნაირად)

რაღაც-რაღაცები [და არა რაღაც-რაღაცეები]

[რაც არ უნდა მოხდეს კი არა] **რაც უნდა მოხდეს**

რაციონალური (= გონივრული, მიზანშეწონილი, საფუძვლიანი: სამუშაო დროის **რაციონალური** გამოყენება; შდრ.: მათემ. **რაციონალური** რიცხვები/ფუნქციები...) – **რაციონალისტური** (= 1. ფილოს. რაციონალიზმის ან რაციონალისტის დამახასიათებელი: **რაციონალისტური** ფილოსოფია; 2. მხოლოდ გონების, ლოგიკის მოთხოვნებზე დამყარებული: **რაციონალისტური** ხედვა) – **რაციონალიზატორული** (= რაციონალიზაციის ხასიათისა, რაციონალიზატორისათვის დამახასიათებელი (**რაციონალიზაცია** – რაიმეს მოწყობა რაციონალურად; რაიმე ორგანიზაციის გაუმჯობესება): **რაციონალიზატორული** წინადადებები; შდრ.: **წარმოების რაციონალიზაცია**)

რაციონი

რაწამს

რაჭული (კილო...); **რაჭველი** (კაცი)

რახან

რა ხანია

რაჰათლუკუმი (რაჰათლუკუმმა) [და არა რახათლუხუმი]

რბენა (სპორტ.)

რბილკანიანი

რბოლა (სპორტ.)

რგავს; რგავდა; რგავდეს (დარგავს...)

რეაბილიტაცია (რეაბილიტაციისˈა)

რეაბილიტირება (რეაბილიტირებისˈა)

რეაბილიტირებული

რეაგენტი (= ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერება)

რეაგირება (რეაგირებისˈა)

რეალია (რეალიისˈა, მრ. რეალიები)

რეალიზაცია (რეალიზაციისˈა)

რეალიზდება; რეალიზდებოდა; რეალიზდებოდეს

რეალიზება (რეალიზებისˈა): **რეალიზებული** (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **რეალიზებადი** პროდუქტი/საქონელი... უმჯობესია: პროდუქტი, საქონელი..., რომლის **რეალიზებაც შესაძლებელია**, ანდა: პროდუქტი, საქონელი..., რომელიც კარგად **რეალიზდება**)

რეალიზმი (რეალიზმმა)

რეალისტი (რეალისტურად)

რეალისტური (= რეალიზმისათვის (რეალისტური მიმართულებისათვის) დამახასიათებელი: მწერლის **რეალისტური** ხედვა) – **რეალური** (= 1. ნამდვილად არსებუ-

ლი, ჭეშმარიტი: **რეალური** მდგომარეობა; 2. რისი განხორციელებაც შესაძლებელია: **რეალური** მოთხოვნა; 3. ნამდვილი პირობების შესაბამისი, პრაქტიკულად არსებული: **რეალური** ხელფასი)

რეალობა (რეალობის[ა])

რეანიმატოლოგი; **რეანიმატოლოგია** (რეანიმატოლოგიის[ა])

რეანიმაცია (რეანიმაციის[ა]) [და არა რეამინაცია]: **რეანიმაციული**; **სარეანიმაციო**

რეაქტივი

რეაქტიული (ნივთიერება / ენერგია / იარაღი) – **რეაქციული** (პოლიტიკა / რეჟიმი...) – **რეაქციონერული** (ქმედება)

რეაქცია (რეაქციის[ა])

რეაქციონერი

რეგალია (რეგალიის[ა], მ რ. რეგალიები)

რეგენერაცია (რეგენერაციის[ა]): **რეგენერაციული**

რეგენტი (= 1. მონარქიულ ქვეყნებში: სახელმწიფოს დროებითი მმართველი; 2. (საეკლესიო) მგალობელთა გუნდის ლოტბარი)

რეგიონი: **რეგიონული** (პრობლემები...)

რეგისტრატორი

რეგისტრატურა (რეგისტრატურის[ა])

რეგისტრაცია (რეგისტრაციის[ა])

რეგისტრი

რეგისტრირება (რეგისტრირების[ა]): **რეგისტრირებული**

რეგლამენტი; **რეგლამენტირება** (რეგლამენტირების[ა]): **რეგლამენტირებული**

რეგრესი (რეგრესს): **რეგრესული**

რეგტაიმი (რეგტაიმმა)

რეგულარული (= 1. სისტემატური: **რეგულარული** კავშირი /ვარჯიში / მომსახურება...; 2. მტკიცედ დადგენილი ორგანიზაციის მქონე არმია, რომელშიც სამხედრო სწავლება სისტემატურად წარმოებს: **რეგულარული** ჯარი) – **რეგულირებული** (= მოწესრიგებული; დარეგულირებული; რისი რეგულირებაც მოხდა: **რეგულირებული** მოძრაობა / წნევა...)

რეგულატორი (= მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად უნარჩუნებს მექანიზმს თანაბარ მუშაობას, სიჩქარეს, ტემპერატურას და სხვ.)

რეგულაცია (რეგულაციის[ა]): **სარეგულაციო**

რედაქტირება (რედაქტირების[ა])

რედაქტირებული

რედაქტორი

რედაქტორ-სტილისტი

რედაქცია (რედაქციის[ა])

რედაქციული (ცვლილებები) – **სარედაქციო** (კოლეგია / სტატია...)

რედემარკაცია (რედემარკაციის[ა]):

სასაზღვრო ნიშნების აღდგენა სახელმწიფოს საზღვარზე.

რედკოლეგია (რედკოლეგიის˹ა˺)

რეემიგრანტი

რეესტრი: **სარეესტრო**

რევანში (რევანშს); **რევანშისტი**: **რევანშისტული**

რევაქცინაცია (რევაქცინაციის˹ა˺)

რევერანსი (რევერანსს)

რევერსი (სპორტ.)

რევიზია (რევიზიის˹ა˺); **სარევიზიო**

რევიუ

რევმატიზმი (რევმატიზმმა)

რევმოკარდიტი

რევოლუცია (რევოლუციის˹ა˺): **რევოლუციური**

რეზერვაცია (რეზერვაციის˹ა˺)

რეზერვი; **სარეზერვო**

რეზერვირება (რეზერვირების˹ა˺)

რეზერვირებული

რეზერვისტი

რეზერვუარი

რეზიდენტი; **სარეზიდენტო**

რეზიდენცია (რეზიდენციის˹ა˺)

რეზიუმე (რეზიუმეს˹ი˺)

რეზიუმირება (რეზიუმირების˹ა˺)

რეზიუმირებული

რეზოლუცია (რეზოლუციის˹ა˺): **სარეზოლუციო**

რეზონანსი (რეზონანსს)

რეზონატორი

(რეზულტატი //) შედეგი

რეზუსი (რეზუსს); **რეზუსფაქტორი**

რეიდი

რეინტეგრაცია (რეინტეგრაციის˹ა˺)

რეინტერპრეტაცია (რეინტერპრეტაციის˹ა˺): რაიმეს ახლებური გააზრება.

რეისი (რეისს)

რეიტინგი; **რეიტინგული**; **სარეიტინგო**

რეკვა (რეკვის˹ა˺) [და არა რეკვები]

რეკვიემი (რეკვიემმა) [და არა რექვიემი, რექვიემმა]

რეკვიზიტი [და არა რექვიზიტი]; **სარეკვიზიტო**

რეკლამა (რეკლამის˹ა˺): **სარეკლამო**

რეკლამაცია (= 1. საჩივარი, პროტესტი; 2. სამართ. კრედიტორის (მყიდველის, დამკვეთის) მოთხოვნა ნაყიდი საქონლის, დაკვეთილი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებათა გამოსწორების... შესახებ) – **რეკლამირება** (= 1. რეკლამის გაკეთება, მოწყობა; 2. ზედმეტად შექება)

რეკლამისტი

რეკომენდატორი

რეკომენდაცია (რეკომენდაციის˹ა˺)

რეკომენდება (რეკომენდების˹ა˺): **რეკომენდებული** [და არა რეკომენდირება, რეკომენდირებული]

რეკონსტრუირებული (შენობა / სკოლა / საცხოვრებელი სახლი...) – **რეკონსტრუქციული** (სამუშაოები / გეგმა)

რეკორდი: **რეკორდული**; **სარეკორდო** (სპორტ.)

რეკორდსმენი (სპორტ.)

რეკრეაცია: დახარჯული ენერგიის (ძალების) აღდგენა.

რეკრეაციული

რელატიური

რელაქსაცია (რელაქსაციის[ა]): **რელაქსაციური**

რელე (რელეს[ი])

რელიგია (რელიგიის[ა]): **რელიგიური** (რელიგიურად)

რელიეფი: **რელიეფური** (რელიეფურად)

რელიკვია (რელიკვიის[ა]) [და არა რელიქვია, რელიქვიისა]

[რელსი //] **ლიანდაგი**; **სალიანდაგო**

რემარკა (რემარკის[ა])

რემისია (რემისიის[ა])

რემონტი; **სარემონტო**

რენესანსი (რენესანსს): **რენესანსული**

რენტაბელური; **რენტაბელურობა** (რენტაბელურობის[ა])

რენტგენი

რენტგენოგრამა (რენტგენოგრამის[ა])

რენტგენოგრაფია (რენტგენოგრაფიის[ა]): **რენტგენოგრაფიული**

რენტგენოთერაპია (რენტგენოთერაპიის[ა])

რენტგენოლოგი

რენტგენოლოგია (რენტგენოლოგიის[ა]): **რენტგენოლოგიური**

რენტგენოსკოპია (რენტგენოსკოპიის[ა])

რეორგანიზაცია (რეორგანიზაციის[ა])

რეორგანიზება (რეორგანიზების[ა]): **რეორგანიზებული**

რეპატრიანტი (= პირი, რომელიც ბრუნდება სამშობლოში რეპატრიაციის ძალით)

რეპატრიაცია (რეპატრიაციის[ა]) // **რეპატრიირება** (რეპატრიირების[ა]): ემიგრანტების, ტყვედ წაყვანილი პირების, ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში.

რეპერი

რეპერტუარი; **სარეპერტუარო**

რეპეტიტორი

რეპეტიცია (რეპეტიციის[ა]): **სარეპეტიციო**

რეპი

რეპლანტაცია (რეპლანტაციის[ა])

რეპლიკა (რეპლიკის[ა])

რეპორტაჟი (რეპორტაჟს); **სარეპორტაჟო**

რეპორტიორი

რეპრესია (რეპრესიის[ა]): **რეპრესიული**

რეპროდუქცია (რეპროდუქციის⌜ა⌝): **რეპროდუქციული**

რეპროდუცირება (რეპროდუცირების⌜ა⌝): **რეპროდუცირებული**

რეპუტაცია (რეპუტაციის⌜ა⌝)

რეჟიმი (= 1. პოლიტიკური მმართველობის წესი: პინოჩეტის **რეჟიმი**; 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი განაწესი: კვების/ძილის **რეჟიმი**; 3. რაიმეს მუშაობის, მოქმედების, არსებობის პირობები: მანქანის მუშაობის **რეჟიმი**. უმართებულოა: დიალოგის **რეჟიმში** მუშაობა; პარალელურ **რეჟიმში** მუშაობა. უნდა იყოს: **დიალოგის/დიალოგური წესით/რეჟიმით** მუშაობა; **პარალელური წესით/რეჟიმით** მუშაობა)

რეჟისორი: **რეჟისორული** (ხერხი); **სარეჟისორო** (ფაკულტეტი)

რეჟისურა (რეჟისურის⌜ა⌝)

რესპექტაბელობა (რესპექტაბელობის⌜ა⌝): **რესპექტაბელური** (რესპექტაბელურად)

რესპონდენტი [და არა რესპოდენტი]

რესპუბლიკა (რესპუბლიკის⌜ა⌝): **რესპუბლიკური**

რესტავრაცია (რესტავრაციის⌜ა⌝); **სარესტავრაციო**

რესტავრაციული (სამუშაოები) – **რესტავრირებული** (ნაგებობა)

რესტავრირება (რესტავრირების⌜ა⌝)

რესტიტუცია (რესტიტუციის⌜ა⌝) (თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა ძირითადად გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს, როგორ უნდა მიიღოს პირმა უკანონოდ დაკარგული ქონება ან მისი საზღაური)

რესტორანი (რესტორნის⌜ა⌝)

რესტრუქტურიზება (რესტრუქტურიზების⌜ა⌝) // **რესტრუქტურიზაცია** (რესტრუქტურიზაციის⌜ა⌝)

რესურსი (რესურსს)

(რესურსცენტრი // სარესურსო ცენტრი

რეტროსპექტული

რეტუში

რეტუშირება (რეტუშირების⌜ა⌝): ფოტოგრაფიული ანაბეჭდის (პოზიტივის), ნეგატივის ან დიაპოზიტივის შესწორება ფანქრით, საღებავით...

რეტუშორი

რეფერატი; ავტორეფერატი

რეფერენდუმი (რეფერენდუმმა)

რეფერენტი

რეფერირება (რეფერირების⌜ა⌝): **რეფერირებული**

რეფლექსი (= ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე: უპირობო/პირობითი **რეფლექსები**) – **რეფლექსია** (= ფილოს. ცნობიერების მიერ თავისი თავის შემეცნება; საკუთარი აზრებისა

და განცდების ანალიზი)

რეფორმა (რეფორმის˹ა˺); **რეფორმამდელი**

რეფორმატორი (= რეფორმის მომხდენი, გამტარებელი) – **რეფორმისტი** (= რეფორმიზმის მომხრე)

რეფორმირება (რეფორმირების˹ა˺)

რეფორმირებული

[რექვიემი კი არა] **რეკვიემი**

რექტორი; **რექტორატი**

რეცენზენტი

რეცენზია (რეცენზიის˹ა˺)

რეცენზირება (რეცენზირების˹ა˺)

რეცენზირებული

რეცეპტარი (= აფთიაქის თანამშრომელი, რომელიც წამლის შეკვეთას იღებს ექიმის რეცეპტის მიხედვით; მერეცეპტე) – **რეცეპტორი** (= ფიზიოლ. გრძნობადი ნერვული ბოჭკოს დაბოლოება, რომელიც იღებს გაღიზიანებას)

რეციდივი

რეციდივისტი

რეცხავს; **რეცხა**; **ურეცხავს**; **ერეცხა**

რეწვა (რეწვის˹ა˺)

რვა (რვის˹ა˺)

რვა-რვა

რვასაათიანი, მაგრამ: **8-საათიანი**

რვასართულიანი, მაგრამ: **8-სართულიანი**

რვატომეული (განმარტებითი ლექსიკონისა), შდრ.: **რვატომიანი** (ნაშრომი)

რვაფეხა (რვაფეხას˹ი˺)

რვა-ცხრა

რთულდება; **რთულდებოდა**; **რთულდებოდეს** (**გართულდება**...)

რთული

რთულმექანიზმიანი

რია-რია

რიგგარეშე (სესია...)

რიგებშუა

რიგითი

რიგ-რიგად, მაგრამ: **რიგრიგობით**

რითმა (= ბგერათა ერთი და იმავე ან მსგავსი კომპლექსების კანონზომიერი გამეორება გარკვეულ რიტმულ მონაკვეთში, ძირითადად სტრიქონების ბოლოს) – **რიტმი** (= თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტებისა: მოძრაობის / ბგერების **რიტმი**)

რითმული [და არა რითმიული] (ლექსის **რითმული** სტრუქტურა) – **რიტმული** [და არა რიტმიული] (ცეკვა „მთიულურის“ **რიტმული** თავისებურება)

რინგი (სპორტ.)

რიჟრაჟი (რიჟრაჟს)

რისკი [და არა რისკები]

რიტმიკა (= 1. რიტმული სისტემა; 2. მოძღვრება რიტმის შესახებ; 3. ფიზიკური ვარჯიშების სისტემა,

რომლის მიზანია რიტმის გრძნობის გამომუშავება)

რიტმული ტაწვარჯიში (სპორტ.)

რიტორი // მჭევრმეტყველი [და არა მჭერმეტყველი]

რიტორიკა (რიტორიკის˹ა˺)

რიტორული (= მჭევრმეტყველისათვის დამახასიათებელი: **რიტორული** ნიჭი) – **რიტორიკული** (= მჭევრმეტყველების თეორიისთვის დამახასიათებელი: **რიტორიკული** კითხვა)

რიტუალი: რიტუალური; სარიტუალო

(რიუკზაკი //) ზურგჩანთა (ზურგჩანთის˹ა˺)

რიფი

რიყე (რიყის˹ა˺)

რიცხვი: რიცხობრივი; რიცხვითი

რიცხვული [და არა რიცხული] (**რიცხვული** სიდიდე/თანაშეფარდება)

რიცხოვნობა (რიცხოვნობის˹ა˺)

რკინაბეტონი

რკინანარევი

რკინაქვა (რკინაქვის˹ა˺)

რკინიგზა (რკინიგზის˹ა˺)

რობოტი

როგორიც (იყიდა სწორედ ისეთი კომპიუტერი, **როგორიც** უნდოდა), შდრ.: **როგორც** („ყველას ნება აქვს – **როგორც** სურს, ისე შეიქციოს თავი“ (ილია).

როგორღა; როგორღაც

როგორც იქნა

როდემდე // როდემდის

როდესაც // როცა

როდის; როდისმე

როდის-როდის

როდისღა

როიალი

როკვარსკვლავი

როკკონცერტი

როკმენი

როკმუსიკა (როკმუსიკის˹ა˺)

როკოპერა (როკოპერის˹ა˺)

როკჯგუფი

როლი

რომაელი; რომაული

რომანი / რომანმა / რომანს / რომანის / რომანით / რომანად; რომანში, რომანზე, რომანიდან „დანაშაული და სასჯელი“, „ომი და მშვიდობა“...

რომანსი (რომანსს)

რომანტიზმი (რომანტიზმმა)

რომანტიკა (რომანტიკის˹ა˺): **რომანტიკული** [და არა რომანტიული] (მოგზაურობა/საღამო...)

რომანტიკოსი (რომანტიკოსს)

რომელი (რომლის˹ა˺)

რომელიმე (რომელიმეს˹ი˺)

რომელიც (**რომელმაც**, **რომელსაც**...) (თუ რიული ქვეწყობილი წინადადება შეიცავს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას და ეს უკანასკნელი მთავარს უკავშირდება **რომელიც** სიტყვით, აღნიშნული ფორმა (**რომელიც**) უნდა მოსდევდეს წინადადების იმ წევრს, რომელსაც განსაზღვრავს. უმართებულოა: **შვილი** მოჰყავს **მამას**, **რომელსაც** ხვალ საბავშვო ბაღში ზეიმი აქვს, უნდა იყოს: **მამას** მოჰყავს **შვილი**, **რომელსაც** ხვალ საბავშვო ბაღში ზეიმი აქვს)

რომელიც, **რომლებიც** (საკითხი, **რომელიც**..., მაგრამ: საკითხები, **რომლებიც**...

როტაცია (როტაციის[ა])

როქი (სპორტ.)

როცა // **როდესაც**

რტოებქვეშ

რუბრიკა (რუბრიკის[ა])

რუდიმენტი: **რუდიმენტული** [და არა რუდიმენტალური]

რუდუნება (რუდუნებით)

რუკა (რუკის[ა]) [და არა რუქა]

რულეტი

რუმბა (რუმბის[ა])

რუპორი

რუსთაველის პროსპექტზე (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **რუსთაველზე** შევხვდეთ; **აღმაშენებელზე** გავიარე; **ვაჟაზე** (ან ვაჟა-ფშაველაზე) ცხოვრობს; მერია გადავიდა **კოსტავაზე**... დასახელებული შემთხვევები მეტყველების ეკონომიის ჩვეულებრივი ნიმუშებია, თუმცა წერის დროს უნდა იყოს: **რუსთაველის პროსპექტზე** შევხვდეთ; **აღმაშენებლის პროსპექტზე** გავიარე; ვაჟა-ფშაველას **პროსპექტზე** ცხოვრობს; მერია გადავიდა **კოსტავას ქუჩაზე**...)

რუსი (რუსს); **რუსული**

რუსიციზმი (რუსიციზმმა) // **რუსიზმი** (რუსიზმმა)

რუსოფილი (= რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოყვარული): **რუსოფილური**

რუსოფობი (= რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე): **რუსოფობული**

რუსულ-ქართული (ლექსიკონი)

რუტინა (რუტინის[ა]): **რუტინული**

რუჯვა (**რუჯავს**); **გაირუჯა** [და არა ზაგარი მიიღო]

რქმევია [და არა ქვიებია]

რჩევა-დარიგება (რჩევა-დარიგების[ა])

რჩეული

რცხვენია [და არა სცხვენია]

რძისფერი (რძისფრად)

რწმენადაკარგული

რწმუნდება; **რწმუნდებოდა**; **რწმუნდებოდეს** (**დარწმუნდება**...)

რწმუნება (= დაჯერება, დარწმუნება) – **რწმუნებულება** (= რწმუნებულის ოფიციალური უფლება, უფლებამოსილება)

რწმუნებული

რჯის (რა **რჯის**?); **რჯიდა**; **რჯიდეს**

რჯული (ძვ. სჯული) [და არა შჯული]

რჯულიერი; **რჯულიერება** (რჯულიერების⌜ა⌝)

რჯულმდებელი (რჯულმდებლის⌜ა⌝) // **რჯულისმდებელი** (რჯულისმდებლის⌜ა⌝)

რჯულშეცვლილი

ს

საბონენტო (გადასახადი...)

საგენტო

სადაპტაციო

სადგილმამულო

სადვოკატო (ბიურო...)

საავადმყოფო [და არა საავანტყოფო]

საავიაციო

საავტომობილო

საავტორო

საათ-ნახევრი (საათ-ნახევრის⌜ა⌝)

საათობრივი (ანაზღაურება...)

საკრედიტივო (დოკუმენტაცია...)

საამაყო (საამაყოდ)

საამბულატორიო

საამისო (საამისოდ)

საამქვეყნო (ზრაბვანი...)

საამქრო

საამშენებლო

საანაბრო (დანარიცხი...)

საანალიზო (მასალა)

საანბანო (ჭეშმარიტება...)

საანგარიშებელი (საანგარიშებლად)

საანგარიშო (საანგარიშოდ)

საანგარიშო-საარჩევნო

საანგარიშსწორებო

საანდერძებელი (საანდერძებლად)

საანდერძო (საანდერძოდ)

საანესთეზიო

საანკეტო (მონაცემები...)

საბელაციო (სასამართლო...)

საარაკო (ამბავი...)

საარბიტრაჟო

საარსებო (წყარო...)

საარქივო

საღებმიცემო

საარჩევნო (უბანი...)

საასპარეზო (მოედანი...)

საფიშო (ტექსტი...)

საქაო (საპირის პ. **საიქიო**)

საქციზო (= აქციზისათვის განკუთვნილი, აქციზით განსაზღვრული: **საქციზო** პატენტი/უწყება...)

საქციო (= აქციებისთვის განკუთვნილი, აქციებთან დაკავშირებული, აქციებზე დამყარებული: **საქციო** საზოგადოება)

სააღდგომო (კვერცხი/პასქა...)

სააღრიცხვო (ბარათი...)

სააშკარაო

საახალწლო (მზადება...)

საბადო

საბავშვო [და არა საბავშო] (ბაღი...)

საბაზო (განყოფილება...)

საბაზრო (ეკონომიკა...)

საბანკეტო (დარბაზი...)

საბანკირო (გარიგება...)

საბეგრო

საბედისწერო (შემთხვევა/შეცდომა...)

საბეჭდი

საბიბლიოთეკო

საბითუმო (გარიგება...)

საბილიარდო

საბინაო (ხელშეკრულება...)

საბინაო-საყოფაცხოვრებო

საბირჟო

საბიუჯეტო (თანხა...)

საბლანკო

საბოდიშო (წერილი...)

საბოლოო (საბოლოოდ)

საბოტაჟი (საბოტაჟს)

საბრალდებო (დასკვნა) – **საბრალდებულო** (საკანი)

[საბრთხე, საბრთხილო კი არა] **საფრთხე**; **საფრთხილო**

საბრძოლი // საბრძოლველი (წინ კიდევ ბევრი იყო **საბრძოლი/საბრძოლველი**) – **საბრძოლო** (დავალება/მზადება/ოპერაცია/განწყობილება/ამოცანა/მდგომარეობა)

საბუდარი (საბუდრის⌜ა⌝)

საბუთი (საბუთთან)

საბუთიანობა (საბუთიანობის⌜ა⌝)

საბუნებისმეტყველო (საგნები...)

საბურავი // საბურველი

საბურთაო (მოედანი...)

საბურღავი // საბურღი (დანადგარი ...)

საბჭო (სამეცნიერო / სამეთვალყურეო / სამეურვეო **საბჭო**)

საგადამხდელო (= გადამხდელისთვის განკუთვნილი: **საგადამხდელო** ბალანსი) – **საგადასახადო** (= გადასახადთან დაკავშირებული: **საგადასახადო** სამსახური)

საგაზაფხულო (არდადეგები...)

საგაზეთო (სტატია...)

საგალობელი (საგალობლის⌜ა⌝)

საგამომცემლო (საქმიანობა/სტამბა...)

საგამომძიებლო (ბიურო / საქმიანობა...)

საგამოფენო (დარბაზი...)

საგამოცდო (ბილეთი...)

საგანაკვეთო (ანაზღაურება / საათები...)

საგანგაშო (მდგომარეობა...)

საგანგებო (მდგომარეობა / დავალება...)

საგანი (საგნის⌜ა⌝); **საგნობრივი**

საგანმანათლებლო (სისტემა...)

საგარანტიო (წერილი...)

საგარეო, სადღესასწაულო [და არა გამოსასვლელი] (ტანსაცმელი)

საგასტროლო (საგასტროლოდ)

საგაფიცვო

საგაცვლაგამოცვლო

საგერბო [და არა საღერბო] (ნიშანი)

საგვარეულო (მემკვიდრეობა...)

საგზატკეცილო რბოლა (სპორტ.)

საგზური

საგირაო (= გირაოდ მისაცემი, დასაგირავებელი რამ) – **საგირავნო** (= სპეც. გირაოს მიცემის დამადასტურებელი ცნობა: **საგირავნო** ბარათი/ქვითარი)

საგნობრივი; საგნობრიობა (საგნობრიობის˹ა˺)

საგონებელი (საგონებლის˹ა˺)

საგრანტო (პროექტი...)

საგრძნობლად (აცივდა...)

საგულდაგულო (საგულდაგულოდ)

საგულისხმო: მნიშვნელოვანი, საყურადღებო: „ეს წერილი ეხება მრავალ **საგულისხმო** და თან სავალალო საგანს ჩვენი ცხოვრებისას“ (ილია) – **საგულისხმებელი**: რასაც გულისხმობენ, მხედველობაში მისაღები, სავარაუდო (**საგულისხმებელი** დიაგნოზი).

სად; სადაც

სადავიდარაბო (სადავიდარაბოდ)

სადავო; სადავოდ

სადაზვერვო (სამსახური...)

სადაზღვევო [და არა სადაზღვეო] (პოლისი)

სადამრიგებლო – დამრიგებლური (იხ.)

სადამსჯელო (რაზმი)

სადარაჯო (სადარაჯოდ)

სადაური; სადაურობა

სადაც; სადაც კი [და არა საცა, საცა კი]

სადაცაა [და არა საცაა] (გათენდება/დაღამდება...)

სადეზიუტო

სადეზინფექციო

სადეკლამაციო

სადეკორაციო

სადელეგატო

სადემარკაციო (ზოლი...)

სადემონსტრაციო (მზადება...)

სადეპოზიტო (თანხა...)

სადეპუტატო

სადიზმი (სადიზმმა)

სადინარი (სადინარის˹ა˺)

სადირექტივო

სადირექტორო

სადირექციო

სადისკუსიო

სადისტი; სადისტური

სადიფერენციაციო (ნიშანი...)

სადღეგრძელო

სადღეისო

სადღესასწაულო (განწყობა...)

სადღეღამისო (მორიგეობა/აფთიაქი)

საევაკუაციო

საეკლესიო – ეკლესიური (ი ხ.)

საელჩო

საეპისკოპოსო

საერთაშორისო – ერთაშორისი (ი ხ.)

საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია (ს პ ო რ ტ.)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (ს პ ო რ ტ.)

საერთაშორისო ოსტატი (ს პ ო რ ტ.)

საერთო-საკაცობრიო (საქმე...)

საერთო საცხოვრებელი (საერთო საცხოვრებლის⌜ა⌝)

საერთო-სახალხო (მოძრაობა...)

საერთო-სახელმწიფოებრივი (საკითხი...)

საეროვნებათაშორისო

[საეროვნო კი არა] **ეროვნული** (სულისკვეთება/მოძრაობა...)

საესკორტო (აღჭურვილობა...)

საესტრადო (მუსიკა...)

საეტაპო – ეტაპობრივი (ი ხ.)

საექსკურსიო-ტურისტული

საექსპერიმენტო

საექსპერტო (კომისია/დასკვნა)

საექსპონატო (სურათი...)

საექსპორტო (საქონელი...)

საეჭვო (საკითხი...)

სავალალო (ვითარება)

სავალდებულო (საგნები)

სავალუტო (კურსი)

სავანე (სავანის⌜ა⌝)

სავარაუდო (სავარაუდოდ)

სავარცხელი (სავარცხლის⌜ა⌝)

სავარძელი (სავარძლის⌜ა⌝)

სავენახე

სავიზიტო

სავსებით (**სავსებით** გასაგები, **სავსებით** დამაჯერებელი...); შდრ.: **სრულიად** (**სრულიად** გაუგებარი, **სრულიად** დაუჯერებელი...)

საზავო (ხელშეკრულება...)

საზარალო

საზაფხულო (არდადეგები...)

[საზდო, საზდოობა კი არა] **საზრდო; საზრდოობა**

საზეიმო (განწყობა...)

საზიანო (ქმედება...)

საზიარებელი (მრევლი) – **საზიარო** (ეზო/ბაღი)

საზოგადო (საკუთრება / მოღვაწე) – **საზოგადოებრივი** (ცხოვრება / აზრი / ინტერესები / მაუწყებლობა...)

საზოგადოება (საზოგადოების⌜ა⌝); **ქართველი საზოგადოება**

საზოგადოებრიობა (საზოგადოებრიობის⌜ა⌝)

საზონათაშორისო

საზრდოობს; საზრდოობდა; საზრდოობდეს (ისაზრდოვა; უსაზრდოვია; ესაზრდოვა)

საზრიანი (ბავშვი...)

საზრუნავი (გაუჩნდა)

საზღაური

საზღვაოსნო

საზღვარგარეთ; საზღვარგარეთი (საზღვარგარეთთან)

საზღვარგარეთელი (საზღვარგარეთელის[ა]); **საზღვარგარეთული**

საზღვარდადებული (ნაკვეთი...)

საზღვარდაუდებელი (ტერიტორია...)

საზღვარი (საზღვრის[ა])

საზღვრისპირა (დასახლება...), მაგრამ: **საზღვრის პირას** (დასახლდნენ...)

სათადარიგო მოთამაშე (სპორტ.)

სათავგადასავლო (რომანი...)

სათავდებო

სათავე (სათავის[ა])

სათავე დაუდო [და არა სათავე ჩაუყარა]

სათავო (ოფისი...)

სათათბირო

სათანადო (რეაგირება...)

სათარგმნი (// **სათარგმნელი**) (ტექსტი...)

სათაყვანო // სათაყვანებელი (სათაყვანებლად) (// **სათაყვანებო**) (პიროვნება...)

სათბობ-ენერგეტიკული

სათბური და **სათბურა** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს სათბილობელს (ავადმყოფს **სათბური/სათბურა** დასჭირდა), მაგრამ სიტყვას **სათბური** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ორანჟერეა.

სათევზაო (ნავი/ადგილი...) – **სათევზე** (გოდორი...)

სათვალე (სათვალის[ა]): უმართებულოა: კაცს **სათვალეები** ეკეთა, უნდა იყოს: კაცს **სათვალე** ეკეთა, მაგრამ: მან იყიდა **სათვალეები** (ორი/სამი...).

სათვალთვალო

სათვალყურო

სათვისტომო

სათითე, სათითური (= თითზე ჩამოსაცმელი კერვის დროს; გადატ. რამდენიც ერთ სათითეში ჩადის: ერთი **სათითე** თესლი) – **სათითურა** (= ბოტან. მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა)

სათნოება (სათნოების[ა])

სათუო (საკითხი...)

სათქვენო

სათქმელი

სათხილამურო სპორტი

სათხოვარი; სათხოვნი

საიდუმლოება (საიდუმლოების[ა])

საიერიშო

საიზოლაციო

საილუმინაციო

საილუსტრაციო (მასალა...)

საიმედო (მეგობარი); **საიმედოობა** (საიმედოობის[ა])

საიმიგრაციო (სამსახური...)

საიმპორტო (საქონელი...)

საინვენტარო (= ინვენტარისათვის განკუთვნილი: **საინვენტარო** დავთარი/ნომერი) – **საინვენტარიზაციო** (= ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული: **საინვენტარიზაციო** კომისია/აღწერილობა)

საინიციატივო (ჯგუფი...)

საინკუბაციო (პერიოდი)

საინსპექტორო

საინსტრუქტაჟო

საინტერესო (წიგნი...)

საინტერვენციო

საინტერნეტო გაზეთი (// **ინტერნეტგაზეთი**)

საინტერნეტო კონკურსი (// **ინტერნეტკონკურსი**)

საინტერნეტო მომსახურება (// **ინტერნეტმომსახურება**)

საინტერნეტო სივრცე (// **ინტერნეტსივრცე**)

საინფორმაციო (გადაცემა...)

საიპოთეკო (სესხი...)

საირიგაციო

საისტორიო

საიუბილეო (საღამო...)

საიქიო (ს ა პ ი რ ი ს პ. **სააქაო**)

[საიშვიათო კი არა] **იშვიათი** (შემთხვევა...)

[საიჭვო კი არა] **საეჭვო** (სიტუაცია...)

საიჯარო (საქონელი...)

საკაბელო (ტელევიზია)

საკაბინეტო

საკადრო (ცვლილება...)

საკავშირო

საკათედრო (ტაძარი...)

საკამათო (საკითხი...)

საკანდიდატო

საკანი (საკნის[ა])

საკანონმდებლო (აქტი/ორგანო...)

საკანონო

საკანცელარიო (ნივთები...)

საკარანტინო (პერიოდი)

საკარიერო

საკარმიდამო

საკასაციო (სასამართლო)

საკატალოგიზაციო

საკატალოგო

საკაცე (საკაცის[ა])

საკაცობრიო (პრობლემები...)

საკეთებელი (საკეთებლად)

საკეთილდღეო (საკეთილდღეოდ)

საკეტი

საკვალიფიკაციო (ნაშრომი)

საკვანძო (საკითხები)

საკვირაო (გადაცემა...)

საკვლევაძიებო; კვლევაძიებითი (საშუალო), მაგრამ: **კვლევა-ძიება**

საკითხავი

საკითხი

საკინძელა (საკინძელას˹ი˺) [და არა სტეპლერი]

საკინძელას ტყვია [და არა სტეპლერის სკობი]

საკლასიფიკაციო (ნიშანი...)

საკმაო (საკმაოდ) // **საკმარისი** (საკმარისს)

საკმეველი (საკმევლის˹ა˺)

საკოლექციო

საკომენდანტო [და არა საკომენდატო] (საათი)

საკომერციო (ხელშეკრულება...); **კომერციული** (გარიგება...)

საკომისიო (მაღაზია) – **საკომისიონერო** (საქმიანობა)

საკომპენსაციო [და არა საკონპენსაციო] (თანხა...)

საკომუნიკაციო

საკონკურსო-საატესტაციო (კომისია...)

საკონსტიტუციო (სასამართლო)

საკონსტრუქტორო

საკონსულო

საკონსულტაციო (საათები...)

საკონტაქტო (საკონტაქტოდ)

საკონტინენტთაშორისო (თასი/ავიახაზები)

საკონტრაქტო (ხელშეკრულება...)

საკონტროლო

საკონფერენციო [და არა საკომფერენციო] (დარბაზი...)

საკონფლიქტო

საკონცესიო

საკოორდინაციო (საბჭო...)

საკორესპონდენტო

საკორექტორო (= კორექტორებისათვის განკუთვნილი: **საკორექტორო** ოთახი) – **საკორექტურო** (= კორექტურისთვის განკუთვნილი; რაც კორექტურას საჭიროებს: **საკორექტურო** მასალა/სტატია)

საკოსტიუმე (საკოსტიუმის˹ა˺) [და არა საკოსტუმე] (ქსოვილი...)

საკრალური (= რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული, მაგ.: **საკრალური** რიცხვი)

საკრებულო

საკრედიტო (= კრედიტთან დაკავშირებული (**კრედიტი** – სესხად მიცემული თანხა; სესხი): **საკრედიტო** ბარათი) – **საკრედიტორო** (= კრედიტორთან დაკავშირებული (**კრედიტორი** – სესხის მიმცემი): **საკრედიტორო** საქმიანობა)

საკუთრება (საკუთრების˹ა˺)

საკურთხეველი (საკურთხევლის˹ა˺)

საკურთხი // საკურთხებელი (პირები/ტაბლა...), მაგრამ **საკურთხი**: ჭირისუფლის მიერ ეკლესიაში მიტანილი საჭმელ-სასმელი (მიცვალებულის სახელზე), რომელსაც მღვდელი აკურთხებს.

საკურორტო

სალათა (სალათის⌜ა⌝)

სალამი (სალამმა, სალმის⌜ა⌝)

სალაპარაკო

სალარო

სალაქტაციო

სალექსიკონო (მასალა...)

სალექციო (კურსი...)

სალიკვიდაციო (საქონელი...)

სალიტანიო (მზადება...)

სალიტერატურო (ენა)

სალიცენზიო (საბუთი...)

სალობიე (სალობიის⌜ა⌝)

სალომბარდე (სალომბარდის⌜ა⌝)

სალონი: **სალონური**

სალტე (= ლითონის რკალი რაიმეს გასამაგრებლად); შდრ.: **სალტო** (= 1. აკრობატული ნახტომი, რომლის დროსაც სხეული ჰაერში ამოტრიალდება; 2. გადატ. სახიფათო ნაბიჯი)

სალუდე (კათხა...)

სალუტი [დაარა სალიუტი]

სამაგიდო (წიგნი)

სამაგისტრალო

სამაგისტრო (პროგრამა)

სამაია (სამაიის⌜ა⌝)

სამამულე (რქა) – **სამამულო** (ნაწარმი)

სამანდატო

სამანევრო (მზადება...)

სამანიპულაციო (ხერხები...)

სამანქანო (გზა)

სამარადისო (ხსოვნა)

სამართავი

სამართალდამცველი (სამართალდამცველები) / სამართალდამცავი (სამართალდამცავები) პირები, შდრ.: **სამართალდამცავი ორგანოები**

სამართალდარღვევა (სამართალდარღვევის⌜ა⌝)

სამართალი (სამართლის⌜ა⌝): **სამართლებრივი** (ქმედება...)

სამართლისმცოდნეობა (სამართლისმცოდნეობის⌜ა⌝)

სამართალწარმოება (სამართალწარმოების⌜ა⌝)

სამართლიანი; სამართლიანობა

სამართლისმცოდნეობა (სამართლისმცოდნეობის⌜ა⌝)

სამარშრუტო

სამარცხვინო (საქციელი...)

სამარხვო [დაარა სამარხო] (საკვები...)

სამას ერთი/ორი/სამი...

სამასი ათასი (კაცი...)

სამას ორმოცდაჩვიდმეტი; სამას სამოცდათვრამეტი...

სამბა (სამბის⌜ა⌝)

სამბო: **სამბისტი** (სპორტ.)

სამგზავრო

სამდივნო

სამდღიანი, მაგრამ: **3-დღიანი**

სამეანო

სამედიატორო (სასამართლო)

სამეთვალყურეო [და არა სამეთვალყურო] (საბჭო...)

სამელიორაციო

სამემკვიდრო [// სამემკვიდრეო]

სამერმისო

სამეურვეო (კომისია...)

სამეურნეო

სამეუფო (= მეუფისათვის განკუთვნილი) – **სამეფო** (= 1. ქვეყანა; 2. მეფედ დასასმელი; 3. მეფისთვის განკუთვნილი; 4. გადატ. სამფლობელო)

სამეცნიერო-კვლევითი (ინსტიტუტი...)

სამეცნიერო-პოპულარული (ჟურნალი...)

სამთავრობათაშორისო (ხელშეკრულება...)

სამთავრობო (ღონისძიება...)

სამთვე-ნახევარი (სამთვე-ნახევრის'ა')

სამთვიანი, მაგრამ: **3-თვიანი** (არდადეგები...)

სამთო რბოლა (სპორტ.)

სამთო-სათხილამურო სპორტი

სამი ათასი (სამი ათასს); **სამი ათას რვაას სამოცდაცხრამეტი**...

სამიზნე (სამიზნის'ა')

სამიმოსვლო (სააგენტო...)

სამიმოქცევო

სამინისტრო

სამიოდე, სამიოდ

სამი-ოთხი

სამისამართო (ბიურო...)

სამიტი

სამიწათმოქმედო

სამიჯნე (სამიჯნის'ა')

სამკვდრო-სასიცოცხლო (ბრძოლა...)

სამკვიდრო

სამკურნალო-პროფილაქტიკური (ცენტრი)

სამლოცველო

სამმართველო

სამმხრივი (ხელშეკრულება...)

სამ-ნახევარი (სამ-ნახევრის'ა')

სამნიშნა (სამნიშნას'ი')

სამოხილიზაციო (პუნქტი...)

სამოდელო (სააგენტო...)

სამოკავშირეო (ხელშეკრულება...)

სამომავლო (გეგმა...)

სამომხმარებლო (სესხი...)

სამორინე (სამორინის'ა')

სამოსელი (სამოსლის'ა')

სამოქალაქო

სამოქმედო [და არა სამომქმედო] (გეგმა...)

სამოღვაწეო (ასპარეზი...)

სამოყვარულო სპორტი

სამოყვრო

სამოცდათვრამეტი, სამოცდაცხრამეტი...

სამოცდამეერთე; სამოცდამეათე...

სამოცი ათასი (კაცი...)

სამოწყალო

სამრევლო

სამრეცხაო

სამ-სამი (სამ-სამმა)

სამსახურებრივი [და არა სამსახურეობრივი] (მოვალეობა...)

სამსახური

სამსაჯო კოშკურა (სპორტ.)

სამსაჯულო

სამსჯავრო

სამტომიანი, მაგრამ: **3-ტომიანი**

სამურაი (მოთხრ. სამურაიმ, მიც., ნათ. სამურაის, მრ. სამურაები)

სამქულიანი ტყორცნა (სპორტ.)

სამღვდელოება (სამღვდელოების^ა)

სამშაბათ დილას/საღამოს

სამშენებლო

სამშვიდობო (ჯარი...)

სამძებრო (განყოფილება...)

სამძიმარი (სამძიმრის^ა)

სამწამიანი ზონა (სპორტ.)

სამწერლო (ასპარეზი) – **სამწერლობო** (ენა)

სამწერტილი

სამწლიანი, მაგრამ: **3-წლიანი**

სამჯიდი (სპორტ.)

სამხარეო

სამხარი (სამხრის^ა); **სამხრად**

სამხედრო-საზღვაო (ფლოტი...)

სამხედრო-საჰაერო (ძალები...)

სამხრე (სამხრის^ა, მრ. სამხრეები)

სამხრეთ-აღმოსავლეთი (საქართველო...)

სამხრეთ-დასავლეთი (საქართველო...)

სამხრეთელი (// **სამხრელი**) (კაცი); **სამხრეთული** (// **სამხრული**) (ბუნება...)

სამხრეთი (სამხრეთთან)

სამჯერ-ოთხჯერ

სანანებელი (სანანებლად)

სანატორიუმი (სანატორიუმმა)

სანატურო (გადაღება...)

სანაყინე (სანაყინის^ა)

სანაშენე (მეურნეობა) – **სანაშენო** (საქონელი)

სანაცვლო [და არა სანაცვალო]

სანაძლეო (**სანაძლეოს დადება**)

სანახაობა; სანახაობითი (// **სანახაობრივი**) (ღონისძიება...)

სანგარი (სანგრის^ა)

სანგვინი (= მუქი წითელი რბილი ფანქარი (იყენებენ ფერწერაში); ასეთი ფანქრით ნახატი) – **სანგვინიკი** (= მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი, რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციას)

სანდალი (სანდლის^ა) (= 1. მომცრო ნავი; 2. მსუბუქი საზაფხულო

ფეხსაცმელი; 3. ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებული ხე; ამ ხეთა მერქნისგან დამზადებული წითელი ან ყვითელი ფერის საღებავი)

სანდვიჩი [დ ა ა რ ა სენდვიჩი]

სანდო; სანდომიანი (ღიმილი...)

სანდოობა (სანდოობის⌜ა⌝)

სანელებელი (სანელებლის⌜ა⌝)

სანერვიულო (ამბავი...)

სანთებელა (სანთებელას⌜ი⌝)

სანთებელი (სანთებლის⌜ა⌝)

სანთელი (სანთლის⌜ა⌝)

სანთელ-საკმეველი (სანთელ-საკმევლის⌜ა⌝)

სანიტარი (სანიტრის⌜ა⌝)

სანიტარია (სანიტარიის⌜ა⌝): **სანიტარიული**

სანიჩხოსნო არხი (ს პ ო რ ტ.)

სანოტარო (კანტორა)

სანტიმეტრ-ნახევარი (სანტიმეტრ-ნახევრის⌜ა⌝)

სანუგეშებელი (სანუგეშებლად)

სანუგეშო (სანუგეშოდ)

სანუკვარი [// სანუკველი]

სანქცია (სანქციის⌜ა⌝)

საოკუპაციო (ჯარი...)

საოლქო (საბჭო...)

საომარი (ქმედება/მდგომარეობა...)

საოპერაციო (= 1. ის, რითაც ოპერაციას აკეთებენ: **საოპერაციო** იარაღები; 2. ადგილი (ოთახი), სადაც ოპერაციას აკეთებენ; 3. ის, ვისაც ოპერაციას უკეთებენ; შ დ რ.: **ოპერაციული** (ჩარევა)

საოპერო (დასი...)

საოპოზიციო (ფრთა...)

საორგანიზაციო (სამუშაო)

საორიენტაციო (წინადადება...)

საორკესტრო (პარტიტურა...)

საოცარი (საოცრად)

საოჯახო

საპაექრო

საპარლამენტო (უმრავლესობა)

საპასპორტო

საპასუხისმგებლო (დავალება...)

საპასუხო (რეაქცია)

საპატიებელი (საპატიებლად)

[საპატივცემო კი არა] **პატივსაცემი** (პატივსაცემმა)

საპატიმრო

საპატიო

საპატრიარქო

საპატრონო (// **საპატრონებელი**) (საპატრონებლად)

საპილოტე (= პილოტისთვის განკუთვნილი: **საპილოტე** ფორმა) – **საპილოტო** (= რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს; რაც უნდა გამოიცადოს, შემოწმდეს: სახელმძღვანელოს **საპილოტო** ვერსია; **საპილოტო** პროგრამა / პროექტი)

საპირისპირო

საპლანერო სპორტი

საპოლემიკო

საპრეზენტაციო (დარბაზი...)

საპრიზო

საპროგრამო (მასალა...)

საპროექტო (წინადადება...)

საპროტესტო (აქცია...)

საპროფესორო

საპროცედურო

საპყრობილე (საპყრობილის˹ა˺); **საპყრობილიდან**

საჟურნალგაზეთო (მასალა...), მაგრამ: **ჟურნალ-გაზეთები**

სარბენი ხილიკ˹ებ˺ი (სპორტ.)

სარბიელი

სარგებელი (სარგებლის˹ა˺)

სარგებლიანობა (სარგებლიანობის˹ა˺)

სარგებლობა (სარგებლობის˹ა˺)

სარდალი (სარდლის˹ა˺)

სარეალიზაციო (საქონელი...)

სარეგისტრაციო

სარეგლამენტო

სარეგულაციო

სარედაქტორო

სარედაქციო (კოლეგია...)

სარეველა (სარეველას˹ი˺)

სარეზერვო (დანაყოფი...)

სარეკლამო (განცხადება/რგოლი)

სარეკომენდაციო (წერილი...)

სარეკორდო მაჩვენებელი (სპორტ.)

სარემონტო (სამუშაო...)

სარეპატრიაციო

სარეპერტუარო

სარესტავრაციო (შენობა...)

სარესურსო ცენტრი (// **რესურსცენტრი**)

სარეცენზიო (ნაშრომი...)

სარეცეპტურო

სარისკო

სარკაზმი (სარკაზმმა)

სარკალი (მაგ., ნაყინი შოკოლადის **სარკალში** – ესკიმო)

სარკასტული [// სარკაზმული] (შენიშვნა...)

სარკინიგზო

სარკმელი (სარკმლის˹ა˺)

სარკოფაგი

სარმა (სპორტ.)

სარტყელი (სარტყლის˹ა˺)

სარფიანი (გარიგება...); **სარფიანობა** (სარფიანობის˹ა˺)

სარჩევი

სარჩელი

სარჩო; **სარჩო-საბადებელი** (სარჩო-საბადებლის˹ა˺)

სარძევე (ჭურჭელი/ჯირკვლები/კბილები) – **სარძეო** (მეურნეობა)

სარწმუნო (არგუმენტი...)

სარწმუნოება (სარწმუნოების˹ა˺)

სარწმუნოებრივი [დაარა სარწმუნებრივი] (მიდგომა...)

სასადილო

სასაზღვრო (პუნქტი)

სასათაურო (შრიფტი...)

სასამართლო

სასაუბრო (მეტყველება...)

სასაუზმე (სასაუზმის˹ა˺)

სასაქონლო (მეურნეობა...)

სასახელო (ახალგაზრდა...)

სასახლე (სასახლის˹ა˺)

სასეირო

სასენსაციო

სასესხებელი (სასესხებლად)

სასიგნალო (ეგზემპლარი...)

სასიკეთო

სასინჯი (გადაღება...)

სასირცხო (// **სასირცხვილო**) (საქციელი...)

სასკოლო (სახელმძღვანელო...)

სასმელი (სასმლის˹ა˺, მ ა გ რ ა მ: **სასმელად**, მ რ. **სასმელები**)

სასმელ-საჭმელი (სასმელ-საჭმლის˹ა˺)

სასმისი (სასმისს)

სასოება (სასოების˹ა˺)

სასომიხდილი

სასოფლო-სამეურნეო (იარაღები...)

სასოწარკვეთა (სასოწარკვეთის˹ა˺): **სასოწარკვეთილი** (სასოწარკვეთილად)

სასოწარკვეთილება (სასოწარკვეთილების˹ა˺)

სასპეკულაციო

სასპორტო სკოლა

სასპორტო-ტურისტული (სააგენტო / ბაზა...)

სასრბოლი, მ ა გ რ ა მ: **სასრბოლოდ**

სასროლი (= 1. რაც უნდა ისროლონ: **სასროლი** ქვა/ჯოხი/ბადე...; 2. რასაც უნდა ესროლონ: **სასროლი** მიზანი/ნიშანი; 3. რითაც უნდა ისროლონ: **სასროლი** იარაღი); შ დ რ.: **სასროლო** (მოედანი/სპორტი...)

სასტამბო (შრიფტი...)

სასტამბო-საგამომცემლო (საქმიანობა...)

სასტარტო ნიშანი (ს პ ო რ ტ.)

სასუნთქი (გზები...)

სასურსათო (მაღაზია...)

სასუფეველი (სასუფევლის˹ა˺)

სასუქთმცოდნეობა (სასუქთმცოდნეობის˹ა˺)

სასყიდელი (სასყიდლის˹ა˺)

სასცენარო

სასცენო

სასწავლი (გაკვეთილი/ლექსი...) – **სასწავლო** (ნივთები/პროგრამა/წელი; შ დ რ.: **სასწავლო** ნაწილის გამგე) – **სასწავლებელი** (= სასწავლო ტიპის დაწესებულება)

სასწაულებრივი (სასწაულებრივად)

სასწაულთმოქმედი // სასწაულმოქმედი

სასხვათაშორისო (სასხვათაშორისოდ)

სასჯელი; სასჯელმოხდილი

სატანა (სატანის˹ა˺)

სატანვარჯიშო (დარბაზი/კედელი...) (სპორტ.)

სატახტო (ქალაქი...)

სატელევიზიო (გადაცემა...)

სატელეფონო (საუბარი...)

სატელიტი: **სატელიტური** (ანტენა...)

სატირა (სატირის˹ა˺): **სატირული** (სტატია...)

სატირულ-იუმორისტული (ჟურნალი...)

სატიტულო (ფურცელი...)

სატრანზიტო (გზა...)

სატრანსლაციო (სტუდია...)

სატრანსპორტო (საშუალება...)

სატრენინგო კურსი (// **ტრენინგკურსი**)

სატრენინგო პროგრამა (// **ტრენინგპროგრამა**)

სატრენინგო ცენტრი (// **ტრენინგცენტრი**)

სატურნირო (მზადება)

სატყორცნი წრე (სპორტ.)

სატყუარა (სატყუარას˹ი˺)

საუკუნე (საუკუნის˹ა˺)

საუკუნო (= სამუდამო, სამარადისო, მუდმივი)

საუკუნე-ნახევარი (საუკუნე-ნახევრის˹ა˺)

საუკუნეობრივი [და არა საუკუნოებრივი]

საუკუნოვანი (ტრადიცია...)

საუნივერსიტეტო (პროგრამა...)

საუნჯე (საუნჯის˹ა˺)

საურთიერთო (საშუალება...)

საუფლო (დღე/წესი...)

საუცხოო (სანახაობა...)

საუწყებათაშორისო (სამსახური...)

საუწყებო (= უწყებისთვის განკუთვნილი; უწყებაში შემავალი; **საუწყებო** ორგანიზაცია), შდრ.: **საუწყებელი** (= რაც უნდა აუწყონ; საცნობებელი; შესატყობინებელი)

საფაკულტეტო (ღონისძიება...)

საფასური

საფეხბურთო სკოლა

საფეხურებრივი [და არა საფეხურეობრივი] (სწავლება...)

საფინალო შეხვედრა (სპორტ.)

საფინანსო (განყოფილება) – **ფინანსური** (დახმარება)

საფიქრალი (საფიქრალის˹ა˺) (// **საფიქრი**)

საფორტეპიანო (კონცერტი)

საფრთხე (საფრთხის˹ა˺); **საფრთხილო** [და არა საბრთხე, საბრთხილო]

საფუძველი ჩაუყარა [და არა საფუძველი დაუდო], მაგრამ: **საფუძველი დაუდო**

საქალაქთაშორისო (კავშირი...)

საქალაქო (ტრანსპორტი)

საქართველოს თასი (საქართველოს თასს) (სპორტ.)

საქარინი [და არა სახარინი] (= შაქრის სუროგატი) – **საქაროზა** [და არა სახაროზა] (= მცენარეული წარმოშობის – ჭარხლის ან ლერწმის – შაქარი)

საქაღალდე (საქაღალდის'ა')

საქველმოქმედო [და არა საქველმომქმედო] (კონცერტი...)

საქვეყნო

საქინფორმი (საქინფორმმა)

საქირავებელი (საქირავებლად)

საქირაო

საქმეგამოლეული (კაცი...)

საქმიანი (= 1. საქმის მქონე, მცოდნე, მოყვარული: **საქმიანი** ადამიანი; 2. საქმესთან დაკავშირებული: **საქმიანი** ქაღალდები; 3. ლაკონიური, დაწურული, არსებითი; მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული: **საქმიანი** ლაპარაკი) – **საქმოსანი** (= ვინც თავის საქმიანობაში მხოლოდ პირადი (პრაქტიკული, ჩვეულებრივ, კომერციული) ინტერესებით ხელმძღვანელობს)

საქმისმწარმოებელი (საქმისმწარმოებლის'ა')

საქმისწარმოება (საქმისწარმოების'ა')

საქმრო (საქმროს'ი')

საქონელბრუნვა (საქონელბრუნვის'ა')

საქონელგაცვლა (საქონელგაცვლის'ა')

საქონელი (საქონლის'ა')

საქონელმიმოქცევა (საქონელმიმოქცევის'ა')

საქონელმცოდნე (საქონელმცოდნის'ა')

საქონელმცოდნეობა (საქონელმცოდნეობის'ა')

საქონელმწარმოებელი (საქონელმწარმოებლის'ა')

საქორწილო (მზადება) – **საქორწინო** (ბეჭედი)

საქრისტიანო

საქსოფონი [და არა საქსაფონი]

საღამო; საღამოთი; საღამოს

საღამო მშვიდობისა! (// **საღამომშვიდობისა!**) (მისალმებისას); **ღამე მშვიდობისა!** (// **ღამემშვიდობისა!**) (დამშვიდობებისას)

საღამოობით

საღებავგადაცლილი

[საღერბო კი არა] **საგერბო** (ნიშანი...)

საღერღელი (აეშალა)

საღვთო // საღმრთო (საქმე...)

საღებარებელი (საღებარებლად)

საყავე (საყავის'ა')

საყაიმო ანგარიში (სპორტ.)

საყვავილე (საყვავილის'ა')

საყვარელი (საყვარლის'ა')

საყიდი // საყიდელი (საყიდლად)

საყოველდღეო (საქმიანობა...)

საყოველთაო (მოძრაობა...)

საყოველთაო-სავალდებულო

საყოველთაო-სახალხო

საყოფაცხოვრებო (ნივთები)

საშემოდგომო (სამზადისი...)

საშინაო (დავალება...)

საშინელი (საშინლად); **საშინელება** (საშინელების⌜ა⌝)

საშიშროება (საშიშროების⌜ა⌝)

საშობაო (არდადეგები...)

საშტამბო

საშტატო (ერთეული)

საშუალება (საშუალების⌜ა⌝) [და არა საშვალება]

საშუალედო

საშუალი

საშუალო (საშუალოდ) [და არა საშვალო]

საშუალოვადიანი (პერსპექტივა...)

[საშუალო საუკუნეები კი არა] **შუა საუკუნეები**

საშური: საჩქარო, სასწრაფო, დასაშურებელი: „კნიაზო, წამო! რაღას იცდი, გვიგვიანდება, დრო საშურია“ (ილია) – **შესაშური**: შურის აღმძვრელი, სახარბიელო, შესაშურებელი: „ფრინველთ, მცენარეთ ცხოვრება გამიხდა **შესაშურია**“ (ვაჟა).

საშხაპე (საშხაპის⌜ა⌝)

საჩაიე (საჩაიის⌜ა⌝)

საჩემო, საჩვენო; საშენო, სათქვენო

საჩვენებელი (გამოსვლა...)

საჩვენებლად

საჩივარი (საჩივრის⌜ა⌝)

საჩუქარი (საჩუქრად)

საცალო (ფასები)

საციგაო (= ციგაობისთვის განკუთვნილი: **საციგაო** ადგილი) – **საციგურაო** (= ციგურებით სრიალისათვის განკუთვნილი: **საციგურაო** სპორტი)

საცნობარო

საცოდავი (საცოდავად); **საცოდაობა** (საცოდაობის⌜ა⌝) [და არა საცოდავობა]

საცოლე (= ვინც ცოლად უნდა ითხოვონ) – **საცოლო** (= ვისაც ცოლის შერთვა შეჰფერის)

საცურაო (აუზი)

საცხენოსნო სპორტი

საცხოვრებელი (საცხოვრებლის⌜ა⌝)

საცხონებელი (საცხონებლად)

საძებარი (საძებრად)

საძებნი // საძებნელი (საძებნელად)

საძიებელი (საძიებლად)

საწადელი (საწადლის⌜ა⌝)

საწამებელი (საწამებლად)

საწარმო (= წარმოებითი ან სავაჭრო-სამეურნეო ერთეული, მაგ., სახელმწიფო/სამრეწველო/დამხმარე **საწარმო**) – **საწარმოო** (= წარმოებისთვის განკუთვნილი: **საწარმოო** იარაღები/თათბირი/პრაქტიკა)

საწარმო-დაწესებულება (საწარმო-დაწესებულების[ა])

საწარმოებელი (საწარმოებლად)

საწარმოო-საფინანსო

საწარმოო-ტექნიკური

საწებელი (საწებლის[ა])

საწვავი

საწვავ-სათბობი

საწვრთნელი (ბაზა...)

საწინდარი (საწინდრად)

საწრთობი

საწუთრო; საწუთროება (საწუთროების[ა])

საწყალჯომარდო სპორტი

საჭადრაკო ტურნირი (სპორტ.)

საჭე (საჭის[ა]); **მესაჭე** (მესაჭის[ა])

საჭიდაო ხალიჩა (სპორტ.)

საჭიროება (საჭიროების[ა])

საჭიროებისდაგვარად; საჭიროებისამებრ

საჭიროებს; საჭიროებდა; საჭიროებდეს

საჭმელი (საჭმლის[ა], მაგრამ: **საჭმელად**)

საჭმელ-სასმელი (საჭმელ-სასმლის[ა])

სახალხო (გმირი/არტისტი/კრება...); შდრ.: **ხალხური** (შემოქმედება/პოეზია/ცეკვა...)

სახარება (სახარების[ა])

სახარჯავი // სახარჯი (= რაც უნდა ხარჯონ)

სახარჯთაღრიცხვო (დავთარი...)

სახარჯო (= 1. ხარჯისათვის განკუთვნილი; 2. წვრილმანი ხარჯებისათვის საჭირო ფული)

სახასიათო (როლი...)

სახაშე (სახაშის[ა])

სახეალეწილი

სახეგაბრწყინებული

სახეგარუჯული

[სახეზეა კი არა] **არის, იმყოფება, აშკარაა, შესამჩნევია** (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ყველა დეპუტატი **სახეზეა**; შედეგი **სახეზეა**; ფაქტი **სახეზეა**. უნდა იყოს: ყველა დეპუტატი აქ **არის / იმყოფება**; შედეგი **აშკარაა / ნათელია / შესამჩნევია**)

სახელგანთქმული

სახელგატეხილი

სახელგაუტეხელი (სახელგაუტეხლად)

სახელდახელო (სახელდახელოდ)

სახელდება (სახელდების[ა])

სახელდებული

სახელდობრ

სახელი (ადამიანისა / ცხოველისა / ფრინველისა / მცენარისა) – **სახელწოდება** (ქვეყნისა / ქალაქისა / ქუჩისა / ჟურნალისა / ფილმისა / რომანისა)

სახელმოხვეჭილი

სახელმძღვანელო

სახელმწიფო (თეატრი/უნივერსიტეტი...) – **სახელმწიფოებრივი** (ინტერესები/საქმიანობა/მიდგომა...)

სახელმწიფოებრივი, მ ა გ რ ა მ: **სახელმწიფოებრიობა**

სახელმწიფოს მეთაური, მ ა გ რ ა მ: **სახელმწიფო მინისტრი**

სახელო (კაბისა) – **სახელური** (კარისა)

სახელოვანი (სახელოვნად)

სახესხვაობა (სახესხვაობის⌜ა⌝)

სახიფათო (გზა...)

სახლ-კარი, მ ა გ რ ა მ: **სახლკარიანი; უსახლკარო; უსახლკაროობა**

სახლმმართველი (სახლმმართველის⌜ა⌝)

სახლმმართველობა (სახლმმართველობის⌜ა⌝)

სახმელეთო

სახლ-მუზეუმი (სახლ-მუზეუმმა)

სახნავ-სათესი (სახნავ-სათესს)

სახუმარო // სახუმრო

სახურავქვეშ

საჯარიმო დარტყმა (ს პ ო რ ტ.)

საჯარო (ბიბლიოთეკა / განხილვა / დაწესებულება / ვაჭრობა / ლექცია / სკოლა...), შ დ რ.: **საჯარისო** (ნაწილები / შენაერთი / ფორმირება...)

საჯაროობა (საჯაროობის⌜ა⌝)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ (მ ო თ ხ რ. საჯარო სამართლის **იურიდიულმა პირმა – „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“**; მ ი ც. საჯარო სამართლის **იურიდიულ პირს – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“**; ნ ა თ. საჯარო სამართლის **იურიდიული პირის – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს(ი)“**; მ ო ქ მ. საჯარო სამართლის **იურიდიული პირით – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოთი“**; ვ ი თ. საჯარო სამართლის **იურიდიულ პირად – „მეწარმეობის განვითარების სააგენტოდ“**)

სდებს (მას ბრალს), მ ა გ რ ა მ: **დებს** (წიგნს)

სდის (მას ოფლი), მ ა გ რ ა მ: **დის** (წყალი)

სეანსი (სეანსს)

სეგმენტაცია (სეგმენტაციის⌜ა⌝)

სეგმენტი: სეგმენტური

სევდა (სევდის⌜ა⌝): **სევდიანი**

სევდანარევი (ხმით)

სეზონი: სეზონური (სეზონურად)

სეისმოგრაფი (= დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო) – **სეისმომეტრი** (= ხელსაწყო, რომლითაც აკვირდებიან დედამიწის ზედაპირის რყევას მიწისძვრის დროს)

სეისმოგრაფია (= დედამიწის ქერქის რყევათა ავტომატურად ჩაწერა) – **სეისმოლოგია** (= გეოფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს მიწისძვრებს და ამის მიხედვით აკეთებს დასკვნებს)

სეისმური (სადგური...)

სეკვესტრი; **სეკვესტრაცია** (სეკვესტრაციის[ა])

სეკვესტრირება (სეკვესტრირების[ა]): **სეკვესტრირებული**

სეკრეცია (სეკრეციის[ა]) (= ორგანიზმისათვის აუცილებელ ნივთიერებათა გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ)

სელექცია (სელექციის[ა]); **სელექციონერი** (სელექციონერის[ა])

სემანტიკა (სემანტიკის[ა]): **სემანტიკური** (სემანტიკურად)

სემესტრი: **სემესტრული** (სემესტრულად); **სასემესტრო**

სემინარი: **სემინარული**; **სასემინარო**

სემინარია (სემინარიის[ა]): **სემინარიელი**

სემინარიული (ცხოვრება/რეჟიმი) – **სემინარული** (მეცადინეობა)

სენატი; **სენატორი**

სენიორი (= 1. ესპანეთში: ბატონი; 2. მსხვილი მემამულე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში) – **სინიორი** (= იტალიაში: ბატონი)

სენიორიტა (= ესპანეთში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი/ქალიშვილი) – **სინიორინა** (= იტალიაში – ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი/ქალიშვილი) – **სინიორა** (= იტალიაში – ქალბატონი)

სენსაცია; **სენსაციური** (= დაუჯერებელი, საოცარი: **სენსაციური** შემთხვევა); შ დ რ.: **სკანდალური** (= სამარცხვინო, სკანდალის გამომწვევი: **სკანდალური** საქციელი. ზეპირ მეტყველებაში ხშირად **სენსაციურის** სინონიმად იყენებენ **სკანდალურს**, რაც გაუმართლებელია)

[სენსიტიური კი არა] **მგრძნობიარე**, **მგრძნობელობითი**, **გრძნობითი**, **შეგრძნებითი**, **ფაქიზი**

სენტენცია (სენტენციის[ა]): **სენტენციური**

სენტიმენტალიზმი (სენტიმენტალიზმმა)

სენტიმენტალური (სენტიმენტალურად)

სეპარატიზმი (სეპარატიზმმა)

სეპარატისტი (= პოლიტ. სეპარატიზმის მომხრე) – **სეპარატორი** (= აპარატი, რომლითაც ხდება სითხეების ან ფხვიერ ნივთიერებათა ერთმანეთისაგან განცალკევება)

სეპარატული (ზავი) – **სეპარატისტული** (დამოკიდებულება /მთავრობა)

სეპარაცია (სეპარაციის[ა]) (= გამოცალკევება)

სეპტეტი

სერვიზი (ჩაის, ყავის...) – **სერვისი** (= მომსახურება)

სერვირება (სერვირების[ა]): **სერვირებული**

სერვისის ცენტრი (// **სერვისცენტრი**)

სერია (სერიის˹ა˺): **სერიული**

სერიოზული; **სერიოზულობა** (სერიოზულობის˹ა˺)

სერობა (სერობის˹ა˺)

[სეროპი, სიროპი, სეროფი კი არა] **სიროფი**

სერტიფიკატი (სერტიფიკატის˹ა˺); **სერტიფიცირებული** [და არა სერთიფიკატი, სერთიფიცირებული]

სერფინგი (სპორტ.)

სესია (სესიის˹ა˺): **სასესიო** (კვირეული...)

სესხი

სეტი (სპორტ.)

სეტპოინტი (სპორტ.)

სეფა (სეფის˹ა˺)

სეფისკვერი (სეფისკვერის˹ა˺) [და არა სებისკვერი]

სეფსისი (სეფსისს)

სექსტეტი (მუს.)

სექტა (სექტის˹ა˺)

სექტანტი: **სექტანტური**

სექტანტობა (სექტანტობის˹ა˺)

სექტემბერი (სექტემბრის˹ა˺)

სექტემბერ-ოქტომბერი (სექტემბერ-ოქტომბრის˹ა˺)

სექტორი: **სექტორული**

სექცია (სექციის˹ა˺): **სექციური**

სვამს, სვამდა [და არა სვავს, სვავდა]

სვანი; **სვანური**

სვე-ბედი, მაგრამ: **სვეხედნიერი**

სვენებ-სვენებით

სვეტ-სვეტად

სვიტერი (სვიტერის˹ა˺) // **სვიტრი**

სთხილა (მას), **მთხილა** (მე), **გთხილა** (შენ), მაგრამ: **თხილა** (საერთოდ)

სთხოვს; **სთხოვა** [და არა თხოვს, თხოვა]; **უთხოვია**; **ეთხოვა** [და არა უთხოვნია, ეთხოვნა]

სია (სიის˹ა˺); **სიითი** (შემადგენლობა)

სიამაყე (სიამაყის˹ა˺)

სიამოვნება (სიამოვნების˹ა˺)

სიამტკბილობა (სიამტკბილობით)

სიახლე (სიახლის˹ა˺)

სიბრიყვე (სიბრიყვის˹ა˺)

სიბრტყე (სიბრტყის˹ა˺)

სიგარა (სიგარის˹ა˺)

სიგნალი; **სასიგნალო**

სიგნალიზაცია (სიგნალიზაციის˹ა˺)

სიგნალიზება (სიგნალიზების˹ა˺)

სიგნალიზებული

სიგრძეზე ხტომა (სპორტ.)

სიგრძე-სიგანე (სიგრძე-სიგანის˹ა˺)

სიდაბლე (= დაბლის თვისება, დაბალი ტანის ქონა) – **სიმდაბლე** (= 1. ზნედაცემულობა, უპატიოსნობა, სულმდაბლობა; 2. მოკრძალება, მოწიწება; მორჩილება)

სიდი (CD) (მოთხრ. სიდიმ, მიც., ნათ. სიდის...)

სიდიდე (სიდიდის⌜ა⌝)

სივი (CV) (მოთხრ. სივიმ, მიც., ნათ. სივის...)

სივიწროვე (სივიწროვის⌜ა⌝)

სიზმარი (სიზმრის⌜ა⌝)

სიზუსტე (სიზუსტის⌜ა⌝)

სითბოგამტარი

სითბოგამტარობა (სითბოგამტაროგის⌜ა⌝)

სითბო-სიცივე (სითბო-სიცივის⌜ა⌝)

სიკვდილმისჯილი

სიკვდილ-სიცოცხლე (სიკვდილ-სიცოცხლის⌜ა⌝)

სილაბუსი (სილაბუსს)

სილიკონი

სილიციუმი (სილიციუმმა)

სილუეტი (სილუეტის⌜ა⌝): **სილუეტური**

სიმაღლეზე ხტომა (სპორტ.)

სიმბიოზი (სიმბიოზზე) (= სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის)

სიმბოლიზმი (სიმბოლიზმმა)

სიმბოლიკა (სიმბოლიკის⌜ა⌝)

სიმბოლისტი: სიმბოლისტური

სიმბოლო: სიმბოლური

სიმბოლური (ნიშანი/თანხა) – **სიმბოლისტური** (პოეზია/მხატვრობა...)

სიმეტრია (სიმეტრიის⌜ა⌝): **სიმეტრიული** (სიმეტრიულად)

სიმეტრიულობა (სიმეტრიულობის⌜ა⌝)

სიმთვრალე (სიმთვრალის⌜ა⌝)

სიმპათია (სიმპათიის⌜ა⌝); **სიმპათიური** (სიმპათიურად) [და არა სიმპატია, სიმპატიური]

სიმპოზიუმი (სიმპოზიუმმა)

სიმპტომური [// სიმპტომატური] (= 1. რაც სიმპტომს წარმოადგენს; ნიშანდობლივი; 2. რაც მიმართულია დაავადებათა სიმპტომების (და არა მათი გამომწვევი მიზეზების) წინააღმდეგ: **სიმპტომური / სიმპტომატური** მკურნალობა) – **სიმპტომატიკური** (= სიმპტომატიკისთვის დამახასიათებელი: **სიმპტომატიკური** კვლევა)

სიმულანტი [და არა სიმულიანტი]

სიმულაცია (სიმულაციის⌜ა⌝): **სიმულაციური**

სიმულირება (სიმულირების⌜ა⌝): **სიმულირებული**

სიმფონია (სიმფონიის⌜ა⌝): **სიმფონიური**

სიმშვიდედაკარგული

სიმწარე (სიმწარის⌜ა⌝), მაგრამ: **სიმწრის ოფლი, სიმწრით ნაშოვნი**

სიმჭიდროვე (სიმჭიდროვის⌜ა⌝)

სიმხდალე (სიმხდალის⌜ა⌝)

სინაგოგა (სინაგოგის⌜ა⌝)

სინდის-ნამუსი (სინდის-ნამუსს), მაგრამ: **სინდისნამუსიანი**

სინდრომი (სინდრომმა)

სინთეზატორი

სინთეზი (სინთეზზე): **სინთეზური** [და არა სინთეტური]

სინთეტიკა (სინთეტიკის[ა]): **სინთეტიკური** [და არა სინთეტიური]

სინოდი

სინოპტიკოსი (სინოპტიკოსს)

სინოპტიკური

სინქრონია (სინქრონიის[ა]): **სინქრონიული** (= ლინგვ. სინქრონიასთან დაკავშირებული, სინქრონიის შემსწავლელი)

სინქრონიზმი (სინქრონიზმმა) (= ორი ან რამდენიმე მოვლენის, პროცესის ზუსტი დამთხვევა დროში; ერთდროული მიმდინარეობა)

სინქრონული (= სპეც. სინქრონიზმის ხასიათისა, ერთსა და იმავე დროს მიმდინარე, წარმოებული: **სინქრონული** რხევა)

სინქრონული ცურვა (სპორტ.)

სიროფი

სირცხვილ-ნამუსი (სირცხვილ-ნამუსს)

სირცხვილნაჭამი (სირცხვილნაჭამმა)

სისტემა (სისტემის[ა]): **სისტემური** (სისტემურად)

სისტემატიზაცია (სისტემატიზაციის[ა])

სისტემატიზება (სისტემატიზების[ა]): **სისტემატიზებული** [და არა სისტემატიზირება, სისტემატიზირებული]

სისტემატიკა (სისტემატიკის[ა]): **სისტემატიკური**

სისტემატური (= რეგულარული: **სისტემატური** ვარჯიში / მეცადინეობა...) – **სისტემური** (= სისტემისთვის დამახასიათებელი, სისტემის მიხედვით: **სისტემური** კვლევა / ანალიზი...)

სისხლდენა, მაგრამ: **სისხლის დენა**

სისხლისმსმელი

სისხლისმღვრელი

სისხლის ჩაქცევა, მაგრამ: **სისხლჩაქცევა**

სისხლნაკლებობა (სისხლნაკლებობის[ა])

სისხლნარევი

სისხლძარღვი

სისხლ-ხორცი, მაგრამ: **სისხლხორციანი; სისხლხორცეული**

სიტკბო-სიმწარე (სიტკბო-სიმწარის[ა])

სიტუაცია (სიტუაციის[ა]): **სიტუაციური**

სიტყვამოსწრებული (სიტყვამოსწრებულად)

სიტყვა-პასუხი, მაგრამ: **სიტყვაპასუხიანი**

სიტყვასიტყვით (სიტყვასიტყვითი)

სიტყვაძვირი; სიტყვაძუნწი

სიუიტა (სიუიტის[ა]) [და არა სუიტა]

სიუჟეტი: სიუჟეტური (სიუჟეტურად)

სიურპრიზი (სიურპრიზზე) [და არა სურპრიზი]

სიყვარული

სიყრუე (სიყრუის^ა) [და არა სიყრუვე]

სიცილ-კისკისი (სიცილ-კისკისს)

სიცილ-ხარხარი (სიცილ-ხარხარით)

სიცოცხლე (სიცოცხლის^ა): **სასიცოცხლო** (სასიცოცხლოდ)

სიცოცხლეგამწარებული

სიცოცხლემოწყურებული

სიცოცხლისუნარიანი; სიცოცხლისუნარიანობა (სიცოცხლისუნარიანობის^ა)

სიცხადე (სიცხადის^ა)

სიძე-პატარძალი (სიძე-პატარძლის^ა)

სიმველეთსაცავი

სიმვირე (სიმვირის^ა)

სიმლიერე (სიმლიერის^ა)

სიჭრელე (სიჭრელის^ა)

სიხარული

სკაბრეზული

სკალა (სკალის^ა)

სკალპელი (სკალპელის^ა)

სკანდალი: სკანდალური

სკანდირება (სკანდირების^ა)

[სკანერი კი არა] **ფოტოპირგადამღები**

სკეიტბორდი (სპორტ.)

სკეპტიკოსი (სკეპტიკოსს)

სკეპტიკური (სკეპტიკურად)

სკეპტიციზმი (სკეპტიციზმმა)

სკეტჩი [და არა სკეჩი]

სკვერი

სკლეროზი (სკლეროზზე)

სკოლა-ინტერნატი

სკოლამდელი (აღზრდა...)

სკოლიოზი (სკოლიოზზე)

სკრუპულოზური [და არა სკურპულოზური]

(სკულპტორი //) მოქანდაკე

(სკულპტურა //) ქანდაკება

სლაიდი

სლალომი: სლალომისტი (სპორტ.)

სლენგი: სლენგური

სლუკუნ-სლუკუნით

სმა-ჭამა (სმა-ჭამის^ა)

სმენადაკარგული

სმენადაქვეითებული

სმენადქცეული

სმერჩი

სმოკინგი

სნაიპერი

სნობიზმი (სნობიზმმა): სნობის ქცევა, მანერები (**სნობი** – ადამიანი, რომელიც მოდით, ქცევით, გემოვნებით ჰბაძავს ე. წ. მაღალ საზოგადოებას)

სნოუბორდი (სპორტ.)

სნოუბორდისტი (სპორტ.)

სოია (სოიის^ა) [და არა სოიო]

სოლარიუმი (სოლარიუმმა)

სოლიდარული (სოლიდარულად)

სოლიდური (სოლიდურად)

სოლისტი

სოლო

სონატა (სონატის᾽ა᾽)

სონეტი

სოპრანო

სოფელი (სოფლის᾽ა᾽)

სოფელი იანეთი (მ ო თ ხ რ. სოფელმა იანეთმა, მ ი ც. სოფელ იანეთს, ნ ა თ. სოფელ იანეთის, მ ო ქ მ. სოფელ იანეთით, ვ ი თ. სოფელ იანეთად...; სოფელ იანეთში/იანეთზე/იანეთიდან/იანეთამდე...)

სოფელ-სოფელ

სოფიზმი (= ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი მოსაზრება (დებულება), რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებულოდ შერჩევას) – **სუფიზმი** (= მაჰმადიანობის მისტიკურ-ასკეტური მიმართულება, რომელიც მე-8 საუკუნეში წარმოიშვა)

სოციალ-დემოკრატი

სოციალ-დემოკრატია (სოციალ-დემოკრატიის᾽ა᾽): **სოციალ-დემოკრატიული**

სოციალიზაცია (სოციალიზაციის᾽ა᾽)

სოციალიზება (სიციალიზების᾽ა᾽)

სოციალიზებული

სოციალისტური (= სოციალიზმისთვის დამახასიათებელი, მის პრინციპებზე დამყარებული) – **სოციალური** (= 1. რაც საზოგადოების, ადამიანების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და მათს ურთიერთობას ახასიათებს; 2. საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფთან, კლასთან დაკავშირებული, მათთვის დამახასიათებელი)

სოციალურ-ეკონომიკური

სოციალურ-კულტურული

სოციალურ-პოლიტიკური

სოციოლოგი

სოციოლოგია (სოციოლოგიის᾽ა᾽)

სოციოლოგიური

სოცუზრუნველყოფა (სოცუზრუნველყოფის᾽ა᾽)

სპაგეტი

სპაზმი (სპაზმმა): **სპაზმური**

სპარინგი (ს პ ო რ ტ.)

სპარტაკიადა (ს პ ო რ ტ.)

სპარტანული (აღზრდა)

სპეკულანტი: **სპეკულანტური** [დ ა ა რ ა სპეკულიანტი, სპეკულიანტური]

სპეკულაცია (სპეკულაციის᾽ა᾽): **სპეკულაციური** [დ ა ა რ ა სპეკულიაცია, სპეკულიაციური]

სპეკულირება (სპეკულირების᾽ა᾽)

სპეკულირებული

სპექტაკლი „მეტების ჩრდილში“ (მ ო თ. **სპექტაკლმა** „მეტეხის ჩრდილში“;

მიც. **სპექტაკლს** „მეტეხის ჩრდილში“; ნათ. **სპექტაკლის** „მეტეხის ჩრდილში“; მოქმ. **სპექტაკლით** „მეტეხის ჩრდილში“; ვით. **სპექტაკლად** „მეტეხის ჩრდილში“; **სპექტაკლში/სპექტაკლიდან/სპექტაკლზე** „მეტეხის ჩრდილში“)

სპექტრი: **სპექტრული**

სპეცდანიშნულება (სპეცდანიშნულების[ა])

სპეციალიზაცია (სპეციალიზაციის[ა])

სპეციალიზება (სპეციალიზების[ა])

სპეციალიზებული [და არა სპეციალიზირებული]

სპეციალისტი

სპეციალობა (სპეციალობის[ა])

სპეციალური (სპეციალურად)

სპეციფიკა (სპეციფიკის[ა]): **სპეციფიკური** [და არა სპეციფიური]

სპეცოპერაცია (სპეცოპერაციის[ა])

სპეცოპერაციული

სპეცრაზმი (სპეცრაზმმა)

სპეცსამსახური

სპეცღონისძიება (სპეცღონისძიების[ა])

სპიკერი

სპილოსძვლისფერი (სპილოსძვლისფრად)

სპირიტიზმი (= რწმენა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება) – **სპირიტუალიზმი** (= რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სულს განიხილავს, როგორც სინამდვილის პირველსაწყისს)

სპონსორი

სპონტანური (სპონტანურად)

სპორადული (სპორადულად)

სპორტდარბაზი (სპორტდარბაზზე)

სპორტი: **სპორტული** (ინვენტარი...); **სასპორტო** (მაღაზია...)

სპორტის ოსტატი

სპორტლოტო

სპორტსკოლა (სპორტსკოლის[ა])

სპორტსმენი [და არა სპორცმენი]

სრესს [და არა სრისავს, სრესავს]

სრულად (= უკლებლივ; მთელი სისრულით, მაგ., ყველაფერი **სრულად** ჩაიბარა; **სრულად** დაწერა...) – **სრულიად** (= სულ, მთლად, მთლიანად. ტრადიციულად იხმარება ქვეყნის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებთან შემდეგ კონტექსტში: **სრულიად** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამ გამოთქმაში იგულისხმება მთელი მსოფლიოს ქართველ მართლმადიდებელთა მწყემსმთავარი. შემდეგ, უფრო მაღალფარდოვანი სტილით საუბრისას, ეს სიტყვა (**სრულიად**) გავრცელდა სხვა შემთხვევებზედაც: **სრულიად** საქართველოს მოსახლეობა, რაც მთელი საქართველოს მოსახლეობას აღ-

ნიშნავს და რელიგიურ-კონფესიურ ნიუანსს გამორიცხავს. გარდა ამისა, **სრულიად** გამოიყენება **სავსებით** ფორმის ნაცვლად უარყოფით კონსტრუქციებში: **სრულიად** გაუგებარი/წარმოუდგენელი...); ი ხ. **სავსებით – სრულიად**

სრულვყოფ; სრულვყავი [და არა ვსრულყოფ, ვსრულვყოფ; ვსრულყავი, ვსრულვყავი]

სრულმეტრაჟიანი (ფილმი)

სრულუფლებიანი; სრულუფლებიანობა (სრულუფლებიანობის^ა)

სრულფასოვანი (სრულფასოვნად)

სრულფასოვნობა (სრულფასოვნობის^ა)

სრულქმნა (სრულქმნის^ა); **სრულქმნილი**

სრულყოფა (სრულყოფის^ა)

სრულყოფილება (სრულყოფილების^ა)

სრულწლოვანება (სრულწლოვანების^ა)

სრულწლოვანი (სრულწლოვანის^ა)

სტაბილიზაცია (სტაბილიზაციის^ა)

სტაბილიზება (სტაბილიზების^ა): **სტაბილიზებული** [და არა სტაბილიზირება, სტაბილიზირებული]

სტაბილური (= გამძლე, მტკიცე, მყარი, უცვლელი: **სტაბილური** ფასები/მდგომარეობა/ხასიათი) – **სტაბილიზებული** (= განმტკიცებული, მოწესრიგებული: **სტაბილიზებული** სამხედრო ძალა)

სტაბილურობა (სტაბილურობის^ა)

სტაგნაცია (სტაგნაციის^ა) (= წარმოების განვითარების შეჩერება)

სტაგფლაცია (სტაგფლაციის^ა) (= სტაგნაცია ინფლაციასთან ერთად)

სტადია (სტადიის^ა): **სტადიური**

სტადიონი

სტალაგმიტი (= მინერ. გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტებად აღმართული ამონაშვერი, ჩვეულებრივ, კალციტისა); შდრ.: **სტალაქტიტი** (= მინერ. ლოლუებად ჩამოშვებული, ჩვეულებრივ, კალციტის წარმონაქმნი გამოქვაბულის ჭერზე)

სტამბა (სტამბის^ა): **სტამბური** (ბეჭდვა); **სასტამბო** (საქმე)

სტანდარტი: სტანდარტული (სტანდარტულად)

სტანდარტიზაცია (სტანდარტიზაციის^ა)

სტანდარტიზება (სტანდარტიზების^ა): **სტანდარტიზებული** [და არა სტანდარტიზირება, სტანდარტიზირებული]

სტანდარტულობა (სტანდარტულობის^ა)

სტაჟი (სტაჟს)

სტაჟიორი

სტარტი (სპორტ.)

სტატია (სტატიის^ა)

სტატიკა (სტატიკის^ა)

სტატიკური (= სტატიკის კანონებზე დამყარებული; წონასწორობაში მყოფი, უძრავი) – **სტატისტიკური** (= სტატისტიკასთან დაკავშირებული)

სტატისტიკა (სტატისტიკის˹ა˺); **სტატისტიკურად**

სტატუა (სტატუის˹ა˺): ადამიანის (ან ცხოველის) ფიგურის ქანდაკება (ანტიკური **სტატუა**); შდრ.: **სტატუეტი** [და არა სტატუეტკა] (= პატარა სტატუა: ფაიფურის **სტატუეტი**)

სტატუსი (სტატუსს)

სტაციონარი (= 1. საავადმყოფო, რომელსაც მუდმივი ადგილები აქვს ავადმყოფთათვის; 2. ზოგადად – ერთ ადგილას მოთავსებული, არამოძრავი დაწესებულება); შდრ.: **სტაციონერი** (= უცხოეთის გემი, რომელიც მუდმივად დგას კოლონიის ან ნახევარკოლონიის ნავსადგურში და პოლიციურ სამსახურს ეწევა)

სტენდი

სტენოზი (სტენოზზე) (= მედიც. მილოვანი (ან ღრუ) ორგანოების დავიწროება); შდრ.: **სტენოკარდია** (სტენოკარდიის˹ა˺) (= მწვავე შეტევა (ტკივილისა) გულის არეში; გულის ანგინა)

[სტეპლერი კი არა] **საკინძელა** (საკინძელას˹ი˺)

[სტეპლერის სკოპი კი არა] **საკინძელას ტყვია**

სტერეოტიპი: **სტერეოტიპული** (სტერეოტიპულად)

სტერილიზაცია (სტერილიზაციის˹ა˺)

სტერილიზება (სტერილიზების˹ა˺): **სტერილიზებული** [და არა სტერილიზირება, სტერილიზირებული]

სტერილური

სტილი: **სტილური**

სტილიზაცია (სტილიზაციის˹ა˺)

სტილიზება (სტილიზების˹ა˺): **სტილიზებული** [და არა სტილიზირება, სტილიზირებული]

სტილისტი (= ლიტერატურული ენის სტილის კარგი მცოდნე; რაიმე ნაწარმოების (ძირითადად საგაზეთო სტატიის) ენისა და სტილის შემსწორებელი. დღეს ამ სიტყვას იყენებენ **პარიკმახერის** მნიშვნელობითაც)

სტილისტიკა (სტილისტიკის˹ა˺)

სტილისტიკური (სტილისტიკურად)

სტილური (მწერლის **სტილური** მახასიათებლები) – **სტილისტური** (ალღო) – **სტილისტიკური** (შეცდომა)

სტიმულატორი

სტიმული

სტიმულირება (სტიმულირების˹ა˺): **სტიმულირებული**

სტიპენდია (სტიპენდიის˹ა˺); **სტიპენდიატი** [და არა სტეპენდია, სტიპენდიანტი]

სტიუარდესა (სტიუარდესის᾽ა᾽)

სტიუარდი

სტიქაროსანი (სტიქაროსნის᾽ა᾽)

სტიქია (სტიქიის᾽ა᾽): **სტიქიური** (სტიქიურად)

სტკივა; სტკიოდა; სტკენია; სტკენოდა [და არა ტკივა, ტკიოდა...]

[სტოვებს კი არა] **ტოვებს**

სტომატოლოგი; სტომატოლოგია (სტომატოლოგიის᾽ა᾽); **სტომატოლოგიური**

სტრატეგი; სტრატეგია (სტრატეგიის᾽ა᾽): **სტრატეგიული** (სტრატეგიულად)

სტრესი (სტრესს): **სტრესული**

სტრუქტურა (სტრუქტურის᾽ა᾽)

სტრუქტურული (სტრუქტურულად)

სტუდენტი; სტუდენტური

სტუდენტობა (ქართველი სტუდენტობა)

სტუდია (სტუდიის᾽ა᾽): **სტუდიელი** (= სტუდიის წევრი); **სტუდიური** (გადაღება...)

სტუმართმოყვარე (სტუმართმოყვარის᾽ა᾽)

სტუმართმოყვარეობა (სტუმართმოყვარეობის᾽ა᾽)

სტუმარი (სტუმრის᾽ა᾽)

სტუმარ-მასპინძელი (სტუმარ-მასპინძლის᾽ა᾽), მაგრამ: **სტუმარმასპინძლობა**

სტყორცნის (მზე სხივს ფანჯარას), მაგრამ: **ტყორცნის** (სპორტსმენი ბადროს)

სუბიექტი: სუბიექტური, შდრ.: **სასუბიექტო**

სუბიექტივიზმი (სუბიექტივიზმმა)

სუბიექტივისტი: სუბიექტივისტური (სუბიექტივისტურად)

სუბიექტურობა (სუბიექტურობის᾽ა᾽)

სუბორდინაცია (სუბორდინაციის᾽ა᾽): **სუბორდინაციული**

სუბსტანტივი (სუბსტანტივის᾽ა᾽): **სუბსტანტიური**

სუბსტანცია (სუბსტანციის᾽ა᾽): **სუბსტანციური**

სუბტიტრი

სუბტროპიკული (მცენარეები...)

სუვენირი; სასუვენირო

სუვერენი: სუვერენული

სუვერენიტეტი

სუვერენობა (სუვერენობის᾽ა᾽)

სუიციდი (= თვითმკვლელობა)

სულადობა (სულადობის᾽ა᾽)

სულგანაბული

სულგრძელი; სულგრძელობა (სულგრძელობის᾽ა᾽)

სულდგმული; სულდგმულობა (სულდგმულობს)

სულერთი; სულერთია

სულთამხუთავი

სულთმობრძავი

სულთქმა (სულთქმის⌜ა⌝) // **სულისთქმა** (სულისთქმის⌜ა⌝)

სულიან-ხორციანად

სულიერება (= ღვთისმოსაობა) – **სულიერობა** (= სულიერად ყოფნა)

სულით ხორცამდე (= სავსებით; მთლიანად)

სულისკვეთება (სულისკვეთების⌜ა⌝)

სულისჩამდგმელი

სულიწმიდა (სულიწმიდის⌜ა⌝)

სულმდაბალი (სულმდაბლის⌜ა⌝)

სულმდაბლობა (სულმდაბლობის⌜ა⌝)

სულმთლად

სულმოკლე (სულმოკლის⌜ა⌝)

სულმოკლეობა (სულმოკლეობის⌜ა⌝)

სულმოუთქმელად // სულმოუბრუნებლად (შესვა) [და არა სულმოუთმენლად], მაგრამ: **მოუთმენლად** (ელოდა)

სულსწრაფი

სულუგუნი // სულგუნი

სულყველა (სულყველას⌜ი⌝) // **სუყველა** (სუყველას⌜ი⌝)

სულყველაფერი (სულყველაფრის⌜ა⌝) // **სუყველაფერი** (სუყველაფრის⌜ა⌝)

სულყველგან // სუყველგან

სულყოველდღე // სუყოველდღე

სულყოველთვის // სუყოველთვის

სულწაწყმედილი

სუმო: სუმოისტი (სპორტ.)

სუნთქვაშეკრული

სუპერლიგა (სპორტ.)

სუპერმარკეტი

სუპერფინალი (სპორტ.)

სურნელი: სურნელოვანი

სუროგატი

სუროგაცია (სუროგაციის⌜ა⌝)

[სურპრიზი კი არა] **სიურპრიზი**

სურსათ-სანოვაგე (სურსათ-სანოვაგის⌜ა⌝)

[სუფთა სისხლის კი არა] **წმინდა სისხლის** (ცხენი/ძაღლი)

[სუფთა მოგება კი არა] **წმინდა მოგება**

სუფლე (სუფლეს⌜ი⌝)

სუფლიორი

სფერო: სფერული

სფინქსი (სფინქსს)

სქელი (სქელის⌜ა⌝), მაგრამ: **სქლად**

სქემა (სქემის⌜ა⌝): **სქემური; სქემატური** (სქემატურად)

სქემატიზმი (სქემატიზმმა)

სქოლასტიკოსი (სქოლასტიკოსს)

სქოლიო

სჩადის (დანაშაულს), მაგრამ: **ჩადის** (კიბეზე)

[სჩანს კი არა] **ჩანს**

სჩვევია [და არა ჩვევია]

სჩვენებია [და არა ჩვენებია]

სცალია [და არა ცალია]

[სცალოდა კი არა] **ეცალა**

სცდება (ზღვარს), მაგრამ: **ცდება**

(= შეცდომა მოსდის)

სცემა ხულიგანმა გამვლელს [და არა სცემა ხულიგანმა გამვლელი]

სცენა (სცენის'ა'): **სცენური; სცენურობა** [და არა სცენიური, სცენიურობა]

სცენარი; სცენარისტი

სცვივა (ფოთოლი // ფოთლები **ხეს**), მაგრამ: **ცვივა** (ფოთოლი // ფოთლები **ხედან**)

სცივა (მას), მაგრამ: **ცივა** (საერთოდ)

სცხელა (მას), მაგრამ: **ცხელა** (საერთოდ)

[სცხვენია კი არა] **რცხვენია**

სძინავს [და არა ძინავს]

სძლევს; სძლია [და არა ძლევს, ძლია]

სძულს [და არა ძულს]

სწავლა (= ცოდნის შეძენა, განათლების მიღება) – **სწავლება** (= ცოდნის მიწოდება)

სწავლა-აღზრდა (სწავლა-აღზრდის'ა')

სწავლა-განათლება (სწავლა-განათლების'ა')

სწამებს (ცილს)

სწამს [და არა წამს] (გამარჯვებისა...)

სწერია (მას ჯვარი), მაგრამ: **წერია** (წიგნში)

სწერს (ის მას წერილს), მაგრამ: **წერს** (ის ლექსს)

სწვავს (კვამლი მას თვალებს), მაგრამ: **წვავს** (ხორცს)

სწირავს (ის სამშობლოს სიცოცხლეს), მაგრამ: **წირავს** (მღვდელი)

სწორად (= 1. მართებულად: **სწორად** მოიქცა; 2. წრფივი ხაზით, არაირიბად (გზა **სწორად** მიდის); 3. ტოლად, თანაბრად: **სწორად** შეჭრა თმისა...) – **სწორედ** (= ზუსტად, სახელდობრ: **სწორედ** ახლა/ასეთი/აქ...)

სწორხაზოვანი (სწორხაზოვნად)

სწორხაზოვნობა (სწორხაზოვნობის'ა')

სწრაფმავალი (სწრაფმავლის'ა')

სწრაფმოქმედი [და არა სწრაფმომქმედი]

სწყდება (ღილი ხალათს/მას გული), მაგრამ: **წყდება** (თოკი)

სწყენს (მას საჭმელი), მაგრამ: **სწყინს** (მას კრიტიკა)

სწყვეტს (ხეს ფოთოლს/ვინმეს გულს), მაგრამ: **წყვეტს** (ის საკითხს)

სწყურია [და არა წყურია]

სჭარბობს (ერთი მეორეს), მაგრამ: **ჭარბობს** (= ბევრია)

სჭირდება [და არა ჭირდება]

სჭირს (მას გრიპი/სურდო), მაგრამ: **ჭირს** (კარგი სპეციალისტი)

სჭრის (ხეს ტოტს), მაგრამ: **ჭრის** (ტორტს/პურს...)

სხაპასხუპით

სხედან (ისინი), მაგრამ: **ზის** (ის); შდრ.: **ზიხართ** (ქალბატონო, თქვენ სად **ზიხართ?**)

სხვა (სხვის⌜ა⌝)

სხვადასხვა (მოითხოვს სახელს მხ. რიცხვში: **სხვადასხვა ქვეყანა / წიგნი...**)

სხვადასხვაგვარი (სხვადასხვაგვარად)

სხვადასხვაგვარობა (სხვადასხვაგვარობის⌜ა⌝)

სხვადასხვანაირი (სხვადასხვანაირად)

სხვადასხვაფერი (სხვადასხვაფრად)

სხვათა შორის

სხვაობს; სხვაობდა; სხვაობდეს

სჯა-ბაასი (სჯა-ბაასს)

სჯერა; სჯეროდა; სჯეროდეს

სჯის (მას), შდრ.: **რჯის** (რა რჯის?)

სჯობნის; სჯობნიდა; სჯობნიდეს [და არა ჯობნის...] (იგი მას)

სჯობს // სჯობია (ის მას), მაგრამ: **ჯობს // ჯობია** (ასე **ჯობს/ჯობია**)

[სჯული იხ. //] **რჯული** [და არა შჯული]

ტ

ტაბელი

ტაბლო

ტაბუ

ტაბულა (ტაბულის⌜ა⌝)

ტაბურეტი

ტავერნა (ტავერნის⌜ა⌝)

ტავტოლოგია (ტავტოლოგიის⌜ა⌝): **ტავტოლოგიური**

ტაიგა (ტაიგის⌜ა⌝)

[ტაიმაუტი კი არა] **წუთშესვენება** (სპორტ.)

[ტაიმერი კი არა] **წამმზომი** (სპორტ.)

ტაიმი (ტაიმმა) (სპორტ.)

ტაიფუნი

ტალანტი: ტალანტური

ტალღა (ტალღის⌜ა⌝)

ტალღისებური (ტალღისებურად)

ტალღმზომი (ტალღმზომმა)

ტამტამი (ტამტამმა)

ტანგო

ტანდემი (ტანდემმა): 1. გუნდში ერთად მოქმედი ორი ფეხბურთელი (ორი მომღერალი...); 2. ორადგილიანი ველოსიპედი, რომელზედაც უნაგირები და ორი წყვილი პედალი ერთიმეორის უკან არის განლაგებული; 3. ტექნ. აგრეგატში მანქანისა და მისი ნაწილების განლაგება ერთიმეორის მიყოლებით, ერთ ღერძზე, ერთ ხაზზე; 4. მრავალცილინდრიანი მანქანა, რომელშიც მუშა ცილინდრები ამ წესით არის განლაგებული.

ტანვარჯიში

ტანკერი

ტანმოვარჯიშე (ტანმოვარჯიშის⌜ა⌝) (სპორტ.)

ტანისამოსი (ტანისამოსს)

ტანსაცმელი (ტანსაცმლის⌜ა⌝)

ტანსაცმელშემოგლეჯილი

ტან-ფეხი, მაგრამ: **ტანფეხშიშველი**

ტანჯვა-წამება (ტანჯვა-წამების^ა)

ტარიფი

ტარიფიკაცია (ტარიფიკაციის^ა)

ტარიფიცირება: **ტარიფიცირებული**

ტატამი (სპორტ.)

ტატუ

ტატუირება (ტატუირების^ა): **ტატუირებული**

ტაქსი (მოთხრ. ტაქსიმ, მიც., ნათ. ტაქსის; ტაქსიში)

ტაქტი (= 1. მუსიკალური მეტრული ერთეული; 2. დრო თანაბარ დარტყმებს შორის; 3. გადატ. ზომიერების გრძნობა, თავდაჭერილობა)

ტაქტიანი (ტაქტიანად)

ტაქტიანობა (ტაქტიანობის^ა)

ტაქტიკა (ტაქტიკის^ა) (= 1. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 2. დასახული მიზნის მისაღწევად ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა)

ტაქტიკური (ტაქტიკურად)

ტაშისმკვრელი, მაგრამ: **ტაშის დამკვრელი**

ტაძარი (ტაძრის^ა)

ტევადი; **ტევადობა** (ტევადობის^ა)

ტელეარხი

ტელეგადაცემა (ტელეგადაცემის^ა)

ტელედადგმა (ტელედადგმის^ა)

ტელე- და რადიოწამყვანი // ტელერადიოწამყვანი

ტელედებიუტი

ტელეეთერი

ტელეეკრანი

ტელევარსკვლავი

ტელევიზია (ტელევიზიის^ა)

ტელევიზორი

ტელეინდუსტრია (ტელეინდუსტრიის^ა)

ტელეკამერა (ტელეკამერის^ა)

ტელეკომპანია (ტელეკომპანიის^ა)

ტელემაუწყებელი (ტელემაუწყებლის^ა)

ტელემაუწყებლობა (ტელემაუწყებლობის^ა)

ტელემაყურებელი (ტელემაყურებლის^ა)

ტელენოველა (ტელენოველის^ა)

ტელეოპერატორი

ტელეპათი [და არა ტელეპატი]; **ტელეპათია** (ტელეპათიის^ა)

ტელეპროდუქცია (ტელეპროდუქციის^ა)

ტელერეპორტაჟი (ტელერეპორტაჟს)

ტელესახე (ტელესახის^ა)

ტელესერიალი

ტელესივრცე (ტელესივრცის^ა)

ტელესკოპი

ტელესპექტაკლი

ტელესტუდია (ტელესტუდიის˹ა˺)

ტელეფონი: სატელეფონო (ზარი...)

ტელეშოუ // სატელევიზიო შოუ

ტელეცენტრი

ტელეწამყვანი

ტელეხიდი

ტემპერამენტი

ტემპერატურა (ტემპერატურის˹ა˺)

ტენგამძლეობა (ტენგამძლეობის˹ა˺)

ტენდენცია (ტენდენციის˹ა˺): **ტენდენციური** (ტენდენციურად)

ტენდენციურობა (ტენდენციურობის˹ა˺)

ტენდერი (= 1. კომერციული კონკურსი შეკვეთის შესასრულებლად; 2. ერთანძიანი სპორტული საზღვაო გემი; 3. ორთქლმავლის მისაბმელი ნაწილი, რომელშიც სათბობისა და წყლის საჭირო მარაგი თავსდება)

[ტენისი კი არა] **ჩოგბურთი** (სპორტ.)

ტენორი

ტერარიუმი (ტერარიუმმა)

ტერასა (ტერასის˹ა˺) (// **ტერასი**) (ტერასს)

ტერაქტი

ტერიტორია (ტერიტორიის˹ა˺): **ტერიტორიული** (მთლიანობა)

ტერმინალი (ტერმინალის˹ა˺)

ტერმინი

ტერმინოლოგია (ტერმინოლოგიის˹ა˺)

ტერმინოლოგიური (ტერმინოლოგიურად)

ტერორი

ტერორიზება (ტერორიზების˹ა˺): **ტერორიზებული**

ტერორიზმი (ტერორიზმმა)

ტერორისტი: ტერორისტული

ტერორქვეშ

ტესტი: ტესტური

ტეტანუსი (ტეტანუსს)

ტექნიკა (ტექნიკის˹ა˺)

ტექნოლოგია (ტექნოლოგიის˹ა˺)

ტექნოლოგიური (ტექნოლოგიურად)

ტექნიკოსი (ტექნიკოსს)

ტექნიკური (ტექნიკურად)

ტექსტი: ტექსტობრივი (ტექსტობრივად)

ტეხს; ტეხდა; ტეხდეს [და არა ტეხავს, ტეხავდა, ტეხავდეს]

ტვირთაკიდებული

ტვირთბრუნვა (ტვირთბრუნვის˹ა˺)

ტვირთმიმღები

ტვირთსაზიდი

ტიპი (= 1. რაიმეს ნიმუში, სახე, მაგ., ახალი **ტიპის** არმია...; 2. ლიტ. პირის განზოგადებული სახე, მაგ., ვაჭრის... **ტიპი**; 3. ბიოლ. მცენარეთა და ცხოველთა დაჯგუფების ერთეული, მაგ., ძუძუმწოვართა... **ტიპი**) – **ტიპაჟი** (= ტიპისთვის დამახასიათებელ თვისებათა მქონე პირი, მაგ., შესაფერისი **ტიპაჟია**)

ტიპობრიობა (ტიპობრიობის⌜ა⌝)

ტიპური; ტიპობრივი [და არა ტიპიური]

ტირანი: ტირანული

ტირაჟი (ტირაჟს)

ტირე (ტირეს⌜ი⌝)

ტირი, ვტირი [და არა ტირიხარ, ვტირივარ]

ტირის; ტიროდა; ტიროდეს (ის), მაგრამ: **სტირის; სტიროდა; სტიროდეს** (ის მას)

ტირი (შენ), მაგრამ: **დასტირი, მისტირი** (შენ მას)

ტიტანი: ტიტანური

ტიტრი

ტიტული; ტიტულიანი; სატიტულო

ტკბილი (ტკბილად); **მოტკბო** [და არა მოტკბილო]; **უტკბესი** (უტკბესს)

ტკბილ-მწარე

ტკბილ-ტკბილი

[ტკივა... კი არა] **სტკივა; სტკიოდა; სტკიოდეს**

ტკივილგამაყუჩებელი (ტკივილგამაყუჩებლის⌜ა⌝)

[ტკივილი მიადგა კი არა] **ეტკინა**

ტოვებს; ტოვებდა; ტოვებდეს [და არა სტოვებს...]

ტოლ-ამხანაგი, მაგრამ: **ტოლამხანაგური** (ტოლამხანაგურად)

ტოლერანტი // შემწყნარებელი

ტოლერანტობა (ტოლერანტობის⌜ა⌝) // **შემწყნარებლობა** (შემწყნარებლობის⌜ა⌝)

ტოლერანტული (ტოლერანტულად) // **შემწყნარებლური** (შემწყნარებლურად)

ტოლ-ტოლი (ტოლ-ტოლად)

ტოლფასი (ტოლფასს)

ტოლფასიანი; ტოლფასოვანი (ტოლფასოვნად)

ტომარა (ტომრის⌜ა⌝)

ტომოგრამა (ტომოგრამის⌜ა⌝)

ტომოგრაფია (ტომოგრაფიის⌜ა⌝)

ტომოგრაფიული (ტომოგრაფიულად)

ტონალობა (ტონალობის⌜ა⌝)

ტონი; შდრ.: **ტონს აძლევს** (= მაგალითს აჩვენებს)

ტონუსი (ტონუსს)

ტოპონიმი (ტოპონიმმა)

ტორეადორი

ტორნადო

ტორპედო

ტოტალიზატორი

ტოტალური (= საყოველთაო, მთლიანი, სრული, ყოვლისმომცველი: **ტოტალური** გაყალბება...) – **ტოტალიტარული** (რეჟიმი / მმართველობა)

ტოტებქვეშ

ტოტემი (ტოტემმა): **ტოტემური**

ტოქსიკოლოგი

ტოქსიკოლოგია (ტოქსიკოლოგიის⌜ა⌝):

ტოქსიკოლოგიური

ტოქსიკური [და არა ტოქსიური]

ტოქსინი

ტოქშოუ [და არა თოქ-შოუ, თოკ-შოუ]

ტრაბახი (// **ტრაბახობა**)

ტრაგედია (ტრაგედიის⌜ა⌝)

ტრაგიკომედია (ტრაგიკომედიის⌜ა⌝)

ტრაგიკომიკური (ტრაგიკომიკურად)

ტრაგიკული (ტრაგიკულად)

ტრადიცია (ტრადიციის⌜ა⌝): **ტრადიციული** (ტრადიციულად)

ტრაექტორია (ტრაექტორიის⌜ა⌝): **ტრაექტორიული**

ტრავმა (ტრავმის⌜ა⌝) [და არა ტრამვა]

ტრავმული, ტრავმატული (= ტრავმით გამოწვეული) – **ტრავმირებული** (= ვინც ტრავმა განიცადა)

ტრაილერი

ტრამვაი (მოთხრ. ტრამვაიმ, მიც., ნათ. ტრამვაის) [და არა ტრანვაი]

ტრამპლინი (სპორტ.)

ტრანზიტი: ტრანზიტული; სატრანზიტო

ტრანსკავკასიური (მაგისტრალი...)

ტრანსკრიფცია (ტრანსკრიფციის⌜ა⌝)

ტრანსლაცია (ტრანსლაციის⌜ა⌝) [და არა ტრანსლიაცია]

ტრანსპარანტი

ტრანსპლანტაცია (ტრანსპლანტაციის⌜ა⌝): **ტრანსპლანტაციური**

ტრანსპორტაბელობა (ტრანსპორტაბელობის⌜ა⌝); **ტრანსპორტაბელური**

ტრანსპორტი: სატრანსპორტო

ტრანსპორტირება (ტრანსპორტირების⌜ა⌝): **ტრანსპორტირებული**

ტრანსფერი; სატრანსფერო

ტრანსფორმატორი: ტრანსფორმატორული

ტრანსფორმაცია (ტრანსფორმაციის⌜ა⌝)

ტრანსფორმირება (ტრანსფორმირების⌜ა⌝): **ტრანსფორმირებული**

ტრანსცენდენტური (= 1. ფილოს. ცდის გარეშე არსებული, ლოგიკურ-განყენებული, შემეცნებისათვის მიუწვდომელი; 2. მათემატ. რასაც ალგებრულად ვერ გამოიანგარიშებენ); შდრ. **ტრანსცენდენტალური** (= კანტის იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება)

ტრანშეა (ტრანშეის⌜ა⌝) (= 1. ვიწრო ღრმა თხრილი, რომელიც მთლიან ხაზად აერთებს თავდაცვითი პოზიციების ყველა საცეცხლე წერტილს; 2. გრძლად გაჭრილი თხრილი; 3. ღია სამთო გამონამუშევარი)

ტრანშე (ტრანშეში)

ტრაპეზი (ტრაპეზზე)

ტრაპი

ტრასა (ტრასის⌜ა⌝)

ტრაფარეტი: **ტრაფარეტული**

ტრაფარეტულობა (ტრაფარეტულობის˹ა˺)

ტრაქტატი

ტრენაჟორი (სპორტ.)

[ტრენერი კი არა] **მწვრთნელი** (სპორტ.)

ტრეპანაცია (ტრეპანაციის˹ა˺)

ტრეფიკინგი

ტრიბუნა (= 1. საგანგებოდ მოწყობილი ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 2. ნაგებობა (სტადიონზე, მოედანზე...), რომელსაც აქვს საფეხურებრივი ამაღლებული რიგები დასაჯდომად (მაყურებელთათვის); 3. გადატ. იარაღი, საშუალება, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური, პუბლიცისტური ან საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის: გაზეთი იყო მისი **ტრიბუნა**) – **ტრიბუნი** (= 1. ძველ რომში სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობის პირი, რომელსაც თავდაპირველად ევალებოდა პლებეების უფლებათა დაცვა; 2. გადატ. საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი და პუბლიცისტი, რომელიც თავის გამოსვლებში იცავს რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს)

ტრიბუნალი

ტრივიალური (შემთხვევა...)

ტრილერი [და არა თრილერი]

ტრილოგია (ტრილოგიის˹ა˺)

ტრიო

ტრიუმფი: **ტრიუმფული** (// **ტრიუმფალური**: **ტრიუმფალური** თაღი)

[ტრომბიკი არა] **თრომბი**

ტროპიკი: **ტროპიკული**

ტროტუარი

ტროფეი (მოთხრ. ტროფეიმ, მიც., ნათ. ტროფეის) // **ნადავლი**

ტუბერკულოზი (ტუბერკულოზზე) [და არა ტუბერკულიოზი]

ტუმბა (= 1. დაბალი ბოძი; 2. პატარა კარადა, რომელსაც საწოლთან დგამენ; 3. დაბალი კარადა, რომელიც გამოყენებულია საწერი მაგიდის საყრდენად; 4. მრგვალი ნაგებობა აფიშებისა და განცხადებების გასაკრავად; შდრ.: **ტუმბო**: ტექ. მანქანა, ხელსაწყო, რომლითაც რაიმეს (სითხეს, გაზს) ამოიღებენ, ამოქაჩავენ ან ჩაუშვებენ, მაგ., სახანძრო **ტუმბო**)

ტუნდრა (ტუნდრის˹ა˺)

ტური

ტურიზმი (ტურიზმმა)

ტურისტი: **ტურისტული**

ტურნე (ტურნეს˹ი˺)

[ტურნირში გამოვლენ კი არა] **ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას** (სპორტ.)

ტუჩ-კბილი

ტყე (ტყის˹ა˺): **სატყეო**; **მეტყევე** (მეტყევის˹ა˺)

ტყე და ველი, მაგრამ: **ტყე-ველი**

ტყე და ღრე, მაგრამ: **ტყე-ღრე**

ტყემალი (ტყემლის⌜ა⌝); **სატყემლე** (სატყემლის⌜ა⌝)

ტყე-მინდორ-ველი

ტყვე (ტყვის⌜ა⌝)

ტყვია-წამალი (ტყვია-წამლის⌜ა⌝)

ტყისკაცი

ტყისმცველი

ტყისმჭრელი

ტყის პირას/პირად, მაგრამ: **ტყისპირა სახლი**

ტყორცნის (ბავშვი ბურთს), მაგრამ: **სტყორცნის** (ბავშვი ბურთს მეგობარს)

ტყუი [და არა ტყუიხარ]

ტყუილი (ტყუილად) [და არა ტყვილი, ტყვილად]

ტყუილ-მართალი (ტყუილ-მართლის⌜ა⌝)

ტყუილუბრალო (ტყუილუბრალოდ)

ტყუპისცალი

უ

უადგილო; უადგილობა

უადვილდება; უადვილდებოდა; უადვილდებოდეს (გაუადვილდება...)

უადვილებს; უადვილებდა; უადვილებდეს (გაუადვილებს...)

უადვილესი (უადვილესს)

უადრესი (უადრესს)

უავტორო

უაზრო; უაზრობა

უათკეცდება; უათკეცდებოდა; უათკეცდებოდეს (გაუათკეცდება...)

უათკეცებს; უათკეცებდა; უათკეცებდეს (გაუათკეცებს...)

უალკოჰოლო [და არა უალკოგოლო]

უამათოდ

უამბია [და არა უამბნია] (თურმე)

უამინდობა (უამინდობის⌜ა⌝)

უამისო

უამრავი ბავშვი / წიგნი... [და არა უამრავი ბავშვები, წიგნები...]

უანგარიშებს (მას); **უანგარიშა; უანგარიშებია; ეანგარიშებინა,** შდრ.: **უანგარიშია** (ანგარიშობს)

უანგარიშო

უანგარო (უანგაროდ)

უანგარობა (უანგარობის⌜ა⌝)

უანდერძებს; უანდერძა; უანდერძებია; ეანდერძებინა

უანექსიო

უარაფრო (უარაფროდ)

უარესდება; უარესდებოდა; უარესდებოდეს (გაუარესდება...)

უარესი (უარესს); **უარესობა**

უარვყოფ; უარვყავი; უარმიყვია; უარმეყო [და არა ვუარყოფ, ვუარყავი...]

უარის თქმა (უარს ამბობს; უარი თქვა / უთქვამს / ეთქვა)

უარისმთქმელი

უარმყოფელი (უარმყოფლის˹ა˺) // **უარმყოფი**

უარობა (= „არას“ თქმა, უარზე დგომა, მაგ., მიპატიჟებაზე / თანამშრომლობაზე **უარობა**) – **უარყოფა** (= რაიმე არსებულის მიუღებლობა, უკუგდება, მაგ., სინამდვილის/აზრის **უარყოფა**)

უარობს; უარობდა; უარობდეს (**იუარებს**...)

უარსაყოფი (უარსაყოფად)

უარყოფა (უარყოფის˹ა˺): **უარყოფილი**

უარყოფითი (უარყოფითთან)

უარყოფს; უარყო (**უარვყავი მე; უარყავი შენ**); **უარუყვია; უარეყო**

უაღრესი (უაღრესად)

უახლესი (უახლესს)

უახლოებს; უახლოებდა; უახლოებდეს [და არა უახლოვებს...], მაგრამ: **დაუახლოვა; დაუახლოვდა**

უახლოესი (უახლოესს) [და არა უახლოვესი]

უბადლო

უბამს [და არა უბავს] (მხარს)

უბანავია (თვითონ) – **უბანავებია** (სხვა)

უბანი (უბნის˹ა˺)

უბან-უბან

უბარაქო; უბარაქობა

უბარი (უბრად)

უბე (= ტანსაცმლის შიდა ნაწილი) – **უპე** (= ადგილი თვალის გარშემო)

უბეგრავი

უბედავს; უბედავდა; უბედავდეს (**გაუბედავს**...)

უბედნიერესი (უბედნიერესს)

უბედო (= ვისაც ბედი არა აქვს, ბედი არ სწყალობს, უიღბლო); შდრ.: **უბედური** (= 1. ცუდი ბედის მქონე: **უბედურ** კაცს ქვა აღმართში მიეწევაო; 2. გადატ., საუბ. ცუდი, აუტანელი: **უბედური** ხასიათი აქვს)

უბედურდება; უბედურდებოდა; უბედურდებოდეს (**გაუბედურდება**...)

უბედურება (უბედურების˹ა˺)

უბერებელი (უბერებლად)

უბინაო; უბინაობა (უბინაობის˹ა˺)

უბირი

უბიძგებს; უბიძგა; უბიძგებია; ებიძგებინა [და არა ებიძგებია]

უბიწო; უბიწობა //უბიწოება

უბოდიშებს; უბოდიშებდა; უბოდიშებდეს (**მოუბოდიშებს**...)

უბოდიშო (უბოდიშოდ)

უბოროტო (უბოროტოდ)

უბოძებს; უბოძა; უბოძებია; ებოძებინა

უბრალობა (= ბრალის / დანაშაულის უქონლობა; სიმართლე: ადამიანის **უბრალობა**) – **უბრალოება** (= სისადავე; უბრალოს თვისება: **უბრალოება** ყველას ამშვენებს)

უბრკოლდება; უბრკოლდებოდა; უბრკოლდებოდეს (დაუბრკოლდება...)

უბრკოლებს; უბრკოლებდა; უბრკოლებდეს (დაუბრკოლებს...)

უბრუნდება; უბრუნდებოდა; უბრუნდებოდეს (დაუბრუნდება...)

უბრუნებს; უბრუნებდა; უბრუნებდეს (დაუბრუნებს...)

უბრძანებს; უბრძანა; უბრძანებია; ებრძანებინა

უბრძოლველი (უბრძოლველად)

უბრწყინვალესი (უბრწყინვალესს)

უგამონაკლისო (უგამონაკლისოდ)

უგანათლებულესი (უგანათლებულესს)

უგარანტიო

უგეგმო; უგეგმობა (უგეგმობის⌜ა⌝)

უგემოვნო (უგემოვნოდ)

უგემრიელესი (უგემრიელესს)

უგემური (უგემურად)

უგერგილო; უგერგილობა

უგვიანდება; უგვიანდებოდა; უგვიანდებოდეს (დაუგვიანდება...)

უგვიანებს; უგვიანებდა; უგვიანებდეს (დაუგვიანებს...)

უგზავნის, უგზავნა; უგზავნია; ეგზავნა

უგზო; უგზოობა (უგზოობის⌜ა⌝)

უგზო-უკვლო, მაგრამ: **უგზოუკვლობა**

უგირავებს; უგირავებდა; უგირავებდეს (დაუგირავებს...)

უგირაოდ

უგლეჯს; უგლეჯდა; უგლეჯდეს [და არა უგლეჯავს, უგლიჯავს; უგლეჯავდა, უგლიჯავდა; უგლეჯავდეს, უგლიჯავდეს]; **უგლიჯა; უგლეჯია; ეგლიჯა**

უგონებს; უგონებდა; უგონებდეს (მოუგონებს...)

უგონო (= გულწასული: კაცი **უგონოდ** ეგდო) – **უგუნური** (= უჭკუო: **უგუნური** ლაპარაკი / ქცევა...)

უგორავია (თვითონ) – **უგორავებია** (სხვა)

უგრეხს; უგრეხდა; უგრეხდეს [და არა უგრეხავს, უგრიხავს; უგრეხავდა, უგრიხავდა; უგრეხავდეს, უგრიხავდეს]; **უგრიხა; უგრეხია; ეგრიხა**

უგროვდება; უგროვდებოდა; უგროვდებოდეს (დაუგროვდება...)

უგროვებს; უგროვა; უგროვებია; ეგროვებინა

უგრძელდება; უგრძელდებოდა; უგრძელდებოდეს (გაუგრძელდება...)

უგრძესი [და არა უგრძელესი] (უგრძესს)

უგრძნია (მიგრძნია, გიგრძნია) [და არა უგრძვნია, მიგრძვნია, გიგრძვნია]

უგრძნობელი; უგრძნობლობა (უგრძნობლობის⌜ა⌝)

უგულებელვყოფ; უგულებელვყავი; უგულებელმიყვია; უგულებელმეყო [და არა ვუგულებელყოფ,

უგულვებელვყოფ; ვუგულებელყავი, უგულვებელვყავი...]

უგულებელყოფა (**უგულებელყოფს; უგულებელყო; უგულებელუყვია; უგულებელეყო**)

უგულობა (უგულობის⌜ა⌝)

უგუნებობა (უგუნებობის⌜ა⌝)

უგუნურება (// **უგუნურობა**)

უდაბლესი (უდებლესს)

უდაბნო (= 1. დედამიწის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ, სრულიად უწყლო და უმცენარო; 2. მ ვ. განმარტოებით მდგარი მონასტერი; შ დ რ.: **უდაბური**: 1. დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი ადგილი; 2. გაუვალი, დაბურული, უღრანი ტყე)

უდავიდარაბო (უდავიდარაბოდ)

უდავო; უდავოდ

უდანაკარგოდ

უდანაკლისოდ

უდანაშაულო (უდანაშაულოდ)

უდანაშაულობა (უდანაშაულობის⌜ა⌝)

უდარდელობა (უდარდელობის⌜ა⌝)

უდარებს; უდარებდა; უდარებდეს (**შეუდარებს**...)

უდგას [დ ა ა რ ა უდგია] (სული...)

უდგაბარ; უდგაბართ [დ ა ა რ ა უდგეხარ, უდგეხართ]

უდედმამო; უდედმამობა

უდეფექტო

უდეფიციტო

უდიერად

უდოვლათო

უდოტაციო

უდრეკობა (უდრეკობის⌜ა⌝)

უდრეკს; უდრეკდა; უდრეკდეს [დ ა ა რ ა უდრეკავს, უდრიკავს; უდრეკავდა, უდრიკავდა; უდრეკავდეს, უდრიკავდეს]; **უდრიკა; უდრეკია; ედრიკა**

უდრის; უდრიდა; უდრიდეს

უდროო (უდროოდ)

უდროობა (უდროობის⌜ა⌝)

უდრტვინველი (უდრტვინველად)

უდრტვინველობა (უდრტვინველობის⌜ა⌝)

უებარი (წამალი / მალამო / საშუალება...) – **უებრო** (მეგობარი / ადამიანი / მოსაუბრე...)

უენერგიო

უენო

უერთგულესი (უერთგულესს)

უეფა (მ ო თ ხ რ. უეფამ, მ ი ც., ნ ა თ. უეფას...; უეფაში, უეფაზე, უეფადან...): ევროპის საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანება.

უეფექტო

უეჭიმებს; უეჭიმა; უეჭიმებია; ეეჭიმებინა

უეცრად // უეცრივ

უეჭველი; უეჭველად (ზეპირ მეტყველებაში დროდადრო ისმის:

უეჭველი მოვა, **უეჭველი** გააკეთებს... **უეჭველი** ჩვეულებრივი მსაზღვრელია და ზმნასთან მისი დაკავშირება (სახ. ბრუნვის ფორმით) უჩვეულო და უმართებულოა. ასეთ შემთხვევებში ვითარებითი ბრუნვა უნდა გამოვიყენოთ: **უეჭველად** მოვა / გააკეთებს...)

უეჭვო

უვადო

უვალო

უვარგისი (უვარგისს)

უვარჯიშია (თვითონ) – **უვარჯიშებია** (სხვა)

უვერტიურა (უვერტიურის⌜ა⌝) [და არა უვერტურა]

უვითარდება; უვითარდებოდა; უვითარდებოდეს [და არა უნვითარდება...]

უვითარებს; უვითარებდა; უვითარებდეს [და არა უნვითარებს...]

უვნებელვყოფ; უვნებელვყავი; უვნებელმიყვია; უვნებელმეყო [და არა ვუვნებელვყოფ, ვუვნებელყოფ...]

უვნებელყოფა (უვნებელყოფის⌜ა⌝)

უვნებელყოფს; უვნებელყო; უვნებელუყვია; უვნებელეყო

უვნებლობა (უვნებლობის⌜ა⌝)

უზარალო

უზარმაზარი (უზარმაზარის⌜ა⌝)

უზბეკი; უზბეკური

უზედამხედველო

უზენაესი (უზენაესს)

უზენაესი სასამართლო

უზენაესობა (უზენაესობის⌜ა⌝)

უზიანდება; უზიანდებოდა; უზიანდებოდეს (დაუზიანდება...)

უზიანებს; უზიანებდა; უზიანებდეს (დაუზიანებს...)

უზის (ვუზივარ, უზიხარ); მრ.: **უსხედან (ვუსხედვართ, უსხედხართ)**

უზმო (უზმოდ, უზმოზე)

უზნეო; უზნეობა (უზნეობის⌜ა⌝)

უზოგადესი (უზოგადესს)

უზოგავს; უზოგა; უზოგავს (თურმე); **ეზოგა**

უზომო; უზომობა (უზომობის⌜ა⌝)

უზრდელი (უზრდელად)

უზრდელობა (უზრდელობის⌜ა⌝)

უზრდის; უზარდა; უზრდია; ეზარდა

უზრუნველვყოფ; უზრუნველვყავი; უზრუნველმიყვია; უზრუნველმეყო [და არა ვუზრუნველყოფ, ვუზრუნველვყოფ...]

უზრუნველსაყოფი (უზრუნველსაყოფად)

უზრუნველყოფა (უზრუნველყოფის⌜ა⌝): **უზრუნველყოფილი**

უზრუნველყოფს; უზრუნველყო; უზრუნველუყვია; უზრუნველეყო

უზურპატორი

უზუსი (უზუსს)

უზუსტესი (უზუსტესს)

უზუსტობა (უზუსტობის⌜ა⌝)

უზღავს; **უზღო**; **უზაღვს** (თურმე); **ეზღო**

უზღვრო; **უზღვრობა** (უზღვრობის⌜ა⌝)

უზღუდავს; **უზღუდავდა**; **უზღუდავდეს**; **უზღუდა**; **უზღუდავს** (თურმე); **ეზღუდა**

უთადარიგო; **უთადარიგობა** (უთადარიგობის⌜ა⌝)

უთავდებო

უთავო; **უთავობა** (უთავობის⌜ა⌝); **უთავოდ**

უთავშესაფრო

უთამაშია (თვითონ) – **უთამაშებია** (სხვა)

უთანაბრდება; **უთანაბრდებოდა**; **უთანაბრდებოდეს** (**გაუთანაბრდება**...)

უთანაბრო; **უთანაბრობა** (უთანაბრობის⌜ა⌝)

[უთანაგრძნობს კი არა] **თანაუგრძნობს**

უთანაზომო; **უთანაზომობა** (უთანაზომობის⌜ა⌝)

უთანასწორდება; **უთანასწორდებოდა**; **უთანასწორდებოდეს** (**გაუთანასწორდება**...)

უთანასწორო; **უთანასწორობა** (უთანასწორობის⌜ა⌝)

უთანხმდება; **უთანხმდებოდა**; **უთანხმდებოდეს** (**შეუთანხმდება**...)

უთანხმებს; **უთანხმებდა**; **უთანხმებდეს** (**შეუთანხმებს**...)

უთანხმოება (უთანხმოების⌜ა⌝)

უთარგმნის; **უთარგმნა**; **უთარგმნია**; **ეთარგმნა**

უთარიღო

უთარჯიმნოდ

უთენია

უთენ-უღამებია

უთვალავჯერ

უთვალო (კაცი), მაგრამ: **უთვლო** (ბეჭედი)

უთვისტომო; **უთვისტომობა** (უთვისტომობის⌜ა⌝)

უთოფიარაღო

უთოფიარაღობა (უთოფიარაღობის⌜ა⌝)

უთუო; **უთუობა**; **უთუოდ**

უთქვამს [და არა უთქვავს]

უთქვენო; **უთქვენობა** (უთქვენობის⌜ა⌝)

უთქმელი; **უთქმელობა** (უთქმელობის⌜ა⌝)

უთხოვია (თვითონ) – **უთხოვებია** (სხვისთვის წიგნი...)

უიარაღო (უიარაღოდ)

უიდეო (უიდეოდ)

უილაჯო; **უილაჯობა** (უილაჯობის⌜ა⌝)

უიმათოდ

უიმედო (უიმედოდ); **უიმედობა** (უიმედობის⌜ა⌝)

უიმისო; **უიმისობა** (უიმისობის⌜ა⌝); **უიმისოდ**

უინერციო

უინიციატივო (უინიციატივოდ)

უინიციატივობა (უინიციატივობის⌜ა⌝)

უინტერესო (უინტერესოდ)

უიღბლო; უიღბლობა (უიღბლობის⌜ა⌝)

უკავია // უჭირავს: ა) რამე აქვს ხელში (წიგნი **უკავია // უჭირავს**); ბ) ფლობს ამა თუ იმ ადგილს (დიდი ადგილი **უკავია // უჭირავს**), მ ა გ რ ა მ: თავი კარგად (მაღლა / ამაყად) **უჭირავს**; ადგილი (თანამდებობა / პოსტი) **უკავია.**

უკავია; ეკავა; ჰკავებია; ჰკავებოდა [დ ა ა რ ა კავებია, კავებოდა]

უკავშირდება; უკავშირდებოდა; უკავშირდებოდეს (დაუკავშირდება...)

უკავშირო

[უკანა კი არა] **წინა რიცხვით** (გაფორმებული დოკუმენტი)

უკანდასახევი (გზა)

უკან დახევა, მ ა გ რ ა მ: **უკანდახეული; უკანდაუხეველი**

უკანმალაყი (ს პ ო რ ტ.)

უკან მოხედვა, მ ა გ რ ა მ: **უკანმოუხედავად**

უკანონო (უკანონოდ); **უკანონობა** (უკანონობის⌜ა⌝)

უკანსვლა (უკანსვლის⌜ა⌝)

უკან-უკან, მ ა გ რ ა მ: **უკან და უკან**

უკაფავს; უკაფა; უკაფავს (თურმე); **ეკაფა**

უკაცრავად

უკაცრაული პასუხია

უკბენს; უკბინა; უკბენია; ეკბინა

უკეთ, უკეთესად

უკეთ და უკეთ

უკეთდება; უკეთდებოდა; უკეთდებოდეს (გაუკეთდება...)

უკეთებს; უკეთებდა; უკეთებდეს (გაუკეთებს...)

უკეთესი (უკეთესს)

უკეთესობა (უკეთესობის⌜ა⌝)

უკეთილშობილესი (უკეთილშობილესს)

უკეტავს; უკეტავდა; უკეტავდეს (დაუკეტავს...)

უკვალავს; უკვალავდა; უკვალავდეს (გაუკვალავს...)

უკვალო (= რასაც კვალი არ დარჩა, რასაც კვალი არ დაუტოვებია: ამ ამბავმა **უკვალოდ** ჩაიარა) – **უკვლო** (= გზააბნეული, გზადაკარგული)

უკვდავვყოფ; უკვდავვყავი; უკვდავმიყვია; უკვდავმეყო [დ ა ა რ ა ვუკვდავყოფ...]

უკვდავყოფა (უკვდავყოფის⌜ა⌝); **უკვდავყოფილი**

უკვდავყოფს; უკვდავყო; უკვდავუყვია; უკვდავეყო

უკვდება; უკვდებოდა; უკვდებოდეს (მოუკვდება...)

უკვე

უკვეთს; უკვეთდა; უკვეთდეს [დ ა ა რ ა უკვეთავს, უკვეთავდა, უკვეთავდეს]

უკვეცელი (უკვეცლის⌜ა⌝ // უკვეცელის⌜ა⌝, მ რ. უკვეცელები)

უკიდეგანო (უკიდეგანოდ)

უკიდურესი (უკიდურესს)

უკიდურესობა (უკიდურესობის˹ა˺)

უკითხავად [დ ა ა რ ა უკითხველად]

უკითხავს (თურმე)

უკლებლად // უკლებლივ

უკმარობა (უკმარობის˹ა˺) // **უკმარისობა** (უკმარისობის˹ა˺)

უკმაყოფილება (უკმაყოფილების˹ა˺) [დ ა ა რ ა უკმაყოფილობა]

უკმაყოფილო (უკმაყოფილოდ)

უკმევს; უკმია; უკმევია; ეკმია (გუნდრუკი)

უკმეხი; უკმეხობა (უკმეხობის˹ა˺)

უკომპრომისო (უკომპრომისოდ)

უკონდიციო

უკონტაქტო

უკონტროლო

უკონტროლობა (უკონტროლობის˹ა˺)

უკონფლიქტო (უკონფლიქტოდ); **უკონფლიქტობა** (უკონფლიქტობის˹ა˺) [დ ა ა რ ა უკომფლიქტო, უკომფლიქტობა]

უკრაინელი; უკრაინული

უკრებს (მას ხალხს) – **უკრეფს** (მას ხილს)

უკრიზისო

უკრიტიკო (უკრიტიკოდ)

უკუგავლენა (უკუგავლენის˹ა˺)

უკუგამოსხივება (უკუგამოსხივების˹ა˺)

უკუგანვითარება (უკუგანვითარების˹ა˺)

უკუგდება: უკუგდებული

უკუგება (უკუგების˹ა˺): **უკუგებული**

უკუვარდნა (უკუვარდნის˹ა˺)

უკუზნექი (ს პ ო რ ტ.)

უკუიქცევა; უკუიქცა; უკუქცეულა; უკუქცეულიყო

უკულტურობა (უკულტურობის˹ა˺)

უკუკოტრიალი (ს პ ო რ ტ.)

უკუმოქმედება (უკუმოქმედების˹ა˺)

უკუნეთი: წყვდიადი; ძალიან ბნელი: „**უკუნეთია**, არ ისმის კრინტი არსითგან არრისა“ (ვაჟა); „ქვების მეტს ვერაფერს ვხედავ ამ ბნელს, **უკუნეთს** ღამეში“ (ვაჟა) – **უკუნითი**: სამუდამო; შ დ რ.: **უკუნითი უკუნისამდე**: სამუდამოდ, სამარადისოდ.

უკურკალი (ს პ ო რ ტ.)

უკუსაგდები

უკუსვლა (უკუსვლით)

უკუფები (ს პ ო რ ტ.)

უკუქმედება (უკუქმედების˹ა˺)

უკუქცევა (უკუქცევის˹ა˺) **(უკუაქცევს; უკუიქცევა)**

უკუქცევითი

უკუღმართობა (უკუღმართობის˹ა˺)

უკუღმართული (უკუღმართულად)

უკუყირამალა (ს პ ო რ ტ.)

უკუწნევა (უკუწნევის˹ა˺)

უკუხედვა (უკუხედვის˹ა˺)

ულაგია; ელაგა; ლაგებია; ლაგებოდა

ულაპარაკია (თვითონ) – **ულაპარაკებია** (სხვა)

ულაპარაკოდ

ულევი // ულეველი

ულიმიტო (ულიმიტოდ)

ულმობელი (ულმობლად)

ულოგიკო (ულოგიკოდ); **ულოგიკობა** (ულოგიკობის⌜ა⌝)

ულტიმატუმი (ულტიმატუმმა): **საულტიმატუმო**

ულტრაბგერა (ულტრაბგერის⌜ა⌝)

ულტრაბგერითი // ულტრაბგერული

ულტრაიისფერი (სხივები)

ულუკმაპურო (ულუკმაპუროდ)

უმაგალითო

უმაგისო; უმაგისობა (უმაგისობის⌜ა⌝); **უმაგისოდ**

უმადო (= ვისაც მადა არა აქვს) – **უმადური** (= ვინც ვინმეს მადლს, სიკეთეს, ამაგს არ აფასებს: **უმადური** ადამიანი)

უმადოდ (= მადის უქონლად; უხალისოდ) – **უმადურად** (= სიკეთის, მადლის დაუფასებლად)

უმადურობა (უმადურობის⌜ა⌝)

უმალვე

უმართავი (უმართავად)

უმართებულო (უმართებულოდ)

უმარტავს; უმარტავდა; უმარტავდეს [და არა უნმარტავს...] (**განუმარტავს...**)

უმარტივესი (უმარტივესს)

უმარცხო

უმასპინძლებს; უმასპინძლა; უმასპინძლებია; ემასპინძლებინა [და არა ემასპინძლებია]

უმაქნისი (უმაქნისს)

უმდაბლესი (უმდაბლესს)

უმეგობრო

უმეთვალყურეო (უმეთვალყურეოდ)

უმეთვალყურეობა (უმეთვალყურეობის⌜ა⌝)

უმეტესი (უმეტესს); **უმეტესობა** (უმეტესობის⌜ა⌝)

უმეტესწილად // მეტწილად

უმეტნაკლებო

უმეფია (თვითონ) – **უმეფებია** (სხვა)

უმეცარი (უმეცრის⌜ა⌝)

უმეცრება (უმეცრების⌜ა⌝)

უმთავრესი (უმთავრესს)

უმიზეზო; უმიზეზობა

უმიზნებს; უმიზნა; უმიზნებია; ემიზნებინა

უმიზნობა (უმიზნობის⌜ა⌝)

უმისამართო

უმკურნალია (თვითონ) – **უმკურნალებია** (სხვისთვის)

უმნიშვნელო (უმნიშვნელოდ)

უმნიშვნელოვანესი (უმნიშვნელოვანესს)

უმოკლესი (უმოკლესს)

უმორჩილებს; უმორჩილებდა; უმორჩილებდეს (**დაუმორჩილებს...**)

უმოსავლო // მოუსავლიანი

უმოსახლო

უმოტივო

უმოქმედია [და არა უმოქმედნია]

უმოქმედო (უმოქმედოდ); **უმოქმედობა** (უმოქმედობის˹ა˺)

უმოძრაო; უმოძრაობა (უმოძრაობის˹ა˺); **უმოძრაოდ**

უმოწყალო; უმოწყალობა (უმოწყალობის˹ა˺)

უმრავლესობა (უმრავლესობის˹ა˺)

უმსგავსი (უმსგავსს) // **უმსგავსო**

უმსგავსობა (უმსგავსობის˹ა˺) [და არა უმსგავსოება]

უმსუბუქებს; უმსუბუქებდა; უმსუბუქებდეს (შეუმსუბუქებს...)

უმსუბუქესი (უმსუბუქესს)

უმსხვერპლო

უმსხვილესი (უმსხვილესს)

უმტერო // უმტრო

უმტკივნეულო (უმტკივნეულოდ)

უმტკიცდება; უმტკიცდებოდა; უმტკიცდებოდეს (დაუმტკიცდება...)

უმტკიცესი (უმტკიცესს)

უმტრობს; უმტრო; უმტრია; ემტრო

უმტყუნებს; უმტყუნა; უმტყუნია; ემტყუნა

უმუშაია (თვითონ) – **უმუშავებია** (სხვა)

უმუშახელოდ

უმუშევარი (უმუშევრის˹ა˺)

უმუშევრობა (უმუშევრობის˹ა˺)

უმღერია (თვითონ) – **უმღერებია** (სხვა)

უმშვენიერესი (უმშვენიერესს)

უმცდარი

უმცირებს; უმცირებდა; უმცირებდეს (შეუმცირებს...)

უმცირესი (უმცირესს)

უმცირესობა (უმცირესობის˹ა˺)

უმცროსი (უმცროსს)

უმცროსობა (უმცროსობის˹ა˺)

უმძიმესი (უმძიმესს)

უმძლავრესი (უმძლავრესს)

უმწეო; უმწეობა (უმწეობის˹ა˺)

უმწვავესი (უმწვავესს)

უმწიკვლო

უმწიფარი (უმწიფრის˹ა˺)

უმჯობესი [და არა უმჯიდროვესი]

უმხიარულია (თვითონ) – **უმხიარულებია** (სხვა)

უმჯობესი (უმჯობესს)

უნაკლო (უნაკლოდ)

უნალექო

უნამუსობა (უნამუსობის˹ა˺)

უნარდაკარგული

უნარი; უნარიანი

უნარიანობა (უნარიანობის˹ა˺)

უნარმოკლებული

უნარჩენოდ

უნარ-ჩვევა (უნარ-ჩვევის⌜ა⌝)

უნარჩუნებს; უნარჩუნებდა; უნარჩუნებდეს (შეუნარჩუნებს...)

უნაყოფო; უნაყოფობა (უნაყოფობის⌜ა⌝)

უნაშენო (უნაშენოდ)

უნაშთო

უნაშიერო

უნაწილო

უნახავი (უნახავად), მაგრამ: **უნახაობა**

უნახავს (თურმე)

უნახავხარ [// უნახიხარ]

უნგრელი; უნგრული

უნდა; უნდოდა; უნდოდეს

უნდობი // უნდობელი // უნდო

უნდობლობა (უნდობლობის⌜ა⌝)

უნდომი (უნდომმა) // **უნდომელი**

უნებლიეთ (ნებსით თუ **უნებლიეთ**)

უნებური (უნებურად)

უნეტარესი (უნეტარესს)

[უნთავისუფლებს კი არა] **უთავისუფლებს**

უნიადაგო; უნიადაგობა (უნიადაგობის⌜ა⌝)

უნიათო; უნიათობა (უნიათობის⌜ა⌝)

უნივერსალიზმი (უნივერსალიზმმა)

უნივერსალობა (უნივერსალობის⌜ა⌝)

უნივერსალური (უნივერსალურად)

უნივერსიადა (სპორტ.)

უნივერსიტეტდამთავრებული

უნივერსიტეტელი (უნივერსიტეტელის⌜ა⌝)

უნივერსიტეტი; საუნივერსიტეტო

უნიკალური (უნიკალურად)

უნიკუმი (უნიკუმმა) (= ძალიან იშვიათი რამ)

უნისონი (მუს.)

უნიფიკაცია (უნიფიკაციის⌜ა⌝)

უნიფიცირება (უნიფიცირების⌜ა⌝)

უნიფიცირებული

უნიფორმა (უნიფორმის⌜ა⌝)

უნიშანწყლო

უნიშნო

უნიჭიერესი (უნიჭიერესს)

უნიჭო; უნიჭობა (უნიჭობის⌜ა⌝) [და არა უნიჭოება]

უნოყიერესი (უნოყიერესს)

უნოყივრო (// **უნოყიერო**)

უნუგეშო (უნუგეშოდ)

უნუგეშობა (უნუგეშობის⌜ა⌝)

უობიექტო

უომრად

უპატენტო

უპატიებელი (უპატიებლად)

უპატივცემულესი (უპატივცემულესს)

უპატივცემულო

უპატივცემულობა (უპატივცემულობის⌜ა⌝)

უპატიოსნესი (უპატიოსნესს)

უპატიოსნო (უპატიოსნოდ); **უპატიოსნობა** (უპატიოსნობის[ა])

უპატრონებს: **უპატრონა**; **უპატრონებია**: **ეპატრონებინა** [და არა ეპატრონებია]

უპატრონო (უპატრონოდ); **უპატრონობა** (უპატრონობის[ა])

უპერსპექტივო (უპერსპექტივოდ)

უპერსპექტივობა (უპერსპექტივობის[ა])

უპირატესი (უპირატესს)

უპირატესობა (უპირატესობის[ა])

უპირველესი (უპირველესს)

უპირველეს ყოვლისა

უპირისპირდება; **უპირისპირდებოდა**; **უპირისპირდებოდეს** (**დაუპირისპირდება...**)

უპოპულარესი (უპოპულარესს)

უპრეზიდენტო

უპრეცედენტო [და არა უპრეცენდენტო]

უპრინციპო (უპრინციპოდ); **უპრინციპობა** (უპრინციპობის[ა])

უპროგრამო

უპროექტო

უპროცენტო (სესხი...)

უჟამო (უჟამოდ) // **უდროო** (უდროოდ)

უჟანგავი

ურანი

ურბანიზაცია (ურბანიზაციის[ა])

ურეკომენდაციო

ურემონტო

ურეფლექსო

ურთიერთგაგება (ურთიერთგაგების[ა])

ურთიერთგავლენა (ურთიერთგავლენის[ა])

ურთიერთდამოკიდებულება (ურთიერთდამოკიდებულების[ა])

ურთიერთდაპირისპირებული

ურთიერთთანამშრომლობა (ურთიერთთანამშრომლობის[ა])

ურთიერთთანხმობა (ურთიერთთანხმობის[ა])

ურთიერთკავშირი

ურთიერთმიმართება (ურთიერთმიმართების[ა])

ურთიერთმოქმედება (ურთიერთმოქმედების[ა])

ურთიერთპარალელური

ურთიერთპატივისცემა (ურთიერთპატივისცემის[ა])

ურთიერთსიყვარული

ურთიერთსიძულვილი

ურთიერთტოლფასი (ურთიერთტოლფასს)

ურთიერთუნდობლობა (ურთიერთუნდობლობის[ა])

ურთიერთქმედება (ურთიერთქმედების[ა])

ურთიერთშეთანხმება (ურთიერთშეთანხმების[ა])

ურთიერთშორისი (ურთიერთშორისს)

ურთულესი (ურთულესს)

ურნა (ურნის˹ა˺)

უროლოგი; უროლოგია (უროლოგიის˹ა˺)

ურომლისოდ; ურომლისოდაც

უროს მტყორცნელი (სპორტ.)

ურტყამს; ურტყამდა; ურტყამდეს [და არა ურტყავს...]

ურყევი; ურყეობა [და არა ურყეველი, ურყეველობა]

ურჩევნია [და არა ურჩევია] (მეცადინეობას თამაში **ურჩევნია**), მაგრამ: **ურჩევია** (= რჩევა მიუცია)

ურჩევნია; ერჩივნა; ერჩივნოს

ურჩევს; ურჩია; ურჩევია; ერჩია

ურწმუნო; ურწმუნოება (ურწმუნოების˹ა˺)

ურჯულობა (// **ურჯულოება**)

უსაბაბო (უსაბაბოდ)

უსაბუთო (უსაბუთოდ)

უსაბუთობა (უსაბუთობის˹ა˺)

უსაგნო (უსაგნოდ)

უსაზღაურო (უსაზღაუროდ)

უსაზღვრო (უსაზღვროდ)

უსათაურო (უსათაუროდ)

უსათუოდ

უსამართლო (უსამართლოდ); **უსამართლობა** (უსამართლობის˹ა˺)

უსამშობლო (უსამშობლოდ)

უსარგებლო (უსარგებლოდ); **უსარგებლობა** (უსარგებლობის˹ა˺)

უსასრულო (უსასრულოდ); **უსასრულობა** (უსასრულობის˹ა˺)

უსასტიკესი (უსასტიკესს)

უსასუქო (უსასუქოდ)

უსასყიდლო (უსასყიდლოდ)

უსაფრთხო (უსაფრთხოდ)

უსაფრთხოება (უსაფრთხოების˹ა˺)

უსაფუძვლო (უსაფუძვლოდ); **უსაფუძვლობა** (უსაფუძვლობის˹ა˺)

უსაქმო (უსაქმოდ)

უსაქმური (უსაქმურად); **უსაქმურობა** (უსაქმურობის˹ა˺)

უსაქციელო; უსაქციელობა (უსაქციელობის˹ა˺)

უსაყვარლესი (უსაყვარლესს)

უსაყვედუროდ

უსაშველო; უსაშველობა (უსაშველობის˹ა˺)

უსაშინელესი (უსაშინელესს)

უსაჭიროესი (უსაჭიროესს)

უსახელო (უსახელოდ)

უსახლკარო (უსახლკაროდ)

უსახსრო (უსახსროდ); **უსახსრობა** (უსახსრობის˹ა˺)

უსახური (უსახურად); **უსახურობა** (უსახურობის˹ა˺)

უსესხია (თავისთვის) – **უსესხებია** (სხვისთვის)

უსვამს [და არა უსვავს, უსმევს] (**უსვამს** შეკითხვებს; **უსვამს** პურზე კარაქს; ხაზს **უსვამს** ამა თუ იმ საკითხს)

უსვამს (თურმე ღვინო / წყალი...)

უსიამოვნო (უსიამოვნოდ); **უსიამოვნება** (უსიამოვნების⌜ა⌝)

უსიკვდილოდ

უსინდისო (უსინდისოდ); **უსინდისობა** (უსინდისობის⌜ა⌝)

უსირცხვილო (უსირცხვილოდ) [და არა უსირცხვო, უსირცხვოდ]

უსირცხვილობა [და არა უსირცხვობა]

უსისტემო (უსისტემოდ); **უსისტემობა** (უსისტემობის⌜ა⌝)

უსიტყვო (უსიტყვოდ)

უსიტყვობა (უსიტყვობის⌜ა⌝)

უსიუჟეტო

უსიყვარულოდ

უსიცოცხლობა (უსიცოცხლობის⌜ა⌝)

უსიხარულოდ

უსმელ-უჭმელი (უსმელ-უჭმელად)

უსრული [და არა უსრულო]

უსრულობა (უსრულობის⌜ა⌝)

უსტანდარტო

უსულგულო (უსულგულოდ)

უსულგულობა (უსულგულობის⌜ა⌝)

უსურვებს; უსურვა; უსურვებია; ესურვებინა [და არა ესურვებია]

უსუფთაო (უსუფთაოდ); **უსუფთაობა** (უსუფთაობის⌜ა⌝)

უსქესი (უსქესს) [და არა უსქელესი]

უსწავლელი (უსწავლელად); **უსწავლელობა** (უსწავლელობის⌜ა⌝)

უსწავლია (თვითონ) – **უსწავლებია** (სხვისთვის)

უსწორმასწორო

უსწრაფესი (უსწრაფესს)

უსხამს [და არა უსხავს] (ის მას წყალს...)

უსჯის; უსჯიდა; უსჯიდეს (**მიუსჯის**...)

უტაქტო (უტაქტოდ)

უტაქტობა (უტაქტობის⌜ა⌝)

უტევს // შეტევაზე გადადის [და არა შეტევაშია] (სპორტ.)

უტვინო (უტვინოდ)

უტვინობა (უტვინობის⌜ა⌝) [და არა უტვინოობა, უტვინოება]

უტილიტარიზმი (უტილიტარიზმმა)

უტირია (თვითონ) – **უტირებია** (სხვა)

უტიფარი (უტიფრად)

უტიფრობა (უტიფრობის⌜ა⌝)

უტკბესი (უტკბესს) [და არა უტკბილესი]

უტოპია (უტოპიის⌜ა⌝): **უტოპიური**

უტრირება (= რაიმეს მეტისმეტად გახაზვა, გაზვიადება და ამით სინამდვილის დამახინჯება)

უტრირებული (უტრირებულად)

უტყვი

უტყუარი; უტყუარობა (უტყუარობის⌜ა⌝)

უუარია (თურმე)

უუნარო (უუნაროდ)

უუნაროობა (უუნაროობის˹ა˺)

უუფლებო (უუფლებოდ)

უუფლებობა (უუფლებობის˹ა˺)

უფალი (უფლის˹ა˺): **საუფლო**

უფართოებს; უფართოებდა; უფართოებდეს [და არა უფართოვებს...], მაგრამ: **გაუფართოვა; უფართოვდება**

უფართოესი (უფართოესს)

უფასდება; უფასდებოდა; უფასდებოდეს (დაუფასდება...)

უფასო (= რაშიც ფასს არ ახდევინებენ: **უფასო** სწავლება / მკურნალობა) – **უფასური** (= გამოუსადეგარი, უსარგებლო: **უფასური** შრომა/ნივთები)

უფასურდება; უფასურდებოდა; უფასურდებოდეს (გაუფასურდება...)

უფერო და **უფერული** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ფერმკრთალს, ფერმიხდილს, ფერდაკარგულს (**უფერო / უფერული** სახე...), მაგრამ **უფერულს** სხვა მნიშვნელობაც აქვს: გადატ. ერთფეროვანი, უშინაარსო (**უფერული** ცხოვრება...).

უფიქრდება; უფიქრდებოდა; უფიქრდებოდეს (დაუფიქრდება...)

უფლება (უფლების˹ა˺); **უფლებრივი** (უფლებრივად)

უფლებააყრილი

უფლება-მოვალეობა (უფლება-მოვალეობის˹ა˺)

უფლებამოსილი; უფლებამოსილება (უფლებამოსილების˹ა˺)

უფლებაუნარიანი; უფლებაუნარიანობა (უფლებაუნარიანობის˹ა˺)

უფლებაშელახული

უფლებაშეუზღუდავი

უფლებაჩამორთმეული

უფლებაწართმეული

უფლებრივ-ქონებრივი

უფლისწული

უფრო და უფრო

უფროსი (უფროსს)

უფროსკლასელი

უფროს-უმცროსი (უფროს-უმცროსს)

უფულო; უფულობა (უფულობის˹ა˺)

უქმადმყოფი

უქმადმყოფობა (უქმადმყოფობის˹ა˺)

უქმადყოფნა (უქმადყოფნის˹ა˺)

უქმე (= არასამუშაო დღე) – **უქმი** (= უსარგებლო, გამოუსადეგარი, ფუჭი)

უქნარა (უქნარას˹ი˺)

უქონელი

უქონლობა (უქონლობის˹ა˺)

უღალატია; ეღალატა; ეღალატოს [და არა უღალატნია...]

უღელი (უღლის˹ა˺)

უღელტეხილი

უღელქვეშ, მაგრამ: **უღლის ქვეშ**

უღირსი (უღირსს)

უღმერთო (უღმერთოდ)

უღმერთობა (უღმერთობის˹ა˺); **უღმერთოება** (უღმერთოების˹ა˺)

უღონო (უღონოდ); **უღონობა** (უღონობის˹ა˺)

უყაირათო; **უყაირათობა** (უყაირათობის˹ა˺)

უყვება; **მოუყვა** (ამბავს) [და არა მოუყვა ამბავი]

უყურადღებო; **უყურადღებობა** (უყურადღებობის˹ა˺)

უშედეგო (უშედეგოდ)

უშემოსავლო

უშენებს; **უშენებდა**; **უშენებდეს**; **უშენა**; **უშენებია**; **ეშენებინა** [და არა ეშენებია]

უშენიშვნო (უშენიშვნოდ)

უშენობა (უშენობის˹ა˺)

უშეცდომო (უშეცდომოდ)

უშვილო (უშვილოდ)

უშვილობა (უშვილობის˹ა˺)

უშინაარსო (უშინაარსოდ)

უშიშარი (უშიშრად)

უშიშროება (უშიშროების˹ა˺)

უშოვის; **უშოვა**; **უშოვია**; **ეშოვა** (// **უშოვნის**; **უშოვნა**; **უშოვნია**; **ეშოვნა**)

უშორესი (უშორესს)

უშრეტი; **უშრეტობა**

უშრომელი (უშრომლად)

უშუ (სპორტ.)

უშუალო (უშუალოდ)

უშუალობა (უშუალობის˹ა˺)

უშუამდგომლებს; **უშუამდგომლა**; **უშუამდგომლია**; **ეშუამდგომლა**

უჩვევი (საქმეს **უჩვევი**) – **უჩვეულო** (**უჩვეულო** ამბავი)

უჩივის; **უჩიოდა**; **უჩიოდეს**

უჩივლებს; **უჩივლა**; **უჩივლია**; **ეჩივლა** [და არა უჩივლნია, ეჩივლნა]

უჩინარი (უჩინარის˹ა˺), მაგრამ: **უჩინრად**

უჩუმარი (უჩუმრად)

უჩხუბრად

უცაბედად

უცბად; **უცებ**

უცეკვია (თვითონ) – **უცეკვებია** (სხვა)

უცერემონიო (უცერემონიოდ)

უცინია (თვითონ) – **უცინებია** (სხვა)

უცნია (ვერ **უცნია** ძველი მეგობარი)

უცოდინარი; **უცოდინარობა** (უცოდინარობის˹ა˺)

უცოლშვილო (უცოლშვილოდ)

უცოლშვილობა (უცოლშვილობის˹ა˺)

უცურავია (თვითონ) – **უცურავებია** (სხვა)

უცხადებს; **უცხადებდა**; **უცხადებდეს** (**გამოუცხადებს**...)

უცხადესი (უცხადესს)

უცხო; **საუცხოო** (საუცხოოდ)

უცხოეთი (უცხოეთთან)

უცხოელი; **უცხოური**

უცხოობა (უცხოობის˹ა˺)

უცხოობს; უცხოობდა; უცხოობდეს (**იუცხოვებს**...)

უცხოური // უცხო (ენა)

უცხოქვეყნელი (უცხოქვეყნელის⌜ა⌝)

უძალაუფლებო

უძალიანდება; უძალიანდებოდა; უძალიანდებოდეს (**გაუძალიანდება**...)

უძალღონო

უძველესი (უძველესს)

უძვირფასესი (უძვირფასესს)

უძილო // უძინარი

უძინაროობა (უძინაროობის⌜ა⌝) // **უძილობა** (უძილობის⌜ა⌝)

უძლეველი; უძლეველობა (უძლეველობის⌜ა⌝)

უძლიერესი (უძლიერესს)

უძლური; უძლურება (უძლურების⌜ა⌝)

უძნელესი (უძნელესს)

უძრავ-მოძრავი (ქონება)

უძრაობა (უძრაობის⌜ა⌝)

უწესობა (უწესობის⌜ა⌝) // **უწესოება** (უწესოების⌜ა⌝)

უწესრიგო (უწესრიგოდ); **უწესრიგობა** (უწესრიგობის⌜ა⌝)

უწვალია (თვითონ) – **უწვალებია** (სხვა)

უწვერო (= წვერი რომ არა აქვს: **უწვერო** კაცი, შდრ.: **უწვერო** ფანქარი/ნემსი) – **უწვერულო** (= წვერი ჯერ რომ არ ამოსვლია, ჭაბუკი)

უწვერულვაშო

უწიგნობა (= წიგნის უქონლობა) – **უწიგნურობა** (= გაუნათლებლობა)

უწინარეს ყოვლისა

უწინდელი: წინანდელი, ძველი: **უწინდელი** დრო – **უწინდებური**: ძველებური: „მეორეს ეხურა სალდათური **უწინდებური** ქუდი“ (ილია).

უწმინდესი (უწმინდესს); **უწმინდესობა** (უწმინდესობის⌜ა⌝)

უწმინდური; უწმინდურობა (უწმინდურობის⌜ა⌝)

[უწოვნია კი არა] **უწოვია**

უწონასწორობა (უწონასწორობის⌜ა⌝)

უწყალო; უწყალოება (უწყალოების⌜ა⌝)

უწყება (უწყების⌜ა⌝)

უწყებრივი; საუწყებო

უწყვეტი; უწყვეტობა (უწყვეტობის⌜ა⌝)

უწყვია; ეწყო; სწყობია; სწყობოდა [და არა წყობია, წყობოდა]

უწყინარი; უწყინაროობა (უწყინაროების⌜ა⌝)

უწყისი (უწყისს)

უწყლო [და არა უწყალო] (მიწა/ადგილი/ჭურჭელი)

უჭიდავია (თვითონ) – **უჭიდავებია** (სხვა)

უჭკნობი // უჭკნობელი (უჭკნობლად)

უჭკუო; უჭკუობა (უჭკუობის⌜ა⌝)

უჭმელ-უსმელი (უჭმელ-უსმელად)

უხალისო (უხალისოდ); **უხალისობა** (უხალისობის⌜ა⌝)

უხამსი (უხამსს); **უხამსობა** (უხამსობის⌜ა⌝)

უხანგრძლივებს; **უხანგრძლივებდა**; **უხანგრძლივებდეს** (**გაუხანგრძლივებს**...)

უხეირო; **უხეიროობა** (უხეიროობის⌜ა⌝)

უხელმძღვანელებს (ის მას); **უხელმძღვანელა**; **უხელმძღვანელებია**; **ეხელმძღვანელებინა** [და არა უხემძღვანელებს, უხემძღვანელა...]

უხერხემლო (უხერხემლოდ)

უხერხული (უხერხულად); **უხერხულობა** (უხერხულობის⌜ა⌝)

უხეში (უხემად); **უხეშობა** (უხემობის⌜ა⌝)

უხვი [და არა მაღალი] **მოსავალი**

უხვმოსავლიანი; **უხვმოსავლიანობა** (უხვმოსავლიანობის⌜ა⌝)

უხვობა (უხვობის⌜ა⌝) // **სიუხვე** (სიუხვის⌜ა⌝)

უხვსიტყვაობა (უხვსიტყვაობის⌜ა⌝)

უხიფათო (უხიფათოდ)

უხმაურო (= რაც ხმაურს არ იწვევს; რასაც ხმაური არ ახლავს: **უხმაურო** ლიფტი); შ დ რ.: **უხმო** (= 1. რაც ხმას არ გამოსცემს: **უხმო** ნაბიჯი; 2. უსიტყვო, უთქმელი; 3. არჩევნებში ხმაჩამორთმეული, უუფლებო)

უხნესი (უხნესს) // **უხნიერესი** (უხნიერესს)

უხორცო; **უხორცობა** (უხორცობის⌜ა⌝)

უხტუნავია (თვითონ) – **უხტუნებია**, **უხტუნავებია** (სხვა)

უხუცესი (უხუცესს)

უჯერი (ხსნარი)

უჯერო (უჯეროდ); **უჯეროობა** (უჯეროობის⌜ა⌝)

უჯიშო; **უჯიშობა** (უჯიშობის⌜ა⌝)

უჯრა-უჯრა

უჯრედი; **უჯრედოვანი**

უჰაერო (უჰაეროდ); **უჰაეროობა** (უჰაეროობის⌜ა⌝)

ფ

ფაბრიკანტი (= ფაბრიკის პატრონი) – **ფაბრიკატი** (= მზა საფაბრიკო ნაწარმი; ნახევარფაბრიკატი)

ფაბულა (ფაბულის⌜ა⌝)

ფავორი (= ს ა უ ბ. წარჩინებული, გავლენიანი პირის მფარველობა, კეთილგანწყობა); შ დ რ.: **ფავორიტი** (= ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის პირის მფარველობით; გ ა დ ა ტ. ვინმესთვის საყვარელი, მოსაწონი ადამიანი)

ფაზა (ფაზის⌜ა⌝): **ფაზური**

ფაკულტეტი; **საფაკულტეტო**

ფალავანი (ფალავნის⌜ა⌝); **ფალავნობა** (ს პ ო რ ტ.)

ფალსიფიკატი (= ყალბი პროდუქტი, ნაკეთობა); შ დ რ.: **ფალსიფიკატორი** (= ფალსიფიკაციის, სიყალბის ჩამდენი)

ფალსიფიკაცია (ფალსიფიკაციის˹ა˺)

ფალსიფიცირება (ფალსიფიცირების˹ა˺): **ფალსიფიცირებული**

ფალსტარტი (სპორტ.)

ფამილიარობა (ფამილიარობის˹ა˺); **ფამილიარული** [და არა ფამილარობა, ფამილარული]

ფანატიზმი (ფანატიზმის)

ფანი, ფანატი (= თავგამოდებული გულშემატკივარი; თაყვანისმცემელი) – **ფანატიკოსი** (= ფანატიზმით შეპყრობილი)

ფანკლუბი (ფანკლუბის˹ა˺)

ფანტავს; ფანტავდა; ფანტავდეს (დაფანტავს...)

ფანტაზია (ფანტაზიის˹ა˺); **ფანტაზიიანი**

ფანტაზიორი

ფანტაზიორობს; ფანტაზიორობდა; ფანტაზიორობდეს (იფანტაზიორებს...)

ფანტასტიკა (ფანტასტიკის˹ა˺): **ფანტასტიკური** [და არა ფანტასტიური]

ფანტასტიკურ-სათავგადასავლო

ფანჯარა (ფანჯრის˹ა˺)

ფანჯრებდალეწილი

ფარა (ფარის˹ა˺)

ფარავს; ფარავდა; ფარავდეს (დაფარავს...)

ფარგალი (ფარგლის˹ა˺)

ფარგლავს; ფარგლავდა; ფარგლავდეს (შემოფარგლავს...)

ფარდა (ფარდის˹ა˺)

ფარდააწეული

ფარდაგი; ფარდაგიანი

ფარდაჩამოფარებული; ფარდაჩამოშვებული

ფარდი

ფარდობა (ფარდობის˹ა˺)

ფარდობითობა (ფარდობითობის˹ა˺)

ფარდობითობის თეორია

ფარდული

ფარეხი

[ფართი კი არა] **წვეულება**

ფართი (ბინის **ფართი**)

ფართობი (სამკუთხედის **ფართობი**)

ფართო [და არა ფართე]

ფართოვდება; ფართოვდებოდა; ფართოვდებოდეს (გაფართოვდება...)

ფართომასშტაბიანი; ფართომასშტაბური

ფართო-ფართოდ

ფართოფორმატიანი

ფართხალებს; ფართხალებდა; ფართხალებდეს (იფართხალებს...)

ფარიკაობა (სპორტ.)

ფარინგიტი

ფარისებრი

ფარისებრი ჯირკვალი (ფარისებრი ჯირკვლის˹ა˺); **ფარისებრჯირკვლური**

ფარისევლობა (ფარისევლობის˹ა˺)

ფარისევლობს; ფარისევლობდა; ფარისევლობდეს (იფარისევლებს...)

ფარმაკოლოგია (= მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სამკურნალო ნივთიერებათა მოქმედებას ორგანიზმზე); შდრ.: **ფარმაცია** (= სამეცნიერო დისციპლინათა კომპლექსი, რომელიც სწავლობს სამკურნალო საშუალებათა მოპოვების, დამუშავების, შენახვის, შემოწმების, დამზადებისა და გამოწერა-გაცემის წესებს)

ფარმაცევტი: **ფარმაცევტული**

ფარმაცევტიკა (ფარმაცევტიკის˹ა˺)

ფარმაცევტიკული

ფარმაცია (ფარმაციის˹ა˺): **ფარმაციული**

ფარსი (ფარსს)

ფარფატებს; **ფარფატებდა**; **ფარფატებდეს** (**იფარფატებს**...)

ფარფაშებს; **ფარფაშებდა**; **ფარფაშებდეს** (**იფარფაშებს**...)

ფარშავანგი (// **ფარშევანგი**)

ფარში (ფარშში)

ფარხმალდაყრილი

ფარ-ხმალი (ფარი და ხმალი)

ფასადი: **ფასადური** (ფასადურად)

ფასდაკლება (ფასდაკლების˹ა˺): **ფასდაკლებული**

ფასდაუდებელი (სამსახური...)

ფასეული (წინადადება...) – **ფასიანი** (ქაღალდები/ჯილდო...)

ფასეულობა (ფასეულობის˹ა˺)

ფასი (ფასს); **ფასიანი**

ფასნამატი

ფასობს; **ფასობდა**; **ფასობდეს**

[ფასტფუდი კი არა] **სწრაფი კვება**

ფატალიზმი (ფატალიზმმა)

ფატალური (= საბედისწერო: **ფატალური** შემთხვევა) – **ფატალისტური** (= ფატალისტისთვის (ფატალიზმისთვის) დამახასიათებელი: **ფატალისტური** შეხედულება/დამოკიდებულება)

ფაუნა (ფაუნის˹ა˺)

ფაფარაყრილი; **ფაფარაშლილი**

ფაფარი (ფაფრის˹ა˺)

ფაქიზი (ფაქიზზე)

ფაქსი (ფაქსს)

ფაქსიმილე (ფაქსიმილეს˹ი˺) (= 1. ხელნაწერის, საბუთის და მისთ. ზუსტი პირი; 2. ვინმეს ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი)

ფაქტი (= 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი ამბავი; შემთხვევა, მოვლენა); 2. სინამდვილე, რეალობა; 3. მონაცემი, მასალა რაიმე მოსაზრების დასადასტურებლად, დასკვნის გასაკეთებლად) – **ფაქტორი** (= რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა)

ფაქტობრივი; **ფაქტობრივად** [და არა ფაქტიური, ფაქტიურად]

ფაქტურა (ფაქტურის˹ა˺)

ფაცაფუცი (ფაცაფუცით)

ფაციფუცი; **ფაციფუცობს**; **ფაციფუცობდა**; **ფაციფუცობდეს**

ფედერალიზმი (ფედერალიზმმა)

ფედერაცია (ფედერაციის˹ა˺): **ფედერაციული**

ფეთქავს; ფეთქავდა; ფეთქავდეს (გული)

ფეთქება (ფეთქების˹ა˺): **ფეთქებადი**

ფეიერვერკი [და არა ფოიერვერკი, ფეერვერკი]

ფეისბუკი [და არა ფეისბუქი]

ფეიხოა (ფეიხოის˹ა˺)

ფეკალია; ფეკალიები (მრ.)

ფელამუში (// თათარა)

ფელეტონი: ფელეტონური; საფელეტონო

ფემინიზმი (ფემინიზმმა)

ფემინისტი: ფემინისტური

ფენა-ფენა (ფენა-ფენად)

ფენოვანი (ფენოვანის˹ა˺)

ფენომენი: ფენომენური [// ფენომენალური]

ფენს (ის სარეცხს), მაგრამ: **ჰფენს** (ის მას შუქს)

ფერადდება; ფერადდებოდა; ფერადდებოდეს (**გაფერადდება...**)

ფერადკანიანი

ფერადოვანი (ფერადოვნად)

ფერადოვნება (ფერადოვნების˹ა˺)

ფერად-ფერადი

ფერგადაკრული

ფერგამოცვლილი

ფერდაკარგული

ფერება-ფერებაში (გაზრდილი)

ფერებ-ფერებით (უთხრა)

ფერეიდნელი; ფერეიდნული

ფერთხავს; ფერთხავდა; ფერთხავდეს (**დაფერთხავს...**)

ფერია (ფერიის˹ა˺)

ფერის ცვლა, მაგრამ: **ფერისცვალება** (ფერისცვალების˹ა˺)

ფერმა (ფერმის˹ა˺); **ფერმერი**

ფერმენტი: ფერმენტული

ფერმიმქრალი

ფერმიხდილი

ფერმკრთალი; ფერმკრთალობა

ფერმწერი

ფერნაკლული

ფერუცვლელი (ფერუცვლელად)

ფერფლი; ფერფლისფერი (ფერფლისფრად)

ფერშეცვლილი

ფერწასული

ფერწერა (ფერწერის˹ა˺): **ფერწერული; ფერწერითი**

ფერხდება; ფერხდებოდა; ფერხდებოდეს (**შეფერხდება...**)

ფერ-ხორცი, მაგრამ: **ფერხორციანი**

ფესვგადგმული

ფესვგამხმარი

ფესვმაგარი

ფესტივალი (ფესტივალის˹ა˺); **საფესტივალო**

ფეტიშიზმი (ფეტიშიზმმა)

ფეშენებელური

ფეხადგმული

ფეხაკრეფით

ფეხაჩქარებით

ფეხაწყობილი

ფეხბედნიერი

ფეხბურთი; ფეხბურთელი (ფეხბურთელის[ა]) (სპორტ.)

ფეხდაუდგმელი (თოვლი...)

ფეხდაფეხ

ფეხის ადგმა, მაგრამ: **ფეხადგმული**

ფეხის ათრევა, მაგრამ: **ფეხათრევით**

ფეხის ამოკვეთა, მაგრამ: **ფეხამოკვეთილი**

ფეხის არევა, მაგრამ: **ფეხარეული**

ფეხის გადაბრუნება, მაგრამ: **ფეხგადაბრუნებული**

ფეხის გადადგმა, მაგრამ: **ფეხგადადგმული**

ფეხისგული

ფეხის ხმა, მაგრამ: **ფეხისხმასაყოლილი**

ფეხკავი (სპორტ.)

ფეხმოტეხილი

ფეხმოუცვლელი (ფეხმოუცვლელად)

ფეხმძიმე (ფეხმძიმის[ა]) // **ორსული**

ფეხსაცმელი (ფეხსაცმლის[ა], მაგრამ: **ფეხსაცმელები**)

ფეხ-ფეხ, მაგრამ: **ფეხდაფეხ**

ფეხქვეშ

ფეხშიშველა (ფეხშიშველას[ი])

ფეხშიშველი (ფეხშიშველის[ა])

ფეხშლა (სპორტ.)

ფთორი

ფთორნაერთები (მრ.)

ფიასკო

ფიბროზი (ფიბროზზე)

ფიბროიდი

ფიბრომა (ფიბრომის[ა])

ფიგურა (ფიგურის[ა])

ფიგურალური (გამოთქმა)

[ფიგურისტი კი არა] **მოციგურავე** (სპორტ.)

ფიგურული ციგურაობა (სპორტ.)

ფიდე (მოთხრ. ფიდემ, მიც., ნათ; ფიდეს..., ფიდეში, ფიდეზე, ფიდედან...): ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია.

ფიზიკა (ფიზიკის[ა]): **ფიზიკური**

ფიზიკოსი (ფიზიკოსს)

ფიზიკური კულტურა; ფიზკულტურა

ფიზიკურ-მათემატიკური

ფიზიოთერაპია (ფიზიოთერაპიის[ა]): **ფიზიოთერაპიული**

ფიზიოლოგია (ფიზიოლოგიის[ა]): **ფიზიოლოგიური**

ფიკუსი (ფიკუსს)

ფილა (ფილის[ა])

ფილანთროპი; ფილანთროპია (ფილანთროპიის[ა])

ფილარმონია (ფილარმონიის[ა])

ფილატელია (ფილატელიის˹ა˺); **ფილატელისტი**

ფილაქანი (ფილაქნის˹ა˺)

ფილე (ფილეს˹ი˺)

-ფილია (= ვინმეს ან რაიმეს სიყვარული; რაიმესადმი მიდრეკილება – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი) – **-ფობია** (= ვინმეს ან რაიმეს სიძულვილი; აკვიატებული შიში – რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი)

ფილიალი

ფილიპინელი; ფილიპინური

ფილმი (ფილმმა)

ფილმოთეკა (ფილმოთეკის˹ა˺) // **ფილმსაცავი**

ფილოლოგია (ფილოლოგიის˹ა˺); **ფილოლოგი**

ფილოლოგიური კვლევა, მაგრამ: **ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი/დოქტორი**

ფილოსოფია (ფილოსოფიის˹ა˺); **ფილოსოფოსი** (ფილოსოფოსს)

ფილოსოფიურ-თეორიული

ფილოსოფიურ-მისტიკური

ფილოსოფიურ-მორალური

ფილტრი

ფინალი (= 1. სპორტულ შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ერთმანეთს ეცილებიან წინა შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები ან ცალკეული სპორტსმენები: ქართველი მძლეოსნები **ფინალში** გავიდნენ; 2. მუსიკალური, თეატრალური ან ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 3. საერთოდ – რაიმეს დასასრული) – **ფინიში** (= დისტანციის უკანასკნელი პუნქტი: სპორტსმენმა **ფინიშის ხაზი** გადაკვეთა)

ფინალისტი

ფინალური ორთაბრძოლა (სპორტ.)

ფინანსისტი

ფინანსური (დახმარება...) – **საფინანსო** (განყოფილება...)

ფინიკი // ინდისხურმა

ფინიკიელი; ფინიკიური

ფინიშის ხაზი (სპორტ.)

(ფინტი //) ილეთი (სპორტ.)

ფინჯანი (ფინჯნის˹ა˺)

ფირმა (ფირმის˹ა˺): **საფირმო**

ფირუზი; ფირუზისფერი (ფირუზისფრად)

ფირფიტა (ფირფიტის˹ა˺)

ფისკალური (= ხაზინასთან დაკავშირებული, სახაზინო)

(ფიტნესცენტრი //) ფიტნესის ცენტრი

ფიტული

ფიფა (მოთხრ. ფიფამ, მიც., ნათ; ფიფას..., ფიფაში, ფიფაზე, ფიფადან...): საფეხბურთო ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია.

ფიქალი (ფიქლის˹ა˺)

ფიქრობს; ფიქრობდა; ფიქრობდეს

(**ოფიქრებს**...)

ფიქსაცია (ფიქსაციის᾽ა᾽)

ფიქსირება (ფიქსირების᾽ა᾽): **ფიქსირებული**

ფიქციური [და არა ფიქტიური]

ფიშბურგერი (= თევზიანი ბუტერბროდი)

ფიცარი (ფიცრის᾽ა᾽)

ფიცგაუტეხელი

ფიცდადებული

ფიცვერცხლი

ფიცხდება; **ფიცხდებოდა**; **ფიცხდებოდეს** (**გაფიცხდება**...)

ფიცხი

ფიცხობს; **ფიცხობდა**; **ფიცხობდეს**

ფიწალი (ფიწლის᾽ა᾽)

ფიჭა (ფიჭის᾽ა᾽)

ფიჭვი: **ფიჭვნარი**

ფლანგავს; **ფლანგავდა**; **ფლანგავდეს** (**გაფლანგავს**...)

ფლასი (ფლასს)

ფლატე (ფლატის᾽ა᾽); **ფლატიანი**

ფლეგმატიზმი (ფლეგმატიზმმა)

ფლეთს; **ფლეთდა**; **ფლეთდეს** [და არა ფლეთავს, ფლითავს; ფლეთავდა, ფლითავდა; ფლეთავდეს, ფლითავდეს]; **ფლითა**; **უფლეთია**; **ეფლითა**

ფლეიტა (ფლეიტის᾽ა᾽)

ფლიგელი

ფლირტი

ფლიუგერი [და არა ფლუგერი] (= მეტეოროლოგიური ხელსაწყო)

ფლოხს; **ფლოხდა**; **ფლოხდეს**

ფლომასტერი (ფლომასტერის᾽ა᾽, მრ. ფლომასტერები)

ფლორა (ფლორის᾽ა᾽)

ფლოსტი // ფოსტალი

ფლოტი

ფლუიდი

ფოთლებგაყვითლებული

ფოთლებგაცვენილი

ფოთლებშეყვითლებული

ფოთოლცვენა (ფოთოლცვენის᾽ა᾽)

ფოიე (ფოიეს᾽ი᾽)

[ფოიერვერკი კი არა] **ფეიერვერკი**

ფოკუსი (ფოკუსს)

ფოლგა (ფოლგის᾽ა᾽)

ფოლკლორი: **ფოლკლორული**

ფონდი

ფონენდოსკოპი [და არა ფონედოსკოპი, ფონეიდოსკოპი]

ფონი

ფონოგრამა (ფონოგრამის᾽ა᾽)

[ფორვარდი //] **თავდამსხმელი** (თავდამსხმელის᾽ა᾽) (სპორტ.)

ფორთოხალი (ფორთოხლის᾽ა᾽)

ფორთოხლისფერი (ფორთოხლისფრად)

ფორმა (ფორმის᾽ა᾽)

ფორმადაკარგული

ფორმალიზმი (ფორმალიზმმა)

ფორმალისტი: **ფორმალისტური**

ფორმალური (= 1. გარეგნული, არაარსებითი: **ფორმალური** მხარე; 2. არარეალური, არამოქმედი; ფიზიკურად რომ არ არსებობს: **ფორმალური** ორგანიზაცია); შდრ.: **ფორმალისტური** (= არსებითად ფორმას რომ მიიჩნევს და არა იდეურ შინაარსს: **ფორმალისტურ-ფუტურისტული** ლექსები)

ფორმატი (= 1. წიგნის, ფურცლის, ბარათის და მისთ. ზომა (**მცირე ფორმატის** წიგნი). ეს სიტყვა პოლიტიკაში ხშირად გამოიყენება **წესის, პრინციპის, რეჟიმის, პირობების** მნიშვნელობით, მაგ., რა **ფორმატში** იგეგმება შეხვედრა? უმჯობესია: რა **ფორმატით** იგეგმება შეხვედრა?)

ფორმაუცვლელი (ფორმაუცვლელად)

ფორმაშეცვლილი

ფორმა-შინაარსი (ფორმა-შინაარსს)

ფორმაცვალება (ფორმაცვალების^ა)

ფორმაცია (ფორმაციის^ა)

ფორმირება (= 1. ჩამოყალიბება, შედგენა, დაკომპლექტება; 2. ახლად ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილი); შდრ.: **ფორმულირება** (= კარგად გამოთქმა, გამოხატვა, ჩამოყალიბება აზრისა/წინადადებისა...)

ფორმულა (ფორმულის^ა)

ფორმულარი (წიგნისა)

ფორსირება (ფორსირების^ა): **ფორსირებული**

ფორს-მაჟორი

ფორსმაჟორული (ვითარება...)

ფორტე (ფორტეს^ი) (= მუსიკალური ნაწარმოების ძლიერ ხმამაღლა შესრულება – ს ა პ ი რ ი ს პ. **პიანო**)

ფორტუნა (ფორტუნის^ა)

ფორუმი (ფორუმმა)

ფოსტალი (ფოსტლები) // **ფლოსტი**

ფოსფორი: **ფოსფორული**

ფოსფორიტი

ფოსფორმჟავა (ფოსფორმჟავას^ი)

ფოსფოროვანი

ფოტოალბომი (ფოტოალბომმა)

ფოტოაპარატი

ფოტოგადაღება (ფოტოგადაღების^ა)

ფოტოგამოფენა (ფოტოგამოფენის^ა)

ფოტოგენური [და არა ფოტოგენიური]

ფოტოგრაფია (ფოტოგრაფიის^ა)

ფოტოგრაფი

ფოტოეტიუდი

ფოტოეფექტი

ფოტოვიტრინა (ფოტოვიტრინის^ა)

ფოტოთეკა (ფოტოთეკის^ა)

ფოტოკამერა (ფოტოკამერის^ა)

ფოტოკონკურსი (ფოტოკონკურსს)

ფოტოკორესპონდენტი [და არა ფოტოკორესპოდენტი]

ფოტოკორესპონდენცია (ფოტოკორესპონდენციის᾽ა᾽) [და არა ფოტოკორესპოდენცია]

ფოტოპირი

ფოტოპირგადამღები [და არა სკანერი]

ფოტოჟურნალისტი

ფოტორეპორტიორი

ფოტორეპროდუქცია (ფოტორეპროდუქციის᾽ა᾽)

ფოტოსინთეზი (ფოტოსინთეზზე)

ფოტოსურათი (ფოტოსურათთან)

ფოტოხელოვნება (ფოტოხელოვნების᾽ა᾽)

ფრაგმენტი: **ფრაგმენტული** (ფრაგმენტულად)

ფრაზა (ფრაზის᾽ა᾽)

ფრაზეოლოგია (ფრაზეოლოგიის᾽ა᾽)

ფრაზიორობა (= ფრაზიორის თვისება – მაღალფარდოვანი, უშინაარსო ფრაზებით ლაპარაკი: „მე ყოველთვის მეჯავრებოდა **ფრაზიორობა**“ (ვაჟა); შდრ.: **ფრაზირება** (= მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ან რაიმეს კითხვისას (თუ წარმოთქმისას) ფრაზის შინაარსისა და მხატვრული მხარის მკაფიოდ წარმოჩენა: მომღერალს შესანიშნავი დიქცია, მეტყველი და ნათელი **ფრაზირება** აქვს)

ფრანგულ-ქართული (ლექსიკონი)

ფრაქცია (ფრაქციის᾽ა᾽): **ფრაქციული**

ფრაქციონერი (ფრაქციონერის᾽ა᾽)

ფრე (ფრის᾽ა᾽) (სპორტ.)

ფრენბურთი; **ფრენბურთელი** (ფრენბურთელის᾽ა᾽) (სპორტ.)

ფრესკა (ფრესკის᾽ა᾽): **ფრესკული**

ფრთაგაშლილი

ფრთათეთრი

ფრთამალი

ფრთამოკვეცილი

ფრთების გაშლა, მაგრამ: **ფრთებგაშლილი**

ფრთების შეკვეცა, მაგრამ: **ფრთებშეკვეცილი**

ფრთების შესხმა, მაგრამ: **ფრთებშესხმული**

ფრთხება; **ფრთხებოდა**; **ფრთხებოდეს** (**დაფრთხება...**)

ფრთხილი – მფრთხალი (იხ.)

ფრთხილი; **ფრთხილად** [და არა ბრთხილი, ბრთხილად]

ფრთხილობს; **ფრთხილობდა**; **ფრთხილობდეს**

ფრინავს; **ფრინავდა**; **ფრინავდეს**; **იფრინა**; **უფრენია**; **ეფრინა**

ფრინველი (ფრინველის᾽ა᾽)

ფროიდიზმი (ფროიდიზმმა)

ფრონტი

ფრონტიტი (= მედიც. შუბლის წიაღის ანთება)

ფსევდომეცნიერული

ფსევდონიმი (ფსევდონიმმა)

ფსევდოპატრიოტიზმი (ფსევდოპატრიოტიზმმა)

ფსიქიატრია (ფსიქიატრიის˹ა˺); **ფსიქიატრი**

ფსიქიკა (ფსიქიკის˹ა˺): **ფსიქიკური** [და არა ფსიქიური]

ფსიქოანალიზი (ფსიქოანალიზზე)

ფსიქოანალიზური

ფსიქოგენეზისი (ფსიქოგენეზისს)

ფსიქოგენური

ფსიქოზი (ფსიქოზზე): **ფსიქოზური** (მდგომარეობა)

ფსიქოთერაპია (ფსიქოთერაპიის˹ა˺): **ფსიქოთერაპიული**

ფსიქოლოგი

ფსიქოლოგია (ფსიქოლოგიის˹ა˺)

ფსიქოლოგიური (საკითხი/კვლევა)

ფსიქონევროზი (ფსიქონევროზზე)

ფსიქოპათი (ფსიქოპათთან)

ფსიქოპათია (ფსიქოპათიის˹ა˺)

ფსონი

ფულბეკი (სპორტ.)

ფუნდამენტალიზმი (ფუნდამენტალიზმმა)

ფუნდამენტი: **ფუნდამენტური** [და არა ფუნდამენტალური]

ფუნდამენტური (= 1. გამძლე, მყარი; 2. ღრმამშინაარსიანი, მაღალპროფესიონალური; 3. ძირითადი, მთავარი) – **ფუნდამენტალისტური** (= ფუნდამენტალისტისა თუ ფუნდამენტალიზმისთვის დამახასიათებელი)

ფუნიკულიორი

ფუნქცია (ფუნქციის˹ა˺): **ფუნქციური** [// ფუნქციონალური]

ფუნქციონერი (ფუნქციონერის˹ა˺): **ფუნქციონერული**

ფუნქციონირება (ფუნქციონირების˹ა˺)

ფუნქციონირებს; **ფუნქციონირებდა**; **ფუნქციონირებდეს** (**იფუნქციონირებს**...)

ფუნქციური (მოშლილობა...) (მედიც.) – **ფუნქციონალური** (ანალიზი) (მათემ.)

ფუქერი

ფურიერმი (ფურიერემმა)

ფურორი

ფურშეტი

ფურცელ-ფურცელ

ფუსფუსებს; **ფუსფუსებდა**; **ფუსფუსებდეს** (**იფუსფუსებს**...)

ფუსფუსი (ფუსფუსს)

ფუტკარი (ფუტკრის˹ა˺)

ფუტლარი [და არა ფუტლიარი]

ფუფუნება (ფუფუნების˹ა˺)

ფუქსავატი: **ფუქსავატური** (ფუქსავატურად)

ფუქსავატობა (ფუქსავატობის˹ა˺)

ფუძე (ფუძის˹ა˺)

ფუძეაყრილი

ფუძემაგარი

ფუძემდებელი (ფუძემდებლის˹ა˺)

ფუძნდება; **ფუძნდებოდა**; **ფუძნდებოდეს** (**დაფუძნდება**...)

ფუჭდება: **ფუჭდებოდა**; **ფუჭდებოდეს** (**გაფუჭდება**...)

ფუჭებადი; **მალფუჭებადი**

ფუჭი (ოცნება...)

ფუჭსიტყვაობა (ფუჭსიტყვაობის˹ა˺)

ფქვილმოყრილი

ფშაველი (კაცი); შდრ.: **ფშაური** (ხინკალი)

ფშავ-ხევსურები, მაგრამ: **ფშაურ-ხევსურული**

ფხეკს; **ფხეკდა**; **ფხეკდეს** [და არა ფხეკავს, ფხიკავს; ფხეკავდა, ფხიკავდა, ფხეკავდეს, ფხიკავდეს]; **ფხიკა**; **უფხეკია**; **ეფხიკა**

ფხვნილი

ფხვნის; **ფხვნა**; **უფხვნია**; **ეფხვნა**

ფხიზელი (ფხიზლის˹ა˺)

ფხიზლდება; **ფხიზლდებოდა**; **ფხიზლდებოდეს** (**გამოფხიზლდება**...)

ფხიზლობს; **ფხიზლობდა**; **ფხიზლობდეს** (**იფხიზლებს**...)

ფხრეწს; **ფხრეწდა**; **ფხრეწდეს** [და არა ფხრეწავს, ფხრიწავს; ფხრეწავდა, ფხრიწავდა; ფხრეწავდეს, ფხრიწავდეს]: **ფხრიწა**; **უფხრეწია**; **ეფხრიწა**

ქ

ქაბაბი

ქადა (ქადის˹ა˺)

ქადაგებს; **ქადაგებდა**; **ქადაგებდეს** (**იქადაგა**; **უქადაგია**; **ექადაგა**)

ქადაგი (**ქადაგად** დაეცა/დავარდა)

ქათამი (ქათამმა, ქათმის˹ა˺)

ქათინაური // კომპლიმენტი

ქათქათებს; **ქათქათებდა**; **ქათქათებდეს** (**იქათქათებს**...)

ქალა (ქალის˹ა˺)

ქალაქგარეთ

ქალაქელი; **ქალაქური**

ქალაქისთავი

ქალბატონი (**ბატონი**): **ქალბატონი** და **ბატონი** (მსაზღვრელად ხმარებისას) ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები: მოთხრ. **ქალბატონმა ქეთევანმა/ბატონმა დავითმა**; მიც. **ქალბატონ ქეთევანს / ბატონ დავითს**; ნათ. **ქალბატონი ქეთევანის/ბატონი დავითის**; მოქმ. **ქალბატონი ქეთევანით/ბატონი დავითით**; ვით. **ქალბატონ ქეთევანად/ბატონ დავითად**; წოდ. **ქალბატონო ქეთევან!/ბატონო დავით!**

ქალ-ვაჟი, მაგრამ: **ქალვაჟიანი**

ქალთევზა (ქალთევზას˹ი˺)

ქალი: **ქალური**; **ქალურობა**

ქალიან-კაციანად

ქალიშვილი

ქალღმერთი (ქალღმერთთან)

ქამანდი

ქამარ-ხანჯალი (ქამარ-ხანჯლის˹ა˺), მაგრამ: **ქამარხანჯლიანი**

ქამელეონი

ქანაობს; ქანაობდა; ქანაობდეს (იქანავა; უქანავია; ექანავა)

ქანდაკება (ქანდაკების˹ა˺)

ქანდარა (ქანდარის˹ა˺)

ქანქარა (ქანქარას˹ი˺)

ქანჩი

ქანცგამოცლილი; ქანცგაწყვეტილი

ქაოსი (ქაოსს): **ქაოსური** [დ ა ა რ ა ქაოტური]

ქარაგმა (ქარაგმის˹ა˺)

ქარავანი (ქარავნის˹ა˺)

ქარაფი

ქარბუქი: ქარბუქიანი

ქარგამძლე (ქარგამძლის˹ა˺)

ქარვა (ქარვის˹ა˺)

ქარვისფერი (ქარვისფრად)

ქარვასლა (ქარვასლის˹ა˺)

ქართველი (ხალხი / საზოგადოება / ერი / სტუდენტობა / მრევლი...)

ქართველოლოგი

ქართველოლოგია (ქართველოლოგიის˹ა˺); **ქართველოლოგიური**

ქართლ-კახეთი: ქართლ-კახური // ქართლურ-კახური

ქართული (დროშა / ლიტერატურა / ღვინო...)

ქართულ-ინგლისური (ლექსიკონი)

ქართული ჭიდაობა (ს პ ო რ ტ.)

ქარიზმა (ქარიზმის˹ა˺); **ქარიზმული // ქარიზმატული**

ქარის მოტანილი

ქარის წისქვილი

ქარიშხალი (ქარიშხლის˹ა˺)

ქარსარიდი

ქარტეხილი

ქარტია (ქარტიის˹ა˺)

ქარქაში (ქარქაშში)

ქარცეცხლი (ბრძოლის **ქარცეცხლი**)

ქარ-წვიმა (ქარ-წვიმის˹ა˺), მ ა გ რ ა მ: **ქარწვიმიანი**

ქარხანა (ქარხნის˹ა˺): **ქარხნული** (წესით); **საქარხნო** (დასახლება)

[ქასთინგი კი არა] **კასტინგი** (უმჯობესია: **შერჩევა**)

ქაქანებს; ქაქანებდა; ქაქანებდეს (იქაქანა; უქაქანია; ექაქანა)

ქაღალდი: საქაღალდე (საქაღალდის˹ა˺)

ქაშაყი

ქაჩავს; ქაჩავდა; ქაჩავდეს (ამოქაჩავს...)

ქაჩალა (ქაჩალას˹ი˺)

ქაჩალი (ქაჩლის˹ა˺)

ქაჩლობა (ქაჩლობის˹ა˺)

ქაცვი

ქება-დიდება (ქება-დიდების˹ა˺)

ქებათაქება (ქებათაქების˹ა˺)

ქედანი (ქედნის˹ა˺)

ქედის მოდრეკა, მ ა გ რ ა მ: **ქედმოდრეკილი**

ქედმაღალი (ქედმაღლის˹ა˺)

ქედმოუდრეკელი (ქედმოუდრეკლად)

ქეთევან წამებულის [დ ა ა რ ა ქ. წამებულის] **გამზირი**

[ქეისი კი არა] **კეისი**

ქეიფობს; **ქეიფობდა**; **ქეიფობდეს** (**იქეიფებს**...)

ქენჯნა (ქენჯნის⌜ა⌝)

ქენჯნის; **ქენჯნიდა**; **ქენჯნიდეს**; **ქენჯნა**; **უქენჯნია**; **ექენჯნა**

ქერათმიანი

ქერქქვეშ

ქერცლი

ქეჩა (ქეჩის⌜ა⌝) (= 1. მატყლის ქსოვილის ჩამონაჭრების წნული საფენი; 2. ნაბადი); შდრ.: **ქეჩო** (= კისრის ზედა ნაწილი: **ქეჩოში** სწვდა)

ქეცი; **ქეციანი**

ქვაბი

ქვაბული

ქვაკუთხედი

ქვა-ლოდი (= ქვა და ლოდი), მაგრამ: **ქვალოდი** (= ლოდი ქვა)

ქვამარილი

ქვანახშირი

[ქვანტური კი არა] **კვანტური** (ფიზიკა)

ქვაფენილი

ქვა-ღორღი

ქვაყრილი

ქვეგანაყოფი

ქვეგანყოფილება (ქვეგანყოფილების⌜ა⌝)

ქვედატანი

ქვედა ტუჩი/ყბა

ქვევრი

ქვეთავი

ქვეთემა (ქვეთემის⌜ა⌝)

ქვეკომიტეტი

ქველი; **ქველობა** (ქველობის⌜ა⌝)

ქველმოქმედება (ქველმოქმედების⌜ა⌝); **ქველმოქმედებითი**; **საქველმოქმედო**

ქველმოქმედი [და არა ქველმომქმედი]

ქვემდგომი (ქვემდგომმა)

ქვემოაღნიშნული, მაგრამ: **ქვემოთ აღნიშნული**

ქვემოაღწერილი, მაგრამ: **ქვემოთ აღწერილი**

ქვემოდასახელებული, მაგრამ: **ქვემოთ დასახელებული**

ქვემოთ [და არა ქვემოდ] // **ქვევით ჩადის**, მაგრამ: **როგორც ქვემოთ** [და არა ქვევით] **აღვნიშნეთ**...

ქვემომოყვანილი, მაგრამ: **ქვემოთ მოყვანილი**

ქვემძრომი (ქვემძრომმა)

ქვეპუნქტი

ქვესადგური

ქვესათაური

ქვესახეობა (ქვესახეობის⌜ა⌝)

ქვესექცია (ქვესექციის⌜ა⌝)

ქვესტილი

ქვეტექსტი

ქვეყანა (ქვეყნის⌜ა⌝): **საქვეყნო** (საქვეყნოდ)

ქვეშ (ცის/სის... **ქვეშ**)

ქვეშეცნეული; **ქვეშეცნეულად** (ხელოვნული ფორმებია – იგივეა, რაც **ქვეცნობიერი**, **ქვეცნობიერად**): „საერთოდ, **ქვეშეცნეულად** ვწერ, მეტწილად სათაურიდან გამოვდივარ“ (კ. გამს.); „**ქვეშეცნეული** იყო ყოველთვის ხელოვანის მუშაობა“ (გ. რჩეულ.); „[მზერა] სულ თან დაგდევს და გულღვიძლს გიწვავს **ქვეშეცნეულად**“ (გ. ჩოხ.).

ქვეშ-ქვეშ, მაგრამ: **ქვეშქვეშა** (ქვეშქვეშას⌜ი⌝)

ქვეცნობიერი; **ქვეცნობიერება** (ქვეცნობიერების⌜ა⌝)

ქვეჯგუფი

[ქვია, ქვიოდა კი არა] **ჰქვია**; **ერქვა**

ქვიდან (საიდან? **ქვიდან** ჩამოხტა) – **ქვისგან** (რისგან? **ქვისგან** ააშენა/გამოთალა)

ქვითავს; **ქვითავდა**; **ქვითავდეს** (**გაქვითავს**...)

ქვითარი (ქვითრის⌜ა⌝)

ქვითინებს; **ქვითინებდა**; **ქვითინებდეს** (**იქვითინებს**...)

ქვის ხანა

[ქვორუმი კი არა] **კვორუმი**

[ქვოტა კი არა] **კვოტა**

[ქილერი კი არა] **კილერი**

ქილიკობს; **ქილიკობდა**; **ქილიკობდეს** (**იქილიკებს**...)

ქიმი (ქიმმა)

ქიმია (ქიმიის⌜ა⌝); **ქიმიკოსი** (ქიმიკოსს)

ქიმიკატ(ებ)ი

ქირომანტი(ა) [და არა ხირომანტი(ა)]

ქირურგი [და არა ხირურგი]

ქირურგია (ქირურგიის⌜ა⌝): **ქირურგიული**

ქიში (სპორტ.)

ქლორი; **ქლორირება** (ქლორირების⌜ა⌝)

ქლოროფილი

ქლოროფორმი (ქლოროფორმმა)

ქმარი (ქმრის⌜ა⌝): **საქმრო**

ქმარ-შვილი, მაგრამ: **ქმარშვილიანი**; **უქმარშვილო**

ქმედითი

ქმედითობა (ქმედითობის⌜ა⌝)

ქმედუნარიანი

ქმედუნარიანობა (ქმედუნარიანობის⌜ა⌝)

ქმედუუნარო; **ქმედუუნაროობა** (ქმედუუნაროობის⌜ა⌝)

ქოლერა [და არა ხოლერა]

ქოლერიკი: **ქოლერიკული** [და არა ხოლერიკი, ხოლერიკული]

ქოლესტერინი [და არა ხოლესტერინი]

ქოლეცისტიტი [და არა ხოლეცისტიტი]

[ქონდა, ქონდეს კი არა] **ჰქონდა; ჰქონდეს**

ქონდრისკაცი; ქონდრისკაცობა (ქონდრისკაცობის˹ა˺)

ქორალი [და არა ხორალი]

ქორეოგრაფი; ქორეოგრაფია (ქორეოგრაფიის˹ა˺)

ქორმაისტერი (ქორმაისტერის˹ა˺) [და არა ქორმეისტერი, ხორმაისტერი]

ქორო [და არა ხორო]

ქორწინდება; ქორწინდებოდა; ქორწინდებოდეს (დაქორწინდება...)

ქოსატყუილა (ქოსატყუილას˹ი˺)

ქოქავს; ქოქავდა; ქოქავდეს (დაქოქავს...)

ქოქოსი (ქოქოსს)

ქოჩორა (ქოჩორას˹ი˺)

ქოჩორი (ქოჩრის˹ა˺)

ქრება; ქრებოდა; ქრებოდეს (გაქრება...)

ქრთამავს; ქრთამავდა; ქრთამავდეს (მოქრთამავს...)

ქრთამი (ქრთამმა)

ქრიზანთემა (ქრიზანთემის˹ა˺)

ქრიზოლითი (ქრიზოლითთან)

ქრის; ქროდა; ქროდეს [და არა ჰქრის, ჰქროდა, ჰქროდეს]

ქრისტიანულ-დემოკრატიული (პარტია)

ქრომატული (ფერები)

ქრომი (ქრომმა)

ქრომირება: ქრომირებული

ქრომიტი

ქრომოსომა (ქრომოსომის˹ა˺)

ქრონიკა (ქრონიკის˹ა˺)

ქრონიკალური (= ქრონიკის ხასიათისა: **ქრონიკალური** ფილმი) – **ქრონიკული** (= ხანგრძლივი, მუდმივი, მოურჩენელი: **ქრონიკული** დაავადება)

ქრონოგრაფია (= ჟამთააღმწერლობა; ისტორიკოსობა); შდრ.: **ქრონოლოგია** (= 1. ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობა დროის მიხედვით; 2. ისტორიული დისციპლინა (დამხმარე), რომელიც ადგენს ისტორიული მოვლენებისა და დოკუმენტების თარიღებს)

ქრონომეტრაჟი (ქრონომეტრაჟს): **ქრონომეტრაჟული**

ქრონომეტრაჟისტი

ქსაქსავს; ქსაქსავდა; ქსაქსავდეს (დაქსაქსავს...)

ქსელავს; ქსელავდა; ქსელავდეს (დაქსელავს...)

ქსელი (ქსლის˹ა˺): ობობას **ქსლის**, მაგრამ: სატელეფონო **ქსელის** (სატელეფონო ქსელები)

ქსენოფილია (ქსენოფილიის˹ა˺) (= ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიყვარული)

ქსენოფობია (ქსენოფობიის˹ა˺) (= ზოგადად უცხოელისა და უცხოურის სიძულვილი)

[ქსეროქსი კი არა] **ასლგადამღები**

ქსოვს; ქსოვა; უქსოვია; ექსოვა

ქტიტორი [დ ა რ ა კ ტ ი ტ ო რ ი]

ქუდბედი; ქუდბედიანი

ქუდმოგლეჯილი

ქუდმოუბდელი

ქუდმოხდილი

ქულა (ქულის˹ა˺)

ქურდავს; ქურდავდა; ქურდავდეს (გაქურდავს...)

ქურდობს; ქურდობდა; ქურდობდეს (იქურდა; უქურდია; ექურდა)

ქურთუკი

ქურქმოსხმული

ქურციკი

ქუსლური შუასარმა (ს პ ო რ ტ.)

ქუჩა (ქუჩის˹ა˺): **ქუჩური**

ქუჩაბანდი

ქუჩა-ქუჩა

ქუხილი: ჭექა-ქუხილი

ქუხს; ქუხდა; ქუხდეს (იქუხებს...)

[ქქაჩავს კი არა] **გქაჩავს**

[ქშია კი არა] **გშია**

[ქცალია კი არა] **გცალია**

ქცევა (ქცევის˹ა˺)

[ქცემს კი არა] **გცემს**

[ქცივა კი არა] **გცივა**

ღ

ღაბაბი; ღაბაბიანი

ღადარი (ღადრის˹ა˺)

ღადრავს; ღადრა; უღადრავს; ეღადრა

ღალა (ღალის˹ა˺)

ღალღა (ღალღის˹ა˺)

ღალატობს; ღალატობდა; ღალატობდეს (უღალატებს...)

ღამდება; ღამდებოდა; ღამდებოდეს (დაღამდება...)

ღამე მშვიდობისა! (// **ღამემშვიდობისა!**) (მხოლოდ დამშვიდობებისას)

ღამენათევი; ღამენატები

ღამე ნებისა! (// **ღამენებისა!**)

ღამღამობით

ღაპაღუპით

ღარავს; ღარა; უღარავს; ეღარა

ღარიბდება; ღარიბდებოდა; ღარიბდებოდეს (გაღარიბდება...)

ღარიბ-ღატაკი

ღატაკდება; ღატაკდებოდა; ღატაკდებოდეს (გაღატაკდება...)

ღაფავს (სულს)

ღაღადებს; ღაღადებდა; ღაღადებდეს (იღაღადა; უღაღადია; ეღაღადა)

ღაღადი

ღაღადყოფს; ღაღადყო; ღაღადუყვია; ღაღადეყო

ღაწვი

ღებავს; ღება; უღებავს; ეღება

[ღებულობს... კი არა] **იღებს**; **იღებდა**; **იღებდეს**

ღელავს; **ღელავდა**; **ღელავდეს** (**იღელვა**; **უღელვია**; **ეღელვა**)

ღელდება; **ღელდებოდა**; **ღელდებოდეს** (**აღელდება**...)

ღელე (ღელის᾽ა᾽)

ღელვა (ღელვის᾽ა᾽)

[ღერბი კი არა] **გერბი**

ღერი (= ცალი: ასანთის/თმის... **ღერი**) – **ღერო** (= მცენარის ძირითადი ორგანო, ტანი, რომელზედაც ტოტები და ფოთლებია გამოსხმული: ხის/სიმინდის... **ღერო**)

ღეროსებრი

ღერ-ღერ // ღერ-ღერად

ღერძისთავი

ღეჭავს; **ღეჭა**; **უღეჭავს**; **ეღეჭა**

ღვართქაფი

ღვარი (ღვარის᾽ა᾽)

ღვარნალექი

ღვარსადენი

ღვარსაშვები

ღვარცოფი

ღვარძლი; **ღვარძლიანი**

ღვარძლიანობს; **ღვარძლიანობდა**; **ღვარძლიანობდეს**

ღვარძლნარევი

ღვაწლი; **ღვაწლმოსილი**

ღვაწლმოსილობა // ღვაწლმოსილება

ღვედი

ღვეზელი (ღვეზლის᾽ა᾽ // ღვეზელის᾽ა᾽, მრ. ღვეზელები)

ღვენთი (ღვენთთან)

ღვთაება (ღვთაების᾽ა᾽); **ღვთაებრივი** (ღვთაებრივად)

ღვთაებრიობა (ღვთაებრიობის᾽ა᾽)

ღვთისმეტყველება (ღვთისმეტყველების᾽ა᾽)

ღვთისმეტყველი (ღვთისმეტყველის᾽ა᾽); **ღვთისმეტყველური**

ღვთისმოსავი

ღვთისმოსაობა (ღვთისმოსაობის᾽ა᾽)

ღვთისმოყვარე (ღვთისმოყვარის᾽ა᾽)

ღვთისმოყვარება (ღვთისმოყვარების᾽ა᾽)

ღვთისმოშიში

ღვთისმსახურება (ღვთისმსახურების᾽ა᾽)

ღვთისმშობელი (ღვთისმშობლის᾽ა᾽)

ღვთისნიერი [და არა ხვთისნიერი]

ღვთის უკეთესი (რა იქნებოდა)

ღვთის წინაშე

ღვთის წყალობა

ღვთის წყრომა

ღვთიური

ღვივდება (ცეცხლი/ცომი...) – **დივდება** (თესლი)

ღვინისფერი (ღვინისფრად)

ღვინო (ღვინის᾽ა᾽)

ღვინოგადაკრული

ღვიძავს; **ეღვიძა**

ღვიძილი

ღვიძლი

ღვლარჭნის; ღვლარჭნა; უღვლარჭნია; ეღვლარჭნა

ღვრის; ღვარა; უღვრია; ეღვარა

[ღზრდის... კი არა] **ზრდის; აღზრდის**

ღია (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **ღიად** ამბობს, **ღიად** უპირისპირდება, **ღიად** ებრძვის, **ღიად** უჭერს მხარს და ა. შ. უმჯობესია: **აშკარად / დაუფარავად / დაუმალავად** ამბობს; **პირდაპირ / დაუფარავად** ებრძვის; **დაუფარავად / აშკარად** უჭერს მხარს და ა. შ.)

ღია ბარათი

ღია გაკვეთილი

ღია ვარდისფერი/წითელი/მწვანე...

ღია კენჭისყრა

ღია კრება

ღია წერილი

ღია ჭრილობა

ღიმი (ღიმმა) // **ღიმილი**

ღიმილგადაფენილი

ღიმმორეული // ღიმილმორეული

ღინღლი; ღინღლიანი

ღიპი; ღიპიანი

ღირებულება (ღირებულების^ა)

ღირებული (ღირებულად)

ღირსება (ღირსების^ა)

ღირსებააყრილი

ღირსებადაკარგული

ღირსებაშელახული

ღირსეული (ღირსეულად)

ღირსი (ღირსს)

ღირსსაცნობი

ღირსსაცოდნელი

ღირსსახსოვარი

ღირსშესანიშნავი, მაგრამ: **ღირსშესანიშნაობა**

ღიღინ-ღიღინით

ღმერთი (ღმერთის^ა // ღვთის^ა // ღმრთის^ა, მაგრამ: დიდი/მაღალი **ღმერთის**)

ღმერთმანი

ღობე (ღობის^ა)

ღობე-ყორე (ღობე-ყორის^ა)

ღობეშემოვლებული; ღობეშემორტყმული

ღონეგამოლეული; ღონეგამოცლილი; ღონემიხდილი; ღონეწართმეული

ღონემოცემული; ღონემოჭარბებული

ღონიერი (ღონიერის^ა)

ღონივრად (მოუსვამს ნიჩაბს), მაგრამ: **ღონიერად** (გადაიქცევა)

ღონისძიება [და არა ივენთი]

ღორი: ღორული (ღორულად)

ღორმუცელა (ღორმუცელას^ი)

ღოჯური (სპორტ.)

ღრეობა (ღრეობის^ა)

ღრეობს; ღრეობდა; ღრეობდეს

ღრეცს; ღრეცდა; ღრეცდეს [და არა

ღრეცავს, ღრიცავს; ღრეცავდა, ღრიცავდა; ღრეცავდეს, ღრიცავდეს]; **ღრიცა**; **უღრეცია**; **ეღრიცა**

ღრიალებს; **ღრიალებდა**; **ღრიალებდეს** (**იღრიალებს**...)

ღრიანკალი (ღრიანკლის⌜ა⌝)

ღრმააზროვანი (ღრმააზროვნად)

ღრმავდება; **ღრმავდებოდა**; **ღრმავდებოდეს** (**გაღრმავდება**...)

ღრმაშინაარსიანი

ღრმა ძილი

ღრმა ჭრილობა

ღრუბელი (ღრუბლის⌜ა⌝)

ღრუბელ-ნისლი

ღრუბლებგადაყრილი

ღრუბლიანობა (ღრუბლიანობის⌜ა⌝)

ღრუტუნებს; **ღრუტუნებდა**; **ღრუტუნებდეს** (**იღრუტუნებს**...)

ღრღნის; **ღრღნა**; **უღრღნია**; **ეღრღნა**

ღრძილი

ღრძობა (**იღრძობს**)

ღრჯუ (კაცი)

ღუზა (ღუზის⌜ა⌝)

ღუმელი (ღუმლის⌜ა⌝ // ღუმელის⌜ა⌝, მრ. ღუმელები)

ღუპავს; **ღუპავდა**; **ღუპავდეს** (**დაღუპავს**...)

ღუღუნებს; **ღუღუნებდა**; **ღუღუნებდეს** (**იღუღუნებს**...)

ყ

ყაბახი

ყაბზობა (ყაბზობის⌜ა⌝)

ყაბულს არის, **ყაბული არის**

ყადაღის დადება, მ ა გ რ ა მ: **ყადაღადადებული**

ყადი

ყადრი

ყაენი (// **ყეენი**); **ყეენობა** (ყეენობის⌜ა⌝)

ყავა (ყავის⌜ა⌝): **საყავე** (საყავის⌜ა⌝)

ყავადანი (ყავადნის⌜ა⌝)

ყავარჯენი (ყავარჯნის⌜ა⌝)

ყავახანა (ყავახანის⌜ა⌝)

ყავისფერი (ყავისფრად)

ყავლი

[ყავს, ყავდა... კ ი ა რ ა] **ჰყავს**; **ჰყავდა**; **ჰყავდეს**; **ჰყოლია**; **ჰყოლოდა**

[ყავხარ, ყევხარ კ ი ა რ ა] **ჰყავხარ**

ყაზარმა (ყაზარმის⌜ა⌝): **ყაზარმული** (პირობები)

ყაიდა (ყაიდის⌜ა⌝)

ყაიმი (ყაიმმა) (ს პ ო რ ტ.)

ყაირათი; **ყაირათიანი**

ყაისნაღი

ყალბი; **სიყალბე** (სიყალბის⌜ა⌝)

ყალბისმქნელი; **ყალბისმქნელობა** (ყალბისმქნელობის⌜ა⌝)

ყალბობს; **ყალბობდა**; **ყალბობდეს** (**იყალბებს**...)

ყალთაბანდი: ყალთაბანდური (ყალთაბანდურად)

ყალთაბანდობს; ყალთაბანდობდა; ყალთაბანდობდეს (**იყალთაბანდებს...**)

ყალიბდება; ყალიბდებოდა; ყალიბდებოდეს (**ჩამოყალიბდება...**)

ყალიბი

ყალყზე დგება

ყანა (ყანის˹ა˺): **საყანე**

ყანა-ყანა

ყანყრატო

ყანჩა (ყანჩის˹ა˺)

ყანწი

ყარაულობს; ყარაულობდა; ყარაულობდეს (**იყარაულებს...; უყარაულებს...**)

ყარაჩოხელი (მრ. ყარაჩოხელები)

ყარს; ყარდა; ყარდეს

ყარყატი

ყარყუმი (ყარყუმმა)

ყასაბი (ყასბის˹ა˺)

ყასიდად (= მოსაჩვენებლად)

ყაურმა (ყაურმის˹ა˺)

ყაყანებს; ყაყანებდა; ყაყანებდეს (**იყაყანა; უყაყანია; ეყაყანა**)

ყაყაჩო; ყაყაჩოსფერი (ყაყაჩოსფრად)

ყაჩაღი: ყაჩაღური; ყაჩაღობა

ყაჩაღობს; ყაჩაღობდა; ყაჩაღობდეს (**იყაჩაღა; უყაჩაღია; ეყაჩაღა**)

ყბა (ყბის˹ა˺)

ყბადაღებული თემა (= ხმაურიანი, საკამათო თემა)

ყბაყურა (ყბაყურას˹ი˺)

ყბედი; ყბედობა

ყბედობს; ყბედობდა; ყბედობდეს (**იყბედა; უყბედია; ეყბედა**)

ყდა (ყდის˹ა˺)

ყდაგაცვეთილი

ყელგადაგდებული

ყელგამშრალი

ყელიანი ფეხსაცმელი

ყელის გამოჭრა, მაგრამ: **ყელგამოჭრილი**

ყელის გასველება

ყელის მოღერება, მაგრამ: **ყელმოღერებული; ყელმოღერებით**

ყელ-კისერი (ყელ-კისრის˹ა˺)

ყელმაღალი (ყელმაღლის˹ა˺)

ყელსაბამი (ყელსაბამმა)

ყელ-ყური

ყელ-ყურ-ცხვირი

ყეფს; ყეფდა; ყეფდეს (**იყეფებს; იყეფა; უყეფია; ეყეფა**)

ყეყეჩი: ყეყეჩური; ყეყეჩობა

ყვავდება; ყვავდებოდა; ყვავდებოდეს (**აყვავდება...**)

ყვავილდება; ყვავილდებოდა; ყვავილდებოდეს (**აყვავილდება...**)

ყვავილი; ყვავილნარი

ყვავილობა (ყვავილობის˹ა˺)

ყვავილობს; **ყვავილობდა**; **ყვავილობდეს** (**იყვავილებს**; **იყვავილა**; **უყვავილია**; **ეყვავილა**)

(**ყვავილოვანი კომბოსტო** //) **კალნახი**

ყვავილცვენა (ყვავილცვენის^ა)

ყვავის [და არა ჰყვავის] (ბაღი)

ყვავ-ყორანი (ყვავ-ყორნის^ა)

ყვანჩი (სპორტ.)

[ყვარებია, ყვარებოდა, ყვარებოდეს კი არა] **ჰყვარებია**; **ჰყვარებოდა**; **ჰყვარებოდეს**

ყვედრება (**აყვედრის**; **აყვედრებს**)

ყველა (= უკლებლივ, მთლიანად: **ყველა** მოვიდა) – **ყოველი** (= მრავლიდან თითოეული: **ყოველი** ჩვენგანი)

ყველა (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: **ყველა საქართველოს მოქალაქე**; **ყველა თბილისის მცხოვრები**; **საქართველოს ყველა პარლამენტის წევრი**..., რაც უმართებულოა. უნდა იყოს: **საქართველოს ყველა მოქალაქე**; **თბილისის ყველა მცხოვრები**; **საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი**... აღნიშნულ კონტექსტებში **ყველა** „მოქალაქის“, „მცხოვრებისა“ და „წევრის“ მსაზღვრელია, ამიტომ ეს სიტყვა სწორედ მათ (**მოქალაქე**, **მცხოვრები**, **წევრი**...) წინ უნდა დაიწეროს (ითქვას), წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საუბარია ყველა (ანუ რამდენიმე) საქართველოზე, თბილისსა და პარლამენტზე).

ყველა მოვიდა / წერს... [და არა ყველა მოვიდნენ, წერენ...], მაგრამ: **ყველანი მოვიდნენ / წერენ**...

ყველა მოსწავლე / წიგნი / მეგობარი... [და არა ყველა მოსწავლეები, წიგნები, მეგობრები...]

ყველა მხრით; **ყველა მხრიდან**

ყველანაირი (ყველანაირად)

[ყველაფერზე წამსვლელია კი არა] **ყველაფერს იკადრებს**

ყველაფერი (ყველაფრის^ა)

ყველაფრისმთქმელი

ყველიერი

ყველ-პური

ყვითელი (ყვითლად)

ყვითელი ბარათი (სპორტ.)

ყვითელი პრესა (ყვითელი პრესის^ა)

ყვითელ-მწვანე (ყვითელ-მწვანის^ა)

ყვითელფოთლებიანი // **ყვითელფოთლება** (ყვითელფოთლებას^ი)

ყვითლდება; **ყვითლდებოდა**; **ყვითლდებოდეს** (**გაყვითლდება**...)

ყვინთავს; **ყვინთავდა**; **ყვინთავდეს** (**ჩაყვინთავს**...)

ყვინთვა (ყვინთვის^ა)

ყვირი [და არა ყვირიხარ]

ყვირილ-ყვირილით; **ყვირილ-წივილით**

ყვირის; ყვიროდა; ყვიროდეს (იყვირებს; იყვირა; უყვირია; ეყვირა)

ყვლეფა (ყვლეფის⌜ა⌝)

ყვლეფს; ყვლეფდა; ყვლეფდეს [და არა ყვლეფავს, ყვლიფავს; ყვლეფავდა, ყვლიფავდა; ყვლეფავდეს, ყვლიფავდეს]; **ყვლიფა; უყვლეფია; ეყვლიფა**

ყვრიმალი (ყვრიმალის⌜ა⌝)

ყიამყრალა (ყიამყრალას⌜ი⌝)

ყიამყრალი; ყიამყრალობა

ყიდდა; ყიდდეს [და არა ყიდიდა, ყიდიდეს]

ყიდვა, მაგრამ: **სყიდვითი უნარიანობა**

ყიდვა-გაყიდვა (ყიდვა-გაყიდვის⌜ა⌝)

ყიდის; ყიდდა; ყიდდეს (გაყიდის...)

ყიდულობს; ყიდულობდა, ყიდულობდეს

ყივის; ყიოდა; ყიოდეს (იყივლებს; იყივლა; უყივლია; ეყივლა)

ყინავს; ყინავდა; ყინავდეს (მოყინავს...)

ყინვა (ყინვის⌜ა⌝)

ყინვაამტანი; ყინვაამტანობა (ყინვაამტანობის⌜ა⌝)

ყინვაგამძლე (ყინვაგამძლის⌜ა⌝)

ყინვაგამძლეობა (ყინვაგამძლეობის⌜ა⌝)

ყინვა-სიცივე (ყინვა-სიცივის⌜ა⌝)

ყინულიანი (წყალი) – **ყინულოვანი** (ოკეანე)

ყინულმტეხი

ყინულმჭრელი (ყინულმჭრელის⌜ა⌝)

ყინულქვეშ

ყიჟინა, ყიჟინი // კიჟინა, კიჟინი

ყიჟინებს; ყიჟინებდა; ყიჟინებდეს (იყიჟინებს...)

ყირა (ყირის⌜ა⌝) (სპორტ.)

ყირავდება; ყირავდებოდა; ყირავდებოდეს (აყირავდება...)

ყირამალა // თავდაყირა

ყირა-ყირა

ყირგიზი; ყირგიზული

ყლაპავს; ყლაპავდა; ყლაპავდეს; ყლაპა; უყლაპავს; ეყლაპა

ყლაპაყლუპი

ყლორტი; ყლორტიანი

ყლურწავს; ყლურწა; უყლურწავს; ეყლურწა

ყმა (= 1. ისტ. ბატონის ქვეშევრდომი; 2. ისტ. პატრონის ქვეშევრდომი; 3. გადატ. მორჩილი, მსახური, ხელქვეითი: **ყმად** გაიხადა; 4. ძვ. რაინდი, მოყმე, ვაჟკაცი: **კაი ყმა**; 5. შინაყმა) – **ყრმა** (= ჩვილი ბავშვი, ყმაწვილი: **ყრმის** ტიკტიკი ; სკოლის ასაკის ბავშვი; ჭაბუკი)

ყმაწვილი; საყმაწვილო; ყმაწვილობა

ყმაწვილობს; ყმაწვილობდა; ყმაწვილობდეს (იყმაწვილობს...)

ყმუილი

ყმუის; ყმუოდა; ყმუოდეს

ყნოსავს; ყნოსავდა; ყნოსავდეს; ყნოსა; უყნოსავს; ეყნოსა

ყნოსვა (ყნოსვის˹ა˺)

ყოველგვარი

ყოველდღე/ყოველთვე/ყოველკვირა (ერთსა და იმავეს აკეთებს), მაგრამ: **ყოველ დღეს/თვეს/კვირას** (ახალი საზრუნავი მოაქვს)

ყოველდღიური (ყოველდღიურად)

ყოველდღიურობა (ყოველდღიურობის˹ა˺)

ყოველთვის

ყოველთვიური (ყოველთვიურად)

ყოველი (ყოვლად)

ყოველივე (ყოველივეს˹ი˺)

ყოველკვირეული (გაზეთი...)

ყოველმხრივ // ყოველმხრივ

ყოველმხრივი; ყოველმხრივობა

ყოველ ნაბიჯზე

ყოველნაირი (ყოველნაირად)

ყოველსაათობით, მაგრამ: **ყოველ საათს**

ყოველ საღამოს

ყოველღამ // ყოველღამე, მაგრამ: **ყოველ ღამეს**

ყოველ შემთხვევაში; ყოველი შემთხვევისათვის

ყოველ წელიწადს, მაგრამ: **ყოველწლიურად**

ყოვლადმოწყალე (ყოვლადმოწყალის˹ა˺)

ყოვლისმომცველი (ყოვლისმომცველად)

ყოვლისმცოდნე (ყოვლისმცოდნის˹ა˺)

ყოვლისმცოდნეობა (ყოვლისმცოდნეობის˹ა˺)

ყოვლისშემცველი (ყოვლისშემცველის˹ა˺)

ყოვლისშემძლე (ყოვლისშემძლის˹ა˺) **// ყოვლისშემძლებელი** (ყოვლისშემძლებლის˹ა˺)

ყოვნდება; ყოვნდებოდა; ყოვნდებოდეს (დაყოვნდება...)

[ყოლია... კი არა] **ჰყოლია; ჰყოლოდა; ჰყოლოდეს**

ყორანი (ყორნის˹ა˺)

ყორნისფერი (ყორნისფრად)

ყოფა-მდგომარეობა (ყოფა-მდგომარეობის˹ა˺)

ყოფაქცევა (ყოფაქცევის˹ა˺)

ყოფა-ცხოვრება, მაგრამ: **საყოფაცხოვრებო; ყოფაცხოვრებითი**

ყოფიერება (ყოფიერების˹ა˺)

ყოფილი

ყოფნა-არყოფნა (ყოფნა-არყოფნის˹ა˺)

[ყოფნის... კი არა] **ჰყოფნის; ჰყოფნიდა; ჰყოფნიდეს**

ყოყლოჩინობს; ყოყლოჩინობდა; ყოყლოჩინობდეს (იყოყლოჩინა; უყოყლოჩინია; ეყოყლოჩინა)

ყოყმანი [და არა ყოყმანობა]

ყოყმანობს; ყოყმანობდა, ყოყმანობდეს (იყოყმანა; უყოყმანია; ეყოყმანა)

ყოჩაღი (ყოჩაღად)

ყოჩაღობს; ყოჩაღობდა; ყოჩაღობდეს (იყოჩაღა; უყოჩაღია; ეყოჩაღა)

ყოჩივარდა (ყოჩივარდას˹ი˺)

ყრანტალებს; ყრანტალებდა; ყრანტალებდეს (იყრანტალა; უყრანტალია; ეყრანტალა)

ყრია (ბევრი), მაგრამ: **გდია** (ერთი)

ყრის; ყარა; უყრია; ეყარა

ყრმა (ყრმის˹ა˺); **ყრმობა** (ყრმობის˹ა˺)

ყროყინებს; ყროყინებდა; ყროყინებდეს (იყროყინა; უყროყინია; ეყროყინა)

ყრუვდება; ყრუვდებოდა; ყრუვდებოდეს (დაყრუვდება...)

ყრუ-მუნჯი, მაგრამ: **ყრუმუნჯობა**

ყუა (ყუის˹ა˺)

ყუათიანი; ყუათიანობა (ყუათიანობის˹ა˺)

ყუთი (ყუთთან)

ყულაბა (ყულაბის˹ა˺)

ყულფი

ყუმბარა (ყუმბარის˹ა˺)

ყუნწი

ყურად იღებს, მაგრამ: **ყურადსაღები; საყურადღებო**

ყურადღება (ყურადღების˹ა˺): **ყურადღებიანი; ყურადღებით**

ყურადღების მიქცევა, მაგრამ: **ყურადღებამისაქცევი**

ყურანი

ყურე (ყურის˹ა˺)

ყურება; საყურებელი (ხშირად მეტყველებაში ხშირად ისმის: **ყურებადი** ფილმია/გადაცემაა. უმჯობესია: **კარგი საყურებელი** ფილმია/ გადაცემაა; ამ ფილმს/გადაცემას **ბევრი მაყურებელი ჰყავს** (პოპულარულია), ანდა: ამ ფილმის/გადაცემის... **ყურება შეიძლება**)

ყურების დაცქვეტა (ყურებს დაცქვეტს), მაგრამ: **ყურებდაცქვეტილი**

ყურების ჩამოყრა, მაგრამ: **ყურებჩაწოყრილი**

ყურებ-ყურებით

ყურებშუა დარტყმა (სპორტ.)

ყურე-კუნჭული

ყურთასმენა (ყურთასმენის˹ა˺)

ყურით მოთრეული

ყურის გამახვილება

ყურისგდება; ყურისმგდებელი (ყურისმდგებლის˹ა˺)

ყურის დაგდება (ყურს დაუგდებს)

ყურის თხოვება (ყურს ათხოვებს)

ყურის მოკვრა, მაგრამ: **ყურმოკრული** (ყურმოკრულად; ყურმოკვრით)

ყურის შეჩვევა (ყურს შეაჩვევს)

ყურისწამღები (ყურისწამღებად)

ყურყუმელაობს; ყურყუმელაობდა; ყურყუმელაობდეს (იყურყუმელავა; უყურყუმელავია; ეყურყუმელავა)

ყურშა (ყურშას᾽ი᾽)

ყურცქვიტა (ყურცქვიტას᾽ი᾽)

ყურძენი (ყურძნის᾽ა᾽)

ყურწაყრუებული

ყუჩდება; ყუჩდებოდა; ყუჩდებოდეს (**გაყუჩდება...**)

შ

შაბათ დილას/საღამოს

შაბათ-კვირა; შაბათ-კვირას

შაბიამნისფერი (შაბიამნისფრად)

შაბლონი: შაბლონური (შაბლონურად)

შაბლონურობა (შაბლონურობის᾽ა᾽)

შაგრენი (**შაგრენის** ტყავი)

შადრევანი (შადრევნის᾽ა᾽)

შავბნელი

შავებჩაცმული

შავ-თეთრი (შავ-თეთრად)

შავთვალა (შავთვალას᾽ი᾽)

შავთვალწარბა (შავთვალწარბას᾽ი᾽)

შავი; მოშავო; უშავესი (უშავესს)

შავი ბაზარი (შავი ბაზრის᾽ა᾽)

შავი დღე (შავი დღის᾽ა᾽)

შავი მაგია (შავი მაგიის᾽ა᾽)

შავი ქამარი (სპორტ.)

შავ-შავი (შავ-შავად)

შაიბა (სპორტ.)

შაკიკი

შალითა (შალითის᾽ა᾽)

შამათი (სპორტ.)

შამხი; შამხიანი; შამხნარი

შამპანური [და არა შამპანიური]

შანდალი (შანდლის᾽ა᾽)

შანთი (შანთთან)

შანსი (შანსს)

შანტაჟი (შანტაჟს); **შანტაჟისტი**

შანტაჟირება: შანტაჟირებული

შარაგზა (შარაგზის᾽ა᾽)

შარადა (შარადის᾽ა᾽)

შარდსადინარი // შარდსადენი

შარავანდედი

შარავანდმოსილი (შარავანდმოსილად)

შარა-შარა

შარახვეტია (შარახვეტიას᾽ი᾽)

შარვალი (შარვლის᾽ა᾽)

შარვალ-ხალათი (შარვალ-ხალათთან)

შარი (**შარი** მოსდო)

შარისთავი; შარისთავობა (შარისთავობის᾽ა᾽)

შარიშური (შარიშურით)

შარლატანი (შარლატანის᾽ა᾽)

შარჟი (შარჟს)

შარშან; შარშანდელი (შარშანდლის᾽ა᾽), მაგრამ: **შარშანდელები**

შარშანწინ; შარშანწინდელი (შარშანწინდლის᾽ა᾽), მაგრამ: **შარშანწინდელები**

შასი (მოთხრ. შასიმ; მიც., ნათ. შასის)

შაქარი (შაქრის˹ა˺)

შაქარლამა (შაქარლამის˹ა˺)

შაქარმოყრილი

შაქარყინული

შაქრისფერი (შაქრისფრად)

შაში (სპორტ.)

შაშხანა (შაშხანის˹ა˺)

შაჰი [და არა შახი]

შაჰინშაჰი

შეაბამს; შეაბა; შეუბამს; შეება

შეაბიჯებს; შეაბიჯა; შეუბიჯებია; შეებიჯებინა [და არა შეებიჯებია]

შეაბმევინებს; შეაბმევინა; შეუბმევინებია; შეებმევინებინა [და არა შეაბმევიებს, შეაბმევია...]

შეაბრკოლებს; შეაბრკოლა; შეუბრკოლებია; შეებრკოლებინა [და არა შეებრკოლებია]

შეაბრუნებს; შეაბრუნა; შეუბრუნებია; შეებრუნებინა [და არა შეებრუნებია]

შეაბრძანებს; შეაბრძანა; შეუბრძანებია; შეებრძანებინა [და არა შეებრძანებია]

შეაბრძოლებს; შეაბრძოლა; შეუბრძოლებია; შეებრძოლებინა [და არა შეებრძოლებია]

შეაგდებინებს; შეაგდებინა; შეუგდებინებია; შეეგდებინებინა [და არა შეაგდებიებს, შეაგდებია...]

შეაგდებს; შეაგდო; შეუგდია; შეეგდო

შეაგებებს; შეაგება; შეუგებებია; შეეგებებინა [და არა შეეგებებია]

შეაგვიანდება; შეაგვიანდა; შეჰგვიანებია; შეჰგვიანებოდა [და არა შეგვიანებია, შეგვიანებოდა]

შეაგვიანებს; შეაგვიანა; შეუგვიანებია; შეეგვიანებინა [და არა შეეგვიანებია]

[შეაგზავნის... კი არა] **შეგზავნის; შეგზავნიდა; შეგზავნიდეს**

შეაგლეჯს; შეაგლეჯდა; შეაგლეჯდეს [და არა შეაგლეჯავს, შეაგლიჯავს; შეაგლეჯავდა, შეაგლიჯავდა; შეაგლეჯავდეს, შეაგლიჯავდეს]; **შეაგლიჯა; შეუგლეჯია; შეეგლიჯა**

შეაგნებინებს; შეაგნებინა; შეუგნებინებია; შეეგნებინებინა [და არა შეაგნებიებს, შეაგნებია...]

შეაგროვებს; შეაგროვა; შეუგროვებია; შეეგროვებინა [და არა შეეგროვებია]

შეაგულიანებს; შეაგულიანა; შეუგულიანებია; შეეგულიანებინა [და არა შეეგულიანებია]

შეადარებინებს; შეადარებინა; შეუდარებინებია; შეედარებინებინა [და არა შეადარებიებს, შეადარებია...]

შეადარებს; შეადარა; შეუდარებია; შეედარებინა [და არა შეედარებია]

შეადგამს; შეადგა; შეუდგამს [და არა შეუდგავს]; **შეედგა**

შეადგება; შეადგა; შესდგომია; შესდგომოდა [და არა შედგომია, შედგომოდა]

შეადგენინებს; შეადგენინა; შეუდგენინებია; შეედგენინებინა [და არა შეადგენიებს, შეადგენია...]

შეადგენს; შეადგინა; შეუდგენია; შეედგინა

შეადგმევინებს; შეადგმევინა; შეუდგმევინებია; შეედგმევინებინა [და არა შეადგმევიებს, შეადგმევია...]

შეადუღებინებს; შეადუღებინა; შეუდუღებინებია; შეედუღებინებინა [და არა შეადუღებიებს, შეადუღებია...]

შეადუღებს; შეადუღა; შეუდუღებია; შეედუღებინა [და არა შეედუღებია]

შეაერთებს; შეაერთა; შეუერთებია; შეეერთებინა [და არა შეეერთებია]

შეავედრებს; შეავედრა; შეუვედრებია; შეევედრებინა [და არა შეევედრებია]

შეავიწროებს; შეავიწროვა; შეავიწროოს; შეუვიწროებია; შეევიწროებინა [და არა შეევიწროებია]

შეავლებს; შეავლო; შეუვლია; შეევლო

შეავსებინებს; შეავსებინა; შეუვსებინებია; შეევსებინებინა [და არა შეავსებიებს, შეავსებია...]

შეავსებს; შეავსო; შეუვსია; შეევსო

შეაზავებს; შეაზავა; შეაზავოს (შევაზავო, შეაზავო); შეუზავებია; შეეზავებინა [და არა შეეზავებია]

შეაზიდვინებს; შეაზიდვინა; შეუზიდვინებია; შეეზიდვინებინა [და არა შეაზიდიებს, შეაზიდია...]

შეაზიზღებს; შეაზიზღა; შეუზიზღებია; შეეზიზღებინა [და არა შეეზიზღებია]

შეათავსებს; შეათავსა; შეუთავსებია; შეეთავსებინა [და არა შეეთავსებია]

შეათანხმებს; შეათანხმა; შეუთანხმებია; შეეთანხმებინა [და არაშეეთანხმებია]

შეათვალიერებს; შეათვალიერა; შეუთვალიერებია; შეეთვალიერებინა [და არა შეეთვალიერებია]

შეათრევს; შეათრია; შეუთრევია; შეეთრია

შეაიარაღებს; შეაიარაღა; შეუიარაღებია; შეეიარაღებინა [და არა შეეიარაღებია]

შეაკავებს; შეაკავა; შეაკავოს (შევაკავო, შეაკავო); შეუკავებია; შეეკავებინა [და არა შეეკავებია]

შეაკავშირებს; შეაკავშირა; შეუკავშირებია; შეეკავშირებინა [და არა შეეკავშირებია]

შეაკეთებინებს; შეაკეთებინა; შეუკეთებინებია; შეეკეთებინებინა [და არა შეაკეთებიებს, შეაკეთებია...]

შეაკეთებს; შეაკეთა; შეუკეთებია; შეეკეთებინა [და არა შეეკეთებია]

შეაკერვინებს; შეაკერვინა; შეუკერვინებია; შეეკერვინებინა [და არა შეაკერიებს, შეაკერია...]

შეაკვდება; შეაკვდა; შეჰკვდომია; შეჰკვდომოდა [და არა შეკვდომია, შეკვდომოდა]

შეაკვრევინებს; შეაკვრევინა; შეუკვრევინებია; შეეკვრევინებინა [და არა შეაკვრევიებს, შეაკვრევია...]

შეაკლავს; შეაკლა (შევაკალი, შეაკალი); შეუკლავს; შეეკლა

შეაკოწიწებს; შეაკოწიწა; შეუკოწიწებია; შეეკოწიწებინა [და არა შეეკოწიწებია]

შეაკრებინებს; შეაკრებინა; შეუკრებინებია; შეეკრებინებინა [და არა შეაკრებიებს, შეაკრებია...]

შეაკრეჭს; შეაკრეჭდა; შეაკრეჭდეს [და არა შეაკრეჭავს, შეაკრიჭავს; შეაკრეჭავდა, შეაკრიჭავდა; შეაკრეჭავდეს, შეაკრიჭავდეს]; **შეაკრიჭა; შეუკრეჭია; შეეკრიჭა**

შეაკრთობს; შეაკრთო; შეუკრთია; შეეკრთო

შეალაგებს; შეალაგა; შეულაგებია; შეელაგებინა [და არა შეელაგებია]

შეალამაზებს; შეალამაზა; შეულამაზებია; შეელამაზებინა [და არა შეელამაზებია]

შეალახვინებს; შეალახვინა; შეულახვინებია; შეელახვინებინა [და არა შეალახიებს, შეალახია...]

შეალესვინებს; შეალესვინა; შეულესვინებია; შეელესვინებინა [და არა შეალესიებს, შეალესია...]

შეალეწავს; შეალეწა; შეულეწავს; შეელეწა

შეამაგრებინებს; შეამაგრებინა; შეუმაგრებინებია; შეემაგრებინებინა [და არა შეამაგრებიებს, შეამაგრებია...]

შეამაგრებს; შეამაგრა; შეუმაგრებია; შეემაგრებინა [და არა შეემაგრებია]

შეამზადებს; შეამზადა; შეუმზადებია; შეემზადებინა [და არა შეემზადებია]

შეამთხვევს; შეამთხვია; შეამთხვიოს (შევამთხვიო, შეამთხვიო); შეუმთხვევია; შეემთხვია

შეამკობს; შეამკო (შევამკე, შეამკე); შეუმკია; შეემკო

შეამოკლებინებს; შეამოკლებინა; შეუმოკლებინებია; შეემოკლებინებინა [და არა შეამოკლებიებს, შეამოკლებია...]

შეამოკლებს; შეამოკლა; შეუმოკლებია; შეემოკლებინა [და არა შეემოკლებია]

შეამოწმებინებს; შეამოწმებინა; შეუმოწმებინებია; შეემოწმებინებინა [და არა შეამოწმებიებს, შეამოწმებია...]

შეამოწმებს; შეამოწმა; შეუმოწმებია; შეემოწმებინა [და არა შეემოწმებია]

შეამსუბუქებს; შეამსუბუქა; შეუმსუბუქებია; შეემსუბუქებინა [და არა

შეემსუბუქებია]

შეამტვრევს; შეამტვრია (შევამტვრიე, შეამტვრიე); შეუმტვრევია; შეემტვრია

შეამჩნევს; შეამჩნია; შეუმჩნევია; შეემჩნია

შეამცირებს; შეამცირა; შეუმცირებია; შეემცირებინა [და არა შეემცირებია]

შეამჭიდროებს; შეამჭიდროვა; შეუმჭიდროებია; შეემჭიდროებინა [და არა შეემჭიდროებია]

შეანარჩუნებინებს; შეანარჩუნებინა; შეუნარჩუნებინებია; შეენარჩუნებინებინა [და არა შეანარჩუნებიებს, შეანარჩუნებია...]

შეანახვინებს; შეანახვინა; შეუნახვინებია; შეენახვინებინა [და არა შეანახინებს, შეანახიებს; შეანახინა, შეანახია...]

შეაპარებს; შეაპარა; შეუპარებია; შეეპარებინა [და არა შეეპარებია]

შეაპირობებს; შეაპირობა; შეუპირობებია; შეეპირობებინა [და არა შეეპირობებია]

შეაპყრობინებს; შეაპყრობინა; შეუპყრობინებია, შეეპყრობინებინა [და არა შეაპყრობიებს, შეაპყრობია...]

შეარბილებს; შეარბილა; შეურბილებია; შეერბილებინა [და არა შეერბილებია]

შეარიგებს; შეარიგა; შეურიგებია; შეერიგებინა [და არა შეერიგებია]

შეარქმევს; შეარქვა; შეურქმევია; შეერქმია

შეარყევს; შეარყია; შეურყევია; შეერყია

შეარჩევინებს; შეარჩევინა; შეურჩევინებია; შეერჩევინებინა [და არა შეარჩევიებს, შეარჩევია...]

შეარჩევს; შეარჩია; შეურჩევია; შეერჩია

შეარჩენს; შეარჩინა; შეურჩენია; შეერჩინა

შეარცხვენინებს; შეარცხვენინა; შეურცხვენინებია; შეერცხვენინებინა [და არა შეარცხვენიებს, შეარცხვენია...]

შეარცხვენს; შეარცხვინა; შეურცხვენია; შეერცხვინა

შეარხევს; შეარხია; შეურხევია; შეერხია

შეასახლებინებს; შეასახლებინა; შეუსახლებინებია; შეესახლებინებინა [და არა შეასახლებიებს, შეასახლებია...]

შეასახლებს; შეასახლა; შეუსახლებია; შეესახლებინა [და არა შეესახლებია]

შეასვენებს; შეასვენა; შეუსვენებია; შეესვენებინა [და არა შეესვენებია]

შეასკდება; შეასკდა; შესკდომია; შესკდომოდა

შეასმენინებს; შეასმენინა; შეუსმენინებია; შეესმენინებინა [და არა შეასმენიებს, შეასმენია...]

შეასმენს; შეასმინა; შეუსმენია; შეესმინა

შეასრულებინებს; შეასრულებინა; შეუსრულებინებია; შეესრულებინებინა [და არა შეასრულებიებს, შეასრულებია...]

შეასრულებს; შეასრულა; შეუსრულებია; შეესრულებინა [და არა შეესრულებია]

შეასუსტებინებს; შეასუსტებინა; შეუსუსტებინებია; შეესუსტებინებინა [და არა შეასუსტებიებს, შეასუსტებია...]

შეასუსტებს; შეასუსტა; შეუსუსტებია; შეესუსტებინა [და არა შეესუსტებია]

შეასქელებინებს; შეასქელებინა; შეუსქელებინებია; შეესქელებინებინა [და არა შეასქელებიებს, შეასქელებია...]

შეასქელებს; შეასქელა; შეუსქელებია; შეესქელებინა [და არა შეესქელებია]

შეასყიდვინებს; შეასყიდვინა; შეუსყიდვინებია; შეესყიდვინებინა [და არა შეასყიდიებს, შეასყიდია...]

შეასწორებინებს; შეასწორებინა; შეუსწორებინებია; შეესწორებინებინა [და არა შეასწორებიებს, შეასწორებია...]

შეასწორებს; შეასწორა; შეუსწორებია; შეესწორებინა [და არა შეესწორებია]

შეასხამს [და არა შეასხავს]; **შეასხა; შეუსხამს** [და არა შეუსხავს]; **შეესხა**

შეასხდება (მრავალი / ბევრი), **შეასხდებიან** (ბავშვები), მაგრამ: **შეაჯდება** (ერთი)

შეატანინებს; შეატანინა; შეუტანინებია; შეეტანინებინა [და არა შეატანიებს, შეატანია...]

შეატრიალ-შემოატრიალებს; შეატრიალ-შემოატრიალა; შეუტრიალ-შემოუტრიალებია; შეეტრიალ-შემოეტრიალებინა [და არა შეეტრიალ-შემოეტრიალებია]

შეატყობინებს; შეატყობინა; შეუტყობინებია; შეეტყობინებინა [და არა შეატყობიებს, შეატყობია...]

შეატყობს; შეატყო (შევატყვე, შეატყვე, შეატყვეს); შეუტყვია; შეეტყო

შეაფასებინებს; შეაფასებინა; შეუფასებინებია; შეეფასებინებინა [და არა შეაფასებიებს, შეაფასებია...]

შეაფასებს; შეაფასა; შეუფასებია; შეეფასებინა [და არა შეეფასებია]

შეაფერადებინებს; შეაფერადებინა; შეუფერადებინებია; შეეფერადებინებინა [და არა შეაფერადებიებს; შეაფერადებია...]

შეაფერადებს; შეაფერადა; შეუფერადებია; შეეფერადებინა [და არა შეეფერადებია]

შეაფერხებს; შეაფერხა; შეუფერხებია; შეეფერხებინა [და არა შეეფერხებია]

შეაქებს; შეაქო; შეუქია; შეექო

შეაქცევს; შეაქცია; შეუქცევია; შეექცია

შეაღებვინებს; შეაღებვინა; შეუღებვინებია; შეეღებვინებინა [და არა შეაღებიებს, შეაღებია...]

შეაღებს; შეაღო; შეუღია; შეეღო

შეაღწევს; შეაღწია; შეუღწევია; შეეღწია

შეაყენებს; შეაყენა; შეუყენებია; შეეყენებინა [და არა შეეყენებია]

შეაყვანინებს; შეაყვანინა; შეუყვანინებია; შეეყვანინებინა [და არა შეაყვანიებს, შეაყვანია...]

შეაყვარებს; შეაყვარა; შეუყვარებია; შეეყვარებინა [და არა შეეყვარებია]

შეაყოვნებს; შეაყოვნა; შეუყოვნებია; შეეყოვნებინა [და არა შეეყოვნებია]

შეაშვებინებს; შეაშვებინა; შეუშვებინებია; შეეშვებინებინა [და არა შეაშვებიებს, შეაშვებია...]

შეაშველებს; შეაშველა; შეუშველებია; შეეშველებინა [და არა შეეშველებია]

შეაშინებინებს; შეაშინებინა; შეუშინებინებია; შეეშინებინებინა [და არა შეაშინებიებს, შეაშინებია...]

შეაშინებს; შეაშინა; შეუშინებია; შეეშინებინა [და არა შეეშინებია]

შეაშლევინებს; შეაშლევინა; შეუშლევინებია; შეეშლევინებინა [და არა შეაშლევიებს, შეაშლევია...]

შეაშფოთებს; შეაშფოთა; შეუშფოთებია; შეეშფოთებინა [და არა შეეშფოთებია]

შეაჩერდება; შეაჩერდა; შესჩერებია; შესჩერებოდა [და არა შეჩერებია, შეჩერებოდა]

შეაჩერებინებს; შეაჩერებინა; შეუჩერებინებია; შეეჩერებინებინა [და არა შეაჩერებიებს, შეაჩერებია...]

შეაჩერებს; შეაჩერა; შეუჩერებია; შეეჩერებინა [და არა შეეჩერებია]

შეაჩვენებს; შეაჩვენა; შეუჩვენებია; შეეჩვენებინა [და არა შეეჩვენებია]

შეაცბუნებს; შეაცბუნა; შეუცბუნებია; შეეცბუნებინა [და არა შეეცბუნებია]

შეაცდენს; შეაცდინა; შეუცდენია; შეეცდინა

შეაცვლევინებს; შეაცვლევინა; შეუცვლევინებია; შეეცვლევინებინა [და არა შეაცვლევიებს, შეაცვლევია...]

შეაცოდებს; შეაცოდა; შეუცოდებია; შეეცოდებინა [და არა შეეცოდებია]

შეაძენინებს; შეაძენინა; შეუძენინებია; შეეძენინებინა [და არა შეაძენიებს, შეაძენია...]

შეაძლებინებს; შეაძლებინა; შეუძლებინებია; შეეძლებინებინა [და არა შეაძლებიებს, შეაძლებია...]

შეაძულებს; შეაძულა; შეუძულებია; შეეძულებინა [და არა შეეძულებია]

შეაწამვლინებს; შეაწამვლინა; შეუწამვლინებია; შეეწამვლინებინა [და არა შეაწამლიებს, შეაწამლია...]

შეაწმენდინებს; შეაწმენდინა; შეუწმენდინებია; შეეწმენდინებინა [და არა შეაწმენდიებს; შეაწმენდია...]

შეაწრიალებს; შეაწრიალა; შეუწრიალებია; შეეწრიალებინა [და არა შეეწრიალებია]

შეაწუხებს; შეაწუხა; შეუწუხებია; შეეწუხებინა [და არა შეეწუხებია]

შეაწყვე [და არა შეაწყე] (შენ)

შეაწყვეტინებს; შეაწყვეტინა; შეუწყვეტინებია; შეეწყვეტინებინა [და არა შეაწყვეტიებს, შეაწყვეტია...]

შეაწყობს; შეაწყო; შეუწყვია [და არა შეუწყია]; **შეეწყო**

შეაჭრევინებს; შეაჭრევინა; შეუჭრევინებია; შეეჭრევინებინა [და არა შეაჭრევიებს, შეაჭრევია...]

შეახამებს; შეახამა; შეუხამებია; შეეხამებინა [და არა შეეხამებია]

შეახებს; შეახო; შეუხია; შეეხო

შეახედვინებს; შეახედვინა; შეუხედვინებია; შეეხედვინებინა [და არა შეახედვიებს, შეახედვია...]

შეახვედრებს; შეახვედრა; შეუხვედრებია; შეეხვედრებინა [და არა შეეხვედრებია]

შეახოცავს; შეახოცა; შეუხოცავს; შეეხოცა

შეახსენებს; შეახსენა; შეუხსენებია; შეეხსენებინა [და არა შეეხსენებია]

შეაჯამებს; შეაჯამა; შეუჯამებია; შეეჯამებინა [და არა შეეჯამებია]

შეაჯახებს; შეაჯახა; შეუჯახებია; შეეჯახებინა [და არა შეეჯახებია]

შეაჯგუფებს; შეაჯგუფა; შეუჯგუფებია; შეეჯგუფებინა [და არა შეეჯგუფებია]

შეაჯდება; შეაჯდა; შესჯდომია; შესჯდომოდა [და არა შეჯდომია; შეჯდომოდა]

შეაჯერებს; შეაჯერა; შეუჯერებია; შეეჯერებინა [და არა შეეჯერებია]

შეაჯვარებს (= შეაწყვილებს); **შეაჯვარა; შეუჯვარებია; შეეჯვარებინა** [და არა შეეჯვარებია]

შეაჯვარედინებს (= ჯვარედინად გაკეთებს); **შეაჯვარედინა; შეუჯვარედინებია; შეეჯვარედინებინა** [და არა შეეჯვარედინებია]

[შებედავს... კი არა] **შეჰბედავს; შეჰბედავდა; შეჰბედავდეს**

შებილწავს; შებილწა; შეუბილწავს; შეებილწა

შებინდდება; შებინდდა; შებინდებულა; შებინდებულიყო

შებინდებისას

შებორკავს; შებორკა: შეუბორკავს; შეებორკა

შებოჭავს; შებოჭა; შეუბოჭავს; შეებოჭა

შებოჭვა: შებოჭილი

შებრკოლდება; შებრკოლდა; შებრკოლებულა; შებრკოლებულიყო

შებრუნდება; შებრუნდა; შებრუნებულა; შებრუნებულიყო

შებრუნება: შებრუნებული

შებრუნებული მოგვერდი (სპორტ.)

შებრძანდება; შებრძანდა; შებრძანებულა; შებრძანებულიყო

შებრძანება: შებრძანებული

შებრძოლება: შებრძოლებული

შეგზავნის; შეგზავნიდა; შეგზავნიდეს [და არა შეაგზავნის...]

შეგნება: შეგნებული

შეგონება: შეგონებული

შეგროვებული (= ვინც ან რაც შეაგროვებს); შდრ.: **შეგროვილი** (= ვინც ან რაც შეგროვდა)

შეგრძნება; შეგრძნებადი; შეგრძნებითი

შეგრძნობა (შეიგრძნობს)

შეგუება: შეგუებული

[შეგუებია, შეგუებოდა კი არა] **შეჰგუებია; შეჰგუებოდა** (ის მას)

შეგულებული (= გონებაში მონიშნული; შესაძენად, მოსაყვანად (მოსატანად) ნავარაუდები: **შეგულებული** ქალი/წიგნი/ბინა...) – **შეგულიანებული** (= ვინც შეაგულიანეს ან შეგულიანდა; წაქეზებული, წახალისებული)

შედარება-დაპირისპირება (შედარება-დაპირისპირების[ა])

შედარება: შედარებული

შედარებითი

შედგამს [და არა შედგავს]; **შედგა; შეუდგამს** [და არა შეუდგავს]; **შეედგა**

შედგება (ის სკამზე), მაგრამ: **შესდგება** (ის მას ფეხით)

შედგენილობა (ატომისა/მოლეკულისა/პროდუქტისა...); **შემადგენლობა** (კომისიისა/ჟიურისა...), მაგრამ: **მოძრავი შემადგენლობა** (= ვაგონები)

შედებს; შედო; შევდე; შედე; შედეს; შეუდვია [და არა შეუდია]; **შეედო**

შედეგი; შედეგიანი; შედეგიანობა

შედევრი

შედექ! [და არა შესდექ]

შედიოდ-გამოდიოდნენ

შედრკება; შედრკა; შემდრკალა; შემდრკალიყო

შეებმება // შეებმის

შეებრძოლება; შეებრძოლა; შეჰბრძოლებია; შეჰბრძოლებოდა [და არა შებრძოლებია, შებრძოლებოდა]

შეეგებება; შეეგება; შეჰგებებია; შეჰგებებოდა [და არა შეგებებია, შეგებებოდა]

შეეგზავნება; შეეგზავნა; შეჰგზავნია; შეჰგზავნოდა [და არა შეგზავნია, შეგზავნოდა]

შეეგუება; შეეგუა; შეჰგუებია; შეჰგუებოდა [და არა შეგუებია, შეგუებოდა]

შეედავება; შეედავა; შესდავებია; შესდავებოდა [და არა შედავებია, შედავებოდა]

შეედრება; შეედარა; შესდარებია; შესდარებოდა [და არა შედარებია, შედარებოდა]

შეევაჭრება; შეევაჭრა; შევაჭრებია; შევაჭრებოდა

შეევედრება; შეევედრა; შევედრებია; შევედრებოდა

შეეზიზღება; შეეზიზღა; შეზიზღებია; შეზიზღებოდა

შეეზრდება; შეეზარდა; შეზრდია; შეზრდოდა

შეეთამაშება; შეეთამაშა; შესთამაშებია; შესთამაშებოდა [და არა შეთამაშებია, შეთამაშებოდა]

შეეთვისება; შეეთვისა; შესთვისებია; შესთვისებოდა [და არა შეთვისებია, შეთვისებოდა]

შეეკამათება; შეეკამათა; შეჰკამათებია; შეჰკამათებოდა [და არა შეკამათებია, შეკამათებოდა]

შეეკედლება; შეეკედლა; შეჰკედლებია; შეჰკედლებოდა [და არა შეკედლებია, შეკედლებოდა]

შეეკითხება; შეეკითხა; შეჰკითხებია // შეჰკითხვია [და არა შეკითხებია, შეკითხვია]

შეელაპარაკება; შეელაპარაკა; შელაპარაკებია; შელაპარაკებოდა

შეემატება; შეემატა; შემატებია; შემატებოდა

შეენაცვლება; შეენაცვლა; შენაცვლებია; შენაცვლებოდა

შეეპასუხება; შეეპასუხა; შეჰპასუხებია; შეჰპასუხებოდა [და არა შეპასუხებია, შეპასუხებოდა]

შეეპატიჟება; შეეპატიჟა; შეჰპატიჟებია; შეჰპატიჟებოდა [და არა შეპატიჟებია, შეპატიჟებოდა]

შეეპუება; შეეპუა; შეჰპუებია; შეჰპუებოდა [და არა შეპუებია, შეპუებოდა]

შეერგება; შეერგო; შერგებია; შერგებოდა

შეერევა; შეერია; შერევია; შერეოდა

შეესატყვისება (= შეესაბამება, შეეფარდება, შეეფერება)

შეესევა; შეესია; შესევია; შესეოდა

შეერქმევა; შეერქვა; შერქმევია; შერქმეოდა

შეესაბამება; შეესაბამებოდა; შეესაბამებოდეს

შეესევა; შეესია; შესევია; შესეოდა

შეესვლება; შეესვლებოდა; შეესვლებოდეს

შეესიტყვება; შეესიტყვა; შესიტყვებია; შესიტყვებოდა

შეესწრება; შეესწრო; შესწრებია; შესწრებოდა

შეეტაკება; შეეტაკა; შესტაკებია; შესტაკებოდა [და არა შეტაკებია, შეტაკებოდა]

შეეტევა; შეეტია; შეტეულა; შეტეულიყო

შეეტყობა; შეეტყო; შესტყობია; შესტყობოდა [და არა შეტყობია, შეტყობოდა]

შეეფარება; შეეფარა; შეჰფარებია; შეჰფარებოდა [და არა შეფარებია, შეფარებოდა]

შეეფინება; შეეფინა; შეჰფენია; შეჰფენოდა [და არა შეფენია, შეფენოდა]

შეექმნება; შეექმნა; შეჰქმნია; შეჰქმნოდა [და არა შექმნია, შექმნოდა]

შეექნება; შეექნა; შეჰქნია; შეჰქნოდა [და არა შექნია, შექნოდა]

შეეყრება; შეეყარა; შეჰყრია; შეჰყროდა [და არა შეყრია, შეყროდა]

შეეშველება; შეეშველა; შეშველებია; შეშველებოდა

შეეშინდება; შეეშინდა; შეშინებია; შეშინებოდა

შეეჩვევა; შეეჩვია; შესჩვევია; შესჩვეოდა [და არა შეჩვევია, შეჩვეოდა]

შეეცვლება; შეეცვალა; შესცვლია; შესცვლოდა [და არა შეცვლია, შეცვლოდა]

შეეცილება; შეეცილა; შესცილებია; შესცილებოდა [და არა შეცილებია, შეცილებოდა]

შეეცოდება; შეეცოდა; შესცოდებია; შესცოდებოდა [და არა შეცოდებია, შეცოდებოდა]

შეეძინება; შეეძინა; შესძენია; შესძენოდა [და არა შეძენია, შეძენოდა]

შეეძლება; შეეძლო; შესძლებია; შესძლებოდა [და არა შეძლებია, შეძლებოდა]

შეეწყალება; შეეწყალა; შესწყალებია; შესწყალებოდა [და არა შეწყალებია, შეწყალებოდა]

შეეჯიდება; შეეჯიდა; შესჯიდებია; შესჯიდებოდა [და არა შეჯიდებია, შეჯიდებოდა]

შეეხება; შეეხო; შეხებია; შეხებოდა

შეეხვეწა; შეხვეწია (= შევედრებია), მაგრამ: **შეხვეწებია** (= თავი შეუფარებია)

შეეხმიანება; შეეხმიანა; შეხმიანებია; შეხმიანებოდა

შეეჯიბრება; შეეჯიბრა; შესჯიბრებია; შესჯიბრებოდა [და არა შეჯიბრებია, შეჯიბრებოდა]

შევარდება (ის), მაგრამ: **შეცვივდებიან** (ისინი)

შევარდენი (შევარდნის⌜ა⌝) // **შავარდენი** (შავარდნის⌜ა⌝)

შევატყვე [და არა შევატყე] (მე)

შევვარდები; შევვარდი; შევვარდნილვარ (მე), მაგრამ: **შევცვივდებით; შევცვივდით; შევცვივნულვართ** (ჩვენ)

შევვარდნილვარ (მე), მაგრამ: **შევვარდნივარ** (მე მას)

შევვედრებ; შევვედრე; შევვედრებივარ; შევვედრებოდი

შევიტყვე; შეიტყვე [და არა შევიტყე, შეიტყე]

შევიწროვდება; შევიწროვდა; შევიწროებულა; შევიწროებულიყო

შევსება-შესწორება (შევსება-შესწორების⌜ა⌝)

[შევურაცხყოფ, შევურაცყავი... კი არა] **შეურაცხვყოფ; შეურაცხვყავი; შეურაცხმიყვია; შეურაცხმეყო**

შევუწყვე; შეუწყვე [და არა შევუწყე, შეუწყე] (ხელი)

შევძელი // შევძელ

შეზიდავს; შეზიდა; შეუზიდავს; შეეზიდა

შეზიდვა-გამოზიდვა (შეზიდვა-გამოზიდვის⌜ა⌝)

შეზიზღდება; შეზიზღდა; შეზიზღებია; შეზიზღებოდა

შეზლონგი

შეზღუდავს; შეზღუდა; შეუზღუდავს; შეეზღუდა

შეზღუდვა (შეზღუდვის⌜ა⌝) [და არა შეზღუდვები]

შეთავაზება (შეთავაზების⌜ა⌝): **შეთავაზებული**

[შეთავაზებს... კი არა] **შესთავაზებს; შესთავაზებდა; შესთავაზებდეს**

შეთანხმდება; შეთანხმდა; შეთანხმებულა; შეთანხმებულიყო

შეთანხმება (შეთანხმების⌜ა⌝): **შეთანხმებული** (შეთანხმებულად)

შეთქმულება (შეთქმულების⌜ა⌝)

[შეთხოვს... კი არა] **შესთხოვს; შესთხოვდა; შესთხოვდეს**

შეიარაღდება; შეიარაღდა; შეიარაღებულა; შეიარაღებულიყო

შეიარაღება (შეიარაღების⌜ა⌝): **შეიარაღებული**

შეიგნებს; შეიგნო; შეუგნია; შეეგნო

შეიგრძნობს; შეიგრძნო; შეუგრძნია; შეეგრძნო

შეიზღუდება; შეიზღუდა; შეზღუდულა; შეზღუდულიყო

შეიკავებს; შეიკავა; შეუკავებია; შეეკავებინა [და არა შეეკავებია]

შეიკრიბება; შეიკრიბა; შეკრებილა; შეკრებილიყო

შეიმჩნევა; შეიმჩნა; შემჩნეულა; შემჩნეულიყო

შეინარჩუნებს; შეინარჩუნა; შეუნარჩუნებია; შეენარჩუნებინა [და არა შეენარჩუნებია]

შეინახავს; შეინახა; შეუნახავს; შეენახა

შეინდობს; შეინდო; შეუნდვია [და არა შეუნდია]; **შეენდო**

შეინიშნება; შეინიშნა; შენიშნულა; შენიშნულიყო

შეიპარება; შეიპარა; შეპარულა; შეპარულიყო

შეიპყრობს; შეიპყრო; შეუპყრია; შეეპყრო

შეირჩევა; შეირჩა; შერჩეულა; შერჩეულიყო

შეირცხვენს; შეირცხვინა; შეურცხვენია; შეერცხვინა

შეისვენებს; შეისვენა; შეუსვენებია;

შეესვენებინა [და არა შეესვენებია]

შეისმენს; **შეისმინა**; **შეუსმენია**; **შეესმინა**

შეისყიდის; **შეისყიდა**; **შეუსყიდია**; **შეესყიდა**

შეისწავლის; **შეისწავლა**; **შეუსწავლია**; **შეესწავლა**

შეისწორებს; **შეისწორა**; **შეუსწორებია**; **შეესწორებინა** [და არა შეესწორებია]

შეიტყობს; **შეიტყო**; **შეუტყვია** [და არა შეუტყია]; **შეეტყო**

შეიქმნა (სახელმწიფო...), მაგრამ: **შეიქნა** (შეუძლოდ...)

შეიყვარებს; **შეიყვარა**; **შეუყვარებია**; **შეეყვარებინა** [და არა შეეყვარებია]

შეიყოლებს (= თან შეიყვანს, შეიტანს); **შეიყოლა**; **შეუყოლებია**; **შეეყოლებინა** [და არა შეეყოლებია]

შეიყოლიებს (= ჩაითრევს საუბარში); **შეიყოლია**; **შეუყოლიებია**; **შეეყოლიებინა** [და არა შეეყოლიებია]

შეიშვება; **შეიშვა**; **შეშვებულა**; **შეშვებულიყო**

შეიცავს; **შეიცავდა**; **შეიცავდეს**

შეიცვლება; **შეიცვალა**; **შეცვლილა**; **შეცვლილიყო**

შეიცვლის; **შეიცვალა**; **შეუცვლია**; **შეეცვალა**

შეიცნობს; **შეიცნო**; **შეუცნია**; **შეეცნო**

შეიცოდებს; **შეიცოდა**; **შეუცოდებია**; **შეეცოდებინა** [და არა შეეცოდებია]

შეიძენს; **შეიძინა**; **შეუძენია**; **შეეძინა**

შეიძლება, **შესაძლოა** და **შესაძლებელია** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს – სავარაუდოა; მოსალოდნელია (მას **შეიძლება/შესაძლოა/შესაძლებელია** უყვარდა ნინო); მაგრამ **შეიძლება** ზმნას განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ნებადართულია; კანონიერია (გადაწყვეტილება **შეიძლება** გასაჩივრდეს 30 დღის განმავლობაში).

შეიწმენდს; **შეიწმენდდა**; **შეიწმენდდეს** [და არა შეიწმენდავს, შეიწმინდავს; შეიწმენდავდა, შეიწმინდავდა; შეიწმენდავდეს, შეიწმინდავდეს]; **შეიწმინდა**; **შეუწმენდია**; **შეეწმინდა**

შეიწყალებს და **შეიწყნარებს** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: აპატიებს, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობებიც აქვთ: **შეიწყალებს** – შეიბრალებს, შეიცოდებს; **შეიწყნარებს** – შეისმენს, ყურად იღებს (სასამართლომ ბრალდებულის თხოვნა **შეიწყნარა**)

შეიჯავრებს; **შეიჯავრა**; **შეუჯავრებია**; **შეეჯავრებინა** [და არა შეეჯავრებია]

[შეკადრებს... კი არა] **შეჰკადრებს**; **შეჰკადრებდა**; **შეჰკადრებდეს**

შეკავშირება: **შეკავშირებული**

შეკაზმავს („ვინ **შეკაზმავს** ცხენს?“) –

შეკმაზავს (ვინ **შეკმაზავს** ლობიოს?)

შეკაზმვა: **შეკაზმული**

შეკაზმულობა (შეკაზმულობის˹ა˺)

შეკედლება: **შეკედლებული**

შეკეთება: **შეკეთებული**

შეკერავს; **შეკერა**; **შეუკერავს**; **შეეკერა**

შეკერვა: **შეკერილი**

[შეკვდომია... კი არა] **შეჰკვდომია**; **შეჰკვდომოდა**; **შეჰკვდომოდეს**

შეკითხვა (შეკითხვის˹ა˺)

შეკოწიწება: **შეკოწიწებული**

შეკრებს; **შეკრებდა**; **შეკრებდეს** [და არა შეკრებავს, შეკრიბავს, შეკრებავდა, შეკრიბავდა; შეკრებავდეს, შეკრიბავდეს]; **შეკრიბა**; **შეუკრებია**; **შეეკრიბა**

შეკუმშვა-გაფართოება (შეკუმშვა-გაფართოების˹ა˺)

შელაგება: **შელაგებული**

შელამაზება: **შელამაზებული**

შელაპარაკება (შელაპარაკების˹ა˺)

შელახავს; **შელახა**; **შეულახავს**; **შეელახა**

შელახვა: **შელახული**

შელესავს; **შელესა**; **შეულესავს**; **შეელესა**

შელეწავს; **შელეწა**; **შეულეწავს**; **შეელეწა**

შელეწვა: **შელეწილი**

შელოცვა: **შელოცვილი**

შემადგენლობა – შედგენილობა (ი ხ.)

შემაერთებელი (შემაერთებლად)

შემავიწროებელი (შემავიწროებლად)

შემაკავშირებელი (შემაკავშირებლის˹ა˺)

შემამკობელი (შემამკობლის˹ა˺)

შემამსუბუქებელი (შემამსუბუქებლად)

შემამტკიცებელი (შემამტკიცებლის˹ა˺)

შემამცირებელი (შემამცირებლის˹ა˺)

შემამჭიდროებელი (შემამჭიდროებლის˹ა˺)

შემარბილებელი (შემარბილებლად)

შემართება (შემართების˹ა˺); **შემართებით**

შემარიგებელი (შემარიგებლის˹ა˺)

შემარყეველი (შემარყევლის˹ა˺)

შემატებს; **შემატა**; **შეუმატებია**; **შეემატებინა** [და არა შეჰმატებს...]

შემატკივარი (შემატკივრის˹ა˺); **გულშემატკივარი** (გულშემატკივრის˹ა˺)

შემაშფოთებელი (შემაშფოთებლად)

შემაჩერებელი (შემაჩერებლის˹ა˺)

შემაძრწუნებელი (შემაძრწუნებლად)

შემაწუხებელი (შემაწუხებლად)

შემაჯამებელი (შემაჯამებლად)

შემბრალებელი (შემბრალებლის˹ა˺)

შემბრალებლობა (შემბრალებლობის˹ა˺)

შემგროვებელი (შემგროვებლის˹ა˺)

შემგუებელი (შემგუებლის˹ა˺)

შემდგენელი (შემდგენლის˹ა˺)

შემდეგ; **შემდეგი**

შემდუღებელი (შემდუღებლის˹ა˺)

შემზადება: **შემზადებული**

შემზავებელი (შემზავებლის˹ა˺)

შემთავსებელი (შემთავსებლის˹ა˺)

შემთავსებლობა (შემთავსებლობის˹ა˺)

შემთანხმებელი (შემთანხმებლის˹ა˺); **შემთანხმებლური**

შემთანხმებლობა (შემთანხმებლობის˹ა˺)

შემთვისებელი (შემთვისებლის˹ა˺)

შემთხვევა; **შემთხვევითი**

შემთხვევითობა (შემთხვევითობის˹ა˺)

შემკეთებელი (შემკეთებლის˹ა˺)

შენნახველი (შემნახველის˹ა˺) (// **შემნახავი**)

შემოაბიჯებს; **შემოაბიჯა**; **შემოუბიჯებია**; **შემოებიჯებინა** [და არა შემოებიჯებია]

შემოაბრუნებს; **შემოაბრუნა**; **შემოუბრუნებია**; **შემოებრუნებინა** [და არა შემოებრუნებია]

შემოადგამს [და არა შემოადგავს]; **შემოადგა**; **შემოუდგამს** [და არა შემოუდგავს]; **შემოედგა**

შემოავლებს; **შემოავლო**; **შემოუვლია**; **შემოევლო**

შემოაკვდება; **შემოაკვდა**; **შემოჰკვდომია**; **შემოჰკვდომოდა** [და არა შემოკვდომია, შემოკვდომოდა]

შემოაკლდება; **შემოაკლდა**; **შემოჰკლებია**; **შემოჰკლებოდა** [და არა შემოკლებია, შემოკლებოდა]

შემოამტვრევს; **შემოამტვრია**; **შემოუმტვრევია**; **შეშოემტვრია**

შემოარტყამს [და არა შემოარტყავს]; **შემოარტყა**; **შემოურტყამს** [და არა შემოურტყავს]; **შემოერტყა**

შემოასახლებს; **შემოასახლა**; **შემოუსახლებია**; **შემოესახლებინა** [და არა შემოესახლებია]

შემოატანინებს; **შემოატანინა**; **შემოუტანინებია**; **შემოეტანინებინა** [და არა შემოატანიებს, შემოატანია...]

შემოატრიალებს; **შემოატრიალა**; **შემოუტრიალებია**; **შემოეტრიალებინა** [და არა შემოეტრიალებია]

შემოაქვს; **შემოჰქონდა**; **შემოჰქონდეს** [და არა შემოქონდა, შემოქონდეს]

შემოაყვანინებს; **შემოაყვანინა**; **შემოუყვანინებია**; **შემოეყვანინებინა** [და არა შემოაყვანიებს, შემოაყვანია...]

შემობრუნდება; **შემობრუნდა**; **შემობრუნებულა**; **შემობრუნებულიყო**

შემოდგამს [და არა შემოდგავს]; **შემოდგა**; **შემოუდგამს** [და არა შემოუდგავს]; **შემოედგა**

შემოდგომა-ზამთარი (შემოდგომა-ზამთრის˹ა˺)

შემოედავება; **შემოედავა**; **შემოსდავებია**; **შემოსდავებოდა** [და არა შემოდავებია, შემოდავებოდა]

შემოევლება; **შემოევლო**; **შემოვლებია**; **შემოვლებოდა**

შემოერტყმება; შემოერტყა; შემორტყმია; შემორტყმოდა

შემოესწრება; შემოესწრო; შემოსწრებია; შემოსწრებოდა

შემოეშველება; შემოეშველა; შემოშველებია; შემოშველებოდა

შემოეჩვევა; შემოეჩვია; შემოსჩვევია; შემოსჩვეოდა [და არა შემოჩვევია, შემოჩვეოდა]

შემოეცლება; შემოეცალა; შემოსცლია; შემოსცლოდა [და არა შემოცლია, შემოცლოდა]

შემოეხმაურება; შემოეხმაურა; შემოხმაურებია; შემოხმაურებოდა

შემოეხმიანება; შემოეხმიანა; შემოხმიანებია; შემოხმიანებოდა

შემოგლეჯს; შემოგლეჯდა; შემოგლეჯდეს [და არა შემოგლეჯავს, შემოგლიჯავს; შემოგლეჯავდა, შემოგლიჯავდა; შემოგლეჯავდეს, შემოგლიჯავდეს]; **შემოგლიჯა; შემოუგლეჯია; შემოეგლიჯა**

შემოთავაზება (შემოთავაზების^ა)

შემოთავაზებული

შემოიერთებს; შემოიერთა; შემოუერთებია; შემოეერთებინა [და არა შემოეერთებია]

შემოინახავს; შემოინახა; შემოუნახავს; შემოენახა

შემოიწყობს; შემოიწყო (შემოვიწყვე, შემოიწყვე); შემოუწყვია; შემოეწყო

შემოკლება: შემოკლებული

შემომავალი (შემომავლის^ა)

შემომატება: შემომატებული

შემომსვლელი (შემომსვლელის^ა)

შემომსწრები

შემომტანი

შემომღები

შემომყვანი

შემომწირველი (შემომწირველის^ა)

შემომჯდარი (ჩიტი), მაგრამ: **შემომსხდარი** (ჩიტები)

შემორიგება: შემორიგებული

შემოსავალ-გასავალი (შემოსავალ-გასავლის^ა)

შემოსავალი (შემოსავლის^ა)

შემოსავლიანობა (შემოსავლიანობის^ა)

შემოსაზღვრა: შემოსაზღვრული

შემოსასვლელ-გასასვლელი

შემოსატანი

შემოსაღები

შემოსაყვანი

შემოსაშვები

შემოსახლება: შემოსახლებული

შემოსვლა: შემოსული

შემოსთავაზებს; შემოსთავაზა [და არა შემოთავაზებს, შემოთავაზა]; **შემოუთავაზებია; შემოეთავაზებინა** [და არა შემოეთავაზებია]

შემოსწირავს; შემოსწირა [და არა შემოწირავს, შემოწირა]; **შემოუწირავს; შემოეწირა**

შემოსწრება: შემოსწრებული

შემოტანა: **შემოტანილი**

შემოტრიალდება; **შემოტრიალდა**; **შემოტრიალებულა**; **შემოტრიალებულიყო**

შემოტყუება: **შემოტყუებული**

შემოუბრუნდება; **შემოუბრუნდა**; **შემოჰბრუნებია**; **შემოჰბრუნებოდა** [და არა შემობრუნებია, შემობრუნებოდა]

შემოუბრუნებს; **შემოუბრუნა**; **შემოუბრუნებია**; **შემოებრუნებინა** [და არა შემოებრუნებია]

შემოუერთდება; **შემოუერთდა**; **შემოერთებია**; **შემოერთებოდა**

შემოუერთებს; **შემოუერთა**; **შემოუერთებია**; **შემოეერთებინა** [და არა შემოეერთებია]

შემოურბენინებს (= სირბილით შემოუტანს რაიმეს); **შემოურბენინა**; **შემოურბენინებია**; **შემოერბენინებინა**; შდრ.: **შემოურბენს** (= სირბილით შემოუვლის); **შემოურბინა**; **შემოურბენია**; **შემოერბინა**

შემოურიგდება; **შემოურიგდა**; **შემორიგებია**; **შემორიგებოდა**

შემოუსახლდება; **შემოუსახლდა**; **შემოსახლებია**; **შემოსახლებოდა**

შემოუშვებს; **შემოუშვა**; **შემოუშვია**; **შემოეშვა**

შემოუჩნდება; **შემოუჩნდა**; **შემოსჩენია**; **შემოსჩენოდა** [და არა შემოჩენია, შემოჩენოდა]

შემოქმედი [და არა შემომქმედი]

შემოწმდება; **შემოწმდა**; **შემოწმებულა**; **შემოწმებულიყო**

შემოწყობა: **შემოწყობილი**

შემოჰბედავს; **შემოჰბედა** [და არა შემობედავს, შემობედა]; **შემოუბედავს**; **შემოებედა**

შემოჰკადრებს; **შემოჰკადრა** [და არა შემოკადრებს, შემოკადრა]; **შემოუკადრებია**; **შემოეკადრებინა** [და არა შემოეკადრებია]

შემოჰფიცავს; **შემოჰფიცა** [და არა შემოფიცავს, შემოფიცა]; **შემოუფიცავს**; **შემოეფიცა**

შემოჰქონდა; **შემოჰქონდეს** [და არა შემოქონდა, შემოქონდეს]

შემოჰყავს; **შემოჰყავდა**; **შემოჰყავდეს** [და არა შემოყავს...]

შემოჰყვება; **შემოჰყვა** (**შემოვყევი**, **შემოჰყევი**); **შემოჰყოლია**; **შემოჰყოლოდა** [და არა შემოყვება, შემოყვა...]

შემომსვლელი (შემომსვლელის⌜ა⌝)

შემსრულებელი (შემსრულებლის⌜ა⌝)

შემსრულებლობა (შემსრულებლობის⌜ა⌝); **საშემსრულებლო**

შემსყიდველი (შემსყიდველის⌜ა⌝)

შემსწავლელი

შემტანი

შემტევი

შემტევი ნახევარმცველი (სპორტ.)

შემტკიცება: **შემტკიცებული**

შემუსვრა (შემუსვრის⌜ა⌝): **შემუსრული** (// **შემუსვრილი**)

შემუსრავს; შემუსრა; შეუმუსრავს; შეემუსრა

შემუშავება: შემუშავებული

შემფარებელი (შემფარებლის˹ა˺)

შემფასებელი (შემფასებლის˹ა˺)

შემფერხებელი (შემფერხებლის˹ა˺)

შემქმნელი

შემცბარი // შეცბუნებული

შემცდარი

შემცდენელი (შემცდენლის˹ა˺)

შემცველი; შემცველობა

შემცვლელი

შემცირდება; შემცირდა; შემცირებულა; შემცირებულიყო

შემცირება: შემცირებული

შემცნობი

შემცოდე, შემცოდველი (= ვინც შესცოდებს, ცოდვილი, დამნაშავე) – **შემცოდებელი** (შემცოდებლის˹ა˺) (= ვინც შეიცოდებს, შემბრალებელი)

შემძლებელი (შემძლებლის˹ა˺) // **შემძლე** [და არა შემძლები]

შემწე (შემწის˹ა˺)

შემწირველი (შემწირველის˹ა˺) (// **შემწირავი**)

შემწუხებელი (შემწუხებლის˹ა˺)

შემწყნარებელი (შემწყნარებლის˹ა˺): **შემწყნარებლური**

შემწყნარებლობა (შემწყნარებლობის˹ა˺)

შემჭიდროება: შემჭიდროებული

შემხები (შემხების˹ა˺) // **შემხებელი** (შემხებლის˹ა˺)

შემხედველი (შემხედველის˹ა˺)

შემხვდური // შემხვედრი

შემჯერებელი (შემჯერებლის˹ა˺)

შენ (თქვენ) გამო/გარდა/გარშემო/მაგივრად/მიერ/წინ/წინაშე/უკან... [და არა შენს (თქვენს) გამო/გარდა/გარშემო/მაგივრად/მიერ/წინ/წინაშე/უკან...], მაგრამ: **შენს მეგობარს/წიგნს...**

შენ (თქვენ) თვალწინ/ცხვირწინ

შენარჩუნება: შენარჩუნებული

შენაცვლება: შენაცვლებული

შენდათავად

შენდაუნებურად

შენელდება; შენელდა; შენელებულა; შენელებულიყო

შენელება: შენელებული

შენი აზრით [და არა შენის აზრით]

შენიღბავს; შენიღბა; შეუნიღბავს; შეენიღბა

შენიღბვა (შენიღბვის˹ა˺): **შენიღბული**

შენიშვნა [და არა შენიშნვა]: **შენიშნული**

შენიშნავს; შენიშნა; შეუნიშნავს; შეენიშნა

შენკენ [და არა შენსკენ]

შენობა-ნაგებობანი

შენს მეგობარს / მეზობელს / წიგნს... [და არა შენ მეგობარს / მეზობელს / წიგნს...]

შეპასუხება (შეპასუხების˹ა˺)

[შეპირდება... კი არა] **შეჰპირდება; შეჰპირდებოდა; შეჰპირდებოდეს**

შეპირება: შეპირებული

შეპირისპირება: შეპირისპირებული

შეპიროზება: შეპიროზებული

შეპყრობა: შეპყრობილი

შერაცხავს; შერაცხა; შეურაცხავს; შეერაცხა

შერაცხვა (შერაცხვის˹ა˺)

შერაცხილი (შერაცხილად)

შერენონტება: შერენონტებული

შერთავს; შერთო; შეურთავს; შეერთო

შერიგება (შერიგების˹ა˺): **შერიგებული**

შერისხვა: შერისხული

შერჩება; შერჩა; შერჩენილა (ის სოფელში), მაგრამ: **შერჩენია** (მას ეს საქციელი)

შერჩევა (შერჩევის˹ა˺): **შერჩეული; შერჩევითი**

შერჩენილი (რაც შეარჩინეს ან შერჩა: **შერჩენილი** ვალი; ხეზე **შერჩენილი** ფოთლები / ვაშლი) – **შენარჩუნებული** (რაც შეინარჩუნეს: **შენარჩუნებული** სიცოცხლე / სახელი / სიმდიდრე)

შერცხვენა: შერცხვენილი

შერცხვენია (მას) – **შერცხვენილა** (იგი)

შესაბამისი (შესაბამისს); **შესაბამისად**

შესაბამისობა (შესაბამისობის˹ა˺) [და არა შესაბამობა]

შესაბმელი (შესაბმელის˹ა˺)

შესაბნევი

შესაბრალებელი (შესაბრალებლად)

შესაბრალისი (შესაბრალისს)

შესაბრუნებელი (შესაბრუნებლად)

შესაგებებელი (შესაგებებლად)

შესაგროვებელი (შესაგროვებლად)

შესაგრძნობი

შესაგუებელი (შესაგუებლად)

შესადარებელი (შესადარებლად)

შესადგენი

შესაერთებელი (შესაერთებლად)

შესავალ-გასავალი (შესავალ-გასავლის˹ა˺)

შესავალი (შესავლის˹ა˺) (ლექციის / თემის... **შესავალი**)

შესავედრებელი (შესავედრებლად)

შესათანხმებელი (შესათანხმებლად)

შესაკავებელი (შესაკავებლად)

შესაკავშირებელი (შესაკავშირებლად)

შესაკეთებელი (შესაკეთებლად)

შესაკრავი

შესაკრები (= ვინც, რაც უნდა შეკრიბონ: 1. ერთად შესაგროვებელი, თავმოსაყრელი: **შესაკრები** ხალხი...; 2. მათემ. ჯამის ერთ-ერთი წევრი; ერთ-ერთი შესაკრები) – **შესაკრებელი** (= ადგილი, სადაც იკრიბებიან; საკრებულო)

შესალაგებელი (შესალაგებლად)

შესამეცნებელი (შესამეცნებლად)

შესამოკლებელი (შესამოკლებლად)

შესამოწმებელი (შესამოწმებლად)

შესამსუბუქებელი (შესამსუბუქებლად)

შესამუშავებელი (შესამუშავებლად)

შესამცირებელი (შესამცირებლად)

შესანარჩუნებელი (შესანარჩუნებლად)

შესანახავი (შესანახავად) // **შესანახი** (შესანახად)

შესარიგებელი (შესარიგებლად)

შესარჩევი (შესარჩევად)

შესარცხვენი

შესასახლებელი (შესასახლებლად)

შესასვლელ-გამოსასვლელი (შესასვლელ-გამოსასვლელის⌜ა⌝)

შესასვლელი (შესასვლელის⌜ა⌝)

შესასრულებელი (შესასრულებლად)

შესასუსტებელი (შესასუსტებლად)

შესასყიდი

შესასწავლი

შესასწორებელი (შესასწორებლად)

შესატანი

შესატყვისი (შესატყვისს)

შესატყობი // შესატყობელი (შესატყობლად)

შესატყუებელი (შესატყუებლად)

შესაფარდებელი (შესაფარდებლად)

შესაფარებელი (შესაფარებლად)

შესაფერი // შესაფერისი (შესაფერისს)

შესაფერისობა (შესაფერისობის⌜ა⌝)

შესაქები

შესაქმნელი (შესაქმნელად)

შესაღებავი // შესაღები

შესაღწევი [და არა შესახწევი]

შესაყვარებელი (შესაყვარებლად)

შესაშინებელი (შესაშინებლად)

შესაშური – საშური (ი ხ.)

შესაშფოთებელი (შესაშფოთებლად)

შესაჩივლელი // შესაჩივლი

შესაცდენი

შესაცვლელი

შესაცნობი (// **შესაცნობელი**)

შესაცოდებელი (შესაცოდებლად) // **შესაცოდები**

შესაძენი

შესაძლებელი (შესაძლებლად) // **შესაძლო** [და არა შესაძლები]

შესაძლებლობა (შესაძლებლობის⌜ა⌝)

შესაძულებელი (შესაძულებლად)

შესაწირავი // შესაწირი

შესაწუხებელი (შესაწუხებლად)

შესაწყალებელი (შესაწყალებლის⌜ა⌝)

შესაწყვეტი

შესაწყნარებელი (შესაწყნარებლის⌜ა⌝)

შესახამებელი (შესახამებლად)

შესახებ: **ამ საკითხის შესახებ** ან **ამ საკითხთან მიმართებით** [და არა ამ საკითხთან მიმართებაში]

შესახედავი (შესახედავად)

შესახედაობა (= გარეგნობა) – **შეხედულება** (= მოსაზრება, აზრი, თვალსაზრისი)

შესახვეწნი (შესახვეწნად) // **შესახვეწარი** (შესახვეწრად) // **შესახვეწნელი** (შესახვეწნელად) // **შესახვეწი** (შესახვეწად)

შესახლდება; **შესახლდა**; **შესახლებულა**; **შესახლებულიყო**

შესახლება: **შესახლებული**

შესახორცებელი (შესახორცებლად)

შესახსენებელი (შესახსენებლად)

შესაჯამებელი (შესაჯამებლად)

შესაჯერებელი (შესაჯერებლად)

შესაჯვარებელი (შესაჯვარებლად)

შესდგება – შედგება (ი ხ.)

შესთავაზებს; **შესთავაზა** [და არა შეთავაზებს, შეთავაზა]; **შეუთავაზებია**; **შეეთავაზებინა** [და არა შეეთავაზებია]

შესთხოვს; **შესთხოვა**; **შესთხოვოს** [და არა შეთხოვს...]

შესრულება (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: დავალება **შესრულებადია**. უმჯობესია: ამ დავალების **შესრულება შესაძლებელია**/ეს დავალება **შესრულდება**)

შესრულება: **შესრულებული**

შესტკივა; **შესტკიოდა**; **შესტკიოდეს** [და არა შეტკივა...] (მას გული)

შესჩერებია; **შესჩერებოდა** [და არა შეჩერებია, შეჩერებოდა]

შესჩვევია; **შესჩვეოდა**; **შესჩვეოდეს** [და არა შეჩვევია...]

შესჩივის; **შესჩოდა**; **შესჩოდეს** [და არა შეჩივის...]

შესჩივლებს; **შესჩივლა** [და არა შეჩივლებს, შეჩივლა]; **შეუჩივლია**; **შეეჩივლა**

შესცდება (მას), მაგრამ: **შეცდება** (ის)

შესცივდება (მას), მაგრამ: **შეცივდება** (ღვინო/წყალი...)

შესცინებს; **შესცინა** [და არა შეცინებს, შეცინა]; **შეუცინია**; **შეეცინა**

შესცინის; **შესციწოდა**; **შესციწოდეს** [და არა შეცინის...]

შესციციწებს; **შესციციწებდა**; **შესციციწებდეს** [და არა შეციციწებს...]

შესცოდავს; **შესცოდა** [და არა შეცოდავს, შეცოდა]; **შეუცოდავს**; **შეეცოდა**

შესცქერის; **შესცქეროდა**; **შესცქეროდეს** [და არა შეცქერის...]

შესძახებს; **შესძახა** (= დაუძახებს მას), მაგრამ: **შეძახებს** (ის); **შეძახა** (მან)

შესძენს; **შესძენდა**; **შესძენდეს** [და არა შეძენს...] (მას ცოდნას)

შესძლებია; **შესძლებოდა**; **შესძლებოდეს** [და არა შეძლებია...]

[შესძლებს, შესძლო კი არა] **შეძლებს, შეძლო (შევძელი, შეძელი)**

შესძულდება; **შესძულდა**; **შესძულებია**; **შესძულებოდა** [და არა შეძულდება, შეძულდა...]

შესწამებს; **შესწამა** [და არა შეწამებს, შეწამა]; **შეუწამებია**; **შეეწამებინა** [და არა შეეწამებია]

შესწევს; შესწევდა; შესწევდეს [და არა შეწევს...] (მას ღონე)

შესწვდება; შესწვდებოდა; შესწვდებოდეს [და არა შეწვდება...]

შესწირავს; შესწირა [და არა შეწირავს, შეწირა]; **შეუწირავს; შეეწირა**

შესწმენდს; შესწმინდა [და არა შეწმენდს, შეწმინდა]; **შეუწმენდია; შეეწმინდა**

შესწორდება; შესწორდა; შესწორებულა; შესწორებული

შესწორება: **შესწორებული**

შესწუხებია; შესწუხებოდა [და არა შეწუხებია, შეწუხებოდა] (გული)

შესწყვეტია; შესწყვეტოდა [და არა შეწყვეტია, შეწყვეტოდა]

შესჭაღარავებია; შესჭაღარავებოდა [და არა შეჭაღარავებია, შეჭაღარავებოდა]

შესჯავრდება; შესჯავრდა; შესჯავრებია; შესჯავრებოდა [და არა შეჯავრდება, შეჯავრდა...]

შესჯდება; შესჯდა (შევჯექი, შესჯექი); შესჯდომია (ის მას ზურგზე), მაგრამ: **შეჯდება, შეჯდა (შევჯექი, შეჯექი); შემჯდარა** (ის ცხენზე)

შეტანა (შეტანის⌜ა⌝): **შეტანილი; შესატანი**

შეტანება (შეტანების⌜ა⌝): **შეტანებული** (მჯადს **შეტანებული** ყველი...)

შეტანილ იქნა გეგმაში ეს საკითხი, მაგრამ: ეს საკითხი გეგმაში **იქნა შეტანილი**

შეტევა (ზეპირ მეტყველებაში ხშირად ისმის: ფეხბურთელები **დაჯარიმდნენ შეტევაში**; **შეტევაშია** თბილისის „დინამო“; უნდა იყოს: ფეხბურთელები **დაჯარიმდნენ შეტევის დროს**; **უტევს** თბილისის „დინამო“, ან კიდევ: **შეტევაზე გადადის** თბილისის „დინამო“)

[შეტკივა... კი არა] **შესტკივა; შესტკიოდა; შესტკიოდეს** (გული)

შეტყობინება [და არა მესიჯი]

შეტყობინებული; შესატყობინებელი (შესატყობინებლად)

შეტყუება (სპორტ.)

[შეუარია, შეეარა, შეეაროს კი არა] **შეუვლია; შეევლო; შეევლოს**

შეუბრალებელი (შეუბრალებლად)

შეუბრუნებს; შეუბრუნა; შეუბრუნებია; შეებრუნებინა [და არა შეებრუნებია] (სიტყვა)

შეუგდებს; შეუგდო; შეუგდია (ერთი), მაგრამ: **შეუყრის; შეუყარა; შეუყრია** (ბევრი)

შეუგზავნის; შეუგზავნა; შეუგზავნია; შეეგზავნა

შეუგნებელი (შეუგნებლად)

შეუგნებლობა (შეუგნებლობის⌜ა⌝)

შეუგროვებს; შეუგროვა; შეუგროვებია; შეეგროვებინა [და არა შეეგროვებია]

შეუგრძნობელი (შეუგრძნობლად)

შეუგუებელი (შეუგუებლად)

შეუგუებლობა (შეუგუებლობის˹ა˺)

შეუდარებელი (შეუდარებლად)

შეუდრეკელი (შეუდრეკლად)

შეუერთდება; შეუერთდა; შეერთებია; შეერთებოდა

შეუერთებელი (შეუერთებლად)

შეუერთებს; შეუერთა; შეუერთებია; შეეერთებინა [და არა შეეერთებია]

შეუვალი; შეუვალობა (შეუვალობის˹ა˺)

შეუვლია; შეევლო

შეუვსებელი (შეუვსებლად)

შეუვსებს; შეუვსო; შეუვსია; შეევსო

შეუზელს; შეუზელდა; შეუზელდეს [და არა შეუზელავს, შეუზილავს; შეუზელავდა, შეუზილავდა; შეუზელავდეს, შეუზილავდეს]; **შეუზილა; შეუზელია; შეეზილა**

შეუზღუდავი (შეუზღუდავად) (// **შეუზღუდველი**) (შეუზღუდველად)

შეუზღუდავს; შეუზღუდა; შეუზღუდავს (თურმე); **შეეზღუდა**

შეუზღუდაობა (შეუზღუდაობის˹ა˺) (// **შეუზღუდველობა**) (შეუზღუდველობის˹ა˺)

შეუთავსებლობა (შეუთავსებლობის˹ა˺)

შეუთანხმდება; შეუთანხმდა; შესთანხმებია; შესთანხმებოდა [და არა შეთანხმებია, შეთანხმებოდა] (ის მას)

შეუთანხმებელი (შეუთანხმებლად)

შეუთანხმებს; შეუთანხმა; შეუთანხმებია; შეეთანხმებინა [და არა შეეთანხმებია]

შეუკეთებელი (შეუკეთებლად)

შეუკეთებლობა (შეუკეთებლობის˹ა˺)

შეუკეთებს; შეუკეთა; შეუკეთებია; შეეკეთებინა [და არა შეეკეთებია]

შეუკერავს (თურმე)

შეუკვეთს; შეუკვეთა; შეუკვეთია; შეეკვეთა

შეულამაზებელი (შეულამაზებლად)

შეულოცავს; შეულოცა; შეულოცავს (მისთვის); **შეელოცა**

[შეუმდგარი // არშემდგარი სპორტსმენი / მსახიობი / მეცნიერი / სახელმწიფო კი არა] **წარუმატებელი** სპორტსმენი / მსახიობი / მეცნიერი; **გაუმართავი / წარუმატებელი / ჩამორჩენილი** სახელმწიფო

შეუმეცნებელი (შეუმეცნებლად)

შეუმეცნებლობა (შეუმეცნებლობის˹ა˺)

შეუმზადებელი (შეუმზადებლად)

შეუმკია (შემიმკია, შეგიმკია)

შეუმოწმებელი (შეუმოწმებლად)

შეუმოწმებს; შეუმოწმა; შეუმოწმებია; შეემოწმებინა [და არა შეემოწმებია]

შეუმსუბუქებს; შეუმსუბუქა; შეუმსუბუქებია; შეემსუბუქებინა [და არა შეემსუბუქებია]

შეუმუშავებელი (შეუმუშავებლად)

შეუმჩნეველი (შეუმჩნევლად) (// **შეუმჩნევი**)

შეუმცდარი (შეუმცდარად) // **შეუცდომელი** (შეუცდომლად)

შეუმცირდება; შეუმცირდა; შემცირებია; შემცირებოდა

შეუმცირებს; შეუმცირა; შეუმცირებია; შეემცირებინა [და არა შეემცირებია]

შეუნარჩუნდება; შეუნარჩუნდა; შენარჩუნებია; შენარჩუნებოდა

შეუნარჩუნებს; შეუნარჩუნა; შეუნარჩუნებია; შეენარჩუნებინა [და არა შეენარჩუნებია]

შეუნაცვლებელი (შეუნაცვლებლად)

შეუნაცვლებს; შეუნაცვლა; შეუნაცვლებია; შეენაცვლებინა [და არა შეენაცვლებია]

შეუნახავს (თურმე)

შეუნდობელი (შეუნდობლად)

შეუნდობს; შეუნდო; შეუნდვია [და არა შეუნდია]; **შეენდო**

შეუნელდება; შეუნელდა; შენელებია; შენელებოდა

შეუნელებელი (შეუნელებლად)

შეუნიშნავს (თურმე)

შეუპოვარი (შეუპოვრად)

შეუპოვრობა (შეუპოვრობის^ა)

შეუპყრობელი (შეუპყრობლად)

შეურაცხადი

შეურაცხვყოფ; შეურაცხვყავი; შეურაცხმიყვია; შეურაცხმეყო [და არა შევურაცხყოფ, ვშეურაცხყოფ; შევურაცხყავი, ვშეურაცხყავი...]

შეურაცხმყოფელი (შეურაცხმყოფლის^ა); **შეურაცხმყოფლად**

შეურაცხყოფ (შენ); **შეურაცხყავი; შეურაცხგიყვია; შეურაცხგეყო**

შეურაცხყოფა (უმართებულოა: **შეურაცხყოფებს** აყენებდნენ მთელ მოსახლეობას. უნდა იყოს: **შეურაცხყოფას** აყენებდნენ მთელ მოსახლეობას)

შეურაცხყოფილი (შეურაცხყოფილად)

შეურაცხყოფს; შეურაცხყო; შეურაცხუყვია; შეურაცხეყო

შეურემონტებელი (შეურემონტებლად)

შეურიგებელი (შეურიგებლად)

შეურიგებლობა (შეურიგებლობის^ა)

შეურყეველი (შეურყევლად) // **შეურყევი**

შეურყევლობა (შეურყევლობის^ა)

შეურყვნელი

შეურჩეველი (შეურჩევლად)

შეურჩევს; შეურჩია; შეურჩევია; შეერჩია

შეურცხვენელი (შეურცხვენლად)

შეუსაბამო; შეუსაბამობა (შეუსაბამობის^ა)

შეუსვამს (თურმე)

შეუსვენებელი (**შეუსვენებლად // შეუსვენებლივ**)

შეუსმენელი; **შეუსმენლობა** (შეუსმენლობის[ა])

შეუსრულდება; **შეუსრულდა**; **შესრულებია**; **შესრულებოდა**

შეუსწავლელი (შეუსწავლელად)

შეუსწორებელი (შეუსწორებლად)

შეუსწორებს; **შეუსწორა**; **შეუსწორებია**; **შეესწორებინა** [და არა შეესწორებია]

შეუსხამს (თურმე)

შეუტია [და არა განახორციელა შეტევა]

შეუტყობელი (შეუტყობლად)

შეუტყობინებელი (შეუტყობინებლად)

შეუფასებელი (შეუფასებლად)

შეუფერებელი (შეუფერებლად)

შეუფერხებელი (შეუფერხებლად)

შეუქმნის; **შეუქმნა**; **შეუქმნია**; **შეექმნა**

შეუყოვნებელი (შეუყოვნებლად)

შეუშვებს; **შეუშვა**; **შეუშვია**; **შეეშვა**

შეუშინებელი (შეუშინებლად)

შეუშრობელი (შეუშრობლად)

შეუშფოთებელი (შეუშფოთებლად)

შეუჩვეველი (შეუჩვევლად)

შეუცდომელი (შეუცდომლად)

შეუცვლელი; **შეუცვლელობა**

შეუცვლის; **შეუცვალა**; **შეუცვლია**; **შეეცვალა**

შეუცნობელი (შეუცნობლად)

შეუცოდველი (= ვისაც არ შეუცოდავს; უცოდველი, უდანაშაულო) – **შეუცოდებელი** (= 1. ვინც არ იცოდებს; ვისაც არ ეცოდება; ულმობელი, შეუბრალებელი; 2. ვინც არ შეიცოდეს)

შეუძლებელი (შეუძლებლად)

შეუწვავს (თურმე)

შეუწმენდს; **შეუწმენდდა**; **შეუწმენდდეს** [და არა შეუწმენდავს, შეუწმინდავს; შეუწმენდავდა, შეუწმინდავდა; შეუწმენდავდეს, შეუწმინდავდეს]; **შეუწმინდა**; **შეუწმენდია**; **შეეწმინდა**

შეუწუხებელი (შეუწუხებლად)

შეუწყალებელი (შეუწყალებლად)

შეუწყალებლობა (შეუწყალებლობის[ა])

შეუწყდება; **შეუწყდა**; **შესწყდომია // შესწყვეტია**; **შესწყდომოდა // შესწყვეტოდა** [და არა შეწყდომია, შეწყვეტია...]

შეუწყვეტელი (შეუწყვეტლად // შეუწყვეტლივ)

შეუწყვეტს; **შეუწყვეტდა**; **შეუწყვეტდეს** [და არა შეუწყვეტავს, შეუწყვიტავს; შეუწყვეტავდა; შეუწყვიტავდა; შეუწყვეტავდეს, შეუწყვიტავდეს]; **შეუწყვიტა**; **შეუწყვეტია**; **შეეწყვიტა**

შეუწყნარებელი (შეუწყნარებლად)

შეუწყობს; **შეუწყო (შევუწყვე, შეუწყვე)**; **შეუწყვია**; **შეეწყო** (ხელი)

შეუხამებელი (შეუხამებლად)

შეუხებელი (შეუხებლად)

შეუხორცდება; შეუხორცდა; შეხორცებია; შეხორცებოდა

შეფარდება (შეფარდების⌜ა⌝): **შეფარდებული**

შეფარდებითი

შეფარდებითობა (შეფარდებითობის⌜ა⌝)

შეფარება (შეფარების⌜ა⌝): **შეფარებული**

შეფარული (= ის, რაც შეფარულია, დაფარულია: ხმაში **შეფარული** შიში) – **შეფარებული** (= ვინც/რაც შეაფარეს ან შეეფარა; შეკედლებული: **შეფარებული** ობოლი)

შეფასება (შეფასების⌜ა⌝): **შეფასებული; შესაფასებელი** (შესაფასებლად)

[შეფერის კი არა] **შეჰფერის** (მას)

შეფერხდება; შეფერხდა; შეფერხებულა; შეფერხებულიყო

შეფერხება (შეფერხების⌜ა⌝): **შეფერხებული** (შეფერხებულად)

შეფი (შეფის⌜ა⌝); **საშეფო**

შეფმზარეული // მთავარი მზარეული

შეფუთვა (შეფუთვის⌜ა⌝): **შეფუთული; შესაფუთავი; შესაფუთი**

[შექონდა, შექონდეს კი არა] **შეჰქონდა; შეჰქონდეს**

შექცევადი (პროცესი...) – **შექცევითი** (მექანიზმი...)

[შეღავათები კი არა] **შეღავათი**

შეღამდება; შეღამდა; შეღამებულა; შეღამებულიყო

შეღებვა: **შეღებილი**

შეღებული (კარი)

შეყვარება: **შეყვარებული**

[შეყვარებია... კი არა] **შეჰყვარებია; შეჰყვარებოდა; შეჰყვარებოდეს**

[შეყვება... კი არა] **შეჰყვება; შეჰყვებოდა; შეჰყვებოდეს**

შეყოლა (შეჰყვება) – შეყოლება (შეაყოლებს) – შეყოლიება (შეიყოლიებს)

[შეყოლია... კი არა] **შეჰყოლია; შეჰყოლოდა; შეჰყოლოდეს**

შეყოყმანება: **შეყოყმანებული**

[შეყურებს... კი არა] **შეჰყურებს; შეჰყურებდა; შეჰყურებდეს**

შეშინება: **შეშინებული**

შეჩერება: **შეჩერებული**

[შეჩერებია... კი არა] **შესჩერებია; შესჩერებოდა; შესჩერებოდეს**

[შეჩივის... კი არა] **შესჩივის; შესჩიოდა; შესჩიოდეს**

[შეჩივლებს, შეჩივლა კი არა] **შესჩივლებს; შესჩივლა**

შეცხუნება: **შეცხუნებული**

შეცდება (ის), მაგრამ: **შესცდება** (მას)

შეცდენა: **შეცდენილი**

შეცდომა (შეცდომის⌜ა⌝)

შეცვივდებიან (ისინი), მაგრამ: **შევარდება** (ის)

შეცივდება (ღვინო), მაგრამ: **შესცივდება** (მას)

[შეციცინებს... კი არა] **შესციცინებს;**

შესციცინებდა; **შესციცინებდეს**

შეცნობა (= აღქმა, გაგება, გაცნობა: ბავშვი იწყებს სამყაროს **შეცნობას**) – **შემეცნება** (ფილოს. ობიექტური სამყაროს მეცნიერული აღქმა და გაანალიზება: **შემეცნების** თეორია)

შეცოდება: **შეცოდებული**

[შეცქერის... კი არა] **შესცქერის**; **შესცქეროდა**; **შესცქეროდეს**

შეძენა-შენახვა (შეძენა-შენახვის^ა)

[შეძენს... კი არა] **შესძენს**; **შესძენდა**; **შესძენდეს** (მას ცოდნას)

შეძლებისდაგვარად

შეძლებს; **შეძლო** (**შევძელი**, **შეძელი**) [და არა შესძლებს, შესძლო]

შეძრავს (ქვეყანას); **შეძრა**; **შეუძრავს**; **შეეძრა**

[შეძულდება, შეძულდა კი არა] **შესძულდება**; **შესძულდა**

შეწებებული [და არა შეწეპებული]

შეწევა (= შიგნით მიწევა) – **შეწევნა** (= დახმარების გაწევა, მიშველება, წყალობა)

[შეწვდება... კი არა] **შესწვდება**; **შესწვდებოდა**; **შესწვდებოდეს**

[შეწირავს... კი არა] **შესწირავს**; **შესწირავდა**; **შესწირავდეს**

შეწირულება (შეწირულების^ა) (// **შეწირულობა**) (შეწირულობის^ა)

შეწუხდება; **შეწუხდა**; **შეწუხებულა**; **შეწუხებულიყო**

შეწუხება: **შეწუხებული**

შეწყალება: **შეწყალებული**

შეწყვეტს; **შეწყვეტდა**; **შეწყვეტდეს** [და არა შეწყვეტავს, შეწყვიტავს; შეწყვეტავდა, შეწყვიტავდა; შეწყვეტავდეს, შეწყვიტავდეს]; **შეწყვიტა**; **შეუწყვეტია**; **შეეწყვიტა**

შეწყნარება: **შეწყნარებული**

შეწყობა: **შეწყობილი**

შეჭირვება: **შეჭირვებული**

შეხარის; **შეხაროდა**; **შეხაროდეს** [და არა შეჰხარის...]

[შეხებაშია ამ საკითხთან კი არა] **შეეხება ამ საკითხს**

შეხედავს; **შეხედა**; **შეუხედავს**; **შეეხედა**

შეხედულება – შესახედაობა (იხ.)

შეხედულება (შეხედულების^ა) [და არა შეხედულობა]

შეხვდება; **შეხვდა**; **შეხვედრია**; **შეხვედროდა**

შეხვედრა (შეხვედრის^ა); **შეხვედრისთანავე**

შეხვედრება (1. სხვადასხვა პირის ერთმანეთთან შეხვედრის მოწყობა; 2. რგუნება)

შეხლა-შემოხლა (შეხლა-შემოხლის^ა)

შეხურება (1. სიმხურვალის მომატება; 2. გადატ. შეთრობა; 3. გადატ. გაწყრომა, გაჯავრება; შერცხვენა) – **შეხურვება** (სიცხის მიცემა, ცხელება)

[შეჯავრდება... კი არა] **შესჯავრდება**; **შესჯავრდა**; **შესჯავრებია**

შეჯამება: **შეჯამებული**

შეჯგუფება: **შეჯგუფებული**

შეჯდება; **შეჯდა** (ცხენზე), მაგრამ: **შესჯდება** (მას ზურგზე)

შეჯერება: **შეჯერებული**

შეჯვარება: **შეჯვარებული**

შეჯიბრება (შეჯიბრების˹ა˺) [და არა შეჯიბრი]

შეჰბედავს; **შეჰბედავდა**; **შეჰბედავდეს** [და არა შებედავს...]

შეჰბერებია; **შეჰბერებოდა**; **შეჰბერებოდეს** [და არა შებერებია...]

შეჰგვრის; **შეჰგვრიდა**; **შეჰგვრიდეს** [და არა შეგვრის...]

შეჰგუებია; **შეჰგუებოდა**; **შეჰგუებოდეს** [და არა შეგუებია...]

შეჰკადრებს; **შეჰკადრებდა**; **შეჰკადრებდეს** [და არა შეკადრებს...]

შეჰკვდომია; **შეჰკვდომოდა**; **შეჰკვდომოდეს** [და არა შეკვდომია...]

შეჰპირდება; **შეჰპირდებოდა**; **შეჰპირდებოდეს** [და არა შეპირდება...]

შეჰფერის; **შეჰფეროდა**; **შეჰფეროდეს** [და არა შეფერის...]

შეჰქანებია; **შეჰქანებოდა**; **შეჰქანებოდეს** [და არა შექანებია...]

შეჰქმნია; **შეჰქმნოდა** [და არა შექმნია, შექმნოდა]

შეჰქონდა; **შეჰქონდეს** [და არა შექონდა, შექონდეს]

შეჰყავს; **შეჰყავდა**; **შეჰყავდეს** [და არა შეყავს...]

შეჰყვა; **შეჰყოლია**; **შეჰყოლოდა**; **შეჰყოლოდეს** [და არა შეყვა...]

შეჰყვარებია; **შეჰყვარებოდა**; **შეჰყვარებოდეს** [და არა შეყვარებია...]

შეჰყვება; **შეჰყვებოდა**; **შეჰყვებოდეს** [და არა შეყვება...]

შეჰყრის (მას სურდოს), მაგრამ: **შეყრის** (ხალხს / ქვეყანას)

შეჰყურებს; **შეჰყურებდა**; **შეჰყურებდეს** [და არა შეყურებს...]

შვედი; **შვედური**

შვედური კედელი (სპორტ.)

შვეიცარი (შვეიცრის˹ა˺)

შვეიცარიელი; **შვეიცარიული**

შველი (შვლის˹ა˺)

შველის; **შველოდა**; **შველოდეს**

შვეულმფრენი // ვერტმფრენი

შვიდასი (შვიდასს)

შვიდი ათასი (შვიდი ათასს)

შვიდი-რვა

შვიდკაცა (შვიდკაცას˹ი˺)

შვიდმეტრიანი დარტყმა (სპორტ.)

შვიდ-ნახევარი (შვიდ-ნახევრის˹ა˺)

შვიდსართულიანი, მაგრამ: **7-სართულიანი**

შვიდ-შვიდი

შვიდჭიდი (სპორტ.)

შვილთაშვილი

შვილიშვილი

შვრება; **შვრებოდა**; **შვრებოდეს** [და არა შვება...]

შთაბეჭდილება (შთაბეჭდილების᾽ა᾽)

შთაგონება და **ჩაგონება** ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს დაჯერებას, შეგონებას; სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედებას, მაგრამ **შთაგონებას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: შემოქმედებითი აღფრთოვანება, აღმაფრენა (**შთაგონების** წყარო).

შთამბეჭდავი (შთამბეჭდავად)

შთამომავალი (შთამომავლის᾽ა᾽)

შთამომავლობა (შთამომავლობის᾽ა᾽); **შთამომავლობითი**

-ში: ეს თანდებული ხშირად უმართებულოდ გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში: დაიბადა 2010 **წელში**; მედიკამენტი უკვე **გაყიდვაშია**; ეჭვმიტანილი **მიმალვაშია**; პარალელურ **რეჟიმში** მუშაობენ; **ძირითადში** ყველაფერი მოგვარდა; ლარის კურსი დოლართან **მიმართებაში**; ამ საკითხთან **მიმართებაში** რამდენიმე კითხვა დაისმის; იყიდება ხუთ **ლარში**. უნდა იყოს: დაიბადა 2010 **წელს**; მედიკამენტი უკვე **იყიდება**; ეჭვმიტანილი **იმალება**; **პარალელური რეჟიმით** მუშაობენ; **ძირითადად** ყველაფერი მოგვარდა; ლარის კურსი დოლართან **მიმართებით**; ამ საკითხთან **მიმართებით** რამდენიმე კითხვა დაისმის; იყიდება ხუთ **ლარად**.

შიგაგაყვანილობა (შიგაგაყვანილობის᾽ა᾽) [// **შიდაგაყვანილობა**]

შიგადაშიგ

შიგაწვა [// **შიდაწვა**]

შიგაწნევა [// **შიდაწნევა**]

შიგგარბენი (სპორტ.)

შიგგახტომი (სპორტ.)

შიგთავსი (შიგთავსს)

შიგმდგომი (შიგმდგომმა)

შიგმჯდომი (შიგმჯდომმა)

შიდასახელმწიფოებრივი

შიდო (სპორტ.)

შიზოფრენია (შიზოფრენიის᾽ა᾽)

შიმპანზე (შიმპანზის᾽ა᾽)

შიმშილობს; **შიმშილობდა**; **შიმშილობდეს** (**იშიმშილებს**...)

შიმშილ-სიცივე (შიმშილ-სიცივის᾽ა᾽)

შიმშილ-წყურვილი

შინ (**შინ** არის; **შინ** დაიბარა...)

შინაარსი (შინაარსს)

შინაარსობრივი [და არა შინაარსობლივი]

შინააშლილობა (შინააშლილობის᾽ა᾽)

შინაბაზარი (შინაბაზრის᾽ა᾽)

შინაბერა (შინაბერას᾽ი᾽)

შინაგანაწესი (შინაგანაწესს)

შინაგან-გარეგანი

შინავაჭრობა (შინავაჭრობის᾽ა᾽)

შინამოსამსახურე (შინამოსამსახურის᾽ა᾽)

შინაომი (შინაომმა)

შინარეზერვები (მრ.)

შინარესურსები (მრ.)

შინასამეურნეო

შინასამრეწველო

შინასაუწყებო [// შიდასაუწყებო]

შინასაქალაქო [// შიდასაქალაქო]

შინასაწარმოო [// შიდასაწარმოო]

შინასახელმწიფოებრივი [// შიდასახელმწიფოებრივი]

შინაუწყებრივი [// შიდაუწყებრივი]

შინდისფერი (შინდისფრად)

შირმა (შირმისა)

შიფრი: **შიფრული**

შიშველ-ტიტველი (შიშველ-ტიტვლისა)

შიშო [და არა შიშები]

შიშმორეული

შიშნარევი

შლაგერი

[შლაკი კი არა] **წიდა**

შლამი (შლამმა)

შლამიანი; **შლამიანობა** (შლამიანობისა)

შლაპა (შლაპისა) [და არა შლიაპა]

შლიჯდომი (სპორტ.)

შობა-ახალწელიწადი: გილოცავთ **შობა-ახალწელიწადს**! გილოცავთ **შობასა და ახალ წელს**!

შოვინიზმი (შოვინიზმმა)

შოვინისტი: **შოვინისტური** (შოვინისტურად)

შოთა რუსთაველის [და არა შ. რუსთაველის] **გამზირი**

შოკი: **შოკური**

შოკირება (შოკირებისა): **შოკირებული**

შოკოლადი; **შოკოლადიანი**

შორიახლოს // **შორიახლო**

შორიშორ // **შორიშორს**

შორსმჭვრეტელი (შორსმჭვრეტელისა) // **შორსმჭვრეტი**

შორსმჭვრეტელობა (შორსმჭვრეტელობისა)

შორსმხედველი (შორსმხედველისა)

შორტი (შორტს, მრ. შორტები)

შოტლანდიელი; **შოტლანდიური**

შოუბიზნესი (შოუბიზნესს)

შოულობს; **შოულობდა**; **შოულობდეს**

[შოფერი კი არა] **მძღოლი**

შოშია (შოშიისა)

შპალერი [და არა შპალიერი]

